

სოფო კილაძე

ჰაატა ტურავა

# გავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები



თბილისი, 2021

გამომცემლობა „იურისტების საზარო“

პუბლიკაცია მომზადებულია გაეროს ბავშვთა ფონდის (იუნისეფი) ტექნიკური და ფინანსური მხარდაჭერით. პუბლიკაციაში გამოხატული მოსაზრებანი ეკუთვნით ავტორებს და სრულიად არაა აუცილებელი ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

© გამომცემლობა „იურისტების სამყარო“, 2021

© სოფო კილაძე, პაატა ტურავა, 2021



გამომცემლობა „იურისტების სამყარო“

---

თბილისი, მ. კოსტავას №75; 0171

ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34

ვებ-გვერდი: [www.law.ge](http://www.law.ge)

ელ-ფოსტა: [Info@law.ge](mailto:Info@law.ge)

[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](https://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers)

ISBN 978-9941-9726-7-6

## რედაქტორისგან

ბავშვის უფლებათა კოდექსის შექმნას რთული, გამოწვევებით აღსავსე და ხანგრძლივი გზა უძღვოდა წინ. ყველაფერი დაიწყო საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის, სოფო კილაძის ინიციატივით. მისი იდეა იყო, სახელმწიფოს ჰქონოდა ბავშვის უფლებების დაცვის ერთიანი საკანონმდებლო პოლიტიკა, რომელიც იქნებოდა სისტემური, ეფექტიანი და შედეგად კონკრეტულ სიკეთეებს მოუტანდა ბავშვებს საქართველოში. კანონპროექტზე მუშაობა 2017 წლის დასაწყისში დაიწყო და თითქმის სამი წელი გაგრძელდა, მის საბოლოო მიღებამდე.

კოდექსი წარმოადგენს ყოვლისმომცველ დოკუმენტს ბავშვთა უფლებათა დაცვის მიზნით. მასში კარგადაა გამოკვეთილი ძირითადი პრინციპი - ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტული დაცვა. მართალია საქართველოს კონსტიტუცია ცალკე არ გამოყოფს ბავშვის უფლებებს, თუმცა ძირითადი უფლებების მეორე თავით აღიარებული და გარანტირებული ყველა უფლება გამჭოლად ვრცელდება თითოეულ ბავშვზე.

ბავშვის უფლებათა კოდექსის შემუშავების პროცესი იყო უპრეცედენტოდ ინკლუზიური და გამჭვირვალე. საკანონმდებლო დოკუმენტის შემუშავებასა და დახვეწაში მონაწილეობას იღებდა ყველა ის ორგანიზაცია, ექსპერტი თუ კერძო პირი, რომელმაც სურვილი გამოთქვა პროცესში ჩართულობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ თავად ბავშვები მონაწილეობდნენ კოდექსის შემუშავებაში. პროცესი იმავდროულად მიმდინარეობდა მედიის აქტიური ჩართულობით. გაიმართა რამდენიმე ათეული შეხვედრა ოფიციალური განხილვისთვის, რომელშიც სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ სახელმწიფო უწყებები, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციები, რელიგიური კონფესიები, აკადემიური წრეები ექსპერტები თუ კერძო, დაინტერესებული პირები.

ბავშვთან დაკავშირებული საკითხების აქტუალობიდან გამომდინარე, პროცესში ჩართვის სურვილი გამოთქვა ასეულობით ორგანიზაციამ თუ პირმა. ბუნებრივია, დაინტერესებულ მხარეებს ჰქონდათ განსხვავებული მოსაზრებები, როგორც კონცეფციის თვალსაზრისით, ასევე, დეტალებთან მიმართებით. ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ღირებულებით განსხვავებებს. ამიტომ საკმაოდ დიდ გამოწვევას წარმოადგენდა პოზიციების დაახლოება, შეჯერებულ საკანონმდებლო დოკუმენტზე ჩამოყალიბება. თუმცა, ამ გამჭვირვალე და ინკლუზიურ პროცესს თავისი ნეგატიური მხარეც გააჩნდა. კოდექსი და მისი ინიციატორი, არაერთხელ გახდა მიზანმიმართული დისკვალიფიკაციის სამიზნე. საბოლოოდ, ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა შეძლო შეჯერებული და ძალიან კვალიფიციური დოკუმენტის წარმოდგენა. მასში ერთი მხრივ, ბავშვის უფლებათა დაცვის ის ძირითადი პრინციპებია ასახული, რომელიც წარმოადგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის სტანდარტებს, ხოლო მეორე მხრივ, შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული იყო ის სპეციფიური თავისებურებები, რომლებიც ქართულ კულტურისა და ტრადიციებისათვის არის დამახასიათებელი.

კოდექსის შექმნაზე, სოფო კილაძესთან ერთად, უშუალოდ მუშაობდა სამართლის პროფესორი, პაატა ტურავა. სწორედ ამიტომ, ბავშვის უფლებათა კოდექსის ტექსტში იგრძნობა აკადემიური დახვეწილობა და კვლევაზე დაფუძნებული ნორმატიული გამართულობა. აღნიშნული საკანონმდებლო აქტის შემუშავებას წინ უძღოდა ინტენსიური კვლევითი სამუშაოები საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტში. მოხდა ქართული კანონმდებლობის ანალიზი ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, შესწავლილ იქნა ევროპის წამყვანი ქვეყნების ნორმატიული აქტები და პრაქტიკა ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით, ასევე, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ მომზადებული კვლევები, მათ შორის, „ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება“, რომელშიც განხილულია საქართველოს სამართლებრივი აქტები და გამოკვეთილია ხარვეზები და გამოწვევები.

ამ კომენტარის ხიბლი, მათ შორის ის არის, რომ ორივე ავტორი უშუალოდ გადმოსცემს საკუთარ გამოცდილებას, იმ სირთულეებსა და პრობლემურ საკითხებს, რომლებიც შეხვდათ კოდექსზე მუშაობის ამ რთულ პროცესში. რადგან ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით არაერთ საკითხთან მიმართებით აზრთა სხვადასხვაობა არ წყდება, ავტორები დეტალურად ხსნიან უშუალოდ იმას, თუ რა იდეა ჩადო კანონმდებელმა კოდექსის მიღებისას.

ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს კოდექსის ნორმების პრაქტიკაში დამკვიდრების საქმეში. ის ასევე დაეხმარება ბავშვის უფლებების სწავლების პროცესს და მნიშვნელოვან ბიძგს მისცემს სამეცნიერო კვლევებს ამ სფეროში.

**ანა ფირცხალაშვილი**

სამართლის დოქტორი,

პროფესორი,

საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს  
ვიცე-რექტორი სამეცნიერო კვლევითი მიმართულებით

## Foreword

20 September 2019 was marked as a day of ground-breaking achievement in the Georgian legal system – at the thirtieth anniversary of the UN Convention on the Rights of the Child (CRC), the Parliament of Georgia adopted the Code on the Rights of the Child, which will have long-lasting effects on the lives of children in Georgia.

The code is one of the best legal acts internationally that covers all rights and freedoms of children and introduces child rights protection and implementation mechanisms. The code is a special law that guides all state agencies, local self-governing bodies, other administrative bodies, the Common Courts, and public and private organisations in their work and decision-making processes with and for children. It provides legal guarantees for empowering children to independently exercise and protect their rights through child-friendly institutions and mechanisms. Moreover, the Code reinforces the State's obligation to align, interpret, and enforce the national legislation in compliance with the Constitution of Georgia, the UN Convention on the Rights of the Child and its Optional Protocols, and other international and regional treaties as recognized by Georgia.

The process of the development of the code was highly participatory. Consultations with relevant agencies and interested government and non-government organizations were led by the Parliament Human Rights and the Civil Integration Committee. Across various regions, consultations were held with several groups of children and young people to discuss the main aspects of the draft code and elaborate on recommendations.

Among the numerous novelties introduced by the Code, I would like to highlight several, which, I believe, will significantly improve the situation of child rights in Georgia.

The code introduces a holistic approach and unites all relevant mechanisms and institutions that are in contact with children. All professionals are obliged to apply a multidisciplinary approach while working with children in different areas. A concentrated emphasis is made to strengthen prevention mechanisms and reinforce cooperation between different sectors to prevent violence against children, child poverty, separation of children from their families, institutionalization, illegal acts committed by children, etc. The code introduces stronger guarantees for the protection of children from violence, and prohibits all forms of violence, this includes corporal punishment in all settings.

The code considers the family to be the main cornerstone of the Georgian society and obliges the state to develop a wide range of family support programmes at the central as well as municipal levels. The implementation of such programmes requires that special attention be paid to the rights of the child, the complex challenges related to his or her early development, their transition from adolescence to adulthood, and their promotion of positive social inclusion.

It is worthwhile to mention that according to the Code, the family support programme shall not be experienced as a single benefit. It should be designed to strengthen the child and his or her family through the provision of sustainable interventions to meet their needs.

An additional mechanism in preventing unnecessary family separations is the introduction of judicial supervision over cases that concern the separation of children

from their families. This is another big step towards bringing Georgian legislation in line with the requirements of the CRC.

Another big breakthrough is the introduction of the child rights impact assessment mechanism, which shall be incorporated into the work of Parliament, government, and local municipalities, during their decision-making, law and by-law development process, which might directly or indirectly affect the rights of the child.

The adoption of such a comprehensive legal act covering all issues concerning children's rights is a huge undertaking, of course. However, the implementation of the Code will require significant efforts by the government, Parliament, and the judiciary. The meaningful implementation of the Code will imply bringing Georgian legislation in line with the requirements of the Code, creating various implementation mechanisms, enhancing the specialization of professionals, and developing various instruments, methodologies, and guidelines to work with children in different areas. In addition to this, it will be essential to strengthen coordination between the legislative, executive, and judiciary branches, as well as local municipalities, to ensure proper implementation of the Code and solid parliamentary oversight.

The establishment of a common practice and a correct and coherent understanding of various principles enshrined in the Code is necessary. Professionals working with children at different levels must possess excellent knowledge about child rights, the requirements of the Code, and must be able to implement it in a highly professional manner.

The commentary developed by the authors of the Code provides a comprehensive overview of the development process and the principles enshrined within. It describes child rights support and protection systems, and it suggests a holistic view of the implementation process.

I strongly recommend this commentary to all professionals working with and/or for children at different levels, including: policy makers, legislators, practitioners, mid and high-level managers, representatives of different professions, students, and academic staff. I strongly believe that representatives of professional society, as well as the wider public, will equally benefit from this commentary which will undoubtedly enhance knowledge about child rights in general, and specifically on the Code on the Rights of the Child in Georgia. This will help to reflect this knowledge into practice. This will also significantly support the implementation process and contribute to the realization and protection of children's rights in Georgia.

I conclude by thanking the authors of this Commentary for the tremendous work they have undertaken and wish them success in their future work.

**Dr. Ghassan Khalil**  
UNICEF Representative in Georgia

## წინასიტყვაობა

2019 წლის 20 სექტემბერი საქართველოს სამართლებრივი სისტემის ისტორიაში უმნიშვნელოვანესი თარიღია. ამდღეს, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის ოცდამეათე წლისთავზე, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელსაც გრძელვადიანი გავლენა ექნება ბავშვების ცხოვრებაზე საქართველოში.

კოდექსი, რომელიც მოიცავს ბავშვის ყველა უფლებასა და თავისუფლებას და ადგენს ბავშვის უფლებების დაცვისა და განხორციელების მექანიზმებს, ერთ-ერთი საუკეთესო სამართლებრივი აქტია საერთაშორისო მასშტაბით. კოდექსი - ესაა სპეციალური კანონი, რომელიც განსაზღვრავს ყველა სახელმწიფო უწყების, ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების, სხვა ადმინისტრაციული ორგანოების, საერთო სასამართლოების, და საჯარო და კერძო ორგანიზაციების ბავშვებთან დაკავშირებულ და ბავშვებისათვის განხორციელებულ საქმიანობასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს. ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს სამართლებრივ გარანტიებს ბავშვების გაძლიერებისათვის, რათა მათ დამოუკიდებლად განახორციელონ და დაიცვან საკუთარი უფლებები, ბავშვზე მორგებული დანესებულებებისა და მექანიზმების მეშვეობით. ამას გარდა, კოდექსი განამტკიცებს სახელმწიფოს ვალდებულებას, შესაბამისობაში მოიყვანოს, განმარტოს, და აღასრულოს ეროვნული კანონმდებლობა საქართველოს კონსტიტუციის, გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების, და საქართველოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო და რეგიონული ხელშეკრულებების შესაბამისად.

კოდექსის შემუშავების პროცესში მაქსიმალურად იყო ჩართული ყველა დაინტერესებული მხარე. პარლამენტის ადამიანის უფლებათა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა წარმართა კონსულტაციები შესაბამის უწყებებთან და დაინტერესებულ სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. სხვადასხვა რეგიონებში, გაიმართა კონსულტაციები ბავშვებისა და ახალგაზრდების რამდენიმე ჯგუფთან, კოდექსის სამუშაო ვარიანტის ძირითადი ასპექტების განხილვისა და რეკომენდაციებზე მსჯელობის მიზნით.

კოდექსის საფუძველზე დაინერგა მრავალი სიახლე. მსურს გამოვყო რამდენიმე მათგანი, რომლებიც, ჩემი აზრით, მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საქართველოში ბავშვის უფლებათა მხრივ არსებულ ვითარებას.

კოდექსი ადგენს ყოვლისმომცველ მიდგომას და აერთიანებს ბავშვებთან შემხებლობაში არსებულ ყველა შესაბამის მექანიზმს და დანესებულებას. ყველა პროფესიონალი, სხვადასხვა სფეროებში ბავშვებთან მუშაობისას, ვალდებულია გამოიყენოს მულტიდისციპლინური მიდგომა. განსაკუთრებული აქცენტი კეთდება პრევენციის მექანიზმებისა და სხვადასხვა დარგებს შორის თანამშრომლობის გაძლიერებაზე, ბავშვთა მიმართ ძალადობის, ბავშვთა სიღარიბის, ბავშვის ოჯახისაგან განცალკევების, ინსტიტუციონალიზაციის, ბავშვთა მიერ ჩადენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებების, და ა.შ. პრევენციისათვის. კოდექსი აწესებს ბავშვის ძალადობისაგან დაცვის უფრო

ძლიერ გარანტიებს და ადგენს ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ნებისმიერ ვითარებაში ფიზიკური დასჯის, აკრძალვას.

კოდექსი ითვალისწინებს, რომ ოჯახი საქართველოს საზოგადოების მთავარი ქვაკუთხედაა და ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, შეიმუშაოს ოჯახის მხარდაჭერის პროგრამების ფართო სპექტრი ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე. ასეთი პროგრამების განხორციელებისათვის აუცილებელია განსაკუთრებული ყურადღება დაეთმოს ბავშვის უფლებებს, მის ადრეულ განვითარებასთან, მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლასთან დაკავშირებულ კომპლექსურ გამოწვევებს, და პოზიტიური სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას.

აღსანიშნავია, რომ კოდექსის თანახმად, ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა არ უნდა იყოს ერთჯერადი დახმარება და უნდა შემუშავდეს იმგვარად, რომ გააძლიეროს ბავშვი და მისი ოჯახი, მათი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მდგრადი ღონისძიებების უზრუნველყოფით.

საამისო აუცილებლობის გარეშე ბავშვის ოჯახისგან განცალკევების პრევენციისათვის დამატებითი მექანიზმია სასამართლოს ზედამხედველობა ბავშვის ოჯახისგან განცალკევებასთან დაკავშირებულ საქმეებზე. ეს მორიგი მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია საქართველოს კანონმდებლობის ბავშვის უფლებათა კონვენციის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

აღსანიშნავია აგრეთვე ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის შემოღება, რომელიც პარლამენტის, მთავრობის, და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების საქმიანობაში უნდა დაინერგოს და რომლის გამოყენება მოხდება იმ გადანყვეტილებების, კანონებისა და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, რომელმაც შესაძლოა პირდაპირი ან არაპირდაპირი ზეგავლენა იქონიოს ბავშვის უფლებებზე.

რასაკვირველია, ასეთი ყოვლისმომცველი სამართლებრივი აქტის მიღება, რომელიც ფარავს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ყველა საკითხს, უზარმაზარი ნაბიჯია. თუმცა, კოდექსის განხორციელებისათვის აუცილებელი იქნება სერიოზული ძალისხმევა მთავრობის, პარლამენტის, და სასამართლო სისტემის მხრიდან. კოდექსის სრულფასოვნად განხორციელებისათვის საჭირო იქნება საქართველოს კანონმდებლობის ამ კოდექსთან შესაბამისობაში მოყვანა, განხორციელების სხვადასხვა მექანიზმების შექმნა, პროფესიონალთა სპეციალიზაციის გაძლიერება, და სხვადასხვა ინსტრუმენტების, მეთოდოლოგიისა და სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება ბავშვებთან სამუშაოდ, სხვადასხვა სფეროში. ამას გარდა, უაღრესად მნიშვნელოვანი იქნება კოორდინაციის გაძლიერება ხელისუფლების საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებს შორის, აგრეთვე ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან, კოდექსის სათანადო განხორციელების უზრუნველყოფისა და ჯეროვანი საპარლამენტო ზედამხედველობისათვის.

აუცილებელია ერთიანი პრაქტიკის დანერგვა და კოდექსით განმტკიცებული სხვადასხვა პრინციპების სწორი და თანამიმდევრული განმარტება-გააზრება.



სხვადასხვა დონეებზე ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები შესანიშნავად უნდა იცნობდნენ ბავშვის უფლებებს, კოდექსით განსაზღვრულ მოთხოვნებს, და უნდა შეეძლოთ მათი მაღალპროფესიონალურ დონეზე განხორციელება.

კოდექსის ავტორების მიერ შემუშავებული ბავშვის უფლებათა კოდექსის კომენტარები წარმოადგენს კოდექსის შემუშავების პროცესის და მასში განმტკიცებული პრინციპების ყოვლისმომცველ მიმოხილვას. იგი აღწერს ბავშვის უფლებების მხარდაჭერისა და დაცვის სისტემებს და გვთავაზობს განხორციელების პროცესის ყოვლისმომცველ ხედვას.

ბავშვის უფლებათა კოდექსის კომენტარებს მე ვურჩევ ყველა პროფესიონალს, რომელიც მუშაობს ბავშვებთან ან/და ბავშვებისთვის სხვადასხვა დონეებზე, მათ შორის: პოლიტიკის განმსაზღვრელ პირებს, კანონმდებლებს, პრაქტიკოსებს, საშუალო და მაღალი რგოლის მენეჯერებს, სხვადასხვა პროფესიების წარმომადგენლებს, სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს. მე მტკიცედ მჯერა, რომ ეს კომენტარები თანაბრად გამოსადეგი იქნება პროფესიული სფეროს წარმომადგენლებისა და ფართო საზოგადოებისათვის, და უდავოდ გააღრმავებს მათ ცოდნას ზოგადად ბავშვის უფლებების საკითხებზე, და კერძოდ, საქართველოში ბავშვის უფლებათა კოდექსთან დაკავშირებით. ეს, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს ამ ცოდნის პრაქტიკაში ასახვას. გარდა ამისა, მნიშვნელოვან როლს ითამაშებს განხორციელების პროცესის მხარდაჭერაში და საქართველოში ბავშვის უფლებების განხორციელებასა და დაცვაში.

დასასრულს, მაგლობას ვუხდით ამ კომენტარების ავტორებს მათ მიერ განეული უზარმაზარი შრომისთვის და წარმატებას ვუსურვებ მომავალ საქმიანობაში.

**დოქტორი ღასან ხალილი**

გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში

## ავტორებისგან

ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში განხორციელებულმა რეფორმამ, კერძოდ, „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ მიღებამ შექმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული კოდექსის პრაქტიკაში დამკვიდრებისათვის მნიშვნელოვანია კანონის ნორმების სწორად გაგება და გამოყენება.

წინამდებარე სახელმძღვანელო კომენტარების შექმნის მიზანია, ხელი შეუწყოს კოდექსის მიზნების სწორად გაგებას და გამოყენებას, როგორც ბავშვის უფლებების სწავლების, ისე, ბავშვის უფლებების დაცვის პროცესში.

გვინდა განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატოთ გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენელობის მიმართ, რომლის მხარდაჭერით შეიქმნა ეს სახელმძღვანელო.

ნაშრომი მომზადებულია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ადამიანის უფლებების სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში განხორციელებულ სამეცნიერო კვლევებზე დაყრდნობით.

ასევე, გვსურს, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თანამშრომელის, ნინო ჩოჩიასადმი ტექნიკური დახმარებისთვის მადლიერება გამოვხატოთ.

იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე წიგნი არის ბავშვის უფლებათა კოდექსის კომენტარების პირველი გამოცემა, ავტორები მადლიერების გრძნობით მივიღებთ ყველა დასაბუთებულ შენიშვნასა თუ რეკომენდაციას და გავითვალისწინებთ წიგნის შემდგომ გამოცემაზე მუშაობისას.

# სარჩევი

## თავი I. შესავალი

§1. ბავშვის უფლებათა კოდექსის იდეა.....	19
§2. კოდექსის ძირითადი სისტემა.....	21
§3. კოდექსის ძირითადი სტანდარტები.....	23
§4. ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის სამართლებრივი საფუძვლები.....	25
1. ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი.....	25
1.1. ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ზოგადი მიმოხილვა და წყაროები .....	25
1.2. ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების ისტორია.....	26
1.2.1. შესავალი.....	26
1.2.2. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი ნაბიჯები.....	27
ა. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი სამართლებრივი აქტები.....	27
ბ. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი ორგანიზაციები.....	28
1.3. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი საერთაშორისო- სამართლებრივი აქტები.....	29
ა. ჟენევის 1924 წლის დეკლარაცია.....	29
ბ. ბავშვთა კეთილდღეობის საერთაშორისო გაერთიანების 1948 წლის დეკლარაცია.....	29
1.4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები.....	30
ა. ბავშვის უფლებების 1959 წლის დეკლარაცია.....	30
ბ. გადაუდებელ სიტუაციებში და შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა და ქალთა დაცვის შესახებ 1974 წლის დეკლარაცია.....	31
გ. 1985 წლის მინიმალური სტანდარტების წესი ბავშვთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ.....	31
დ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ.....	32
1.5. ბავშვის უფლებათა დაცვის თანამედროვე საერთაშორისო მექანიზმები.....	33
ა. გაეროს ბავშვის უფლებათა 1989 წლის კონვენცია.....	33
ბ. ბავშვის უფლებათა 1989 წლის კონვენციის დამატებითი ოქმები.....	34
გ. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF).....	35
დ. გაეროს ბავშვის უფლებათა დაცვის კომიტეტი (CRC).....	36
ე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო.....	37
2. ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნული სამართლებრივი საფუძვლები.....	38
2.1. საკანონმდებლო აქტები.....	38
2.2. კოდექსის ადგილი ნორმათა იერარქიაში და მისი სტრუქტურა.....	38
2.3. კოდექსისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება.....	40

**თავი II. გავშვის საუკეთესო ინტერესები.....43**

§5. შესავალი .....43

§6. ტერმინის ორასახოვანი ბუნება.....44

§7. ტერმინი, როგორც განმარტების კრიტერიუმი.....46

§8. გავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების ელემენტები.....47

1. გავშვის განმარტება.....47

1.1. შესავალი.....47

1.2. გავშვობის დასაწყისი.....47

1.3. გავშვობის ზედა ზღვარი.....48

1.4. განსხვავებები გავშვის ასაკის მიხედვით .....49

1.5. დიფერენციაცია გავშვის ასაკის მიხედვით ქართულ კანონმდებლობაში.....50

2. გავშვის ინტერესების ცნება.....53

3. გავშვის ინტერესების პრიორიტეტულად მშობლის მიერ განსაზღვრა.....56

4. ინტერესების განსაზღვრა გავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით.....58

§9. გავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება.....61

1. უპირატესობის მინიჭების ცნება.....61

2. კოლიზია ინტერესებს შორის.....62

3. გავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებული სუბიექტები.....63

§10. გავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება ქართული სასამართლოების მიერ.....67

1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა.....67

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა.....69

§11. გავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოს მიერ.....78

**თავი III. გავშვის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები...84**

§12. გავშვის ღირსება.....84

1. შესავალი.....84

2. უფლების დაცული სფერო .....85

2.1. ზოგადი მიმოხილვა.....85

2.2. წამება, სასტიკი მოპყრობა და დამამცირებელი სასჯელი.....86

2.3. მონობის და სავალდებულო შრომის აკრძალვა.....90

2.4. სიკვდილით დასჯა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა.....90

2.5. გავშვისთვის ელემენტარული პირობების უზრუნველყოფა.....90

2.6. გავში, როგორც უფლების მატარებელი.....91

2.7. კავშირი თანასწორობასთან.....91

2.8. ღირსების უფლების გავრცელება ნაყოფზე.....92

3. ჩარევა დაცულ სფეროში და გამართლების დაუშვებლობა.....92

§13. სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება.....95

1. სიცოცხლის უფლება.....	95
1.1. შესავალი.....	95
1.2. დაცული სფერო.....	95
ა. სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა.....	95
ბ. სიცოცხლის დასაწყისი.....	96
გ. სიცოცხლის დასასრული.....	98
დ. შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების მონაწილეობა.....	99
ე. სიკვდილით დასჯის აკრძალვა.....	99
1.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.....	100
1.4. დაცულ სფეროში ჩარევა .....	101
1.5. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება.....	103
2. ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება.....	104
2.1. შესავალი.....	104
2.2. უფლებით დაცული სფერო.....	106
ა. ზოგადი მიმოხილვა.....	106
ბ. ზოგადი პიროვნული უფლება.....	108
გ. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება.....	109
2.3. დაცულ სფეროში ჩარევა .....	109
2.4. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება.....	112
§14. თანასწორობის უფლება.....	115
1. შესავალი.....	115
2. უთანასწორო მოპყრობა.....	116
2.1. უთანასწორო მოპყრობის განმარტება.....	116
2.2. ცალკეული ნიშნები.....	119
2.3. უთანასწორო მოპყრობა პოზიტიური ვალდებულებების შემთხვევაში.....	120
3. უთანასწორო მოპყრობის განმახორციელებელი სუბიექტები.....	121
4. უთანასწორო მოპყრობის გამართლება.....	121
§15. უფლება აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე.....	125
1. შესავალი.....	125
2. დაცული სფერო.....	126
2.1. ბავშვის აზრის მოსმენა.....	126
2.2. ბავშვის აზრის ფორმირების უნარი.....	127
2.3. ბავშვის აზრის მოსმენის ფორმები.....	127
2.4. ბავშვთან დაკავშირებული საკითხები.....	128
2.5. ბავშვის აზრის გათვალისწინების ფარგლები.....	128
3. დაცულ სფეროში ჩარევა.....	129
4. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება.....	130
§16. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება.....	132
1. შესავალი.....	132
2. დაცული სფერო.....	133
2.1. რეგისტრაცია.....	133
2.2. სახელი და გვარი.....	133
2.3. მოქალაქეობა.....	134

2.4. ოჯახი.....	134
2.5. პირადი სივრცე და მიმოწერა.....	136
3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის გამართლება.....	136
§17. ბავშვის აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლების უფლებები.....	140
1. შესავალი.....	140
2. დაცული სფერო.....	140
2.1. აზრის გამოხატვა.....	140
2.2. ინფორმაცია.....	141
2.3. მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.....	142
2.4. ინტერნეტი.....	143
3. ჩარევა და ჩარევის გამართლება.....	143
4. ინფორმაციის მიღების უფლება.....	143
4.1. შესავალი.....	143
4.2. დაცული სფერო.....	144
4.3. ჩარევა და ჩარევის გამართლება.....	146
§18. რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.....	147
1. შესავალი.....	147
2. დაცული სფერო.....	147
2.1. რელიგია და აღმსარებლობა.....	147
2.2. სინდისი.....	148
3. ჩარევა და ჩარევის გამართლება.....	148
§19. ბავშვის გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებები.....	152
1. შესავალი.....	152
2. დაცული სფერო.....	152
2.1. გაერთიანება.....	152
2.2. შეკრება.....	153
3. ჩარევა და ჩარევის გამართლება.....	154
§20. ბავშვის უფლება თამაშსა და დასვენებაზე.....	156
1. შესავალი.....	156
2. დაცული სფერო.....	156
2.1. დასვენება და თავისუფალი დრო.....	156
2.2. თამაში და რეკრეაციული ღონისძიებები.....	156
2.3. კულტურული, სპორტული ცხოვრება და ხელოვნება.....	157
3. ჩარევა და გამართლება.....	157
§21. ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება.....	159
1. შესავალი.....	159
2. დაცული სფერო.....	159
2.1. საკუთრება.....	159
2.2. მემკვიდრეობა.....	161
3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის გამართლება.....	161

## თავი IV. გავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის

<b>სისტემა.....</b>	<b>165</b>
§22. ბავშვის უფლება ოჯახზე.....	165
1. უფლების შინაარსი.....	165
2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	165
2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი.....	165
2.2. უფლების შინაარსი საქართველოს კანონმდებლობაში.....	168
3. ბავშვის მშობლისგან განცალკევების დაუშვებლობა.....	169
3.1. შეზღუდვის შინაარსი.....	169
3.2. მშობლებისგან განცალკევების წინაპირობები.....	170
4. კოდექსით დადგენილი მატერიალური და ფორმალური კანონიერების კრიტერიუმები.....	171
4.1. ღონისძიების მატერიალური კანონიერება.....	171
4.2. ფორმალური კანონიერების კრიტერიუმები.....	172
ა. ადმინისტრაციული წარმოების ფორმალური ელემენტები.....	172
ბ. მოსამართლის თანხმობა.....	174
4.3 სოციალური მუშაკის გადანყვეტილების დასაბუთების სტანდარტი.....	175
5. კოდექსის 26-ე მუხლის მიმართება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21 <sup>12</sup> მუხლთან.....	176
6. უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შინაარსი.....	178
§23. ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე.....	181
1. უფლების შინაარსი.....	181
2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	181
2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი.....	181
2.2. ალტერნატიული ზრუნვის უფლების წარმოშობის საფუძვლები ქართულ კანონმდებლობაში.....	182
3. კოდექსით დადგენილი მატერილური და ფორმალური კანონიერების კრიტერიუმები.....	183
3.1. ღონისძიების მატერიალური კანონიერება.....	183
3.2. ღონისძიების ფორმალური კანონიერება.....	188
ა. ადმინისტრაციული წარმოების ფორმალური მოთხოვნების დაცვა.....	188
ბ. ალტერნატიული ზრუნვის ქვემ მყოფი ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი .....	189
გ. ალტერნატიული ზრუნვის პერიოდული კონტროლი.....	189
4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.....	190
§24. ბავშვის უფლება განათლების მიღებაზე.....	192
1. უფლების შინაარსი.....	192
2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	192
2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი.....	192
2.2. განათლების უფლების ელემენტები.....	193
ა. უფასო სავალდებულო დაწყებითი განათლება.....	193

ბ. ზოგადი და პროფესიული განათლების სხვადასხვა ფორმების ხელმისაწვდომობა.....	194
გ. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა.....	194
დ. განათლების ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი ღონისძიებები.....	195
ე. ბავშვის ღირსების დაცვა სკოლაში.....	195
ვ. საერთაშორისო თანამშრომლობა.....	196
2.3. განათლების უფლების მიზანი.....	196
2.4. განათლების მიღების უფლების შინაარსი ქართულ კანონმდებლობაში.....	198
3. განათლების მიზნები, როგორც განათლების უფლების შეზღუდვის ფარგლები.....	201
4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.....	202
§25. ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე.....	204
1. უფლების შინაარსი.....	204
2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	204
2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი.....	204
2.2. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით.....	208
3. უფლების შეზღუდვის ფარგლები.....	210
4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.....	211
§26. ბავშვის უფლება სოციალურ დაცვაზე.....	213
1. უფლების შინაარსი.....	213
2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	213
2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი.....	213
2.2. ბავშვის სოციალური დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით.....	214
3. ბავშვის უფლება ცხოვრების სათანადო სტანდარტზე.....	217
4. ბავშვის სოციალური განვითარება და სოციალური აქტივობა.....	220
4.1. ბავშვის სოციალური განვითარების მხარდამჭერა.....	220
4.2. ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა.....	221
4.3. ბავშვის სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა.....	222
4.4. ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობა.....	223
§27. ბავშვის უფლება ძალადობისგან დაცვაზე.....	227
1. უფლების შინაარსი.....	227
2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები.....	228
2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი.....	228
2.2. ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით.....	229
ა. უფლების შინაარსი.....	229
ბ. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები.....	230
3. შრომის საზიანო ფორმებისგან ბავშვის დაცვა.....	231
4. ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა.....	223
5. ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა.....	224
6. ბავშვით ვაჭრობის აკრძალვა და ბავშვის დაცვა ტრეფიკინგისგან.....	235



7. შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან ბავშვის დაცვა.....	238
8. ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია .....	239
9. დანაშაულის შედეგად დაზარალებულის, ძალადობის მსხვერპლისა და მონწილის დაცვა, მხარდაჭერა და რეაბილიტაცია .....	241
§28. ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის უფლება.....	243
1. მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის უფლების არსი .....	243
2. ბავშვის ალკოჰოლური საშუალებისგან, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებისგან დაცვა .....	243
2.1. მონესრიგების ფარგლები.....	243
2.2. უფლების დაცვის პრევენციული და რეაგირების ღონისძიებები..	244
3. აზარტული თამაშობის მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვა .....	246
3.1. მონესრიგების ფარგლები.....	246
3.2. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.....	247
4. ბავშვის მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვება .....	247
ა. მონესრიგების ფარგლები.....	247
ბ. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.....	248
5. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვა .....	248
5.1. მონესრიგების ფარგლები.....	248
5.2. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო.....	251
6. საჯარო კინოჩვენება.....	252
7. ჟურნალ-გაზეთები და სხვა სახის ბეჭდური მედია.....	253
8. ჩანერილი ფილმები, თამაშები და სხვა აუდიოვიზუალური პროდუქტები.....	253
9. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.....	255
10. საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობისას ბავშვის უსაფრთხოების დაცვა.....	256
11. მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის გარანტიები.....	257

**თავი V. ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე .....259**

§29. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ცნება.....	259
§30. ჩამოყალიბების ისტორია.....	261
§31. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები.263	
1. მართლმსაჯულების განხორციელება სპეციალიზებული პროფესიონალების მიერ (პროფესიული უნარები).....	264
2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.....	268
2.1. ინფორმაციის, კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ადაპტირებული ფორმებით ხელმისაწვდომობა.....	269
2.2. ადმინისტრაციული ორგანოსთვის ან სასამართლოსთვის მიმართვის ადაპტირებული ფორმების ხელმისაწვდომობა.....	273
3. პროცედურული გარანტიები .....	274
4. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა .....	277

§32. გადანყვეტილების დასაბუთების საფუძვლები .....279

**თავი VI. უფლებამოსილებანი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროებში.....281**

§33. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება .....282

§34. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება .....284

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება.....285

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება.....286

3. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება .....286

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილება .....287

§35. საქართველოს საერთო სასამართლოების უფლებამოსილება .....289

§36. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებანი.....291

§37. საჯარო სამართლის იურიდიული პირის — იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილება .....292

§38. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სტრუქტურული ერთეული.....293

§39. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი.....295

**საქართველოს კანონი ბავშვის უფლებათა კოდექსი.....298**

**გამოყენებული ლიტერატურა.....346**

# თავი I

## შესავალი

### §1. ბავშვის უფლებათა კოდექსის იდეა

ბავშვის უფლებათა კოდექსის<sup>1</sup> ცალკეული ინსტიტუტების შინაარსის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია გავიაზროთ ის ძირითადი მიდგომები, რომელსაც ეფუძნება კოდექსის შემუშავების იდეა.

კოდექსის ცენტრში დგას ბავშვი და სახელმწიფო პოლიტიკა მიმართულია თითოეული ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფისკენ. ეს იდეა ნათლად ჩანს კოდექსის პირველივე მუხლში. ბავშვი საქართველოს მომავალია, ამდენად ის პოლიტიკა, რომელიც გატარდება სახელმწიფოს მხრიდან მოცემულ მომენტში მასთან დაკავშირებით, არის პირდაპირპროპორციული ქვეყნის მომავლის.

კოდექსი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას, როგორ უნდა იქნას ბავშვის უფლებები დაცული საქართველოში. ჩვენ მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ბავშვის უფლებათა კონსტიტუცია, სადაც თავმოყრილია ბავშვის ყველა უფლება და მისი დაცვის ძირითადი მექანიზმი, სახელმწიფო სტრუქტურა, ის ძირითადი ფასეულობები, რასაც ემყარება ქართული საზოგადოება.

კოდექსის შემუშავების იდეა, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფასთან ერთად, ემყარება, ასევე, იმ გარემოებას, რომ ბავშვის უფლებათა კონვენციის<sup>2</sup> მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ვალდებულებას შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლების შექმნით უზრუნველყონ კონვენციის მიზნების მიღწევა. ქართველმა კანონმდებელმა კოდექსის მიღებით შექმნა ზოგადი სამართლებრივი საფუძველი კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის სახელმწიფოში არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით.

კოდექსის შემუშავებით, ქართველი კანონმდებელი იზიარებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში<sup>3</sup> აღიარებულ პრინციპს, რომლის თანახმადაც, ბავშვებს აქვთ განსაკუთრებული ზრუნვისა და დაცვების უფლება, იმის გათვალისწინებით, რომ „ბავშვი, მისი ფიზიკური და გონებრივი სიმწიფის გამო საჭიროებს სპეციალურ დაცვას და ზრუნვას, მათ შორის სათანადო სამართლებრივ დაცვას“.

საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა, კოდექსის თანახმად, ეფუძნება აღიარებულ მიდგომას, რომ ბავშვი, მისი პიროვნების სრული და ჰარმონიული

---

1 საქართველოს კანონი „ბავშვის უფლებათა კოდექსი“, თბილისი 20 სექტემბერი 2019 წელი, შემდგომში გამოყენებული იქნება შემოკლება - კოდექსი.

2 კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 20 ნოემბერი 1989 წელი, საქართველოში ძალაშია 1994 წლის 2 ივლისიდან. შემდგომში გამოყენებული იქნება შემოკლება - კონვენცია.

3 ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, 10 დეკემბერი 1948 წელი, საქართველოში ძალაშია საქართველოს უზენაესი საბჭოს 1991 წლის 15 სექტემბრის დადგენილებით.

განვითარებისათვის, უნდა იზრდებოდეს ოჯახურ გარემოცვაში. შესაბამისად, ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი, და ბუნებრივი გარემოცვა ბავშვების აღზრდისა და კეთილდღეობისათვის, უზრუნველყოფილი უნდა იქნას საჭირო დაცვითა და ხელშეწყობით.

კოდექსის შემუშავებით, სახელმწიფო პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლის წინაშეც დგას თანამედროვე საზოგადოება ბავშვის აღზრდის და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. ეს პრობლემებია - ბავშვებს შორის და ბავშვთა მიმართ ძალადობა, ბავშვთა სიღარიბე, განათლების და ჯანდაცვის ხელმისაწვდომობა, ოჯახურ გარემოში ბავშვის აღზრდა და ა.შ.

კოდექსი არ არის საკანონმდებლო აქტების ფორმალური თავმოყრის შედეგი და ის არ აუქმებს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს, არამედ, მისი შემუშავების მიზნების გათვალისწინებით, განამტკიცებს და ავსებს ეროვნულ კანონმდებლობას საქართველოს კონსტიტუციის, კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით. ამ მიზანს ემსახურება კოდექსში მოცემული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამართლებრივი ინსტრუმენტების განსაზღვრა. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოდექსი არის სპეციალური საკანონმდებლო აქტი, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ სახელმწიფო ხელისუფლების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა და საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტებმა, აგრეთვე, ფიზიკურმა პირებმა ბავშვთა საკითხებზე საქმიანობის და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში.<sup>4</sup>

კოდექსის მთავარი ორიენტირი პრევენციული მექანიზმების გამართული ფუნქციონირებაა. კოდექსში განსაზღვრულია მთელი რიგი ინსტრუმენტები იმისათვის, რომ სისტემა იყოს მონოდების სიმალლეზე მანამ, სანამ ზიანი დადგება. იმავდროულად, კოდექსი ითვალისწინებს მნიშვნელოვან რეაგირების მექანიზმებსაც. ნათლად არის წარმოდგენილი, თუ როგორ უნდა იმუშაოს სახელმწიფოს სხვადასხვა ერთეულებმა კოორდინირებულად, გეგმაზომიერად და არა ქაოტურად, პრევენციული ღონისძიებების განხორციელებისას ან იმ შემთხვევაში, თუ რაიმე პრობლემური საკითხი წარმოიქმნა ბავშვთან დაკავშირებით.

უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი, პირველყოვლისა, მიმართულია სახელმწიფოსადმი და მის მიერ სავალდებულოდ განსახორციელებელ პოლიტიკასა თუ კონკრეტულ ნაბიჯებზე. იმავდროულად, ეს საკანონმდებლო აქტი წარმოადგენს ხედვას, როგორ უნდა იმუშაოს სახელმწიფომ, ოჯახებმა და მთლიანად საზოგადოებამ ბავშვთა კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რადგან, მხოლოდ სახელმწიფოს ძალისხმევა, ბავშვთა დაცვის სპეციფიკიდან გამომდინარე, ვერ უზრუნველყოფს კოდექსის იდეის ჯეროვან განხორციელებას. ამისათვის აუცილებელია ოჯახებისა და მთლიანად საზოგადოების გაერთიანება მის გარშემო.

---

4 იხ. კოდექსის მე-2 მუხლი.

## §2. კოდექსის ძირითადი სისტემა

როგორც უკვე აღინიშნა, კოდექსი ქმნის ბავშვის უფლებების კონსტიტუციას. თუმცა, ის არ არის დეკლარაციული ხასიათის, არამედ ქმნის ერთიან სისტემას, რომელიც მხოლოდ ქალაქზე კი არ არის ასახული, არამედ, განსაზღვრავს კონკრეტულ მექანიზმებს ამ უფლებების რეალიზებისთვის.

კოდექსში ჩამოყალიბებული საკითხისადმი კომპლექსური მიდგომის დასტურია ის, რომ კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, იმავდროულად, ქმნის მათი დაცვის და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს, რაც, მათ შორის, გამოიხატება ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირებისათვის აუცილებელი შესაბამისი პროგრამების შექმნის ვალდებულებების განსაზღვრაში.

კოდექსის ძირითადი სტრუქტურა არის სამსვეტიანი. ბავშვის ძირითადი უფლებების გვერდით მოცემულია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემები.

კოდექსი აღიარებს ბავშვის შემდეგ უფლებებს: ბავშვის ღირსება, სიცოცხლის, და განვითარების უფლება, დისკრიმინაციის აკრძალვა, ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე, ბავშვის პირადი ცხოვრების და პირადი მონაცემების შენარჩუნების უფლება, ბავშვის უფლება აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლებაზე, ბავშვის უფლება ინფორმაციის მიღებაზე, რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება, გაერთიანების და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება, ბავშვის უფლება თამაშსა და დასვენებაზე, ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება, ბავშვის ინტელექტუალური შემოქმედების უფლება, ბავშვის უფლება მონაწილეობა მიიღოს ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების შემუშავებაში. კოდექსში მოცემული ეს უფლებები არ არის ამომწურავი და კანონი არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ ბავშვის სხვა უფლებებს<sup>5</sup>.

ბავშვის დაცვის ქვეშ თავმოყრილია ის საკანონმდებლო საფუძვლები, რომელიც ემსახურება ბავშვის უსაფრთხოებაზე, კეთილდღეობაზე, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებაზე და სხვა ინტერესებზე უარყოფითი ზეგავლენის თვიდან აცილებას. ბავშვის უფლებების დაცვის სისტემა აერთიანებს ისეთ საკითხებს, როგორცაა ბავშვის დაცვა საჯარო მედია და ინტერნეტ სივრცეებში, აგრეთვე ბავშვის ტრანსპორტირების და საზოგადოებრივ ღონისძიებებში მონაწილეობის, ასევე, მისთვის საზიანო ინდუსტრიაში ჩაბმის სტანდარტები. საკანონმდებლო შეზღუდვები არის ის სამართლებრივი მექანიზმი, რომელმაც უნდა შექმნას მყარი საფუძვლები ბავშვის უფლებების დაცვის ეროვნული სისტემის ფუნქციონირებისათვის.<sup>6</sup>

5 იხ. კოდექსის 22-ე მუხლი.

6 იხ. კოდექსის მე-9 თავი.

კოდექსში ბავშვის მხარდაჭერის ნაწილი ქმნის უფლებამოსილი სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების, აგრეთვე, კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ბავშვის მხარდაჭერის შესაბამისი პროგრამების შექმნის და განხორციელების საფუძვლებს, რაც მოიცავს სოციალური დაცვის, ჯანდაცვის და განათლების სფეროების გაძლიერების ინსტრუმენტებს.<sup>7</sup>

კოდექსის სტრუქტურაში მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის შექმნის სამართლებრივი საფუძვლები, რაც გულისხმობს ბავშვზე მორგებული პროცედურების, მექანიზმების, მათ შორის, სახალხო დამცველისადმი მიმართვის, ადმინისტრაციული საჩივრისა და განცხადების, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებზე სასამართლოში წარსადგენი სარჩელის და განცხადების ადაპტირებული ფორმებისა და კომუნიკაციის საშუალებების დანერგვას. ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო პროცესი სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებზე ბავშვთა მონაწილეობით ან ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების და საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.<sup>8</sup>

კოდექსი განსაზღვრავს კონკრეტულ მექანიზმებს ამ უფლებების რეალიზებისთვის, რაც დეკლარირებულია კოდექსის უფლებების მე-2 თავში. მათ შორის არის საპარლამენტო კონტროლი, სახალხო დამცველის საზედამხედველო უფლებამოსილება, სასამართლო კონტროლი, სახელმწიფო უწყებები, რომელთა ფუნქცია-მოვალეობები დეტალურად არის განერილი კოდექსში, აგრეთვე, ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სხვადასხვა პროგრამები.

---

7 იხ. კოდექსის მე-2 წიგნის თავები.

8 იხ. კოდექსის მე-10 თავი.

### §3. კოდექსის ძირითადი სტანდარტები

განსაკუთრებით საგულისხმოა ღირებულებების ის სისტემა, რომელსაც კოდექსი ეყრდნობა, როგორც საზოგადოების ფუნქციონირების საფუძველს. პირველი მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოდგენილია იმ ღირებულებების გარეშე, რომელსაც ეყრდნობა კოდექსი. კანონმდებლის ხედვაა, რომ სწორედ ამ ფასეულობების რეალიზაციით არის ბავშვის კეთილდღეობის მიღწევა შესაძლებელი.

კოდექსის შექმნის კონცეფციის ამოსავალი წერტილია ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა, რაც, თავის მხრივ, ეყრდნობა ბავშვის უფლებების საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს. ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის გამოხატულებაა კოდექსის ის დებულებები რომელიც განსაზღვრავს, რომ ის უნდა ემსახურობოდეს:

- ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას;
- ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე;
- ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფას, მის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას, ბავშვის მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით - მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდას;
- ბავშვის სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას;
- ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, განსაკუთრებით - ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი გარემოცვის, დაცვასა და მხარდაჭერას;
- ბავშვის შრომასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელ წინაპირობაზე, ორიენტირებას;
- ბავშვის მონაწილეობაზე, როგორც სამოქალაქო აქტივობისა და სოლიდარული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ელემენტზე, ორიენტირებას.

ყველა ამ ჩამოთვლილი პოსტულატის ერთობლივი ანალიზი გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მთელს კოდექსს წითელ ხაზად გასდევს იდეა იმისა, რომ ბავშვი ადრეული ასაკიდან უნდა აღიზარდოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების პატივისცემის, მათი დაცვის გრძნობით. იმავდროულად, ის უნდა აცნობიერებდეს, რომ სხვა ინდივიდებსაც აქვთ უფლებები და თავისუფლებები და ის პატივს უნდა სცემდეს მათ. აუცილებელია ბავშვს გათავისებულებული ჰქონდეს, რომ დემოკრატიულ და სამართლებრივ სახელმწიფოში

9 იხ. კოდექსის პირველი მუხლი.

მართალია, ის არის უფლებების მატარებელი, თუმცა, იმავდროულად მას აქვს პასუხისმგებლობა სხვათა მიმართ. ეს პასუხისმგებლობა მას აქვს ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე.

ეს პოსტულატები წარმოადგენს იმ უზენაეს ღირებულებებს, რომელსაც ეფუძნება საზოგადოება და მისი ინტერესების გათვალისწინებით - კოდექსი. ისინი მხოლოდ დეკლარაციულ ხასიათს არ ატარებენ, არამედ წარმოადგენენ მასშტაბს სახელმწიფოსთვის, რომ ბავშვთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ღონისძიება, მისი უფლებების დაცვა ამ ფასეულობებს ეფუძნებოდეს. იგივე ვალდებულება ვრცელდება ამ კოდექსით გათვალისწინებული ღონისძიებების შესრულებისას კერძო პირებსა და ა(ა)იპ-ებზე. იმ შემთხვევაში, თუ მათ მიერ კოდექსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა ეწინააღმდეგება ამ ფასეულობებს, მათი ეს საქმიანობა არის უკანონო.

კოდექსი ქმნის ფასეულობათა სისტემას ბავშვის აღზრდისათვის და უზრუნველყოფს მის კეთილდღეობას ამ სისტემაში. იმავდროულად, ის ქმნის ძლიერ სამართლებრივ საფუძველს სოლიდარული საზოგადოებისათვის. სწორედ ასეთ ფასეულობებზე აღზრდილი ბავშვი შეძლებს იყოს ძლიერი ინდივიდი, რომელმაც იცის საკუთარ უფლებები და იცავს მათ. იმავდროულად, მას კარგად აქვს გაცნობიერებული, რომ უფლების მედლის მეორე მხარე პასუხისმგებლობაა და რომ ის უფლებებთან ერთად, პასუხისმგებლობის მატარებელიცაა. რაც მნიშვნელოვანია, ასეთი ბავშვი სოლიდარულია ყველაზე დაჩაგრული და მოწყვლადი ადამიანების მიმართ.



#### **§4. ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის სამართლებრივი საფუძვლები**

##### **1. ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართალი**

##### **1.1. ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის ზოგადი მიმოხილვა და წყაროები**

ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართალს აქვს არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული დატვირთვა სხვადასხვა ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივი ცვლილებების პროცესსა და შესაბამისად, ბავშვის კეთილდღეობისთვის. საერთაშორისო სამართლებრივმა ნორმებმა შესაძლებელია იმგვარი ზემოქმედება მოახდინონ ქვეყნებზე, რომ მათ საფუძველზე გატარებული რეფორმები ბავშვებისთვის გახდეს კონკრეტული სიკეთის სანინდარი.

ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართალი არის საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი მიმართულება, რომელიც აერთიანებს საერთაშორისო სამართლის ნორმებს. შესაბამისად, მასზე ვრცელდება ის წესები, რომელიც ზოგადად მოქმედებს ამ სფეროში. ამდენად, ამ დარგის წყაროები არის ის, რაც გათვალისწინებულია საერთაშორისო სასამართლოს 1945 წლის სტატუტის 38-ე მუხლში<sup>10</sup>.

საერთაშორისო შეთანხმებები, საერთაშორისო სამართლის და შესაბამისად, ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი წყაროა. არსებობს ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებები საერთაშორისო სამართლის ამ დარგთან დაკავშირებით. ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი ამ უკანასკნელის არის კონვენცია .

საერთაშორისო ჩვეულებით სამართლის ნორმების გამოკვეთა, რომელიც, ასევე, წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის წყაროს, ხშირად რთულია ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართალში. ის ჩვეულებითი ნორმები, რომლებიც, ზოგადად, ადამიანის უფლებებს ეხება, მეტწილად ვრცელდება ბავშვებზეც, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით<sup>11</sup>, მაგალითად, როგორცაა მონობის და რასობრივი დისკრიმინაციის აკრძალვა. თუმცა, არსებობს მოსაზრება, რომ აღნიშნული უფლებებიდან გამომდინარე, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმაა, ასევე, ბავშვთა სექსუალური, ეკონომიკური თუ სხვა სახის ექსპლუატაციის აკრძალვა<sup>12</sup>.

საერთაშორისო სამართლის ზოგად პრინციპებიდან, რომელიც აღიარებულია ცივილიზებული ერების მიერ, როგორც საერთაშორისო სამართლის წყარო, მნიშვნელოვანია გამოკვეთოთ თანასწორობის უფლება<sup>13</sup>, რომელიც ასევე, ბავშვზეც ვრცელდება.

საერთაშორისო სასამართლოების გადანყვეტილებები არის ბავშვის უფ-

10 T Buck *International Child Law* (3rd edn. Routledge 2014 London, New-York), გვ. 41.

11 Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhof 1998 The Hague), გვ.4.

12 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhof 1998 The Hague), გვ.4.

13 T Buck *International Child Law* (3rd edn. Routledge 2014 London, New-York), გვ. 50.

ლებათა საერთაშორისო სამართლის წყარო, სადაც პრაქტიკა საერთაშორისო სამართლის ზოგიერთ სფეროსთან შედარებით, ნაკლებად განვითარებულია. მართალია, ამ გადანყვეტილებებს უშუალო მოქმედება აქვთ მხოლოდ მხარეთა შორის (*inter partes*), მაგრამ პრეცედენტული გადანყვეტილებები მნიშვნელოვნად ავითარებენ ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართალს. ასეთად შეგვიძლია მივიჩნიოთ მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს (ICJ) გადანყვეტილება *Boll Case*<sup>14</sup>, რომელმაც ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ რამდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე იმსჯელა. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მრავალი გადანყვეტილება, რომლებიც მართალია, რეგიონული ხასიათისაა, მაგრამ ზოგადად, ბავშვის უფლებების საერთაშორისო სამართლისთვის ანგარიშგასაწევ პრაქტიკას წარმოადგენს.

როდესაც ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართალზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით ე.წ. მეორად წყაროებს (Soft Law), რომელსაც არ აქვს სავალდებულო ხასიათი. თუმცა, ისინი დიდ როლს თამაშობენ სფეროს განვითარებაში და შესაძლებელია განვიხილოთ როგორც სამართლის პირველადი წყაროების წარმოქმნის საფუძველი. მაგალითად, სახელმძღვანელო პრინციპები (*Guidelines*), დეკლარაციები, ეთიკის ნორმები და ა.შ.<sup>15</sup>

## 1.2. ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განვითარების ისტორია

### 1.2.1. შესავალი

ბავშვის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მეტწილად ვითარდებოდა ადამიანის უფლებათა განვითარების კვალდაკვალ.<sup>16</sup> ბავშვის უფლებების განვითარების ისტორიის დასაწყისად შეგვიძლია მე-18 საუკუნის შუა წლები მივიჩნიოთ. ამერიკის 1776 და საფრანგეთის 1789 წლების რევოლუციების შედეგად ადამიანის უფლებების აღიარების შემდეგ დაიწყო საყოველთაო მსჯელობა ბავშვთა მდგომარეობის შესახებ<sup>17</sup>. ამ პერიოდამდე ბავშვი ითვლებოდა მშობლის, განსაკუთრებით, კი, მამის საკუთრებად, რომელიც ერთპიროვნულად იღებდა გადანყვეტილებას მისი ცხოვრების, განათლების, დაოჯახების და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ბავშვს ჰქონდა მხოლოდ ვალდებულება მოესმინა მშობლისთვის და შეესრულებინა მისი ნება-სურვილი.<sup>18</sup>

ინდუსტრიალიზაციის ეპოქაში, როდესაც ბავშვები სამუშაო ძალის ნაწილს წარმოადგენდნენ, ცალკეულ ქვეყნებს ჰქონდათ მცდელობები საკანონმდებლო

14 *ICJ Netherlands v. Sweden (Judgement) Application of the Convention of 1902 Governing the Guardianship of Infants* [1958] ICJ Rep.55.

15 მაგალითად: UNICEF *Guidelines to Strengthen Social Services Workforce for Child Protection* ხელმისაწვდომია: <[www.unicef.org](http://www.unicef.org)>  
ICEF *Guidelines for Journalists Reporting on Children*, ხელმისაწვდომია: <[www.unicef.org](http://www.unicef.org)>

16 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhof 1998 The Hague), გვ.1.

17 T Buck *International Child Law* (3rd edn. Routledge 2014 London, New-York), გვ.18.

18 R Kant Rai *History of Child Rights and Child Labour* (2014), ხელმისაწვდომია:<[menengage.org](http://menengage.org)>

დონეზე ეფიქრათ ბავშვთა შრომის პირობების შემსუბუქებაზე და საკანონმდებლო აქტების აღნიშნული პრობლემის მეტ-ნაკლებად დარეგულირებისათვის გაჩნდა პირველი ჩანაწერები.<sup>19</sup> ბავშვთა უფლებადამცველების აქტიური ბრძოლა, ძირითადად, მეოცე საუკუნის დასაწყისიდან იწყება. მათი აღშფოთება ბავშვთა მდგომარეობის შესახებ ძირითადად გამოწვეული იყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების შედეგად დაზარალებული ბავშვების მდგომარეობის სიმძიმით და მათი ყოფის სასტიკი პირობებით.<sup>20</sup>

მე-20 საუკუნე შეგვიძლია ჩავთვალოთ ბავშვის უფლებების განვითარების საუკუნედ. მსოფლიო საზოგადოების დიდი ნაწილი გაერთიანდა ბავშვთა უფლებების დასაცავად, ამალდა ცნობიერება ამ კუთხით. შეიქმნა ისეთი საერთაშორისო-სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორცაა საერთაშორისო კონვენციები, დეკლარაციები, უფლებადამცველი ორგანიზაციები და საერთაშორისო სასამართლოები, რომლებიც საკუთარი საქმიანობით უზრუნველყოფენ ბავშვთა უფლებების დაცვას.

## 1.2.2. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი ნაბიჯები

### ა. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი სამართლებრივი აქტები

პირველი შიდასამართლებრივი აქტი, რომელიც პირდაპირი წესით არეგულირებს ბავშვთან დაკავშირებულ საკითხს, არის, დიდ ბრიტანეთში 1883 წელს გამოცემული ე.წ. ქარხნის აქტი (*Factory Act*)<sup>21</sup>, სადაც სხვა საკითხებთან ერთად, დარეგულირებულია ბავშვის შრომის პირობები. აქტი კრძალავს ქარხნებში 9 წლის ქვემოთ ასაკის ბავშვების დასაქმებას, აწესებს შეზღუდვებს ბავშვის ასაკის შესაბამისად. ის, ასევე, კრძალავს ბავშვთა შრომას ღამის საათებში. ქარხნის მეპატრონეები ვალდებული ხდებიან დაიცვან ამ აქტის რეგულაციები და მათ ეკისრებათ მტკიცების ტვირთი ბავშვის ასაკთან დაკავშირებით.

ქარხანაში შრომის დარეგულირებას 1842 წელს ფეხდაფეხ მოჰყვა დიდი ბრიტანეთის მეორე რეგულაცია - მალაროების აქტი (*Mines Act*), რომლის მიხედვით, ადგილობრივ ქვანახშირის მალაროებში ქალებისა და 10 წლის ქვემოთ ასაკის ბავშვების მუშაობა აიკრძალა. ამ აქტის გამოცემა იყო დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის წევრის, ენტონი ეშლი კუპერის დამსახურება, რომელმაც საკუთარი თვალთ იხილა ბრიტანეთის მალაროებში მცირეწლოვნებისა და ქალთა გაუსაძლისი შრომის პირობები<sup>22</sup>.

1896 წელს გერმანიის სამოქალაქო კოდექსში (*Buergerliches Gesetzbuch*) გაჩნდა ჩანაწერი, რომლის მიხედვით მშობლებს საკუთარ შვილებთან არასათანადო მოპყრობისა და არასაკმარისი ზრუნვისთვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდათ.

19 Bice International Catholic Church Bureau, *The History of the Rights of the Child*, ხელმისაწვდომია: <[www.bice.org](http://www.bice.org)>

20 T Buck *International Child Law* (3rd edn. Routledge 2014 London, New-York), გვ. 18.

21 ხელმისაწვდომია: <[www.nationalarchives.gov.uk](http://www.nationalarchives.gov.uk)>

22 ხელმისაწვდომია: <[www.britannica.com](http://www.britannica.com)>

## ბ. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი ორგანიზაციები

როცა ვსაუბრობთ ბავშვის უფლებადამცველთა შესახებ, პირველ რიგში აუცილებლად უნდა ვახსენოთ შვედი პედაგოგის, ელენ ქეის<sup>23</sup> ღვაწლი. 1900 წელს ელენ ქეიმ გამოსცა ნაშრომი ბავშვების საუკუნე, სადაც მან მე-20-ე საუკუნე, ბავშვებისთვის მიძღვნილად გამოაცხადა. ნაშრომი მრავალ ენაზე ითარგმნა და გავრცელდა.<sup>24</sup> მიიჩნევა, რომ აღნიშნულმა ნაშრომმა საფუძველი დაუდო ბავშვის აღზრდის მეთოდებისა და სკოლების სისტემის რეფორმის ხანგრძლივ პროცესს.<sup>25</sup>

ფასდაუდებელია ბრიტანელი უფლებადამცველის, ეგლანტინ ჯების ღვაწლი ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. პირველი მსოფლიო ომის შედეგად დაზარალებული ბავშვების მდგომარეობით შეშფოთებულმა ქალბატონმა 1919 წელს თავის დასთან ერთად ბრიტანეთში დააარსა ორგანიზაცია *Save the Children*, რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს გერმანიიდან ემიგრირებულ ბავშვებს ეხმარებოდა.<sup>26</sup> ბრიტანული საზოგადოება აღშფოთებული იყო ამ ქალბატონის საქმიანობით, თუმცა მას არაერთი ადამიანი დაეხმარა ფინანსურად, მათ შორის, ირლანდიელი დრამატურგი ჯორჯ ბერნარდ შოუ, რომელსაც მიაჩნდა რომ მას არ ჰყავდა მტერი 8 წლის ასაკის ქვემოთ.<sup>27</sup> სწორედ ეგლანტინ ჯების მოღვაწეობას უკავშირდება ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი საერთაშორისო ორგანიზაცია, *International Save the Children Union* -ის დაარსება ჟენევაში, 1920 წელს.<sup>28</sup>

1946 წელს ორგანიზაცია შეუერთდა 1921 წელს ბრიუსელში დაარსებულ ბავშვთა დაცვის ორგანიზაციას *International Association for the Promotion of Child Welfare*, რის შედეგადაც წარმოიქმნა ახალი გაერთიანება სახელად *International Union for Child Welfare (IUCW)*<sup>29</sup>. ორგანიზაციის უმთავრეს საქმიანობას წარმოადგენდა მეორე მსოფლიო ომით დაზარალებული ბავშვების ჰუმანიტარული დახმარება. მან 1953 წელს შემოიერთა ორგანიზაცია *International Sponsorship of War Orphans (PIOG)*<sup>30</sup>. 1977 წელს მსოფლიოს ბავშვთა დახმარების ორგანიზაციებმა ჩამოაყალიბეს საერთაშორისო ალიანსი სახელად *International Save the Children Alliance*. ალიანსმა ფუნქციონირება შეწყვიტა 1986 წელს, გენერალური საბჭოს გადაწყვეტილებით, კომპანიაში აღმოჩენილი ფინანსურის დარღვევების გამო.<sup>31</sup>

აღნიშნული ორგანიზაციები დაეხმარა მსოფლიოს იმის გაცნობიერებაში,

23 ხელმისაწვდომია: <[www.britannica.com](http://www.britannica.com)>

24 ხელმისაწვდომია: <[www.britannica.com](http://www.britannica.com)>

25 R Ambjoernsson 'Ellen Key and the Concept of Bildung' *Conferno Esseys on Education, Philosophy and Politics* გვ.133- 160, Vol. 2 (2014) გვ.133.

26 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.21.

27 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.21.

28 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.21.

29 ხელმისაწვდომია: <[uia.org](http://uia.org)>

30 ხელმისაწვდომია: <[uia.org](http://uia.org)>

31 ხელმისაწვდომია: <[www.revolvy.com](http://www.revolvy.com)>

რომ ბავშვი როგორც მშობლისთვის, ისე სახელმწიფოსა და მთლიანი საზოგადოებისთვის უნდა წარმოადგენდეს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს. შედეგად მივიღეთ არაერთი ბავშვის გადარჩენილი სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მათმა აქტივობებმა, ასევე, უდიდესი როლი შეასრულეს ბავშვის უფლებების აღიარებაში, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის დონეზე.

### **1.3. ბავშვის უფლებათა დაცვის პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები**

#### **ა. ჟენევის 1924 წლის დეკლარაცია**

პირველი საერთაშორისო-სამართლებრივი აქტი, მიმართული ბავშვის უფლებების დაცვისკენ, გახლდათ ერთა ლიგის მიერ 1924 წლის 26 სექტემბერს მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაცია (Declaration on the Rights of the Child)<sup>32</sup>. ის შეიმუშავა სოციალური რეფორმების ფუძემდებელმა და ბავშვთა უფლებების დამცველმა, ბრიტანელმა ეგლანტინ ჯებმა<sup>33</sup>. აქტი ცნობილია როგორც ჟენევის დეკლარაცია (Geneva Declaration)<sup>34</sup>.

ჟენევის დეკლარაცია შედგებოდა 5 პუნქტისგან და განმარტავდა ისეთ ფუნდამენტურ ნორმებს და ვალდებულებებს, როგორიცაა ბავშვზე სულიერი და მატერიალური ზრუნვა, მშვიდი ბავშვის გამოკვება, ავადმყოფი ბავშვის მოვლა და გამოჯანმრთელება, მისი დაცვა ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან და ბავშვის უპირატესი უფლება მიიღოს დახმარება საჭიროებისამებრ.

მართალია, ჟენევის დეკლარაციას არ ჰქონდა სამართლებრივი ძალა, მისი შინაარსი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათის იყო. ამასთანავე, მონოდეტები მიემართებოდა არა სახელმწიფოების, არამედ ინდივიდებს. მასში, ასევე, არ იყო გათვალისწინებული ბავშვთა დაცვის არც ერთი მექანიზმი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჟენევის დეკლარაციამ მოახდინა ბავშვთა დაცვის მოძრაობის ფორმალური აღიარება.<sup>35</sup> მიუხედავად აღნიშნულისა, ჟენევის დეკლარაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან დოკუმენტს ბავშვთა უფლებების სამართლებრივი განვითარების ისტორიაში, რომლის საფუძველზე მომდევნო ათწლეულებში ბავშვის უფლებების მნიშვნელოვანი გაუმჯობესებას ვხედავთ.

#### **ბ. ბავშვთა კეთილდღეობის საერთაშორისო გაერთიანების 1948 წლის დეკლარაცია**

1946 წელს საერთაშორისო ორგანიზაციის, Save the Children-ის საფუძველზე ჩამოყალიბებულმა ორგანიზაციამ International Union for Child Welfare (IUCW), დაარწმუნა გაერთიანებული ერების ეკონომიკისა და სოციალური საბჭო (ECOSOC), მოეხდინა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციის ტრანსფორმირება და

32 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut) გვ.24.

33 J Tobin 'The Foundation of Children's Rights' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 3.

34 ხელმისაწვდომია: <cpd.org.rs>

35 M Black *The Children and the Nations: The Story of UNICEF* (UNICEF 1986 Sydney), გვ.199.

მისთვის მიეცა გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონვენციის ფორმა. თუმცა, გაერთიანებული ერების ორგანიზაცია<sup>36</sup> მაშინ აქტიურად მუშაობდა ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციაზე და სხვა დანარჩენი საკითხები მისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენდა. გაერომ აღნიშნული დეკლარაცია გამოსცა 1948 წელს, თუმცა ბავშვთა კეთილდღეობის საერთაშორისო გაერთიანებას მიაჩნდა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია საკმარისად ვერ ეხმაურებოდა ბავშვის უფლებებს. ამიტომ, მან იმავე წელს გამოსცა საკუთარი დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ, რომელიც წარმოადგენდა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციის გადამუშავებულ და გაუმჯობესებულ ვარიანტს. მას დაემატა ორი უმთავრესი პუნქტი, რომლის მიხედვით დამკვიდრდა დისკრიმინაციის აკრძალვა ბავშვის დახმარების პროცესში და ის ბავშვის დაცვის ვალდებულების დამკვიდრებასთან ერთად, ოჯახს აღიარებდა დამოუკიდებელ და პატივსაცემ ერთეულად.<sup>37</sup>

გაეროს ეკონომიკისა და სოციალურმა საბჭომ (ECOSOC) რეკომენდაცია გაუწია ჟენევის 1924 წლის დეკლარაციის ხელახალ აღიარებას, რათა ისევ გაეჩინა ადამიანებისთვის ვალდებულებები ბავშვების დაცვისა და მათზე ზრუნვის მიმართულებით. კომისიამ 1948 წელს მიიღო რეზოლუცია ბავშვთა დაცვის შესახებ, სადაც განაცხადა რომ უნდა მომხდარიყო ჟენევის 1924 წლის დეკლარაციის მოდიფიცირება და მისი ჩანაცვლება გაერთიანებული ერების საერთაშორისო კონვენციად. 1948 წლის გაეროს ეკონომიკისა და სოციალური საბჭოს (ECOSOC) დეკლარაციას<sup>38</sup> დამატებული ჰქონდა მეექვსე პუნქტი, რომელიც განმარტავდა რომ ბავშვს უნდა ჰქონდეს სოციალური კეთილდღეობისა და სოციალური დაზღვევის სქემაში შემავალი სიკეთეების სრული სპექტრი, მას უნდა მიეცეს იმგვარი განათლება, რომელიც შემდგომ საშუალებას მისცემს გამოიმუშაოს საარსებო საშუალება და ბავშვი დაცული უნდა იყოს ექსპლუატაციის ყველა ფორმისგან.<sup>39</sup> 1948 წლის ბავშვის უფლებების დეკლარაცია არ იყო სავალდებულო ხასიათის, თუმცა მისი ტექსტი საფუძვლად დაედო 1959 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა დეკლარაციას.

#### **1.4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა დაცვის საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები**

##### **ა. ბავშვის უფლებების 1959 წლის დეკლარაცია**

1945 წელს გაეროს დაარსება იყო გარდამტეხი მოვლენა ადამიანის, მათ შორის, ბავშვის უფლებების დაცვის განვითარების გზაზე. გაეროს ადამიანის უფლებების უნივერსალურმა დეკლარაციამ მოამზადა ნიადაგი 1959 წლის გაეროს ბავშვთა უფლებების დეკლარაციის<sup>40</sup> მიღებისთვის.

36 შემდგომში გამოყენებული იქნება შემოკლება - გაერო

37 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.25.

38 ხელმისაწვდომია: <[www.archive.crin.org](http://www.archive.crin.org)>

39 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.25-26.

40 UNGA Res 1386 'Declaration on the Rights of the Child' (1959) UN Doc A/Res/1386(XIV)

1959 წლის დეკლარაცია შედგება 10 პუნქტისგან, რომელმაც წარმოადგინა ბავშვთა დაცვის სრულად ახალი კონცეფცია. გარდა ფიზიკური, მენტალური და მორალური ასპექტებისა, დაამკვიდრა ბავშვის დაცვის ვალდებულება და რაც მთავარია, გააფართოვა მოქმედების სფერო. იგი განსაზღვრავს უფლებების ორ მთავარ ჯგუფს: უფლებები, რომელიც ზრუნავს ბავშვის ფიზიკურ ინტეგრაციაზე და ქმნის საცხოვრებელ სტანდარტებს. ასევე, უფლებები, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ფსიქიკურ და მორალურ განვითარებას.<sup>41</sup>

### **ბ. გადაუდებელ სიტუაციებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა და ქალთა დაცვის შესახებ 1974 წლის დეკლარაცია**

1974 წელს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო დეკლარაცია გადაუდებელ სიტუაციებსა და შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთა და ქალთა დაცვის შესახებ.<sup>42</sup> ამ დეკლარაციით გაერომ კიდევ ერთხელ მოუწოდა თავის წევრ ორგანიზაციებს შეასრულონ ის ვალდებულებები, რომელიც მათ ჰქონდათ დაკისრებული ჟენევის 1949 წლის ოთხი კონვენციით<sup>43</sup>. აღნიშნული კონვენციები ითვალისწინებს, როგორც მშვიდობიანი მოქალაქეების, ისე დაჭრილი და დაშავებული ჯარისკაცების დაცვას შეიარაღებულ კონფლიქტებში, საიდანაც მეოთხე კონვენცია მხოლოდ სპეციფიკურად ბავშვებისა და მშვიდობიანი მოქალაქეების დაცვას ეხება. მაგრამ, ნათელი იყო, რომ აუცილებელია ბავშვთა და ქალთა უფრო ეფექტიანი დაცვა, რის გამოც შემუშავდა ზემოთ ხსენებული დეკლარაცია ორი დამატებითი ოქმით. აღნიშნული დოკუმენტი გამოირჩევა იმით, რომ საერთაშორისო სამართლის ისტორიაში ეს იყო პირველი სამართლებრივი აქტი, რომელიც არეგულირებდა ბავშვთა მონაწილეობას მტრული განზრახვის პროცესებში.<sup>44</sup> კონვენცია ხელმომწერ მხარეებს ავალდებულებდა დროულად მიეწოდებინათ ყველა საჭირო დახმარება ორსული, მეძუძური დედებისთვის და ბავშვებისთვის, მათ შორის, მიეწოდებინათ წყალი, საკვები და ტანისამოსი. ბავშვები უნდა ყოფილიყვნენ სპეციალური ზრუნვის ობიექტები და საიმედოდ დაცულნი ყოველგვარი გაუმართლებელი მოპყრობისგან.

### **გ. 1985 წლის მინიმალური სტანდარტების წესი ბავშვთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ**

გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1985 წელს მიღებული წესი ბავშვთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების სტანდარტების შესახებ<sup>45</sup>, იყო უმთავრესი მოვლენა და ერთ-ერთი გვერდითი შედეგი ბავშვის უფლებათა კონ-

41 J Tobin, 'The Foundation of Children's Rights' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ.4.

42 UNGA Res 3318 'Declaration on the Protection of Women in Emergency and Armed Conflicts' (1974) UN Doc A/Res/3318(XXIX).

43 International Red Cross (ICRC) Conventions, 12.08.1949.

44 G Khalil. *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ. 85-86.

45 UNGA Res 40/33 'United Nation Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules)' (1985) UN Doc A/Res/40/33.

ვენციის შემუშავების პროცესისა 1979-1989 წლებში. გაეროს ასამბლეის მე-7 კონგრესზე, რომელიც ეხებოდა კრიმინალის პრევენციასა და დამნაშავეების დასჯის თემას, გამოიცა რეკომენდაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების ნესებთან დაკავშირებით სავალდებულო სტანდარტების შემუშავების შესახებ<sup>46</sup>.

აღნიშნული დოკუმენტი შედგება 7 თავისგან და აწესებს სტანდარტებს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორცაა გამოძიება და დევნა, სასამართლო განაჩენი და დისპოზიცია, ინსტიტუციური და არაინსტიტუციური სასჯელალსრულება, პროფესიონალთა სპეციალიზაცია, კვლევა, დაგეგმვა, პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება.

აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ქვაკუთხედს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. მისი რეგულაციები აუცილებლად გამოყენებულ უნდა იქნეს ყველა ქვეყნის არასრულწლოვანთა სასამართლო პროცესებში და უნდა წარმოადგენდეს მთავარ და ძლიერ არგუმენტს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმებისთვის.<sup>47</sup>

#### **დ. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ**

1999 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო 182-ე კონვენცია, ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ<sup>48</sup> და 190-ე რეკომენდაცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და შემცირებისთვის საჭირო დაუყოვნებელი ღონისძიების გატარების თაობაზე<sup>49</sup>.

აღნიშნული ეფუძნება კონვენციას და პირველად საერთაშორისო სამართლის ისტორიაში, იძლევა ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების სამართლებრივ განმარტებას. ეს კონვენცია ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს, განსაზღვრონ ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების დეფინიცია ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე დასაქმებულთა ინტერესების დამცველი ორგანიზაციების მაღალი ჩართულობით.

190-ე რეკომენდაცია წარმოადგენს სახელმძღვანელო წესებს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ 182-ე კონვენციის ხელმომწერი ქვეყნებისთვის, რომელთაც სახელმწიფოებში უნდა უზრუნველყოს მისი კონვენციის განხორციელება.

46 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.101.

47 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.108.

48 ILO Convention No 182 on Worst Formes of Child Labour (1999); ხელმისაწვდომია: <[www.ilo.org](http://www.ilo.org)>

49 ILO Recommendation No 190 on Worst Formes of Child Labour; ხელმისაწვდომია: <[www.ilo.org](http://www.ilo.org)>



## 1.5. ბავშვის უფლებათა დაცვის თანამედროვე საერთაშორისო მექანიზმები

### ა. გაეროს ბავშვის უფლებათა 1989 წლის კონვენცია

1989 წლის 20 ნოემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ ერთხმად მიიღო კონვენცია<sup>50</sup>. ის მსოფლიოს უმთავრესი საერთაშორისო-სამართლებრივი დოკუმენტია ბავშვის უფლებებთან მიმართებით, რომელიც რატიფიცირებულია 196 ქვეყნის მიერ. ეს მაჩვენებელი ყველზე მაღალია სხვა კონვენციების რატიფიცირების მაჩვენებლებთან შედარებით.

ათი წლის მანძილზე მიმდინარეობდა კონვენციის შემუშავება და ამ პროცესში ჩართულები იყვნენ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ისე, ბავშვები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, რომლებსაც ჰქონდათ საშუალება თავიანთი მოსაზრებები გამოეთქვათ კონვენციის პროექტთან დაკავშირებით.<sup>51</sup>

კონვენცია იძლევა პირველ ოფიციალურ სამართლებრივ განმარტებას, თუ ვინ ითვლება ბავშვად. ის აყალიბებს 4 ძირითად პრინციპს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში: დისკრიმინაციის აკრძალვა; ბავშვის საუკეთესო ინტერესი; სიცოცხლისა და განვითარების უფლება; ბავშვის უფლება იქნას მოსმენილი<sup>52</sup>.

კონვენციაში მოცემული ბავშვის უფლებები შესაძლებელია 4 კატეგორიად გაერთიანდეს<sup>53</sup>: სიცოცხლის უფლება<sup>54</sup>, განვითარება<sup>55</sup>, დაცვა<sup>56</sup>, მონაწილეობა<sup>57</sup>.

კონვენცია ვრცელდება არა მხოლოდ წევრი სახელმწიფოების მოქალაქეობის მქონე ბავშვებზე, არამედ ყველა იმ ბავშვზე, რომელიც იმყოფება წევრი სახელმწიფოს იურისდიქციაში. ის განსაზღვრავს სახელმწიფოთა და მშობელთა ვალდებულებას აღიარონ და აღასრულონ კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებები. ასევე, ადგენს სახელმწიფო ვალდებულებას, ხელი შეუწყოს მშობლებს საკუთარი მოვალეობების შესრულებაში<sup>58</sup>. კლასიკური უფლებების პარალელურად, კონვენცია უზრუნველყოფს, ასევე, სახელმწიფო დაცვის უფლებებს და ქმნის მთელ რიგ ისეთ სპეციფიურ უფლებებს ბავშვებთან მიმართე-

50 UNGA Res 44/25 'Convention on the Rights of the Child' (1989) UN Doc A/Res/44/25.

51 J Tobin. 'The Foundation of Children's Rights' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ.6.

52 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.113.

53 იხ. ბავშვის უფლებათა კონვენცია, UNICEF-საქართველოს ოფისის გამოცემა, გვ. 5-6.

54 ბავშვებს აქვთ სიცოცხლისა და გადარჩენის უფლება, სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის, წყლითა და სანიტარული სისტემით უსაფრთხოდ სარგებლობის უფლება.

55 ბავშვებს აქვთ განათლების, ინდივიდუალობის განვითარების, გონებრივ თუ ფიზიკურ შესაძლებლობათა სრულად გამოვლენის უფლება.

56 ბავშვებს აქვთ უფლება დაცულნი იყვნენ ნებისმიერი სახის დისკრიმინაციისა და ექსპლუატაციისაგან, ომისა და გაჭირვებისაგან.

57 ბავშვებს აქვთ უფლება გააჩნდეთ საკუთარი აზრი, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი შეხედულებანი, მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

58 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ.115.

ბით, რასაც არ შეიცავს სხვა საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები.<sup>59</sup>

მისი მთელი შინაარსი შეგვიძლია პირობითად დავყოთ სამ მთავარ ნაწილად.

პირველი ნაწილი მოიცავს იმ მუხლებს, რომლებიც აყალიბებენ ბავშვის უფლებებს და ამ უფლებათა რეალიზაციისთვის საჭირო ღონისძიებებს. ისინი შეიცავენ ბავშვის ისეთ ფუნდამენტურ უფლებებს, როგორცაა სამოქალაქო, პოლიტიკური, სოციალური, ეკონომიკური და კულტურული უფლებები<sup>60</sup>.

კონვენციის მეორე ნაწილი მოიცავს მუხლებს, რომლებიც დაკავშირებულია გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტთან და ადგენს პროცესუალურ წესებს წევრი სახელმწიფოებისთვის კომიტეტისთვის კონვენციის შესრულების თაობაზე ანგარიშების მომზადებისა და მინოდების კუთხით<sup>61</sup>.

მესამე ნაწილში მოცემულია მუხლები ფორმალურ საკითხებთან დაკავშირებით, მათ შორის, კონვენციის ხელმოწერა, რატიფიცირება, ხელშეკრულებიდან გასვლა.

კონვენცია წევრ სახელმწიფოებს ავალდებულებს გაატარონ ყველა საჭირო და შესაძლო ღონისძიება, მისი პრინციპებისა და რეგულაციების ეროვნულ დონეზე იმპლემენტაციისთვის. ისინი ვალდებულნი არიან მოამზადონ პერიოდული ანგარიში გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტისთვის, სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია ვალდებულებების შესრულების მიზნით გატარებული ღონისძიებებისა და მიღწეული შედეგების შესახებ<sup>62</sup>.

კონვენციის მთავარი დამსახურება მსოფლიოსთვის ის არის, რომ ბავშვი მხოლოდ ზრუნვის ობიექტად კი არა, არამედ სამართლის სუბიექტად აღიქმება, რომელსაც ისეთი უფლებები აქვს, როგორც ზრდასრულებს<sup>63</sup>.

## **ბ. ბავშვის უფლებათა 1989 წლის კონვენციის დამატებითი ოქმები**

2000 წელს, გაეროს მიერ მიღებულ იქნა კონვენციის ორი ფაკულტატიური ხასიათის დამატებითი ოქმი: ბავშვთა შეიარაღებულ კონფლიქტებში ჩართვის შესახებ (OPAC)<sup>64</sup> და ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ (OPSC)<sup>65</sup>, ხოლო 2011 წელს, მესამე დამატებითი ფაკულტატიური ოქმი „კომუნიკაციების პროცედურების შესახებ“ (OPIC).<sup>66</sup>

59 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 58.

60 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ. 115.

61 G Khalil *Child Rights: The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ. 116.

62 G Khalil *Child Rights – The Historical Evolution* (Chemaly&Chemaly 2002 Beirut), გვ. 115.

63 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 59.

64 UNGA Res 54/263 ‘Optional Protocols to the Convention on the Rights of the Child on the Involvement of the Child in Armed Conflict and on the Sale of Children, Child Prostitution and Child Pornography ’ (2001) UN Doc A/Res/54/263.

65 UNGA Res 54/263 ‘Optional Protocols to the Convention on the Rights of the Child on the Involvement of the Child in Armed Conflict and on the Sale of Children, Child Prostitution and Child Pornography ’ (2001) UN Doc A/Res/54/263.

66 UNGA Res 66/2138 (19 December 2011) UN Doc. A/Res/66/138.

პირველი მათგანი ავალდებულებს ხელმომწერ მხარეებს გაატარონ ყველა შესაძლო ზომა იმის უზრუნველსაყოფად, რომ 18 წლის ასაკს მიუღწეველმა ბავშვებმა არ მიიღონ უშუალო მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. დაუშვებელია მათი განვება ავალდებულო სამხედრო სამსახურში. ხელმომწერი სახელმწიფოები ვალდებული არიან გაატარონ ყველა შესაძლო ღონისძიება, შეიარაღებულ ძალებში ნებით ჩართული არასრულწლოვანებისთვის უსაფრთხოებისა და დაცვის მაქსიმალური სტანდარტების უზრუნველსაყოფად.

ფაკულტატურული ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესახებ ავალდებულებს ხელმომწერ სახელმწიფოებს ეროვნულ საკანონმდებლო დონეზე სრულად აკრძალონ ბავშვებით ვაჭრობა, ბავშვთა პროსტიტუცია და პორნოგრაფია. ოქმი განმარტავს ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შემთხვევებს. მასში ჩამოთვლილია კონკრეტული ქმედებები, რომლებიც ეროვნულ სამართალში უნდა დარეგულირდეს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული. ასევე, გათვალისწინებული უნდა იქნას თანაზომიერი სანქცია დამნაშავე პირებისათვის.

ასევე, მნიშვნელოვანია მესამე დამატებითი ოქმი, რომელიც კომიტეტს აძლევს უფლებას, რომ მიიღოს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის სარჩელი მათი უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით. ამ ოქმით, ბავშვებს ეძლევათ უმნიშვნელოვანესი მექანიზმი, რათა დაიცვან საკუთარი კონვენციით გარანტირებული უფლებები, იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელი მხარე ვერ უზრუნველყოფს მის დაცვას.<sup>67</sup>

### **გ. გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF)**

გაეროს ბავშვთა ფონდი (UNICEF) გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1946 წელს შექმნილი ორგანიზაციაა.<sup>68</sup> ის ჩამოყალიბდა, როგორც დროებითი ინსტრუმენტი ომით განადგურებული ევროპის ქვეყნების ბავშვების დასახმარებლად<sup>69</sup>. ორგანიზაცია 1950 წლიდან მუშაობს ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესების საკითხებზე განვითარებად ქვეყნებში. 1953 წელს, ფონდი გაეროს ორგანიზაციების სისტემაში შემავალი წევრი გახდა.<sup>70</sup> მას ხელმძღვანელობს 41-წევრიანი გამგეობა, რომელსაც ირჩევს გაეროს ეკონომიკური და სოციალური საბჭო (ECOSOC) 3 წლით.

გაეროს ბავშვთა ფონდი ამკვიდრებს ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომას და მის უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენს ყველაზე დაუცველი ბავშვების დახმარება, მათი გაძლიერებისა და სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა, უთ-

67 UNICEF 'Strengthening the Convention on the Rights of the Child: Optional Protocols: Protection Children in Armed Conflict, from Sale and Sexual Exploitation, and Allowing Children to Submit Complaints'. ხელმისაწვდომია: <[www.unicef.org](http://www.unicef.org)>

68 UNGA Res 57 (I) 'Establishment of Children's Emergency Fund' (1946) UN Doc A/Res/57(I).

69 R Jolly *UNICEF (United Nations Children's Fund): The Global Governance that Works* (Routledge 2014 London), გვ. 10.

70 R Jolly *UNICEF (United Nations Children's Fund): The Global Governance that Works* (Routledge 2014 London), გვ. 10.

ანასწორობის შემცირება<sup>71</sup>. ფონდის რეგიონალური ოფისები თანამშრომლობენ ქვეყნის მთავრობებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და საერთაშორისო პარტნიორებთან, რათა დაიცვან ბავშვები სიღარიბის, ჩაგვრისა და ძალადობის, ექსპლუატაციისა და ოჯახური ძრწუნველობის გარეშე დარჩენისაგან. ფონდის მიერ გატარებული ღონისძიებები მიმართულია იმისაკენ, რომ შემცირდეს დედათა და ბავშვთა სიკვდილიანობა, აღმოიფხვრას ბავშვზე ძალადობის ყველა ფორმა, გაუმჯობესდეს ბავშვთა სოციალური დაცვა, პრიორიტეტი მიენიჭოს ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარებასა და სკოლამდელ განათლებას. ფონდი ზრუნავს, რომ თითოეული ბავშვისთვის შეიქმნას ოჯახური გარემო, ხელი შეეწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სოციალურ ინკლუზიას და აღმოიფხვრას სოციალური სტერეოტიპები.<sup>72</sup>

ის წარმოდგენილია მსოფლიოს 190 ქვეყანასა და ტერიტორიულ ერთეულში. მისი მანდატი ეფუძნება 1989 წელს მიღებულ კონვენციას, რომელიც განსაზღვრავს თითოეული ბავშვის უნივერსალურ, განუყოფელ უფლებებს და მდგრადი განვითარების მიზნებს<sup>73</sup>, რომლებიც მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერებმა 2015 წელს მიიღეს და ყველა ქვეყანას ეხება.

#### **დ. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC)**

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი (CRC) წარმოადგენს გაეროს საზედამხედველო ორგანოს, რომელიც შედგება 18 ექსპერტისგან და მონიტორინგს უწევს კონვენციის და მისი დამატებითი ოქმების იმპლემენტაციის პროცესს ეროვნულ დონეზე ხელმომწერ ქვეყნებში.<sup>74</sup>

ხელშემკვრელი მხარეები ვალდებულნი არიან კომიტეტს რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია ანგარიშების სახით, თუ როგორ ხდება ბავშვის უფლებათა დაცვა ეროვნულ დონეზე. პირველი ანგარიშის მიწოდება ხდება კონვენციაზე მიერთებიდან ორ წელიწადში, შემდგომ კი პერიოდული ანგარიშების წარდგენა ხდება 5 წელიწადში ერთხელ.<sup>75</sup>

კომიტეტი შეისწავლის თითოეულ ანგარიშს და წარმომდგენ მხარეებს უზიარებს რეკომენდაციებს ქვეყანაში შექმნილ ვითარებასა და ვითარების გაუმჯობესების შესაძლებლობასთან დაკავშირებით.<sup>76</sup> ის ასევე, განიხილავს ბავშვის

---

71 A Minujin and S Nandy [Eds.] *Global Child Poverty an Well-Being: Measurement, Concepts, Policy and Action* (The Policy Press 2012 Chicago) გვ. xxxi.

72 R Jolly *UNICEF (United Nations Children's Fund): The Global Governance that Works* (Routledge 2014 London), გვ. 139.

73 A Minujin and S Nandy [Eds.] *Global Child Poverty an Well-Being: Measurement, Concepts, Policy and Action* (The Policy Press 2012 Chicago) გვ. xxxi.

74 M Verheyde and G Goedertier 'Article 43-45 The UN Committee on the Rights of the Child' in: A Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2006 Leiden Boston), გვ. 1.

75 M Verheyde and G Goedertier 'Article 43-45 The UN Committee on the Rights of the Child' in: A Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2006 Leiden Boston), გვ. 15.

76 M Verheyde and G Goedertier 'Article 43-45 The UN Committee on the Rights of the Child' in:

უფლებათა დაცვის კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებულ ინდივიდუალურ საჩივრებს და გააჩნია უფლებამოსილება ჩაატაროს გამოძიება უფლებათა მძიმე და სისტემურ დარღვევებთან დაკავშირებით.<sup>77</sup>

კომიტეტი, როგორც წესი, იკრიბება წელიწადში სამჯერ, ქალაქ ვენევაში.

## ე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები სავალდებულო ხელშემკვრელი ქვეყნებისათვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას სხვადასხვა სფეროებში. სასამართლომ, თავისი არსებობის მანძილზე, არაერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გამოიტანა, მათ შორის, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით, რითაც დასაბამი მისცა ადამიანის უფლებების უმაღლესი სტანდარტების დამკვიდრებას ამ მიმართულებით.

ბავშვის უფლებების დაცვის კუთხით აღსანიშნავია სასამართლოს მიერ გამოტანილი ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებმაც ბავშვებისა და მათი ოჯახებისთვის განამტკიცა შემდეგი უფლებები :

- პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება (*ჩბიჰი ლოუდოუდი და სხვები ბელგიის წინააღმდეგ*<sup>78</sup>, *ბოგონოსოვი რუსეთის წინააღმდეგ*<sup>79</sup>);
- სუროგაციის გზით დაბადებული ბავშვების უფლებების ლეგალური აღიარება (*მენესონი და სხვები საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>80</sup>, *ლაბასე საფრანგეთის წინააღმდეგ*<sup>81</sup>);
- ქორწინების გარეშე დაბადებული ბავშვების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის აკრძალვა (*ჯენოვეზე მალტას წინააღმდეგ*<sup>82</sup>);
- ბავშვის უპირატესი უფლება იზრდებოდეს საკუთარ მშობლებთან და ოჯახურ გარემოში (*ოსმანი დანიის წინააღმდეგ*<sup>83</sup>);
- განათლების უფლება (*ტიმიშევი რუსეთის წინააღმდეგ*<sup>84</sup>) და ა.შ.

---

A Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2006 Leiden Boston), გვ. 23.

77 M Verheyde and G Goedertier 'Article 43-45 The UN Committee on the Rights of the Child' in: A Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2006 Leiden Boston), გვ. 28.

78 *Chbihi Loudoudi and others v. Belgium*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

79 *Bogonosov v. Russia*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

80 *Menesson and others v. France*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

81 *Labassee v. France*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

82 *Genovese v. Malta*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

83 *Osman V. Denmark*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

84 *Timishev v. Russia*; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

## **2. ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნული სამართლებრივი საფუძვლები**

### **2.1. საკანონმდებლო აქტები**

როგორც უკვე აღინიშნა, კოდექსი არ არის საკანონმდებლო აქტების ფორმალური თავმოყრის შედეგი. ის არ აუქმებს ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებით მოქმედ სხვა საკანონმდებლო აქტებს, არამედ, განამტკიცებს ეროვნულ კანონმდებლობას საქართველოს კონსტიტუციის, კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების აღსრულების უზრუნველყოფის მიზნით. აღნიშნულის გათვალისწინებით, როდესაც საუბარია ბავშვის უფლებებზე განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სფეროში, საკითხის მონესრიგება ხდება კოდექსის გარდა, ასევე, სხვადასხვა ნორმატიულ აქტებში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კონსტიტუცია ცალკე არ გამოყოფს ბავშვის უფლებებს და მისი მონესრიგების საკითხს, ის ქმნის ბავშვის უფლებების მნიშვნელოვან კონსტიტუციურ-სამართლებრივ საფუძველს. საქართველოს კონსტიტუცია აყალიბებს სოციალური სახელმწიფოს პრინციპს და აღიარებს, მათ შორის, განათლების უფლებასა (27-ე მუხლი) და ჯანმრთელობის დაცვის უფლებას (28-ე მუხლი), რაც წარმოშობს კანონმდებლის ვალდებულებას შექმნას შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა ამ უფლებათა განხორციელებისათვის. კონსტიტუციის 30-ე მუხლი, კი, განსაზღვრავს ბავშვის უფლებებს ქვეყნის უზენაესი კანონის დონეზე და მისი დეტალური განზალღვრის ვალდებულების დელეგირებას ახდენს კანონზე.

ჩვენი მიზანი არ არის იმ საკანონმდებლო აქტების ნორმების კომენტირება, რომლებიც აწესრიგებს ან გავლენას ახდენს ბავშვის სამართლებრივ მდგომარეობაზე. ასეთი კანონები გვხვდება, როგორც საჯარო ისე კერძო და სისხლის სამართლის სფეროში, ხოლო მათი შესწავლა და ანალიზი ხდება სამართლის შესაბამისი დარგის კანონმდებლობის და მეცნიერების მიერ.

### **2.2. კოდექსის ადგილი ნორმათა იერარქიაში და მისი სტრუქტურა**

კოდექსი არის ბავშვის უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი სისტემის მნიშვნელოვანი სამართლებრივი საფუძველი, წყარო. ნორმათა იერარქიაში, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის “ე” ქვეპუნქტის მიხედვით, კოდექსი არის საქართველოს კანონი. იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსი ადგენს კონვენციით აღიარებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ეროვნულ სამართლებრივ ინსტრუმენტებს, ხოლო, თავის მხრივ, კონვენციას უპირატესი იურიდიული ძალა აქვს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, კოდექსის ზოგიერთ ნორმას, ფაქტობრივად, უფრო მაღალი, საერთაშორისო ხელშეკრულების ნორმისთვის გათვალისწინებული ადგილი უჭირავს ნორმათა იერარქიაში.

კოდექსის სისტემა ქმნის ბავშვის უფლებების დაცვის ეროვნული სამართლებრივი სისტემის შინაარსს. კოდექსი შედგება 4 ნიგნის, 14 თავის და 101 მუხლისგან:

კოდექსის პირველი წიგნი განსაზღვრავს ზოგად დებულებებს, რომელიც მოიცავს ორ თავს: პირველი თავი, ადგენს შესავალ დებულებებს, როგორცაა კოდექსის რეგულირების სფერო, კოდექსის მიზანი და კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები, ხოლო მეორე თავი ადგენს ბავშვის ძირითად უფლებებს და თავისუფლებებს. კოდექსში მოცემული უფლებები არ არის ამომწურავი და კანონი არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით, საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და სხვა კანონმდებლობით განსაზღვრულ ბავშვის სხვა უფლებებს.<sup>85</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსის მიღების მიზანია განსაზღვროს სამართლებრივი საფუძვლები ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ეროვნული სისტემის შექმნის და ფუნქციონირებისათვის, კოდექსის მეორე წიგნი წარმოადგენს ბავშვის უფლებების დაცვაზე ორიენტირებულ ბავშვის მხარდაჭერის ინსტრუმენტებს, როგორცაა ბავშვის უფლება ოჯახზე (მე-3 თავი), ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე (მე-4 თავი), ბავშვის უფლება განათლების მიღებაზე (მე-5 თავი), ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე (მე-6 თავი), ბავშვის უფლება სოციალურ დაცვაზე, ცხოვრების სათანადო პირობებსა და განვითარებაზე (მე-7 თავი), ბავშვის უფლება ძალადობისგან დაცვაზე (მე-8 თავი), ბავშვის უფლება მანერ ზეგავლენისგან დაცვაზე (მე-9 თავი), ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე (მე-10 თავი). აღნიშნული თავების ღირებულებას ქმნის მათი საერთო კონცეფცია, რომელიც, ერთი მხრივ, აგებულია ბავშვის უფლებებზე დაყრდნობით და მეორე მხრივ, თითოეულ უფლებასთან მიმართებით ადგენს მათი დაცვის უზრუნველყოფის ინსტრუმენტებს, მათ შორის, უფლებამოსილი ორგანოების მიერ შესაბამისი პროგრამების შექმნის და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულების დადგენით.

კოდექსის მესამე წიგნი განსაზღვრავს ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის და მხარდაჭერის ინსტიტუციურ გარანტიებს. ამ წიგნის 11-ე თავი (82-ე-88-ე მუხლები) ქმნის ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის და მხარდაჭერის ინსტიტუციური მოწყობის ზოგად საფუძვლებს. ეს გულისხმობს, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესად გათვალისწინების პრინციპის შესაბამისად, ბავშვის უფლებებზე მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შექმნისა და განხორციელებისას. მეორე მოთხოვნაა, რომ სახელმწიფო პოლიტიკის და პროგრამების შემუშავება და განხორციელება მოხდეს უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზით. მესამე, სახელმწიფო ქმნის მონაცემთა შეგროვების და ანალიზის ერთიან ელექტრონულ სისტემას, რომელიც მოიცავს სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას და ანალიზს ბავშვთა უფლებების რეალიზების კუთხით სხვადასხვა სფეროში, მათ შორის, ბავშვთა მიმართ დისკრიმინაციის, ძალადობის გამომწვევი მიზეზების და შედეგების, შემთხვევების და მსჯავრდების რაოდენობის, პრევენციისა და რეაგირების ღონისძიებების ეფექტურობის

85 იხ. კოდექსის 1-23 მუხლები.

შესახებ. მეოთხე ელემენტია ბავშვის უფლებების ეფექტიანი დაცვის და მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოების ვალდებულება შეიმუშაონ შესაბამისი პროგრამები.

კოდექსის მესამე ნიგნის მეთორმეტე თავი (89-ე-98-ე მუხლები) განსაზღვრავს კოდექსით მონესრიგებული ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში უფლებამოსილ ორგანოებს. ამ საკანონმდებლო აქტით ბავშვის კოდექსით განსაზღვრული ბავშვის უფლებების დაცვის სისტემის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოების მიერ შესაბამისი უფლებამოსილებების განხორციელება. ღონისძიებების მმართველობის ცალკეული სფეროებისადმი მიკუთვნების პრინციპის საფუძველზე, განსაზღვრულია აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების და მუნიციპალიტეტების კომპეტენციები.

მეოთხე ნიგნის მეცამეტე თავი - გარდამავალი დებულებები ადგენს განსახორციელებელ ღონისძიებებს და მისაღებ სამართლებრივ აქტებს.

დასკვნითი დებულებები მოცემულია მეოთხე ნიგნის მეთოთხმეტე თავში, რომელიც განსაზღვრავს კოდექსის ამოქმედების თარიღს - 2020 წლის 1 სექტემბერი<sup>86</sup>.

### **2.3. კოდექსისა და საერთაშორისო სამართლის ურთიერთმიმართება**

საერთაშორისო სამართლის მოქმედება ქართულ სამართლებრივ სივრცეში განისაზღვრება სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის საფუძველზე, რომელიც მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლში. მისი მე-5 პუნქტი განსაზღვრავს, რომ საერთაშორისო შეთანხმებებს აქვს უპირატესი იურიდიული ძალა სხვა ნორმატიული აქტების მიმართ, თუ ის არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციასა და კონსტიტუციურ შეთანხმებას.

საქართველოსთვის უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო-სამართლებრივი შეთანხმება ბავშვის უფლებათა სფეროში, არის კონვენცია მისი დამატებითი ოქმებით. კოდექსის პირველივე მუხლი ხაზგასმით ამბობს, რომ ის ეყრდნობა ამ საერთაშორისო ვალდებულებებს. უფრო მეტიც, ის მიუთითებს, რომ ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის უპირველესი მიზანი, მათ შორის, შესაძლებელია, კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რეალიზებით. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კოდექსი, მათ შორის, ემსახურება სწორედ ბავშვთა უფლებების სფეროში საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას. ეს მიზანი ამ სამართლებრივ აქტს ნითელ ხაზად გასდევს და მითითება კონვენციაზე, მის დამატებით ოქმებსა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტებზე მასში გვხვდება რამდენიმე ადგილზე.

---

86 ძალაში შესვლის ვადა კოდექსის მიღების პერიოდისთვის 2020 წლის 1 ივნისს, ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს ემთხვეოდა. თუმცა COVID-19 პანდემიის გათვალისწინებით, რადგან ვერ მოხერხდა იმპლემენტაციის ღონისძიებების დროულად გატარება, პარლამენტის მიერ კოდექსში შეტანილი ცვლილებების საფუძველზე, ვადა იქნა 1 სექტემბრისთვის განსაზღვრული.



შეგვიძლია ვთქვათ, რომ კოდექსი მთლიანად ეყრდნობა კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების ზოგად პათოსსა და კონკრეტულ დებულებებს. ამდენად, კოდექსის განმარტებისას თამამად შეგვიძლია გამოვიყენოთ კონვენციისა და მისი დამატებითი ოქმების განმარტებები, მათ შორის გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებები.

კოდექსის ცალკეული დებულებების განმარტებისას, მნიშვნელოვანია, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა, როგორც პრეცედენტული სამართალი. ის საკმაოდ მდიდარია ბავშვის უფლებათა სხვადასხვა პრობლემური საკითხების გადაჭრის კუთხით და მისი გათვალისწინების ვალდებულება აქვს საქართველოს, როგორც ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპის საბჭოს კონვენციის ხელშემკვერელ მხარეს.

შესაძლებელია, გაჩნდეს ლოგიკური კითხვა, რომ თუ კოდექსი ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს, რომლებიც ისედაც მოქმედებენ ქართულ სამართალში, მაშინ რა საჭიროა ის საერთოდ? მართალია, კონვენცია და დამატებითი ოქმები საქართველოს სახელმწიფოს რატიფიცირებული აქვს და მათ, როგორც საერთაშორისო-სამართლებრივ მრავალმხრივ შეთანხმებებს, უპირატესი ძალა აქვთ კონსტიტუციისა და კონსტიტუციური შეთანხმების გარდა სხვა ნორმატიულ აქტებთან მიმართებით. თუმცა, ეს ავტომატურად არ ნიშნავს ეროვნულ დონეზე უშუალოდ გამოყენების შესაძლებლობას. ამისთვის მნიშვნელოვანია კონვენციის ნორმა იყოს თვითსრულებადი (*self-executing*), ანუ დამატებითი მონესრიგების გარეშე უნდა წარმოშობდეს უშუალო უფლებებსა და ვალდებულებებს. კონვენციის ნორმების დიდი ნაწილი იძლევა მისი უშუალოდ გამოყენების შესაძლებლობას, რამდენადაც მათი შინაარსი ნათლად არის ჩამოყალიბებული. თუმცა, ე.წ. არა თვითსრულებადი (*non-self-executing*) ნორმები ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოებისათვის ადგენს ვალდებულებას, რომ კანონშემოქმედების ფარგლებში მოახდინონ მათი შინაარსის კონკრეტიზაცია<sup>87</sup>. ასეთი ნორმები, კი, კონვენციასა და მის დამატებით ოქმებში მრავლადაა. ამდენად, ბავშვის უფლებათა სრულფასოვანი რეალიზებისთვის აუცილებელია ასეთი ნორმების განხორციელების კონკრეტული ინსტრუმენტები, რაც რატიფიცირებულ კონვენციას და მის დამატებით ოქმებს, ასევე, სხვა საერთაშორისო-სამართლებრივ შეთანხმებებს არ გააჩნიათ. ამდენად, კოდექსმა განსაზღვრა მათი იმპლემენტაციის ქმედითი მექანიზმები, რაც საბოლოო ჯამში ბავშვებისთვის უზრუნველყოფს კონკრეტულ სიკეთეებს. ამ უკანასკნელი შედეგის მიღწევა მხოლოდ რატიფიცირებული შეთანხმებების საშუალებით არის ძალიან რთული და ფაქტობრივად, ხშირ შემთხვევაში- შეუძლებელიც კი. ასევე, მან თავი მოუყარა ამ ვალდებულებებს ერთ აქტში, მოახდინა მისი სისტემატიზაცია, რაც უადვილებს, როგორც უფლების მატარებელს, ასევე სახელმწიფოს და დაინტერესებულ პირებს ჰქონდეს ერთიანი ნორმატიული აქტი, სადაც სისტემურადაა განსაზღვრული ყველა მნიშვნელოვანი დებულება.

ამდენად, კოდექსი ერთი მხრივ, ეყრდნობა საერთაშორისო სტანდარტებს

87 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 55

და საქართველოს სახელმწიფოს მიერ აღებულ საერთაშორისო-სამართლებრივ ვალდებულებებს, მეორე მხრივ, ქმნის ქმედით მექანიზმებს, სახელმწიფო სისტემას ამ ვალდებულებების ბავშვებისთვის კონკრეტულ სიკეთეებად მისატანად.

## თავი II

### ბავშვის საუკეთესო ინტერესები

#### §5. შესავალი

ბავშვის საუკეთესო ინტერესები როგორც კოდექსის, ისე, კონვენციის ერთ-ერთი ცენტრალური ტერმინია, რომელიც წითელ ხაზად გასდევს მათ. ბავშვის საუკეთესო ინტერესების კონცეფცია უზრუნველყოფს ეფექტიან და სრულ განხორციელებას კონვენციაში განსაზღვრული უფლებების, ისევე როგორც, ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას.<sup>88</sup> კონვენციის მე-3 მუხლი, სადაც განსაზღვრულია ბავშვის საუკეთესო ინტერესი, დღემდე რჩება ნორმად, რომელზეც ყველაზე მეტი აზრთა სხვადასხვაობაა.<sup>89</sup>

ბავშვის საუკეთესო ინტერესების, როგორც ტერმინის დეფინიცია მნიშვნელოვანია მისი ობიექტური საზღვრებისა და შინაარსის კონკრეტიზაციისათვის. კონვენცია, როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, არ შეიცავს ტერმინის დეტალურ განმარტებას. არსებობს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებები, რომელიც განსაზღვრავს მე-3 მუხლის შინაარსის ძირითად მონახაზს, ქმნის ერთგვარ ობიექტურ ჩარჩოს<sup>90</sup>. თუმცა კონვენცია ქვეყნებს უტოვებს შესაძლებლობას, უფრო დეტალურად თავად დააკონკრეტონ მისი შინაარსი, რადგან ამ უკანასკნელზე ვერ მოხერხდა ქვეყნებს შორის შეთანხმება.<sup>91</sup> ეს არის ის შემთხვევა, როდესაც სახეზეა კონვენციის ე.წ. არა თვითსრულებადი (*non-self-executing*) ნორმა, რომელიც ხელშეკრულების წევრი სახელმწიფოებისათვის ადგენს ვალდებულებას კონვენციის იმპლემენტაციის პროცესში.<sup>92</sup>

ამ ვალდებულების შესასრულებლად, ქართველმა კანონმდებელმა დეტალურად განსაზღვრა ეს ტერმინი და მისი აღსრულების ინსტრუმენტები. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსში მოცემული დეფინიცია ტოვებს სუბიექტური შეფასების შესაძლებლობას და არ შეიცავს ამომწურავ განმარტებას. აღნიშნული გარემოება კრიტიკოსებს აძლევს საბაბს, რომ აპელირება მოახდინონ მის განუსაზღვრელობაზე და შესაბამისად, იმ საფრთხეებზე, რაც შეიძლება მოჰყვეს ამას. მიუხედავად ამისა, ცალსახად უნდა ითქვას, რომ ეს კანონმდებლის მიზანმიმართული ნაბიჯია, რამდენადაც ბავშვთან დაკავშირებული საკითხები იმდენად მრავალფეროვანია, რომ მისი ამომწურავი განსაზღვრება შეუძლე-

88 Committee on the Rights of the Child General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/ C/GC/ 14, გვ. 3.

89 W Vandenhoe, GE Tuerkelli and S Lembrechts 'Article 3: Best Interest of the Child' in: Children's Rights: A Commentary on the Convention on the Rights of the Child (Edward Elgar 2019 Cheltenham), პუნქტი 3.01.

90 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/ C/GC/ 14.

91 M Freeman. *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child: Article 3 The Best Interests of the Child* (Nijhoff 2007 Leiden) გვ. 26-27.

92 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 74., თუმცა, არსებობს სხვა მოსაზრებაც, რომ ნორმა არის თვითსრულებადი: იხ. Committee on the Rights of the child, General Comment No 14(2013) UN Doc CRC/C/GC/14.para.36.

ბელია. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დეფინიცია უნდა იყოს დინამიური<sup>93</sup> და მოქნილი<sup>94</sup>, იმისათვის, რომ ადეკვატურად უპასუხოს ბავშვთან დაკავშირებულ ყველა შესაძლო კონკრეტულ შემთხვევას. ეს სახელმწიფოს აძლევს საშუალებას უზრუნველყოს ბავშვის უფლებების დაცვა. ამდენად, საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის განუსაზღვრელი ტერმინი<sup>95</sup>, რომლის განჭვრეტადობისა და აღსრულებადობისათვის აუცილებელი ობიექტური ჩარჩოები, კანონის მიერ არის დადგენილი.

## §6. ტერმინის სამსახოვანი ბუნება

განსაკუთრებით საინტერესოა, რომ კოდექსის სისტემის მიხედვით, ისევე, როგორც კონვენცია,<sup>96</sup> ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ახასიათებს ე.წ. „სამსახოვანი ბუნება“-სუბიექტური, ობიექტური და პროცედურული.

აღნიშნული ტერმინი, პირველყოფლისა, მოიაზრება, როგორც ზოგადი პრინციპი, რომელიც მთელს კოდექსს გასდევს, როგორც ძირითადი ლერძი (ობიექტური ბუნება). ის შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც პრინციპი, რომლის მხედველობაში მიღების ვალდებულება აქვს სახელმწიფო სტრუქტურებს, ისევე როგორც, კერძო პირებს, რომლებიც ბავშვთა უფლებათა დაცვისა და ბავშვის მხარდაჭერის ფუნქციებს ასრულებენ. ის როგორც პრინციპი, გადანყვეტილების დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებისას იძენს განსაკუთრებულ დატვირთვას.<sup>97</sup> მაგალითად, კოდექსის 29-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე ბავშვის განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა, თუ მისი ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ამ შემთხვევაში საუკეთესო ინტერესი გაგებულია, როგორც ობიექტური დიმიენსია, რომელიც წარმოადგენს საზომს და ვალდებულებას სახელმწიფოს მხრიდან. იგივე მიდგომას ვხედავთ კოდექსის 48-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც, ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერის პროგრამა მის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს, ისევე, როგორც კოდექსის 50-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც ამბობს, რომ ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა მის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. ყველა აღნიშნული პოსტულატი წარმოადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას.

ზემოთ აღნიშნულთან ერთად, ბავშვის საუკეთესო ინტერესები კოდექსით განსაზღვრულია როგორც უფლება (სუბიექტური უფლება), რამდენადაც მას კოდექსის უფლებების თავში კონკრეტული, მე-5 მუხლი ეთმობა, რომელიც

93 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/ C/GC/ 14, გვ. 3.

94 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/ C/GC/ 14, გვ. 9.

95 M Freeman *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child: Article 3 The Best Interests of the Child* (Nijhoff 2007 Leiden), გვ. 2.

96 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No14 (2013) UN Doc CRC/ GC/C/14, გვ. 1.

97 RA Lorz *Der Vorrang des Art. 3 der UN Kinderrechtskonvention* (Arbeitsgemeinschaft fuer Kinder-, und Jugendhilfe 2003 Berlin), გვ. 66.

აყალიბებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების უფლებას. აღნიშნული ნორმიდან გამომდინარე, ის წარმოადგენს სუბიექტურ უფლებას, რომლის დაცვაც შესაძლებელია, მათ შორის, სასამართლოსათვის მიმართვის გზით.

კოდექსში ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოცემულია, ასევე, როგორც პროცედურული გარანტია. მაგალითად, 82-ე მუხლში პირდაპირ არის განსაზღვრული, რომ ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვისას, სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დროს სახელმწიფომ მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპი. იგივეა განსაზღვრული კოდექსის 90-ე მუხლის მე-2 პუნქტში, რომლის მიხედვით, საქართველოს მთავრობა ვალდებულია ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილებების მიღებისას იხელმძღვანელოს ბავშვის საუკეთესო ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპით, როგორც ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების ფორმალური მექანიზმით.

ტერმინის შინაარსის განსაზღვრისას აღნიშნულ გამიჯვნას არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

## §7. ტერმინი, როგორც განმარტების კრიტერიუმი

უნდა აღინიშნოს, რომ კოდექსი განსაზღვრავს სამართლის ნორმების განმარტების წესს, რომლის თანახმადაც, სამართლის ნორმის განმარტებისას გამოყენებული უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.<sup>98</sup> ეს ჩანაწერი ვრცელდება როგორც საქართველოს კანონებზე, ისე კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებზე და მიანიშნებს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მნიშვნელოვანია არა მხოლოდ კოდექსისთვის, არამედ, ნორმათა მთელი სისტემისთვის.

სამართლის ნორმათა განმარტებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესისთვის უპირატესობის მინიჭება, ხშირ შემთხვევაში, ბავშვის სხვა უფლებათა შეზღუდვის საფუძველს წარმოადგენს. მაგალითად, კოდექსის მე-19 მუხლის მიხედვით, ბავშვს აქვს საკუთარი ქონებისა და მემკვიდრეობის უფლება. თუმცა, რადგან ბავშვი თავისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის გათვალისწინებით, ზოგ შემთხვევაში არ არის მზად რაციონალურად განკარგოს ქონება, ეს უფლება იზღუდება მისი საუკეთესო ინტერესების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე. ამ შემთხვევაში, სახეზეა კოლიზია კოდექსით დაცულ ორი სიკეთეს შორის. თუმცა იმისათვის, რომ ბავშვმა იმგვარად არ განკარგოს ქონება, რომ მის სამომავლო ინტერესებს ზიანი მიადგეს, მისი საკუთრების უფლება გარკვეულწილად იზღუდება. ასევე, ბავშვის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს შეზღუდვის საფუძველს სხვათა უფლებებისთვის. მაგალითად, 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით, მშობელს აქვს ბავშვის მიმართ აღმზრდელობითი ღონისძიებების გამოყენების უფლებამოსილება. თუმცა, ეს უფლება იზღუდება მაშინ, თუ საუბარია ისეთ ღონისძიებებზე, რომელმაც ბავშვს შეიძლება ზიანი მიაყენოს. იგულისხმება, მაგალითად, ცემა, წამება, ღირსების დამამცირებელი მოპყრობა, რაც არ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ასევე, კონვენციის მიხედვით, უფლებათა იერარქია არ არსებობს და მასში განსაზღვრული ყველა უფლების შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. დაუშვებელია, რომელიმე უფლების შელახვა ამ ცნების ნეგატიური განმარტებით.<sup>99</sup> შესაბამისად, იგივე პრინციპი ვრცელდება კოდექსის შემთხვევაშიც.

98 კოდექსის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

99 Committee on the Rights of the Child, General Comment No14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 3.

## §8. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების ელემენტები

### 1. ბავშვის განმარტება

#### 1.1. შესავალი

ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების ელემენტების შინაარსის დადგენისას, მიზანშეწონილია, პირველ რიგში, განიმარტოს „ბავშვის“ ტერმინის შინაარსი.

კოდექსის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ბავშვს განმარტავს, როგორც 18 წლამდე არასრულწლოვანს. ბავშვის განმარტება ის ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი თემაა, რომელზეც ყველაზე მეტი დისკუსიაა გაშლილი, როგორც კონვენციის ფარგლებში<sup>100</sup>, ასევე, სხვადასხვა ქვეყნების შიდასახელმწიფოებრივ სამართლებრივ და საზოგადოებრივ სისტემებში. ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა.

კოდექსი განსაზღვრავს, რომ 18 წლამდე არასრულწლოვანზე ვრცელდება კოდექსის *ratione persoene*. აქ მოიაზრება ყველა არასრულწლოვანი, განურჩევლად სხვადასხვა მახასიათებლისა, რაც პირდაპირ არის დაკავშირებული თანასწორობის უფლებასთან. ბავშვის ტერმინის დეფინიციასთან მიმართებით ისმის ორი პრობლემური კითხვა: - როდის იწყება ბავშვობა და როდის სრულდება<sup>101</sup>.

#### 1.2. ბავშვობის დასაწყისი

აუცილებელია განისაზღვროს, ვინ მოიაზრება არასრულწლოვანში. პრობლემურია კითხვა, თუ რომელი მომენტიდან იწყება ბავშვის დაცვა კოდექსით და მოიცავს თუ არა ნაყოფის (*nasciturus*) დაცვას. კოდექსი ამ კითხვაზე პასუხს პირდაპირ არ სცემს. ამდენად, განმარტებისთვის უნდა მივმართოთ კონვენციასა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპულ კონვენციას, ისევე, როგორც ქართულ კანონმდებლობას.

კონვენცია პირდაპირ არ განსაზღვრავს, იცავს თუ არა ბავშვის დეფინიცია, ასევე, ნაყოფსაც. ამასთან დაკავშირებით არსებობს განსხვავებული მოსაზრებები და მწვავე კამათი მეცნიერებს, ისევე, როგორც ქვეყნების ოფიციალურ წარმომადგენლებს შორის. კონვენციის შემუშავების პროცესში, სწორედ იმიტომ რომ სერიოზული განსხვავებები არსებობდა და არც ჩანდა რესურსი ამ საკითხზე კომპრომისის მიღწევის, საბოლოო ტექსტში საკითხი ღიადა იქნა დატოვებული.<sup>102</sup> საბოლოო ფაზაში, კონვენცია ქვეყნებს უტოვებს დისკრეციას თავად

100 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 62.

101 D Archard and J Tobin 'The Definition of a Child' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 24.

102 S Detrick. *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Kluwer 1999 The Hague), გვ. 53.

განსაზღვრონ, ექცევა თუ არა ნაყოფი ბავშვის დეფინიციის ქვეშ.<sup>103</sup>

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ მის პრეამბულაში მითითებაა გაკეთებული 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაციის იმ ნორმაზე, სადაც საუბარია ბავშვის დაცვაზე დაბადებამდე.

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების პაქტი მიუთითებს სახელმწიფოთა დისკრეციაზე, შეიმუშაონ წესები, რომლის მიხედვით შესაძლებელია აბორტის გაკეთება. თუმცა, ამ წესებს აქვთ გარკვეული კრიტერიუმები, რომელთა მინიმუმ სტანდარტი დაცული უნდა იყოს.<sup>104</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციაც, ასევე, ღიად ტოვებს საკითხს, დაცულია თუ არა ნაყოფის (*nasciturus*) უფლებები.<sup>105</sup> აქაც, აზრთა სხვადასხვაობაა.<sup>106</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ქვეყნებს ანიჭებს ფართო დისკრეციას, თუმცა, იმავდროულად გარკვეულ ჩარჩოებსაც აწესებს.<sup>107</sup> მაგალითად, აბორტის გაკეთებაზე უარის თქმა, როდესაც დედის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება ითვლება, როგორც ამ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.<sup>108</sup>

საქართველოს სახელმწიფომ გამოიყენა კონვენციით და ევროპის ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა კონვენციით მასზე მინიჭებული ეს დისკრეცია და განსაზღვრა, რომ აბორტი არის დასაშვები გარკვეულ შემთხვევებში. ქართულ საზოგადოებაში არ წყდება მწვავე დისკუსიები ამ საკითხთან მიმართებით. საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესია, ისევე როგორც, საზოგადოების კონსერვატიული ნაწილი ხშირად აფიქსირებს უარყოფით მოსაზრებას აბორტთან დაკავშირებით და ითხოვენ აბორტის სრულ აკრძალვას.

ამდენად, კოდექსი იცავს არასრულწლოვანს დაბადებიდან. ბავშვი დაცულია ყველა შემთხვევაში დაბადებიდან<sup>109</sup>. ხოლო, გარკვეულ შემთხვევებში, კოდექსი იცავს ნაყოფს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.<sup>110</sup>

### 1.3. ბავშვობის ზედა ზღვარი

კოდექსი მიუთითებს, რომ ის იცავს ნებისმიერ არასრულწლოვანს 18 წლამდე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში, ეს ასაკი არის კონვენციისა და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის სტანდარტი. რადგან სხვადასხვა სახ-

103 D Archard and J Tobin 'The Definition of a Child' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 25.

104 UNHRC, General Comment No 36 (30 October 2018) UN Doc CCPR/C/GC/36, გვ.2.

105 *Brueggemann and Scheuten v Germany* EuGRZ 178, 199 (200).

106 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 66.

107 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 66.

108 *Tysiac v Poland* NJOZ 2009, 3349, აბზაცი. 114-დან.

109 JA Frowein und W Peukert [Hrsg.] *Europäische Menschenrechtskonvention: EMRK Kommentar* (3. Aufl. NP Engel Verlag 2009 Kehl) Art. 2, პუნქტი 3.

110 მაგ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე.



ელმნიფობებს განსხვავებული მიდგომები ჰქონდათ ბავშვის ასაკთან დაკავშირებით, საკანონმდებლო თუ ფაქტობრივ დონეზე და ზოგჯერ ის ბევრად უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 18 წელი, განისაზღვრა რომ სავალდებულოა სახელმწიფოებისთვის არსებობდეს მინიმუმ ზედა ჭერი ბავშვების დაცვისთვის<sup>111</sup>. ამდენად, 18 წლის, როგორც ზედა, მინიმუმ ჭერის დანესებით, საქართველო შეუერთდა იმ საერთაშორისო სტანდარტს, რომელიც ყველა სახელმწიფოს ბავშვის დაცვას ავალდებულებს.

იმ დღიდან, რა დღესაც ის გახდება სრულწლოვანი, ბავშვის დეფინიციაში, კოდექსიდან გამომდინარე უკვე, ველარ ხვდება. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კოდექსით გათვალისწინებული ზოგიერთი სიკეთით სარგებლობის უფლება არ აქვს. მნიშვნელოვანია განისაზღვროს, როდის და რა დოზით აქვთ ახალგაზრდებს 18 წლის შემდეგაც კოდექსის სიკეთებით სარგებლობის უფლება. ამ კითხვაზე, ეს საკანონმდებლო აქტი პირდაპირ სცემს პასუხს, როდესაც საქმე ეხება სახელმწიფო ზრუნვიდან გასულ ბავშვს, რომელზე ზრუნვის ვალდებულება სახელმწიფოს აქვს, 30-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტის მიხედვით. კოდექსი განსაკუთრებული ზრუნვის სტანდარტს აწესებს იმ პირებზე, რომელსაც 18 წელი უკვე შეუსრულდათ, თუმცა არიან მონყვლადები და განსაკუთრებულ ზრუნვას საჭიროებენ სახელმწიფოს მხრიდან. ასევე, 99-ე მუხლის მიხედვით, ალტერნატიული ზრუნვიდან გასული პირის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავება ევალდება სახელმწიფოს.

ბავშვის ტერმინის განსაზღვრებისას, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია კოდექსი განიმარტოს ფართოდ. მაგალითად, თუ საკითხი ეხება პირს, რომელსაც ახლად შეუსრულდა 18 წელი, კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით, შესაძლებელია კოდექსი გავავრცელოთ გარკვეულ შემთხვევებში. მაგალითად, თუ ბავშვის სოციალური აქტივობის კონკრეტულ პროგრამაში, ჩართულია ბავშვი და პროგრამის, რომლის ხანგრძლივობის ვადა განსაზღვრულია დროში, თუმცა პროგრამაში ჩართვის შემდეგ შეუსრულდა 18 წელი, ამ საფუძვლით ბავშვის ამ პროგრამის გარეშე დატოვება მის დასრულებამდე, არ მოვა კოდექსთან შესაბამისობაში. თუმცა, ასეთი შემთხვევები საგამონაკლისო უნდა იყოს და არა წესი.

#### 1.4. განსხვავებები ბავშვის ასაკის მიხედვით

მართალია, კოდექსი ბავშვს განსაზღვრავს, როგორც 18 წლამდე არასრულწლოვანს. თუმცა, მას არ აქვს ერთგვარი, შაბლონური მიდგომა ყველა ასაკის ბავშვისადმი. მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი, ბავშვისგან განსხვავებით, მოზარდს განმარტავს, როგორც 10-დან 18 წლამდე ბავშვს. ასევე, სხვადასხვა ადგილზე ვხვდებით განსხვავებულ მიდგომას ბავშვის ასაკის, შესაძლებლობების, სიმნიფის, მისწრაფებებისა და ინტერესების გათვალისწინებით, როგორც

---

111 D Archard and J Tobin ‘The Definition of a Child’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 28; S Detrick *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Kluwer 1999 The Hague), გვ. 58.

უფლებების, ასევე, პასუხისმგებლობების ნაწილში. ამგვარად, კოდექსი დიფერენცირებულ მიდგომას ითვალისწინებს, ისევე როგორც, კონვენცია.<sup>112</sup> ეს უკანასკნელი, მართალია, არ განსაზღვრავს სპეციალურ ასაკობრივ ჯგუფებს<sup>113</sup>, მაგრამ, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი გამოყოფს სამ პირობით პერიოდს: ადრეული ბავშვობის, შუა ბავშვობის და მოზარდობის პერიოდები<sup>114</sup>. ადრეული ბავშვობის პერიოდი იწყება დაბადებიდან, გრძელდება სკოლამდელი და სკოლის დაწყების გარდამავალ პერიოდამდე, დაახლოებით 8 წლამდე.<sup>115</sup> შუა ბავშვობის პერიოდი იწყება სკოლაში გარდამავალი ეტაპიდან მოზარდობამდე<sup>116</sup>. მოზარდობა იწყება 10 წლიდან და მთავრდება 18 წლამდე<sup>117</sup>. სწორედ ეს უკანასკნელი განმარტება წარმოადგინა კოდექსმა, როგორც სტანდარტი მოზარდობის განსაზღვრისათვის.

ასაკის დიფერენცირების შეფასება, გარკვეულწილად შეიძლება შეიცავდეს განმარტების სუბიექტურობის საფრთხეს. თუმცა, ეს დიფერენცირება არის აუცილებელი, იმისათვის, რათა, მხედველობაში იქნას მიღებული რეალური განსხვავებები და მაქსიმალურად მოერგოს ბავშვს ინდივიდუალურად. ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლებელია ბავშვის დაბადების თარიღი არასწორად იქნას ჩანერილი ან საერთოდ არ არსებობდეს ასეთი მონაცემი. ამდენად, თითოეული ბავშვის დაცვისათვის, აუცილებელია მისი ინდივიდუალური მონაცემებისა და სიმწიფის ხარისხის განსაზღვრა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად<sup>118</sup>.

### **1.5. დიფერენციაცია ბავშვის ასაკის მიხედვით ქართულ კანონმდებლობაში**

ქართული კანონმდებლობა, საკითხების მიხედვით, განსხვავებულ უფლებებსა და მოვალეობებს აწესებს კონკრეტულ შემთხვევებში განსხვავებული ასაკის ბავშვებისთვის.

სისხლის სამართლის კანონმდებლობიდან შესაძლებელია მოვიყვანოთ ასაკთან დაკავშირებული დათქმები:

---

112 Committee on the Rights of the Child, General Comment No 20 (2016) UN Doc CRC/C/GC/20, პუნქტი 6.

113 W Vandenhoe, GE Tuerkelli and S Lembrechts ‘Article 3: Best Interest of the Child’ in: *Children’s Rights: A Commentary on the Convention on the Rights of the Child* (Edward Elgar 2019 Cheltenham), პუნქტი 1.09.

114 D Archard and J Tobin ‘The Definition of a Child’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 31.

115 Committee on the Rights of the Child, General Comment No 7 (2006) UN Doc CRC/GC/C/7/Rev1, პუნქტი 1,4.

116 Committee on the Rights of the Child, General Comment No 7 (2006) UN Doc CRC/GC/C/7/Rev 1, პუნქტი 8.

117 Committee on the Rights of the Child, General Comment No 20 (2006) UN Doc CRC/C/GC/20, პუნქტი 5.

118 D Archard and J Tobin ‘The Definition of a Child’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 31.

- სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა დგება 14 წლის ასაკიდან (სისხლის სამართლის კოდექსის<sup>119</sup> 33-ე მუხლი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის<sup>120</sup> მე-3 მუხლის მე-3 პუნქტი).
- 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება და საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს. (ამკ-ს 73-ე მუხლის მე-2 ნაწილი).
- 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება და საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს (ამკ-ს 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი).
- 14 წლამდე ასაკის პირის გამოკითხვა ან დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის გამოსაკითხ პირს ან მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის და ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. (ასკ-ის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი).

ადმინისტრაციულ სამართალში:

- ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტიდან 16 წლის ასაკს მიღწეულ პირებს (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 121 მე-13 მუხლი);
- ადმინისტრაციული წესით დასჯადია მგზავრების უბილეთო მგზავრობა, აგრეთვე ათიდან თექვსმეტი წლის ასაკამდე ბავშვების უბილეთოდ წაყვანა (საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 130 მუხლი);
- აკრძალულია 12 წლამდე ბავშვის გადაყვანა ავტომობილის წინა სავარძლით. მსუბუქი ავტომობილით 3 წლამდე ბავშვის გადაყვანა ნებადართულია ბავშვის სამგზავრო სავარძლით ან მსუბუქი ავტომობილის უკანა სავარძელზე მჯდომი არანაკლებ 16 წლის მგზავრის კალთაში. აკრძალულია გაჩერებულ სატრანსპორტო საშუალებაში 6 წლამდე ბავშვის უმეთვალყურეოდ დატოვება (საგზაო მოძრაობის შესახებ საქართველოს კანონის 26-ე (6; 8 და 9) მუხლი);
- ზოგადი წესის შესაბამისად, 14-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვან პაციენტს (პირი, რომელიც სამედიცინო მომსახურების გამწვევის შეხედულებით სწორად აფასებს საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობას) ან არასრულწლოვან პაციენტს, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ქმედუნარიანად ითვლება უფლება

119 შემდეგში - სსკ

120 შემდეგში - ამკ

121 შემდეგში - ასკ

აქვს მოითხოვს მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მიწოდების შეზღუდვა კანონიერი წარმომადგენლისთვის. ამავე კატეგორიის არასრულწლოვნებს აქვთ უფლება ინფორმირებული თანხმობა განაცხადონ სამედიცინო მომსახურების განევაზე. კანონიერი წარმომადგენლის ჩართვა დაიშვება საგამონაკლისო წესით (პაციენტის უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მე-40 და 41-ე მუხლები).

ბავშვთა ასაკის დიფერენცირების კუთხით, მნიშვნელოვანია, ასევე, სამოქალაქო სამართლის დებულებები 14 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვისას, ხოლო სასამართლოს შეხედულებით – 14-დან 18 წლის ასაკამდე მოწმის დაკითხვის დროსაც, შეიძლება მოწვეულ იქნეს პედაგოგი, აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება მოიწვიონ აგრეთვე მშობლები, მშვილებლები, მეურვეები ან მზრუნველები. აღნიშნულ პირებს, სასამართლოს ნებართვით, შეუძლიათ მისცენ მოწმის შეკითხვები(სამოქალაქო საპროცესო კოდექსის<sup>122</sup> მუხლი 152-1);

- პირის შრომითი ქმედუნარიანობა დგება 16 წლის ასაკიდან (შრომის კოდექსი მუხლი 4), რაც 16 წლამდეც შესაძლებელია კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. ასევე, 14 წლამდეც შესაძლებელია, მხოლოდ სპორტულ, ხელოვნების, კულტურის, ასევე სარეკლამო სფეროში; 16-18 წლამდე არასრულწლოვნის სამუშაო დრო კვირაში მაქსიმუმ 36 სთ უნდა იყოს. 14-16 წლის მაქსიმუმ 24 სთ (შრომის კოდექსი მუხლი 14);
- სამოქალაქო სამართლებრივი უფლებაუნარიანობა წარმოიშობა დაბადების მომენტიდან; მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, ამ უფლების განხორციელება კი დაბადებაზეა დამოკიდებული. (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 11);
- 7 წლამდე ასაკის ბავშვი (მცირეწლოვანი) ქმედუნაროა. მისი ნების გამოვლენა ბათილია (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 58.1); 7-დან 18 წლამდე შეზღუდულქმედუნარიანია. თუ იგი ხელშეკრულებას დადებს კანონიერი წარმომადგენლის წინასწარი თანხმობის გარეშე, კანონიერმა წარმომადგენელმა შემდგომ უნდა მოიწონოს, თორემ ხელშეკრულება არ განამდვილდება. აღნიშნული ჩანაწერი არ ეხება შემთხვევას, როდესაც არასრულწლოვანი სარგებელს იღებს. (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 63.1.).
- დელიქტური პასუხისმგებლობა იწყება 10 წლის ასაკიდან. თუკი მას საკმარისი ქონება ან შემოსავალი არ აქვს, დამატებითი პასუხისმგებლობა მშობლებსაც ეკისრებათ. 10-დან 18 წლამდე პირი პასუხს არ აგებს იმ ზიანისთვის, რომელიც სხვას მიაყენა, თუკი მას არ შეეძლო გაეგო თავისი ქმედების მნიშვნელობა. 10 წლამდე ბავშვის მიერ მიყენებულ ზიანს ანაზღაურებენ მის მეთვალყურეობაზე ვალდებული პირები. მათი პასუხისმგებლობა მაშინ გამოირიცხება, თუ მათ ზიანის თავიდან აცილება

122 შემდეგში - სპკ

- არ შეეძლოთ. (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 994);
- შვილად აყვანა დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვნის კეთილდღეობისთვის, თუკი მშვილებელსა და შვილს შორის ისეთივე ურთიერთობა ჩამოყალიბდება, როგორც შვილსა და მშობელს. მშვილებელსა და გასაშვილებელ ბავშვს შორის ასაკობრივი სხვაობა 16 წელზე ნაკლები არ უნდა იყოს (მუხლი 1239). თუ ბავშვს 10 წელი შეუსრულდა, მისი თანხმობის გარეშე მისი შვილად აყვანა დაუშვებელია (სამოქალაქო კოდექსის მუხლი 1255). 10 წლამდე ასაკის ბავშვის შემთხვევაში, მისი სურვილი მხედველობაში მიიღება; არასრულწლოვან ბავშვს უნესდება 7 წლამდე მეურვეობა, 18 წლამდე - მზრუნველობა, რომელიც მშობლის მზრუნველობის გარეშე დარჩა მშობლის გარდაცვალებისას, მშობლის უფლების ჩამორთმევისას და ა.შ;
  - 16-18 წლამდე არასრულწლოვნის სახელის ან გვარის შეცვლა დასაშვებია ამ პირის მოთხოვნით და მისი მშობლის (მშობლების) ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით. 16 წლამდე არასრულწლოვნის სახელის ან გვარის შეცვლა ხდება მისი მშობლების შეთანხმებით. მშობლების შეუთანხმებლობის შემთხვევაში არასრულწლოვნის სახელის ან გვარის შეცვლის საკითხს მისი ინტერესების გათვალისწინებით წყვეტს სასამართლო. თუ არასრულწლოვანს შეუსრულდა 10 წელი, მისი სახელის ან გვარის შეცვლა შესაძლებელია მხოლოდ მისი თანხმობით<sup>123</sup>.

## 2. ბავშვის ინტერესების ცნება

ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების უფლების მატერიალური დაცული სფერო არის ძალიან ფართო. ამაზე თავად ტერმინის განმარტებაც მოწმობს<sup>124</sup>.

ინტერესის, როგორც ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების ერთ-ერთი ელემენტის განხილვისას, პირველ რიგში, ყურადღებას იქცევს კეთილდღეობის ინტერესი, რომელიც გვხვდება როგორც კოდექსში, ისე კონვენციაში. კონვენცია ერთმანეთისაგან განასხვავებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და კეთილდღეობის ტერმინებს<sup>125</sup>, თუმცა, არ აკონკრეტებს არც ერთ მათგანს. კოდექსში კეთილდღეობა გვხვდება ბავშვის საუკეთესო ინტერესების ერთ-ერთ პუნქტად, თუმცა ის არ არის განმარტებული. თუ სისტემურ განმარტებას გამოვიყენებთ, ცხადი ხდება კეთილდღეობის როლი და ცენტრალური მნიშვნელობა. კოდექსი პირველი მუხლის პირველ პუნქტში თავის უპირველეს მიზნად სწორედ ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფას ასახელებს. შესაბამისად, თამამად შეგვიძლია დავეყრდნოთ, ასევე, კონვენციის დოგმატურ განმარტებას, რომელიც ამბობს, რომ ბავშვის კეთილდღეობა ბავშვის საუკეთესო

123 სამოქალაქო აქტების შესახებ კანონი, მუხლი 63.

124 კოდექსის მე-3 მუხლის „თ“ ქვეპუნქტი.

125 S Detrick *A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child* (Kluwer 1999 The Hague), გვ. 93.

ინტერესების ზოგადი პრინციპისგან განსხვავებით არის შედეგი<sup>126</sup>. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვის კეთილდღეობა არის ის შედეგი, რომლის უზრუნველყოფას ესწრაფვის კოდექსი, ხოლო საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება ამ შედეგის მიღწევის საშუალება. ფართო გაგებით კეთილდღეობა წარმოადგენს ძირითად მატერიალურ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო, ემოციურ და უსაფრთხოების საჭიროებებს.<sup>127</sup> კეთილდღეობა არის ის ხარისხი, სადაც ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა მოახდინონ იმ საკითხების უზრუნველყოფა, რომელიც მათთვის ძვირფასია.<sup>128</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ეს კოდექსში ცალსახად არ არის ნათქვამი, მისი სისტემური განმარტების საფუძველზე ვასკვნიტ, რომ კეთილდღეობა იმ სხვა ინტერესებსაც მოიცავს, რომელიც ჩამონათვალში არის მოცემული (ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი ზნეობრივი და სხვა ინტერესები)<sup>129</sup>. ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ, რა საჭირო იყო ამ ჩამონათვალის ცალკე გაკეთება?! ლოგიკური იქნება ამ კითხვას ვუპასუხოთ არგუმენტით, რომ დანარჩენი ჩამონათვალი გაკეთებულია უფრო მეტი სიცხადისთვის, იმისთვის რომ კოდექსის განმარტება უფრო ადვილი და მარტივად გასაგები იყოს მკითხველისთვის.

იმის გათვალისწინებით, რომ კეთილდღეობის გვერდით სხვა ინტერესებზე მითითება მისი შინაარსის ახსნას ემსახურება, მოკლედ უნდა შევეხოთ თითოეულს:

ა) უსაფრთხო გარემოში ბავშვის განვითარება, მისი საუკეთესო ინტერესების ერთ-ერთი შემადგენელია. ბავშვი უნდა იყოს თავისუფალი ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის ნებისმიერი ფორმისგან, ჩაგვრის ე.წ. ბულინგისგან, სექსუალური შევიწროებისა თუ ექსპლუატაციისგან, ნარკოტიკებისგან, შეიარაღებულ კონფლიქტებში მონაწილეობისგან და ა.შ.<sup>130</sup>

ბ) ბავშვის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს ჯანმრთელი. ეს მოიცავს როგორც ფიზიკურ, ასევე, ფსიქიკურ ჯანმრთელობას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

126 EE Sutherland 'Article 3 of the CRC: The Challenges of Vagueness and Priorities' in EE Sutherland and LA Barnes Macfarlane [Eds.] *Implementing of Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child : Best Interests, Welfare and Well-Being* (Cambridge University Press 2016 Cambridge), გვ. 21.

127 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 16.

128 P Anand, G Hunter and R Smith 'Capabilities and Well-Being: Evidence Based on the Sen-Nussbaum Approach on Welfare' 74 *Social Indicators Research* 9 (2005) .

129 იდენტურია ჩამონათვალი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსში, სადაც არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები განმარტებულია, როგორც არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

130 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 16.

გ) ბავშვის საუკეთესო ინტერესებს წარმოადგენს ჰქონდეს ხელმისაწვდომი ხარისხიანი განათლება ყველა საფეხურზე, როგორც ფორმალური, ასევე არა-ფორმალური. ამისათვის აუცილებელია შესაბამისი პედაგოგები, ბავშვისთვის შესაფერისი გარემო-პირობები, ისევე როგორც, სწავლების მეთოდები<sup>131</sup>.

დ) ბავშვის საუკეთესო ინტერესებია, რომ მისი მშობლები ან სხვა კანონიერი წარმომადგენლები ზრუნავდნენ მის ემოციურ განვითარებაზე. ბავშვებს ადრეული ასაკიდან უყალიბდებათ გარკვეული მიჯაჭვულობა მშობლებსა თუ სხვა აღმზრდელებზე, რომლის შენარჩუნების შემთხვევაში, ბავშვებს ექმნებათ სტაბილურობის განცდა. ამდენად, ყველა მშობელი თუ სხვა კანონიერი წარმომადგენელი უნდა ზრუნავდეს ბავშვის ჯეროვან ემოციურ განვითარებასა და მისთვის ემოციურად სტაბილური გარემოს შექმნაზე<sup>132</sup>.

ე) კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ზნეობრივ ინტერესებს. ზნეობა, როგორც კონსტიტუციური წყობის შესაბამისი დაუნერეელი ნორმების, საზოგადოებაში ინდივიდთა ქცევის წესების ერთობლიობა, რომელიც ამ საზოგადოების მიერ მიჩნეულია მოქალაქეობრივი თანაცხოვრების აუცილებელ წინაპირობად<sup>133</sup>, მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისთვის. ზნეობა ხშირად სუბიექტური ინტერპრეტაციის საგანს წარმოადგენს. თაობათა თუ კონკრეტულ ინდივიდთა შორის შესაძლებელია წარმოდგენა ზნეობრივ ნორმებზე რადიკალურად განსხვავებული იყოს. თუმცა, შესაძლებელი ისეთი ზოგადი ნორმების იდენტიფიცირება, რაც მეტწილად საზოგადოების დიდი ნაწილისთვის მისაღებია. თითოეული შემთხვევა, სადაც კონკრეტული ნორმის ზნეობრივ ნორმად სუბსუმირება ხდება, დიდი სიფრთხილის გამოჩენას მოითხოვს. დროთა განმავლობაში ზნეობრივი ნორმები განიცდის ცვლილებას, იხვეწება, ხოლო ზოგი მათგანი ქრება.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტებისთვის, შეიძლება გამოყენებულ იქნას მიზნები, რომელიც მოცემულია პირველი მუხლის მე-2 პუნქტში, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის კეთილდღეობის მიღწევას. ეს არის ღირებულებათა ის სისტემა, რომელიც წარმოადგენს კოდექსის ღერძს, როგორცაა ბავშვის მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ისევე როგორც მისი აღზრდა სამშობლოს სიყვარულისა და სხვა კულტურათა პატივისცემის გრძნობით, მისი ორიენტირება შრომასა და ჯანსაღ ცხოვრებაზე, ისევე როგორც ოჯახზე, როგორც უმთავრეს ღირებულებაზე და ა.შ.

ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცული სფეროს განსაზღვრისათვის ნიშანდობლივია დამატებით ორი ტერმინი: ბავშვისთვის საფრთხის შემცვე-

131 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 16.

132 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 16.

133 ი ბერაია, ნ გელაშვილი, ქ გიორ გიშვილი, ლ იზორია, ს კილაძე, დ მუზაშვილი, პ ტურავა *საპოლიციო სამართალი* (შსს აკადემია 2015 თბილისი) გვ. 109.

ლი ინფორმაცია<sup>134</sup> და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი<sup>135</sup>. კანონის მკვეთრი ნეგატიური გრამატიკული კონტექსტი, ისევე როგორც მისი ზოგადი პათოსი, ამ ტერმინებთან დაკავშირებით გვაძლევს იმგვარი განმარტების საშუალებას, რომ ეს მოცემულობა ვერ იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. პირველი მათგანი გულისხმობს ძალადობის ან დანაშაულის წახალისებისკენ მიმართულ ინფორმაციას, სექსუალური შინაარსის ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას, რომელიც ეწევა ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების ან აზარტული თამაშობის პროპაგანდას ან რომელიმე ძალადობის, მკვლელობის ან სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სცენები დეტალურადაა წარმოდგენილი. ასეთი ტიპის ინფორმაციას, ცხადია ვერ ჩავთვლით ბავშვის საუკეთესო ინტერესებში. ყველა განვითარებული ქვეყანა იცავს ბავშვებს ასეთი მავნე ზეგავლენის შემცველი ინფორმაციისგან. სწორედ ამიტომ, კოდექსმა და მისი მიღებისას თანმდევემა კანონებმა, განსაზღვრა მავნე ზეგავლენისაგან დაცვის მთელი რიგი მექანიზმები, რაც თავის მხრივ, ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის ტერმინი, კი, მოიაზრებს ისეთ ბავშვს, რომელზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამონვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები. ამ განმარტებიდან ჩანს, რომ ოჯახში განვითარება მშობლებთან ერთად და ისწავლოს გამონვევებთან გამკლავება, წარმოადგენს ბავშვისთვის უპირველეს საუკეთესო ინტერესს.

იმისათვის, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება იყოს მოქნილი, ქართველმა კანონმდებელმა არ განსაზღვრა ამომწურავად ჩამონათვალი და დატოვა სხვა ინტერესები, რომლის ქვეშ შესაძლებელია ყველა დანარჩენი შემთხვევის სუბსუმირება. თუმცა, ეს უკანასკნელი უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების კოდექსისეული ზოგადი პათოსის გათვალისწინებით და იდენტიფიცირდება არა კოდექსისგან განცალკევებულად, არამედ მთელი კონტექსტის გათვალისწინებით.

### **3. ბავშვის ინტერესების პრიორიტეტულად მშობლის მიერ განსაზღვრა**

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა ხდება პრიორიტეტულად მშობლის მიერ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

პრობლემურია საკითხი, მშობლის მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა უფლების დაცული სფეროა თუ მისი შეზღუდვის საფუძველი.

134 კოდექსის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

135 კოდექსის მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი.



თუ ჩავთვლით, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის პატივისცემა არის უფლება, ხოლო მშობელი ზღუდავს ამ ინტერესს თავისი მოსაზრების საფუძველზე, შესაძლებელია ეს იყოს არგუმენტი იმისთვის, რომ ის შეფასდეს არა დაცულ სფეროდ, არამედ უფლების შეზღუდვის საფუძველად. თუმცა, ამის საპირისპირო მოსაზრების ჩამოყალიბება შესაძლებელია, პირველყოფლისა, გრამატიკული განმარტების მეთოდის საფუძველზე: კოდექსი ცხადად მიუთითებს, რომ მშობელი პრიორიტეტულად განსაზღვრავს ამ ინტერესს. სხვა შემთხვევაში, კანონმდებელი გამოიყენებდა სიტყვას-ზღუდავს. ამდენად, სწორედ დაცული სფეროს ფარგლებში უნდა იქნას განხილული „პრიორიტეტულად მშობლის მიერ განსაზღვრის“ საკითხი.

კოდექსის შემუშავების პროცესში, მშობლის მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულად განსაზღვრის პოსტულატი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მეტად შეუთანხმებელი საკითხი, რომელზეც ფართო დისკუსია გაიმართა. გამოიკვეთა ორი ურთიერთსაპირისპირო მიდგომა:

ა) ულტრალიბერალური ფრთის არგუმენტი იყო, რომ მშობლები საერთოდ არ უნდა განსაზღვრავდნენ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რადგან ეს არის ობიექტური განზომილება და იმ შემთხვევაში თუ მშობელი არის ცუდი, ბავშვის საუკეთესო ინტერესები დაზარალდება. მათი მოსაზრება ემყარებოდა ცუდი მშობლის კონცეფციას. ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ოჯახის ინსტიტუტი საქართველოსთვის არის მნიშვნელოვანი. მსოფლიოს სხვადასხვა საზოგადოებებში ბავშვები ექვემდებარებიან სტრუქტურებს, როგორცაა ოჯახი, სკოლა, სხვა ინსტიტუტები, სადაც მშობლების სუვერენიტეტი და მასში ჩაურევლობის პრინციპი ნამყვან როლს ასრულებს.<sup>136</sup> კონვენციაც განსაზღვრავს პრეზუმფციას, რომ როგორც წესი, მშობლები პატივს სცემენ ბავშვის უფლებებს და მის საუკეთესო ინტერესებს, რაც არის მათი ბუნებითი უფლება.<sup>137</sup> სახელმწიფოს აქვს მოლოდინი, რომ ძირითად შემთხვევებში, მშობლები მათ უფლება-მოვალეობებს შეასრულებენ ჯეროვნად და როგორც წესი, ეს ასეც ხდება.

ბ) ულტრაკონსერვატიული ფრთის არგუმენტს წარმოადგენდა ის, რომ მშობლებმა ყველაზე კარგად იციან რა არის თავისი ბავშვის საუკეთესო ინტერესები და რომ სახელმწიფოს მხრიდან ჩარევა ამ საქმეში ზარალს მიაყენებს ოჯახის ინსტიტუტს და შეარყევს მის მდგრადობას. მათი მოსაზრება ემყარებოდა ცუდი სახელმწიფოს კონცეფციას. ამ მოსაზრებას აბათილებს არგუმენტი, რომ მართალია, ძირითად შემთხვევებში, მშობელი ასრულებს თავის უფლება-მოვალეობებს. თუმცა, არიან ისეთი მშობლები, რომლებიც ვერ ან არ ასრულებენ თავის ვალდებულებას. ამ შემთხვევაში, როგორ ვიცავთ იმ ბავშვს, რომელიც არის ძალადობის მსხვერპლი? რომელიც ვერ იღებს სათანადო განათლებას ან მას აიძულებენ მძიმე შრომას, ან სულაც პროსტიტუციას ან პორნოგრაფი-

136 J Eekelaar and J Tobin ‘Article 3: The Best Interests of the Child’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 76.

137 J Eekelaar and J Tobin ‘Article 3: The Best Interests of the Child’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 89.

აში ჩაბმას?! თუ სახელმწიფო არ ჩაერევა ასეთ შემთხვევებში და არ დაიცავს ბავშვს, მისი საუკეთესო ინტერესი იქნება უგულვებლყოფილი და გრძელვადიან პერსპექტივაში, ჩვენ მივიღებთ საზოგადოებას, სადაც ჯანსაღი ადამიანები აღმოჩნდებიან უმცირესობაში.

კოდექსმა აირჩია პრობლემის დაბალანსებული გადანყვეტის გზა. მშობლისა და სახელმწიფოს ურთიერთობაში, ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის უფლება, პირველყოვლისა, აქვს მშობელს. სახელმწიფო არის სუბსიდიარული უფლების მატარებელი, ანუ სახელმწიფო ერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობელი არღვევს იმ მინიმუმ სტანდარტს, რომლის დაცვა მას მოეთხოვება და რაც აუცილებელია ბავშვის კეთილდღეობისთვის. ეს შეეხება არა მხოლოდ უშუალოდ იმ საკითხებს, რომელიც ბავშვს პირდაპირ უკავშირდება, არამედ მაშინაც, როდესაც თემა ირიბად ეხება არასრულწლოვანს.<sup>138</sup> მშობლის უფლება სხვა არაფერია, თუ არა უფლება მართონ შვილები შვილების სასიკეთოდ.<sup>139</sup> თუმცა, ბუნებრივია, ბავშვს გარკვეულ შემთხვევებში სჭირდება დაცვა. სახელმწიფო ერევა მხოლოდ მაშინ, როდესაც მშობლის ქმედება ეწინააღმდეგება კოდექსის, კონსტიტუციის, კონვენციისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების დათქმებს, ანუ იმ მინიმუმ სტანდარტებს, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს შიდა ნორმატიული და საერთაშორისო ვალდებულებებით. ერთი მხრივ, მშობელს, აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვროს ბავშვის საუკეთესო ინტერესები, ეს მისი ბუნებრივი უფლებამოსილებაა. მეორე მხრივ, იმისათვის რომ დაცული იყოს თითოეული ბავშვი, ამ დისკრეციის ზღვარი არის კოდექსი და ის შიდასახელმწიფოებრივი თუ საერთაშორისო ვალდებულებები, რომლებიც შეიცავენ იმ მინიმუმ სტანდარტს, რომელზეც შეთანხმებულია თანამედროვე მსოფლიო.

#### **4. ინტერესების განსაზღვრა ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით**

კოდექსის მოთხოვნაა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას აუცილებელია ინდივიდუალური მახასიათებლების გათვალისწინება, თუ საკითხი ეხება კონკრეტულ ბავშვს. ეს მახასიათებელი შესაძლებელია იყოს მისი ასაკი და სიმწიფის ხარისხი<sup>140</sup>, მისი სპეციფიური სიტუაცია, პერსონალური კონტექსტი და საჭიროებები.<sup>141</sup> თუ ზოგადი სიტუაციის შეფასება ხდება, მაგალითად, კანონმდებლების მიერ, მაშინ ზოგადად, ბავშვთა მთელი ჯგუფის

138 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 92.

139 J Locke *Second Treatise of Government: Essay concerning the True Original, Extent and End of Civil Government* (Black Swan 1690 London), პუნქტი 132.

140 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 13.

141 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 9.

ინტერესების ანალიზი და შეფასება უნდა მოხდეს.<sup>142</sup> აქვე მოიაზრება კულტურული თავისებურებებიც. თუმცა, ამ უკანასკნელთან დაკავშირებით ხშირია პრობლემური თემები, რადგან სხვადასხვა კულტურას შესაძლებელია, განსხვავებული წარმოდგენა ჰქონდეს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ერთ-სა და იმავე საკითხზე<sup>143</sup>. ასეთ შემთხვევაში, გადანყვეტილებას, როგორც წესი, იღებს სასამართლო. თუმცა, კულტურული თავისებურებების პატივისცემა არ არის შეუზღუდავი<sup>144</sup>. დაუშვებელია მისი გათვალისწინება ისეთ შემთხვევებში, რომელიც ბავშვის კეთილდღეობას უქმნის საფრთხეს. მაგალითად, გოგონების გენიტალიების დასახიჩრება წარმოადგენს ტრადიციას გარკვეულ კულტურებში, თუმცა, ის კატეგორიულად შეუთავსებელია ბავშვის უფლებების თანამედროვე გაგებასთან, რადგან ინვესტ გოგონების ჯანმრთელობის მძიმე შერყევას და წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან<sup>145</sup>. ასევე, ქართული თანამედროვე საზოგადოებრივი სივრცისთვის მიუღებელია ბავშვთა ქორწინება, რაც მისაღებია ზოგიერთი კულტურის საზოგადოებაში.

კიდევ ერთი აუცილებელი ასპექტი არის ბავშვის მონაწილეობის უფლება და მისი აზრის გათვალისწინება. ისტორიული კონცეფციის მიხედვით, ბავშვი უნდა ყოფილიყო დანახული, მაგრამ არა მოსმენილი<sup>146</sup>. კოდექსის მიხედვით, თუ საკითხი ეხება ბავშვს, მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას ბავშვის აზრი უნდა იქნას მოსმენილი. მხოლოდ იმიტომ, რომ ის არის ასაკით პატარა, ეს ფაქტი არ ართმევს ბავშვს უფლებას გამოხატოს საკუთარი აზრი. ეს უფლება გადანყვეტილების მიღების პროცესში მისი მონაწილეობის გარანტიაა.<sup>147</sup> ბავშვის მოსმენა არის უფლების მეორე მნიშვნელოვანი აუცილებელი ელემენტი. კოდექსი ადგენს ბავშვის აზრის გათვალისწინების ვალდებულებას<sup>148</sup>, რაც ბავშვის მოსმენის გარეშე ვერ მიიღწევა. აზრის გათვალისწინება

142 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 9.

143 M Freeman *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child: Article 3 The Best Interests of the Child* (Nijhoff 2007 Leiden), გვ. 2.

144 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 98.

145 Committee on the Rights of the Child 'Concluding Observations: Senegal' (1995) CRC/C/15/Add.44, პუნქტი 24.

146 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 85.

147 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 13.

148 კოდექსის მე-8 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადანყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ, დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა. ასევე, კოდექსის მე-14 და 78-ე მუხლები ადგენს ბავშვის უფლებას საკუთარი მოსაზრების გამოხატვაზე და მის სათანადოდ გათვალისწინებაზე.

უნდა გაიმიჯნოს მოთხოვნის დაკმაყოფილებისგან<sup>149</sup>. აზრის გათვალისწინება გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება მიიღება ბავშვის მიერ გამოთქმული აზრის შეფასების საფუძველზე, რაც არ მოიაზრებს მის სავალდებულო გაზიარებას. მოთხოვნის დაკმაყოფილება დამოკიდებულია სხვა დამატებით კრიტერიუმებზე. ბუნებრივია, რომ ყველა შემთხვევაში ვერ მოხდება ბავშვის მიერ გამოთქმული მოსაზრების გაზიარება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ბავშვს მისი ასაკის და სიმწიფის ხარისხის გამო ხშირად არ შეუძლია გადაწყვიტოს, რა არის მის საუკეთესო ინტერესებში. ამდენად, უნდა მოხდეს ბავშვის მოსმენა და მისი მოსაზრების გათვალისწინება, ხოლო დაკმაყოფილება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი აზრი არ ეწინააღმდეგება მისსავე კეთილდღეობას. მაგალითად, თუ ბავშვის რელიგიური მოსაზრების გამო უარს ამბობს აუცილებელ სამედიცინო პროცედურებზე, უარი უნდა ეთქვას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან მას აკლია ამ საკითხის მნიშვნელობის გააზრების შესაძლებლობა<sup>150</sup>.

---

149 ეს გამომდინარეობს საერთაშორისო ვალდებულებებთან ერთად, სზაკ-ის 96-ე მუხლის მოთხოვნიდან, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია ადმინისტრაციული წარმოებისას გამოიკვილოს საქმისათვის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებებთან შეფასებისა და ურთიერთშეჩერების საფუძველზე. სზაკ-ის 97-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაინტერესებული მხარის მოსმენა არის მტკიცებულებების (საქმისათვის მნიშვნელოვანი გარემოებების) მოპოვების საშუალება, ხოლო გათვალისწინების ვალდებულება გულისხმობს მოპოვებული მტკიცებულებების გამოკვლევის ვალდებულებას. ორივე ერთობლიობაში ქმნის გადაწყვეტილების მიღების საფუძველს, რაც შეიძლება იყოს დადებითი (დაკმაყოფილება) ან უარყოფითი (დაკმაყოფილებაზე უარის თქმა).

150 T Picono-Novales ‘Religious Freedom and Protection of the Right to Life in Minors: A Case Study’ in: M Maclean and J Eekelaar [Eds.] *Managing Family Justice in Diverse Societies* (Hart Publishing 2003 Oxford ), გვ. 8.

## §9. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება

### 1. უპირატესობის მინიჭების ცნება

მე-5 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს, რომ ბავშვს უფლება აქვს მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს. თუ კოდექსით დაცულ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უპირატესობა არ მიენიჭება, სახეზე გვაქვს ბავშვის უფლებებში ჩარევა.

ეს მუხლი მოიცავს ნებისმიერ ქმედებას, იგულისხმება მოქმედება თუ უმოქმედობა<sup>151</sup>, მათ შორის, გადაწყვეტილების მიღება<sup>152</sup>. ის შეიძლება იყოს კონკრეტული, რომელიც ინდივიდუალურ ბავშვს ან ბავშვთა იდენტიფიცირებად ჯგუფს ეხება.<sup>153</sup> მაგალითად, კონკრეტული ძალადობის მსხვერპლი ბავშვი, რომელზე ზრუნვის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს. ამ შემთხვევაში უნდა გადაიდგას გაზომვადი ნაბიჯები იმისთვის, რომ მაგალითად, ამ ბავშვს გაენიოს შესაბამისი სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება, არ ჩამორჩეს სკოლაში პროგრამას, ჰქონდეს შესაბამისი ოჯახური გარემო და განვითარდეს ნორმალურად. ასევე, ეს ქმედება შეიძლება იყოს ზოგადი, რომელიც ეხება ბავშვებს ან არაიდენტიფიცირებად ბავშვთა ჯგუფს.<sup>154</sup> მაგალითად, პარლამენტის მიერ გამოკვეთილი კონკრეტული საკითხი ბავშვთა პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის შესამცირებლად, რასთან დაკავშირებითაც მიღებულ იქნა შესაბამისი საკანონმდებლო პაკეტი. ასეთი ფართო განმარტება მნიშვნელოვანია, რომ მოცული იყოს ყველა ის საკითხი, რომელიც ეხება ბავშვებს.<sup>155</sup>

ასევე უნდა განვასხვაოთ ორი ტიპის ღონისძიებები. პირველი, როდესაც ის პირდაპირ ეხება ბავშვს, მეორე როდესაც ის მას ირიბად ეხება<sup>156</sup>. ორივე შემთხვევაში, გადაწყვეტილების მიმღებს მართებს განსაკუთრებული ყურადღების გამახვილება ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაზე კონკრეტული გარემოებების მხედველობაში მიღებით. ის, რომ კონკრეტული საკითხი ირიბად ეხება ბავშვს, არ ნიშნავს ნორმის ადრესატი ვინმე თავისუფლდება ვალდებულებისგან, ანგარიში გაუწიოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

151 Committee on the Rights of the Child, General Comment No14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 17.

152 იხ. კოდექსის მე-5 მუხლის მე-6 პუნქტი.

153 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child pp.74-106' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 78.

154 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child pp.74-106' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 78.

155 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child pp.74-106' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 78.

156 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child pp.74-106' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 79.

მისი უფლებელყოფა გამოიწვევს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ შედეგებს. კოდექსის ხიზლიც ის არის, რომ ის დეკლარაციულად კი არ განსაზღვრავს უფლებებს, არამედ აწესებს იმ სამართლებრივ შედეგებს, რომელიც მოჰყვება ამა თუ იმ უფლების დარღვევას. ამ შემთხვევაში ბავშვის უფლებას გათვალისწინებული იქნას მისი ინტერესები მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას.

სამართლებრივი შედეგი შესაძლებელია სხვადასხვა სახის იყოს. დამოკიდებულია დამრღვევ სუბიექტზე და იმ პასუხისმგებლობაზე, რაც განსაზღვრულია კოდექსით თუ საქართველოს სხვა კანონებით. მაგალითად, თუ ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ იქნა გათვალისწინებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტში, რომელიც ბავშვს ეხება, ეს არის ამ აქტის ბათილად გამოცხადების საფუძველი სასამართლოსთვის. იმ შემთხვევაში, თუ კანონქვემდებარე ნორმატიული აქტი არ ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, ეს აქტი წინააღმდეგობაში მოდის კანონთან, შესაბამისად არის კანონსაწინააღმდეგო და უნდა გაუქმდეს ან მასში შევიდეს ცვლილება და აღმოფხვრას შეუსაბამობა.

დარღვევის შემთხვევაში, ფიზიკური და იურიდიული პირისათვის შესაძლებელია პასუხისმგებლობის დაკისრება. ეს პასუხისმგებლობა სხვადასხვა პირებისთვის სხვადასხვაა და პირდაპირ გამომდინარეობს კოდექსისა თუ თანმდევი კანონპროექტებისგან. ასევე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუ რა დარღვევაზეა საუბარი ინდივიდუალურ შემთხვევაში. მაგალითად, თუ ტელემაუნწყებელმა არ გაითვალისწინა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და ეთერში განათავსა ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაცია კანონით აკრძალულ დროს, პირველ ჯერზე მიეცემა გაფრთხილება, ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ის დაჯარიმდება. თუ იგივე იქნა გამეორებული, მაშინ მარეგულირებელი კომისია მას უჩერებს ავტორიზაციას.

## 2. კოლიზია ინტერესებს შორის

საბოლოო ჯამში, კოდექსი უზრუნველყოფს მრავალმხრივ და ერთიან მიდგომას ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას, ისევე როგორც კონვენცია<sup>157</sup>. მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ყველა შესაბამისი საკითხი. ამასთანავე, გადაწყვეტილების მიმღებს ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ გამოიკვილოს ყველა ის გარემოება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეიძლება უკავშირდებოდეს და ამის მიხედვით მიიღოს ოპტიმალური გადაწყვეტილება. როდესაც რამდენიმე ელემენტის თანხვედრა ხდება, თითოეული მათგანის წონისა და მნიშვნელობის შეფასება უნდა მოხდეს კონტექსტიდან გამომდინარე.<sup>158</sup> ყველა ელემენტი ერთდროულად ერთნაირად მნიშვნელოვანი არ

157 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child pp.74-106' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 90.

158 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 17.

არის.<sup>159</sup> შესაძლებელია, რომ ზედმეტმა „დაცვამ“ ზოგჯერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უგულბელყოფას შეუწყოს ხელი. ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბავშვის ასაკი და სიმწიფე, რომელიც დგინდება ბავშვის ფიზიკური, ემოციური, კოგნიტიური და სოციალური განვითარების შესაბამისად<sup>160</sup>. არსებობს გრძელვადიანი და მოკლევადიანი საუკეთესო ინტერესები, რომლებიც შესაძლებელია ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავდებოდნენ. ის, რაც მოცემულ მომენტში კარგია ბავშვისთვის, გრძელვადიან პერსპექტივაში, შესაძლებელია ზიანი მოუტანოს მას. ამ შემთხვევაში, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ინტერესი, რომელიც არის ყველაზე ოპტიმალური არსებული სიტუაციიდან გამომდინარე.<sup>161</sup>

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ თუ რამდენიმე ელემენტის თანხვედრა გვაქვს სახეზე, უნდა მოხდეს მათი შეპირისპირება ინდივიდუალურად და უპირატესობა მიენიჭოს თითოეულ შემთხვევაში მნიშვნელოვანს.<sup>162</sup> ამასთან, აუცილებელია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესის განმარტება უნდა მოხდეს არა ბავშვის უფლებების შეზღუდვის<sup>163</sup>, არამედ მაქსიმალურად იმისთვის, რომ ბავშვმა კოდექსით გარანტირებული უფლებების რეალიზება შეძლოს.

### 3. ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების ვალდებული სუბიექტები

ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ ვინ არის ვალდებული გათვალისწინოს მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ბავშვის საუკეთესო ინტერესები. ამ კითხვაზე პასუხს ამავე მუხლის მე-3 პუნქტი გვაძლევს, რომელიც კომპლექსურ მიდგომას ითვალისწინებს და განსაზღვრავს, რომ ეს ვალდებულება აქვს საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკურ და იურიდიულ პირებს, რომელთაც შეხება აქვთ ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებთან. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ევალება ნებისმიერს, სახელმწიფო თუ კერძო პირს, ვისაც ბავშვთან რაიმე ფორმით აქვს შეხება. მათთვის უპირატესობის მინიჭება არის ამ პირების პირდაპირი ვალდებულება და არა დეკლარაციული პრინციპი ან არჩევანი.

ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების ვალდებულება, პირველყოვლისა აქვს სახელმწიფოს. იგულისხმება, როგორც საკა-

159 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) S.97.

160 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/GC/C/14, გვ. 18.

161 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 96.

162 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 97.

163 W Vandenhoe, GE Tuerkelli and S Lembrechts 'Article 3: Best Interest of the Child' in: *Children's Rights: A Commentary on the Convention on the Rights of the Child* (Edward Elgar 2019 Cheltenham), პუნქტი 3.10.

ნონმდებლო, ასევე, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. ასევე, იმ ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებს, ვინც საჯარო უფლებამოსილებებს ასრულებს. საკანონმდებლო ორგანომ, საქართველოს პარლამენტმა 89-ე მუხლის მიხედვით, უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს როგორც კანონების შემუშავებისა და მიღების პროცესში, ასევე, საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისას. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, პარლამენტმა ბიუჯეტის დაგეგმვისა და მიღების პროცესში<sup>164</sup> ადეკვატურად გაითვალისწინოს შესაბამისი სახსრები, რომელიც მატერიალურად უზრუნველყოფს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებას. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომელიც საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას უზრუნველყოფს, ისევე როგორც საპარლამენტო საბჭო.

კოდექსი ვრცელდება, საქართველოს მთავრობასა და აღმასრულებელი ხელისუფლების ნებისმიერ სხვა სტრუქტურულ ერთეულზე, ვისაც შეხება აქვს ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებთან. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს ჰქონდეთ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებაზე მგრძობელობა, რადგან კოდექსის მიხედვით, ბავშვის უფლებათა დაცვის წარმოსახვით ცენტრში სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობაა. მის მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესის ჯეროვანი უპირატესი გათვალისწინება ბავშვთა კეთილდღეობისთვის ცენტრალური მნიშვნელობისაა და აისახება საქართველოში ბავშვთა უფლებათა დაცვის მდგომარეობაზე.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ სასამართლო ხელისუფლების ყველა ეტაპზე, სადაც ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები მიიღება, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპი იყოს უზრუნველყოფილი. საერთო სასამართლოებთან ერთად იგულისხმება, ასევე, საკონსტიტუციო სასამართლო. რადგან კოდექსის სისტემით სასამართლო გვევლინება ბავშვის უფლებათა დაცვის მთავარ ინსტრუმენტად, შესაბამისად, ბავშვის უფლებათა რეალიზაციის გარანტიების სიძლიერე დიდწილად დამოკიდებულია სასამართლოს გადაწყვეტილებებზე. მათ შორის, გადამწყვეტია მოსამართლის კვალიფიკაცია, რამდენად იცნობს ის კოდექსის სისტემას და რამდენად გამოიყენებს მართლმსაჯულებაში. ამდენად, სასამართლოს მიერ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება არის გადამწყვეტი, იმ შემთხვევაში როდესაც საკანონმდებლო თუ აღმასრულებელი ხელისუფალი ჯეროვნად არ მიაქცევს მას ყურადღებას.

კოდექსი განსაკუთრებულად გამოყოფს, რომ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამები ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს. ამ მიმართულებით, სახელმწიფოს ვალდებულება ისედაც აქვს, თუმცა კოდექსი კიდევ ერთხ-

164 J Eekelaar and J Tobin 'Article 3: The Best Interests of the Child pp.74-106' in: J Tobin [Ed.] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford), გვ. 78.



ელ უსვამს ხაზს და განსაკუთრებულ რანგში აჰყავს პროგრამები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ბავშვთა კეთილდღეობა კონკრეტული მიმართულებებით და რომელზეც შესაძლებელია გარკვეულწილად მონყვლადი ბავშვების შემდგომი განვითარების ბედიც კი იყოს დამოკიდებული. აქ იგულისხმება, როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ასევე, მუნიციპალური პროგრამები.

მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი განსაკუთრებულ მოთხოვნებს განუსაზღვრავს სახელმწიფოს ჩამონათვალის მეშვეობით, რომელიც წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის გამოძახილს. სახელმწიფო ვალდებულია, არა მხოლოდ თავად მინიჭოს უპირატესობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, არამედ, შექმნას იმგვარი სისტემა, სადაც ყველა ის ორგანო, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ვისაც შემხებლობა აქვს ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებთან, უზრუნველყოფდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭებას. მათ შორის, მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფომ იხელმძღვანელოს მულტი-დისციპლინური მიდგომითა და სპეციალიზაციის პრინციპის გათვალისწინებით. თუ ბავშვთან მომუშავე პირი არ არის მომზადებული ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების სპეციფიკაზე პროფესიონალური თვალსაზრისით და თუ არ არსებობს გამართული კოორდინაციის სისტემა, რომლის მეშვეობითაც, სხვადასხვა რგოლები ერთიანი სტრატეგიით მუშაობენ ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადაჭრაზე სხვადასხვა კუთხით, ბავშვის საუკეთესო ინტერესები ვერ იქნება უპირატესად გათვალისწინებული. ამდენად, აუცილებელია სპეციალიზებული პერსონალი, რომელსაც, მათ შორის, აქვს პროფესიული განვითარების შესაძლებლობაც უზრუნველყოფილი<sup>165</sup>.

სახელმწიფოსთან ერთად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების ვალდებულება აქვს, ასევე, მშობლებსა და სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, ანუ ოჯახს<sup>166</sup>. ერთი მხრივ, მშობელი თუ აღზრდაზე პასუხისმგებელი პირი, თავად განსაზღვრავს პრიორიტეტულად, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესი, როგორც ზემოთაა აღნიშნული. თუმცა, მეორე მხრივ, ის თავად არის შებოჭილი იმ ობიექტური ჩარჩოებით, რომელიც წარმოადგენს ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფის გარანტიას. კოდექსის კონცეფციის მიხედვით, ბავშვზე ზრუნვის უფლება და ვალდებულება სწორედ მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს, ანუ მის ოჯახს გააჩნია. ამდენად, ბავშვის კეთილდღეობა, პირველ რიგში, სწორედ ოჯახის ფუნქციაა და თუ ამ ინტერესების გათვალისწინება არ ხდება, ბავშვის კეთილდღეობას ექმნება საფრთხე. სუბსიდიარობის პრინციპის მიხედვით, სახელმწიფო მხოლოდ იმ შემთხვევაში ერთვება, სადაც ბავშვი არის დაუცველი. მაგალითად, 10 წლის ბავშვი სისტემატურად აცდენს გაკვეთილებს სკოლაში, ეწევა მარბხუნას და ჩათრეულია კრიმინალურ საქმიანობაში. დედამ და მამამ იციან ბავშვის ამ რთული მდგომარეობის შესახებ, მაგრამ არავითარ ზომას არ იღებენ. ასეთ შემთხვევაში, ბავშვი არის საფრთხეში და მისი საუკეთესო ინტერესები სრულად უგულვებე-

165 S Schmahl Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 99.

166 იხ. კოდექსის 24-ე მუხლი.

ლყოფილია ოჯახის მიერ. ასეთ დროს ამოქმედდება სახელმწიფოს სუბსიდიარული უფლება ოჯახთან მიმართებით და სახელმწიფოს წარმომადგენლებმა უნდა მიიღონ ყველა შესაბამისი ზომა იმისათვის, რომ ეს ბავშვი დაუბრუნდეს სკოლას და ჩამოშორდეს მარიხუანას, კრიმინალს. ამდენად, განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი, მშობლებმა და სხვა კანონიერმა წარმომადგენლებმა სწორად შეაფასონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მის შესაბამისად იმოქმედონ.

თუმცა, არა მხოლოდ სახელმწიფო და ოჯახი, არამედ ყველა სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირი, ვისაც ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებთან აქვს შეხება, ვალდებულია უპირატესობა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. იგულისხმება, მათ შორის ფიზიკური თუ კერძო იურიდიული პირი. ამასთანავე, არ აქვს მნიშვნელობა, ეს პირი ასრულებს თუ არა საჯარო ფუნქციებს. იმ შემთხვევაშიც კი როდესაც საქმე გვაქვს კერძო ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, ყველა ვალდებულია გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და ეს სულაც არ არის მისი კეთილი ნება, ეს მისი ვალდებულებაა. მაგალითად, სრულწლოვანი მეზობელი სარგებლობს იმით, რომ ბავშვის ოჯახს არ აქვს შესაბამისი სახსრები და ფულის შოვნის დაპირებით, 13 წლის ბავშვს აზარტულ თამაშში აბამს. თამბაქოთი მოვაჭრე იურიდიული პირის წარმომადგენლები, იმისთვის რომ გაზარდონ გაყიდვები, ბავშვებთან უკეთებენ რეკლამას თავიანთ პროდუქციას.

სახელმწიფოს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, გამართოს სისტემა იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესი, მათ შორის, ოჯახში თუ ყველა სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირთან, რომელიც ბავშვთან დაკავშირებულ გადანყვეტილებებს იღებს. სისტემის შექმნა მოიაზრებს, ასევე, არსებული სტანდარტების ზედამხედველობის ეფექტიან მექანიზმებს<sup>167</sup> ყველა დონეზე. ამგვარი სისტემა კოდექსის სხვადასხვა მექანიზმების მეშვეობით, კანონის დონეზე შექმნილია. ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებისთვის გადამწყვეტია ამ ნორმების რეალობაში აღსრულება.

---

167 S Schmahl Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 99.

## **§10. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება ქართული სასამართლოების მიერ**

### **1. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა**

მნიშვნელოვანია ვნახოთ, თუ როგორ განიხილავდა საქართველოს სასამართლოები ბავშვის საუკეთესო ინტერესებს კოდექსის მიღებამდე. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი მოგვიანებით, ქვემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებების შემდეგ იქნა დამტკიცებული, სასამართლოების განმარტებები მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტებისას იმ შემთხვევაში, თუ ეს განმარტება კოდექსს არ ეწინააღმდეგება.

#### **(1) გადახდისუუნარო მსჯავრდებული არასრულწლოვანისთვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის ვალდებულების მშობლის, მეურვის ან მზრუნველისათვის დაკისრება**

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში<sup>168</sup>, რომელშიც მოსარჩელე ასაჩივრებდა სისხლის სამართლის კოდექსის ნორმას, რომლის მიხედვითაც თუ მსჯავრდებული არასრულწლოვანი გადახდისუუნარო იყო, სასამართლო მისთვის შეფარდებული ჯარიმის გადახდას აკისრებდა მშობელს, მეურვეს ან მზრუნველს. მოსარჩელე მიიჩნევდა, რომ მშობლისათვის ჯარიმის დაკისრება ეწინააღმდეგებოდა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის პრინციპს<sup>169</sup>. სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო ნორმის საფუძველზე მსჯავრდებულია არასრულწლოვანი. მშობელი არ არის დევნის ობიექტი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების არცერთ ეტაპზე და მისი დანაშაულებრივი ქმედება არ წარმოადგენს შესაფასებელ მოცემულობას. შესაბამისად, სადავო ნორმა არ ადგენს მშობლის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ამავე დროს, სადავო რეგულაცია ჯარიმას აკისრებს არასრულწლოვანს და არა მშობელს. ამ ურთიერთობაში მშობლის მონაწილეობა შემოიფარგლება არასრულწლოვანისთვის დაკისრებული სანქციის აღსრულებაში მონაწილეობით, რაც თავად ჯარიმის ბუნებიდან გამომდინარეობს. „ჯარიმას აქვს უნიკალური ხასიათი, რაც მას იმგვარ სისხლისსამართლებრივ სანქციად ხდის, რომლის სამართლებრივი გზით შესრულება დამნაშავის მაგივრად სხვა პირსაც შეუძლია“. ჯარიმის აღსრულება დაკავშირებულია ფულთან, როგორც გადაცემად საგანთან. ფულის ეს თავისებურება ჯარიმის გადახდას უკარგავს იმ პერსონალურ ხასიათს, რომელიც გააჩნია, მაგალითად, თავისუფლების შეზღუდვის ან აღკვეთის ფორმით სასჯელის მოხდას. მშობლისათვის ჯარიმის გადახდის დავალდებულებას არ აქვს სასჯელის დაკისრების მიზნები. მოცემულ შემთხვევაში მიზანია არასრულწლოვანი დამნაშავის მიმართ გამოყენებული იქნეს სასჯელის მსუბუქი ზომა – ჯარიმა, რაც ხელს უწყობს არასრულწლოვ-

168 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (რეგისტრაციის 416), ხელმისაწვდომია: <[www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)>

169 საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 42-ე მუხლის მე-5 პუნქტი და მე-40 მუხლის პირველი პუნქტი.

ნის სოციალურ რეაბილიტაციას და შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესებს. დასაშვებია, მშობელს დაევალოს გარკვეული ქმედებების განხორციელება არასრულწლოვნის რეაბილიტაციის ხელშეწყობისათვის. აღნიშნული გამომდინარეობს მშობლის ვალდებულებიდან იზრუნოს შვილზე. ამდენად, სახეზეა მშობლის (მეურვის, მზრუნველის) უფლების თავისივე მზრუნველობის ვალდებულებით ბოჭვა, რაც შესაბამისია კონსტიტუციასთან. შესაბამისად, კონსტიტუციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## **(2) არასრულწლოვნის გადაადგილების უფლება**

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საკონსტიტუციო სასამართლომ იმსჯელა არასრულწლოვნის გადაადგილების უფლებაზე, თავისუფლად გავიდეს საქართველოდან, როდესაც მშობლებს შორის არ არის შეთანხმება.<sup>170</sup> მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ნორმას, რომელიც მშობლებს შორის დავის შემთხვევაში, სასამართლოს ანიჭებს უფლებამოსილებას, საქმის საბოლოო გადაწყვეტამდე ერთ-ერთ მშობელს აუკრძალოს შვილის საქართველოს საზღვრებს გარეთ გაყვანა. სარჩელის შესაბამისად, სადავო რეგულირება ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 2018 წლის 16 დეკემბრამდე მოქმედი რედაქციის 22-ე მუხლით დადგენილ ქვეყნიდან თავისუფლად გასვლის უფლებას. საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქვეყნის თავისუფლად დატოვება იმ ტიპის უფლებაა, რომელსაც არასრულწლოვნები დამოუკიდებლად ვერ განახორციელებენ და მისი რეალიზება არასრულწლოვანი პირის მშობლებზეა დამოკიდებული. ამავე დროს, ორივე მშობელი თანაბრად არის უფლებამოსილი, მიიღოს გადაწყვეტილებები არასრულწლოვნის მიერ ამა თუ იმ უფლებით სარგებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, იქიდან გამომდინარე, რომ ქვეყნის დატოვება ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი არჩევანია, აღნიშნული უფლებით სარგებლობა მშობლებს შორის შეუთანხმებლობისას ვერ განხორციელდება მხოლოდ ერთი მშობლის გადაწყვეტილებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქვეყნის დატოვების საკითხზე მშობლებს შორის შეუთანხმებლობის შემთხვევაში, არასრულწლოვნის კონსტიტუციური უფლებით სარგებლობისათვის, უნდა არსებობდეს მშობლის ნების ჩანაცვლების და ბავშვის ინტერესების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების სათანადო მექანიზმი. მოცემულ შემთხვევაში მშობელთა ნების ჩამნაცვლებელი იყო სასამართლო, რომელიც საკითხის გადაწყვეტისას ხელმძღვანელობდა ბავშვის საუკეთესო ინტერესის ტესტით, რაც შესაბამისია კონსტიტუციასთან. სასამართლოს განმარტებით, საკითხის ამგვარად მონესრიგება არათუ არასრულწლოვნის საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ქვეყნიდან გასვლის უფლებას არ ზღუდავდა, არამედ ამ უფლების განხორციელებისათვის აუცილებელ კონსტიტუციურ მოთხოვნას წარმოადგენდა. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კონსტიტუ-

170 საქართველოსა და კანადის მოქალაქე გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ (კონსტიტუციური სარჩელი 1212). ხელმისაწვდომია: <[www.constcourt.ge](http://www.constcourt.ge)>

ციური სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

## 2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა

### (1) გონივრული ბალანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის

უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ სამოქალაქო კოდექსის 1214-ე მუხლის ფარგლებში სასამართლომ, ერთი მხრივ, უნდა დაადგინოს ბავშვთა ის მატერიალური აუცილებლობანი, რომლებიც მათი რჩენა-აღზრდის საკითხს მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს, ხოლო, მეორე მხრივ, გადაწყვეტილება უნდა იყოს აღსრულებადი, კერძოდ, ალიმენტვალდებულმა პირმა რეალურად უნდა შეძლოს დაკისრებული თანხის გადახდა. ამ შემთხვევაში სასამართლო ითვალისწინებს ბავშვების ასაკს, მათ ყოველთვიურ მატერიალურ საჭიროებას (დადგენილი გაანგარიშების გათვალისწინებით, თითოეული არასრულწლოვანის რჩენა-აღზრდის თანხა საშუალოდ 695-700 ლარს აღწევს), ქვეყანაში დადგენილ საარსებო მინიმუმს, სამოქალაქო კოდექსის 1197-ე და 1212-ე მუხლებით განსაზღვრულ მშობელთა თანაბრობის პრინციპს (შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები), მოდავე მხარეთა რეალურ მატერიალურ მდგომარეობას (ორივე მშობელი დასაქმებულია და აქვთ სტაბილური, თითქმის მსგავსი შემოსავალი, ორივე მათგანს გააჩნია გარკვეული ვალდებულება საბანკო სექტორის მიმართ), მათ უფლებას საარსებო მინიმუმსა თუ ოჯახის სხვა წევრთა მიმართ არსებულ მორალურ ვალდებულებებზე, ასევე იმას, რომ კასატორი ელოდება შვილს მეორე ქორწინებიდან და მიიჩნევს, რომ საერთო შვილების აღზრდაში მამის მატერიალური მონაწილეობა, მისი ყოველთვიური შემოსავლის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს თითოეული ბავშვის მიმართ 350 ლარით, რამდენადაც ამავე ოდენობით მატერიალური სახსრების მოსარჩელის მიერ განევის შემთხვევაში, დადგინდება გონივრული ბალანსი არასრულწლოვანთა ინტერესებსა (რაც მეტ-ნაკლებად უზრუნველყოფს ბავშვების საჭიროებებს) და მშობელთა სოციალურ თუ სხვა პასუხისმგებლობას შორის საზოგადოებაში<sup>171</sup>.

### (2) მშობელთან ურთიერთობის უფლება

უზენაესი სასამართლომ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში საქმე ეხებოდა ბავშვის უფლებას ურთიერთობა იქონიოს მშობლებთან, მათ შორის, მამის მოთხოვნა, შვილთან ურთიერთობა ბავშვის თავისთან რამდენიმე დღით დატოვების უფლებით. საქმეში არსებული მტკიცებულებებით დასტურდებოდა, რომ მცირეწლოვანს არ ჰქონია და არც ამჟამად აქვს მამასთან სტაბილური ურთიერთობა, კერძოდ, მათი ურთიერთობა შემოიფარგლება ბაღში და სკოლაში რამდენიმე შეხვედრით. ამასთან, საქმეში არსებული სოციალური სააგენტოს დასკვნის საფუძველზე ირკვევა, რომ ბავშვს გააჩნია მისთვის უსაფრთხო და

171 სუს გ №ას-619-619-2018 12 სექტემბერი, 2018 წელი) პ-1.3.8

მზრუნველი გარემო დედასთან, სადაც უზრუნველყოფილია როგორც საჭირო მოვლით, აგრეთვე – სათანადო მატერიალური რესურსით, აღნიშნულის საპირ-ნონედ, კი საქმის მასალებით დადგენილი გარემოება, რომ მამას არ აქვს სტაბილური საცხოვრებელი გარემო, ქმნის იმ ვარაუდის საფუძველს, რომ ბავშვი ვერ იქნება მისთვის საჭირო და კომფორტული გარემოთი უზრუნველყოფილი მამასთან. სასამართლო მიიჩნევს, რომ მამა-შვილის ურთიერთობა საჭიროებს პერიოდულ განვითარებას და პირდაპირ ბავშვის მასთან დარჩენა არ შეესაბამება მის ინტერესს. უფრო კონკრეტულად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში მამა-შვილის ურთიერთობა დადგენილ ფარგლებში (მასთან დარჩენის უფლების გარეშე), იმ წინაპირობის გათვალისწინებით, რომ მამას საერთოდ არ ჰქონია კონტაქტი შვილთან, იქნება წინაპირობა იმისა, რომ მამა-შვილს შორის ურთიერთობა, ფსიქოემოციური და ინტელექტუალური კავშირი განვითარდეს და გამყარდეს, რაც, ცხადია, შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და არ ხელყოფს მამის უფლებას, ურთიერთობა იქონიოს შვილთან.<sup>172</sup>

ერთ-ერთ საქმეში, საკასაციო სასამართლომ არ დააკმაყოფილა დედის საჩივარი, რომლითაც ამტკიცებდა, რომ მამის მიერ ბავშვის მასთან სახლში რამდენიმე საათით წაყვანა ბავშვზე უარყოფითად იმოქმედებდა. კასაცია მიუთითებს, რომ მამა შვილის მიმართ დადებითად არის განწყობილი, ის შემჩნეული არ არის ისეთ საქმიანობაში, რაც შეიძლება, საფრთხეს უქმნიდეს ბავშვის აღზრდასა და განვითარებას. გარდა ამისა, საკასაციო პალატას მნიშვნელოვნად მიაჩნია, რომ ბავშვმა იქონიოს ურთიერთობა მამის ოჯახში მცხოვრებ ახლო ნათესავებთანაც. ამავე დროს, სასამართლომ მიუთითა, რომ ბავშვის ასაკის გათვალისწინებით (6 წლის) არადაამაჯერებელია, რომ რამდენიმე საათით ბავშვის სხვა სახლში წაყვანა ზიანს მიაყენებს ბავშვის ფსიქოემოციურ მდგომარეობას.<sup>173</sup> მსგავსია საქმე, სადაც სასამართლომ განაცხადა, რომ იმ პირობებში, როდესაც დადგენილია, რომ ორივე არასრულწლოვანი ბავშვისთვის მნიშვნელოვანია მამის ოჯახი. მოპასუხე არ არის მოძალადე, პირიქით ის მზრუნველი მამაა, არასრულწლოვან ბავშვებს სურთ მამასთან ურთიერთობა, მოსარჩელეს აქვს მართლზომიერი უფლება ურთიერთობა იქონიოს არასრულწლოვან შვილებთან. ასეთი ურთიერთობის არ ქონა, ან ხელშეშლა კი, პირველ რიგში, დააზარალებს არასრულწლოვანთა ინტერესებს.<sup>174</sup>

ერთ-ერთ საქმეში, რომელიც განიხილა უზენაესმა სასამართლომ ბავშვის დედა სადავოდ ხდიდა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლითაც მამას მიენიჭა უფლება ბავშვები წაეყვანა ყოველ თვე ერთი კვირის განმავლობაში თავისთან. უზენაესმა სასამართლო ამ ნაწილში გააუქმა გადაწყვეტილება და ხელახლა განხილვისთვის დააბრუნა შემდეგ გარემოებათა გამო: დადგენილი ფაქტია, რომ ბავშვები დადიოდნენ ბაღში. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, შვილის სწავლა-დასვენებისა თუ სხვა მსგავსი საკითხების

172 საქმე №ას-557-516-2017 (15 სექტემბერი, 2017 წელი)

173 საქმე №ას-63-59-2017 (13 ნოემბერი 2018 წელი)

174 საქმე №ას-198-2019 (28 მაისი 2019 წელი)

განსაზღვრისას გონივრული შეფასება უნდა მიეცეს ბავშვის განსაზღვრული წესით გადაადგილებას და სწორად დადგინდეს იმ მშობლის ურთიერთობის წესი შვილთან, რომელთანაც ბავშვი მუდმივად საცხოვრებლად არ იმყოფება. საკასაციო სასამართლომ გაიზიარა დედის მოსაზრება, რომ მამის მიერ ყოველ თვეში ერთი კვირით შვილების ბოლნისში წაყვანა (დედა ბავშვებთან ერთად ბათუმში ცხოვრობდა) და მათი სასწავლო პროცესისაგან მოწყვეტა სერიოზულ პრობლემებს შეუქმნიდა ბავშვების აღზრდა-განვითარებას. პალატის მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლოს მოცემული საკითხის შეფასებისას უნდა გაეთვალისწინებინა, რომ ბავშვები ჩაბმულნი არიან სკოლამდელი სასწავლო პროცესში და უახლოეს მომავალში სწავლას დაიწყებენ სკოლაში, ხოლო ყოველ თვეში ერთი კვირით სასწავლო პროცესის გაცდენა არა მარტო სირთულეებს შეუქმნის მათ აღზრდა-განვითარებას და შეუზღუდავს ბავშვებს სწავლის უფლებას, არამედ შესაძლოა საფრთხე შეექმნას სასწავლო დაწესებულებაში მათი ყოფნის საკითხსაც. ამავე დროს, აპელაციას ყურადღება არ გაუმახვილებია იმ დადგენილ ფაქტზეც, რომ მოდავე მხარეების სახლებს შორის (ბათუმიდან ბოლნისამდე) მანძილი დაახლოებით 500 კილომეტრია, ხოლო იმ პირობებში, როდესაც საქმე ეხება მცირეწლოვანი ბავშვების გადაადგილებას, სასამართლოს არ გამოუყვლევია, ყოველ თვეში ორჯერ ამ მანძილზე მცირეწლოვანი ბავშვების მგზავრობა უარყოფითად ხომ არ იმოქმედებს მათზე და დაარღვევს თუ არა ბავშვების ცხოვრების ჩვეულ რიტმს, თუნდაც ისინი ჩაბმული არ იყვნენ სასწავლო პროცესში. ამასთან, კასაციის შეფასებით აპელაციამ არ გაიზიარა დასკვნები, სადაც მამა უარყოფითადაა დახასიათებული. კერძოდ, დედამ ოჯახიდან წამოსვლის გადაწყვეტილება ქმრის მხრიდან მასზე განხორციელებული ფიზიკური ძალადობის შემდეგ მიიღო. მოპოვებული ინფორმაციით დედას სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალური მუშაკის მიერ შეთავაზებული იქნა ოჯახური ძალადობის და ტრეფიკინგის მსხვერპლთა თავშესაფარში გადასვლა შვილებთან ერთად, თუმცა მან მშობლების ოჯახში დაბრუნება გადაწყვიტა. ამასთან, დასკვნაში მითითებულია, რომ მამა არ არის მშრომელი ადამიანი, ხშირად იმყოფება ნასვამ მდგომარეობაში. იგი ქურდობის ფაქტის გამო 2008 წელს იმყოფებოდა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში. დასკვნაში საუბარია ასევე მამის და მისი ოჯახის წევრების მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე. ამდენად, კასაციამ საქმის ხელახლა შესწავლაზე მიუთითა ქვემდგომ სასამართლოს.<sup>175</sup>

### **(3) ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა ბავშვის საუკეთესო ინტერესის ტესტის საფუძველზე**

უზენაესმა სასამართლომ, ასევე, დაადგინა, რომ როდესაც საკითხი ეხება ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას ან ბავშვთან ურთიერთობის წესს, ამოსავალი წერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესის ტესტი. ის სრულად იზიარებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომას და

175 საქმე №ას-876-826-2015 (26 თებერვალი 2016 წელი)

აღნიშნავს: „სასამართლოსათვის ამოსავალი პრინციპია, ბავშვის არა დაცვის ობიექტად მიჩნევა, არამედ მისი, როგორც სუბიექტის უფლებების აღიარება და დაცვა. აღნიშნული საკითხი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვის უფლებასთან და საუკეთესო ინტერესთან დაკავშირებული თითოეული საქმის განხილვისა და ინდივიდუალური შეფასებისას, რათა ეროვნული სასამართლოს გადანყვეტილებებში, იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული მშობლისა და ბავშვის უფლებებს, უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის უფლებებს. ”იმ შემთხვევაშიც კი, თუ საჭიროა ინტერესთა დაბალანსება, პრიორიტეტულია ბავშვის საუკეთესო ინტერესის კვლევა და მისი შესატყვისი გადანყვეტილების მიღება“. ამავე დროს, ოჯახური ცხოვრების პატივისცემაში იგულისხმება არა მხოლოდ ერთად მცხოვრები ოჯახის წევრების უფლებების დაცვა და პატივისცემა, არამედ, ცალ-ცალკე მცხოვრები ოჯახის წევრებს შორის კავშირის შენარჩუნება და ოჯახური გარემოს დაცვა.<sup>176</sup> უზენაესი სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, ოჯახის გაერთიანების ცნების ქვეშ ნაგულისხმევია არა მხოლოდ ერთ ჭერქვეშ ცხოვრება, არამედ, მშობლისა და შვილის მჭიდრო კავშირი, რასაც ყოველმხრივ უნდა შეუწყოს ხელი სასამართლომ, თუკი არ იკვეთება ბავშვის საუკეთესო ინტერესის სანინალმდეგო წინაპირობა, რადგან მშობლისა და ბავშვის ინტერესთა ბალანსის დაცვის პროცესში, სწორედ ბავშვის ინტერესია ამოსავალი და სახელმძღვანელო სასამართლოსა და ყველა ადმინისტრაციული თუ სხვა ორგანოსათვის, რაც უმეტესწილად გადანონის მშობლის ინტერესს.<sup>177</sup> ბავშვი არ უნდა განშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის სანინალმდეგოდ, იმ შემთხვევების გარდა, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადანყვეტილების თანახმად, განსაზღვრავენ სათანადო კანონისა და პროცედურების შესაბამისად, რომ ასეთი განშორება საჭიროა ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ განქორწინების შემთხვევაში ბავშვთან ურთიერთობის უფლება მშობელს, რომელთანაც შვილი არ ცხოვრობს, არათუ უნარჩუნდება, არამედ ევალება კიდევ. აღნიშნული გულისხმობს, მშობლის ვალდებულებას, შეძლებისდაგვარად, რეგულარულად იზრუნოს ბავშვზე, მისივე საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.<sup>178</sup>

ამავე დროს, უზენაესი სასამართლო ბავშვის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრისას მნიშვნელოვან კრიტერიუმად მიიჩნევს არის თუ-არა სახეზე დედამამიშვილები და მათი დაშორება რამდენად არის მათსავე ინტერესებში. კასაციამ განიხილა საქმე, სადაც დედას საზღვარგარეთ ჰყავდა წაყვანილი ერთ-ერთ შვილი, ხოლო მეორე ბებიასთან (დედის დედა) ჰყავდა დატოვებული, თუმცა ძმებს ინტენსიური კონტაქტი ჰქონდათ შენარჩუნებული. მამამ მოითხოვა ბებიასთან მყოფი ბავშვის საცხოვრებლად მისი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სხვებს შორის, მნიშვნელოვანი იყო იმის კვლევა, თუ რა გავლენას იქონიებს ძმების დაშორება, რამდენად ნეგატიუ-

176 საქმე №ას-557-516-2017 (15 სექტემბერი 2017 წელი)

177 სუსგ 1449-1369-2017 ( 20 აპრილი 2017 წელი)

178 საქმე №ას-1793-2018 (12 აპრილი 2019 წელი)



რად აისახება იგი მათ მდგომარეობაზე. ბავშვების დაშორებამ, შესაძლოა, მათი ემოციური დაშორებაც გამოიწვიოს, რაც ნეგატიურ ფაქტორად შეიძლება იქნეს შეფასებული ასეთ ვითარებაში. ამდენად, სასამართლომ ბავშვების ინტერესები სათანადოდ გამოკვლეულად არ მიიჩნია და საქმე ხელახლა განხილვისთვის დააბრუნა<sup>179</sup>.

საყურადღებოა უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 25 თებერვლის საქმე ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ 1980 წლის ჰააგის კონვენციის შესაბამისად არასრულწლოვანის დაბრუნება ჩვეულ საცხოვრებელ ადგილას. მამამ შვილი გერმანიიდან ჩამოიყვანა საქართველოში. გერმანია წარმოადგენდა ბავშვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილს. ბავშვის დედა, რომელიც გერმანიაში ცხოვრობს, დავობს მამის მიერ ბავშვის საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერი დაკავების თაობაზე და მოითხოვს ბავშვის დაბრუნებას გერმანიის ტერიტორიაზე. ერთი მხრივ, სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვი არ იყო საქართველოს ტერიტორიაზე არამართლზომიერად დაკავებული, რადგან არ დასტურდებოდა რომ დედამ მამას ბავშვი კონკრეტული ვადით გამოატანა. ამავე დროს, დასძინა, რომ არამართლზომიერად დაკავების დადასტურების შემთხვევაშიც ბავშვის გერმანიაში დაბრუნება არ შეესაბამებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესს, რადგან იგი ადაპტირებული იყო არსებულ გარემოსთან, მიჯაჭვული იყო მამაზე და არსებობდა სერიოზული რისკი, რომ გერმანიაში გამგზავრება ბავშვს ფსიქოლოგიურ საფრთხეს შეუქმნიდა. კასაცია ასკვნის, რომ გამოკვეთილია, რომ ბავშვს უყვარს მშობლები, თუმცა, უპირატესობას ანიჭებს მამასთან ყოფნას, რაც დადასტურებულია სპეციალისტთა მიერ არაერთხელ მომზადებული დასკვნით.

უზენაესმა სასამართლომ იმსჯელა ნაპოვნი ბავშვის დროებითი საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრაზე. ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ოჯახმა იპოვა მათ სახლთან დატოვებული ახალშობილი. შემდგომ იგი სასამართლოს მიერ აღიარებულ იქნა მიტოვებულად. სოციალური მომსახურების სააგენტო ამტკიცებდა, რომ ბავშვის მიმართ მიმდინარეობდა გაშვილების პროცედურა იქამდე კი ოჯახში ბავშვი კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებოდა. ამავე დროს, კანონი სწორედ სააგენტოს აძლევდა უფლებას განესაზღვრა გაშვილებამდე მიტოვებული ბავშვის ადგილსამყოფელი. სასამართლომ მიუთითა, რომ მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არარსებობა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბავშვის მიმღები ოჯახიდან წამოსაყვანად. ამავე დროს, შესაფასებელია ბავშვის ინტერესი. დადგენილია, რომ ოჯახი ბავშვზე ზრუნავს, თავის მხრივ, ახალშობილს დადებითი ემოცია აკავშირებს მათთან. სასამართლოს მითითებით გამოსაკვლევეია ის, სააგენტოს მიერ ახალი საცხოვრებლის განსაზღვრის შემთხვევაში ბავშვი იქნება თუ არა უკეთეს ს პირობებში და აუცილებელია სპეციალისტის დასკვნა ბავშვის მიერ ახალ გარემოსთან ადაპტირების კუთხით. სააპელაციო სასამართლოს აღნიშნული საკითხები არ გამოუკვლევეია, რატომაც შეუძლებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესის დადგენა, რის გამოც საქმე

179 საქმე №ას-53-51-2016 (6 ივლისი 2016 წელი)

ხელახლა განხილვისათვის დაბრუნდა ქვემდგომ ინსტანციაში.<sup>180</sup>

#### **(4) ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნების მნიშვნელობა ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას**

უზენაესი სასამართლო, ასევე, მიუთითებს, რომ ფსიქოლოგისა და სოციალური მუშაკის დასკვნები მნიშვნელოვანი მტკიცებულებებია ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრის დროს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში, ქვემდგომმა სასამართლომ მამა-შვილის ურთიერთობის აღდგენისათვის მშობლისა და შვილის კავშირი განსაზღვრა ორკვირიანი ინტერვალით იმგვარად, რომ არ გამოუკვლევია, თუ რამდენად შეუწყობს ხელს ამგვარი ურთიერთობის წესის დადგენა ბავშვის მშობელთან შეჩვევის პროცესს. აღნიშნულია, რომ შეძლებისდაგვარად უნდა იქნას გათვალისწინებული სუბიექტური ფაქტორებიც - ბავშვის მიერ არსებული სიტუაციის აღქმა, რაც შესაბამისი დაკვირვება-გამოკვლევის გზითაა შესაძლებელი, თუმცა მოცემულ საქმეში ასეთი-კვლევა ძიება არ იყო ჩატარებული. ამავე საქმეში, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მართალია, შვილის სწავლა-დასვენებისა თუ სხვა მსგავსი საკითხების განსაზღვრისას გონივრული შეფასება უნდა მიეცეს ბავშვის განსაზღვრული წესით გადაადგილებას და სწორად დადგინდეს იმ მშობლის ურთიერთობის წესი შვილთან, რომელთანაც ბავშვი მუდმივად საცხოვრებლად არ იმყოფება, მაგრამ სადავო საკითხის გადაწყვეტისას მშობლისა და შვილის ურთიერთობისათვის დამაბრკოლებელი ფაქტორი არ შეიძლება იყოს მხოლოდ მანძილი ბავშვის მუდმივ საცხოვრებელ ადგილსა და მშობლის საცხოვრებელ ადგილს შორის, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოდავე მხარეების სახლებს შორის მანძილი 8-10 კილომეტრია და ავტომობილით გადაადგილებას ესაჭიროება 5-10 წუთი. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლომ გააუქმა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და ხელახლა განხილვისთვის დააბრუნა.<sup>181</sup>

უზენაესი სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში, მამის მოთხოვნას წარმოადგენდა ბავშვის წაყვანა ლამისთევის უფლებით. თუმცა აღნიშნულ საქმეში მნიშვნელოვანი გარემოება იყო ბავშვის არასტაბილური ჯანმრთელობა (დაუდგენელი ქვევითი აშლილობა), რომელიც მას ავტოავარიის შედეგად განუვითარდა. რიგი გარემოებების გამოკვლევის გარეშე, მხოლოდ იმაზე დაფუძნებით, რომ ბავშვს მამასთან დადებითი ემოციური კავშირი ჰქონდა, სააპელაციო სასამართლომ მამას ბავშვის ლამისთევით დატოვების ნება დართო, რაც გასაჩივრდა დედის მხრიდან. კასაცია მიუთითებს, რომ ასეთ პირობებში მნიშვნელოვანია მამის საცხოვრებელი პირობების შესწავლა, რადგან ტრავმის გათვალისწინებით აუცილებელია მშვიდი, უსაფრთხო გარემოს არსებობა. მაგალითად, ახლოს ხომ არაა სარკინიგზო ლიანდაგი, პორტი და სხვ., სადაც

180 საქმე №ას-1213-1064-2010 (14 მარტი 2011 წელი)

181 საქმე №ას-602-570-2015 (20 ნოემბერი 2015 წელი)

ბუნებრივად, ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, ღამის საათებში მიმდინარეობს მუშაობა, რომელსაც გარკვეული ხმაური ახასიათებს. ამავე დროს, აუცილებელია ექიმების კონსილიუმის დასკვნა მცირეწლოვნის მამასთან ღამით დარჩენასთან დაკავშირებით. ასევე მნიშვნელოვანია შესწავლილი იქნეს, თვითონ ბავშვის მამა რამდენად ორგანიზებულია და შეუძლია, თუ არა, რომ მასთან ბავშვის ღამისთევით დატოვების შემთხვევაში უზრუნველყოს იმ სამედიცინო დანიშნულების ბავშვისათვის მიწოდების ზედმინევენით დაცვა და შესრულება, რაც აუცილებელია; სად ცხოვრობს ბავშვის დედა, რამდენად ექნება შესაძლებლობა, მას რომ, საჭიროების შემთხვევაში, დროულად მივიდეს ყოფილი მეუღლის სახლში ბავშვისათვის დახმარების აღმოსაჩენად. ამდენად, კასაცამ გააუქმა გადანყვეტილება და ხელახლა განხილვისთვის დააბრუნა საქმე.<sup>182</sup>

ასევე, ერთ-ერთ საქმეში უზენაესმა სასამართლომ განიხილა მამის საკასაციო საჩივარი, სადაც ის ითხოვდა შვილის მასთან წაყვანას რამდენიმე დღით. მამა ეყრდნობოდა ფსიქოლოგის დასკვნას, რომ მამასთან ურთიერთობა ბავშვის ემოციებზე დადებითად აისახებოდა. თუმცა ამის პარალელურად საკასაციო სასამართლო მიუთითებს მტკიცებულებებზე, რომ ბავშვი მამას ნეგატიურ კონტექსტშიც მოიხსენიებს, ასევე, განმარტავს იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რატომაც არ სურს მასთან წასვლა. გასათვალისწინებელია, რომ ბავშვს მამასთან ურთიერთობის გამო, დანაშაულის გრძნობა აქვს დედის მიმართ. აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ არასრულწლოვანი ეტაპობრივად უნდა მიეჩვიოს მამის საცხოვრებელ სახლში ყოფნას, საწყის ეტაპზე რამდენიმე საათით და თუ დაკვირვების შემდეგ გამოიკვეთება პოზიტიური დინამიკა, მხოლოდ აღნიშნულის შემდეგ შეიძლება მიჩნეულ იქნეს, რომ ორი დღე-ღამის განმავლობაში მამის საცხოვრებელ სახლში ბავშვის ყოფნა მასზე დადებითად აისახება.<sup>183</sup>

უზენაესმა სასამართლომ განიხილა საქმე, სადაც კასატორი (მამა) ასაჩივრებდა სააპელაციო სასამართლო გადანყვეტილებას, ბავშვების საცხოვრებლად დედის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრას. თუმცა უზენაესმა სასამართლომ ჩათვალა, რომ ბავშვების დედასთან ერთად ცხოვრება მათ საუკეთესო ინტერესს შეესაბამებოდა. კერძოდ, სასამართლო დაეყრდნო ფსიქოლოგის დასკვნას, რომ სარჩელის აღძვრამდე ბავშვები მამასთან ცხოვრობდნენ, რა დროსაც დედასთან ურთიერთობის დეფიციტი მათზე მატრამვირებელი იყო, ხოლო დედასთან შეხვედრის დროს ბავშვები გამოხატავდნენ სურვილს მათი შეხვედრა არ დასრულებულიყო. სასამართლომ თავადაც მოუსმინა არასრულწლოვან შვილებს პროცესზე და დაადგინა ბავშვების დადებითი დამოკიდებულება დედის მიმართ და მათი სურვილი ეცხოვრათ მასთან ერთად. სასამართლომ ისიც მიუთითა, რომ მართალია, ვაჟს შედარებით გაუჭირდა საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან ადაპტირება (მამასთან ცხოვრობდნენ და იქვე, წალკის მუნიციპალიტეტში დადიოდნენ სასწავლებლად, ხოლო დედა ბათუმში

182 საქმე №ას-207-196-2017 (7 ივლისი 2017 წელი)

183 საქმე №ას-1793-2018 (12 აპრილი 2019 წელი)

ცხოვრობს), თუმცა გარემოებები მიუთითებს, რომ ეს პრობლემა დაიძლევა გარკვეული პერიოდის შემდეგ. პარალელურად, ვაჟიშვილი აშკარად გამოხატავს დედასთან ყოფნის სურვილს. ამავე დროს, საქმეში არ გამოკვეთილა რაიმე გარემოება, რაც დედასთან ცხოვრებას, ბავშვების ინტერესთან შეუთავსებელს გახდიდა.<sup>184</sup>

ერთ-ერთ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა მამის მხრიდან ბავშვის საცხოვრებელ ადგილად დედის განსაზღვრა, რაც კასაციამ არ დააკმაყოფილა. ფაქტების შესაბამისად, ერთი შვილი დედასთან, ხოლო მეორე მამასთან იზრდება. ფსიქოლოგის დასკვნის შესაბამისად, მამასთან მცხოვრები ბავშვი მამის ოჯახში ემოციური ძალადობის მსხვერპლი იყო (დედის მიმართ უარყოფით დამოკიდებულებას უვითარებენ), თუმცა რამდენიმე შეხვედრის შემდეგ ბავშვს დედის მიმართ დადებითი ემოციური დამოკიდებულება ჩამოუყალიბდა. ამავე დროს, სოციალური მუშაკის დასკვნის თანახმად, მამა სამუშაოს გამო ფაქტობრივად სხვაგან ცხოვრობდა და რეალურად ბავშვს მამის ბებია ზრდიდა, რაც სასამართლოს შეფასებით დედის როლს ვერ ანაცვლებს. ამავე დროს, დედამამიშვილების დაშორება არ არის დადებითი მოვლენა ბავშვის განვითარებისთვის.<sup>185</sup>

### **(5) არასრულწლოვნისათვის გვარის მიკუთვნება საუკეთესო ინტერესების საფუძველზე**

ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, საკასაციო სასამართლომ ბავშვზე, რომელიც დედის გვარს ატარებდა, მამის გვარის მინიჭებაზე უარი ბავშვის ინტერესების შესაბამისად მიიჩნია. სასამართლოს არგუმენტის თანახმად, არასრულწლოვნისთვის მამის გვარის მიკუთვნება იმ პირობებში, როდესაც ბავშვი დაბადებიდან დედასთან ცხოვრობს, ხოლო მამასთან ერთი დღეც არ უცხოვრია, არ გამომდინარეობს კანონის მიზნებიდან და არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ეროვნული კანონმდებლობა ბავშვის გვარის შეცვლის შესახებ სარჩელის აღძვრის დისკრეციას ანიჭებს მხოლოდ იმ მშობელს, რომელთანაც იმყოფება ბავშვი საცხოვრებლად. ამასთან, ბავშვისთვის მამის გვარის მიკუთვნება არ შეესაბამება ბავშვის ინტერესებს, რადგან, ბავშვს გათავისებული აქვს თავისი სახელი და გვარი, რომელიც მისი პიროვნული იდენტურობის საშუალებაა. ბავშვს დედის გვართ იცნობენ სკოლაში, როგორც მასწავლებლები, ასევე თანაკლასელები, მას გაუცხოვება გააჩნია მამასთან და შესაბამისად, ამ უკანასკნელის გვართანაც.<sup>186</sup>

### **(6) მშობლობის გაუქმება**

მნიშვნელოვანია უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება მშობლობის გაუქმებასთან დაკავშირებით. ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად, ქორწინებაში დაბადებული არასრულწლოვნის დედამ მოითხოვა დაბადების სააქტო ჩანაწერში კანონიერი მამის რეგისტრაციის გაუქმება, იმ საფუძველით რომ

184 საქმე №ას-735-735-2018 (20 თებერვალი 2019 წელი)

185 საქმე №ას-1139-1095-2016 (25 სექტემბერი 2017 წელი)

186 საქმე №ას-245-233-2017 (6 ივნისი 2017 წელი)

ის არ იყო ბავშვის ბიოლოგიური მამა, რაც სააპელაციო სასამართლომ დააკმაყოფილა. ერთი მხრივ, სასამართლო მიუთითებს, რომ მამობის რეგისტრაციის გაუქმება წარმოადგენს კანონიერი მამის ოჯახურ ცხოვრებაში ჩარევას, რომლის გამართლება არ შეიძლება მოხდეს თუნდაც იმით, რომ იგი არ იტარებს გენეტიკურ კვლევას, რადგანაც მეორე მხრივ, ამ გარემოებას ვერ გადაწონის დედის „პირადი ცხოვრების“ პატივისცემის უფლება, რომელიც არ ასახელებს არასრულწლოვნის ბიოლოგიურ მშობელს. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესად არ შეიძლება განხილულ იქნას მდგომარეობა, როდესაც დედა მოითხოვს ბავშვის დაბადების სააქტო ჩანაწერში მამის რეგისტრაციის გაუქმებას იმგვარად, რომ ბავშვის მამის ვინაობა არ იქნას ფიქსირებული და უფრო მეტიც, აცხადებს, რომ კანონიერი მამა არ წარმოადგენს ბიოლოგიურ მშობელს, ხოლო სასამართლოს არ წარმოუდგენს წონად ფაქტებსა და არგუმენტებს იმის თაობაზე, რომ არასრულწლოვანი ადაპტირებულია ბიოლოგიური მამის ოჯახურ გარემოში, იზრდება მასთან ერთად და გააჩნია „ოჯახური ცხოვრების“ დაცვის ინტერესი მასთან. ამდენად, პალატა ასკვნის, რომ ამგვარი მიდგომა არ იცავს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.<sup>187</sup>

---

187 საქმე №ას-85-81-2017 (27 ოქტომბერი 2017 წელი)

## §11. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განმარტება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ

ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისათვის, მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა გათვალისწინება აუცილებელია საქართველოსთვის.

(1) *Berisha v. Switzerland*<sup>188</sup>. საქმე ეხება შვეიცარიის უარს, ბინადრობის ნებართვა მიენიჭებინათ მომჩივანთა სამი შვილისათვის, რომლებიც კოსოვოში დაიბადნენ და შვეიცარიაში უკანონო გზით შევიდნენ და აგრეთვე, ხელისუფლების წარმომადგენლების გადაწყვეტილებას ბავშვების კოსოვოში გაძევების თაობაზე. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი არ ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. მან მიიჩნია, რომ მომჩივნების შვეიცარიაში ცხოვრება მათ გააზრებულ გადაწყვეტილებას წარმოადგენდა და რომ მათ კოსოვოში ცხოვრებას შვეიცარიაში დაფუძნება ამჯობინეს; მათი სამი შვილი შვეიცარიაში არ ცხოვრობდა საკმარისად ხანგრძლივად, რათა სრულად დაეინყებინათ სამშობლოსთან კავშირი, სადაც ისინი დაიბადნენ, გაიზარდნენ და წლების განმავლობაში განათლებას იღებდნენ. უფრო მეტიც, ბავშვებს კვლავ ჰქონდათ კოსოვოში ოჯახური კავშირები. მომჩივანთა ორი უფროსი, 17 და 19 წლის, შვილი იმ ასაკში იყვნენ, რომ მათ ხელს ვერაფერი შეუშლიდა ემოგზაურათ ან კოსოვოში დარჩენილიყვნენ უმცროს ბავშვთან, რომელიც 10 წლის იყო, მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. აგრეთვე ეროვნულ სამართალწარმოებაში მომჩივანთა მიერ არაკეთილსინდისიერი ქმედების გათვალისწინებით, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ შვეიცარიის ხელისუფლების ორგანოებს, მომჩივანთა შვილებისათვის ბინადრობის ნებართვის მინიჭებაზე უარის თქმით, მე-8 მუხლის გათვალისწინებული შეფასების ფარგლებისათვის არ გადაუჭარბებიათ.

(2) *Menesson and Others v. France and Labasse v. France*<sup>189</sup>. განსახილველი საქმე ეხება საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობის სამართლებრივ აღიარებაზე უარს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში სუროგაციის შედეგად წარმოიშვა. მომჩივნები ამბობდნენ, რომ ბავშვთა საუკეთესო ინტერესებისათვის ზიანის მიყენებით, მათ არ შეეძლოთ საფრანგეთში მშობლისა და შვილის ურთიერთობის აღიარება მოეპოვებინათ, რომელიც სამართლებრივად საზღვარგარეთ წარმოიშვა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ შემდგომში ორივე საქმეში მიუთითა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას, რომელიც ეხებოდა ბავშვთა უფლებას, პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას. მან ხაზი გაუსვა, რომ საფრანგეთის ხელისუფლებამ, მიუხედავად იმისა, რომ მათ იცოდნენ, რომ ბავშვები ამერიკის შეერთებულ შტატებში აღიარებულნი იყვნენ როგორც ბ-ნი და ქ-ნი ლაბასის შვილები, მომჩივნებს ეს სტატუსი ფრანგული კანონმდებლობის მიხედვით არ მიაკუთვნა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს წინააღმდეგობა ფრანგ-

188 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

189 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

ულ საზოგადოებაში ექვეყნებ დააყენებდა ბავშვების იდენტიობას. სტრასბურგის სასამართლომ შემდგომში აღნიშნა, რომ სასამართლო პრაქტიკა სრულებით გამორიცხავდა სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას კანონიერი სუროგაციის შედეგად უცხოეთში დაბადებულ ბავშვებსა და მათ ბიოლოგიურ მამას შორის. აღნიშნული აჭარბებდა სახელმწიფოებისთვის იმ სფეროში მინიჭებულ ფართო შეფასების ზღვარს, რომელიც სუროგაციასთან დაკავშირებულ განწყვეტილებებს შეეხებოდა.

(3) *Mikuli v. Croatia*<sup>190</sup>. განსახილველი საქმე ეხება ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს, რომელმაც, დედასთან ერთად, მამობის დადგენის მიზნით სარჩელი აღძრა. მომჩივანი დაობდა, რომ ხორვატიული სამართალი კაცებს, რომელთა წინააღმდეგაც მამობის დადგენის შესახებ წარდგენილია სარჩელი, არ ავალდებულებს დაემორჩილონ სასამართლოს ბრძანებას, ჩაიტარონ დნმ ტესტი და რომ ეროვნული სასამართლოების მიერ მისი მამის ვინაობის დაუდგენლობამ, მომჩივანი პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვევლობაში დატოვა. იგი, ასევე, დაობდა სამართალწარმოების გადაჭარბებული ხანგრძლივობის და სასამართლო პროცესის დაჩქარებისათვის სამართლებრივი დაცვის საშუალების არ არსებობის გამო. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას. სასამართლომ განაცხადა, რომ მამობის დადგენის თაობაზე სარჩელის განხილვისას, ეროვნულ სასამართლოებს მოეთხოვებათ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები. წინამდებარე საქმეში, სტრასბურგის სასამართლომ დაადგინა, რომ ხელმისაწვდომი პროცედურა არ იცავდა სამართლიან ბალანსს მომჩივნის უფლებას, პიროვნულ წარმომავლობასთან დაკავშირებით გაურკვევლობა ზედმეტი გაჭიანურების გარეშე აღმოეფხვრა, და მისი სავარაუდო მამის მიერ დნმ ტესტის ჩატარებაზე უარის თქმას შორის. შესაბამისად, შიდასახელმწიფოებრივი სასამართლოების არაეფექტურობამ მომჩივანი მის პიროვნულ იდენტიობასთან დაკავშირებით განგრძობით გაურკვევლობაში დატოვა. სტრასბურგის სასამართლომ დამატებით დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება გონივრულ ვადაში) და მე-13 მუხლის (ეფექტური სამართლებრივი დაცვის საშუალების უფლება) დარღვევას.

(4) *Ahrens v. Germany*<sup>191</sup> and *Kautzor v. Germany*<sup>192</sup>. საქმე შეეხებოდა მოსარჩელების მოთხოვნას მომხდარიყო მათი ბიოლოგიური შვილების მამად აღიარება და შესაბამისად გაუქმებულიყო სხვა კანონიერი მამის თაობაზე ჩანაწერი, რაც ეროვნულ დონეზე არ დაკმაყოფილდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გამიჯნა კანონიერი და ბიოლოგიური მამების უფლებები და განმარტა, რომ ბიოლოგიური მამის უფლება, რომელსაც არ გააჩნდა შვილთან ახლო პირადი ცხოვრება, ექვემდებარებოდა „პირადი ცხოვრებით“ დაცულ სფეროს, ხოლო კანონიერი მამის უფლება, რომელთანაც იზრდებოდა ბავშვი —

190 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

191 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

192 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

„ოჯახური ცხოვრებით“ დაცულ სფეროს. ამასთანავე, კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევად არ იქნა მიჩნეული ბიოლოგიური მამისათვის მამის სრულყოფილი სტატუსის მინიჭებაზე უარის თქმა არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებთან გამომდინარე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მართალია განმცხადებლების ინტერესს წარმოადგენდა მათი პირადი ცხოვრების მნიშვნელოვანი ასპექტის დადგენა და სამართლებრივი აღიარება, თუმცა, გერმანიის სასამართლოების გადანყვეტილება ემსახურებოდა კანონმდებლის ნების შესრულებას, უპირატესობა მინიჭებოდა არსებულ ოჯახურ ურთიერთობას ბავშვსა და კანონიერ მამას შორის, რომელიც ყოველდღიურად უზრუნველყოფდა მას მშობლის მზრუნველობით.

(5) *Nazarenko v. Russia*<sup>193</sup>. სასამართლომ განიხილა შემდეგი შემთხვევა. მამაკაცი ხუთი წლის განმავლობაში გოგონას ზრდიდა, როგორც მის შვილს. თუმცა შემდგომ დნმ-ის ანალიზით დამტკიცდა, რომ ის მისი ბიოლოგიური მამა არ იყო. რუსეთის კანონმდებლობის შესაბამისად, არაბიოლოგიურ მამას შეუწყდა მშობლის უფლება და ავტომატურად წაერთვა ყველა შესაძლებლობა, ჰქონოდა რაიმე ურთიერთობა მის აღზრდილ გოგონასთან. კანონმდებლობით, ბავშვთან ურთიერთობის უფლება პირთა განსაზღვრულ წრეს ჰქონდა, რაშიც მოსარჩელე ვერ მოხვდა. აღნიშნულ საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა დაადგინა. მისი შეფასებით, მოსარჩელე ბავშვზე ზრუნავდა წლების განმავლობაში და იგი გოგონას გონებაში აღქმული იყო, როგორც მამა და მათ გააჩნდათ მყარი პერსონალური კავშირი. ამ ურთიერთობის განყვეტა არ იყოს ნაკარნახევი ბავშვის საუკეთესო ინტერესის კრიტერიუმით. არგუმენტაციის შესაბამისად, აუცილებელია ყოველ საქმეში ინდივიდუალურად შეფასდეს, ის თუ რამდენად არის ურთიერთობის შენარჩუნება კონკრეტულ პიროვნებასთან ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისი. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამგვარი ჩარევა იყო დაუსაბუთებელი.

(6) *T.P. and K.M. v. United Kingdom*<sup>194</sup>. აღნიშნულ საქმეზე მიღებული გადანყვეტილებით დადგენილია, რომ მე-8 მუხლი იცავს პირადი და ოჯახური ცხოვრების არამართო მატერიალურ მხარეს, არამედ პირის უფლებას მისი უფლების შეზღუდვა განხორციელდეს სათანადო პროცედურული წესების დაცვით. საქმე შეეხება 4 წლის გოგონას ადგილობრივი ორგანოებს ზრუნვაში გადაყვანას. შესაბამის ორგანოებს გააჩნდათ დასაბუთებული ეჭვი, რომ მოხდა ბავშვის სექსუალური შევიწროება დედის პარტნიორის მხრიდან, ხოლო დედამ ვერ მოახერხა მისი დაცვა, რის გამოც საჭირო გახდა გადაუდებელი ღონისძიების განხორციელება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის გადაყვანა სახელმწიფო ზრუნვაში მატერიალურ სამართლებრივად ნამდვილად გამართული იყო, რამეთუ ემსახურებოდა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. თუმცა ბავშვის დედას, როგორც პროცესის მხარე, რომელიც შემდგომ სასამართლო გზით დავობდა ბავშვის დაბრუნებაზე, შესაბამისი ორ-

193 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

194 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>



განოების გადაწყვეტილებით, არ გაუმხილეს საქმის ყველაზე მნიშვნელოვანი მტკიცებულება - ვიდეო ჩანაწერი და ტრანსკრიპტები, სადაც ბავშვი ჰყვებოდა მის მიმართ სექსუალური შევიწროების თაობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია მშობელს ჰქონდეს წვდომა იმ მტკიცებულებებთან, რომელზეც შესაბამისი ორგანო ამყარებდა თავის გადაწყვეტილებას, თუნდაც მშობლის მიერ მოთხოვნის არარსებობისას. ამასთან, მშობლის ეს უფლება არაა აბსოლუტური. თუკი იარსებებდა რისკი იმისა, რომ გამჟღავნებით დაზარალებოდა ბავშვის ინტერესი, შესაბამის ორგანოებს აღნიშნული უნდა გადაეგზავნათ სასამართლოსათვის, რომელიც გადაწყვეტდა ნამდვილად იყო თუ არა დასაბუთებული იმ ორგანოს ეჭვები - მასალის გამჟღავნებით ბავშვისთვის ზიანის მიყენება, რომელიც საქმეში დაინტერესებული მხარე იყო. შესაბამისად, დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.

(7) *L. and J.L. v. Croatia*<sup>195</sup> ეხება იმ პირობებს, რომელთა საფუძველზეც ორი არასრულწლოვნის საკუთრებაში მყოფი ვილა გასხვისდა. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება ხაზგასმით აღნიშნავს თუ რა ფარგლებშია ვალდებული სახელმწიფო დაიცვას ბავშვთა საკუთრების ინტერესები. ბავშვების დედამ და მისმა მეუღლემ, რომელიც ორიდან ერთ-ერთი გოგონას მამა იყო, გადაწყვიტეს ვილის გაყიდვა. ამისათვის მათ მოითხოვეს სოციალური უზრუნველყოფის ცენტრის ნებართვა. ამ პერიოდში ბავშვების დედის მეუღლის წინააღმდეგ დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა და ის დააპატიმრეს. მისმა ადვოკატმა თავის თავზე აიღო საკუთრების გაყიდვის საკითხი; ადვოკატმა გადაწყვიტა ნასყიდობის ნაცვლად თავის სიდედრთან დაედო უძრავი ქონების გაცვლის ხელშეკრულება იმაზე დაბალ ფასად, ვიდრე აღნიშნული საკუთრების ფასი იყო. დედასთან გასაუბრების შემდეგ სოციალური უზრუნველყოფის ცენტრმა გაცვლის ნებართვა გასცა. მოგვიანებით ქმარმა, როგორც ბავშვის კანონიერმა მეურვემ, წარუმატებლად სცადა არახელსაყრელი გაცვლის ხელშეკრულების ანუღირება და ძალადაკარგულად გამოცხადება. ეროვნულმა სასამართლოებმა შეწყვიტეს საქმის წარმოება ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვის გარეშე, როგორცაა მაგალითად ის ფაქტი, რომ მესაკუთრეები იყვნენ არასრულწლოვნები, რომელთა მეურვე იყო პატიმრობაში და დედა იმყოფებოდა მძიმე ფინანსური და პირადი ზენოლის ქვეშ. ეროვნულმა სასამართლომ ასევე არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ საკუთრების გადაცემის პროცესში ადვოკატს ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წინაშე დები დავობდნენ, რომ ეროვნულმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო მათი დაცვა იმისგან, რომ ვილა მნიშვნელოვნად უფრო ნაკლები ღირებულების მქონე ბინაში არ გაცვლილიყო. სტრასბურგის სასამართლომ კონვენციის პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევა დაადგინა. აღნიშნული საქმე სამართლებრივად საინტერესოა, რადგან ის სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებებს, როდესაც საქმე ეხება ბავშვების ფინანსურ ინტერესებს. სასამართლო წინარე საქმეებში ხაზს უსვამდა ბავშვების საუ-

195 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

კეთესო ინტერესების დაცვის მნიშვნელობას ნებისმიერი გადანყვეტილებისას, რომელიც მათზე გავლენას ახდენდა. აღნიშნულ გადანყვეტილებაში ეს პრინციპი გავრცელდა პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლზე. სტრასბურგის სასამართლომ მიიჩნია, რომ სოციალური უზრუნველყოფის ცენტრსა და სასამართლო ხელისუფლებას ეკისრებოდა ვალდებულება, უზრუნველყო ბავშვის საკუთრების ინტერესების დაცვა, მათ შორის, მესამე პირთა არაკეთილსინდისიერებისგან. მიუხედავად ამისა, წინამდებარე საქმეზე გარიგებაში მონაწილე კომპეტენტური ორგანოების მიერ მიღებულ გადანყვეტილებებში გამოვლინდა რამდენიმე ხარვეზი, კერძოდ: სოციალური უზრუნველყოფის ცენტრმა არ გამოიჩინა შესაბამისი გულმოდგინება გაცვლის ხელშეკრულებასთან მიმართებით, ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე შესაძლო გვერდითი მოვლენების შეფასების მხრივ; სამოქალაქო სასამართლოებმა არ შეაფასეს ის კონკრეტული გარემოებები, რომლებშიც აღმოჩნდებოდნენ მომჩივნები საკუთრების გაცვლის შედეგად.

(8) **გ.ს. საქართველოს წინააღმდეგ**<sup>196</sup>. აღნიშნული საქმეზე მიღებული გადანყვეტილება ეხებოდა საქართველოში მიმდინარე სამართალწარმოებებს. კერძოდ, მომჩივნის 2004 წელს უკრაინაში დაბადებული ვაჟის საქართველოში დაბრუნებას. 2010 წლის ზაფხულის არდადეგების ბოლოს, განმცხადებლის ყოფილმა პარტნიორმა გადანყვიტა მათი შვილი საქართველოში, ოჯახთან ერთად დაეტოვებინა. თვითონ რუსეთში ცხოვრობდა და ზოგჯერ სტუმრობდა თავის ვაჟს. აპლიკანტი დავობდა, საქართველოს სასამართლოების უარს განმცხადებლის ვაჟის უკრაინაში დაბრუნების ბრძანების გაცემის თაობაზე და დაბრუნების სამართალწარმოების ხანგრძლივობაზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი. კერძოდ, დაადგინა, რომ ჰააგის კონვენციიდან გამომდინარე, ეროვნული სასამართლოების წინაშე გადანყვეტილების მიღების პროცესი წარმოადგენდა არაპროპორციულ ჩარევას აპლიკანტის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაში. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ხარვეზები საქართველოს სასამართლოების მიერ დაბრუნების სამართალწარმოებების დროს საექსპერტო და სხვა მტკიცებულებების გამოკვლევის პროცესში. კერძოდ, როცა უნდა განსაზღვრულიყო ბავშვის საუკეთესო ინტერესები, სასამართლოებმა მხედველობაში არ მიიღეს სოციალური მუშაკებისა და ფსიქოლოგის ანგარიშები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბავშვი განიცდიდა საკუთარ მშობლებთან ურთიერთობის ნაკლებობასა და მდგომარეობის ბუნდოვნად აღქმას. მართლაც, საექსპერტო იყო ბავშვის, რომელმაც თავისი პირველი 6 წელი უკრაინაში გაატარა, საქართველოში მამის - მეურვეობის არმქონე პირის ოჯახში მშობლების გარეშე გაჩერება, წარმოადგენდა თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

196 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

(9) **ნ.ნ. და სხვები საქართველოს წინააღმდეგ**<sup>197</sup>. ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბავშვების დედა გარდაცვლილი იყო და მათზე მზრუნველობას დეიდა სწევდა. თუმცა ხსენებულ საქმეში ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე მამას დაუბრუნდა ბავშვები. მოსარჩელები ბავშვების მამასთან დაბრუნებას ბავშვების საუკეთესო ინტერესების დარღვევად აფასებდნენ. სასამართლომ შეაფასა ამ პროცესში ბავშვის მოსმენის მნიშვნელობა. „ბავშვების შემთხვევაში, ზემოთ აღნიშნული პრინციპი ხორციელდება მათი უფლების მეშვეობით, მიიღონ კონსულტაციები და მოხდეს მათი მოსმენა. სასამართლომ უკვე დაადგინა, რომ ბავშვების მომნიშვნელობასთან და, გარკვეული დროის გავლის შემდეგ, მათ მიერ, მაგალითად, მშობლებთან კონტაქტთან დაკავშირებით, თავიანთი მოსაზრებების ჩამოყალიბების უნარის განვითარებასთან ერთად, სასამართლოებმა სათანადო მნიშვნელობა უნდა მიანიჭონ მათ შეხედულებებს და გრძნობებს, ისევე, როგორც მათ უფლებას, პატივი სცენ მათ პირად ცხოვრებას“. აღნიშნული სტანდარტის კვალდაკვალ, სასამართლომ დაადგინა, რომ არასრულწლოვნები არ იყვნენ ადეკვატურად უზრუნველყოფილი წარმომადგენლობით და არცერთი ბავშვის, მათ შორის 10 წლის მოზარდის, მოსმენა არ მომხდარა სასამართლო განხილვის დროს. ამ ფონზე სასამართლომ შეაფასა მოხდა თუ არა ბავშვების მამასთან დაბრუნება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. სასამართლოსთვის ცნობილი იყო ბავშვების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება მამის მიმართ და სურვილის არქონა ეცხოვრათ მამასთან ერთად (სახეზე იყო რამდენიმე ანგარიში, რომელიც ადგენს, რომ დედისეული ოჯახის ნეგატიური დამოკიდებულება მამის მიმართ წარმოადგენდა ბიჭების მამასთან ურთიერთობის ჩამოყალიბების ფაქტორს). ამ ფონზე, სასამართლომ მიუთითა ბიჭების ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პოტენციურ საფრთხეზე, მათი მამასთან ძალდატანებითი დაბრუნების შემთხვევაში. შესაბამისად, ასეთი რადიკალური ღონისძიების გატარება, შესაბამისი გადასვლისა და მოსამზადებელი ღონისძიებების გათვალისწინების გარეშე, რომელიც მიზნად ისახავს ბიჭებსა და მათ გაუცხოებულ მამას შორის ურთიერთობების აღდგენაში დახმარების აღმოჩენას, ეწინააღმდეგება მათ საუკეთესო ინტერესებს. შესაბამისად, დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.

197 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

## თავი III

### ბავშვის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

#### §12. ბავშვის ღირსება

##### 1. შესავალი

კოდექსის მე-4 მუხლი აღიარებს ბავშვის ღირსებას. ის ხაზს უსვამს ღირსებას, როგორც ბავშვის უმთავრეს უფლებას. ეს ჩანს, მათ შორის, ამ უფლებისათვის განსაზღვრული ადგილიდან სხვა უფლებებთან მიმართებით. ღირსება წარმოადგენს ერთადერთ აბსოლუტურ უფლებას, რომლის შეზღუდვა არის დაუშვებელი. შესაბამისად, კოდექსი განსაზღვრავს ამ უფლების მხოლოდ დაცულ სფეროს და ადგენს, რომ დაუშვებელია ამ უფლებაში ჩარევის ისეთი სახეები, როგორიცაა წამება, მისდამი არაადამიანური და სასტიკი მოპყრობა, ან ასეთი სასჯელის გამოყენება. ამ ნაწილში, კოდექსი შესაბამისობაშია საქართველოს კონსტიტუციის შესაბამის დებულებასთან<sup>198</sup>.

ღირსება ეფუძნება ქრისტიანულ მოძღვრებას, რომ ღმერთმა ადამიანი შექმნა მის სახედ. ქრისტიანული და განმანათლებლობის პერიოდის კონცეფცია თავს იყრის ემანუელ კანტის ნაშრომებში<sup>199</sup>, რაც თავის მხრივ, ღირსების უფლების საყრდენი გახდა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948) არ განასხვავებს ბავშვისა და ზრდასრულის ღირსების უფლებას. 1959 წლის 20 ნოემბრის ბავშვის უფლებათა დეკლარაცია პირველი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტია, სადაც აღიარებულია ბავშვის ღირსება.<sup>200</sup> აღნიშნული დეკლარაციის მე-2 პრინციპი ადგენს, რომ ბავშვი უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული დაცვით და უნდა მიეცეს ფიზიკური, მენტალური, მორალური, სულიერი, სოციალური განვითარების შესაძლებლობა ჯანსაღი და ნორმალური მეთოდების გამოყენებით, თავისუფალ და ღირსეულ პირობებში.<sup>201</sup> კონვენცია რამდენიმე ადგილას მიუთითებს ღირსებაზე ბავშვის კონტექსტში, მათ შორის, პრეამბულაშიც. თუმცა ბავშვის ღირსებისთვის ცენტრალური ნორმაა კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი, სადაც საუბარია სკოლაში გამოყენებული დისციპლინური ღონისძიებების შესაბამისობაზე ბავშვის ღირსებასთან.<sup>202</sup> ასევე, კონვენციის 37-ე მუხლის (გ) ქვეპარაგრაფი, სადაც განსაზღვრულია თავისუფლებადკვეთილ ბავშვზე, რომელსაც აქვს უფლება მოეპყრონ მისი ღირსების შესაბამისად.

198 იხ. საქართველოს კონსტიტუციის მე-9 მუხლი.

199 იხ. Pieroth und B Schlink *Grundrechte: Staatsrecht II* (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg) პა-რა.369.

200 MDA Freeman 'Upholding the Dignity and Best Interests of the Children: International Law and the Corporal Punishment of Children' 73 *Law and Contemporary Problems* (2010) გვ. 214.

201 UNGA Res 1386 'Declaration on the Rights of the Child' (1959) UN Doc A/Res/1386(XIV), პრინციპი 2.

202 GK Brian 'Dignity and Children's Right' in: E Sieh and J McGregor [Eds.] *Human Dignity* (Macmillan 2017 London) გვ.153-154.

## 2. უფლების დაცული სფერო

### 2.1 ზოგადი მიმოხილვა

ღირსების დაცული სფერო საკმაოდ განსხვავებულად არის დანახული სხვადასხვა წრეებში, რადგან, ერთი მხრივ, ორნახევარი საუკუნის მანძილზე მან მიიღო სხვადასხვაგვარი თეოლოგიური, ფილოსოფიური თუ სოციოლოგიური ინტერპრეტაცია, მეორე მხრივ, შეიძინა დღევანდელი იურიდიული ფარგლები.<sup>203</sup> სამართლებრივ დოგმატიკასა და სასამართლო პრაქტიკაში, ღირსება ადამიანის ძირითად უფლებათა საფუძვლადაა აღიარებული. ის არამხოლოდ ფუნდამენტური უფლება, არამედ სახელმძღვანელო პრინციპია ადამიანის უფლების განმარტებისას, რომელსაც ეყრდნობა და უკავშირდება ძირითადი უფლებები.<sup>204</sup> ადამიანს ღირსება აქვს იმიტომ, რომ ის ადამიანია. ადამიანი კი არ უნდა ემსახურებოდეს სახელმწიფოს, არამედ პირიქით-სახელმწიფო უნდა ემსახურებოდეს ადამიანს.<sup>205</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ ადამიანის ღირსების პატივისცემა გულისხმობს ყოველი ადამიანის პიროვნულ აღიარებას, რომლის ჩამორთმევა და შეზღუდვა დაუშვებელია.

ღირსების უფლების დაცულ სფეროში მთავარი ღირებულება არის ადამიანი, როგორც თვითმყოფადი, თავისუფალი და სხვა ადამიანების თანასწორი. ადამიანის ღირსების დაცვა არის ის, რაც უპირობოდ ეკუთვნის ყველა ადამიანს სახელმწიფოსაგან. ღირსებაში იგულისხმება სოციალური მოთხოვნა სახელმწიფოს მხრიდან ადამიანის პატივისცემაზე.<sup>206</sup>

ღირსების უფლების სუბიექტია ყველა ადამიანი, მიუხედავად განსხვავებულობისა.<sup>207</sup> ამდენად, ამ უფლების მატარებელია ბავშვიც, რაც მისი ადამიანად ყოფნიდან მომდინარეობს. სწორედ ამით აიხსნება, რომ ეროვნულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ დონეზე ნაკლებად მოიძებნება დოკუმენტი, სადაც ხდება ხაზგასმა ბავშვის ღირსებაზე, ნაცვლად ადამიანის ღირსებისა.

ბავშვის ღირსებაზე პირდაპირი ჩანაწერი კოდექსში არ გულისხმობს, რომ ბავშვის ღირსების უფლების ფარგლები არსებითად განსხვავდება ზრდასრულის ღირსების უფლების დაცული სფეროსგან. თუმცა, ბავშვის ღირსებას ახასიათებს გარკვეული სპეციფიკა, რაც აუცილებლად უნდა იქნას მიღებული მხედველობაში. ბავშვის ღირსების საყოველთაოდ აღიარებული დეფინიცია არ არსებობს. იგი განისაზღვრება, ხშირ შემთხვევაში, სასამართლო პრაქტიკით და დოქტრინის მიერ განვითარებული დებულებებით.

203 B Pieroth und B Schlink *Grundrechte: Staatsrecht II* (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg) პარა. 368.

204 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 26 ოქტომბრის 2/2-389 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე მაია ნათაძე და სხვები საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის წინააღმდეგ“, პარ. II-31;

205 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 256.

206 საქართველოს მოქალაქე თამარ თანდაშვილი საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ. პარ. II-39.

207 ლ. იზორია, კ. კორკელია, კ. კუბლაშვილი, გ. ხუბუა *საქართველოს კონსტიტუციის კომენტარები, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი* (მერიდიანი 2005 თბილისი) გვ. 85.

## 2.2. წამება, სასტიკი მოპყრობა და დამამცირებელი სასჯელი

კოდექსი დაუშვებლად აცხადებს ბავშვის წამებას, მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან არაადამიანურ ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას. მე-4 მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებს შორის ორგანული კავშირია. კერძოდ, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული აკრძალვა წარმოადგენს ღირსების უფლების დარღვევის განსაკუთრებულად მძიმე ფორმას. შესაბამისად, მე-4 მუხლის მე-2 ნაწილის დარღვევა ყველა შემთხვევაში გამოიწვევს ამავე მუხლით განმტკიცებული ღირსების უფლების დარღვევას.

ბავშვის უფლებათა მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფის კუთხით განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმ ფაქტს, რომ საქართველო კოდექსის ამ მუხლით შეუერთდა იმ ქვეყნების მცირე ჩამონათვალს, რომელთაც კანონის დონეზე პირდაპირ აკრძალეს ბავშვის ფიზიკური დასჯა. ღირსების უფლების გარდა, კოდექსის რამდენიმე მუხლში სხვადასხვა ადრესატების მიმართ არის აღნიშნული აკრძალვა უშუალოდ ხაზგასმული: ოჯახი<sup>208</sup>, საგანმანათლებლო დაწესებულებები<sup>209</sup>, ალტერნატიული ზრუნვა<sup>210</sup>, და სხვა.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო წამებას განმარტავს, როგორც განზრახ არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, რაც ძალიან მძიმე და სასტიკ ფიზიკურ ან სულიერ ტანჯვას იწვევს<sup>211</sup> და რომელიც ხორციელდება ინფორმაციის მიღების, დასჯის ან დაშინების მიზნით.<sup>212</sup> იმისათვის, რომ მოპყრობა ჩაითვალოს არაჰუმანურად, სასტიკად ან პატივისა და ღირსების შემლახველად, ის უნდა აღწევდეს სიმწვავის განსაზღვრულ, მინიმალურ დონეს. მოპყრობის შეფასებისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მოპყრობის ხასიათი და კონტექსტი, მისი განხორციელების მეთოდები, ხანგრძლივობა, ფიზიკური და ფსიქიკური ეფექტი პირზე.<sup>213</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პატივისა და ღირსების შემლახავია მოპყრობა, რომელიც მსხვერპლს აღუძრავს შიშს, ძლიერ ტკივილს, დამცირების ან დაქვემდებარების შეგრძნებას ან ისეთი ქმედება, რომელიც ახდენს პირის ფიზიკურ ან მორალურ გატეხვას და აიძულებს მას, რომ მოიქცეს საკუთარი შეგნების საწინააღმდეგოდ<sup>214</sup>.

ბავშვების მიმართ ღირსების შემლახავი მოპყრობის შემთხვევებია სხეულე-ბრივი ან ფიზიკური სასჯელები. მით უფრო, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა

208 25-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

209 38-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

210 30-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

211 *Ireland v. the United Kingdom*, პარა 167. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

212 *Akkos v Turkey*, პარა. 115. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

213 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533, ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II - 180, 185.

214 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება №2/4/532,533, ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II - 181.

კომიტეტი ადასტურებს, რომ ბავშვების აღზრდის მეთოდად თუ სასჯელის სახით, ფიზიკური დასჯა ფართოდ გავრცელებული პრობლემაა<sup>215</sup>. ასეთია ყველა სასჯელი, რომელსაც თან სდევს ფიზიკური ძალის გამოყენება და მიზნად ისახავს განსაზღვრული ხარისხის ტკივილის ან დისკომფორტის გამოწვევას. ამგვარს მიეკუთვნება, მათ შორის, ბავშვის ცემა ხელით ან სხვა ხელსაწყოთა გამოყენებით, თმის მოქაჩვა, ბავშვის იძულება გარკვეული დროით დარჩეს არაკომფორტულ პოზაში, ჩქმეცა და ა.შ. ამავე დროს, შესაძლებელია იყოს სხვა არაფიზიკური სასჯელი, რომელიც, ასევე, არის დამამცირებელი და სასტიკი. მაგალითად, სასჯელი, რომელიც ამცირებს, აშინებს, ცილის ნამების ან დაცინვის ობიექტს ხდის ბავშვს. ნებისმიერი ფორმის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა აკრძალულია კონვენციით.<sup>216</sup> კომიტეტის მსგავსად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოც დაუშვებლად აცხადებს ნებისმიერი სახის სხეულებრივ დასჯას. მაგალითად, სასამართლომ, ეროვნული სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი - 15 წლის ბიჭისთვის 3-ჯერ ხელკეტის დარტყმა, შეაფასა, როგორც დამცირება.<sup>217</sup>

„გონივრული“ ან „მსუბუქი“ სხეულებრივი სასჯელის გამოყენება არ დაიშვება არც მშობლის მიერ. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს, რომ აღნიშნული ვერ გამართლდება ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე მითითებით. ამ მიმართულებით თავის პრეცედენტულ საქმეში,<sup>218</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მამინაცვლის მიერ ბიჭის ცემა ლერწმით არღვევდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს და ამას ვერ გაამართლებდა ინგლისური სამართლით დაშვებული „გონივრული სასჯელის“ ტესტი. სასამართლომ ხაზგასმით მიუთითა, რომ ბავშვები და სხვა მოწყვლადი ინდივიდები, განსაკუთრებულად უფლებამოსილები არიან სახელმწიფოს მხრიდან დაცვაზე მათი ფიზიკური ხელშეუხებლობის დარღვევის აღსაკვეთად. ამდენად, აღზრდის მეთოდი ვერ გაამართლებს ბავშვის ფიზიკურ დასჯას.

ფიზიკური დასჯის გამართლება დაუშვებელი რწმენის საფუძვლითაც. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ რელიგიის ან რწმენის გამოვლენა უნდა იყოს შესაბამისობაში სხვათა ღირსებასა და ფიზიკურ ხელშეუხებლობასთან<sup>219</sup>. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იდენტური პოზიცია დააფიქსირა ერთ-ერთ საქმეში. კერძოდ, არ დადგინდა მე-8 მუხლის დარღვევა მშობლის უფლების შეზღუდვისა და ბავშვების სახელმწიფო ზრუნვაში გადაყვანის გამო, რადგან მშობლები იყვნენ იმ ეკლესიის წევრები, სადაც აღზრდის მეთოდად გამოიყენებოდა ბავშვების გაროზგვა, რის თაობაზეც მო-

215 Committee on the Rights of the Child, General Comment No 8 (2007) UN Doc CRC/ C/GC/8, პარა 3.

216 Committee on the Rights of the Child, General Comment No 8 (2007) UN Doc CRC/ C/GC/8, პარა.4-5.

217 *Tyrer v United Kingdom*, პარა.10, 33. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

218 *A v United Kingdom*, პარა.22-24 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

219 Committee on the Rights of the Child, General Comment No 8 (2007) UN Doc CRC/ C/GC/8, პარა.29.

ბლებმა იცოდნენ და ეთანხმებოდნენ აღზრდის მეთოდს. სასამართლომ მიუთითა კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილი ბავშვის გარანტიის დარღვევის საფრთხეზე.<sup>220</sup>

ამავე დროს, ზემოაღნიშნული იმგვარად არ უნდა იქნეს გაგებული, რომ აბსოლუტურად გამოირიცხოს ბავშვზე ფიზიკური შეხება, მისი დაცვის მოტივით. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ რიგ შემთხვევებში, ბავშვზე ზრუნვა მოითხოვს ფიზიკურ ქმედებებსა და ინტერვენციებს. თუმცა, აღნიშნული რამდენადმე განსხვავდება მიზანმიმართული დასჯისგან, რომელიც ტკივილის მიყენებაზეა ორიენტირებული.<sup>221</sup> ამ შემთხვევაში, გადამწყვეტია ფიზიკური შეხების მიზანი, რომელიც დასჯის გამო არც ერთ შემთხვევაში არ არის გამართლებული.

ამავე დროს, ბავშვს უფლება დაცული იყოს ფიზიკური თუ მენტალური ძალადობისაგან, მას გააჩნია ნებისმიერ ადგილსა თუ ვითარებაში. მათ შორის, ოჯახში, სასჯელალსრულების დაწესებულებაში ან სკოლაში. ამ უკანასკნელთან მიმართებით, კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პარაგრაფი ადგენს, სასკოლო დისციპლინის შესაბამისობის ვალდებულებას და დისციპლინის შენარჩუნებას ბავშვის ღირსების პატივისცემის გამოხატველი მეთოდების დახმარებით. გაეროს ბავშვის უფლებების კომიტეტი მიუთითებს, რომ ბავშვები არ კარგავენ ადამიანის უფლებებს სკოლის შესასვლელების გადაკვეთის შედეგად.<sup>222</sup>

კონვენციის 37-ე მუხლის (გ) ქვეპარაგრაფი მიუთითებს ყოველი თავისუფლებათა დაცვითი ბავშვის უფლებაზე, სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით, მისი თანატოლი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევა გამოწვეულია პატიმრობის, დაკავების არასათანადო პირობების არსებობით. ცხადია, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პირების საპატიმრო პირობები, მათი თავისებურებების გათვალისწინებით, განსხვავებულია. ტკივილისა და დამამცირებელი სასჯელის შეგრძნების ზღვარი შესაძლოა უფრო დაბალი იყოს არასრულწლოვნებისათვის, ვიდრე ზრდასრულებისთვის. აღნიშნულითაა შთაგონებული კონვენციის დანაწესი, რომ თავისუფლებათა დაცვითი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ნაკარნახევია ბავშვის საუკეთესო ინტერესებით, რაც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებით ვინაობა უნდა იქნეს ინტერპრეტირებული და სახელმწიფოს სარგებელმა არ უნდა გამოიწვიოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უკუგდება.<sup>223</sup> ამავე დროს, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით

220 *Tlapak and Others v. Germany*, პარა.88-101; *Wetjen and Others v. Germany*, პარა.75-87.  
ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

221 Committee on the Rights of the Child, General Comment No 8 (2007) UN Doc CRC/C/GC/8, პარა.14-15.

222 Committee on the Rights of the Child, General Comment No 1 (2001) UN Doc CRC/C/GC/1, პარა.8

223 Committee on the Rights of the Child, General Comment No. 24 (2019) UN Doc CRC/C/GC/24, პარა.92.



არასრულწლოვნის მოთავსება სასჯელაღსრულების იმ ნაწილში, რომელიც განკუთვნილია ზრდასრული პატიმრებისთვის, თავისთავად, არ წარმოშობს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლთან დაკავშირებულ პრობლემას.<sup>224</sup> ეროვნული ხელისუფლების მიერ კონვენციის მე-3 მუხლით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესამოწმებლად სასამართლო საპატიმრო პირობებს ერთიანობაში აფასებს. „პატიმრობის აღსრულების მანერა და მეთოდი არ უნდა აყენებდეს მას [პატიმარს] მძიმე ან აუტანელ მდგომარეობაში და მისი ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, სხვებს შორის, შესაბამისი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფით, სათანადოდ უნდა იყოს დაცული“.<sup>225</sup> ამავე დროს, პატიმრის მიმართ დამამცირებელი და არაადამიანური მოპყრობის საფრთხე შესაძლოა წარმოშვას საკნის სივრცის, განათებისა და რეკრეაციული აქტივობების<sup>226</sup>, პაემნის უფლების, სათანადო სამართლებრივი დახმარების ხელმისაწვდომობის პრობლემებმა.

სასტიკი მოპყრობა და დამამცირებელი სასჯელი განსაზღვრულია იმ შემთხვევებისთვის, რომელიც წამების ინტენსივობას არ აღწევს<sup>227</sup>. განსხვავება წამებასა და სასტიკ მოპყრობას ან დამამცირებელ სასჯელს შორის დამოკიდებულია ქმედების სახეობაზე, მიზანსა და სიმძიმეზე<sup>228</sup>. აღნიშნული მნიშვნელოვანია იმისათვის, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც ჩრდილს აყენებს და ლახავს ბავშვის ღირსებას, არ დარჩეს ნორმის რეგულირების მიღმა. ეს არის ერთგვარი დაზღვევა ბავშვის ღირსების მაქსიმალური დაცვისათვის. მაგალითად, სხვადასხვა დროს, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა სწორედ ასეთ ქმედებად განსაზღვრა თავისუფლების შეზღუდვის პირობები<sup>229</sup>, განსაკუთრებით, ბავშვებზე ფსიქოლოგიური ზეწოლა<sup>230</sup>, ისევე როგორც, ზოგადად, პოლიციის მხრიდან სასტიკი მოპყრობა<sup>231</sup>. ასეთ ქმედებად ჩაითვალა, ფსიქო-სოციალური შეზღუდვების მქონე ბავშვებზე ნარკოტიკებისა და ელექტროშოკის გამოყენება.<sup>232</sup> განსაკუთრებული ყურადღება უნდა იქნას გამახვილებული იმაზე, რომ ბავშვის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულების ჩადენა ითვლება წამე-

224 *Kuparadze v. Georgia*, პარა.60. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

225 *Kudla v. Poland*, პარა.94 ; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

226 *Kuptsov and Kuptsova v. Russia*, პარა. 70. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

227 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Ukraine’ (2002) UN Doc CRC/C/15/Add.191, პარა.35.

228 International Human Rights Instruments ‘Compilation of General Comments and General Recommendations by Human Rights Treaty Bodies’ (2003) UN Doc HRI/GEN/1/Rev.6, გვ. 129.

229 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Guyana’ (2004) UN Doc CRC/C/15/Add.224. პარა. 55.

230 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Uzbekistan’ (2001) UN Doc CRC/C/15/Add.167, პარა. 39.

231 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Argentina’ (2002) UN Doc CRC/C/15/Add.187, პარა. 36.

232 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Cambodia’ (2011) UN Doc CRC/C/KHM/CO/4, პარა. 38.

ბად ან სასტიკ მოპყრობად<sup>233</sup>, განურჩევლად ამ აქტის სიმძიმისა და ხასიათისა<sup>234</sup>. ასევე, გოგონების გენიტალიების დასახიჩრებაც ითვლება ასეთ მოპყრობად<sup>235</sup>.

### 2.3. მონობის და სავალდებულო შრომის აკრძალვა

ბავშვის მონობა და მისი სავალდებულო შრომა წარმოადგენს მისი ღირსების უფლების დარღვევას. ბავშვი დაცულია მონობისა და იძულებითი ან სავალდებულო შრომისაგან. ბავშვის მონობა იმ შემთხვევაში გვაქვს სახეზე, როდესაც ბავშვი ხდება საკუთრების ობიექტი.<sup>236</sup>

### 2.4. სიკვდილით დასჯა ან უვადო თავისუფლების აღკვეთა

ღირსებასთან და შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლით დადგენილ გარანტიასთან არის დაკავშირებული ბავშვის უფლება, არ დაექვემდებაროს სასჯელის სახით სიკვდილით დასჯას ან უვადო თავისუფლების აღკვეთას გათავისუფლების პერსპექტივის გარეშე. აღნიშნულის გათვალისწინებით, აღნიშნული კონვენციის 37-ე მუხლის (ა) ქვეპუნქტი დაუშვებლად მიიჩნევს ორივეს. აღნიშნული კონვენციის მე-13 დამატებითი ოქმის პრეამბულაში ვკითხულობთ, რომ „[...] ყოველი ადამიანის სიცოცხლის უფლება ძირითადი ღირებულებაა დემოკრატიულ საზოგადოებაში, და რომ სიკვდილით დასჯის გაუქმება არსებითია ამ უფლების დაცვისა და ყველა ადამიანის თანაარსი ღირსების სრული აღიარებისათვის“. გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭო აღნიშნავს, რომ უვადო თავისუფლების აღკვეთა, გაჭიანურებული ან ხანგრძლივი სასჯელები არის უკიდურესად არაპროპორციული და შესაბამისად, სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი, როდესაც მათი გამოყენება ხდება ბავშვებზე.<sup>237</sup>

### 2.5. ბავშვისთვის ელემენტარული პირობების უზრუნველყოფა

ღირსების უფლება უზრუნველყოფს გარანტიას საარსებო მინიმუმზე, რომელიც გამომდინარეობს მისი სოციალური სახელმწიფოს პრინციპთან კომბინაციიდან<sup>238</sup>. ის მოიცავს, როგორც მატერიალურ სახსრებს, ასევე, იმ მინიმუმ მოთხოვნებს, რაც აუცილებელია საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისთვის<sup>239</sup>. კანონმდებლის ვალდებულებაა, რომ უზრუნველყოს გამჭვირვალე და შესაბამისი კონკრეტიკა ამ უფლების

233 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Sudan’ (2002) UN Doc CRC/C/15/Add.190, პარა. 35.

234 ICTY Prosecutor v Kumarac (2002) IT-96-23, IT-96-23/1-A, პარა. 149.

235 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.384.

236 *Siliadin v. France*, პარა.122. ხელმისაწვდომია: <www.hudoc.echr.coe.int>

237 Human Rights Council ‘Report of the Special Rapporteur on Torture and other cruel, Inhuman or Degrading Treatment or Punishment, Juan E. Mendez’ (2015) A/HRC/28/68, პარა.74.

238 BVerfG 125, 175 (222).

239 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 595.

ფარგლების<sup>240</sup>.

## 2.6. ბავშვი, როგორც უფლების მატარებელი

ღირსებასთან დაკავშირებული ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბავშვის თავისუფალ ინდივიდად და ძირითადი უფლებების მქონე სუბიექტად მიჩნევა. უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა არის საკვანძო ასპექტი ბავშვის, ღირსების სფეროში<sup>241</sup>. უფლება სამართალსუბიექტურობაზე წარმოადგენს ღირსების განუყოფელ ელემენტს. შესაბამისად, სახელმწიფოსთვის ადამიანი უნდა იყოს მთავარი ფასეულობა, კონსტიტუციური უფლებების სუბიექტი და არა მიზნის მიღწევის საშუალება<sup>242</sup>. აკრძალულია ადამიანის ობიექტივიზაცია და იმპერატიულია ადამიანის არსებობის პატივისცემა, როგორც პიროვნული და სოციალური ცხოვრების არსებითი ელემენტის. აღნიშნული დანაწესი მოითხოვს, რომ ადამიანის ყოფაზე არ განხორციელდეს იმგვარი ზემოქმედება, რომელიც გულისხმობს კაცობრიობის მიკუთვნებულობის უარყოფას.<sup>243</sup> ბავშვის უფლებაუნარიანობის ან მის მიერ უფლებების განხორციელების დაკნინება და მშობლის მხრიდან საკუთრებად განხილვა დაუშვებელია. კონვენცია, ისევე, კოდექსი განამტკიცებს ბავშვის უფლებას იქნეს მოსმენილი ბავშვთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და მისი ასაკისა და მონიფულობის შესაბამისად გათვალისწინებული იყოს მისი პოზიცია. აღნიშნული, ასევე, წარმოადგენს სამართალსუბიექტურობის გამოვლინების მნიშვნელოვან გამოხატულებას, რადროსაც ბავშვი განიხილება არა, როგორც პასიური და სხვა პირზე სრულად დაქვემდებარებული ობიექტი, არამედ აქტიური მონაწილე მასთან მიმართებით მისაღები გადაწყვეტილების განსჯისა და გადაწყვეტისას. ბავშვი უნდა განიხილებოდეს, როგორც უფლებების აქტიური სუბიექტი და კონვენციის ერთ-ერთი საკვანძო მიზანია იმაზე ხაზგასმა, რომ ადამიანის უფლებები ვრცელდება ბავშვზე. ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი, მისი გამოხატვის, შეკრების, აზრის, სინდისის და რელიგიის თავისუფლებებთან ერთად, ხაზს უსვამს ბავშვის სტატუსს, როგორც ინდივიდის, რომელსაც გააჩნია ძირითადი უფლებები, საკუთარი გრძნობები და შეხედულებები.<sup>244</sup>

## 2.7. კავშირი თანასწორობასთან

ბავშვის ღირსების უფლება ასევე, უკავშირდება ბავშვის თანასწორობის

240 BVerfG 125, 175 (222).

241 GK Brian ‘Dignity and Children’s Right’ in: E Sieh and J McGregor [Eds.] *Human Dignity* (Macmillan 2017 London) გვ. 155.

242 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 28 ოქტომბრის №2/5/560 გადაწყვეტილება საქმეზე ნოდარ მუმლაური საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-10.

243 M Mahlmann ‘The Basic Law at 60 – Human Dignity and the Culture of Republicanism’ 11 *German Law Journal* 1(2010) გვ.24.

244 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.149.

უზრუნველყოფას. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, დისკრიმინაცია კონვენციის მე-2 მუხლში ჩამოთვლილი რომელიმე ნიშნის საფუძველზე, მიუხედავად იმისა ის ამკარაა თუ ფარული, ხელყოფს ბავშვის ღირსებას და ძირს უთხრის ბავშვის შესაძლებლობას მიიღოს სარგებელი განათლებიდან<sup>245</sup>. თუ ბავშვის მოპყრობა ხდება, როგორც, მაგალითად, „მეორე კლასის“ ადამიანის მიმართ, ხდება მისი ადამიანობის უგულებელყოფა, ამდენად, მისი ღირსების შელახვა.

## 2.8. ღირსების უფლების გავრცელება ნაყოფზე

საერთაშორისო სამართალში არ არსებობს ერთგვაროვანი მიდგომა საკითხზე, უნდა გავრცელდეს თუ არა ღირსების უფლება ნაყოფზე. მაგალითად, გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ აბორტის კონტექსტში გამოიყენა ადამიანის ღირსების დებულება, რათა ხაზი გაესვა დაუბადებელი სიცოცხლის დაცვის კონსტიტუციურ მოთხოვნაზე. ხოლო, უნგრეთის საკონსტიტუციო სასამართლომ ღირსების უფლება აბორტის შემზღუდველ საფუძველად არ მიიჩნია. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, ამ დრომდე გაურკვეველია ნაყოფზე ამგვარი უფლების გავრცელების საკითხი.<sup>246</sup>

## 3. ჩარევა დაცულ სფეროში და გამართლების დაუშვებლობა

ღირსებაში ჩარევის განსაზღვრისთვის გამოიყენება ე.წ. ობიექტის ფორმულა<sup>247</sup>. ჩარევა მაშინ არის სახეზე, როდესაც ადამიანის, როგორც სუბიექტის არსებობა ეჭვქვეშ დგება და მას სახელმწიფო ექცევა, როგორც ობიექტს<sup>248</sup>. თუმცა, აუცილებელია ჩარევა ინტენსივობის გარკვეულ ხარისხს აღწევდეს<sup>249</sup>. ბუნებრივია, ასეთი დეფინიცია ტოვებს სუბიექტური შეფასებების შესაძლებლობას, გარკვეულ ბუნდოვანებას.

ღირსება, არა მხოლოდ კოდექსით, არამედ, საქართველოს კონსტიტუციით დაცული განსაკუთრებული უფლებაა. მას თავისი გრამატიკული, სისტემური და ისტორიული განმარტებით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს უფლებათა შორის<sup>250</sup>. ამასთანავე, ის არის ერთადერთი აბსოლუტური უფლება, რომლის შეზღუდვა ვერასდროს იქნება გამართლებული. ამ გარემოებების გათვალისწინებით, იმისათვის რომ ამ უფლებამ არ დაკარგოს თავისი განსაკუთრებული მდგომარეობა და წონა, აუცილებელია მისი დარღვევა მხოლოდ განსაკუთრე-

245 Committee on the Rights of the Child, General Comment No 1 (2001) CRC/GC/1, პარა. 10

246 C McCrudden 'Human Dignity and Judicial Interpretation of Human Rights' 19 *The European Journal of International Law* 4 (2008) გვ. 709.

247 B Pieroth und B Schlink *Grundrechte: Staatsrecht II* (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg) პარა. 368.

248 BVerfG 96, 375 (399); 115, 118 (152).

249 N Teifke *Das Prinzip der Menschenwürde: Zur Abwägungsfähigkeit des Hoehststrangigen* (Mohr Siebeck 2011 Tuebingen) გვ. 28.

250 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 596.

ბულად მძიმე შემთხვევებში იყოს დადასტურებული<sup>251</sup>. დაცულ სფეროში ჩარევა უნდა იყოს მნიშვნელოვნად მძიმე და სახეზე უნდა იყოს გარკვეული ნიშნები ობიექტად მოპყრობის, სახელმწიფო თვითნებობის. ნინაალმდეგ შემთხვევაში, ღირსების უფლებაში ჩარევა ვერ იქნება დადასტურებული.

ამასთანავე, ბავშვის ღირსებით დაცული სფეროს შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტორივ განსხვავებებს, რომელიც არის ბავშვსა და სრულწლოვანს შორის. ბავშვები მათი ასაკის, გამოცდილების, განვითარებისა და მგრძობიარობის გამო საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვასა და მზრუნველობას. შესაბამისად, ერთი და იგივე ქმედების შემთხვევაში, ბავშვის მიმართ შესაძლებელია დადგინდეს ღირსების უფლების დაცულ სფეროში ჩარევა, ხოლო ზრდასრულთან მიმართებით შეიძლება ის არ აღწევდეს ჩარევის ინტენსივობას.

აღსანიშნავია ღირსების უფლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების ნეგატიური და პოზიტიური ასპექტები<sup>252</sup>. ნეგატიური ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფოს ევალება თავად არ დაარღვიოს ადამიანის ღირსება. ამავე დროს, სახელმწიფო ვალდებულია ღირსების დარღვევის აღკვეთა უზრუნველყოს მესამე პირთა მხრიდან<sup>253</sup>. უდავოა, რომ კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ღირსების ხელშეუვალობის ვალდებულებას, არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ კერძო პირების, მათ შორის, ოჯახის წევრების მხრიდანაც. ეს უკანასკნელი მოითხოვს რიგი ღონისძიებების განხორციელებას, მათ შორის, შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის, ეფექტიანი გამოძიების ჩატარების და სამართალდამრღვევი პირის პასუხისგებაში მიცემის ვალდებულებას.

ფიზიკური დასჯის ნებისმიერი ფორმა წარმოადგენს ღირსების შელახვას, რაზეც სახელმწიფოს შესაბამისი ზომების მიღების ვალდებულება ეკისრება<sup>254</sup>. ბავშვის დამცირება და ვერბალური აგრესია, მათ შორის, სხვა ბავშვების მხრიდან, შეიძლება ჩაითვალოს ბავშვის ღირსების შელახვად. ამ შემთხვევაშიც, სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა შექმნას იმგვარი სისტემა, სადაც ბავშვები დაცული იქნებიან მსგავსი ძალადობის ფორმებისგან. ამ კუთხით, ჩარევა მაშინაც სახეზეა, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს ბავშვის დაცვას აღნიშნული ძალადობრივი ზემოქმედებისგან ინტერნეტ-სივრცეში, სოციალური ქსელის ჩათვლით<sup>255</sup>.

სახელმწიფოს აქვს ბავშვის დაცვის და ეფექტიანი ზომების მიღების ვალდებულება ბავშვთა პორნოგრაფიისაგან დაცვის კუთხით. ასეთი მექანიზმების არქონის შემთხვევაში, ხელყოფილია ბავშვის ღირსება<sup>256</sup>.

ღირსება - ბავშვის, ერთადერთი აბსოლუტური უფლებაა. რადგან ბავშვს ეს

251 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 596.

252 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 595.

253 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 595.

254 Committee on the Rights of the Child, General Comment No 1 (2001) UN Doc CRC/C/GC/1, პარა.8.

255 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.337.

256 C McCrudden 'Human Dignity and Judicial Interpretation of Human Rights' 19 *The European Journal of International Law* 4 (2008) გვ. 703.

უფლება აქვს მისი ადამიანად ყოფნიდან გამომდინარე, არ არსებობს გარემოება, რაც გამართლებდა და შესაბამისად, კანონიერად აქცევდა მასში ჩარევას. თუ დადასტურდა ღირსების უფლებაში ჩარევა, კოდექსის მე-4 მუხლი დარღვეულია და ის გამართლებას არ ექვემდებარება.

## §13. სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება

### 1. სიცოცხლის უფლება

#### 1.1. შესავალი

კოდექსის მე-6 მუხლი განსაზღვრავს ბავშვის სიცოცხლის უფლებას. ის ბავშვის ფუნდამენტური უფლება და სხვა უფლებების რეალიზაციის საფუძველია, იმის გათვალისწინებით, რომ თუ ფიზიკურად არ იარსებებს ბავშვი, ის სხვა უფლებებით ვერ ისარგებლებს<sup>257</sup>. ბავშვის სიცოცხლის უფლებას აღიარებს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. ის იცავს, ასევე, ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებას. კონვენციის მე-6 მუხლი, კი ბავშვის უფლებას სიცოცხლეზე, გადარჩენასა და განვითარებაზე. მსოფლიოში, ისევე როგორც საქართველოში, უამრავ ბავშვს უწევს ურთულეს პირობებში ცხოვრება, სადაც ისინი მოკლებულნი არიან ელემენტარულ პირობებს. მათ შორის, არის ბავშვთა შიმშილი და სხვადასხვა დაავადებები<sup>258</sup>. რადგან სახელმწიფოს ვალდებულებაა, შეუქმნას ბავშვს შესაბამისი ელემენტარული პირობები გადასარჩენად, ანუ სიცოცხლის დასაცავად, სიცოცხლის უფლება კოდექსის მიხედვით, მოიცავს გადარჩენის კონვენციისეულ უფლებასაც.

მართალია, სიცოცხლის და გადარჩენის უფლება მჭიდრო კავშირშია განვითარების უფლებასთან, თუმცა, კოდექსში არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები დაცული სფეროს მიხედვით. ამდენად, უფლებათა კომენტარებში ორ განსხვავებულ უფლებადაა მოცემული კოდექსის მე-6 მუხლის *ratione materiae*.

კოდექსი სახელმწიფოს აკისრებს, როგორც ნეგატიურ, ასევე, პოზიტიურ ვალდებულებებს ბავშვის სიცოცხლესთან მიმართებით.

#### 1.2. დაცული სფერო

##### ა. სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა

სიცოცხლის უფლება იცავს ადამიანის არსებობის ბიოლოგიურ და ბუნებრივ საფუძველს<sup>259</sup>, შესაბამისად, ბავშვის ფიზიკურ არსებობას. დაუშვებელია ბავშვის სიცოცხლის უფლების ვიწრო განმარტება. ის უნდა განიმარტოს ფართოდ<sup>260</sup>.

კანონმდებელმა სიცოცხლის უფლებასთან მოიაზრა, ასევე, ბავშვის ფიზიკური ხელშეუხებლობა, როგორც დაცული სიკეთე. ის იცავს ადამიანის სხეულს ფიზიკური დაზიანებისგან და მის ფარგლებში მოიაზრება ნებისმიერი სახის ზემოქმედება, რომელიც იწვევს ტკივილს და ამით უთანაბრდება ფი-

257 M Nowak 'Article 6: The Rights to Life, Survival and Development' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2005 Leiden) პარა.1,7.

258 G Gysi 'Wie viel Armut vertraegt das Kindeswohl?' *15 Familie, Partnerschaft, Recht* 12 (2009) გვ. 572.

259 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ. 124.

260 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.84.

ზიკურ დაზიანებას<sup>261</sup>. ამასთანავე, სიცოცხლის და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებები ერთად არის განსაზღვრული საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის პირველ პუნქტში, რადგან მათ შორის მჭიდრო კავშირია.

ამ უფლების შემადგენელი ნაწილია, ასევე, ბავშვის დაცვა ძალადობისგან. კოდექსის VIII თავი<sup>262</sup> მთლიანად ეძღვნება ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლებას, რომელიც ორგანულადაა დაკავშირებული მე-6 მუხლთან და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს. კოდექსის 53-ე-61-ე მუხლებში უფრო დეტალურადაა განერილი ბავშვის უფლებების დაცვის სისტემის კონკრეტული მექანიზმები, რომელიც იცავს ბავშვს ძალადობისგან.<sup>263</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, სიცოცხლის უფლების მატერიალური დაცული სფერო მოიცავს, ასევე, კონვენციისეულ გადარჩენის უფლებას. გადარჩენის უფლების დაცული სფერო, თავის მხრივ, მოიცავს ბავშვის ზრდის მონიტორინგს, დაავადებების კონტროლს, გამოკვებას, იმუნიზაციასა და ადეკვატურ განთავსების ადგილს. ეს უფლება კვეთს ზოგიერთი სხვა უფლების დაცულ სფეროს, მაგალითად, ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, უფლებას ცხოვრების სათანადო სტანდარტზე, განათლების უფლებას<sup>264</sup>. ბუნებრივია, ისმის კითხვა, მაშ რა საჭირო იყო გადარჩენის უფლების ცალკე გამოტანა? პირველ რიგში, მას აქვს სიმბოლური დატვირთვა, იმის ხაზგასმა, რომ ბავშვის სამომავლო განვითარებას აქვს დიდი მნიშვნელობა. ამისათვის, კი ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილება აუცილებელია<sup>265</sup>. სწორედ ამ უკანასკნელს იცავს გადარჩენის უფლება.

## ბ. სიცოცხლის დასაწყისი

როდესაც საუბარია ბავშვის სიცოცხლის უფლებაზე ერთ-ერთი საკვანძო თემაა, ნაყოფის (*nasciturus*) სიცოცხლის უფლება. ამ საკითხის გადწყვეტა პასუხობს კითხვას, როდის იწყება სიცოცხლის უფლება: ნაყოფის ჩასახვისთანავე თუ ბავშვის დაბადების მომენტიდან.

როგორც უკვე აღინიშნა<sup>266</sup>, კოდექსი პირდაპირ არ გვეუბნება ამ კითხვაზე პასუხს. საერთაშორისო სამართალი, კი, ქვეყნებს ანიჭებს ამ საკითხის გადაწყვეტის დისკრეციას. ეს დისკრეცია საქართველომ გამოიყენა და განსაზღვრა, რომ ზოგადად, აბორტი დაშვებულია, გარკვეული შეზღუდვების გათვალისწინებით. „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 139-ე მუხლი აბორტის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას ქალის უფლებამოსილებად აღიარებს და ადგენს აბორტის კანონიერების წინაპირობებს. ორსულობის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს თორმეტ კვირას და ორსულისთვის სამედიცინო დაწესებულებაში წინასწარი გასაუბრებიდან ორსულობის ხელოვნური

261 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ. 130.

262 მუხლები 53-61.

263 იხ. ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება.

264 N Peleg *The Child's Right to Development* (Cambridge University Press 2019 Cambridge) გვ.88.

265 N Peleg *The Child's Right to Development* (Cambridge University Press 2019 Cambridge) გვ.88.

266 დეტალურად იხ. ბავშვის განმარტება.



შენწყვეტის მიზნით სამედიცინო ჩარევის განხორციელებამდე გასული უნდა იყოს 5-დღიანი მოსაფიქრებელი ვადა. ამავე კანონის 140-ე მუხლის მე-2 პუნქტი 12 კვირაზე მეტი ხანგრძლივობის ორსულობის შემთხვევაში აბორტს დაშვებულად აცხადებს მხოლოდ სამედიცინო და სოციალური ჩვენებების მიხედვით. თუ აბორტი ჩატარდა ამ წესების დარღვევით, საქართველოს კანონმდებლობა ასეთ ქმედებას აფასებს, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულს. სისხლის სამართლის კოდექსის 133-ე მუხლი უკანონო აბორტისთვის აწესებს შესაბამის სანქციებს.

საერთაშორისო სამართლის პერსპექტივიდან მნიშვნელოვანია აბორტთან დაკავშირებული რამდენიმე საკითხის წინა პლანზე წამოწევა.

გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი უარყოფითად აფასებს აბორტის შემთხვევების მაღალ ციფრს და აგრეთვე, აბორტის გამოყენებას როგორც ოჯახის დაგეგმვის ან გენდერის ნიშნით სელექციური აბორტის მეთოდს. ის რეკომენდაციას უწევს ქვეყნებს, გაატარონ აბორტის შემთხვევების შემცირების-კენ მიმართულ ღონისძიებები.<sup>267</sup> გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტი მოუწოდებს ქვეყნებს მიიღონ სელექციური აბორტის ამკრძალავი კანონმდებლობა<sup>268</sup>. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი გმობს გოგონებისა<sup>269</sup> და შშმ ბავშვების<sup>270</sup> სელექციურ აბორტს. მიუღებელია, რომ გოგონებზე უფრო „ღირებულად“ ბიჭები არიან მიჩნეულნი<sup>271</sup>. მათ შორის, პრობლემურია მძიმე პათოლოგიით დაბადებული ბავშვების სიცოცხლის შეწყვეტა. მაგალითად, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი შეშფოთებას გამოხატავს იმაზე, რომ ნიდერლანდებში სამედიცინო პერსონალი ახდენს ახალდაბადებული მძიმე პათოლოგიით დაავადებული ბავშვების სიცოცხლის შეწყვეტას. ის გასცემს რეკომენდაციას, რომ კანონმდებლობის დონეზე უზრუნველყოფილ იქნას მძიმე პათოლოგიით დაავადებული ახალშობილების დაცვა, რათა რეგულაციები შესაბამისობაში მოვიდეს კონვენციის მე-6 მუხლთან.<sup>272</sup> ასევე, ის ნეგატიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ ზოგიერთ ქვეყანაში შშმ ბავშვები ექვემდებარებიან იმგვარ პრაქტიკას, რაც სრულად ან ნაწილობრივ რისკის ქვეშ აყენებს მათ სიცოცხლის უფლებას. კერძოდ, ზოგიერთ კულტურაში ბავშვის შეზღუდული შესაძლებლობები აღიქმება როგორც ცუდი ნიშანი, რაც ჩრდილს აყენებს ოჯახს და დაშვებულია ამგვარი ბავშვის სიცოცხლის მოსპობა. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გამოიყენონ ყველა

267 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.85.

268 UN Committee on Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No 24 (1999) HRI/GEN/1/Rev.8, პარა 31(ც).

269 UN Report on the Fourth World Conference on Women (1996) UN Doc A/Conf.177/20/Rev.1, პარა. 259, 277(ც), 283(დ).

270 Committee on the Rights of the Child, General Comment No 9 (2006) CRC/C/GC/9, პარა. 31.

271 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.127.

272 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: The Kingdom of Netherlands’ (2004) CRC/C/15/Add.227, პარა.33-34.

აუცილებელი ღონისძიება ასეთი პრაქტიკის დასრულებისათვის, მათ შორისაა, საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება, სათანადო კანონმდებლობის შექმნა და აღსრულება, რაც უზრუნველყოფს სათანადო დასჯას ყველა იმ პირის, რომელიც ხელყოფს შშმ ბავშვების სიცოცხლეს.<sup>273</sup>

ასევე, პრობლემურია, ძალიან უდროოდ დაბადებული ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნების საკითხის ეთიკური მხარე, რომელზეც კომიტეტს ჯერ სიღრმისეულად არ უმსჯელია<sup>274</sup>.

თუმცა, არის შემთხვევა, როდესაც გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ქვეყნებს მოუწოდებს, გარკვეულ შემთხვევებში ლეგალური აბორტის შესაძლებლობა გაითვალისწინონ კანონმდებლობაში<sup>275</sup>. კერძოდ, თუ გაუპატიურების ან ინცესტის მსხვერპლი ბავშვი დაფეხმძიმდა, აბორტი შესაძლებელია იყოს მის საუკეთესო ინტერესებში<sup>276</sup>.

### გ. სიცოცხლის დასასრული

სიცოცხლის უფლება ადამიანის გარდაცვალებისთანავე წყდება. გარდაცვალებად ითვლება ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა<sup>277</sup>.

სიცოცხლის უფლებასთან დაკავშირებით პრობლემურია საკითხი სიცოცხლის დასრულებაზე. აქტიური ევთანაზია საქართველოს კანონმდებლობაში სისხლის სამართლის წესითაა დასჯადი. თუმცა, სისხლის სამართლის კოდექსის 110-ე მუხლით, თუ სახეზეა მსხვერპლის დაჟინებული თხოვნა და ქმედების მიზანია მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისაგან გათავისუფლება, ეს წარმოადგენს შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილ დანაშაულს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სიცოცხლის უფლებიდან არ გამომდინარეობს მესამე პირის მიერ ან სახელმწიფოს დახმარებით მოკვდინების უფლება.<sup>278</sup>

საქართველოს კანონმდებლობა, მათ შორის, არც კოდექსი, ევთანაზიის საკითხთან მიმართებით, ბავშვთან დაკავშირებულ რაიმე სპეციფიკურ მიდგომას არ ითვალისწინებს. ბავშვთა ევთანაზიასთან დაკავშირებით, გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტს, ასევე, უარყოფითი დამოკიდებულება აქვს გაცხადებული. მაგალითად, ნიდერლანდების სამეფოს ეროვნული კანონმდებლობასთან მიმართებით, რომელიც უშვებდა ევთანაზიის კანონმდებლობის გავრცელების შესაძლებლობას 12 წელს მიღწეულ ბავშვზე. იმავდროულად

273 Committee on the Rights of the Child, General Comment No 9 (2006) CRC/C/GC/9, პარა. 31.

274 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.87.

275 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.85.

276 Committee on the Rights of the Child 'Considerations of Reports by States Parties under Article 44 of the Convention: Palau' (2001) UN Doc CRC/C/15/Add 149, პარა 46-47.

277 HB Jarass and B Pieroth [Hrsg.] *Grundgesetz fuer die Bundesrepublik Deutschland* (Beck 10. Aufl. 2009 Muenchen) პარა. 10.

278 *Pretty v. United Kingdom*, პარა.39 . ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

ამავე დროს, კანონი ადგენდა 16 წლამდე არასრულწლოვნის ევთანაზიისთვის მშობლის ან მზრუნველის თანხმობის ვალდებულებას, ხოლო 16-დან 18 წლამდე ასაკის შემთხვევაში შესაძლებელი იყო მშობლის თანხმობის ჩანაცვლება არასრულწლოვნის სურვილით, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს ამ სფეროში არასრულწლოვანთა განსაკუთრებული დაცვის საჭიროებაზე. ასევე, მითითებულია, რომ ევთანაზიის მარეგულირებელი კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს ბოროტად გამოყენებისგან, მათ შორის, მესამე პირთა მიერ განხორციელებული ზენოლისგან დაცვის მექანიზმებს და ევთანაზიის მოთხოვნების დაკმაყოფილების *ex ante* კონტროლის შესაძლებლობას.<sup>279</sup>

### დ. შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების მონაწილეობა

ბავშვის სიცოცხლის უფლებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვების მონაწილეობის საკითხი. ერთი მხრივ, პრობლემურია ბავშვების ჩარიცხვა შეიარაღებულ ძალებში. კონვენციის 38-ე მუხლი მოუწოდებს ნევერ ქვეყნებს თავი შეიკავონ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისათვის 15 წლამდე ასაკის ნებისმიერი პირის განწვევისაგან. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ადრეულ ასაკში არა მხოლოდ იძულებით ან სავალდებულო წესით განწვევას ეწინააღმდეგება, არამედ ნებაყოფლობით განწვევასაც მიუღებლად მიიჩნევს, გამომდინარე კონვენციის მე-3<sup>280</sup> და მე-6 მუხლით<sup>281</sup> განმტკიცებული უფლებებიდან.<sup>282</sup> ასევე, შეიარაღებულ კონფლიქტებს შეიძლება მოჰყვეს შეიარაღებული ძალების მხრიდან ბავშვის სიცოცხლის განზრახი ან შემთხვევითი მოსპობა და ჰუმანიტარული კრიზისი, რაც ასევე რისკის ქვეშ აყენებს ბავშვის უფლებების რეალიზებას.

### ე. სიკვდილით დასჯის აკრძალვა

ბავშვის სიცოცხლის უფლებაში ჩარევის მძიმე ფორმაა სიკვდილით დასჯა, რაც, როგორც კონვენციით, ისე, კოდექსით აკრძალულია. ამასთანავე, (ბავშვის) სიკვდილით დასჯის აკრძალვა საერთაშორისო სამართლით განეკუთვნება *ius cogens* ნორმათა ვინრო ჯგუფს<sup>283</sup>. შესაბამისად, დაუშვებელია მისი დარღვევა.

საქართველო არის ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნევერი ქვეყანა და კონვენციის დამატებითი მე-6 და მე-13 ოქმების ხელშემკვერელი მხარე. ეს ნორმები არა მხოლოდ ბავშვებთან მიმართებით, არამედ საერთოდ, დაუშვებლად აცხადებენ სიკვდილით დასჯას, როგორც სასჯელის ზომის შე-

279 UN Human Rights Committee 'Concluding Observations of the Human Rights Committee: Netherlands' (2001) CCPR/CO/72/NET, პარა. 5-6.

280 ბავშვის საუკეთესო ინტერესი.

281 უფლება სიცოცხლესა და განვითარებაზე.

282 Committee on the Rights of the Child 'Concluding Observations: Iraq' (1998) UN Doc CRC/C/15/Add.94, პარა. 15.

283 ob.T Schilling *Internationaler Menschenrechtsschutz* (3. Aufl., Mohr Siebeck 2016 Berlin) გვ.171.

ფარდებს განურჩევლად პირის ასაკისა და სიტუაციისა<sup>284</sup>. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციით, ისევე როგორც, კოდექსით, ბავშვის სიკვდილით დასჯა არის დაუშვებელი.

### 1.3. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

ბავშვების მიმართ, ზრდასრულების სიცოცხლის უფლებისგან განსხვავებით, სახელმწიფოს გააჩნია განსაკუთრებული პოზიტიური ვალდებულებები. ამას უკავშირდება სწორედ, სიცოცხლის უფლებასთან ერთად, ბავშვის გადარჩენის უფლება. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტი ადგენს, რომ უფლება სიცოცხლეზე არ შეიძლება გაგებულ იქნეს ვინ როდ და მისი დაცვა მოითხოვს სახელმწიფოს მიერ პოზიტიური ღონისძიებების განხორციელებას.<sup>285</sup> ის ამ კუთხით განსაკუთრებულად უსვამს ხაზს ბავშვთა პერინატალურ მოვლას, ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებას, შესაბამისი საკვებით უზრუნველყოფასა და ადეკვატური ჯანდაცვის სერვისებზე წვდომას, ზრუნვას არა მხოლოდ ფიზიკურ გადარჩენაზე, არამედ ბავშვის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობაზეც. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიხედვით, ეს უფლება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში რეალიზდეს, თუ გაზიარებული იქნება კომპლექსური მიდგომა სახელმწიფოს მხრიდან, სადაც ჯანმრთელობასთან ერთად უზრუნველყოფილი იქნება, საკვები, სოციალური უსაფრთხოება, ცხოვრების ადეკვატური სტანდარტი, ჯანმრთელი და უსაფრთხო გარემო, შესაბამისი განათლება და თამაში. თუმცა, აქ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ სახელმწიფოს როლი, არამედ მშობლების და ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირების ძალისხმევა.<sup>286</sup>

ბავშვთა თვითმკვლევლობამ წლების მანძილზე საკმაოდ რთული ფორმები მიიღო, როგორც თანამედროვე მსოფლიოში, ასევე, საქართველოში. ამ მიმართულებით, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი გასცემს რეკომენდაციას სახელმწიფოებზე, რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების მახასიათებლების შესწავლაზე, ისევე როგორც, მენტალური ჯანმრთელობის, განათლების, დასაქმების ან სხვა შესაბამის სფეროში დამატებითი მხარდაჭერისა და ინტერვენციული პროგრამების დანერგვის კუთხით.<sup>287</sup> ასევე, სახელმწიფოს ევალება გამოიჩინოს სათანადო გულმოდგინება და სპეციფიკურ საქმიანობაში ჩართვამდე შეამოწმოს, პირი რამდენად განეკუთვნება რისკ-ჯგუფს, რომელსაც შეიძლება თვითმკვლელობისაკენ ჰქონდეს მიდრეკილება. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სამართლომ ერთ-ერთ საქმეში, სადაც საკითხი ეხებოდა თვითმკვლევლობას ჯარში სამსახურის პერიოდში, დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის დარღვევა. მიუხედავად სამხედრო სამსახურის პერიოდში მსხ-

284 S Schmahl 'Die Abschaffung der Todesstrafe in Europa' 2 *DTIEV-Online* (2011) გვ.1.

285 UN Human Rights Committee, General Comment No 6 (1982) HRI/ GEN/1/Rev.8, გვ. 167.

286 Committee on the Rights of the Child, General Comment No 7 (2006) UN Doc CRC/C/GC/ 7/ Rev.1, პარა. 10.

287 Committee on the Rights of the Child 'Concluding Observations: New Zealand' (1997) UN Doc CRC/C/15/Add.71, პარა. 28.

ვერპლის ორჯერ ფსიქიატრიულში მოთავსებისა, ის მაინც დააბრუნეს ჯარში და იარაღით ხელში დაავალეს დაეცვა სამხედრო სანყოფი, რასაც შემდგომში მსხვერპლის მიერ თვითმკვლელობა მოჰყვა.<sup>288</sup> ამდენად, სახელმწიფო ვალდებულია ჰქონდეს კომპლექსური მიდგომა და შესაბამისი პრევენციული მექანიზმები, იმისათვის რომ შესრულდეს ბავშვების სუიციდისგან დაცვის პოზიტიური ვალდებულება.

ბავშვის სიცოცხლის უფლებას საფრთხეს უქმნის, აგრეთვე, ნაადრევი ქორწინება. ნაადრევ ასაკში ქორწინება, განსაკუთრებით გოგონებისთვის, არა მარტო მოწყვლადს ხდის მათ დისკრიმინაციის კუთხით, არამედ საფრთხეს უქმნის ბავშვი დედისა და ახალდაბადებული ბავშვის სიცოცხლეს. დედობა ადრეულ ასაკში იწვევს გართულებებს ორსულობისა და მშობიარობისას, აგრეთვე, რისკს დედის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, რომელიც საშუალოზე მაღალია. ახალგაზრდა დედის შვილებს ახასიათებთ სიკვდილიანობის და ავადობის მაღალი მაჩვენებელი.<sup>289</sup> ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენცია არ შეიძლება იმგვარად განიმარტოს, რომ ხელშემკვრელ სახელმწიფოს მოეთხოვოს სამართლებრივად აღიაროს 14 წლის ასაკში რელიგიური წესით დაქორწინებული ბავშვის ქორწინება.<sup>290</sup> საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, ქორწინების ასაკი შეადგენს 18 წელს და ემთხვევა პირის მიერ სრულწლოვანების მიღწევის ასაკს, სამოქალაქო სამართლის კოდექსის 1108-ე მუხლის შესაბამისად. იმის გამო, რომ ნაადრევი ქორწინება ხშირი იყო და ეს საფრთხეს უქმნიდა ბავშვის სიცოცხლეს, სისხლის სამართლის კოდექსის 140-ე მუხლით დასჯადი გახდა სექსუალური ხასიათის შეღწევა თექვსმეტი წლის ასაკს მიუღწევლის სხეულში.

#### 1.4. დაცულ სფეროში ჩარევა

სიცოცხლის უფლების დაცულ სფეროში ჩარევას აქვს ნეგატიური და პოზიტიური დიმენსია. ჩარევა გამოიხატება სახელმწიფოს მხრიდან ბავშვის სიცოცხლის ხელყოფაში, მის ფიზიკურ განადგურებაში . ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებაში, კი, იმ შემთხვევაში გვაქვს ჩარევა, როდესაც პირის ფიზიკური სუბსტანცია არის ხელყოფილი, ან ადგილი აქვს ფსიქიკაზე ზემოქმედებას<sup>291</sup>. იმავდროულად, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ბავშვის სიცოცხლე და ფიზიკური ხელშეუხებლობა დაიცვას მესამე პირთა მხრიდან მოსპობის ან ზემოქმედებისგან.

სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს შორისაა, მისი ვალდებულება, შექმნას კანონმდებლობა, რომელიც ეფექტიანად დაიცავს სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებას. შესაბამისი საკანონმდებლო აქტების

288 *Ataman v. Turkey*, პარა.63-70. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

289 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.88.

290 *ZH and RH v Switzerland*, გვ.44. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

291 *V Epping Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 45.

არმილება არის ბავშვის სიცოცხლის უფლების დაცულ სფეროში ჩარევა. თუმცა, ამავე დროს, ადამიანის სიკვდილის დადგომა არ არის აუცილებელი წინაპირობა იმისათვის, რათა სახელმწიფოს წარმოეშვას პოზიტიური ქმედებების განხორციელების ვალდებულება. ძალის გამოყენება, რომელიც თავისი არსით ფატალური შედეგის დადგომის რეალურ საფრთხეს ქმნის, საკმარისი საფუძველია სახელმწიფოს მიერ მისი პოზიტიური ვალდებულების განხორციელებისათვის.<sup>292</sup>

სიცოცხლის უფლების ქრილში, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა ბავშვის სიკვდილის შემთხვევებზე ეფექტიანი გამოძიების ჩატარება, როგორც სახელმწიფოს მხრიდან უშუალოდ, ასევე, მესამე პირთა მხრიდან სიცოცხლის ხელყოფის შემთხვევებში. აღნიშნული არის არა შედეგზე ორიენტირებული ვალდებულება, არამედ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ ყველა ხელმისაწვდომ და გამოყენებულ საშუალებას. ნებისმიერი ფაქტი, რომელიც სიცოცხლის ხელყოფასთან არის დაკავშირებული, აკისრებს სახელმწიფოს ვალდებულებას, დაიწყოს ეფექტიანი გამოძიება და წარმართოს იგი ყოვლისმომცველად, ჯეროვნად და სწრაფად.<sup>293</sup> ეფექტიანი გამოძიების ვალდებულება შედგება სხვადასხვა ელემენტებისგან: გამოძიების ვალდებულება დამოუკიდებელი ორგანოს მიერ, მტკიცებულებების დროულად მოძიების ვალდებულება და სხვა.<sup>294</sup>

საქართველოს სახელმწიფოს მიერ თავისი პოზიტიური ვალდებულების შესრულების მაგალითია 2017 წელს, თბილისში, ხორავას ქუჩაზე მომხდარი დანაშაულის შედეგად ორი ახალგაზრდის მკვლელობის ფაქტის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამომძიებო კომისიის შექმნა.<sup>295</sup>

ბავშვებთან მიმართებით, ასევე, პრობლემურია ოჯახური ძალადობის შედეგად სიცოცხლის უფლების დარღვევის საფრთხე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიღებული აქვს არაერთი გადაწყვეტილება, სადაც გამოკვეთილია სახელმწიფოს მიერ სიცოცხლის ხელყოფის პრევენციის ვალდებულების შეუსრულებლობა, როდესაც სახელმწიფო ორგანოებმა იცოდნენ ან ობიექტური მოვლენებიდან გამომდინარე, ვალდებულები იყვნენ სცოდნოდათ ასეთი ხელყოფის საფრთხის შესახებ. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მამის მიერ ბავშვების დახოცვის შემთხვევაზე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ სახელმწიფო ორგანოებს ასეთი რისკის თაობაზე უნდა სცოდნოდათ განმცხადებელსა და პოლიციას შორის წინარე კომუნიკაციის შედეგად. პოლიციის პოზიტიური ვალდებულება მოიცავს განმცხადე-

292 ბ ბოხაშვილი “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები - პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები” კ კორკელია ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები: სტატიათა კრებული (2009 თბილისი) გვ.64-65.

293 ბ ბოხაშვილი “ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები - პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები” კ კორკელია ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები: სტატიათა კრებული (2009 თბილისი) გვ.74

294 BVerfG, 2 BvR 859/17 (2020).

295 ხელმისაწვდომია <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

ბლის საჩივრის რეგისტრირებას, გამოძიების დაწყებას და სათანადო ზომების მიღებას იმ განცხადებაზე, რომ განმცხადებლის მეუღლეს ჰქონდა იარაღი. ამგვარი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო დადგინდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევა.<sup>296</sup>

თუ სახელმწიფოში არ არის სათანადო ზომები მიღებული იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ბავშვებისთვის შესაბამისი კვება, ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ასევე, ის სხვა პოზიტიური ვალდებულებები, რომლებიც უკავშირდება სიცოცხლის უფლებას ბავშვთა გადარჩენის ნაწილში, სახეზე გვაქვს ნორმით დაცულ უფლებაში ჩარევა.

### 1.5. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება

სიცოცხლის უფლება არ არის აბსოლუტური და შესაძლებელია დაექვემდებაროს შეზღუდვას<sup>297</sup> უკიდურეს შემთხვევებში. სიცოცხლის უფლების შეზღუდვაზე არც კოდექსი და არც კონსტიტუცია კონკრეტულ დებულებას არ განსაზღვრავს. ამიტომ, აქაც ზოგად ნორმებს უნდა მივმართოთ. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით, სიცოცხლის უფლების შეზღუდვა დაიშვება, მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, უმნიშვნელოვანეს სიკეთეთა დასაცავად, როდესაც სიცოცხლის მოსპობა აუცილებელია უკანონო ძალის გამოყენებისგან დაცვისთვის<sup>298</sup>. მე-2 მუხლი ამ მიმართულებით ორსაფეხუროვან ტესტს ავითარებს. კერძოდ, ზოგადად და არა უშუალოდ ბავშვებთან მიმართებით სიცოცხლის უფლების ხელყოფა დაიშვება: ნებისმიერი პირის დასაცავად არამართლზომიერი ძალადობისაგან; კანონიერი დაკავებისათვის ან კანონიერად დაპატიმრებული პირის გაქცევის აღსაკვეთად; კანონიერ ღონისძიებათა განხორციელებისას აჯანყების ან ამბოხების ჩასახშობად. ძალის გამოყენება, რომელსაც მოჰყვა სიცოცხლის მოსპობა უნდა იყოს აბსოლუტურად აუცილებელი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მიუთითებს, რომ მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში მოხსენიებული ტერმინი „აბსოლუტურად აუცილებელი“ მიუთითებს უფრო მკაცრ და მყარ აუცილებლობის ტესტზე, ვიდრე ეს არის კონვენციის სხვა მუხლებში.<sup>299</sup> თუმცა, ბავშვის ფიზიკური განვითარების გამო, ისეთი მოცემულობა, სადაც ის ფიზიკური განადგურებით ემუქრება სხვებს, შეიძლება ძალიან იშვიათ შემთხვევებში დადგეს. მაგალითად, თვითმკვლელი ბავშვი ესვრის სხვა ბავშვებს იარაღს სკოლაში<sup>300</sup>. საომარი მოქმედებების

296 *Kontrová v. Slovakia*, პარა.48-55. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

297 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.127.

298 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.127.

299 *McCann and others v. the United Kingdom*, პარა. 149. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

300 M Nowak 'Article 6: The Rights to Life, Survival and Development' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2005 Leiden) პარა.37.

დროსაც კი, ჯარისკაცი ბავშვების სიცოცხლის მოსპობა მხოლოდ მაშინ შეიძლება იყოს გამართლებული, თუ ეს ბავშვი უშუალო, იმნუთიერ და კონკრეტულ საფრთხეს ქმნის<sup>301</sup>.

იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს საკუთარი პოზიტიური ვალდებულების შესრულებას ბავშვის გადარჩენის უფლების რეალიზაციისათვის ჩარევა სახეზეა. თუმცა ამ გარანტიების უზრუნველყოფა ზოგიერთ სახელმწიფოს რეალურად არ შეუძლია საკუთარი ეკონომიკური, სოციალური, კულტურული სიტუაციის გათვალისწინებით<sup>302</sup>. სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური შესაძლებლობების მხედველობაში მიღება კონვენციით განსაზღვრული დებულებაა, რომელიც მოცემულია მე-4 მუხლის მე-2 წინადადებაში. ეს ლოგიკურიცაა, რადგან მაგალითად, საქართველოს, რომლის შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე მსოფლიო ბანკის 2018 წლის მონაცემებით,<sup>303</sup> 4 717.1 აშშ დოლარია, ბუნებრივია, იგივე ფინანსური შესაძლებლობები ვერ ექნება, როგორც აქვს, მაგალითად შვეიცარიას - 82, 796.5 აშშ დოლარი, გერმანიას - 47,603.0 აშშ დოლარი ან აშშ-ს 62, 794.6 აშშ დოლარი. სახელმწიფოს ვალდებულებაა, რომ საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად მოახდინოს ზემოთ აღნიშნული გარანტიების უზრუნველყოფა, ანუ გააკეთოს იმის მაქსიმუმი რაც მას შეუძლია.

## 2. ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება

### 2.1. შესავალი

კოდექსის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის მე-2 ნაწილში განსაზღვრული ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება, ერთი მხრივ, კავშირშია კონვენციაში მოცემულ სიცოცხლის, გადარჩენისა და განვითარების უფლებასთან და მთლიანად მოიცავს მე-6 მუხლის პირველი პუნქტის ბოლო ალტერნატივას, მეორე მხრივ, ის მჭიდროდ უკავშირდება კოდექსში მოცემულ სხვადასხვა კონკრეტულ უფლებებს.

კონვენცია საუბრობს ბავშვის განვითარების უფლებაზე, ხოლო კოდექსი კიდევ უფრო შორს წავიდა და განსაზღვრა ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება, რაც, თავისი შინაარსით, გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე მე-6 მუხლში განსაზღვრული განვითარების უფლება და მოიცავს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებასაც. საქართველოს კონსტიტუცია მკაცრად მიჯნავს ერთმანეთისგან, ერთი მხრივ, სიცოცხლისა და ფიზიკური ხელშეუხებლობის უფლებებს<sup>304</sup> და

301 M Nowak 'Article 6: The Rights to Life, Survival and Development' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2005 Leiden) პარა. 30.

302 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 126.

303 ხელმისაწვდომია: <[www.data.worldbank.org](http://www.data.worldbank.org)>

304 მე-10 მუხლი.



მეორე მხრივ, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებას<sup>305</sup>. კოდექსი, კი, ავითარებს კონვენციის ლოგიკას და მჭიდრო კავშირში მოიაზრებს სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლებებს, სწორედ ბავშვის სპეციფიკური საჭიროებებიდან გამომდინარე.

მნიშვნელოვანია გაივლოს მიჯნა კოდექსის პიროვნული განვითარების უფლებასა და კონვენციით განსაზღვრულ გადარჩენის უფლებით დაცულ სფეროებს შორის. მაშინ როდესაც ბავშვის გადარჩენის უფლება პრევენციულ ბავშვის სიკვდილის და შესაბამისად, სამართლებრივი გარანტია მისი ძირითადი საჭიროებების უზრუნველყოფისთვის, ბავშვის განვითარების უფლება მის გრძელვადიან საჭიროებების დაკმაყოფილებაზეა ორიენტირებული<sup>306</sup>. ამდენად, ეს უფლებები ერთმანეთს ავსებენ, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვს სრულწლოვანისგან განსხვავებით, განსაკუთრებული ზრუნვა და მიდგომა სჭირდება.

ბავშვს პიროვნული განვითარების უფლება მინიჭებული აქვს, როგორც ადამიანს. დაბადების მომენტისთვის, სოციალურ გარემოში მას აქვს შესაძლებლობები პასუხისმგებლობიან პიროვნებად განვითარების. მაგრამ გარდა ამისა, პიროვნების განვითარება ზრდის, მომწიფების და ამ შესაძლებლობებიდან სწავლის კომპლექსური პროცესის შედეგია. სწორედ, ეს პროცესი უნდა იყოს დაცული, რადგან მისი საბოლოო შედეგი ასეთი მნიშვნელოვანია ბავშვისთვის<sup>307</sup>.

ბავშვის პიროვნული განვითარების უფლების დაცული სფერო, მათ შორის, მოიცავს ისეთ სპეციალურ უფლებებს, რომლებიც კონკრეტულად არის განსაზღვრული კოდექსში. მაგალითად, პირადი ცხოვრების უფლება, უფლება გართობასა და დასვენებაზე, ჯანმრთელობის დაცვის უფლება და სხვა.

ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება წარმოადგენს ერთგვარ ზოგად უფლებას, იმისათვის რომ მაქსიმალურად იყოს დაცული ბავშვის პირადი განვითარება<sup>308</sup>. როდესაც ზოგადი და სპეციალური ნორმების შინაარსი ერთმანეთს ემთხვევა, არ შეიძლება ზოგადი ნორმების გამოყენება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, სპეციალური ნორმები აზრს დაკარგავენ. უფლების დაცვის დროს წინა პლანზე წამოიწევა სპეციალური ნორმები *lex specialis derogate legi generali*<sup>309</sup> პრინციპით, ხოლო ზოგადი პიროვნული განვითარების უფლება იმ შემთხვევაში ამოქმედდება, როდესაც კონკრეტული შემთხვევა არ ექცევა სპეციალური ნორმის ფარგლებში. ამდენად, მას აქვს ერთგვარი ბადის ფუნქცია,

305 მე-12 მუხლი.

306 N Peleg *The Child's Right to Development* (Cambridge University Press 2019 Cambridge) პარა.88.

307 M Charlton and Others *Fernsehwerbung und Kinder: Werbeangebot in der Bundesrepublik Deutschland und seine Verarbeitung durch Kinder: Rezeptionsanalyse und rechtliche Rahmenbedingungen* Band 2 (Springer 1995 Wiesbaden) გვ.315.

308 M Charlton and Others *Fernsehwerbung und Kinder: Werbeangebot in der Bundesrepublik Deutschland und seine Verarbeitung durch Kinder: Rezeptionsanalyse und rechtliche Rahmenbedingungen* Band 2 (Springer 1995 Wiesbaden) გვ.315.

309 კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ.95.

რომელიც უფლებას არ ტოვებს დაუცველს. საბოლოო ჯამში, ასეთი მიდგომა გვაძლევს ბავშვის უფლებების სრულყოფილ სისტემას.

იგივე მიდგომა აქვს კონვენციასაც. ბავშვის განვითარება მიიჩნევა, როგორც კომპლექსური მიდგომის გამოხატულება - კონცეფცია, რომელიც ნითელ ხაზად გასდევს მას. კონვენციით დადგენილი ვალდებულებების უმრავლესობა რელიგანტურია, მათ შორის, განსაკუთრებულად ისინი, რომლებიც ეხება ცხოვრების ადეკვატურ სტანდარტებს, განათლებას, გართობასა და თამაშს, რათა უზრუნველყოფილი იქნას ბავშვის მაქსიმალური განვითარება. ეს ინდივიდუალური უფლებები, კი, უკავშირდება სწორედ ბავშვის განვითარებას. კონვენციის 27-ე მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებზე შესაბამისი ფიზიკური, ფსიქიკური, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარებისთვის. ასევე, კონვენცია მიუთითებს, რომ განათლების ერთ-ერთი მიზანი ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების რაც შეიძლება სრული მოცულობით განვითარებაა.<sup>310</sup> ასევე, ბავშვის განვითარების მნიშვნელოვან გარანტიას ადგენს კონვენციის 31-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ბავშვის დასვენების, გართობის, თამაშის, რეკრეაციულ აქტივობებში, კულტურულ ცხოვრებასა და ხელოვნებაში მონაწილეობის უფლებებს. აგრეთვე, კონვენციის 29-ე მუხლი ადგენს ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და ავადმყოფობათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საშუალებებით. ბავშვს აქვს უფლება ხარისხიან ჯანდაცვაზე, მათ შორის, პრევენციაზე, ხელშეწყობაზე, მკურნალობაზე, რეაბილიტაციაზე და პალიატიურ მომსახურებაზე.<sup>311</sup>

ამდენად, პიროვნული განვითარების უფლების თავში არ არის დეტალურად განსაზღვრული ის უფლებები, რომელიც, კონსტიტუციურ-სამართლებრივად და კოდექსის მიხედვით მოიაზრება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლებაში, მაგრამ კოდექსში წარმოდგენილია, როგორც სპეციალური უფლებები ბავშვთან მიმართებით. მაგალითად, ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება<sup>312</sup>, ბავშვის თამაშის და დასვენების უფლება<sup>313</sup> და ა.შ. ამ თავში განხილულია ბავშვის მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც კოდექსის მიხედვით, არც ერთი სხვა უფლებით არ არის მოცული.

## 2.2 უფლებით დაცული სფერო

### ა. ზოგადი მიმოხილვა

ბავშვის პიროვნული განვითარების უფლების მატერიალური დაცული

310 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.93

311 Committee on the Rights of the Child, General Comment No 15 (2013) UN Doc CRC/C/GC/15, პარა.25, 29.

312 მე-9 მუხლი.

313 მე-18-ე მუხლი.

სფერო, პირველყოვლისა, მოიაზრებს ბავშვის ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ, მორალურ, ფილოსოფიურ და სოციალურ განვითარებას<sup>314</sup>. ამ უფლების განმარტება აუცილებელია ფართოდ და სისტემურად<sup>315</sup>, სადაც ცენტრში დგას ბავშვი<sup>316</sup>. იმავდროულად, ეს ექვსი მიმართულება არ გულისხმობს მხოლოდ ბავშვის მომზადებას ზრდასრულობისათვის. ასეთი განმარტება უგულებელყოფდა ამ უფლების ფართო მნიშვნელობას და დაიყვანდა მას მხოლოდ ფსიქო-სოციალურ მიმართულებამდე ვიწრო გაგებით<sup>317</sup>. განვითარების უფლება გულისხმობს ოპტიმალური პირობების უზრუნველყოფას უშუალოდ ბავშვობის პერიოდში.<sup>318</sup> ბავშვები უნდა განვიხილოთ, როგორც აქტიური პირები, საკუთარი სიცოცხლის აქტიური მჭედლები<sup>319</sup>.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება, პირველ რიგში, გულისხმობს ადამიანის პიროვნული თვითგამორკვევისა და ავტონომიურობის უფლებას. სწორედ, პიროვნულობა განსაზღვრავს ადამიანის არსს, მიუთითებს მის ინდივიდუალურ და სხვებისგან განსხვავებულ მახასიათებლებზე. პიროვნების ავტონომიურობის, მისი თავისუფალი და სრულყოფილი განვითარებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, როგორც გარე სამყაროსთან ურთიერთობის დამოუკიდებლად განსაზღვრის თავისუფლებას, ასევე, ინდივიდის ფიზიკურ და სოციალურ იდენტობას, ინტიმური ცხოვრების ხელშეუვალობას, ადამიანთა გარკვეულ წრესთან პერსონალურ კავშირებს იმ ინტენსივობით, რაც აუცილებელია მისი პიროვნული სრულყოფისათვის.<sup>320</sup>

პიროვნული განვითარების უფლება, დოგმატურად, მათ შორის ბავშვთან მიმართებით, აერთიანებს ორ ძირითად უფლებას - ზოგად პიროვნულ უფლებასა და საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებას<sup>321</sup>.

314 Committee on the Rights of the Child, General Comment No 5 (2003) UN Doc CRC/GC/ 2003/5, პარა. 12.

315 Committee on the Rights of the Child, General Comment No 5 (2003) UN Doc CRC/GC/ 2003/5, პარა.12.

316 N Peleg *The Child's Right to Development* (Cambridge University Press 2019 Cambridge) გვ.88.

317 N Peleg 'Reconceptualising the Child's Right to Development: Children and the Capability Approach' 21 *International Journal of Children's Rights* (2013) გვ. 524.

318 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ.93

319 N Peleg 'Reconceptualising the Child's Right to Development: Children and the Capability Approach' 21 *International Journal of Children's Rights* (2013) გვ. 541.

320 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 4 თებერვლის 2/1/536 გადაწყვეტილება - ლევან ასათიანი, ირაკლი ვაჭარაძე, ლევან ბერიანიძე, ბექა ბუჩაშვილი და გოჩა გაბოძე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ. II-54-55

321 იხ. ე.გოცირიძე 'პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება' საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი (პეტიტი 2013 თბილისი) გვ.91.

## ბ. ზოგადი პიროვნული უფლება

ზოგადი პიროვნული უფლება მოიცავს თვითგამორკვევის, პირადი ცხოვრებისა და თვითგამოსახვის უფლებებს<sup>322</sup>. პირადი ცხოვრების უფლება კოდექსში მოცემულია, როგორც სპეციალური ნორმა. ამდენად, ის არ არის ამ თავის განხილვის საგანი.

თვითგამორკვევა იცავს უფლებას საკუთარი პიროვნების შეგრძნებაზე, სხვაგვარად რომ ვთქვათ - ბავშვის პიროვნულ იდენტობას<sup>323</sup>. ეს არის უფლება საკუთარი ინდივიდუალიზმის განსაზღვრისა, უფლება სხვებისგან დამოუკიდებლად შეიგრძნოს და განსაზღვროს საკუთარი თავი ფიზიკურად და ფსიქიკურად<sup>324</sup>.

მასში მოიაზრება, ასევე, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლება, რაც ნიშნავს იმას, რომ პირმა თავად უნდა განსაზღვროს როგორ იქნება დამუშავებული მასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები<sup>325</sup>. ის იცავს ბავშვს მისი მონაცემების შენახვის, გამოყენებისა და გაცემისგან<sup>326</sup>. ბუნებრივია, 21-ე საუკუნეში, როდესაც საინფორმაციო ტექნოლოგიები მნიშვნელოვნად არის განვითარებული, პერსონალური მონაცემების დაცვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან, მათ შორის, ლეგიტიმური მიზნით შეგროვებული ბავშვთან დაკავშირებული მონაცემების მოპოვებისა და დამუშავების კანონიერება, რაც მოცულია ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების დაცული სფეროთი და განსაზღვრულია საქართველოს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონმდებლობით.

თვითგამოსახვის უფლება გულისხმობს, ბავშვმა თავად აირჩიოს, რა ვითარებაში და რა ფარგლებში სურს მას საკუთარი სახის, პიროვნებისა და ხასიათის გახსნა საზოგადოებისთვის<sup>327</sup>. იგი მოიცავს უფლებას საკუთარ სურათზე<sup>328</sup>, რაც იმას ნიშნავს რომ ბავშვს აქვს უფლება თავად განსაზღვროს, ვინ გადაიღებს და გამოაქვეყნებს ან საერთოდ გადაიღებს და გამოაქვეყნებს თუ არა სხვა პირი მისი გამოსახულების შემცველ სურათს ან ვიდეოჩანაწერს. თვითგამოსახვის უფლების ქვეშ მოიაზრება, ასევე, ბავშვის უფლება სიტყვაზე<sup>329</sup>, რაც გულისხმობს იმას, რომ ამ უფლების მატარებელმა თავად განსაზღვროს, ვინმემ ჩაინეროს და გამოაქვეყნოს თუ არა მის მიერ წარმოთქმული სიტყვა.

თვითგამოსახვის უფლება მოიცავს, ასევე, უფლებას საკუთარი პიროვნე-

322 B Pieroth und B Schlink *Grundrechte: Staatsrecht II* (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg) გვ.91.

323 იხ. V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 282.

324 ე.გოცირიძე „პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება“ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი (პეტიტი 2013 თბილისი) გვ.92.

325 S Petersen *Grenzen des Verrechtlichungsgebotes im Datenschutz* (LIT 2000 Hamburg) გვ.7.

326 იხ. BVerfG 65, 1 (43).

327 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ.117.

328 BVerfG 34, 238 (246).

329 BVerfG 34, 238 (246).

ბის წარმოსახვაზე<sup>330</sup>, სადაც მოიაზრება უფლება, როგორ წარდგეს ბავშვი სხვა ადამიანების, საზოგადოების წინაშე. ის იცავს ბავშვს მესამე პირების მხრიდან გაყალბებული და შეურაცხმყოფელი გამოსახვისგან<sup>331</sup>.

## გ. საქმიანობის საყოველთაო თავისუფლება

საქმიანობის საყოველთაო თავისუფლებაში იგულისხმება<sup>332</sup> ბავშვის ნებისმიერი მოქმედება. მისი არეალი ძალიან ფართოა და დაცული სფერო, ასევე, იცავს ნეგატიურ უფლებას, ბავშვმა არ იმოქმედოს კონკრეტულ შემთხვევაში. ის მოიცავს ბავშვის ცხოვრების ნებისმიერ მიმართულებას, მაგრამ ცხადია, არ არის აბსოლუტური და შეუზღუდავი. საბოლოო ჯამში, ეს უფლება მოიცავს ბავშვის საქმიანობის ყველა სფეროს, რომელიც არ ხვდება რომელიმე სპეციალური ნორმის დაცულ სფეროში<sup>333</sup>.

### 2.3 დაცულ სფეროში ჩარევა

პიროვნული განვითარების უფლება არის ბავშვის უფლება დაცული იყოს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან. მას, პირველყოფლისა, აქვს ნეგატიური განზომილება.

სახელმწიფოს მხრიდან ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა დადასტურდება, თუ ადგილი აქვს ბავშვის პერსონალური მონაცემების დამუშავებას, მათ შორის, მისთვის სახელმწიფოს წარმომადგენლების მხრიდან საიდუმლო თვალთვალს, მოსმენას, ვიდეო ან ფოტო გადაღებას. ჩარევა იმ შემთხვევაშიც უნდა დადასტურდეს, თუ საიდუმლო თვალთვალის, მოსმენის ან გადაღების ობიექტი მიზანმიმართულად ბავშვი არ არის. მაგალითად, თუ პოლიცია უთვალთვალეს, უსმენს ან იღებს ბავშვის მშობელს, რომელთან ერთად ცხოვრობს ბავშვი და რომელზეც არის ინფორმაცია სავარაუდო ნარკოვაჭრობის შესახებ. ამ ჩარევას, შესაძლებელია ჰქონდეს თავისი გამართლება, მაგრამ თავად ჩარევა უნდა იქნას დადასტურებული.

ასევე, იმ შემთხვევაში თუ ხდება ბავშვის პერსონალური მონაცემების მესამე პირზე გადაცემა სახელმწიფოს წარმომადგენლის მხრიდან, ჩარევა ბავშვის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში სახეზეა. მაგალითად, სოციალური მუშაკი, რომელიც მუშაობს პედოფილიის მსხვერპლი ბავშვის შემთხვევაზე, უყვება მესამე პირს ამ ბავშვზე დეტალებს სახელისა და გვარის მითითებით. მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტრო საკუთარ ფეისბუქ-გვერდზე ავრცელებს ძალადობის მსხვერპლი ბავშვის შემთხვევის შესახებ ინფორმაციას ბავშვის სახელის, გვარისა და მისამართის მითითებით.

თუმცა, პიროვნების განვითარების უფლებას, ამავდროულად, პოზიტიური

330 BVerfG 54, 208 (217).

331 იხ. V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 283.

332 T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ. 115.

333 იხ. კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ. 96.

განზომილება აქვს. კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის მე-2 ნაწილი მიუთითებს, რომ სახელმწიფო ყველა შესაბამის ზომას იღებს იმისათვის, რომ ბავშვის პიროვნული განვითარება იყოს უზრუნველყოფილი. ამაში მოიაზრება შესაბამისი პირობების შექმნა ამ უფლებების რეალიზებისთვის. იმავდროულად, მოიაზრება ბავშვთა დაცვა მესამე პირთა მხრიდან ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებაში ჩარევისგან.

ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებაზე ზრუნვის ფუნქცია, პირველყოფლისა, აქვს ოჯახს. მშობლის ვალდებულებაა, აღზარდოს ბავშვი და იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, სოციალური განვითარებისთვის<sup>334</sup>. იმ შემთხვევაში, თუ რაიმე ობიექტური ან სუბიექტური მიზეზის გამო არ ან ვერ ხერხდება მშობლების მხრიდან ბავშვის სათანადო მზრუნველობა, სახელმწიფო მისი პიროვნული განვითარების ხელშესაწყობად უზრუნველყოფს შესაბამისი ნაბიჯების გადადგმას. ცხადია, კონკრეტული შემთხვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, განსხვავებულია სახელმწიფო მზრუნველობის ფორმები და მასშტაბები.<sup>335</sup> სწორედ, აღნიშნულზე მიუთითებს კოდექსის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი. თუ სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ უფლების სათანადო რეალიზებას და ვერ ზრუნავს ბავშვის განვითარებაზე, სახეზეა ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებაში ჩარევა.

ბავშვის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებასთან დაკავშირებით პრობლემურია, მედიის მხრიდან ბავშვის პერსონალური მონაცემების გასაჯაროება, რასაც ხშირად ვხვდებით დღევანდელ მოცემულობაში, მათ შორის როგორც ტელემარშუტაჟების მხრიდან, ასევე, სოციალურ ქსელებშიც. თუ არ არსებობს მშობლისა თუ სხვა კანონიერი წარმომადგენლის ან ბავშვის თანხმობა<sup>336</sup> ქვემოთ აღნიშნული გარკვეული გარემოებების გათვალისწინებით, ამ შემთხვევაში სახეზეა ჩარევა ბავშვის ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში. ზოგჯერ საქმე გვაქვს ექსტრემალურ შემთხვევებთანაც. მედიის მხრიდან ბავშვზე გავრცელებულმა ინფორმაციამ, მაგალითად, რომ ის არის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი, შესაძლებელია დამატებით სერიოზული სტრესი მიაყენოს ბავშვს და გაჰყვეს დიდი ხნის განმავლობაში, მათ შორის, სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც.

21-ე საუკუნეში განსაკუთრებულად იჩინა თავი მშობლების მხრიდან ბავშვის სურათების და ვიდეორჩანანერების სოციალურ ქსელში გამოქვეყნების პრობლემატიკამ. მშობელს, როგორც კანონიერ წარმომადგენელს, კოდექსის მიხედვით, აქვს უფლება და ვალდებულება სრულწლოვანების ასაკის მიღწევამდე გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. თუმცა, ეს ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ სოციალურ ქსელში ხშირია შემთხვევა,

334 კოდექსის 25-ე მუხლის პირველი პუნქტი.

335 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის 2/10/1212 გადაწყვეტილება - გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; II-9

336 ბავშვის თანხმობის შესახებ დეტალურად იხ. ქვემოთ.

როდესაც ბავშვების სურათები პედოფილების სამიზნე ხდება, ასევე, ზოგჯერ უკვე თინეიჯერობის ასაკში, ბავშვებს რცხვენიათ ბავშვობის სურათების, განსაკუთრებით როდესაც თანატოლები ჩაგრავენ.

ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლებაში ჩარევა შესაძლებელია არ გვექონდეს სახეზე, თუ არსებობს ბავშვის თანხმობა, დამუშავებულ იქნას მისი მონაცემები. თუმცა, ბავშვის მიერ თანხმობის გაცემის გამართლება პრობლემური საკითხია. თანხმობის გაცემა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე, ინფორმაციული თვითგამორკვევის უფლების შემადგენელი ნაწილია<sup>337</sup>. იმისათვის, რომ პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე გაცემულ იქნას თანხმობა, მთავარია, პირმა იცოდეს, რაზე გასცემს მას. ეს ნიშნავს, რომ მას უნდა ჰქონდეს საკუთარი გადაწყვეტილების ფარგლების განსაზღვრის უნარი<sup>338</sup>. ბავშვი სხვადასხვა ასაკში განვითარების და სიმწიფის სხვადასხვა დონეზეა. ამდენად, იმისათვის, რომ ჩავთვალოთ, შეუძლია თუ არა ბავშვს გაცნობიერებული თანხმობის მიცემა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა განისაზღვროს სიმწიფის რა ხარისხს მიაღწია მან<sup>339</sup>. ეს საშუალებას მოგვცემს შევაფასოთ, რამდენად შეგვიძლია ჩავთვალოთ ბავშვის გადაწყვეტილება პერსონალური მონაცემების დამუშავების თანხმობის გაცემაზე, როგორც მონაცემის დამუშავების საფუძველი. თუ გამოვიყენებთ კანონის ანალოგიას, შეგვიძლია ვთქვათ, დაახლოებით როდის შეგვიძლია ჩავთვალოთ, რომ ბავშვს შეუძლია სიტუაციის შეფასება. ასეთ ასაკად უნდა ავიღოთ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დასაწყისი - 14 წელი. 14-დან 16 წლამდე მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კონკრეტული ბავშვის შესაძლებლობებსა და ინდივიდუალურ მონაცემებზე, ხოლო, 16 წლიდან შესაძლებელია, უმეტეს შემთხვევებში გამოვიდეთ იმ ფაქტიდან, რომ ბავშვს აქვს უნარი თავად გადაწყვიტოს თანხმობის გაცემის საკითხი<sup>340</sup>. მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა ბავშვი ჩართოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რადგან ბავშვს აქვს უფლება მოსმენილ იქნას მისი აზრი მასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე<sup>341</sup>.

პრობლემურია, ასევე, ბავშვებს შორის ჩაგვრა ანუ „ბულინგი“, რომელიც წარმოადგენს ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებაში ჩარევას, იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფო შესაბამის ზომებს არ მიმართავს. ნებისმიერი ზენოლა<sup>342</sup>, მათ შორის ფსიქოლოგიური, რომლის მიზანია ბავშვის დამცირება

337 A Geiger 'Die Einwilligung in die Verarbeitung von Personlichen Daten als Ausuebung des Rechts auf Informationellen Selbstbestimmung' *Neue Zeitschrift in Verwaltungsrecht* (1989) გვ.35.

338 M Schwenke *Individualisierung und Datenschutz: Rechtskonformer Umgang mit personenbezogenen Daten im Kontext der Individualisierung* (Deutscher Universitaetsverlag 2006 Wiesbaden) გვ. 182.

339 M Schwenke *Individualisierung und Datenschutz: Rechtskonformer Umgang mit personenbezogenen Daten im Kontext der Individualisierung* (Deutscher Universitaetsverlag 2006 Wiesbaden) გვ. 185.

340 M Schwenke *Individualisierung und Datenschutz: Rechtskonformer Umgang mit personenbezogenen Daten im Kontext der Individualisierung* (Deutscher Universitaetsverlag 2006 Wiesbaden) გვ. 186.

341 მე-8 მუხლი.

342 H Ehman 'Das allgemeine Personenlichkeitsrecht: Zur Transformation unmoralischer in uner-

და შეურაცხყოფა, ითვლება ჩარევად დაცულ სფეროში. მაგალითად, გერმანიის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება იმ ბავშვის სასარგებლოდ, რომელიც გახდა თანატოლის მხრიდან დამცირებისა და ჩაგვრის ე.წ. „ბულინგის“ მსხვერპლი სოციალურ ქსელში. მოძალადე თანატოლს დაეკისრა ფულადი კომპენსაციის გადახდის ვალდებულება მსხვერპლი ბავშვის სასარგებლოდ ზოგადი პიროვნული უფლების დარღვევისთვის<sup>343</sup>. ამ შემთხვევაში, ბავშვის პატივი და ღირსება შეილახა და შესაბამისად, დაირღვა მისი ზოგადი პიროვნული უფლება.

მნიშვნელოვანია განისაზღვროს, რომ პიროვნული განვითარების უფლების დაბალი ინტენსივობის ე.წ. „ბაგატელური“ შეზღუდვა არ შეიძლება ჩაითვალოს ჩარევად ამ უფლებაში. რადგან, პიროვნული განვითარების უფლება თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, სახელმწიფო ერთი მხრივ, იქნებოდა ძალიან შეზღუდული თავის მოქმედებებში<sup>344</sup>, მეორე მხრივ სასამართლოები გადაიტვირთებოდა გაუმართლებლად<sup>345</sup>, რად შეაფერხებდა სწრაფი მართლმსაჯულების მიღწევის მიზანს.

## 2.4 დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება

ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და ის ექვემდებარება შეზღუდვებს, ისევე როგორც, ზრდასრული პირის. თუმცა, ცხადია, ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებით სარგებლობის პირობები არ არის ზრდასრული ადამიანის პიროვნული განვითარების უფლებით სარგებლობის პირობების იდენტური.

წინა პლანზე გამოდის ბავშვის პიროვნული განვითარებისა და მშობლის მიერ ამ უფლების შეზღუდვის ფარგლები. ერთი მხრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე აღიარებულია მშობლის უფლება მისი შეხედულებისამებრ აღზარდოს შვილი, აზიაროს იმ კულტურას, რწმენას თუ ღირებულებებს, რომელსაც თავად მიჰყვება, შეზღუდოს ბავშვის მოხვედრა იმ სივრცეში, რომელიც შეუთავსებელია მის ეთიკურ, მორალურ, ზნეობრივ პრინციპებთან თუ ტრადიციებთან და ა.შ. ამავე დროს, ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებით სარგებლობის ფარგლებს მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ბავშვის საუკეთესო ინტერეს<sup>346</sup>. ის ავალდებულებს მშობელს ზოგიერთ შემთხვევაში შეზღუდოს ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება, თუ ეს არ შეესაბამება მის საუკეთესო ინტერესს.

ბავშვები ასაკთან ერთად ვითარდებიან და მათი განვითარების დონე დამოკიდებულია ხშირ შემთხვევაში, კულტურულ, სოციალურ და ეკოლოგიურ ფაქტორ-

---

laubten Handlungen’ გვ. 50. ხელმისაწვდომია: <[www.uni-trier.de](http://www.uni-trier.de)>

343 LG Memmingen, 03.02.2015, ზ.21 1761/13.

344 V Epping *Grundrechte* (Springer 2017 Berlin) გვ. 247.

345 H Ehman ‘Das allgemeine Persönlichkeitsrecht: Zur Transformation unmoralischer in unerlaubten Handlungen’ გვ. 51. ხელმისაწვდომია: <[www.uni-trier.de](http://www.uni-trier.de)>

346 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის 2/10/1212 გადაწყვეტილება - გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; II-8



რებზე<sup>347</sup>. ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში გაცნობიერებული, ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების უნარი არასრულწლოვან პირებს სრულწლოვან პირებთან შედარებით, მნიშვნელოვნად ნაკლები აქვთ. ხსენებულიდან გამომდინარე, მათივე ინტერესების დასაცავად შეზღუდულია არასრულწლოვანის ზოგადი თავისუფლების ფარგლები. არასრულწლოვანი პირები ასაკის შესაბამისად საჭიროებენ განსაკუთრებულ მზრუნველობას, რათა დაცული იყოს მათი ინტერესები და ეჭვქვეშ არ დადგეს მათი ნორმალური განვითარება.<sup>348</sup>

რადგან ბავშვის პიროვნული განვითარების უფლება ეხება მის შინაგან განვითარებას, საკონსტიტუციო სასამართლოს ზემოხსენებული არგუმენტების გათვალისწინებით, ზოგიერთ შემთხვევაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, ბავშვის სწორად განვითარებისთვის, მშობელმა თავად გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებშია და არ მისცეს ბავშვს თავისუფლება იმ დოზით, რაც დააზიანებს ამ ინტერესს. აღნიშნული წარმოადგენს შემთხვევას, როდესაც ბავშვის პიროვნული ავტონომიურობა უკან იხევს მისივე ინტერესების სასარგებლოდ. ამავე დროს, ბავშვის პიროვნული განვითარების უფლებით სარგებლობის ფარგლები, მათ შორის, ბავშვის მიერ მის პიროვნულ განვითარებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღების შესაძლებლობა, ბავშვის ასაკის და განვითარების შესაბამისად ცვალებადია და როგორც წესი, ასაკის მატებასთან ერთად უფლებით სარგებლობის შეზღუდვებმა უნდა დაიკლოს<sup>349</sup>. სწორედ ამაზე აპელირებს კონვენციის მე-5 მუხლი, როდესაც მიუთითებს, რომ სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს მშობლის პასუხისმგებლობას, უფლებებსა და მოვალეობებს, რომ სათანადოდ მართონ და უხელმძღვანელონ ბავშვებს მისი უფლებების განხორციელებაში და აღნიშნულს აკეთებდნენ ბავშვის განვითარებადი უნარების შესაბამისად.

ბავშვის საუკეთესო ინტერესით ხელმძღვანელობა არა მხოლოდ მშობლების, არამედ სახელმწიფოს ვალდებულებაა და მისი შეზღუდვის ლეგიტიმური საფუძველი, მაშინაც, როდესაც საქმე ეხება ბავშვის პიროვნების განვითარების უფლებით სარგებლობას. მაგალითად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში გვხვდება გადაწყვეტილებები, სადაც გამართლდა კონკრეტული შემზღუდავი ღონისძიების არსებობა სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით. მაგალითად, სასამართლომ მიიჩნია, რომ არასრულწლოვანთა დაცვა თამბაქოს ნაწარმის პოპულარიზაციისა და ხელმისაწვდომობისგან, ამართლებს თამბაქოს ნაწარმის რეალიზაციის აკრძალვას იმ სავაჭრო ობიექტებში, რომლებიც განლაგებულია ზოგადსაგანმანათლებლო

347 J Tobin and S Varadan ‘Article 5: The Right to Parental Direction and Guidance Consistent with Child’s Evolving Capacitis’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford) გვ. 173.

348 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 7 დეკემბრის 2/10/1212 გადაწყვეტილება - გიორგი სპარტაკ ნიკოლაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ; II-8

349 J Tobin and S Varadan ‘Article 5: The Right to Parental Direction and Guidance Consistent with Child’s Evolving Capacitis’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford) გვ. 174.

დანესებულებების მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში.<sup>350</sup>

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობის, შესაბამისად, პიროვნული განვითარების უფლებაში ჩარევის გამართლების საკითხი, პირდაპირ კავშირშია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან. იმ შემთხვევაში, თუ ამ პოზიტიური ვალდებულებების შესრულება ფინანსურ და მატერიალურ სახსრებს მოითხოვს. თუ ბავშვი ცხოვრობს ძალიან ღარიბ ოჯახში და მისი პიროვნული განვითარების უფლებისთვის მას სჭირდება შესაბამისი მატერიალური სახსრები, ხოლო სახელმწიფოს სოციალური დახმარება არ არის ამისთვის საკმარისი, ამ უფლებაში ჩარევა სახეზეა. თუმცა, სახელმწიფო ბიუჯეტში ამ სოციალური დახმარების რაოდენობის მომატების ეკონომიკური შესაძლებლობის ობიექტური არარსებობის შემთხვევა შეიძლება იყოს გამართლება ამ ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის.

---

350 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 21 აპრილის 1/5/826 გადაწყვეტილება- ხათუნა ფხალაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-30-32

## §14. თანასწორობის უფლება

### 1. შესავალი

ბავშვთა თანასწორობის უფლება, კოდექსში არის მოცემული როგორც უფლება და როგორც ზოგადი პრინციპი, რომელიც ნითელ ხაზად გასდევს მთელს კოდექსს.

ბავშვთა თანასწორობა კონვენციით დაცული ერთ-ერთი უდიდესი სიკეთეა, რომელმაც ასახვა მის მეორე მუხლში პოვა. მასში საუბარია დისკრიმინაციის დაუშვებლობაზე. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, თუ რა განსხვავებაა ამ ორ ტერმინს, თანასწორობასა და დისკრიმინაციის დაუშვებლობას შორის. ამ კითხვაზე პასუხი მარტივია: კოდექსში მითითებულია თანასწორობის უფლება, რომელსაც სხვაგვარად დისკრიმინაციის დაუშვებლობას უწოდებენ საერთაშორისო სამართალში. დისკრიმინაციის დაუშვებლობა წარმოადგენს თანასწორობის უფლების ნეგატიურ გამოხატულებას. ეს ორი ტერმინი ერთი პრინციპის პოზიტიურ და ნეგატიურ მხარეებს წარმოადგენს<sup>351</sup>. დისკრიმინაცია გაუმართლებელი, უთანასწორო მოპყრობა ანუ თანასწორობის უფლების დარღვევაა. კოდექსის შემუშავების პროცესში არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან შემოთავაზებული იყო თანასწორობის უფლების დისკრიმინაციის აკრძალვის პრინციპით ჩანაცვლება, თუმცა კანონმდებელმა კონსტიტუციაზე აიღო სწორება და შესაბამისად, ტექსტში ჩანაწერი დარჩა ზემოთ აღნიშნული ფორმით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, თანასწორობის უფლების დამდგენი დებულება წარმოადგენს უნივერსალურ კონსტიტუციურ ნორმა-პრინციპს, რაც, ზოგადად, ადამიანების სამართლებრივი დაცვის თანაბარი პირობების გარანტირებას გულისხმობს. კანონის წინაშე თანასწორობის უზრუნველყოფის ხარისხი ობიექტური კრიტერიუმია ქვეყანაში დემოკრატიისა და სამართლის უზენაესობის ხარისხის შეფასებისათვის. ამდენად, ეს პრინციპი წარმოადგენს დემოკრატიული და სამართლებრივი სახელმწიფოს როგორც საფუძველს, ისე მიზანს.<sup>352</sup>

თანასწორობის უფლებას დიდი მნიშვნელობა აქვს ზოგადად, საერთაშორისო სამართალში, ისევე, როგორც სხვადასხვა ქვეყნების შიდა კანონმდებლობებში. თუმცა მას უშუალოდ, ბავშვებთან მიმართებით, განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება. დისკრიმინაციის შედეგები მძიმეა, როდესაც მსხვერპლს თავის დაცვა არ შეუძლია<sup>353</sup>, განსაკუთრებით ეს ვლინდება პატარა ასაკის ბავშვ-

351 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 71.

352 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბერის №1/1/493 გადაწყვეტილება - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-1

353 A Lopatka 'Importance of the Convention on the Rights of the Child' 91 *Bulletin of Human Rights* 2 (1992) გვ. 63.

ვებთან.<sup>354</sup> ეს ბავშვები შესაძლებელია მათთვის საფრთხის შემცველ სიტუაცი-  
აში აღმოჩნდნენ არა მხოლოდ სახელმწიფოს წინაშე, არამედ, მშობლებთან და  
სხვა ზრდასრულ ადამიანებთან მიმართებით, რადგან ისინი საკუთარი უფლე-  
ბების რეალიზებისთვის მათ დახმარებას საჭიროებენ<sup>355</sup>. დამატებით, ბავშვები  
შესაძლებელია უთანასწორო მდგომარეობაში მშობლის ან მისი სხვა კანონიერი  
წარმომადგენლის გამო აღმოჩნდნენ, მაგალითად, თუ ბავშვის მშობელი მსჯა-  
ვრდებულა. ასეთი ტიპის უთანასწორო მდგომარეობა დისკრიმინაციის სხვა  
შემთხვევებში არ გვხვდება<sup>356</sup>. საბოლოო ჯამში, უთანასწორო მოპყრობა ბავშვს  
ართმევს მნიშვნელოვან სიკეთეებს სხვადასხვა ნიშნის გამო<sup>357</sup> და რადგან თა-  
ნასწორობის უფლება სუსტებს აძლევს თანასწორ შანსებს ძლიერებთან მიმარ-  
თებით<sup>358</sup>, ეს უფლება ბავშვებისთვის, მათი მომავლისთვის, განსაკუთრებულად  
მნიშვნელოვანია.

თანასწორობის უზრუნველყოფისთვის, ზოგად კონტექტსში, მნიშვნელო-  
ვანია საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის  
შესახებ“. თუმცა, კოდექსი წარმოადგენს სპეციალურ კანონს (*lex specialis*) ან-  
ტიდისკრიმინაციულ კანონმდებლობასთან მიმართებით, როდესაც საქმე ეხება  
ბავშვებს. ამდენად, ამ შემთხვევაში, კოდექსს უპირატესი გამოყენება აქვს ნორ-  
მათა კოლიზიისას.

თავისუფლების კლასიკური უფლებებისგან განსხვავებით, რომელთათვი-  
საც უფლების დარღვევის დადგენის სამსაფეხურიანი ტესტია განსაზღვრული,  
თანასწორობის უფლების შემთხვევაში, უფლების სპეციფიკიდან გამომდინა-  
რე, სახეზე გვაქვს ორსაფეხურიანი ტესტი. კერძოდ, დადგენილ უნდა იქნას უთ-  
ანასწორო მოპყრობა და განისაზღვროს, ეს უთანასწორო მოპყრობა არის თუ  
არა გამართლებული<sup>359</sup>.

## 2. უთანასწორო მოპყრობა

### 2.1 უთანასწორო მოპყრობის განმარტება

კოდექსის მე-7 მუხლი განსაზღვრავს, რომ აუცილებელია ყველა ბავშვის მი-  
მართ თანასწორი მოპყრობა განურჩევლად რასის, კანის ფერის, სქესის, ენის,  
რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ  
სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი ოჯახ-  
ის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის,  
შეზღუდული შესაძლებლობის, საქმიანობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად. ყველა  
ბავშვის მიმართ თანასწორი მოპყრობის პოსტულატი წარმოადგენს სახელმწი-

354 Committee on the Rights of the Child, General Comment No 7 (2006) UN Doc CRC/C/GC/ 7/ Rev1, პარა. 11.

355 Committee on the Rights of the Child, General Comment No 7 (2006) UN Doc CRC/C/GC/ 7/ Rev1, პარა. 11.

356 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.72.

357 B Abramson 'Article 2: The Right of Non-Discrimination' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2008 Leiden) .

358 T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ.115.

359 T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ.115.

ფოს ნეგატიურ ვალდებულებას.

უთანასწორო მოპყრობა არის ნებისმიერი განსხვავება, გამორიცხვა, შეზღუდვა ან უპირატესობის მინიჭება, დაფუძნებული ნებისმიერ ნიშანს (რასა, ფერი, სქესი, ენა, რელიგია და სხვა), რომლის მიზანი ან ეფექტი არის ყველა უფლებისა და თავისუფლებების, ყველა ადამიანის მიერ თანაბარ გარემოებებში აღიარების, სარგებლობის ან გამოყენების უარყოფა ან შეზღუდვა.<sup>360</sup> თუმცა, ეს განმარტება არ გულისხმობს ბავშვების გათანაბრებას. თანასწორობის იდეა ემსახურება შესაძლებლობების თანასწორობის უზრუნველყოფას, ერთნაირი შესაძლებლობების გარანტირებას. თანაბარი შანსები იქნება თუ არა თანაბრად გამოყენებული, დამოკიდებულია კონკრეტული პირების<sup>361</sup>, მათ შორის, რა თქმა უნდა, ბავშვის უნარებზე.

უთანასწორო მოპყრობა ნიშნავს არსებითად თანასწორების უთანასწოროდ და არსებითად უთანასწოროთა თანასწორად მოპყრობას<sup>362</sup>. შესაბამისად, თანასწორობის უფლება არ მოიცავს იდენტური მოპყრობის ვალდებულებას ყველას მიმართ, არამედ, აუცილებელია შინაარსობრივი დიფერენცირებისთვის ყურადღების მიქცევა<sup>363</sup>.

ბავშვთა თანასწორობის განსაზღვრისას აუცილებელია მხედველობაში იქნას მიღებული, რომ არც ერთი ბავშვი და არც ერთი სიტუაცია არ არის მეორის იდენტური. ამდენად, საჭიროა, სახეზე იყოს არსებითად თანასწორი ბავშვი ან ბავშვთა ჯგუფი.<sup>364</sup> ამისათვის აუცილებელია განისაზღვროს, თუ რა არის ამ ბავშვების ან ბავშვთა ჯგუფების შედარების მასშტაბი<sup>365</sup>, სხვაგვარად რომ ვთქვათ შესადარებელი ნიშანი (*tertium comparationis*), საერთო მახასიათებელი (*genus proximum*), რომელიც ბავშვებს ან ბავშვთა ჯგუფებს გააჩნია<sup>366</sup>. ამასთანავე, ბავშვების ან ბავშვთა ჯგუფის არსებითად თანასწორობის საკითხი ფასდება არა ზოგადად, არამედ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად.<sup>367</sup>

მაგალითად, სოციალურად დაუცველი ბავშვები სახელმწიფოს მხრიდან იღე-

360 UN Human Rights Committee ‘CCPR General Comment No 18: Non-Discrimination’ (1989) UN Doc CCPR/C/21/Rev.1/Add.1, პარა. 11.

361 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბერის №1/1/493 გადაწყვეტილება - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-1

362 იხ. VerfG 1, 14 (52); 116, 164 (180).

363 P Alston ‘The Legal Framework of the Convention on the Rights of the Child’ 91 *Bulletin of Human Rights* 2 (1992) გვ.6.

364 იხ. T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ. 115.

365 იხ. Wienbracke *Einfuehrung in die Grundrechte: Mit Wirtschaftsjuristischen Schwerpunkkk und dem Recht der Verfassungsbeschwerde* (Springer 2013 Wiesbaden) გვ. 272.

366 იხ. T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ.115.

367 იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2010 წლის 27 დეკემბერის №1/1/493 გადაწყვეტილება - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებები „ახალი მემარჯვენეები“ და „საქართველოს კონსერვატიული პარტია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-2

ბენ ყოველთვიურად თანხას 50 ლარის ოდენობით, რომელიც ნაწილდება თანხად და კვების ვაუჩერად. ამ ბავშვებისგან განსხვავებით, მაღალშემოსავლიანი ოჯახის ბავშვებს, რომლებსაც არ ეძლევათ ეს დახმარება, შესაძლებელია სახელმწიფო ეპყრობოდეს უთანასწოროდ. ბავშვები, რომელთა ოჯახის წევრებს აქვთ მაღალი შემოსავალი და სოციალურად დაუცველი მშობლების ბავშვები არ შეიძლება იყოს არსებითად თანასწორი შესაძარებელი ჯგუფი სოციალურ საკითხებში. ისინი შემოსავლის კუთხით ვერ იქნებიან არსებითად თანასწორები, რადგან, სოციალურად დაუცველ ბავშვების ოჯახებს არ აქვთ შემოსავალი, მაღალშემოსავლიანი ოჯახის ბავშვებს, კი, გააჩნიათ მაღალი შემოსავალი. შესაბამისად, ისინი არ არიან არსებითად თანასწორნი (თანასწორობის უფლების რეალიზებისთვის) სახელმწიფოს მხრიდან მათთვის თანხის გაცემის კუთხით. არსებითად უთანასწოროს, კი, სახელმწიფო არ უნდა მოეპყროს თანასწორად.

არსებობს უთანასწორო მოპყრობის ორი სახე: პირდაპირი და ირიბი. პირდაპირი უთანასწორო მოპყრობა სახეზეა, როდესაც მიზანი უთანასწორო მოპყრობაა<sup>368</sup>, არ აქვს მნიშვნელობა ეს მიზანი ღიაა თუ დაფარული<sup>369</sup>. არაპირდაპირ დისკრიმინაციასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც სახელმწიფოში არსებული ესა თუ ის წესი თუ დამკვიდრებული პრაქტიკა თანმხლები შედეგის სახით იწვევს ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის არათანასწორ მდგომარეობაში ჩაყენებას. ასეთ შემთხვევებში, როგორც წესი, სახელმწიფოს არ გააჩნია დისკრიმინაციის განზრახვა. ამის მიუხედავად, სახელმწიფო პასუხს აგებს *de facto* დისკრიმინაციული ვითარებისათვის. ასეთ დროს, განსხვავებული მოპყრობის დასამტკიცებლად საკმარისია სტატისტიკური მონაცემების მოშველიება.<sup>370</sup>

არსებობს უთანასწორო მოპყრობა ბავშვებს შორის, არამედ უთანასწორო მოპყრობა ბავშვსა და სრულწლოვანს შორისაც. მაგალითად, როდესაც ზოგიერთ ქვეყანაში სრულწლოვან მოქალაქეებს თავიანთი პროცესუალური უფლებების მეშვეობით სხვა უფლებების რეალიზაციის შესაძლებლობა აქვთ, ბავშვები ამ შესაძლებლობას მოკლებულნი არიან, რადგან თავიანთი უფლებების რეალიზებისთვის სრულწლოვანთა დახმარება სჭირდებათ<sup>371</sup>.

განსაკუთრებულად მძიმეა, როდესაც ბავშვები ხდებიან დისკრიმინაციის მსხვერპლნი რამდენიმე ნიშნის მიხედვით<sup>372</sup>. მაგალითად, ერთი და იგივე ბავშვი შეიძლება იყოს შავკანიანი, შშმ პირი გოგონა, შესაბამისად, გახდეს დისკრიმინაციის მსხვერპლი, როგორც კანის ფერის, ასევე, სქესისა და შშმ პირად ყოფნის გამო.

368 იხ. კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ.322.

369 P Alston 'The Legal Framework of the Convention on the Rights of the Child' 91 *Bulletin of Human Rights* 2 (1992) გვ.6.

370 ე გოცირიძე „თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის უფლება“ საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი (პეტიტი 2013 თბილისი) გვ. 70.

371 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.72.

372 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.73.

## 2.2 ცალკეული ნიშნები

კოდექსის პირველი პუნქტი განსაზღვრავს უთანასწორო მოპყრობის იმ ნიშნებს, რომლებიც ნაწილობრივ ემთხვევა კონვენციის შესაბამის ჩამონათვალს<sup>373</sup>. კერძოდ, აუცილებელია თანასწორი მოპყრობა ბავშვის რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, საქმიანობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

მნიშვნელოვანია, რომ ამ ჩამონათვალში არ არის ნახსენები ბავშვის ასაკი, როგორც დისკრიმინაციის საფუძველი. არსებობს საყოველთაო კონსენსუსი, რომ ბავშვები ასაკის მიხედვით განსხვავდებიან, შესაბამისად ხშირ შემთხვევაში აუცილებელია დიფერენცირებული მიდგომა<sup>374</sup>. რასის ტერმინის ქვეშ არ იგულისხმება ბიოლოგიური განსხვავებებით ადამიანთა რასებად დაყოფა, არამედ მოიცავს იმ „რასობრივი პროფილირების“ აქტიურად შეზღუდვის მიზანს, რომელიც გერმანულმა ნაციონალსოციალისტურმა და სამხრეთ აფრიკაში აპარტიდის განმახორციელებელმა რეჟიმებმა განსაზღვრეს<sup>375</sup>. ხშირ შემთხვევაში, რასისა და კანის ფერის მიხედვით დისკრიმინაცია შესაძლებელია ერთმანეთს ემთხვეოდეს.

სქესის გამო დისკრიმინაცია, უთანასწორო მოპყრობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებული ფორმაა. იგულისხმება ბავშვის ბიოლოგიური სქესი. ხშირია აბორტი მხოლოდ იმის გამო, რომ ბავშვი გოგონაა. ასევე, ადრეული ქორწინება ზრდის გოგონებისათვის დაორსულების, შესაბამისად ჯანმრთელობის კუთხით რისკებს. სახელმწიფო ვალდებულია გადადგას ნაბიჯები, რათა თავიდან იქნას აცილებული ბავშვთა ქორწინება<sup>376</sup>. ადრეულ ქორწინებასთან მიმართებით, პრობლემურია გოგონათა მიერ განათლების მიღების შეწყვეტა, რაც მათ მოწყვლადს ხდის მთელი ცხოვრების განმავლობაში<sup>377</sup>. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი ამახვილებს ყურადღებას, მათ შორის, გოგონათა შრომაზე, რომლებიც ზოგიერთ შემთხვევაში, მცირე ასაკში ვალდებულნი არიან მთელი დღე ეწეოდნენ უმძიმეს შრომას, რაც არ არის თავსებადი ბავშვის უფლებებთან<sup>378</sup>.

კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის, მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობას, როგორც უთანასწორო მოპყრობის ერთ-ერთ ნიშანს. ჯანმრთელობის მდგომარეობასთან ერთად საგულისხ-

373 იხ. კონვენციის მე-2 მუხლი.

374 იხ. ბავშვის საუკეთესო ინტერესები,

375 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.77.

376 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.80.

377 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Germany’ (2014) CRC/C/DEU/CO/3-4, პარა. 52.

378 Committee on the Rights of the Child ‘Report on the 8th Session’ (1995) CRC/C/38, გვ.47.

მოა მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის მდგომარეობა, რაზეც კოდექსი მინიშნებას აკეთებს. ასეთი მინიშნება, ბავშვებთან დაკავშირებული განსაკუთრებულობაა, რაც არც ერთ სხვა უფლებასთან არ გვხვდება. ხშირად ბავშვები ხდებიან დისკრიმინაციული მოპყრობის მსხვერპლები მხოლოდ იმიტომ, რომ მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის გამო და არა მხოლოდ ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით. მაგალითად, შესაძლებელია ბავშვის უთანასწორო მოპყრობა მოხდეს იმიტომ, რომ მის მშობელს აქვს კონკრეტული პოლიტიკური შეხედულება ან რელიგიური მრწამსი.

შეზღუდული შესაძლებლობის ნიშანი ბავშვებთან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე აქტიუალური საკითხია. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები განსაკუთრებულად მოწყვლად ჯგუფს განეკუთვნებიან<sup>379</sup>. ისინი ხშირად ფიზიკური, ფსიქიკური, სექსუალური ძალადობის მსხვერპლები არიან, ხოლო, სოციალური სტიგმა აძლიერებს უთანასწორო მოპყრობის მოქმედებას.<sup>380</sup> გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ ბარიერი არის არა შეზღუდული შესაძლებლობები, როგორც ასეთი, არამედ ის სოციალური, კულტურული, დამოკიდებულებითი და ფიზიკური საკითხები, რასთან ერთად უხდებათ შშმ ბავშვებს ყოველდღიურად შეხება.<sup>381</sup>

სხვა ნიშანზე მითითება გვაჩვენებს, რომ უთანასწორო მოპყრობის ნიშნების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი, რადგან კოდექსი უზრუნველყოფს ბავშვების ფართო დაცვას. შესაბამისად, საქართველოს კონსტიტუციის მსგავსად, ჩამონათვალი, რომლებიც შეიძლება დისკრიმინაციის საფუძველი გახდეს, ღიად არის დატოვებული. მაგალითად, დაბადება. ყველა ბავშვი დაბადებით თანასწორია და არ არის განსხვავება ეს ბავშვი დაქორწინებული მშობლების შვილია თუ დაუქორწინებელი, მათ შორის, მემკვიდრეობის მიღების კუთხით<sup>382</sup>. იგივე ვრცელდება იმ ბავშვებზე, რომლებიც სუროგაციის გზით დაიბადნენ.

## 2.3 უთანასწორო მოპყრობა პოზიტიური ვალდებულებების შემთხვევაში

კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი ერთმანეთისაგან ასხვავებს ბავშვის, ერთი მხრივ, პატივისცემასა და თანასწორად მოპყრობას, მეორე მხრივ - დაცვას. ეს ტერმინები არ არის სინონიმები, არამედ მიანიშნებს სახელმწიფოს პოზიტიურ და ნეგატიურ ვალდებულებაზე.<sup>383</sup>

სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებების უფრო ძლიერი გამოხატულებების

379 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No 9 (2007) UN Doc CRC/ C/GC/9, გვ.1.

380 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.81.

381 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No 9 (2007) UN Doc CRC/ C/GC/9, პარაგრაფი 5.

382 A Lopatka 'Importance of the Convention on the Rights of the Child' 91 *Bulletin of Human Rights* 2 (1992) გვ. 63.

383 იხ. P Alston 'The Legal Framework of the Convention on the Rights of the Child' 91 *Bulletin of Human Rights* 2 (1992) გვ.5.



ბა მოცემულია მე-7 მუხლის მე-2 პუნქტში, სადაც აღნიშნულია, რომ სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს ნებისმიერი სახის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

საკმარისი არ არის მხოლოდ ის, რომ სახელმწიფომ ბავშვების უთანასწორო მოპყრობისგან, კონკრეტული ქმედებისგან შეიკავოს თავი, არამედ ის ვალდებულია აქტიური ნაბიჯები გადადგას, რომ კერძო პირების მხრიდან დისკრიმინაციას არ მისცეს ფართო ასპარეზი<sup>384</sup>. ასევე, მან უნდა გადადგას ნაბიჯები, რომ მოწყვლად ბავშვებს ჰქონდეთ თანაბარი შანსები არამოწყვლად ბავშვებთან მიმართებით. მაგალითად, სახელმწიფოს ვალდებულებაა, აქტიურად გამოიკვლიოს ბავშვების მოწყვლადი ჯგუფები, რომლებიც მათი უფლებების რეალიზებისთვის განსაკუთრებულ ზომებს საჭიროებენ<sup>385</sup>. ასევე, სახელმწიფომ უნდა მიიღოს ისეთი ზომები, რომლებიც ქალაქებსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორის სოციალური მდგომარეობისა და განათლების კუთხით არსებულ განსხვავებებს შეამცირებს<sup>386</sup>. ასევე, აუცილებელია ზომების მიღება იმ ბავშვებთან მიმართებით, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ და მუშაობენ<sup>387</sup>.

### **3. უთანასწორო მოპყრობის განმახორციელებელი სუბიექტები**

კოდექსის მე-7 მუხლის პირველი პუნქტი მიუთითებს, რომ როგორც სახელმწიფო უწყებები, ასევე, კერძო იურიდიული და ფიზიკური პირები ვალდებული არიან, პატივი სცენ ყველა ბავშვს, დაიცვან და მოეპყრონ თანასწორად ნებისმიერი ნიშნის მიუხედავად. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ ნებისმიერი პირის ვალდებულებაა ბავშვთა თანასწორობის დაცვა. განსაკუთრებული ვალდებულების ქვეშ არის სახელმწიფო, რომელმაც არა მარტო არ უნდა დაარღვიოს ბავშვის თანასწორობის უფლება აქტიური ნაბიჯებით, არამედ გაატაროს ქმედითი ღონისძიებები, შექმნას სისტემა, რათა თითოეული ბავშვი იყოს დაცული. იმ შემთხვევაში, თუ კერძო ფიზიკური და იურიდიული პირები მოეპყრობიან ბავშვს გაუმართლებლად უთანასწოროდ, სახელმწიფომ უნდა გადადგას ნაბიჯები ბავშვის დასაცავად. მათ შორის, სასამართლოებმა უნდა გაითვალისწინონ თანასწორობის უფლება თავიანთ გადაწყვეტილებებში.

### **4. უთანასწორო მოპყრობის გამართლება**

იმისათვის, რომ ბავშვის თანასწორობის უფლების დარღვევა არ დადგინდეს, განსხვავებული მოპყრობა უნდა იქნას გამართლებული. ადამიანის უფლებათა

384 S Detrick *A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child* (Kluwer 1999 The Hague) გვ.68.

385 Committee on the Rights of the Child, General Comment No 5 (2003) UN Doc CRC/GC/ 2003/5, პარა. 12.

386 Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: China’ (2013) UN Doc CRC/C/CHN/CO/3-4, პარა. 62.

387 Committee on the Rights of the Child ‘General Guidelines for Periodic Reports’ (2011) UN Doc CRC/C/58, გვ.10.

ევროპული სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტით, დისკრიმინაციად არ ჩაითვლება განსხვავებული მოპყრობა, რომელიც ეფუძნება არსებითად განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების ობიექტურ შეფასებას, ითვალისწინებს საჯარო ინტერესს და ამყარებს სამართლიან ბალანსს საზოგადოების საერთო ინტერესსა და ინდივიდის უფლებებს შორის.<sup>388</sup> ამდენად, უთანასწორო მოპყრობა უნდა იყოს დასაბუთებული და გონივრული. ის გონივრულია იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა დიფერენციაციის ლეგიტიმური მიზანი და არსებობს გონივრული, პროპორციული კავშირი დიფერენცირებასა და ლეგიტიმურ მიზანს შორის.<sup>389</sup>

გასათვალისწინებელია, რომ ყველა უთანასწორო მოპყრობა არ არის ერთი და იგივე ხარისხის. შესაბამისად, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკაში, ისევე როგორც გერმანიასა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში განვითარდა მკაცრი შეფასებისა და რაციონალური დიფერენცირების ტესტები. კონსტიტუციურ-სამართლებრივად, როდესაც უთანასწორო მოპყრობა უკავშირდება კონკრეტულ ნიშნებს ან ხასიათდება მაღალი ინტენსივობით, ის ექვემდებარება კონსტიტუციურ შემოწმებას მკაცრი ტესტის ფარგლებში, თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით.<sup>390</sup> სხვა შემთხვევაში, სასამართლო იყენებს რაციონალური დიფერენცირების ტესტს, რაც გულისხმობს რაციონალური კავშირის დასაბუთებას დიფერენცირებასა და დიფერენციაციის ლეგიტიმურ მიზანს შორის.<sup>391</sup> თუ კოდექსზე გამოვიყენებთ ამ მიდგომას, იმ შემთხვევაში თუ უთანასწორო მოპყრობა ეფუძნება მე-17 მუხლში განსაზღვრულ ნიშანს ან ხასიათდება მაღალი ინტენსივობით, მკაცრი ტესტის სტანდარტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ამტკიცოს, რომ თანაზომიერების პრინციპი დაცულია. სხვა შემთხვევაში, საკმარისი იქნება რაციონალური კავშირის დასაბუთება ბავშვების უთანასწორო მოპყრობასა და უთანასწორო მოპყრობის ლეგიტიმურ მიზანს შორის.

ბავშვთა კატეგორიაში გამოიყოფა პირთა სეგმენტი, რომლებიც განსაკუთრებით მონყვლადები არიან. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ერთ-ერთი საქმე შეეხებოდა ბოშური წარმომავლობის თხუთმეტ ხორვატიელ ბავშვს, რომელთა სარჩელის თანახმად, სკოლაში სწავლის პერიოდში, ისინი რასობრივი დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ. საფუძველი რასობრივი დისკრიმინაციისა, მათი სარჩელის თანახმად, იყო ის, რომ ისინი მოათავსეს კლასში, სადაც მხოლოდ ბოშები სწავლობდნენ. შედეგად, ამ ბავშვებმა განიცადეს ფსიქოლოგიური ზიანი. სასამართლოსთვის, ხორვატიის სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი კრიტერიუმი - ხორვატიული ენის ცუდად ცოდ-

388 *Zarb Adami v. Malta*, პარა.73. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

389 *Zarb Adami v. Malta*, პარა.72. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

390 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 მარტის №2/1/473 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქე ბიჭიკო ჭონქაძე და სხვები საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის წინააღმდეგ“, II-6.

391 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 15 თებერვლის №3/1/659 გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ომარ ჯორბენაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-62.

ნა, არ აღმოჩნდა გამართლების საფუძველი. სასამართლოს მიხედვით, ტესტი, რომელიც განსაზღვრავდა „ბოშა კლასებში“ ბავშვთა განაწილებას, ორიენტირებული არ იყო ენის ცოდნაზე. საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის მიხედვითაც ბოშა ბავშვებს უნდა ესწავლათ, ენასთან დაკავშირებულ პრობლემებზე არ ამახვილებდა ყურადღებას. ასევე, არ მიმდინარეობდა მოსწავლეთა წინსვლის ზედამხედველობა. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ბავშვების განაწილება „ბოშა ბავშვების კლასში“ გაუმართლებელია. მან დაადგინა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა კონვენციის მე-14 მუხლის, პირველი დამატებითი ოქმის მე-2 მუხლთან ერთად დარღვევა.<sup>392</sup>

პრობლემურია, ქორწინებაში და ქორწინების მიღმა დაბადებული ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის შემთხვევები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკაში, არის საქმე, სადაც ადგილი ჰქონდა დისკრიმინაციას, კერძოდ, ქორწინების მიღმა დაბადებული ბავშვის უფლების შეზღუდვას მიეღო მემკვიდრეობა<sup>393</sup>. ასევე, სასამართლომ დაადგინა დისკრიმინაცია ისეთ შემთხვევაში, როდესაც ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვს მისი სტატუსიდან გამომდინარე უარი ეთქვა მოქალაქეობის მინიჭებაზე. სასამართლოს პრაქტიკით, ნონადი მიზეზები უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი, რათა დაბადების საფუძველზე განსხვავებული მოპყრობა გამართლებულიყო. ასეთი არგუმენტები, კი, სახელმწიფოს მხრიდან წარმოდგენილი არ ყოფილა.<sup>394</sup>

მნიშვნელოვან ასპექტს წარმოადგენს ფაქტი, რომ ბავშვებთან მიმართებით, დასაშვებია პოზიტიური დისკრიმინაცია. პოზიტიური დისკრიმინაციის მიზანია, ბავშვების მოწყვლად ჯგუფს მისცეს შანსი და შესაძლებლობა, რათა ეს ჯგუფი მაქსიმალურად გაუთანაბრდეს ბავშვთა არამოწყვლად ნაწილს. კოდექსი იზიარებს კონვენციის პათოსს, რომლის მიხედვით, პოზიტიური დისკრიმინაცია წარმოადგენს დისკრიმინაციის დაშვებულ ფორმას<sup>395</sup>. კერძოდ, კოდექსი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ყველა ბავშვისთვის თანაბარი უფლებები და შესაძლებლობები და მიიღოს განსაკუთრებული ზომები ნებისმიერი სახის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად. მე-17 მუხლი აკონკრეტებს ბავშვთა რამდენიმე განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფს: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვები, რომლებთან მიმართებით სახელმწიფომ უნდა გაატაროს ღონისძიებები, მათ შორის სპეციალური პირობების შექმნისა და სტიგმისა და გარიყვისგან დასაცავად.

ხშირად ბავშვების მიმართ დისკრიმინაციული მოპყრობის ძირითადი მიზეზი სიღარიბეა. სწორედ ამიტომ ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბიუჯეტო რესურსების განაწილებისას ბავშვების დისკრიმინაციისგან დაცვისა და მათი საუკეთესო ინტე-

392 *Oršuš and others v. Croatia*, პარა. 180-185. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

393 *Inze v. Austria*, პარა. 41-45 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

394 *Genovese v. Malta*, პარა. 43-49 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

395 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.26.

რესები იყოს თვითმიზანი.<sup>396</sup> საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, საქართველოში მცხოვრებ უცხოელ ბავშვებს უნდა ჰქონდეთ უფასო ზოგადი განათლების მიღების იმგვარი შესაძლებლობა, როგორც საქართველოს მოქალაქეებს. მან გამართლებულად არ მიიჩნია განათლების უფლების შეზღუდვა საბიუჯეტო სახსრების დაზოგვის მიზნით. ხარჯების დათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ ასეთი ხარჯი არ იყო მძიმე ტვირთი საქართველოს ბიუჯეტისათვის.<sup>397</sup>

გაუმართლებელი უთანასწორო მოპყრობის სანინალმდეგოდ გადადგმულ ერთ-ერთ ნაბიჯად უნდა განვიხილოთ კოდექსის 82-ე მუხლი, რომელიც განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შექმნისა და განხორციელებისას, საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვა. ამ დებულების მიხედვით, აუცილებელია გადანყვეტილების მიღებამდე ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე ამ გადანყვეტილების ზეგავლენის მოსალოდნელი შედეგების წინასწარი შეფასება და გადანყვეტილების აღსრულების შემდეგ მონიტორინგის რეგულარულად განხორციელება.

---

396 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ.23.

397 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2014 წლის 12 სექტემბერის №2/3/540 გადანყვეტილება - „რუსეთის მოქალაქეები - ოგანეს დარბინიანი, რუდოლფ დარბინიანი, სუსანა სამკოციანი და სომხეთის მოქალაქეები - მილენა ბარსელიანი და ლენა ბარსელიანი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-43-55

## §15. უფლება აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე

### 1. შესავალი

ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე განსაზღვრულია კოდექსის მე-8 მუხლით. ეს უფლება ემსახურება, ერთ მხრივ, ბავშვის ჩართულობას მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაზე, მაგრამ მეორე მხრივ, თავად ამ ბავშვის განვითარებას, რაც, ბუნებრივია, მისი მომავლისთვის დიდი მნიშვნელობის მატარებელია. ამ უფლების მიზანია, ბავშვებმა მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებებში, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მათ ცხოვრებასა და ბედზე.<sup>398</sup> ამ დებულებით კიდევ ერთხელ ხდება ხაზგასმა, რომ ბავშვი უფლების მატარებელი ინდივიდია, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს მასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში<sup>399</sup>. ეს უფლება კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ბავშვი არის განუმეორებელი ინდივიდი, რომელსაც პატივი უნდა სცე და რომელსაც საკუთარი პერსპექტივა და მიზნები გააჩნია<sup>400</sup>.

ის, ასევე, კონვენციის მე-12 მუხლით დაცული სიკეთეა. კონვენციის კონცეფციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საყრდენი სწორედ ბავშვთა მონაწილეობაა, რომელმაც გამოხატულება ამ მუხლში ჰპოვა<sup>401</sup>. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ ეს უფლება შედეგის მომტანია ბავშვისთვის, მისი ოჯახის, საზოგადოების, სკოლის, ქვეყნისა და დემოკრატიისთვის, უფლება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს სიმბოლოდ ბავშვის აღიარების, როგორც უფლებების მატარებელი ინდივიდის<sup>402</sup>.

აზრის მოსმენასა და მონაწილეობის უფლებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული სხვადასხვა უფლებები, მათ შორის, აზრის გამოხატვის, ინფორმაციის მიღების, მართლმსაჯულების და სხვა. ეს უფლებები წარმოადგენენ აზრის მოსმენისა და მონაწილეობის უფლების განხორციელების წინაპირობას. მე-8 მუხლით გათვალისწინებული გარანტიის ჯეროვანი რეალიზება ვერ მოხდება მათ გარეშე. ასევე, მათი დაცული სფეროებიც ზოგიერთ შემთხვევაში საერთოა, თუმცა მე-8 მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას (*lex specialis*) ბავშვთან მიმართებით, რომელსაც განსაკუთრებული დაცვითვა აქვს.

398 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) p.55.

399 R Thorburn Stern *Implementing Art.12 of the UN Convention on the Rights of the Child: Participation, Power and Attitudes* (Nijoff 2017 Leiden) გვ.11.

400 E Krappmann 'The Weight of the Child's View: Article 12 of the Convention on the Rights of the Child' 18 *International Journal of Children's Rights* (2010) გვ.502.

401 R Thorburn Stern *Implementing Art.12 of the UN Convention on the Rights of the Child: Participation, Power and Attitudes* (Nijoff 2017 Leiden) გვ.5.

402 Committee on the Rights of the Child 'Report on the Forty-Third Session' (2007) UN Doc GC/C/43/3, გვ.1.

## 2. დაცული სფერო

### 2.1 ბავშვის აზრის მოსმენა

კოდექსის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე. ბავშვის აზრის მოსმენის უფლება მჭიდრო კავშირშია ბავშვის აზრის გამოხატვის თავისუფლებასთან, თუმცა, მისგან განსხვავებით ემსახურება უფრო ვიწრო, კონკრეტულ, ბავშვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის მიზანს.

დაცულია აზრის თავისუფლად გამოთქმის უფლება, რაც გულისხმობს აზრის როგორც ჩამოყალიბებისას, ისე გამოთქმისას ბავშვის დაცვას ყოველგვარი ზენოლისგან<sup>403</sup>. ასევე, დაცულია უფლების ნეგატიური მხარეც: ბავშვს აქვს უფლება არ გამოთქვას აზრი და დისტანცირდეს მასთან მიმართებით გადაწყვეტილების მიღების პროცესისგან. დაუშვებელია ბავშვის იძულება აზრის გამოთქმასა და მონაწილეობაზე.

იმისათვის, რომ ბავშვმა აზრი შეიქმნას და შემდეგ გამოხატოს, მას უნდა ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია<sup>404</sup>, რაც ინფორმაციის მიღების თავისუფლებასთანაა მჭიდრო კავშირში. ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული გადაწყვეტილებაზე და მის სავარაუდო შედეგებზე<sup>405</sup>, ისევე როგორც ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ობიექტურად შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებასთან. რა თქმა უნდა, არ არის აუცილებელი ყველა საკითხთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაცია იქნას ბავშვისთვის მიწოდებული. საუბარია მხოლოდ იმ ძირითად მიმართულებებზე, რომელიც აუცილებელია ბავშვის მიერ ინფორმირებული გადაწყვეტილების მისაღებად<sup>406</sup>. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, პირველყოვლისა, აქვს იმ პირს, ვინც უსმენს ბავშვს, ასევე, მეორადად უკვე მშობლებს ან სხვა კანონიერ წარმომადგენლებს<sup>407</sup>.

ბავშვის აზრის მოსმენა ინდივიდუალურთან ერთად, კოლექტიური უფლებაცაა და მისი განხორციელება, როგორც ცალკეულ ბავშვს, ასევე, ბავშვთა ჯგუფსაც შეუძლია<sup>408</sup>. თუმცა, კოლექტიური უფლების შემთხვევაში, პრობლემური შეიძლება იყოს, როგორ შეიძლება ერთმანეთისგან იქნას განსხვავ-

403 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ. 155.

404 L Krappmann 'The Weight of the Child's View: Article 12 of the Convention on the Rights of the Child' 18 *International Journal of Children's Rights* (2010) გვ. 506.

405 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 25.

406 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 21.

407 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 25.

408 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 9.

ვებული ცალკეული ბავშვების სიმნიფის ხარისხი ან ასაკი და საბოლოო ჯამში, მათი აზრი<sup>409</sup>.

ბავშვის აზრის მოსმენა და მონაწილეობა მნიშვნელოვან როლს თამაშობს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პროცესში, თუმცა ის ამ თავის განხილვის საგანს არ წარმოადგენს<sup>410</sup>.

## 2.2 ბავშვის აზრის ფორმირების უნარი

იმისათვის რომ ბავშვმა აზრი გამოხატოს, უნდა შეეძლოს ამ აზრის ფორმირება. ბავშვის აზრის ფორმირების შესაძლებლობა განისაზღვრება მისი ასაკისა და სიმნიფის ხარისხის შესაბამისად, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფრთხილად უნდა იქნას შეფასებული<sup>411</sup>. არ არის განსაზღვრული ასაკის რაიმე ქვედა ზღვარი, რადგან ბავშვებს ადრეული ასაკიდან აქვთ აზრის ფორმირების უნარი, მაშინაც კი, როდესაც შესაძლოა ისინი თავის აზრს ვერ გადმოსცემდნენ. ამდენად, მნიშვნელოვანია, მათ შორის, არავერბალური კომუნიკაციის საშუალებებიც კი გამოვიყენოთ (თამაში, ხატვა, სახის გამომეტყველება და ა.შ.), იმისთვის რომ გავიგოთ ბავშვის აზრი<sup>412</sup>. მტკიცების ტვირთი, რომ კონკრეტულ ბავშვს არ აქვს უნარი ჰქონდეს თავისი აზრი, აქვს სახელმწიფოს<sup>413</sup>. თუმცა, ძალიან პატარა ასაკში როდესაც ბავშვს ჯერ კიდევ ფეხი არ აქვს ადგმული, არსებობს კონსენსუსი, რომ ამ პატარებს არ აქვთ აზრის ჩამოყალიბების უნარი<sup>414</sup>.

## 2.3 ბავშვის აზრის მოსმენის ფორმები

აუცილებელია განისაზღვროს, რა ფორმებით უნდა მოხდეს ბავშვის აზრის მოსმენა. მე-8 მუხლით გარანტირებულია აზრის თავისუფლად ფორმირება და გამოთქმა, რაზეც მიანიშნებს მე-2 პუნქტი. ბავშვის მიერ აზრის თავისუფლად გამოთქმა დამოკიდებულია პირობებზე, რომელშიც კომუნიკაცია მიმდინარეობს, რადგან მტრული, დამაშინებელი, სტრესული და ბავშვისთვის უნდობლობის აღმძვრელი გარემო გამოირიცხავს თავისუფალი აზრის გამოხატვას.

კოდექსის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს, რომ ბავშვს უფლება აქვს მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით. ასევე,

409 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 188.

410 იხ. ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე.

411 L Krappmann 'The Weight of the Child's View: Article 12 of the Convention on the Rights of the Child' 18 *International Journal of Children's Rights* (2010) გვ. 507.

412 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 189.

413 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 20.

414 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 190.

მე-4 პუნქტი აცხადებს, რომ ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამოხატველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავშვის საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ წარმართული. ორივე აღნიშნული მუხლი წარმოადგენს გარანტიას იმისას, რომ ბავშვის აზრის მოსმენისა და მონაწილეობის პროცესი იყოს ბარიერების გარეშე და ბავშვისთვის იქნას ადეკვატური შესაძლებლობა მიცემული, რეალურად გამოხატოს ის, რაც თავად სურს.

## **2.4 ბავშვთან დაკავშირებული საკითხები**

კოდექსი ითვალისწინებს, რომ უფლება აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე ვრცელდება მხოლოდ იმ საკითხებზე, რომლებიც ბავშვს ეხება. იგულისხმება, რაც კონკრეტულად ამ ბავშვს ეხება. ასეთი ფორმულირება გამორიცხავს კანონმდებლის ნებას აზრის გამოხატვის ზოგადი პოლიტიკური მანდატი მისცეს ბავშვს<sup>415</sup>. სწორედ ეს ნიშანი არის მთავარი განმასხვავებელი მე-8 მუხლით დაცულ სიკეთესა და ზოგადად, აზრის გამოხატვის ან ინფორმაციის მიღების თავისუფლების თუ ნებისმიერი სხვა უფლებისგან, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება.

გადანყვეტილებები, რომელიც ბავშვს ეხება, შეიძლება იყოს ძალიან ფართო ნუსხა. შეიძლება იყოს ოჯახური საკითხები, სასამართლოს გადანყვეტილებები (მაგ. განქორწინება, მემკვიდრეობა, შვილად აყვანა), ადმინისტრაციული აქტები, კანონები და სხვა. შესაძლებელია მოვიაზროთ საკითხები რომლებიც ბავშვს პირდაპირ ეხება, ასევე, ირიბი შეხების შემთხვევებიც. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, არსებობს კოდექსის ფართოდ განმარტების ვალდებულება ბავშვის საუკეთესო ინტერესების მაქსიმალურად დასაცავად.

## **2.5 ბავშვის აზრის გათვალისწინების ფარგლები**

ბავშვის აზრი არა მხოლოდ მოსმენილ უნდა იქნას, არამედ, ასევე, გათვალისწინებულიც. რა იგულისხმება გათვალისწინებაში? მოიაზრება იმგვარი გადანყვეტილების მიღება, რაც ბავშვს უნდა ყველა შემთხვევაში? რა თქმა უნდა, გათვალისწინებაში არ იგულისხმება ყველა შემთხვევაში ზუსტად იგივე გადანყვეტილების მიღება, რაც ბავშვს უნდა. კოდექსის მიზანია, ბავშვი იქნას ჩართული რაც შეიძლება მაქსიმალურად იმ საკითხებში, რომელიც მას ეხება. თუმცა ეს არ ნიშნავს, ზუსტად ისე მოიქცეს სახელმწიფო, ოჯახი თუ სხვა პირი, როგორც ბავშვის სურვილია.

მართალია, როგორც უკვე აღნიშნა, არ არსებობს ისეთი გადანყვეტილების მიღების ვალდებულება, რაც ბავშვის სურვილია. თუმცა, ბავშვის მხოლოდ მოსმენა არ არის საკმარისი. აუცილებელია სერიოზული და ფრთხილი გააზრება ბავშვის აზრის. მხედველობაშია მისაღები, ასევე, ბავშვის ასაკი და სიმწიფის

415 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/ GC/12, პარა. 27.



ხარისხი<sup>416</sup>. ბავშვის სიმნიფე გულისხმობს, ბავშვის უნარს, შეაფასოს კონკრეტული საკითხის შედეგები, ასევე, საკუთარი აზრი დამოუკიდებლად და გონივრულად გამოხატოს<sup>417</sup>. ლოგიკურია, რომ რაც უფრო დიდი და მომნიფეებულია ბავშვი, მით მეტად უნდა იქნას მისი აზრი მხედველობაში მიღებული. ამ შემთხვევაში, მისი აზრი უფრო ნონადია.

ბავშვის მონანილეობის ტერმინი კოდექსის მე-8 მუხლის სათაურში გვხვდება, მაგრამ არ გვხვდება უშუალოდ ნორმის ტექსტში, არც კონვენციის მე-12 მუხლში. ეს ტერმინი განვითარდა პრაქტიკაში, რომელიც გამოიყენება იმის აღსანიშნავად, რომ ბავშვთან კომუნიკაციისას მისი აზრის მოსმენაზე დიალოგი ორმხრივი პატივისცემით უნდა წარიმართოს. ბავშვი უნდა ხედავდეს ამ პატივისცემას, თუ როგორ ხდება მისი აზრის გათვალისწინება<sup>418</sup>. საბოლოო ჯამში, ამის მეშვეობით ბავშვი მონანილეობს მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში.

### 3. დაცულ სფეროში ჩარევა

ბავშვი მისი მოსმენისა და მონანილეობის უფლებით სარგებლობს ყველა სფეროსა და სივრცეში, რომელიც უკავშირდება მას, როგორც სახელმწიფოს, ასევე კერძო პირების მხრიდან. თუმცა, პირველყოვლისა, ბავშვისათვის მოსაზრების თავისუფლად გამოხატვის ბუნებრივი სივრცე, უპირველესად, ოჯახია, სადაც მას ადრეული ასაკიდან უნდა მოუსმინონ. ოჯახში ბავშვს უფლება აქვს მიიღოს ინფორმაცია, მაგალითად მისი ჯანმრთელობის, მკურნალობისა და მისგან მოსალოდნელი შედეგების შესახებ და მისი მოსაზრება მხედველობაში იქნეს მიღებული მისი განვითარების შესაბამისად.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ბავშვისთვის აზრის გამოხატვა უზრუნველყოფილი უნდა იყოს განათლების სისტემაში (სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები), რაც, ასევე, მოიცავს ბავშვის უფლებას მონანილეობა მიიღოს სწავლების მეთოდებისა და სასკოლო პროგრამის შემუშავებაში. ბავშვების ჩართულობა უნდა განხორციელდეს, როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ბავშვები უნდა იქნან ჩართულები და მათი აზრი გათვალისწინებული, კანონმდებლობის შემუშავებასა და იმპლემენტაციისას, სტრატეგიის დაგეგმვაში. მაგალითად, თავად კოდექსის შემუშავების პროცესში, გაეროს ბავშვთა ფონდის აქტიური მხარდაჭერით, მთელი საქართველოს მასშტაბით მოხდა ბავშვების ჩართვა. ამან საკანონმდებლო აქტი გაამდიდრა ბავშვების პერსპექტივიდან გამომდინარე და რამდენიმე მნიშვნელოვანი პასაჟი იქნა მასში გათვალისწინებული. ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი თვითმმართველობების იმ აქტებს, რომლებიც ბავშვებს ეხება და ადგილობრივი ბავშვების აზრი უნდა იქნას

416 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 10.

417 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 30.

418 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 3.

მოსმენილი და გათვალისწინებული.

მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი დაუშვებლად აცხადებს ბავშვის მოსმენის უფლების შეზღუდვას ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე. მისი მიზანია, არ დაუშვას ბავშვის მოსმენის უფლების შეზღუდვა დისკრიმინაციული საფუძველით. ყველა ბავშვს, რომელსაც გააჩნია თავისი საკუთარი აზრის ჩამოყალიბების შესაძლებლობა, უფლებამოსილია ისარგებლოს მისი აზრის მოსმენისა და მონაწილეობის უფლებით. მოქმედებს პრეზუმფცია, რომ ბავშვს გააჩნია მოსაზრების ჩამოყალიბების შესაძლებლობა,<sup>419</sup> სანამ საპირისპირო არ დადასტურდება. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოსაზრებით, როგორც კვლევა მიუთითებს, ბავშვს შეუძლია აზრის ფორმირება ადრეული ასაკიდან, თუნდაც ის მოკლებული იყოს ვერბალური გამოხატვის შესაძლებლობას. ამიტომაც, აზრის ფორმირება და გამოხატვა კომუნიკაციის არავერბალური ფორმით, მათ შორის, თამაშით, სხეულის ენით, სახის გამომეტყველებით, ხატვით<sup>420</sup> უნდა მოხდეს - მაშინაც კი, თუ ბავშვი ვერბალურად ვერ გამოხატავს თავის აზრს. დაუშვებელია შეზღუდვა იმაზე აპელირებით, რომ ბავშვი ვერ საუბრობს.

ამასთანავე, დაუშვებელია კოდექსის მე-8 მუხლით რეგლამენტირებული უფლების შეზღუდვა შეზღუდული შესაძლებლობების საფუძველით. შესაბამისი საჭიროებების გათვალისწინებით, უნდა განხორციელდეს შშმ ბავშვის მოსმენა სპეციალური თარჯიმნის, მონყობილობის დახმარებით. ისევე, როგორც ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა მისთვის გასაგებ და სასურველ ენაზე ჩამოაყალიბოს მოსაზრება, თუ ის არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ან მიგრანტი.

#### **4. დაცულ სფეროში ჩარევის გამართლება**

მე-8 მუხლით დაცული მატერიალური სფერო არ არის აბსოლუტური უფლება და შესაძლებელია შეიზღუდოს უფრო წონადი სამართლებრივი სიკეთისთვის. პირველი ნაწილი მიუთითებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე, ბავშვის მოსმენისა და მისი მოსაზრების გათვალისწინებისას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენასა და მოსმენის უფლებას შორის კავშირზე მიუთითებს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი. კერძოდ, ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს, ისევე როგორც მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას. ამ უფლებებს ურთიერთშემავსებელი როლი აქვს: პირველის მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს, ხოლო მეორე ადგენს მეთოდოლოგიას ბავშვის მოსაზრებების

419 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 20.

420 Committee on the Rights of the Child, General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/GC/12, პარა. 21.

მოსმენისა და მათი ჩართვისათვის ყველა იმ საკითხში, რომელიც მათ შეეხება, მათ შორის, მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში.<sup>421</sup> ამდენად, ბავშვის მოსმენის უფლება ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გასათვალისწინებელი ელემენტია.

მაგალითად, თუ ბავშვს სჭირდება სასწრაფო ოპერაცია და წუთები წყვეტს საქმეს, მეყსეული გადანყვეტილებაა მისაღები და აღარ არის დრო ბავშვის მოსმენის. ბუნებრივია, ბავშვის საუკეთესო ინტერესია სწორედ ის, რომ მისი სიცოცხლე და ჯანმრთელობა გადარჩეს. ამიტომ უფრო წონად სიკეთეს, მის საუკეთესო ინტერესებს მიენიჭება უპირატესობა.

---

421 Committee on the Rights of the Child, General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/ C/GC/ 14, პარა. 43.

## §16. პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება

### 1. შესავალი

ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს. ის მჭიდრო კავშირშია სიცოცხლის უფლებასთან და წარმოადგენს სხვა უფლებების რეალიზების საფუძველს<sup>422</sup>. პირველყოვლისა, ეს უფლება მოიცავს ბავშვის იდენტობას<sup>423</sup>. ბავშვის იდენტობა მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც ის ბიოლოგიურ ინდივიდს გარდაქმნის სამართლებრივ სუბიექტად, რომელსაც აქვს უფლებები და მოვალეობები<sup>424</sup>. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო განმარტავს, რომ პირადი ცხოვრების უფლება თავისუფლების კონცეფციის განუყოფელი ნაწილი, ინდივიდის ავტონომიურობის, დამოუკიდებელი განვითარებისა და მისი ღირსების დაცვის წინაპირობაა<sup>425</sup>. ამ უფლებას კოდექსი ხაზგასმით ბავშვისთვისაც განსაზღვრავს.

ბავშვის ოჯახური ცხოვრება კოდექსით დაცული უმნიშვნელოვანესი სიკეთეა. კოდექსს წითელ ხაზად გასდევს ძლიერი ოჯახის ინსტიტუტის, როგორც საზოგადოების უმთავრესი უჯრედის კონცეფცია, სადაც, ბავშვი უნდა აღიზარდოს ჰარმონიასა და კეთილდღეობაში. ოჯახი დაცულია, ასევე, საქართველოს კონსტიტუციით. განსაკუთრებით აღსანიშნავია სოციალური სახელმწიფოს პრინციპისა<sup>426</sup> და ქორწინების კონტექსტში<sup>427</sup>. ოჯახი, როგორც საზოგადოების ბუნებრივი ფუნდამენტური ჯგუფი აღიარებულია, ასევე, კონვენციასა და საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალში<sup>428</sup>. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ ოჯახზე კოდექსის ფარგლებში, ვსაუბრობთ საზოგადოების ძლიერი უჯრედის კონცეფციაზე, რომელიც დაცულია, როგორც საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით, ასევე, საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმებით.

კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას იცხოვროს ოჯახში მშობლებთან, თუმცა ის უფრო კარგად ცალკეულ მუხლებშია გაშლილი სხვადასხვა მიმართულებით. განსაკუთრებით დეტალურად კონცენტრირებულია მესამე თავში.

422 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.131.

423 A MacDonald *The Rights of the Child: Law and Practice* (Jordan Publishing 2011) გვ. 393.

424 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 117.

425 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის მინისტრის წინააღმდეგ“, II-4.

426 მე-5 მუხლი.

427 30-ე მუხლი.

428 J Tobin and SM Field 'The Right to Protection the Privacy, Family, Home, Correspondence, Honour and Reputation' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford) გვ. 577.

## 2. დაცული სფერო

### 2.1 რეგისტრაცია

ბავშვის უფლება, რეგისტრირებული იქნას დაბადებისთანავე, უზრუნველყოფს ბავშვის სტატუსს სახელმწიფოში. რეგისტრაცია, ფაქტობრივად, ინდივიდის იურიდიული აღიარებაა. დაბადების რეგისტრაცია, ასევე, მნიშვნელოვანია სახელმწიფოსთვის სერვისების დაგეგმვის<sup>429</sup>, სოციალური პოლიტიკის გატარების პროცესში, რომელიც ხშირად მოსახლეობის სტატისტიკურ მონაცემს ეყრდნობა<sup>430</sup>.

აუცილებელია, რეგისტრირების უფლება ყველა ბავშვისთვის იყოს გარანტირებული, მათ შორის, შეიარაღებული კონფლიქტებით დაზარალებული და იძულებით გადაადგილებული-, უმცირესობების-, არალეგალების-, მომთაბარეების-, მოქალაქეობის არმქონე-,<sup>431</sup> და სხვა მონყვლადი ჯგუფების ბავშვებისთვის. საქართველოში ამ კუთხით პრობლემურია ე.წ. „უჩინარი ბავშვები“, მათ შორის, ბოშებით კომპაქტურად დასახლებულ ადგილებში, ასევე, მთიან რთულად მისადგომ რეგიონებში. ასეთი ბავშვების უმეტესობა შშმ ბავშვებია.

სახელმწიფო ვალდებულია ჰქონდეს ხელმისაწვდომი და უფასო რეგისტრირების სერვისები. თუმცა, სახელმწიფოს ვალდებულება მოიცავს, არა მხოლოდ გამართული სერვისების არსებობას, არამედ, მან უნდა იზრუნოს თითოეული ბავშვის რეგისტრაციაზე<sup>432</sup>, მათ შორის, პროაქტიულადაც.

რეგისტრაციის უფლება წარმოიქმნება დაბადებისთანავე. ეს დებულება არ გულისხმობს მეყსეული რეგისტრაციის უფლებას. ის შეიძლება გაგრძელდეს დღეები ან რამდენიმე კვირა, თუმცა არა თვეები და წლები<sup>433</sup>.

### 2.2 სახელი და გვარი

ბავშვის რეგისტრაციის უფლება მჭიდროდაა დაკავშირებული სახელისა და გვარის უფლებასთან. ის წარმოადგენს ბავშვის ფუნდამენტურ უფლებას, რაც მისი, როგორც ინდივიდის იდენტიფიკაციის საშუალებას იძლევა, როგორც სახელმწიფოს, ასევე, საზოგადოებისათვის. ბუნებრივად, ბავშვის სახელის და გვარის არჩევის უფლება მშობლების მიერ რეალიზდება და მშობლებს დიდი თა-

429 J Tobin and F Seow 'The Rights to Birth Registration, a Name, Nationality, and to Know and Be Cared for by Parents' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford) გვ. 242.

430 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 118.

431 J Tobin and F Seow 'The Rights to Birth Registration, a Name, Nationality, and to Know and Be Cared for by Parents' in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford) გვ. 242.

432 I Ziemele 'Article 7: The Right to Birth Registration, Name and Nationality, and Right to Know and Be Cared for by Parents' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2007 Leiden) გვ. 9.

433 I Ziemele 'Article 7: The Right to Birth Registration, Name and Nationality, and Right to Know and Be Cared for by Parents' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2007 Leiden) გვ. 8.

ვისუფლება აქვთ ამ არჩევანისას<sup>434</sup>. თუმცა, მოგვიანებით შესაძლებელია მისი შეცვლა. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, პირის უფლება სახელის ან გვარის შეცვლაზე პირდაპირ დაკავშირებულია ადამიანის იდენტობასთან და მის პიროვნულ გრძობებთან. პირის უფლება, ჰქონდეს ან შეიცვალოს, სახელი ან გვარი, პირის ზოგადი თავისუფლების განუყოფელი ნაწილია.<sup>435</sup> რადგან ბავშვს კოდექსით მინიჭებული აქვს საკუთარი უფლებების რეალიზების სამართლებრივი შესაძლებლობა, მისი ასაკისა და სიმწიფის, სხვა რელევანტური გარემოებების გათვალისწინებით, მან შესაძლებელია მიმართოს შესაბამის სახელმწიფო უწყებებს სახელისა და გვარის შეცვლისათვის.

## 2.3 მოქალაქეობა

მე-9 მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებულია მოქალაქეობის მოპოვების უფლება. თუმცა, ეს არ გულისხმობს, რომ აბსოლუტურად ყველას აქვს მოქალაქეობის მოპოვების ეს სამართლებრივი შესაძლებლობა. მოქალაქეობის მინიჭება სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილებაა. საერთაშორისო-სამართლებრივი თვალსაზრისით, კონვენცია მაქსიმალურად იცავს ბავშვებს მოქალაქეობის გარეშე დარჩენისაგან, თუმცა განსაზღვრულ ფარგლებში.<sup>436</sup>

საქართველოს კონსტიტუციის 32-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მოქალაქეობა მოიპოვება დაბადებით ან ნატურალიზაციით. ამავე დროს, საქართველოს მოქალაქეობის მოპოვებისა და დაკარგვის წესი, სხვა სახელმწიფოს მოქალაქისთვის საქართველოს მოქალაქეობის მინიჭების პირობები და წესი და საქართველოს მოქალაქის მიერ სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის ფლობის პირობები განისაზღვრება ორგანული კანონით „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“. ბავშვისათვის მოქალაქეობის მოპოვება, რამდენადაც ის გულისხმობს პირის სამართლებრივ კავშირს სახელმწიფოსთან, მნიშვნელოვანია სამართლებრივი და ფაქტობრივი შედეგების კუთხით. მაგალითად, საქართველოს მოქალაქეობის მქონე ბავშვს იცავს სახელმწიფო, მისი საქართველოდან გაძევება ან სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემა დაუშვებელია (გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა); ასეთ შემთხვევაში ბავშვს აქვს უფლება გარკვეული სახელმწიფო სერვისებით სარგებლობის, რომლებიც მხოლოდ მოქალაქეებისთვის არის ხელმისაწვდომი.

## 2.4 ოჯახი

ბავშვის განვითარებისა და კეთილდღეობისთვის უმნიშვნელოვანესია ბავშ-

434 I Ziemele ‘Article 7: The Right to Birth Registration, Name and Nationality, and Right to Know and Be Cared for by Parents’ in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2007 Leiden) გვ.10.

435 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2016 წლის 4 აგვისტოს 2/4/570 გადაწყვეტილება „საქართველოს მოქალაქე ნუგზარ ჯაყელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“; II-9.

436 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.132.

ვის უფლება იცნობდეს საკუთარ მშობლებს და ცხოვრობდეს მათთან ერთად ოჯახში, სადაც მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის ყველა პირობაა შექმნილი. ოჯახის ნათელი და დეტალური განმარტება მოცემულია თავად კოდექსის ტერმინთა განმარტებებში<sup>437</sup>, როგორც საზოგადოების ძირითადი წევრი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან, დისგან, ძმისგან ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისგან.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, ოჯახური ცხოვრება მოიცავს ფართო განმარტებას და გულისხმობს ქორწინების ან ფაქტობრივი თანაცხოვრების შედეგად შეუღლებულ შორის ჩამოყალიბებულ ურთიერთობებს, ადამიანის უფლებას განავითაროს კავშირები ოჯახის წევრებთან და ბიოლოგიურ ნათესავებთან<sup>438</sup>. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი უპირატესობას ანიჭებს ოჯახის ფართო განმარტებას, რაც გამოწვეულია მსოფლიო კულტურებს შორის განსხვავებით. ასევე, განმარტებისას მხედველობაში მიიღება ბავშვის საუკეთესო ინტერესი<sup>439</sup>. ქორწინებაში დაბადებული ბავშვი კანონის ძალით თავისთავად მიიჩნევა ოჯახის ნაწილად, ხოლო მას და მშობლებს შორის ურთიერთობა ხვდება ოჯახური ცხოვრებით დაცულ სფეროში, რადგან საქართველოს კონსტიტუციით პირდაპირაა განსაზღვრული ქორწინება, როგორც ოჯახის შექმნის საფუძველი. სხვა შემთხვევებში, ფასდება რამდენად არის სახეზე ბავშვისა და ბიოლოგიურ მშობელს შორის რეალური და ძლიერი პერსონალური კავშირი, რამდენადაც მხოლოდ ბიოლოგიური კავშირი ვერ დააფუძნებს ოჯახს<sup>440</sup>. ოჯახის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია ბავშვის დამოკიდებულება და ურთიერთობა იმ პირებთან, ვისაც ბავშვი თვლის თავის ოჯახის წევრად.<sup>441</sup> მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განსაზღვრა, რომ მამა, რომელსაც არასდროს ჰქონია ბავშვთან ურთიერთობა, არ აქვს ამ ბავშვთან მიმართებით ოჯახური ცხოვრების უფლება.<sup>442</sup> იმავდროულად, აღმზრდელსა და ბავშვს შორის ურთიერთობა, ბიოლოგიური კავშირის არარსებობის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში, შესაძლებელია განიმარტოს, როგორც ოჯახური ცხოვრება, თუ ამ ბავშვს აქვს აღმზრდელთან ძლიერი ემოციური კავშირი. ქართული ტრადიციული თავისებურებებიდან გამომდინარე,

437 მე-3 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

438 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 10 ივნისის №1/2/458 განჩინება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - დავით სართანია და ალექსანდრე მაჭარაშვილი საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინააღმდეგ,“ II-4.

439 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No. 7 (2005) UN Doc CRC/ C/ GC/ Rev.1. პარა. 15.

440 *Paradiso and Campanelli v. Italy*, პარა. 140 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

441 J Tobin and SM Field ‘The Right to Protection the Privacy, Family, Home, Correspondence, Honour and Reputation’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford) გვ.578.

442 *Lebbnik v. Netherlands*, ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

ოჯახი, ხშირ შემთხვევაში, მოიცავს ბებიასა და ბაბუას, ბიძას, დეიდას, ბიცოლას, მამიდას, თუ ზემოხსენებული გარემოებები სახეზეა.

ბავშვს აქვს უფლება ჰქონდეს ინფორმაცია მშობლების ვინაობაზე, მათ შორის, დაადგინოს სამართლებრივი კავშირი მას და ბიოლოგიურ მამას შორის. მამობის დადგენა არის პიროვნული იდენტობის ერთ-ერთი ასპექტი.<sup>443</sup> ბავშვის წარმომავლობაზე ინფორმაციის მოპოვების უფლება, ასევე, მოიცავს ანონიმურად დაბადების ან გაშვილების შემთხვევაში ბიოლოგიური დედაზე ინფორმაციის მოპოვებას.

## 2.5 პირადი სივრცე და მიმონერა

ბავშვს უფლება აქვს ჰქონდეს პირადი სივრცე, რაც გულისხმობს, რომ ბავშვის კონკრეტული სივრცე, ოთახი დაცულია. სივრცე შესაძლებელია ემსახურებოდეს თავშესაფრის ან საცხოვრებელ მიზანს. პირადი სივრცე მიუხედავად მისი ფორმისა და ქონების სამართლებრივი სტატუსისა, ექცევა ნორმით დაცულ სფეროში.<sup>444</sup>

დაცულია ბავშვის პირადი მიმონერის საიდუმლოება. ეს ნორმა იცავს კომუნიკაციის თავისუფლებას, რაც გულისხმობს კომუნიკაციის ნებისმიერ ფორმას გარკვეულ დისტანციაზე.<sup>445</sup> მიმონერის თავისუფლებით დაცულია სატელეფონო და სხვა სახის ტექნიკური საშუალებით საუბრისა და ნებისმიერი ტექნიკური საშუალებებით მიღებული შეტყობინებების ხელშეუხებლობა<sup>446</sup>. დაცულია მხოლოდ ის მონაცემები, რომლებსაც თავად უფლების მატარებელი საიდუმლოდ ინახავს<sup>447</sup>, შესაბამისად, არ მოიაზრება გამოქვეყნებული ან გამჟღავნებული ინფორმაცია, რომელიც სხვებისთვის ბავშვმა ხელმისაწვდომი გახადა.

## 3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის გამართლება

კოდექსის მე-9 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, დაუშვებელია ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების უკანონო შეზღუდვა, მათ შორის, მის პირად სივრცეში, ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმონერაში დაუსაბუთებელი და არაკანონიერი ჩარევა. ეს დებულება მიანიშნებს იმაზე, რომ ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრება დაცულია, თუმცა თუ ცალკეულ შემთხვევებში არსებობს დასაბუთება კანონის საფუძველზე, მშობლებს, კანონიერ წარმომადგენლებს და სახელმწიფოს უფლება აქვთ და ზოგიერთ შემთხვევაში, ვალდებულნიც კი არიან, ჩაერიონ უპირატესი სიკეთის დასაცავად.

პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვის უფლებას აქვს როგორც ნეგატიუ-

443 *Mennesson v. France*, პარა.96 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

444 M Nowak *UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary* (2nd Edn. Engel 2005) მუხლი 17, პარა.42.

445 M Nowak *UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary* (2nd Edn. Engel 2005) მუხლი 17, პარა.47.

446 *Margareta and Roger Andersson v. Sweden*, პარა. 72.

447 C Grabenwaerter und K Pabel *Europäische Menschenrechtskonvention* (6. Aufl, CH Beck 2006 Basel) §22, პარა.25.



რი, ასევე, პოზიტიური დიმენსია სხვადასხვა მიმართულებით.

როგორც ზემოთ აღინიშნა, რეგისტრაციისას ბავშვის სახელისა და გვარის არჩევა წარმოადგენს მშობლების უფლებამოსილებას და მშობლები ამაში ფართო თავისუფლებით სარგებლობენ. თუმცა, გამონაკლის შემთხვევებში შესაძლოა ჩარევა ამ უფლებაში, ანუ უარი რეგისტრაციისას, შესაძლოა გამათლდეს. მაგალითად, რეგისტრაციაზე უარი გამართლებულია თუ სახელი ბავშვისთვის ობიექტურად სასაცილო ან დამაკნინებელია, და ამან შეიძლება ბავშვს სამომავლოდ ზიანი მიაყენოს, რაც ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესს.<sup>448</sup>

ბავშვის იდენტობასთან მიმართებით, სახელმწიფოს ვალდებულებაა შექმნას იმგვარი პროცედურები, რომ ბავშვის მიერ ბიოლოგიური მშობლის დადგენის შესაძლებლობა არ შეფერხდეს. მაგალითად, სამართლებრივი ჩარჩო შესაძლებლობას უნდა ქმნიდეს მშობლისა და ბავშვისთვის მშობლის ვინაობის დადგენის კუთხით, თუ მშობელს ქმედუწუნარობის გამო არ შეუძლია სამართლებრივი პროცედურის დაწყება<sup>449</sup> ან სათანადოდ ვერ უზრუნველყოფს ბავშვის წარმომადგენლობას.<sup>450</sup> კანონმდებლობა უნდა განსაზღვრავდეს ვალდებულებას მამაკაცისთვის ჩაიტაროს დნმ ტესტი სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რომლის წინააღმდეგაც მამობის დადგენის შესახებ წარდგენილია სარჩელი.<sup>451</sup> სახელმწიფო უნდა აღიარებდეს სუროგაციის შედეგად ბიოლოგიურ მშობელსა და შვილს შორის წარმოშობილ ურთიერთობას.<sup>452</sup>

როგორც ზემოთ აღინიშნა, ბავშვისთვის მოქალაქეობის მინიჭებასთან მიმართებით, როგორც შიდასახელმწიფოებრივი, ასევე, საერთაშორისო სამართლით, სახელმწიფოს ფართო დისკრეცია აქვს. თუმცა, ყველაზე მეტად ამ კუთხით დისკრიმინაციული გადაწყვეტილება შეიძლება იყოს რელევანტური უფლების დარღვევის კონტექსტში.<sup>453</sup>

ოჯახური ცხოვრების უფლებისთან მიმართებით, რამდენიმე მნიშვნელოვანი ასპექტი შეიძლება იქნას გამოკვეთილი. პირველყოვლისა, ბავშვისა და მშობლებს შორის ურთიერთობა არის ოჯახური ცხოვრების ფუნდამენტური ელემენტი.<sup>454</sup> იმ შემთხვევაშიც კი, თუ მშობლებს შორის ურთიერთობა დასრულებულია, ბავშვს აქვს უფლება ორივე მშობელთან იქონიოს კონტაქტი.<sup>455</sup> თუმცა, განქორწინებისას, ხშირ შემთხვევაში, პრობლემურია ამ უფლებით სარგებლობა და წარმოადგენს მშობლებს შორის დავის საგანს. მაგალითად, ბავშვზე მეურვეობა, საცხოვრებელი ადგილი, ბავშვის ნახვის სიხშირე ერთი ან

448 *Guillot v. France*, პარა.27. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

449 *Krušković v. Croatia*, პარა.38-41. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

450 *A.M.M v. Romania*, პარა.58-65. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

451 *Mikulić v. Croatia*, პარა. 64-65. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

452 *Menesson v. France*, პარა.96-101; ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

453 იხ. *Genoves v. Malta*, პარა.43-49 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

454 *K. and T. v. Finland*, პარა. 151 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

455 *S Schmahl Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.151.

მეორე მშობელთან მიმართებით და სხვა. ერთ მშობლის მიერ მშობლის უფლების განხორციელება არ არის მეორე მშობელზე დამოკიდებული. უფრო მეტიც, სახელმწიფომ ორივე მშობელს უნდა მისცეს შესაძლებლობა ამ უფლების რეალიზების. მაგალითად, კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ბიოლოგიურ მამას უფლება აქვს მშობლის გარკვეული უფლებებით სარგებლობის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვს სამართლებრივად მამა უკვე ჰყავს.<sup>456</sup> თუმცა, თუ მშობელს არ აქვს სურვილი ბავშვთან იქონიოს კონტაქტი ან იზრუნოს მასზე, სახელმწიფო ვერ აიძულებს მას. რადგან, ასეთი იძულება ბავშვს უფრო მეტ ზიანს მოუტანდა, ვიდრე სარგებელს.<sup>457</sup> თუ რომელიმე მშობელი თავისი ქმედებით ზიანს აყენებს ბავშვს და მის საუკეთესო ინტერესებს, ბუნებრივია, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება დაიცვას ბავშვი ასეთი მშობლისგან. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ბავშვის და მშობლის ურთიერთობების შემთხვევაში, სახელმწიფოსთვის ამოსავალი ნერტილია ბავშვის საუკეთესო ინტერესები და გადანყვეტილებებიც უნდა იქნას მიღებულ სწორედ ამ პერსპექტივიდან.<sup>458</sup> გადანყვეტილება მიიღება ყველა ინდივიდუალურ შემთხვევაში გარემოებების სპეციფიკის გათვალისწინებით. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას სახელმწიფოს ვალდებულებაა, დეტალურად გამოიკვლიოს ემოციური, ფსიქოლოგიური, მატერიალური და სამედიცინო ფაქტორები, მხარეთა ინტერესი. აუცილებელია ბავშვის მოსმენა და გადანყვეტილებისას მხედველობაში მიღება მისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხიდან გამომდინარე.<sup>459</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს აქვს არა მხოლოდ ჩაურევლობის ნეგატიური, არამედ, პოზიტიური ვალდებულება, შექმნას ყველანაირი პირობა ოჯახური ცხოვრების უფლების რეალიზების. მაგალითად, უფლების დარღვევად ითვლება, როდესაც უფლებამოსილი ორგანო ან სასამართლო აჭიანურებს გადანყვეტილებების მიღებას, რაც აზარალებს როგორც ბავშვს, ასევე, მშობლებს.<sup>460</sup>

კოდექსის მე-9 მუხლი განსაზღვრავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ ის უზრუნველყოფს დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე იმ ბავშვის განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და დაცვას, რომლის ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება. ეს დებულება არის კიდევ ერთი გამოვლინება კონცეფციის სულისკვეთების, რომელიც კოდექსის საფუძველია და რომლის თანახმად, სახელმწიფო აღიარებს ოჯახის უპირველეს უფლებასა და მოვალეობას, იზრუნოს ბავშვზე. თუმცა, თუ ბავშვს არ ჰყავს ოჯახი ან მისი დარჩენა ოჯახში ზიანს აყენებს ბავშვის საუკეთესო ინტერესს, სახელმწიფომ უნდა იკისროს

456 *Anayo v Germany*, პარა. 62, 67. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

457 C Kirchhof *Die UN-Konvention ueber die Rechte des Kindes, inisbesondere dere Umsetzung im russischen Recht* (Peter Lang 2001 Frankfurt) გვ. 236.

458 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 151.

459 იხ. ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

460 *Schneider v Germany*, პარა. 100. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

ბავშვის კეთილდღეობის გარანტიის ფუნქცია. ამ ფუნქციის შესრულება ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვისა და ბავშვის ოჯახიდან განცალკევების კუთხით მოცემულია მომდევნო თავებში.

ბავშვის პირადი სივრცე და მიმონერა დაცულია, თუმცა ეს არ უნდა იქნას იმგვარად გაგებული, რომ ბავშვს აქვს შეუზღუდავად მიმონერის და კომუნიკაციის უფლება იმ შემთხვევაშიც კი, თუ, ეს მის სანინაალმდეგო ინტერესებს ემსახურება. თუ ეს მისი კომუნიკაცია საზიანოა მისთვის, არსებობს მშობლების ან სხვა კანონიერი წარმომადგენლებისა და სახელმწიფოს ჩარევის არა მხოლოდ ლეგიტიმური საფუძველი, არამედ ვალდებულება, საფრთხე ააცილონ ბავშვს<sup>461</sup>. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს მიმონერა, სადაც გამოკვეთილია მისი ნარკოტიკების მოხმარებას, აზარტულ თამაშსა, ან კრიმინალურ საქმიანობაში ჩარევის შესახებ, ბუნებრივია ასეთი მიმონერა ვერ იქნება დაცული. ვერც ისეთი მიმონერა იქნება ხელშეუხებელი, სადაც მაგალითად, პედოფილი ცდილობს ბავშვისგან მიიღოს პორნოგრაფიული მასალა. მიმონერის თავისუფლება ვრცელდება, ასევე, სახელმწიფო დანესებულებებში მოთავსებულ, მათ შორის, სასჯელალსრულების დანესებულებაში და ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსებულ ბავშვებზე.

---

461 იხ. ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

## **§17. ბავშვის აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლების უფლებები**

### **1. შესავალი**

კოდექსის მე-14 მუხლში თავმოყრილი ე.წ. კომუნიკაციის უფლებები, რომელიც რამდენიმე ასპექტისგან შედგება. დემოკრატიულ საზოგადოებაში კომუნიკაციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. შესაბამისად, ბავშვი, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების მომავალია, თავიდანვე უნდა იყოს აღჭურვილი უფლებებით, რომელიც მის განვითარებაში, მის ინფორმირებულობაში დიდ როლს ითამაშებენ. მით უფრო, რომ ბავშვისთვის, მისი განათლების და განვითარებისთვის ინფორმაციის მიღებასა და აზრის გამოხატვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. კომუნიკაციის უფლებები ინდივიდს განსაკუთრებულ წონას მატებს.<sup>462</sup> სწორედ ამიტომ, კოდექსით განსაკუთრებულადაა დაცული კომუნიკაციის უფლებები, რომელიც მოიცავს, როგორც აზრის გამოხატვის, ასევე, ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებებით მიღების უფლებას. ეს უფლებები, საერთაშორისო სამართლებრივად, ასევე, მოცულია კონვენციის მე-13-ე მუხლით.

კომუნიკაციის უფლებები მნიშვნელოვანია ბავშვისთვის არა მხოლოდ მისი განვითარებისა და დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობისათვის, არამედ იმისთვისაც, რომ მოწყვლადი ბავშვები მაქსიმალურად იყვნენ დაცულები. იმ ბავშვების ხმა, რომლებსაც ურთულეს სოციალურ სიდუხჭირესა თუ სხვაგვარ პრობლემურ სიტუაციებში უხდებათ ცხოვრება, უნდა იქნას გაგონილი.<sup>463</sup>

კოდექსის მე-14-ე მუხლი წარმოადგენს არა მხოლოდ ნეგატიურ ვალდებულებას, არ ჩაერიოს სახელმწიფო, არამედ პოზიტიურ ვალდებულებას, ხელი შეუწყოს ბავშვს ყველა შესაბამისი უფლების სარგებლობაზე. მაგალითად, საქართველოში, განსაკუთრებით რეგიონებსა და მაღალმთიან რაიონებში მცხოვრებ ბავშვების გარკვეულ კატეგორიას არ აქვს წვდომა ინტერნეტზე. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებაა, უზრუნველყოს ამ ბავშვებისთვის ინტერნეტზე ხელმისაწვდომობა, იმისათვის, რათა ისინი არ აღიზარდონ ინტერნეტის გარეშე, რაც თავის მხრივ, ბევრი სხვა უფლების რეალიზებისთვის ინვესტს დაბრკოლებას. მაგალითად, განათლების უფლება, რადგან დღეს, ხარისხიანი განათლების მიღება წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე.

### **2. დაცული სფერო**

#### **2.1 აზრის გამოხატვა**

აზრის გამოხატვის თავისუფლება იცავს ბავშვის აზრის გამოხატვას თავისუფლად, ზეპირსიტყვიერი თუ ქმედების სახით, რაც ნიშნავს ნებისმიერი

462 B Schmidt-Bleibtreu und F Klein *Kommentar zum Grundgesetz* (9. Aufl. Luchterhand 1999 Neuwied und Kriftel) გვ.219.

463 UNICEF 'Communicating with Children' ხელმისაწვდომია: <[www.unicef.org](http://www.unicef.org)>

ფორმით გამოხატვის თავისუფლებას. იგულისხმება, რომ თუ ბავშვს აზრის გამოხატვის უფლება აქვს, მით უფრო უნდა ჰქონდეს ამ აზრის შექმნის და ქონის უფლებაც.

აზრში იგულისხმება ნებისმიერი შეფასებითი გამონათქვამი, რომელიც შედეგება დამოკიდებულებისა და შეფასების ელემენტებისგან და რომლის სისწორე და მცდარობა დამოკიდებულია პირად წარმოდგენებზე.<sup>464</sup> არ აქვს მნიშვნელობა ეს აზრი არის თუ არა რაციონალური, ემოციური თუ ცივი გონების ნააზრვევი, ყველა ბავშვს აქვს უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი.

კოდექსის მე-14 მუხლი იცავს ფაქტების გავრცელებასაც, თუ ის აზრის ფორმირებას ემსახურება.<sup>465</sup> ბუნდოვანების შემთხვევაში, განმარტება აზრის სასარგებლოდ უნდა მოხდეს.<sup>466</sup>

პრობლემურია შემთხვევა, როდესაც ბავშვის მიერ აზრის გამოხატვის მიზანი სხვისი დამცირება და მისი პატივის შელახვაა. ასეთი გამოხატვა არ არის დაცული აზრის თავისუფლებით.<sup>467</sup>

ბავშვების, ისევე როგორც ზრდასრულების შემთხვევაში, კოდექსის მე-14 მუხლით არ არის დაცული აშკარა მცდარი ფაქტების გავრცელება. აზრის თავისუფლებით არ არის მოცული ინფორმაცია, რომელიც სიმართლეს არ შეესაბამება<sup>468</sup>.

აზრის გამოხატვა მჭიდროდაა დაკავშირებული ბავშვის უფლებასთან მოუსმინონ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას, მხედველობაში მიიღონ ბავშვის მოსაზრება მისი ასაკის, გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად.<sup>469</sup> ეს ორი უფლება ერთი მედლის ორი სხვადასხვა მხარეა.

ბავშვს შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი ნებისმიერი ფორმით, მათ შორის ზეპირსიტყვიერად, წერილობით<sup>470</sup>. ინტერნეტის განვითარებასთან ერთად გახშირდა ბავშვების მიერ აზრის გამოხატვა სოციალურ ქსელებსა თუ სხვა ინტერნეტ-პლატფორმებზე, რაც, ასევე, დაცულია გამოხატვის თავისუფლებით.

უფლება მოიცავს ასევე, მის ნეგატიურ ფორმასაც<sup>471</sup>, კერძოდ არავის აქვს უფლება აიძულოს ბავშვი გამოთქვას საკუთარი აზრი, თუ ეს მას არ სურს.

## 2.2 ინფორმაცია

კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტი მოიცავს ბავშვის უფლებას თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს, და გაავრცელოს ინფორმაცია. 21-ე საუკუნეში, სადაც

464 B Pieroth und B Schlink *Grundrechte: Staatsrecht II* (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg) გვ. 143.

465 G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) გვ.99

466 BVerfG 61, 1/8; 65, 1/4.

467 B Schmidt-Bleibtreu und F Klein *Kommentar zum Grundgesetz* (9. Aufl. Luchterhand 1999 Neuwied und Kriftel) გვ. 221.

468 BVerfG 61,1/8; 99, 185/187.

469 იხ. ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

470 B Pieroth und B Schlink *Grundrechte: Staatsrecht II* (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg) გვ.144.

471 BVerfG 65, 1/40.

ინტერნეტი, მით უფრო ახალგაზრდა თაობაში, უდიდეს როლს თამაშობს, ინფორმაციის თავისუფლებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ინფორმაცია არის ის, რის საფუძველზეც, ხშირ შემთხვევაში, ბავშვები აზრს იქმნიან ამა თუ იმ მოვლენასა თუ საკითხზე. ინფორმაციის მიღება და გავრცელება თამაშობს მნიშვნელოვან როლს ბავშვის განვითარებაშიც. შესაბამისად, ამ უფლებით სარგებლობა, დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელი წინაპირობაა. ამასთანავე, ინფორმაციის მიღების გარეშე სრულფასოვანი განათლების მიღება სრულიად წარმოუდგენელია.

ამ უფლებით დაცულია ინფორმაციის მიღება საყოველთაოდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან. ეს უკანასკნელი გულისხმობს ისეთ წყაროებს, რომლებიც გამოსადეგი და განსაზღვრულია იმისათვის, რომ საზოგადოებას მიაწოდონ გარკვეული ინფორმაცია<sup>472</sup>. ეს ინფორმაცია შეიძლება იყოს აზრი ან ფაქტი<sup>473</sup>. ბავშვებს არ აქვთ საიდუმლო ინფორმაციაზე წვდომის უფლება. ბავშვებთან ყველაზე ახლოს შეიძლება იყოს ამ კუთხით ინფორმაციის მიღების კლასიკური წყაროები, მაგალითად როგორცაა წიგნი, ჟურნალი, ტელევიზია. თუმცა, ასევე, თანამედროვე წყაროები, როგორცაა ინტერნეტი, სოციალური ქსელები და სხვა.

ინფორმაციის თავისუფლებით მოცულია აქტიური ინფორმაციის თავისუფლება<sup>474</sup>. ბავშვს აქვს უფლება თავად მოიძიოს ინფორმაცია, აწარმოოს კვლევები. ასევე, დაცულია პასიური ინფორმაციის თავისუფლება, რაც მოიცავს ბავშვის უფლებას მიიღოს ინფორმაცია, ისევე როგორც, უფლება მოპოვებული ინფორმაციის სხვაზე გადაცემისა.<sup>475</sup>

## 2.3 მასობრივი ინფორმაციის საშუალებები

მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით სარგებლობის თავისუფლება გარანტირებულია ბავშვისთვის. მასობრივი ინფორმაციის საშუალებაში იგულისხმება ნებისმიერ ცნობა, აზრი, ინფორმაცია, რომელიც იბეჭდება ან სხვაგვარად ვრცელდება.<sup>476</sup>

მასმედიის თავისუფლება მოიცავს ინდივიდუალურ და ინსტიტუციურ ასპექტებს. დაცულია, როგორც მასმედიის სფეროში მომუშავე პირთა, ასევე, მასმედიის საშუალების დაფუძნებისა და ფუნქციონირების თავისუფლება<sup>477</sup>. ბავშვებთან მიმართებით, ბუნებრივია, სპეციფიური თავისებურებები უნდა გამოვყოთ. ბავშვებს აქვთ უფლება დააარსონ საკუთარი მასმედიის საშუალება, მაგალითად საბავშვო ჟურნალი ან სასკოლო გაზეთი. შესაძლებელია, ბავშვე-

472 BVerfG 27, 71/83.

473 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიია 2008 თბილისი) გვ. 250.

474 M Nowak *UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary* (2nd Edn. Engel 2005) Art 19. პარა.17.

475 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.205.

476 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიია 2008 თბილისი) გვ. 255.

477 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიია 2008 თბილისი) გვ. 255.

ბი საქმიანობდნენ საბავშვო ტელევიზიაში. ეს საშუალებები შესაძლებელია არ ემსახურებოდეს „სერიოზულ“ ან, მით უფრო, „პოლიტიკურ“ მიზნებს, თუმცა, მასმედიის თავისუფლებისთვის ამას მნიშვნელობა არ აქვს<sup>478</sup>.

## 2.4 ინტერნეტი

თანამედროვეობისათვის, ბავშვის სრულფასოვანი განვითარება წარმოუდგენელია ინტერნეტის გარეშე. შესაბამისად, უმნიშვნელოვანესია ბავშვისთვის უზრუნველყოფილ იქნას ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლება, მათ შორის, იმისათვის, რათა მიიღოს სრულფასოვანი განათლება და განვითარდეს.

## 3. ჩარევა და ჩარევის გამართლება

კომუნიკაციის უფლებები, ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ბავშვების განვითარებისთვის, თუმცა იმავდროულად, ზოგ შემთხვევაში, შესაძლებელია უდიდესი საფრთხის მატარებელი იყოს. ამდენად, ამ უფლებათა განხორციელებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, როგორც მშობლებისა და სხვა კანონიერი წარმომადგენლების, ასევე, სახელმწიფოს მხრიდან. ამიტომ, ეს უფლებები არ არის შეუზღუდავი, არამედ მოქცეულია ჩარჩოებში. კოდექსის შემუშავების პროცესში, ისევე როგორც, მისი მიღების შემდეგ, ადამიანების ჯგუფი გარკვეულმა პირებმა შეიყვანეს შეცდომაში, თითქოს, კოდექსის მიხედვით, ბავშვებს აქვთ შეუზღუდავი აზრის, ინფორმაციის, მასმედიისა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლება, რაც არის აბსოლუტურად მცდარი მოსაზრება. უფრო მეტიც, როდესაც ამ უფლებებზე ვსაუბრობთ, გარემოებათა გათვალისწინებით, ოჯახი და სახელმწიფო ვალდებულიც კი არიან შეუზღუდონ ბავშვს ამ უფლებებით სარგებლობა, თუ არსებობს რეალური საფრთხე მისი საუკეთესო ინტერესებისთვის ზიანის მიყენების, მათ შორის, მავნე ზეგავლენის მოხდენის.

კომუნიკაციის თავისუფლებებს ბავშვებთან მიმართებით, აქვთ ერთი განსაკუთრებული თავისებურება. ზრდასრულებისგან განსხვავებით, ინფორმაცია, რომელიც მისთვის საზიანოა არ არის ბავშვის ინფორმაციის და მასმედიის თავისუფლებით დაცული. ბავშვს არ აქვს უფლება მისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციით სარგებლობის. უფრო მეტი, სახელმწიფოს და ოჯახს, კოდექსის 25-ე მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, აქვს სხვადასხვა მიმართულებით ვალდებულება აღკვეთოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციით სარგებლობა.

## 4. ინფორმაციის მიღების უფლება

### 4.1 შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში, როდესაც როგორც ბეჭდური თუ სატელევიზიო მასმედიის სხვადასხვა საშუალებებით, ასევე, ინტერნეტით, უამრავი ინფორმაცია ვრცელდება, მნიშვნელოვანია, რომ ოჯახმა და სახელმწიფომ იზრუ-

478 კ კუბლაშვილი *ძირითადი უფლებები* (ჯისიაი 2008 თბილისი) გვ. 255.

ნონ ბავშვისთვის ისეთი ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც სასარგებლოა მისთვის. არსებობს უამრავი ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მისთვის სერიოზული ზიანის და საფრთხის შემცველი აღმოჩნდეს. კოდექსის მე-14 მუხლი უზრუნველყოფს ბავშვისთვის ინფორმაციის, მასმედიისა და ინტერნეტის თავისუფლებებს. თუმცა, ინფორმაციის გარკვეულმა ნაწილმა შესაძლოა ბავშვზე მავნე ზეგავლენა იქონიოს, რამაც შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ბავშვის ფსიქიკას. კოდექსის ღირებულებებით ბავშვის აღზრდისათვის, კი, აუცილებელია ოჯახმა და სახელმწიფომ ერთად გააძლიეროს ბავშვი, დაიცვას ის მავნე ინფორმაციისა და ზეგავლენისგან. ამ ფუნქციის შესრულების ერთ-ერთი საშუალებაა, ბავშვისთვის სასარგებლო ინფორმაციის პროაქტიულად მიწოდება და ბავშვებთან მუშაობა. სწორედ ამას უზრუნველყოფს კოდექსის მე-15 მუხლი.

ზემოთ მითითებული მუხლი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას. მართალია, ინფორმაციის მიღების უფლება კვეთს მე-14 მუხლით დაცულ სფეროს ინფორმაციის მიღების თავისუფლებასთან მიმართებით, მაგრამ მისგან განსხვავებით, ავალდებულებს სახელმწიფოსა და მასმედიის საშუალებებს ბავშვს სპეციფიური ინფორმაცია მიანოდონ, რაც აუცილებელია მისი პოზიტიური განვითარებისა და მისი ჩამოყალიბებისათვის საზოგადოების ღირსეულ წევრად.

#### 4.2 დაცული სფერო

კოდექსის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სხვა თემების შესახებ ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა მისი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, ფსიქოსოციალური და კულტურული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. ამ შემთხვევაში, ამ უფლების ვალდებულება, პირველყოვლისა, სახელმწიფო, მაგრამ იმავდროულად, მშობლები და სხვა კანონიერი წარმომადგენლები, ისევე როგორც, მასმედიის საშუალებები. ეს ინფორმაცია არის რადიკალურად მეორე მხარე ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისა, რომლის მიწოდება ან ხელმისაწვდომობა ბავშვისთვის, კოდექსის მიხედვით არის აკრძალული. კოდექსის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტში, ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაცია განიმარტება, როგორც ძალადობის ან დანაშაულის წახალისებისკენ მიმართული ინფორმაცია, სექსუალური შინაარსის ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც ეწევა ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების ან აზარტული თამაშობის პროპაგანდას ან რომელიმე ძალადობის, მკვლელობის ან სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სცენები დეტალურადაა წარმოდგენილი.

იმისათვის, რომ სახელმწიფომ თავისი პოზიტიური ვალდებულება შეასრულოს და პროაქტიულად იზრუნოს ბავშვებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის აღზრდას საზოგადოების სრულფასოვან წევრად კოდექსის პირველი მუხლში განსაზღვრული მიზნების სულისკვე-



თებით, მას აქვს ორი ძლიერი ინსტრუმენტი: საგანმანათლებლო დაწესებულებები და მასმედია.

პირველყოფლისა, სახელმწიფოს სწორედ საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით ხელენიფება მიაწოდოს ბავშვს შესაბამისი ინფორმაცია. სახელმწიფომ საჯარო და კერძო ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ასევე, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა უზრუნველყოს ბავშვისთვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდება, როგორც ამას კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს. თუმცა, საგანმანათლებლო დაწესებულებების ვალდებულება არის, ასევე, კოდექსის პირველი მუხლით გათვალისწინებული ღირებულებების ბავშვამდე მიტანა სხვადასხვა საშუალებებით და ეს ამ დაწესებულებების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქციაა. ეს უკანასკნელი განსაზღვრულია მე-15 მუხლის მე-3 პუნქტში, რომლის მიხედვით, სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვისთვის მასობრივი ინფორმაციის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და საგანმანათლებლო-შემეცნებითი მასალების ხელმისაწვდომობას, რომლებიც მის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას ეხება.

საგანმანათლებლო დაწესებულებებს მიღმა, ბავშვი დიდ დროს ატარებს ოჯახში, სადაც ხშირ შემთხვევაში წვდომა აქვს მასმედიის საშუალებებთან. სწორედ ამიტომ, მეორე ძლიერი ბერკეტი სახელმწიფოს ხელში შეიძლება იყოს მასმედია. თუმცა, სწორედ ამ უკანასკნელის ხელშეწყობის ვალდებულება აქვს სახელმწიფოს, ვინაიდან ბავშვზე ზრუნვის მოვალეობა პოლიტიკის დონეზე სწორედ სახელმწიფოს გააჩნია. შესაბამისად, მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ ბავშვის კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა უფლებების სათანადოდ გაშუქების მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს: ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ისეთი ინფორმაციისა და მასალების გავრცელებაში, რომლებიც შეიცავს ბავშვის კულტურული და სოციალური განვითარებისთვის სასარგებლო ინფორმაციას, ბავშვის განათლების მიზნების შესაბამისად, ბავშვთა სხვადასხვა ენობრივი საჭიროების გათვალისწინებით; ბ) საერთაშორისო თანამშრომლობას ბავშვის განვითარებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მრავალფეროვანი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან გაცვლის, გავრცელებისა და მომზადების სფეროში; გ) საბავშვო ლიტერატურის განვითარებასა და გავრცელებას; დ) ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისა და მასალებისგან ბავშვის დაცვის სახელმძღვანელო წესების შემუშავებასა და გავრცელებას.

ინფორმაციის შინაარსი და მოცულობა, როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებების, ასევე, მასმედიის ხელშეწყობის შემთხვევაში, საკმაოდ აბსტრაქტულადაა განსაზღვრული კოდექსის მე-15 მუხლში, რაც იძლევა საშუალებას განისაზღვროს ყოველი კონკრეტული შემთხვევისთვის ინდივიდუალურად, იმ შესაძლებლობების გათვალისწინებით, რაც სახელმწიფოს აქვს.

სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებისა და მათი დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის პასუხისმგებელი უწყებების მეშვეობით, ბავშვისთვის გასაგები ენით და მისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელებას.

#### **4.3 ჩარევა და ჩარევის გამართლება**

თუ სახელმწიფო არ ასრულებს პოზიტიურ ვალდებულებას, არ უზრუნველყოფს განათლების სისტემის იმგვარ მონყობას, რომ ბავშვებს მიენოდოთ მათთვის სასარგებლო ინფორმაცია, განათლების სისტემაში სახეზე გვაქვს ჩარევა კოდექსის მე-15 მუხლით გათვალისწინებულ უფლებაში. ასევე, ჩარევაა სახეზე, თუ სახელმწიფო ხელს არ უწყობს მასმედიის საშუალებებს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ინფორმაციის მიღებაში.

ეს ჩარევა შესაძლებელია გამართლებულ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახელმწიფოსთვის ობიექტურად საერთოდ შეუძლებელია ამ ვალდებულების შესრულება ან უფრო ნონადი სიკეთის გამო. მაგალითად, კოვიდ-19-ის პირობებში გარკვეული პერიოდის მანძილზე საერთოდ არ ფუნქციონირებდა სკოლები. შესაბამისად ობიექტურად იყო შეუძლებელი ბავშვებისთვის ზემოთ აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება.

## §18. რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება

### 1. შესავალი

რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება ბავშვის ორ უფლებას მოიცავს. ერთი მხრივ, რელიგია და აღმსარებლობა, მეორე მხრივ, სინდისი. თუმცა, ეს ორი უფლება იმდენად მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული<sup>479</sup>, რომ კოდექსში, ისევე როგორც კონსტიტუციასა და კონვენციაში, ერთ მუხლშია მოთავსებული. ხშირად, რელიგია და სინდისი ერთმანეთის საფუძველია, გამოსატყულება იმისი, რასაც ადამიანი შინაგანად გრძნობს და განიცდის.

ბავშვის რელიგიისა და აღმსარებლობის თავისუფლება ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსურია ადამიანის უფლებებს შორის,<sup>480</sup> რადგან ცალსახა პასუხი ამ უფლებასთან დაკავშირებულ საკითხებთან მიმართებით ხშირად არ არსებობს და ბევრი საკითხი ბუნდოვანი, შესაბამისად - სადავოა.

### 2. დაცული სფერო

#### 2.1 რელიგია და აღმსარებლობა

რელიგიის უფლება მოიცავს ბავშვის უფლებას შეიქმნას, გამოხატოს რწმენა და ამ რწმენის შესაბამისად იმოქმედოს.<sup>481</sup> რწმენა გულისხმობს წარმოდგენებს ადამიანსა და სამყაროს შორის.<sup>482</sup> დაცულია არა მხოლოდ ლოცვა, გალობა, რელიგიურ დღესასწაულებში მონაწილეობის მიღება და მსგავსი საკულტო მოქმედებები არამედ, ასევე, რელიგიური აღზრდაც<sup>483</sup>.

რელიგიის თავისუფლებით დაცულია როგორც ტრადიციული, ასევე, არატრადიციული რელიგიებიც. თუმცა, ორგანიზაციის საქმიანობა სუბიექტურად და ობიექტურად უნდა ემსახურებოდეს რელიგიურ მიზნებს.<sup>484</sup>

რელიგიის თავისუფლება მოიცავს აღმსარებლობის თავისუფლებას. აღმსარებლობა გამოხატავს გარეგნულად (*forum externum*) იმ რწმენას, რაც ადამიანს აქვს შინაგანად (*forum internum*). დაცულია, ასევე, ნეგატიური თავისუფლება, არ ჰქონდეს კონკრეტული რწმენა და ასევე, არ გამოხატოს რწმენა, რომელიც მას აქვს<sup>485</sup>.

შიდასახელმწიფოებრივ და საერთაშორისო სამართლებრივ კონტექსტში პრობლემურია საკითხი, რა მასშტაბით არის რელიგიის თავისუფლებით მოცული რელიგიური განათლების თავისუფლება. კოდექსის შემუშავების პროცესში არსებობდა შემოთავაზება ასეთი უფლების გამოკვეთილად განსაზღვრის,

479 იხ. T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ. 144.

480 S Langlaude *The Right to the Child to Religious Freedom in International Law* (Nijhoff 2007 Leiden) გვ.255.

481 T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ. 145.

482 იხ. BVerwG 89, 368/370.

483 T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ. 155.

484 G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) გვ.86.

485 G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) იხ.86.

თუმცა ეს იდეა არ იქნა საბოლოო ვერსიაში გაზიარებული. ამასთანავე, ის არ იქნა კონვენციით ხაზგასმით განსაზღვრული.<sup>486</sup> თუმცა, რელიგიის თავისუფლების მაქსიმალური დაცვის ინტერესიდან გამომდინარე, დაცული სფერო ფართოდ უნდა განიმარტოს. ამდენად, რელიგიური განათლებაც შეიძლება ამ უფლების დაცული სფეროს ნაწილად მოვიხაზოთ. თუმცა, ეს არ უქმნის სახელმწიფოს უშუალო პოზიტიურ ვალდებულებას საგანმანათლებლო დანესებულებებში უზრუნველყოს რელიგიური სწავლება.<sup>487</sup>

## 2.2 სინდისი

სინდისი ადამიანის მორალური მდგომარეობაა, რომელიც ინდივიდის იდენტობას განსაზღვრავს და სუბიექტურად აიძულებს მას კონკრეტულ სიტუაციაში ქმედება შეაფასოს როგორც „კარგი“, „სამართლიანი“, ან „ცუდი“, „უსამართლო“.<sup>488</sup> ეს უფლება მოიცავს როგორც ფიქრს საკუთარი სინდისის მიხედვით, ასევე, მის შესაბამისად მოქმედებას ან უმოქმედობას.<sup>489</sup> აქ მოიაზრება სავალდებულო სამხედრო სამსახურზე უარის თქმა იმ შინაგანი მდგომარეობის გამო, რომელიც ადამიანს არ აძლევს საშუალებას აღნიშნული ვალდებულება შეასრულოს. თუმცა, სახელმწიფოსთვის ხშირ შემთხვევაში, რთულია იმის ზუსტი გადამოწმება, რამდენად გულწრფელია ადამიანი სინდისის არგუმენტად გამოყენებისას.<sup>490</sup> მაგალითად, საქართველოში რამდენიმე ათასი ახალგაზრდა განევრიანდა ერთ-ერთ ორგანიზაციაში, რომელიც ამკარად არ ემსახურება რელიგიურ მიზნებს და ამ გზით თავი აარიდეს სავალდებულო სამხედრო სამსახურს.

## 3. ჩარევა და ჩარევის გამართლება

რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება აღჭურვავს ბავშვს სახელმწიფოს მიმართ, როგორც ნეგატიური, ასევე, პოზიტიური ვალდებულებებით. სახელმწიფო, ერთი მხრივ, არ უნდა ჩაერიოს შვილების, მშობლებისა და რელიგიური ორგანიზაციების ურთიერთობაში, მეორე მხრივ, ვალდებულია დაცვის და პროცესუალური გარანტიების შექმნას.<sup>491</sup> თუმცა, პოზიტიური ვალდებულებები აბსტრაქტულია და ხშირად, მის კონკრეტულობასთან დაკავშირებით ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

ბავშვის რელიგიის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებასთან ერთად, მეორე მუხლში მითითებულია მშობლის უფლება, აღზარდოს ბავშვი

486 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.210.

487 იხ. S Detrick *A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child: A Guide to "Travaux Preparatoires"* (Nijhoff 1992 Dordrecht) გვ.240.

488 BVerfG 12, 45/55.

489 T Kingreen and others *Grundrechte: Staatsrecht II* (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg) გვ. 150.

490 G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) გვ.87.

491 S Langlaude *The Right to the Child to Religious Freedom in International Law* (Nijhoff 2007 Leiden) გვ.245.

საკუთარი მორალური და რელიგიური შეხედულებების შესაბამისად. მშობლის ეს უფლება პირდაპირ თანხვედრაში მოდის კოდექსის კონცეფციასთან, რომ ბავშვის უფლებაა აღიზარდოს ოჯახში და პირველყოფილსა, სწორედ მშობლებს აქვს უფლება და მოვალეობა ბავშვთან დაკავშირებული საკითხების გადანყვეტისა<sup>492</sup>. საერთაშორისო დონეზე, ისტორიულად, ეს უფლება ჩამოყალიბდა იმისათვის, რათა ბავშვები დაცული ყოფილიყვნენ სახელმწიფოს მხრიდან რელიგიური ინდოქტრინაციისგან.<sup>493</sup>

თუმცა, აქ მნიშვნელოვანია, განისაზღვროს მშობლის ამ უფლების მასშტაბი. კერძოდ, კოდექსი პირდაპირ მიუთითებს რომ მშობელს აქვს ხელმძღვანელობის განევისა და მიმართულების მიცემის ვალდებულება. ეს თავის მხრივ, უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესსა და მოსაზრებებს მისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის შესაბამისად. ეს სრულ თანხვედრაშია კონვენციის დებულებასთან, რომელიც მიუთითებს სწორედ ანალოგიურ მასშტაბზე.<sup>494</sup> კომიტეტი განმარტავს, რომ ეს არის ბავშვის უფლება და არა მშობლის. შესაბამისად, ბავშვს უნდა დაეხმაროს მშობელი მისი უფლების რეალიზებაში. ამავდროულად, ეს არის აქცესორული უფლება და ბავშვის ასაკის და სიმწიფის ზრდასთან ერთად მეტად უნდა გაეწიოს ანგარიში მის მოსაზრებებს.<sup>495</sup> არ არსებობს რაიმე მინიმუმ ასაკი, რომლის შემთხვევაში ბავშვს უფლება ექნება თავად გადანყვეტოს რელიგიის თავისუფლების რეალიზების შესახებ.<sup>496</sup> ცხადია, რომ მცირეწლოვანი, მაგალითად ერთ წლამდე ასაკის ბავშვი, ვერ მიიღებს გადანყვეტილებას რელიგიის საკითხებზე, რადგან მას ამისათვის სიმწიფე აკლია<sup>497</sup>. ამდენად, ლოგიკურია, რომ ოჯახი ახდენს გავლენას ბავშვის რელიგიური გრძნობების ჩამოყალიბებაზე. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში, ოჯახის დამოკიდებულება რელიგიასთან ბოლო ათწლეულების მანძილზე მნიშვნელოვნად შეიცვალა<sup>498</sup>, კოდექსი, ისევე როგორც საერთაშორისო სამართალი, ეყრდნობა ტრადიციული ოჯახის მნიშვნელობას ბავშვის რელიგიის თავისუფლების საკითხებში.

რელიგიის თავისუფლების შეზღუდვის საფუძველია ისეთი რელიგიური რიტუალების აღსრულება, რომელიც ზიანს აყენებს მის საუკეთესო ინტერესს. კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 პუნქტი ბავშვზე ძალადობად განიხილავს ტრადი-

492 H Bielefeldt N Ghana–Hercock and M Wiener *Freedom on Religion or Belief: An International Law Commentary* (Oxford University Press 2016 New-York) გვ. 243.

493 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 159.

494 იხ. Bielefeldt N Ghana–Hercock and M Wiener *Freedom on Religion or Belief: An International Law Commentary* (Oxford University Press 2016 New-York) გვ. 243.

495 Committee on the Rights of the Child, General Comment No 20 (2016) UN Doc CRC/C/GC/20, პარა. 43.

496 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 158, 159.

497 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 211.

498 A Vellmer *Religioese Kindererziehung und religioes begruendete Konflikte in der Familie* (Peter Lang 2010 Frankfurt am Main) გვ. 27.

ციული რიტუალის აღსრულების მიზნით ისეთი მეთოდების გამოყენებას, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, წამებას, მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას (მათ შორის, გოგონას სასქესო ორგანოს დასახიჩრება, ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება რეპროდუქციის უნარის მოსაშლელად), მიუხედავად ბავშვის ან მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა. რადგან ამ მუხლს შემუშავების პროცესში მოჰყვა არასწორი ინტერპრეტაცია გარკვეული წრეების მხრიდან, ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ამავე მუხლის მე-5 პუნქტი ხაზგასმით განსაზღვრავს, რომ ასეთ პრაქტიკებში არ ითვლება ნათლობა.

კონკრეტულად რაში შეიძლება გამოიხატებოდეს სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება ამ მუხლთან მიმართებით? სახელმწიფომ შეიძლება დაიცვას ბავშვი, თუ მას არ სურს რომელიმე რელიგიასთან კუთვნილება ან პირიქით, როდესაც მშობლები უზღუდავენ აღმსარებლობის უფლებას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბავშვის ასაკი და სიმწიფის ხარისხი იძლევა ამის საშუალებას. მაგალითად, 17 წლის მუსლიმან ბავშვს აქვს სერიოზული წინააღმდეგობა მშობლების მხრიდან, როდესაც მან გადაწყვიტა მონათლოს ქრისტიანად. ან ათეისტი მშობლები 15 წლის შვილს უშლიან მართლმადიდებლურ ტაძარში სიარულს.

სახელმწიფო იცავს ბავშვს მესამე პირებთან მიმართებითაც, მათ შორის ბავშვის იძულებისა და დაშინებისგან.<sup>499</sup> მაგალითად, ბავშვი არის ტრადიციული რელიგიის მიმდევარი და სექტის წარმომადგენლები დაშინებითა და მუქარით აიძულებენ იაროს მათ შეკრებებზე.

არც კოდექსი და არც საერთაშორისო სამართალი არ ქმნის სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვისთვის რელიგიური აღზრდის გაკვეთილები სკოლაში.<sup>500</sup>

სახელმწიფოს ეკისრება რელიგიური ნეიტრალურობის დაცვის ვალდებულება საგანმანათლებლო დაწესებულებებში. სახელმწიფო უფლებამოსილია ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია ფილოსოფიურ, ეთიკურ საკითხებსა თუ რელიგიის ისტორიის შესახებ, თუ ის განხორციელდება ობიექტური, კრიტიკული და პლურალისტური მეთოდით. ზემოაღნიშნული სტანდარტის დაცვით სწავლების შემთხვევაში, ბავშვის გათავისუფლება გაკვეთილზე დასწრების ვალდებულებისგან, წარმოადგენს სახელმწიფოს დისკრეციულ უფლებამოსილებას და არგათავისუფლება არ დაარღვევს მშობლის უფლებას თავისი რწმენის ან მორალის თანახმად აღზარდოს შვილი.<sup>501</sup> ამავე დროს, სკოლის სივრცეში რწმენის გამომხატველი სამოსის ტარება შესაძლოა შეიზღუდოს თუ მისი ტარება, გარემოებების გათვალისწინებით, საფრთხის შემცველია ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის<sup>502</sup>. რელიგიური ნეიტრალურობის პრინციპს არ არღვევს

499 S Langlaude *The Right to the Child to Religious Freedom in International Law* (Nijhoff 2007 Leiden) გვ.254

500 იხ. S Langlaude *The Right to the Child to Religious Freedom in International Law* (Nijhoff 2007 Leiden) გვ.255.

501 *Dojan and Others v. Germany*, პარა.2 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

502 *Dogru v. France*, პარა.61-77 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

ცალკეული საგნების სკოლაში გამოფენა. მაგალითად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებით საკლასო ოთახში მხოლოდ ჯვარცმის გამოფენა ვერ გამოიწვევს მოსწავლეთა ინდოქტრინიზაციას. შესაბამისად, კონვენციური უფლება დარღვეულად არ ჩათვალია.<sup>503</sup>

მნიშვნელოვანია, სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებები რელიგიის თავისუფლების კუთხით. საქმეში *Dogru v. France; Kervanci v. France*<sup>504</sup>, მუსულმანი მომჩივნები 1998-1999 წელს სახელმწიფო დაწყებითი სკოლის პირველ კლასში ჩაირიცხნენ. ისინი არაერთხელ დაესწრნენ ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებს, სადაც, მიუხედავად მათი მასწავლებლის განმეორებითი მოთხოვნისა მოეხსნათ თავსაბურავები, მათ უარი განაცხადეს მის შესრულებაზე. სკოლის დისციპლინურმა კომიტეტმა გადაწყვიტა სასკოლო ვალდებულების დარღვევის გამო მომჩივნები სკოლიდან გაერიცხა, რადგან ისინი ამ კონკრეტულ გაკვეთილებში ვერ იღებდნენ მონაწილეობას. ეს გადაწყვეტილება ეროვნულმა სასამართლო ინსტანციებმა ძალაში დატოვეს. სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებით, კონვენციის მე-9 მუხლის დარღვევა არ დადასტურდა. სასამართლომ მიუთითა, რომ ეროვნული ხელისუფლების მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც ისეთი თავსაბურავის ტარება, როგორცაა ისლამური ჩადრი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე შეუთავსებელი იყო სპორტის გაკვეთილებთან, დასაბუთებული იყო და რომ დაკისრებული სასჯელი მომჩივანთა მიერ სასკოლო წესების დარღვევის შედეგი იყო და არა მათი რელიგიური შეხედულების გამო სასჯელის დაკისრების.

ასევე, საქმეებში *ktas v. France, Bayrak v. France, Gamaleddyn v. France, Ghazal v. France, J. Singh v. France and R. Singh v. France*<sup>505</sup> საჩივრები ეხება ექვსი მოსწავლის სკოლიდან გარიცხვას. 2004-2005 წლებში ისინი ჩაირიცხნენ სხვადასხვა სახელმწიფო სკოლაში. რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, მუსლიმანი გოგონები სკოლაში თავსაბურავით გამოცხადდნენ, ხოლო ბიჭები კი ჩალმით. თავსაბურავების მოხსნაზე უარის თქმის შემდეგ, მათ აუკრძალეს საკლასო ოთახებში შესვლა და საბოლოოდ, სასკოლო ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის სკოლიდან გარიცხეს. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საჩივრები დაუშვებლად მიიჩნია, რადგან, მოსწავლეთა რელიგიის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დადგენილი იყო კანონით და ემსახურებოდა სხვათა უფლებებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ლეგიტიმურ მიზანს. სასამართლომ ხაზი გაუსვა, ასევე, სახელმწიფოს, როგორც სხვადასხვა რელიგიის და შეხედულებების გამოხატვის მიუკერძოებელი მომწესრიგებლის როლზე. რაც შეეხება სასჯელის სახით მოსწავლეთა სკოლიდან გარიცხვას, იგი არ ჩაითვალია არაპროპორციულ ღონისძიებად, რადგან მოსწავლეებს კვლავ ჰქონდათ შესაძლებლობა სწავლა შესაბამის კურსებზე გაეგრძელებინათ.

503 *Lautsi and Others v. Italy*, პარა. 71-76 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

504 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

505 ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

## §19. ბავშვის გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებები

### 1. შესავალი

კოდექსი მე-17 მუხლი მოიცავს ორ უფლებას: გაერთიანებისა და შეკრების თავისუფლებებს. ორივე ეს უფლება შეესაბამება კონვენციის უფლებებს, რომელიც მისი მე-15 მუხლითაა განსაზღვრული. ამ ნორმის ძირითადი მნიშვნელობა არის ის, რომ ბავშვებს უმყარებს მონაწილეობის შესაძლებლობას დემოკრატიულ საზოგადოებაში ადრეულ ეტაპზე.<sup>506</sup> ეს უფლებები ბმაშია, ბუნებრივია, გამოხატვის თავისუფლებასთან.

### 2. დაცული სფერო

#### 2.1 გაერთიანება

გაერთიანება უნდა განიმარტოს ფართოდ და არ არის ფორმით შეზღუდული. შეიძლება *de-facto* გაერთიანებებიც ვიგულისხმოთ.<sup>507</sup> ამ კატეგორიას მიეკუთვნება, ასევე, პროფესიული კავშირები<sup>508</sup>, რამაც მის პროფესიულ განვითარებაში შეიძლება როლი ითამაშოს.

შესაძლებელია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაერთიანების მნიშვნელობასთან დაკავშირებით გაკეთებული განმარტება გამოყენებული იქნას ბავშვთან მიმართებითაც. საკონსტიტუციო სასამართლო ხაზს უსვამს, რომ გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად. დაცულია საზოგადოებრივი ჯგუფების თავისუფლად ჩამოყალიბების, თავისუფალი ასოციაციის პრინციპი. ამავე დროს, გაერთიანების თავისუფლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ ადამიანის ძირითადი უფლების გარანტირების, არამედ დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბების კუთხით. გაერთიანების თავისუფლებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს დემოკრატიულ საზოგადოებაში ინტეგრირებისა და მისი სამოქალაქო პასუხისმგებლობის შეგნების ჩამოყალიბებისათვის.<sup>509</sup> კოდექსით განსაზღვრული გაერთიანება არ არის პირთა ყოველგვარი ჯგუფური გაერთიანება და საჭიროებს რიგი კრიტერიუმების დაკმაყოფილებას. აუცილებელია: პირთა ერთობა; პირთა ერთობა შექმნილია ნების თავისუფალი გამოვლინების შედეგად; პირთა ერთობა ჩამოყალიბებულია ხანგრძლივი ვადით; პირთა ერთობას აქვს საერთო მიზანი და პირთა ერთობაში ნების ფორმირებას აქვს ორგანიზებული სახე. სწორედ ეს ნიშნები ერთობლივად ან რომელიმე მათგანი ცალკე აღებული

506 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.218.

507 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 144.

508 G Van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 145.

509 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის 2/2/439 გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-2.



განასხვავებს გაერთიანებას პირთა სხვა ერთობებისაგან, როგორცაა შეკრებები, ობიექტურ თუ ბუნებრივ საფუძველზე დამყარებული ერთობები.<sup>510</sup>

სპეციფიურად ბავშვების კუთხით, რელევანტური შეიძლება იყოს ამგვარი საზოგადოებრივი გაერთიანებები, რომლებიც იქმნება საგანმანათლებლო მიზნით, ორიენტირებულია ბავშვის განვითარებისა და კეთილდღეობის საკითხებზე. მაგალითად, ბავშვი განეწიანდა ორგანიზაციაში, რომლის მთავარი მიზანი ბუნებაზე ზრუნვაა.

## 2.2 შეკრება

კოდექსი იცავს მშვიდობიანი შეკრების უფლებას, რომელიც პირდაპირ კავშირშია სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებასთან. კერძოდ, შეკრება აზრის კოლექტიურად გავრცელების ერთ-ერთი საშუალებაა და გამოხატვის თავისუფლების გაგრძელებას წარმოადგენს.<sup>511</sup>

საქართველოს კანონი „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ განსაზღვრავს შეკრებას, როგორც, მოქალაქეთა ჯგუფის შეკრებას ჭერქვეშ ან გარეთ, მიტინგს საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში, სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით.<sup>512</sup> ეს დეფინიცია ვრცელდება ბავშვის უფლებაზეც. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, შეკრებისთვის საკმარისია მასში მონაწილე, სულ მცირე, ორი პირის არსებობა.<sup>513</sup>

შეკრება უნდა ემსახურებოდეს აზრის გამოხატვას.<sup>514</sup> ბავშვთა ისეთი თავშეყრა ან მსვლელობა, რომელიც მოკლებულია კონკრეტულ იდეას, და არ ემსახურება აზრის, ინფორმაციის გაზიარებას ან გავრცელებას, არ არის დაცული არც კონსტიტუციით და არც კოდექსით.<sup>515</sup>

დაცულია მხოლოდ მშვიდობიანი შეკრების შესაძლებლობა. ის შეიძლება იყოს დაგეგმილი ან სპონტანური.<sup>516</sup> გარდა ამისა, შეკრების უფლების შემადგე-

510 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის 2/2/439 გადაწყვეტილება - საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-12.

511 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2011 წლის 18 აპრილის 2/482,483,487,502 გადაწყვეტილება - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის“, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „საქართველოს კონსერვატიული პარტია“, საქართველოს მოქალაქეები ზვიად ძიძიგური და კახა კუკავა, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, მოქალაქეები დაჩი ცაგურია და ჯაბა ჯიშკარიანი, საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. II-3.

512 „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

513 G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) გვ. 141.

514 BVerfG 104, 92/104.

515 საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი. თავი მეორე. საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი, გამომცემლობა შპს „პეტიტი“, თბილისი, 2013. გვ. 283.

516 B Schmidt-Bleibtreu und F Klein *Kommentar zum Grundgesetz* (9. Aufl. Luchterhand 1999 Neuwied und Kriftel) გვ. 267.

ნელი ნაწილია შეკრების ადგილის არჩევა, შეკრებისას აზრის სხვადასხვა ფორმითა და საშუალებით გამოხატვა.<sup>517</sup>

## 6. ჩარევა და ჩარევის გამართლება

დაუშვებელია, ბავშვის იძულება გაერთიანების შექმნასა და წევრობაზე, რაც შეიძლება ჩაითვალოს ჩარევად ბავშვის უფლებაში. უფლებაში ჩარევა სახეზე იქნება, თუკი არასრულწლოვანს, გაერთიანების შექმნისათვის, წევრობისათვის ან თავად გაერთიანების დაარსებასთან, ისევე როგორც, ფუნქციონირებასთან დაკავშირებით, სახელმწიფო დაუდგენს არაპროპორციულ და გაუმართლებელ ბარიერებს.

ბავშვის უფლების შეზღუდვის ერთ-ერთი გავრცელებული ფორმა გაერთიანების დაარსებისა და წევრობისთვის ასაკობრივი ცენზის დადგენაა. თუმცა, იმავდროულად კომიტეტი აღიარებს, რომ წევრი სახელმწიფოების სახელშეკრულებო სამართალი ან გაერთიანების ორგანიზებასთან დაკავშირებული იურიდიული ქმედებების განხორციელება შესაძლოა დაკავშირებული იყოს ასაკობრივ შეზღუდვებთან. შეიძლება ყველა ასაკის ბავშვისთვის არ იყოს ნებადართული გაერთიანების მმართველის ან ორგანიზაციის წარმომადგენლის სტატუსის მიღება.<sup>518</sup> გადამწყვეტი უნდა იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები კონკრეტული შემთხვევის შეფასებისას. ისეთ გაერთიანებაში ბავშვის განწევრიანება, რომელმაც შეიძლება შეაფერხოს მისი სრულფასოვანი, ჰარმონიული განვითარება და ზიანი მიაყენოს მას, დაუშვებელია და მათ შორის, მშობელმა ყველა შესაბამისი ზომა უნდა მიიღოს, რომ აღკვეთოს მსგავსი საფრთხეები.

ბავშვებს აქვთ შესაძლებლობა შეიკრიბონ წინასწარი ნებართვის გარეშე, თუმცა ხელისუფლების წინასწარი გაფრთხილება აუცილებელია, თუ შეკრება ხალხის ან ტრანსპორტის სამოძრაო ადგილას იმართება. ასეთ შემთხვევაში, ბავშვების შეკრების თავისუფლებას უპირისპირდება სხვა პირთა უფლებები, რის გამოც სახელმწიფოს აქვს ვალდებულება ინტერესები დააბალანსოს. მაგალითად, მოქალაქეებს შესთავაზოს სხვა სივრცე მათი და ტრანსპორტის გადაადგილებისათვის. სახელმწიფო გაფრთხილებას იღებს ცნობად. ეს არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო ნებართვას გასცემს შეკრებისთვის, მათ შორის, ბავშვებისთვისაც. გასათვალისწინებელია, რომ შეკრებისას გზისა და სავალი ნაწილის გადაკეცვა ლეგიტიმურია, თუკი ეს შეკრების მონაწილეთა რაოდენობითაა გამოწვეული.

ბავშვის შეკრების თავისუფლება აღიარებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც სასამართლომ მშობლის და ბავშვის შეკრების თავისუფლების დარღვევად შეაფასა ბავშვის ღონისძიებაზე დასწრების ხელყოფა, განსაკუთრებით იმგვარ ღონისძიებაზე, რომლის მი-

517 B Schmidt-Bleibtreu und F Klein *Kommentar zum Grundgesetz* (9. Aufl. Luchterhand 1999 Neuwied und Kriftel) გვ. 268.

518 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ. 198.

ზანია სკოლებთან მიმართებით სახელმწიფოს პოლიტიკის გაპროტესტება.<sup>519</sup> თუმცა, თუ ეს შეკრება ან მასში მონაწილეობა ბავშვის საუკეთესო ინტერესს ეწინააღმდეგება, მშობელი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა, იმისათვის რომ აღკვეთოს ბავშვის შესაძლებლობა. მაგალითად, შეკრება, რომელიც ემსახურება ნარკოტიკული საშუალებების ან აზარტული თამაშების მოხმარების პოპულარიზაციას, მასში მონაწილეობა არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში.

---

519 European Union Agency for Fundamental Rights and Council of Europe *Handbook on European Law Relating to the Rights of the Child (2015)* გვ.45, ხელმისაწვდომია: <[www.book.coe.int](http://www.book.coe.int)>

## §20. ბავშვის უფლება თამაშსა და დასვენებაზე

### 1. შესავალი

კოდექსი ხაზს უსვამს, რომ ბავშვს აქვს უფლება თამაშსა და დასვენებაზე, რომელიც, თავის მხრივ, რამდენიმე კომპონენტისგან შედგება. ამ კუთხით, კოდექსი სრულ შესაბამისობაშია კონვენციის 31-ე მუხლთან. ეს ელემენტები ერთმანეთზეა დამოკიდებული და აძლიერებენ ერთმანეთს<sup>520</sup>. ეს უფლება განიხილება, როგორც ფუნდამენტური ბავშვის განვითარების, კეთილდღეობისა და იდენტობისათვის.<sup>521</sup> ის ორ ძირითად მიზანს ემსახურება: ერთი მხრივ, ბავშვის კეთილდღეობას მოცემულ მომენტში, მეორე მხრივ, ბავშვის განვითარებას სამომავლო პერსპექტივისთვის.

### 2. დაცული სფერო

#### 2.1 დასვენება და თავისუფალი დრო

ბავშვის დასვენების უფლება გულისხმობს ბავშვის შესაძლებლობას შესაბამისი დროით მონყდეს სწავლას ან სამუშაოს. დასვენების უფლება მოიცავს ასევე უფლებას ძილსა და პაუზაზე შესაბამისი დროით.<sup>522</sup> დასვენება უზრუნველყოფს, რომ ბავშვებს ჰქონდეთ აუცილებელი ენერჯია და მოტივაცია თამაშობებსა და შემოქმედებით საქმიანობაში მონაწილეობისთვის<sup>523</sup>. ბავშვის უფლება თავისუფალ დროზე მოიცავს ასევე, დასვენების უფლებასაც. თუმცა, ასევე, გულისხმობს დროს, როდესაც ბავშვს შეუძლია თამაშსა და რეკრეაციულ აქტივობებში ჩაბმა. ამ შემთხვევაში ბავშვი თავისუფალია სავალდებულო საქმიანობისგან და მას აქვს უფლება იგი გამოიყენოს სურვილისამებრ.<sup>524</sup>

დასვენებისა და თავისუფალი დრო ყველა ბავშვისთვის არის ინდივიდუალური და განისაზღვრება მისი საჭიროებებისა და ინტერესების შესაბამისად.

#### 2.2 თამაში და რეკრეაციული ღონისძიებები

თამაშისა და რეკრეაციის უფლებას საფუძვლად უდევს იდეა, რომ ის პოზიტიურად აისახება ბავშვის კოგნიტიურ თუ სოციალურ განვითარებაზე.<sup>525</sup> ბავშვის თამაში არის ნებისმიერი ქცევა, საქმიანობა ან პროცესი, რომელიც, რო-

520 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.350.

521 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.8.

522 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.14.

523 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.8.

524 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.14.

525 P Dadvid 'Article 31: The Rights to Leisure, Play and Culture' in: Alen and others [Eds.] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhoff 2006 Brill) პარა.55.

გორც წესი, ბავშვის მიერვეა სტრუქტურირებული და ინიცირებული. თუმცა, ზრდასრულმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღოს მასში.<sup>526</sup> ის არ არის სავალდებულო. თამაშის მახასიათებელი შეიძლება იყოს გართობა, განუსაზღვრელობა, გამოწვევა, მოქნილობა და არაპროდუქტიულობა.<sup>527</sup> რეკრეაციული საქმიანობა უკავშირდება აქტიურ დასვენებას, მაგალითად, ლაშქრობებში, ექსკურსიებში და სხვა.

### 2.3 კულტურული, სპორტული ცხოვრება და ხელოვნება

აუცილებელია, ბავშვს ჰქონდეს სივრცე საკუთარი კრეატიულობის განსავითარებლად.<sup>528</sup> ამისათვის მნიშვნელოვანია კულტურული, სპორტული და სახელოვნებო ცხოვრებისთვის მას მიეცეს შესაძლებლობა. ბავშვი მემკვიდრეობით იღებს და ეცნობა მისი ოჯახის, თემის, საზოგადოების კულტურულ და მხატვრულ ცხოვრებას და ამ გზით ახდენს მისი იდენტობის, კუთვნილების განცდის აღმოჩენასა და გამყარებას.<sup>529</sup> კულტურული და მხატვრული გამოხატვა ხდება ოჯახში, სკოლაში, ქუჩაში, საჯარო სივრცეში ცეკვის, სიმღერის, რიტუალების, თეატრის, ლიტერატურის, მუსიკის, კინოს და სხვა საშუალებებით.<sup>530</sup>

სპორტულ აქტივობებში მონაწილეობა უმნიშვნელოვანესია ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებისა და ბავშვის განვითარებისათვის.

ამ შემთხვევაში, კულტურაში, სპორტსა და ხელოვნებაში იგულისხმება ამ ტერმინების სწორედ კლასიკური გაგება.<sup>531</sup>

### 3. ჩარევა და გამართლება

პირველყოფლისა, კოდექსი მშობელს აკისრებს მოვალეობას ხელი შეუწყოს ბავშვს მე-18 მუხლით განსაზღვრული უფლებების რეალიზებაში. თუმცა, იმავდროულად ეს უნდა მოხდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. მშობელმა ან აღზრდაზე პასუხისმგებელმა სხვა პირმა მხედველობაში უნდა მიიღოს ბავშვის მოსაზრებაც.

მაგალითად, ცალკეული თამაშობები, რომლებიც ძალადობას ან საფრთხის შემცველ სხვა ელემენტებს შეიცავს, მშობელმა უნდა გამორიცხოს ბავშვის თამაშებიდან, მაშინაც კი, თუ ბავშვს თავად სურს ასეთი. მაგალითად, ბოლო პე-

526 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.352.

527 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.14

528 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.12.

529 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.11.

530 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.14.

531 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ.352.

რიოდში მსოფლიოში გავრცელდა ონლაინ თამაში სახელად „ცისფერი ვეშაპი“, რომელში ჩართული ბავშვებიც სიცოცხლეს თვითმკვლელობით ასრულებდნენ. ბუნებრივია, ასეთი თამაშისგან მშობელი ვალდებულია დაიცვას ბავშვი, მისი სურვილის მიუხედავად.

კოდექსის მე-18 მუხლის მე-4 პუნქტი სახელმწიფოს აკისრებს პოზიტიურ პასუხისმგებლობას, რომ მან ხელი შეუწყოს უფლების რეალიზებას სათანადო შესაძლებლობების შექმნას, ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

ბავშვის თამაშისა და დასვენების უფლება შესაძლოა შეიზღუდოს უსაფრთხო გარემოს ნაკლებობით.<sup>532</sup> სამიში გარემო საფრთხეს უქმნის ბავშვის ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და განვითარების უფლებებს. როგორც აღნიშნავენ ბავშვების ნაწილი თამაშისა და რეკრეაციული საქმიანობისას აწყდება რიგ ფიზიკურ საფრთხეს, მაგალითად, დაბინძურებული წყალი, კანალიზაციის ღია სისტემა, უკონტროლო საცობი, არასაკმარისი ქუჩის განათება, უსაფრთხო სათამაშო ტერიტორიებისა და მწვანე სივრცეების ნაკლებობა და სხვა.<sup>533</sup> ამდენად, ამ დებულების საფუძველზე, სახელმწიფოს ვალდებულია, შესაძლებლობების ფარგლებში, საჯარო სივრცე სულ მცირე მინიმალური სტანდარტით მოაწყოს იმგვარად, რომ ბავშვი თამაშისა და რეკრეაციული საქმიანობის განხორციელებისას, არ იყოს სიცოცხლის ან ჯანმრთელობის ხელყოფის საფრთხის ქვეშ. ბუნებრივია, ეს არ ათავისუფლებს მშობელს ან კანონიერ სხვა წარმომადგენელს შესაბამისი მეთვალყურეობის ვალდებულებებისგან. სახელმწიფომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მონყვლადი ჯგუფების ბავშვებს, მაგალითად შშმ, სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ბავშვები.<sup>534</sup>

ამასთანავე, პოზიტიური ვალდებულება გულისხმობს, არა მხოლოდ უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფას, არამედ შესაბამის ჩარჩოს, სადაც ბავშვის დასვენებისა და თავისუფალი დროის უფლება დაცულია. მაგალითად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა იყოს შესაბამისი დასვენებები გაკვეთილებს შორის უზრუნველყოფილი.

---

532 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.34.

533 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.35.

534 Committee on the Rights of the Child, General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/GC/17 პარა.48.

## §21. ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება

### 1. შესავალი

კოდექსის მე-19 მუხლი ადგენს ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლებებს. ეს უფლებები დაცულია, მათ შორის ბავშვთან მიმართებით, საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლით. თუმცა, ეს უფლებები და მათი რეალიზების დეტალური პროცედურები მოცემულია, როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, ასევე, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსშიც.

კოდექსი აგრძელებს და აღრმავებს საქართველოს კონსტიტუციის მოთხოვნას საკუთრებასა და მემკვიდრეობასთან დაკავშირებით, იცავს ბავშვს უკეთესად. საკუთრების უფლება ქმნის პიროვნული განვითარების რეალიზების მატერიალურ საფუძველს.<sup>535</sup> ხოლო, მემკვიდრეობის უფლება ავსებს ამ უკანასკნელს და ორივე ერთად ქმნიან ძირითადი უფლებებით განსაზღვრულ ქონებრივ წესრიგს.<sup>536</sup>

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მიხედვით, საკუთრების უფლება ბუნებითი უფლებაა, რომლის გარეშე შეუძლებელია დემოკრატიული საზოგადოების არსებობა<sup>537</sup>. ის განიხილება, როგორც არსებობის ელემენტარული საფუძველი და ასევე, თავისუფლების, უნარისა და შესაძლებლობების ადეკვატური რეალიზაციის, ცხოვრების საკუთარი პასუხისმგებლობით წარმართვის მექანიზმი. ის მოიაზრება, ასევე, ინდივიდის კერძო ინიციატივების სტიმულატორად ეკონომიკაში.<sup>538</sup>

ხოლო, მემკვიდრეობის უფლებას, საკონსტიტუციო სასამართლო, უმაღლესი რანგის სამართლებრივ სიკეთედ აღიარებს, რომელიც ქმნის საფუძველს საკუთრების უფლება არ შემოიფარგლოს ადამიანის სიცოცხლის ვადით და შენარჩუნდეს სამართალმემკვიდრეობის გზით.<sup>539</sup>

## 2. დაცული სფერო

### 2.1. საკუთრება

ბავშვის საკუთრების ცნების ქვეშ მოიაზრება საკუთრების კონსტიტუციური ცნება, ისე როგორც ეს ზრდასრულების შემთხვევაშია განსაზღვრული. ცნება

535 იხ. B Schmidt-Bleibtreu und F Klein *Kommentar zum Grundgesetz* (9. Aufl. Luchterhand 1999 Neuwied und Kriftel) გვ. 373.

536 იხ. BVefG 91, 346.

537 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე - „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-32.

538 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – დავით ჯიმშელიშვილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალალაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-5

539 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე - „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-74-75.

გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე სამოქალაქო-სამართლებრივი საკუთრების ცნება.

ბავშვის საკუთრების უფლება მოიაზრებს ბავშვის მიერ საკუთრების მართლზომიერად შექმნის, მისი განკარგვის, ფლობისა და სარგებლობის უფლებებს.

საკუთრების უფლება მოიცავს, როგორც ბავშვის საკუთრებას უძრავ, ასევე, მოძრავ ნივთებზე. თუმცა, ის მოიცავს ასევე, არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეებს, რომლებიც არის ისეთი მოთხოვნები და უფლებები, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 152-ე მუხლის შესაბამისად, შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რამე. მაგალითად, იზოთეკა, აქციები, საპატენტო უფლებები, წინასახელშეკრულებო უფლებები და სხვა.<sup>540</sup> მათ შორისაა უფლება მოთხოვნაზე, შესაძლოა განხილული იქნეს როგორც საკუთრება და უფლება საკუთრებაზე.<sup>541</sup>

ბავშვმა საკუთრება შესაძლოა შეიძინოს კანონის ან ხელშეკრულების საფუძველზე. კანონის საფუძველზე საკუთრების შექმნის მაგალითია კანონისმიერი მემკვიდრეობით საკუთრების მიღება. ქართული სამართალი მემკვიდრეობის უფლებას ანიჭებს არა მხოლოდ ბავშვს დაბადებისთანავე, არამედ მემკვიდრედ ყოფნის უფლება წარმოიშობა ჩასახვისთანავე, იმ დათქმით, რომ ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია დაბადებაზე.<sup>542</sup>

გარდა ამისა, კანონისმიერი გზით საკუთრების შექმნის კერძო შემთხვევაა კოდექსის მე-3 ნაწილი, რომლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, მშობლისგან მიიღოს ნაღდი ფული ან პლასტიკური ბარათი ლიმიტის შესაბამისი თანხით სარგებლობისთვის, მისი თავისუფალი დროისა და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველდღიური გამოყენებისთვის, ხოლო თანხის ოდენობა ინდივიდუალურად, ბავშვის ასაკის შესაბამისად, მშობლების კეთილი ნების საფუძველზე განისაზღვრება. ხსენებულ დებულებას ერთი მხრივ, საფუძველად უდევს ბავშვის შეზღუდული რესურსი დამოუკიდებლად მოიპოვოს საკუთრება, ხოლო მეორე მხრივ, მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის უპირობო ზრუნვის ვალდებულება მის მიმართ, მათ შორის, საკუთრების ინტერესის დაკმაყოფილების სფეროში.

კოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არასრულწლოვნის მიერ ნების გამოვლენას, იმის მიხედვით მცირეწლოვანმა (0-7 წლამდე) თუ არასრულწლოვანმა (7-18 წლამდე) გამოავლინა ნება, სხვადასხვა სამართლებრივ შედეგებს

540 იხ. G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) გვ. 199.

541 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 27 დეკემბრის 2/3/522,553 გადაწყვეტილება საქმეზე- „სპს „გრიშა აშორდია“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-39.

542 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-11 მუხლის მე-2 ნაწილი.



უკავშირებს.<sup>543</sup> მცირეწლოვნის მიერ ნების გამოვლენა უპირობოთ ბათილია, მიუხედავად იმისა იღებს თუ არა ბავშვი სამართლებრივ სიკეთეს ან არსებობს თუ არა მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა.<sup>544</sup> მცირეწლოვნის მხრიდან ნების გამოვლენა ხდება მისი კანონიერი წარმომადგენლის მიერ.<sup>545</sup> ხოლო შეზღუდული ქმედუნარიანის (7-18 წლამდე არასრულწლოვანი) მიერ ნების გამოვლენა წარმოადგენს საცილო გარიგებას, რომელიც ნამდვილი გახდება თუ არასრულწლოვანი იღებს სარგებელს ან გარიგების დადების შემდეგ არასრულწლოვანის კანონიერი წარმომადგენელი მოიწონებს გარიგებას.<sup>546</sup> არასრულწლოვნის მიერ შეზღუდულად ნების გამოვლენის შესაძლებლობა არ გამოირიცხავს კანონიერი წარმომადგენლის უფლებას, დამოუკიდებლად დაამყაროს ურთიერთობა არასრულწლოვნის სახელით.<sup>547</sup> ზემოხსენებულ შემთხვევებში გარიგებების დადებისას ან მოწონებისას, კანონიერი წარმომადგენელი ვალდებულია იხელმძღვანელოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებით.

## 2.2 მემკვიდრეობა

მემკვიდრეობის უფლებას გააჩნია ორმაგი ბუნება. ის ბავშვის მიერ საკუთრების, როგორც შეძენის, ისე მისი განკარგვის ერთ-ერთი ფორმაა.<sup>548</sup> ამდენად, ბავშვი შესაძლოა იყოს მემკვიდრეც და მამკვიდრებელიც.

მემკვიდრეობის უფლება, პირველყოვლისა, მოიცავს, ანდერძის თავისუფლებას, პირმა უანდერძოს საკუთარი ქონება სხვა კონკრეტულ პირს.<sup>549</sup>

## 3. დაცულ სფეროში ჩარევა და ჩარევის გამართლება

საკუთრებას სოციალურ სახელმწიფოში, მესაკუთრის კერძო ინტერესების დაკმაყოფილების პარალელურად, აქვს სოციალური ფუნქცია. სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო ერთნაირად მოითხოვს როგორც კერძო საკუთრების თავისუფლებას, ისე, მისი შეზღუდვის აუცილებლობას საჯარო მიზნებისთვის.<sup>550</sup> ამდენად, საკუთრების უფლება არ არის აბსოლუტური უფლება და

543 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 58-ე და 63-ე მუხლები.

544 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის 2ბ/3275-15 განჩინება. პარ.2.10.

545 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის 2ბ/3275-15 განჩინება. პარ.2.10.

546 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 63-ე მუხლი.

547 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის 2ბ/3275-15 განჩინება. პარ.2.10.

548 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2012 წლის 26 ივნისის 3/1/512 გადაწყვეტილება საქმეზე - „დანის მოქალაქე ჰეიკე ქრონქვისტი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-77.

549 G Manssen *Staatsrecht II: Grundrechte* (6. Aufl. Beck 2009 Muenchen) გვ. 213.

550 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის 1/2/384 გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები – „დავით ჯიმშელიძევილი, ტარიელ გვეტაძე და ნელი დალაღაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, II-8.

იგი შესაძლოა დაექვემდებაროს თანაზომიერ ჩარევას, რომელიც კონსტიტუციის მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 183-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ბავშვის საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მიერ განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესაბამისად, სასამართლოს თანხმობის საფუძველზე. იგივე ვალდებულებას აწესებს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლი ბავშვის საკუთრებაში არსებულ 1000 ლარზე მეტი ღირებულების მოძრავ ნივთზე.

ამ რეგულაციაში არ არის მოქცეული 152-ე მუხლით გათვალისწინებული არამატერიალური საკუთრება, მათ შორის საბავშვო საბანკო ანაბარი.

ბანკების ნაწილი შეეცადა, რომ საბავშვო ანაბრიდან თანხის გატანაზე უარი ეთქვათ მომხმარებლებისთვის ზემოთ აღნიშნული რეგულაციების არგუმენტად მოშველიებით. აღსანიშნავია, რომ ანაბარი თავისი არსით არ წარმოადგენს ბავშვის საკუთრებაში არსებულ არც მოძრავ და არც უძრავ ნივთს, შესაბამისად, არ არსებობს სამოქალაქო კოდექსის 186-ე მუხლის მე-11 ნაწილის ამ ურთიერთობებზე გავრცელების საფუძველი და აღნიშნული არც კანონპროექტის ავტორთა მიზანს წარმოადგენდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამის შესახებ პირდაპირი მითითება გაკეთდებოდა კანონპროექტის განმარტებით ბარათში.

ანაბრის განკარგვასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციების განხილვისას, ასევე მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის და 874-ე მუხლის დებულებები. სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის თანახმად: „მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.“. სამოქალაქო კოდექსის 874-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად კი, „ფულადი თანხის შეტანით (ანაბარი) საკრედიტო დაწესებულება მოიპოვებს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია ვადის დადგომისას იმავე ვალუტაში დააბრუნოს მიღებული თანხა“.

ამ ნორმების მიზანია, რომ დაცული იქნას ბავშვის საკუთრება არაკეთილსინდისიერი მშობლების თუ სხვა კანონიერი წარმომადგენლების მხრიდან. სამწუხაროდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც, მაგალითად, ნარკოტიკებსა თუ აზარტულ თამაშებზე დამოკიდებული მშობელი უყიდის ბავშვს ქონებას ნარკოტიკული ნივთიერების შესაძენად ან სათამაშოდ, რაც წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან. არის შემთხვევები, როდესაც სხვა კანონიერი წარმომადგენელი ბოროტად იყენებს თავის კანონიერ უფლებამოსილებას და არა ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ, საკუთარი პირადი ინტერესების კარნახით მოქმედებს და ბოროტად განკარგავს ბავშვის უძრავ ქონებას ან მოძრავ ნივთებს.

ეს რეგულაციები არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ შეუძლებელია ასეთი მოძრავი და უძრავი ნივთების განკარგვა, არამედ სასამართლომ უნდა განიხილოს, რამდენად შეესაბამება ეს ქმედება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და

ხომ არ ხდება ბოროტად გამოყენება მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის მხრიდან. ეს წარმოადგენს, ასევე, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტს. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო სახელმწიფოს მიერ ინდივიდუალური გარემოებების სათანადო შეუფასებლობას, რასაც უნდა დაეფუძნოს ბავშვის საკუთრების განკარგვაზე ნებართვის გაცემა ან გაუცემლობა, ბავშვის საკუთრების უფლების დარღვევად განიხილავს.<sup>551</sup>

გარიგება არის თუ არა ბავშვის ინტერესების შესაბამისი უნდა განისაზღვროს ინდივიდუალური გარემოებებიდან გამომდინარე. ხშირად, ბავშვის ქონების განკარგვა უკავშირდება ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების ზოგად მიზანს. აღნიშნავენ, რომ ოჯახის ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესება არაპირდაპირ ბავშვის ინტერესშია, თუმცა, ოჯახის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით ბავშვის ქონებაზე რისკის განწვევა, მით უფრო, თუ რისკი გაუთვლელი და დაუზღვეველია, ბავშვის ინტერესების საზიანო შედეგის მომტანია. ქონების განკარგვა, მათ შორის, ქონების გასხვისება, ბავშვის პირდაპირ ინტერესს შეესაბამება, თუ ბავშვის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება ბავშვის ისეთ მაღალ ინტერესს შეესატყვისება, როგორცაა, მისი ჯანმრთელობა, განათლება, უსაფრთხოება და ა. შ.<sup>552</sup> ამავე დროს, საქართველოს უზენაესი სასამართლო ბავშვის ქონების თაობაზე სესხის გარიგების დადებისას პასუხისმგებლობის გადანაწილებას ასევე ახდენს კრედიტორზე, კერძოდ, სასამართლო საკითხის შეფასებისას ხელმძღვანელობს სესხის გაცემის კეთილსინდისიერად მოქმედების აუცილებლობის ტესტით, რა დროსაც მნიშვნელოვანია გამსესხებლის ცოდნა სესხის აღების დროს მსესხებლის დამოუკიდებელი შემოსავლის არსებობის თაობაზე. თუ გარემოებების შეფასების საფუძველზე სასამართლო მივა დასკვნამდე, რომ გამსესხებელი მხოლოდ იპოთეკის საგნის ანუ მხოლოდ ბავშვის საკუთრების იმედად რჩება, მისი მოქმედება ჩაითვლება საზოგადოებაში დამკვიდრებული ზნეობრივი პრინციპების საწინააღმდეგო მოქმედებად, რაც გარიგების ბათილობის საფუძველია.<sup>553</sup>

ამასთან, ბავშვის საკუთრების უფლებაში ჩარევის ერთ-ერთი ფორმაა საკუთრების ჩამორთმევა (ექსპროპრიაცია), რის საფუძველსაც საქართველოს კონსტიტუციის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტი ქმნის. იმდენად, რამდენადაც ეს საკუთრებაში ჩარევის უფრო მძიმე ფორმაა, ვიდრე საკუთრების უფლების კლასიკური შეზღუდვა, მას მკვეთრად გამოხატული კრიტერიუმები გააჩნია. ის უნდა ემსახუროდეს კონკრეტულ ლეგიტიმურ მიზანს, უნდა იყოს აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის კანონით პირდაპირ გათვალის-

551 *S.L. and J.L. v. Croatia* (application no. 13712/11). პარა..64-89

ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

552 თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 6 ოქტომბრის 2ბ/3275-15 განჩინება. პარ.4.7 თუმცა ვხვდებით საპირისპირო პრაქტიკასაც, როდესაც ოჯახის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ჩაითვალა, როგორც ბავშვის ინტერესებთან თანმხვედრი - საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება №ას-1498-1418-2017, 8 ივნისი, 2018 წელი.

553 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 8 ივნისის №ას-1498-1418-2017 განჩინება. პარ.67.

წინეზულ შემთხვევებში, უნდა გააჩნდეს საფუძველი - სასამართლოს გადანყვეტილება ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობა და უნდა იყოს სახეზე წინასწარი, სრული და სამართლიანი ანაზღაურება. ანაზღაურება თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადისა და მოსაკრებლისაგან. ექსპროპრიაციის პროცესში სახელმწიფო მონაწილეობს არა რეგულატორი, არამედ როგორც პირდაპირ ან ირიბად ჩამომრთმევი. თუმცა, როდესაც ბავშვის საკუთრების ჩამორთმევას ეხება საქმე, აქ, ბუნებრივია, მოქმედებს კოდექსის სტანდარტი. აუცილებელია კონკრეტული შეფასება გაკეთდეს სწორედ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის კონტექსტში.

სახელმწიფოს გააჩნია ასევე პოზიტიური ვალდებულება, მიიღოს აუცილებელი ზომები საკუთრების უფლების დასაცავად.<sup>554</sup>

---

554 *S.L. and J.L. v. Croatia*, პარა.58, 62. ხელმისაწვდომია: <[www.hudoc.echr.coe.int](http://www.hudoc.echr.coe.int)>

## თავი IV

### ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სისტემა

კოდექსის მე-2 ნიგნი აყალიბებს ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემას. აღნიშნული სისტემა ეფუძნება ბავშვის უფლებების აღიარების პრინციპს და ემსახურება ბავშვის მიერ ყველა უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობების გაძლიერებას.

#### §22. ბავშვის უფლება ოჯახზე

##### 1. უფლების შინაარსი

ბავშვის უფლება ოჯახზე გულისხმობს მის უფლებას ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდა-განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. უფლების შინაარსი მოცემულია კოდექსის მე-9 მუხლში<sup>555</sup>, ხოლო კოდექსის მე-2 ნიგნის მე-3 თავის 24-ე - 28-ე მუხლები ადგენს აღნიშნულ უფლებაზე დაფუძნებულ მხარდაჭერის სისტემის სამართლებრივ საფუძვლებს.

##### 2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები

###### 2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი

კონვენციის მე-5 მუხლი ადგენს ოჯახის ან ბავშვზე კანონით პასუხისმგებელი სხვა პირების ვალდებულებას სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში. აღნიშნული გულისხმობს ბავშვის კონვენციით გარანტირებულ ყველა უფლებას, თუმცა, სახელმწიფოს ვალდებულება პატივი სცეს მშობელთა და, შესაბამის შემთხვევაში, მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს უხელმძღვანელონ ბავშვს აზრის, სინდისისა და რელიგიური რწმენის თავისუფლებით სარგებლობაში, მონესრიგებულია კონვენციის მე-14 მუხლით.

ბავშვის აღზრდის სფეროში მშობლის უპირატესი მდგომარეობის აღიარება არის კონვენციის ძირითადი მიდგომა. მისი პრეამბულა საუბრობს ოჯახზე, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედზე და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემოზე, რომელიც აუცილებლად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაენიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულება. ამდენად, ბავშვზე პასუხისმგებლობა, პირველ რიგში, ეკისრება ოჯახს, განსაკუთრებით, მშობლებს. აღნიშნული სისტემა უარს ამბობს სახელმწიფოს უპირატეს მოვალეობაზე დაფუძნებულ ბავშვზე ზრუნვის სისტემაზე. როგორც ზემოთ აღინიშნა, სახელმწიფოს აქვს სუფსიდიარული უფლება. კონვენციის მე-

555 იხ. კოდექსის მე-9 მუხლის კომენტარი.

3 მუხლის მეორე ნაწილი, სადაც საუბარია სახელმწიფოს ვალდებულებაზე, უნდა განიმარტოს ასეთივე ინტერპრეტაციით.<sup>556</sup>

კონვენციის მე-5 მუხლი იზიარებს მიდგომას, რომ ბავშვი საკუთარი უფლებებით სარგებლობისას ექვემდებარება შეზღუდვებს, რაც გამომდინარეობს მის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების ვალდებულებისგან, სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს კონვენციით აღიარებული უფლებების განხორციელებაში. კონვენცია ბავშვს არ განიხილავს მშობლის ვალდებულებებისგან იზოლირებულად<sup>557</sup>. ბავშვის და მშობლების უფლებები და ვალდებულებები არ არის ერთმანეთთან კონკურენციაში, არამედ, ის დანახულია როგორც ურთიერთმეამავსებელი კომპონენტები<sup>558</sup>. ოჯახი დაცული უნდა იქნას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისგან, თუმცა მას არ უნდა ჰქონდეს ბავშვზე ზედამხედველობის შეუზღუდავი უფლება. ეს გამომდინარეობს ნორმის იმ ელემენტიდან, რომელიც საუბრობს მშობლების და ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირების ვალდებულებაზე, „სათანადოდ“ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს. ეს ქმნის მშობლის უფლებაში თანაზომიერების პრინციპის დაცვის ობიექტურ ელემენტს<sup>559</sup>. მშობლის მხრიდან ეს ვალდებულება უნდა შესრულდეს ბავშვის უნარების განვითარების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს იმას, რომ მშობლებმა უნდა გაითვალისწინონ ბავშვის განვითარების დონე და მოსაზრებები, შესაბამისად, ბავშვის ასაკის ზრდის პროპორციულად უნდა შემცირდეს მშობლის ჩარევის ხარისხი<sup>560</sup>. მშობლის უფლება არის ერთადერთი უფლება, რომელიც უშვებს მესამე პირების ჩარევას სხვისი უფლებების შინაარსის ფორმირებაში და ეს ემსახურება ბავშვის განვითარებას იმ დონემდე, რომ ასეთი ჩარევა მუდმივად არ იყოს საჭირო<sup>561</sup>.

კონვენციის მე-5 მუხლში მოცემული მხარდაჭერის ფუნქცია მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას სამოქალაქო საზოგადოებასთან, ოჯახთან და ბავშვებთან თანამშრომლობით შეიმუშაოს ბავშვისა და ოჯახის დაცვის ეროვნული პოლიტიკა, რომელიც ოჯახის მხარდაჭერასა და გაძლიერებაზე იქნება მიმართული. სახელმწიფოს ეს ვალდებულება გულისხმობს შესაბამისი მხარდაჭერის პროგრამების შექმნას და განხორციელებას.<sup>562</sup>

ბავშვის უფლება მშობლების მიერ აღზრდაზე, გვხვდება არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ დოკუმენტში. საერთაშორისო აქტებშიც ოჯახი განიხ-

556 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 118., აგრეთვე R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ. 35.

557 იხ. ასევე, კონვენციის მე-18 მუხლი.

558 იხ. I Baer *Übereinkommen der Vereinten Nationen über die Rechte des Kindes*, NJW1993, გვ. 2209-2211.

559 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 118.

560 იხ. CRC, General Comments, No 20 CRC/C/GC/20, 2016, პარა. 18.

561 იხ. Klein *Fremdnützige Freiheitsgrundrechte, Analyse eines vermeintlich besonderen Grundrechtstypus*, გვ. 71

562 იხ. CRC, General Comment, CRC/C/153, აბზაცი 645

ილება, როგორც საზოგადოების ძირითად უჯრედი, რომელსაც აქვს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერის მოთხოვნის უფლება.<sup>563</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ოჯახური თანაცხოვრება განსხვავებული კულტურული ფორმებით ვლინდება, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო სამართლის აქტებში არ გხვდება ოჯახის დეფინიცია. ადამიანის უფლებათა დამცავი ორგანიზაციების მხრიდან ადგილი აქვს ოჯახის ფართო განმარტებას, რაც მოიცავს არა მარტო ბიოლოგიურ ოჯახს, არამედ ე.წ. *de-facto* ოჯახებს. მასში მოიაზრება, როგორც მშობლებთან, ისე ნათესაურ გარემოში (ბებია და ბაბუა, ბიძა და ა.შ.), ისე მინდობით აღზრდის შემთხვევა, რომელსაც აქვს განგრძობადი ხასიათი და აყალიბებს ბავშვსა და აღმზრდელს შორის მყარ პიროვნულ ურთიერთობას. ეს უკანასკნელი არის მნიშვნელოვანი ელემენტი, რომელიც გამორიცხავს ბიოლოგიური მამის ავტომატურ მოქცევას ოჯახის დეფინიციის ქვეშ, თუ არ დგინდება აღნიშნული უშუალო კონტაქტი ბავშვთან<sup>564</sup>.

ადამიანის უფლებების დამცავი საერთაშორისო ხელშეკრულებები იცავს ოჯახური ურთიერთობების პირადულობას და ინტიმურობას სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან და აქვს სახელმწიფოს ნეგატიური ვალდებულების დამდგენი შინაარსი. ასეთი მიდგომა არის ჩამოყალიბებული ადამიანის უფლებათა კონვენციის მე-8 მუხლში<sup>565</sup> და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 17-ე მუხლში<sup>566</sup>. ამ კონტექსტში, ბავშვი ხანგრძლივი პერიოდი განიხილებოდა როგორც ოჯახის პასიური წევრი<sup>567</sup>, რომელიც მშობლების მხრიდან ზეგავლენისგან სრულიად დაუცველი იყო. როგორც ზემოთ აღინიშნა კონვენციის დამსახურებაა, რომ ბავშვის მიმართ ოჯახისა და სახელმწიფოს დამოკიდებულება შეიცვალა და ბავშვი გახდა ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი. ოჯახური კერძო სფერო არ არის ხელშეუხებელი „სინმინდე“, არამედ სახელმწიფოები ხდებიან ვალდებულნი ჩაერიონ ოჯახურ ურთიერთობებში, როდესაც ბავშვის კეთილდღეობას ექმნება საფრთხე<sup>568</sup>. ადამიანის უფლებების დამცავი ყველა თანამედროვე საერთაშორისო ხელშეკრულება აღიარებს ოჯახურ პირად სფეროს, ქმნის სახელმწიფოს მხრიდან ჩარევისაგან დამცავ მექანიზმებს და იმავდროულად, ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, რომ ჩაერიოს, როდესაც საფრთხე ექმნება ბავშვის კეთილდღეობას. განსაკუთრებით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო უთითებს იმაზე, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-8 მუხლი იცავს ინდივიდებს საჯარო დაწესებულებების თვითნებური ჩარევებისგან<sup>569</sup>, თუმცა, შესაძლებელია აღნიშნული ნეგატიური ვალდებულების გვერ-

563 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), სქოლიო მე-19 და მე-20.

564 იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება 1.6.2004 – 45582/99

565 ხელმისაწვდომია. <<https://matsne.gov.ge>>

566 ხელმისაწვდომია . <<https://matsne.gov.ge>>

567 იხ. CRC General Comment, CRC/C/34, აბზ. 192

568 იხ. van Bueren, *The International Law on the Rights of the Child*, გვ. 67

569 იხ. EuGRZ 1979, 628, აბზ. 32

დით, წარმოიშვას სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, რაც ასევე არის ბავშვის ოჯახზე უფლების შემადგენელი ნაწილი. სახელმწიფოს ვალდებულება გულისხმობს, როგორც შესაბამისი ნორმატიული აქტების მიღების, ისე ოჯახური ურთიერთობების დაცვის ღონისძიებების განხორციელებას, განსაკუთრებით, ბავშვის არაბიოლოგიურ ოჯახში სრული ინტეგრაციის და ოჯახში მესამე პირებისგან დაცვის თვალსაზრისით.<sup>570</sup>

## 2.2. უფლების შინაარსი საქართველოს კანონმდებლობაში

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1197-ე მუხლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, ხოლო 1198-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მშობლები უფლებამოსილი და ვალდებული არიან, აღზარდონ თავიანთი შვილები, იზრუნონ მათი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისათვის, აღზარდონ ისინი საზოგადოების ღირსეულ წევრებად, მათი ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. იდენტურია კოდექსის 25-ე მუხლის შინაარსი, რომლის თანახმად, მშობლები ვალდებული არიან აღზარდონ თავიანთი ბავშვი. ბავშვზე ზრუნვის ვალდებულება ვრცელდება ორივე მშობელზე თანაბრად. აღნიშნული პასუხისმგებლობის სფერო ასევე სცდება „მშობლის“ ტერმინის ფარგლებს და მისი შინაარსი ვრცელდება ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელ სხვა პირებზე.

მშობლის უფლება ბავშვის აღზრდაზე გამომდინარეობს ბავშვის უფლებიდან ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში. მშობლის ეს უფლება მოიცავს როგორც ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ და სოციალურ განვითარებაზე ზრუნვას<sup>571</sup>, ისე მისი ქონების მართვას ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად<sup>572</sup>.

კოდექსის 25-ე მუხლით აღიარებული მშობლის ან სხვა პასუხისმგებელი პირის მოვალეობები ბავშვის აღზრდის სფეროში მოიცავს ისეთ საკითხებს, რაც გვაძლევს ბავშვის ვალდებულებების შინაარსს. ბავშვის როგორც ზრუნვის ობიექტის და იმავდროულად, სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტის აღიარება ითხოვს, რომ ის დავინახოთ, როგორც უფლებებისა და მოვალეობების მატარებელი სუბიექტი. ბავშვის უფლებები არ არსებობს ვალდებულებების გარეშე. ბავშვს თავისი ასაკისა და განვითარების შესაბამისი ვალდებულებები გააჩნია. მართალია, კოდექსი ცალკე მუხლში არ საუბრობს ბავშვის ვალდებულებებზე, თუმცა მშობლის და ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირების ვალდებულებად განსაზღვრავს იმას, რომ ბავშვი აღზარდონ ისე, რომ ის მისი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისად აცნობიერებდეს მის ვალდებულებას საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებისას პატივი სცეს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს, პატივისცემით მოეპყროს

570 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 121

571 კოდექსის 25-ე მუხლის პირველი ნაწილი.

572 კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილი.



თავის მშობლებს და ოჯახის სხვა წევრებს, მეურვეებს, მინდობით აღმზრდელებს და აღზრდაზე პასუხისმგებელ სხვა პირებს, პატივი სცეს სახელმწიფოს, მის სიმბოლოებს და დაიცვას კანონმდებლობა, აცნობიერებდეს მის მოვალეობას, რომ გაუფრთხილდეს და დაიცვას ბუნებრივი გარემო.

მშობლის ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირის მოვალეობები ბავშვის აღზრდის სფეროში მოიცავს მათ უფლებას განსაზღვროს ბავშვის დღის წესრიგი, რომელიც ადგენს ბავშვის სასწავლო და სხვა პროცესში მონაწილეობის და თავისუფალი დროის გამოყენების თანმიმდევრობას, აგრეთვე, გამოიყენონ ბავშვის აღმზრდელობითი ღონისძიებები. მშობლის ამ უფლების ფარგლებს ქმნის ბავშვის საუკეთესო ინტერესების, რაც გულისხმობს იმას, რომ მშობელი ბავშვის დღის წესრიგს ადგენს ბავშვის მონაწილეობით და მისი კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ხოლო აღმზრდელობითი ღონისძიებების სახით დაუშვებელია ბავშვის ფიზიკური დასჯა.<sup>573</sup>

მშობელი ან ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი სხვა პირი არ თავისუფლდება ვალდებულებებისგან იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, ოჯახის მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში მესამე პირების მხრიდან ხორციელდება კოდექსით განსაზღვრული მხარდაჭერის ღონისძიებები. ის ვალდებულია, ასეთი ღონისძიების განმახორციელებელი პირის მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს მასში.<sup>574</sup>

### 3. ბავშვის მშობლისგან განცალკევების დაუშვებლობა

#### 3.1. შეზღუდვის შინაარსი

კონვენციის მე-9 მუხლის თანახმად<sup>575</sup>, დაუშვებელია ბავშვის დაშორება თავისი მშობლებისგან მათი სურვილის საწინააღმდეგოდ. ამ ჩანაწერით კონვენცია აღიარებს ბავშვებსა და მშობლებს შორის არსებული ბიოლოგიური და ემოციური კავშირის მაღალ მნიშვნელობას და მიმართულია იქითკენ, რომ დაიცვას ეს ბუნებრივი კავშირი. კონვენცია ოჯახურ თანაცხოვრებას ანიჭებს მაღალ ღირებულებას, რაც, ასევე, კარგად ჩანს კონვენციის მე-5 მუხლში.<sup>576</sup> ბავშვის კეთილდღეობა მაშინ მიიღწევა, როდესაც ის ცხოვრობს თავის ოჯახთან ერთად. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებზე<sup>577</sup> (იხ. კონვენციის 23-ე მუხლი). კონვენციის მე-9 მუხლის მონესრიგების სფერო ასევე მოიცავს იმ შემთხვევას, როდესაც ბავშვის ოჯახიდან განცალკევება აუცილებელი ხდება და ადგენს ღონისძიების ადრესატის

573 იხ. კოდექსის 25-ე მუხლის მე-3-მე-5 ნაწილები.

574 იხ. კოდექსის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

575 იხ. კომენტარი R Hodgking and P Newell. *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 121..

576 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 148.

577 იხ. Committee on the Rights of the Child, General Comment No. 9 (2007) UN Doc, CRC/GC/11, პარა. 41.

უფლებას ინფორმაციის მიღებაზე (მე-9 მუხლის მე-4 ნაწილი).

კონვენციის მე-9 მუხლი განსაზღვრავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ბავშვის დაშორება აუცილებელია და ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, რამდენადაც მშობლები სასტიკად ეპყრობიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე. ნორმა არ მოიცავს შემთხვევას, როდესაც ბავშვის განცალკევება გამოწვეულია მშობლების მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიების აღსრულებით ან მშობლის სამხედრო სამსახურში განწვევით<sup>578</sup>. თავისუფლების აღკვეთის ღონისძიების ქვეშ მყოფ მშობლებთან მიმართებით, გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების მხარე სახელმწიფოები უნდა ზრუნავდნენ იმაზე, რომ თავისუფლების აღკვეთის ალტერნატივების შესაძლებლობა შემოწმდეს, ასევე, ბავშვებს ჰქონდეთ სასჯელაღსრულების დანესებულებაში მშობლებთან კონტაქტის შესაძლებლობა შესაბამისი პაემნების და სატელეფონო კავშირის ფორმით.<sup>579</sup>

როგორც კონვენციის მე-9 მუხლი, ისე, კოდექსის 26-ე მუხლი კრძალავს ბავშვის განცალკევებას მშობლებისგან მისი ნების საწინააღმდეგოდ, გარდა იმ უკიდურესი შემთხვევისა, როდესაც დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და ეს ხორციელდება უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

### 3.2. მშობლებისგან განცალკევების წინაპირობები

სახელმწიფოს მხრიდან ბავშვის მშობლისგან განცალკევებას აქვს ბავშვის ოჯახში ცხოვრების უფლებაში ჩარევის მაღალი ინტენსივობა. შესაბამისად, მაღალია ის შეზღუდვები (უფლებაში ჩარევის ფარგლები) რასაც კანონმდებელი ადგენს აღნიშნული შეზღუდვის მიმართ ფორმალური და მატერიალური თვალსაზრისით.

კონვენციის მე-9 მუხლით დადგენილი შეზღუდვა ვრცელდება სახელმწიფოს შიგნით არსებულ ურთიერთობაზე, ხოლო იმ შემთხვევაზე, როდესაც მშობლებს და ბავშვებს საცხოვრებელი ადგილი აქვთ სხვადასხვა სახელმწიფოში, ვრცელდება კონვენციის მე-10 მუხლი.

ბავშვის ოჯახში ცხოვრების უფლებაში ჩარევის შეფასების კრიტერიუმები განხილული უნდა იქნას მშობლებისა და ბავშვების მიერ საკუთარი უფლებებით სრულად სარგებლობისა და ბავშვის კეთილდღეობის პერსპექტივიდან<sup>580</sup>. კონვენციის მე-9 მუხლი მოიცავს ბავშვის ოჯახისგან განცალკევების გამართლების საფუძვლების ჩამონათვალს, რომელიც არ არის ამომწურავი. ოჯახის სიღარიბე<sup>581</sup> და ის, რომ შესაძლებელია ბავშვს ჰქონდეს სხვაგან უკეთეს პირობე-

578 იხ. G Dorsch *Die Konvention der Vereinten Nationen über die Rechte des Kindes*, (Dunker&Humbolt 1994 Berlin) გვ. 155.

579 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 149, სქოლიო მე-4

580 იხ. HRC, Nr. 1052/2007

581 იხ. G van Bueren *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 The Hague) გვ. 80

ბში ცხოვრების შანსი, არ შეიძლება გახდეს ოჯახიდან გამოყვანის საფუძველი. უფლებაში ჩარევის გამართლება არის არა ბავშვისთვის უკეთესი პირობების შექმნა, არამედ არსებითი საფრთხის შემქმნელი გარემოებების აღმოფხვრა<sup>582</sup>.

აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვის ოჯახიდან გაყვანა მატერიალური თვალსაზრისით მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ის ემსახურება ბავშვის კეთილდღეობას და გარდაუვალ აუცილებლობას წარმოადგენს,<sup>583</sup>

#### 4. კოდექსით დადგენილი მატერიალური და ფორმალური კანონიერების კრიტერიუმები

##### 4.1. ღონისძიების მატერიალური კანონიერება

კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მშობლებისგან ბავშვის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მუშაკი, რომლის კანონიერად აღიარებისთვის გადამწყვეტია სასამართლოს თანხმობა. გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერების კრიტერიუმია ბავშვის კეთილდღეობისათვის უშუალო საფრთხის შემქმნელი, დადასტურებული ფაქტების არსებობა, რაც უნდა დადგინდეს სოციალური მუშაკის მიერ ბავშვისა და ოჯახის შეფასების საფუძველზე. თუ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ ბავშვის ოჯახში დარჩენა გამოიწვევს განგრძობად უარყოფით შედეგს მის ფიზიკურ, სულიერ და ემოციურ მდგომარეობაზე, სოციალური მუშაკი თანაზომიერების პრინციპი საფუძველზე<sup>584</sup> იღებს გადაწყვეტილებას. რამდენადაც ოჯახიდან გაყვანა, როგორც *ultima ratio* გამოიყენება, პირველ რიგში, უნდა შე-

582 იხ. S Schmahl Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 150

583 რამდენადაც ოჯახის მხარდაჭერა არ იძლევა სასურველ შედეგს ან არსებობს საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ამ ღონისძიების განხორციელება არ მოგვცემს სასურველ შედეგს. იხ. კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 მანძილი.

584 თანაზომიერების პრინციპის შემონახვისას მონმდება გამოყენებულ საშუალებასა და მისაღწევ მიზანს შორის არსებული დამოკიდებულება. საშუალებასა და მიზანს შორის თანაზომიერების შემონახვა ხდება შემდეგი ნაბიჯების გავლით:

პირველი ნაბიჯი: მიზნის დადგენა

უნდა დადგინდეს სახელმწიფოს მიერ მისაღწევი მიზანი. რამდენადაც მმართველობა გულისხმობს კანონის აღსრულებას, ის კანონი, რომლის აღსრულებასაც ემსახურება მმართველობითი ღონისძიება, გვაძლევს ინფორმაციას მისაღწევ მიზანზე.

მეორე ნაბიჯი: შესაფერისობის დადგენა

უნდა შემოწმდეს მიზნისა და საშუალების შესაფერისობა. შერჩეული საშუალება არის შესაფერისი, როდესაც ის, ზოგადად, მისაღწევ მიზანს ემსახურება, ე.ი., როდესაც ის შესაძლებელს ხდის მიზნის მიღწევას.

მესამე ნაბიჯი: აუცილებლობის დადგენა

უნდა შემოწმდეს შესაფერისი ღონისძიების აუცილებლობა. ღონისძიება არის აუცილებელი, როდესაც ადმინისტრაციულ ორგანოს არა აქვს სხვა საშუალება, რომელიც მიზნის მიღწევისას უფრო ნაკლებ ზიანს მიაყენებდა როგორც საზოგადოებას, ისე - ღონისძიების ადრესატს.

მეოთხე ნაბიჯი: პროპორციულობის დადგენა

აუცილებელი ღონისძიება არის პროპორციული, როდესაც ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით გამოწვეული უფლების შეზღუდვა პროპორციულ დამოკიდებულებაშია შეზღუდვის მიზანთან.

მონმდეს, ხომ არ არის შესაძლებელი მდგომარეობის გამოსწორება ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელებით<sup>585</sup>. ბავშვი არ უნდა განცალკევდეს მშობლისგან მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელს არ აქვს სათანადო საცხოვრებელი პირობები ან ფინანსური სახსრები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სოციალური მუშაკი დაადგენს, რომ ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება არ იძლევა სასურველ შედეგს ან არსებობს საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ამ ღონისძიების განხორციელება არ მოგვცემს სასურველ შედეგს<sup>586</sup>. ასევე, დაუშვებელია ბავშვის განცალკევება მშობლებისგან ბავშვის ან მისი მშობლის შეზღუდული შესაძლებლობების გამო<sup>587</sup>.

იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის ოჯახიდან გაყვანა უნდა მოხდეს იმ მცირე ვადით, რაც აუცილებელია მისი ოჯახში დაბრუნებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებებისათვის, ბავშვის ოჯახისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას, ხოლო განცალკევების მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ ბავშვის ოჯახში დაბრუნება უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. აღნიშნული არ გამორიცხავს ისეთ შემთხვევებს, რომ გამოყვანას ჰქონდეს ხანგრძლივი მოქმედების პერიოდი.<sup>588</sup>

## 4.2. ფორმალური კანონიერების კრიტერიუმები

### ა. ადმინისტრაციული წარმოების ფორმალური ელემენტები

სოციალური მუშაკის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ფორმალური თვალსაზრისით უნდა აკმაყოფილებდეს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების მოთხოვნებს:

სოციალური მუშაკი ბავშვის და ოჯახის შეფასებას ახორციელებს შესაბამისი მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის გადაწყვეტილების საფუძველზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში. სზაკ-ის 76-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება ან ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით დაკისრებული ვალდებულება – გამოსცეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. სზაკ-ის მე-12 მუხლის და კოდექსის მე-13 მუხლით გარანტირებული უფლებების ფარგლებში ბავშვს უფლება აქვს მიმართოს მუნიციპალურ სამსახურს მისი უფლების დაცვის და

585 ოჯახისგან ბავშვთა განცალკევების პრევენციისთვის, სახელმწიფომ უნდა გატაროს შემდეგი ძირითადი ზომები: მხარდაჭერა აღმოუჩინოს იმ ოჯახებს, რომელთა შესაძლებლობებიც დასუსტებულია სხვადასხვა ფაქტორებით, როგორცაა: შეზღუდული შესაძლებლობა, ნარკომანია ან ალკოჰოლიზმი, დისკრიმინირებული მდგომარეობა უმცირესობს ჯგუფებს მიკუთვნებულობის გამო, შეარაღებული კონფლიქტის ზონაში ან უცხო ქვეყნის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე ცხოვრება (გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვისთვის (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.)

586 კოდექსის 26-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

587 კოდექსის 26-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

588 კოდექსის 26-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

მხარდაჭერის მოთხოვნით. ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი, გარდა ბენეფიციარის მიმართვისა, შეიძლება იყოს მესამე პირების მხრიდან განხორციელებული შეტყობინება ან ანონიმური ზარით მიღებული ინფორმაცია, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეფერირება, უფლებამოსილი სამსახურის მიერ სოციალურად დაუცველის სტატუსის მინიჭების მიზნით ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების შედეგები, აგრეთვე, სოციალური მუშაკის მიერ მუნიციპალიტეტში მოქმედ საგანმანათლებლო, ჯანდაცვის და ბავშვის თემებზე მომუშავე დაწესებულებებთან და დაინტერესებულ პირებთან (მაგ., პედაგოგები, მშობლები) შეხვედრების შედეგად („აუთორიჩი“) გამოვლენილი შემთხვევები.

სზაკ-ის მე-13 და კოდექსის მე-8 მუხლის თანახმად ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად. სოციალური მუშაკმა ბავშვს უნდა მოუსმინოს ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს. ბავშვის მოსმენა უნდა მოხდეს უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით. დაუშვებელია ბავშვის ამ უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა. ბავშვის მიერ მოსაზრების გამოხატვის პროცესს დაკითხვის ფორმა არ უნდა ჰქონდეს. ის მეგობრულ გარემოში თავისუფალი დიალოგის სახით უნდა განხორციელდეს. დიალოგს უნდა ჰქონდეს არა ბავშვთან პაექრობის, არამედ მისი მხარდაჭერის ხასიათი.<sup>589</sup>

სოციალური მუშაკი ადმინისტრაციული წარმოებას ახორციელებს მულტი-დისციპლინური მიდგომით, რაც გულისხმობს იმას, რომ გადაწყვეტილების მიღების დროს საკითხის შესწავლა ხდება კომპლექსურად ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასების და საუკეთესო ინტერესების დადგენის საფუძველზე. აღნიშნულ მოთხოვნას უზრუნველყოს მუნიციპალური სამსახურის ინტერდისციპლინური ჯგუფი, რომელიც შედგება ბავშვის და ოჯახის სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტის და იურისტისგან.

სოციალური მუშაკის მშობლებისგან ბავშვის განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება შეიძლება იყოს ორი სხვადასხვა სამართლებრივი ბუნების. სოციალური მუშაკის მიერ საფრთხის შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა ხდება სასამართლოს თანხმობით. ამ შემთხვევაში სოციალური მუშაკის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას აქვს შუამდგომლობის ხასიათი და მოსამართლის მიერ თანხმობის გაცემის შემთხვევაში იძენს აღსასრულებლად სავალდებულო ძალას. იმ შემთხვევაში, როდესაც შეიძლება მეყსეული ან უშუალო საფრთხე შეექმნას ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას, სოციალური მუშაკი უფლე-

589 კოდექსის 78-ე მუხლი.

ბამოსილია დაუყოვნებლივ მიიღოს გადაწყვეტილება ბავშვის განცალკევების შესახებ და აღასრულოს ის. სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება უნდა შეიცავდეს დასაბუთებას, თუ რაში გამოიხატება განცალკევების გადაუდებელი აუცილებლობა. საფრთხის შეფასებაში უნდა მონაწილეობდეს პოლიციის თანამშრომელი, რომლის დადებითი ან უარყოფითი დასკვნა შეიტანება ოქმში. აღნიშნული გადაწყვეტილება საჭიროებს მოსამართლის თანხმობის მოპოვებას.<sup>590</sup>

## ბ. მოსამართლის თანხმობა

სოციალური მუშაკი შუამდგომლობას ან გადაწყვეტილებას წარუდგენს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოსამართლე სოციალური მუშაკის შუამდგომლობას განიხილავს ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე და 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის განცალკევების ან განცალკევებაზე უარის თქმის შესახებ ან თანხმობის გაცემის ან თანხმობაზე უარის თქმის შესახებ.<sup>591</sup>

მოსამართლის გადაწყვეტილება დავინახოთ არა როგორც დამოუკიდებელი პროცესი, არამედ ადმინისტრაციული წარმოების შემადგენელი ნაწილი, რამდენადაც მოსამართლის ჩართვა ემსახურება იმის დადგენას სოციალური მუშაკის მიერ გადაწყვეტილება მიღებულია თუ არა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების დაცვით და აკმაყოფილებს თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპს. მოსამართლის მიერ საკითხის ზეპირი მოსმენის გარეშე მიღების შესაძლებლობაც ამით არის ნაკარნახევი. აღნიშნული არ გულისხმობს ბავშვის მონაწილეობის, აზრის გამოხატვის და მისი მოსაზრების გათვალისწინების უფლების შეზღუდვას. სწრაფი გადაწყვეტილების მიღების ინტერესი არ უნდა გახდეს ბავშვის მოსმენის უფლების შეზღუდვის გამართლების საფუძველი. ეს წინააღმდეგობაში მოვიდოდა კოდექსის სულისკვეთებასთან, სადაც ბავშვის მოსმენის უფლებას აქვს პრიორიტეტი. მოსამართლე ვალდებულია, ყველა გარემოება მიიღოს მხედველობაში, საკითხი ღრმად გაანალიზოს და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნა. მოსამართლე არ გვევლინება, როგორც მხოლოდ „ნოტარიუსი“, არამედ მნიშვნელოვანია, რომ საფუძვლიანად შეაფასოს სიტუაცია და იმის მიხედვით მიიღოს გადაწყვეტილება.

სასამართლო ხელისუფლების ჩართულობა საჯარო მმართველობის განხორციელებაში არ არის უცხო ქართული ადმინისტრაციული სამართლისთვის. ის გვხვდება საჯარო მმართველობის სხვადასხვა სფეროებში<sup>592</sup>. სოციალური მუშაკის გადაწყვეტილებაზე მოსამართლის ზედამხედველობის განხორციელება ემსახურება ობიექტური და კვალიფიციური გადაწყვეტილების მიღების მიზნებს. მოსამართლე არის ის ნეიტრალური დამკვირვებელი, რომელიც ახ-

590 კოდექსის 26-ე მუხლი.

591 კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილი.

592 იხ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII'-VII'<sup>14</sup> თავები.

დენს საფრთხის ობიექტურ შეფასებას და ასკვნის, რომ არსებობს საკმარისი საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მოვლენათა მოსალოდნელი განვითარების შეუფერხებელი მსვლელობის შემთხვევაში დიდი ალბათობით ზიანი მიადგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. მოსამართლის ვარაუდისათვის საკმარის საფუძველს ქმნის ინფორმაცია, რომელსაც ის იღებს ფაქტების შესწავლისა და ბავშვის მოსმენის შედეგად.

### **4.3 სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების დასაბუთების სტანდარტი**

ბავშვის შეფასების შედეგად მიღებული გადაწყვეტილების ფორმალური კანონიერების განსაზღვრის პროცესში აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მის დასაბუთებას. ყოველი წერილობითი ფორმით გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უნდა შეიცავდეს წერილობით დასაბუთებას. მასში უნდა იყოს მოცემული ის სამართლებრივი და ფაქტობრივი წანამძღვრები, რომელთა საფუძველზეც გამოიცა ეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი. თუ ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებდა დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, იგი ვალდებულია, აქტის დასაბუთებაში მიუთითოს იმ გარემოებებზე, რომლებიც საფუძველად დაუდო თავის გადაწყვეტილებას. გადაწყვეტილების დასაბუთების მოთხოვნა ემსახურება, პირველ რიგში, გადაწყვეტილების მიმღები პირის თვითკონტროლს, რამდენადაც ის იძულებული ხდება დასაბუთების ჩამოყალიბების პროცესში თავისი გადაწყვეტილება, სამართლებრივი და ფაქტობრივი თვალსაზრისით, ზუსტად მოიაზროს და გაამაგროს. ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება, მეორე მხრივ, აადვილებს ადრესატის მხრიდან მისი კანონიერებისა და გასაჩივრების შესაძლო შედეგების შეფასებას, და ბოლოს, ის ხელს უწყობს საჩივრის ან სარჩელის განმხილველი ორგანოების მიერ მისი კანონიერებისა და მიზანშეწონილობის გადამოწმების პროცესს.<sup>593</sup> სოციალური მუშაკი, გადაწყვეტილების დასაბუთებისას, ხელმძღვანელობს კოდექსის 81-ე მუხლით დადგენილი კრიტერიუმებით, შესაბამისად, მოსამართლის მიერ შუამდგომლობის საფუძველზე გადაწყვეტილების მიღება ხდება აღნიშნულის გადამოწმების საფუძველზე:

- ა) ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება;
- ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა;
- გ) ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მისი შეურაცხყოფისა და საფრთხის თავიდან აცილება;
- დ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა;
- ე) ბავშვის მოსაზრებები;

<sup>593</sup> დაწვრილებით იხ. პაატა ტურავა. ზოგადი ადმინისტრაციული სამართალი, (თბილისი 2020) გვ. 176.

ვ) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა;

ზ) ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობა;

თ) ბავშვის მოსაზრების საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების ეტაპზე ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები;

ი) სხვა საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადანყვეტაზე.

## **5. კოდექსის 26-ე მუხლის მიმართება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლთან**

26-ე მუხლის მოწესრიგების სფეროს განსაზღვრისათვის აუცილებელია მისი „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლებთან მიმართებით გააზრება. „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მე-14 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ძალადობის საფუძვლების არსებობის შემთხვევაში პოლიციელს ან სოციალურ მუშაკს უფლება აქვს გადაწყვეტილება მიიღოს ბავშვის მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ. აღნიშნული ურთიერთობიდან გამომდინარე საქმე კი განიხილება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება მშობლისგან, სხვა კანონიერი წარმომადგენლისგან ან არასრულწლოვანზე მოძალადე სხვა პირისგან განცალკევების შესახებ, ძალაში შედის დაუყოვნებლივ და 24 საათის განმავლობაში ეგზავნება დაინტერესებულ პირებს. აღნიშნული გადაწყვეტილება შეიძლება ამ პირების მიერ გასაჩივრდეს სასამართლოში კანონმდებლობით დადგენილი წესით<sup>594</sup>. სასამართლო საქმის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უგზავნის საქმის მასალებს გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოს და აძლევს 2 დღის ვადას მოსაზრებების წარმოსადგენად<sup>595</sup>. სასამართლო სარჩელის მიღებიდან 5 დღის ვადაში იხილავს საქმეს<sup>596</sup> და იღებს გადაწყვეტილებას სოციალური მუშაკის გადაწყვეტილების კანონიერებასთან დაკავშირებით. სასამართლოს გადაწყვეტილება 24 საათის განმავლობაში გადაეცემა მხარეებს<sup>597</sup>,

594 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-8 ნაწილი.

595 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-9 ნაწილი.

596 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-12 ნაწილი.

597 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-13 ნაწილი.



და შეიძლება გასაჩივრდეს სააპელაციო სასამართლოში სამი დღის ვადაში<sup>598</sup>, რომელიც საქმეს იხილავს 3 დღის ვადაში<sup>599</sup> და რომლის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება<sup>600</sup>.

რამდენადაც ბავშვის მშობლებისგან განცალკევების საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცედურის თაობაზე კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-7 და მე-8 ნაწილები არ შეესაბამება ერთმანეთს, კერძოდ, ბავშვის უფლებათა კოდექსი ადგენს, რომ ბავშვის მშობლებისგან განცალკევებაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მუშაკი და შუამდგომლობით მიმართავს სასამართლოს მისი გადაწყვეტილების დასამტკიცებლად და საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი კი განსაზღვრავს, რომ სოციალური მუშაკის გადაწყვეტილება ძალაში შედის დაუყოვნებლივ და არ ექვემდებარება სასამართლოს მხრიდან დამტკიცებას, ხოლო თუ მხარე არ ეთანხმება მას, შესაძლებელია გაასაჩივროს სასამართლოში, ჩნდება შეკითხვა აღნიშნული ნორმების გამოყენებასთან დაკავშირებით. საკითხი შეიძლება გადაწყდეს შემდეგნაირად: გამომდინარე იქიდან, რომ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის საფუძველზე საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში მოცემული მონესრიგება ზოგადია და აწესრიგებს ოჯახში ძალადობის აღკვეთის, მათ შორის, ბავშვის როგორც ძალადობის მსხვერპლის დაცვისა და დახმარების საკითხს, ხოლო კოდექსი არის უფრო გვიან მიღებული<sup>601</sup> და ბავშვის უფლებების დაცვის მომწესრიგებელი სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც ბავშვთან მიმართებაში ადგენს უფრო მაღალ სტანდარტებს, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის გათვალისწინებით, ნორმის შემფარდებელმა ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ შუამდგომლობის წარდგენასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გამოიყენოს კოდექსის 26-ე მუხლში მოცემული რეგულაციები.<sup>602</sup>

598 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-14 ნაწილი.

599 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-15 ნაწილი.

600 საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21<sup>12</sup> მუხლის მე-16 ნაწილი.

601 ნორმატიული აქტების შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტი.

ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

602 დანვრილებით იხ. საქართველოს გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა: "ბავშვის მშობლებისგან განცალკევების პროცედურები - მოქმედი კანონმდებლობისა და ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციების ანალიზი მშობლის უფლებების განხორციელებისა და შეზღუდვის/შეჩერების/ჩამორთმევის ქრილში" (თბილისი 2020)

## 6. უფლებიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულების შინაარსი

კოდექსით აღიარებული ბავშვის ოჯახში ცხოვრების უფლების ობიექტური განზომილება გულისხმობს სახელმწიფოს ვალდებულებას ბავშვის მიტოვების ან ოჯახიდან განცალკევების პრევენციის მიზნით განახორციელოს სათანადო ზომები, რაც უზრუნველყოფს ყოველი ბავშვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებზე, ჯანდაცვის და სოციალურ სერვისებზე, ინკლუზიურ განათლებაზე, უთანასწორო მოპყრობისა და ძალადობისგან დაცვის ეფექტურ მექანიზმებზე და ყველა სხვა უფლების დაცვის გარანტიებზე.<sup>603</sup>

კოდექსით გათვალისწინებული ეს ვალდებულება გულისხმობს შესაბამისი პროგრამების შექმნას კანონით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამებს შეიმუშავენ და ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ხოლო მუნიციპალიტეტები ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამებს შეიმუშავენ და ახორციელებენ აღნიშნული სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესის და პირობების დაცვით დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში. არასამთავრობო ორგანიზაციები ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებენ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან საკუთარი ინიციატივით და ფინანსური რესურსებით სახელმწიფოს მიერ დადგენილი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.<sup>604</sup>

ბავშვის აღზრდის განმახორციელებელი პირების მხარდაჭერის სახელმწიფო/მუნიციპალური პროგრამები შეიძლება მოიცავდეს როგორც მატერიალურ, ისე არამატერიალური დახმარების ღონისძიებებს. აღნიშნული პროგრამების საფუძველზე განხორციელებული მხარდაჭერის ღონისძიების შინაარსი, მოცულობა და მიწოდების ხანგრძლივობა განისაზღვრება ბავშვისა და მის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით.<sup>605</sup>

ბავშვის ოჯახში ცხოვრების და აღზრდის უფლების მხარდამჭერი პრევენციული პროგრამების მუნიციპალიტეტებზე დელეგირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია, რომ ის იყოს ინტეგრირებული შესაბამისი მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით და ახდენდეს ოჯახების ჩართვას ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის და მისი ოჯახის მხარდაჭერის

603 კოდექსის 27-ე მუხლის პირველი ნაწილი.

604 კოდექსის 28-ე მუხლის მე-6-მე-8 ნაწილები.

605 კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილი.

დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის უწყვეტ და ეფექტურ წვდომას განათლებაზე, ჯანდაცვის და რეაბილიტაციის სერვისებზე, პროფესიულ განათლებაზე, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყოს ბავშვის სრულყოფილ ინდივიდუალურ განვითარებას და სოციალურ ინკლუზიას. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის განხორციელებისას სოციალურმა მუშაკმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა გაამახვილოს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვებზე.

ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ არ არის ერთჯერადი სახის და ითვალისწინებს ბავშვის და მისი ოჯახის ინდივიდუალურ საჭიროებებს.<sup>606</sup> სოციალური მუშაკის მიერ პროგრამაში ოჯახის/ბავშვის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ინტერდისციპლინური განხილვის საფუძველზე. აღნიშნული გადაწყვეტილების საფუძველზე დგება ბავშვის და ოჯახის მხარდაჭერის გეგმა, რომლის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ბავშვმა და მისი აღზრდის უფლების მქონე პირებმა.<sup>607</sup>

როგორც ოჯახის მხარდაჭერის პროგრამების შემუშავების ისე მისი განხორციელების ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვთა უფლებებს, ადრეული განვითარების, მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლის კომპლექსური გამოწვევების დაძლევის და პოზიტიური სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას.<sup>608</sup>

ბავშვის და ოჯახის სოციალური მუშაკის მიერ შემუშავებული ოჯახის მხარდაჭერის გეგმის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა განისაზღვრება ინდივიდუალურად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების და მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე და შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის<sup>609</sup>:

ა) საინფორმაციო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებს ბავშვის აღზრდა-განვითარების პოზიტიური მეთოდების, ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციის და ბავშვის უფლებების განხორციელების ხელშეწყობის თაობაზე.

ბ) მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერის ღონისძიებებს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და გარემოებების გათვალისწინებით.

გ) პოზიტიური მშობლობის, ბავშვზე ზრუნვის უნარების გაძლიერების კურსებს და კონსულტაციებს ოჯახური თანაცხოვრების, ოჯახური დავების და განქორწინების დროს.

დ) მშობლებისათვის პროფესიული განათლების და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზებას.

ე) დამხმარე სოციალურ სერვისებს, როგორცაა, დღის ცენტრი, მედიაციისა და შერიგების სერვისებს ოჯახური დავების დროს, მკურნალობის კურსი აღ-

606 კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

607 კოდექსის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

608 კოდექსის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

609 კოდექსის 28-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

კოჰოლიზმის, ნარკოდამოკიდებულების ან სხვა ფსიქო-ემოციური საჭიროების დროს, სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა დასაქმებული და მარტოხელა მშობლებისთვის, მათ შორის, თემზე დაფუძნებულ სერვისებს;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა საჭიროებების ადრეული იდენტიფიკაციის, ინდივიდუალური შეფასების და სათანადო მხარდაჭერის, მათ შორის ბავშვის უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ, პროგრამებს. მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო პროცესში მშობლის ადრეული ასაკიდანვე ჩართულობა. ჩართული მშობელი, ერთი მხრივ, ავლენს პოზიტიური მშობლობის უნარს, ახდენს მისი შვილის განვითარების შესაბამის სტიმულაციას, მეორე მხრივ კი, საგანმანათლებლო პროცესში მისი აქტიური ჩართულობა შესაძლებლობას ქმნის, საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვისათვის ადრეული მომსახურება შესაბამისად წარიმართოს<sup>610</sup>.

ზ) ადრეული განვითარების და მოზარდობის მხარდაჭერის პროგრამებს მოზარდის მიერ მისი უფლებების რეალიზების, კრიტიკული აზროვნების განვითარების, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

---

610 მშობლის ჩართულობის მნიშვნელობა იხ. ც.ბარქაია, ა.ჯანელიძე, ნ.ჯიჯავაძე ინკლუზიური ადრეული განათლება, (გაეროს ბავშვთა ფონდი 2019) გვ. 142.

## **§23. ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე**

### **1. უფლების შინაარსი**

კოდექსის მე-4 თავში მოცემულია ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე და აღნიშნულ უფლებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემის სამართლებრივი საფუძვლები. თუ კი კოდექსის მე-3 თავით მონესრიგებული ბავშვის უფლება ოჯახზე, ბავშვის ოჯახიდან გამოყვანას უშვებს როგორც გამონაკლის შემთხვევას, კოდექსის მე-4 თავი ალტერნატიულ ზრუნვას განიხილავს, როგორც ბავშვის უფლებას. აღნიშნული ორი უფლების ურთიერთმიმართება (კვეთა) ვლინდება იმაში, რომ ორივე მოიცავს შემთხვევებს, როდესაც ბავშვის ოჯახში ზრუნვა შეუძლებელი ხდება. თუ ბავშვის უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში შეზღუდულია და შეზღუდვას აქვს გამართლება კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე (დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე), ბავშვს წარმოეშობა უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე, რომელიც გულისხმობს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას განახორციელოს მთელი რიგი ღონისძიებები (29-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე სცდება კოდექსით დადგენილ ბავშვის განმარტების ფარგლებს და მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას იზრუნოს ალტერნატიული ზრუნვიდან გამოსულ პირებზე, რომელთაც სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ გარდამავალ პერიოდში, ესაჭიროება მხარდაჭერა.<sup>611</sup>

### **2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები**

#### **2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი**

კონვენციის მე-20 და 21-ე მუხლები ადგენს ბავშვის უფლებას ისარგებლოს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით, როდესაც ის დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში.<sup>612</sup>

კონვენციის აღნიშნული მუხლებით დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულება გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ მშობლების (ოჯახის) ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვი ექცევა საფრთხის წინაშე, რომ მოხდეს მისი კონვენციით დაცული უფლებების ხელყოფა. სახელმწიფოს ვალდებულება გულისხმობს ბავშვის დაცვას როგორც სახელმწიფო ორგანოების ისე ბავშვზე ზრუნვაზე პასუხისმგებელი პირების უკანონო მოქმედებებისგან. კონვენციის 20-ე და 21-ე მუხლებით გარანტირებული ალტერნატიული ზრუნვის უფლება აყალიბებს ბავშვის სუბიექტურ უფლებას, რომელიც შეიძლება გახდეს მოთხ-

611 კოდექსის 29-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

612 კომენტარი იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) , გვ. 293

ოვნის უშუალო საფუძველი<sup>613</sup>. რაც შეეხება ალტერნატიული ზრუნვის ფორმებს, ეს სახელმწიფოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში უნდა შეირჩეს. კონვენციის მე-20 მუხლში მოცემულ ჩამონათვალს არ აქვს ამომწურავი ხასიათი, არამედ არის სარეკომენდაციო ხასიათის. მთავარი კრიტერიუმი არის ბავშვის ოჯახურ გარემოსთან მიახლოებულ გარემოში აღზრდის უზრუნველყოფა.<sup>614</sup>

## 2.2. ალტერნატიული ზრუნვის უფლების წარმოშობის საფუძველები ქართულ კანონმდებლობაში

კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული ბავშვის უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ვალდებულება განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა აღმოუჩინოს ბავშვს, ვრცელდება ორ შემთხვევაზე:

1. თუ ბავშვი დროებით ან სამუდამოდ მოკლებულია მშობელთა ზრუნვას, რაც შეიძლება გამონევეული იყოს მშობლების გარდაცვალებით, უგზო-უკვლოდ დაკარგულად გამოცხადებით, ავადმყოფობით ან სასჯელის მოხდის დაწესებულებაში განთავსებით. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მშობელთა ზრუნვა ფართოდ უნდა განიმარტოს და ის უნდა გავრცელდეს ოჯახის სხვა წევრებზე. მაგ., თუ ბებიის და ბაბუის აგრძელებს ბავშვზე ზრუნვას, ეს არ ითვლება ალტერნატიულ ზრუნვად და ბავშვს არ წარმოეშობა სახელმწიფოს მხრიდან განსაკუთრებული დაცვის და მხარდაჭერის უფლება, არამედ ის ექცევა ზოგადი, ოჯახში ცხოვრების უფლების ქვეშ.
2. ალტერნატიული ზრუნვის უფლება ასევე ვრცელდება ისეთ შემთხვევაზე, როდესაც არ არის ზემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები, ანუ ოჯახი ფორმალურად სახეზეა, თუმცა ბავშვის ამ ოჯახში დარჩენა ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს.

თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბავშვზე ზრუნვა და მხარდაჭერა უშუალოდ არ ექცევა კოდექსის მონესრიგების სფეროში. ის ხორციელდება „არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსითა“ და სხვა შესაბამისი კანონებით, აგრეთვე კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად<sup>615</sup>, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ კოდექსით დადგენილი სტანდარტები ასეთ შემთხვევებზე არ ვრცელდება.

613 იხ. H Cremer *Der Anspruch des unbegleiteten Kindes auf Betreuung und Unterbringung nach Art. 20 des Übereinkommens über die Rechte des Kindes: Seine Geltung und Anwendbarkeit in der Rechtsordnung der Bundesrepublik Deutschland* (Nomos 2006 Baden-Baden), გვ. 82

614 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 250.

615 კოდექსის 31-ე მუხლის მე-9 ნაწილი

### 3. კოდექსით დადგენილი მატერიალური და ფორმალური კანონიერების კრიტერიუმები

#### 3.1. ღონისძიების მატერიალური კანონიერება

ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების მატერიალური კანონიერების კრიტერიუმი დაცულია, როდესაც: 1. ეს აუცილებელია (29-ე მუხლის პირველი ნაწილის ზემოთ განხილული კრიტერიუმები) და 2. ზრუნვის ფორმა სრულად შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვის და ბავშვზე ზრუნვის საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. კოდექსით დადგენილია შემდეგი სტანდარტები, რაც წარმოადგენს გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერების კრიტერიუმებს:

ა) ალტერნატიული ზრუნვის ფორმები

კოდექსი ბავშვის ალტერნატიული ზრუნვაში განთავსებას გაიხილავს, როგორც უკიდურეს ზომას და მის უპირატეს მიზნად განსაზღვრავს ბავშვის ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობას, ხოლო ამ შესაძლებლობის არარსებობის შემთხვევაში, ბავშვის უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფას ბავშვის შვილად აყვანის ფორმით. თუ შვილად აყვანა არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის განთავსება მინდობით აღზრდაში.<sup>616</sup>

მინდობით აღზრდაში ბავშვის განთავსების<sup>617</sup> ან შვილად აყვანის შეუძლებლობის შემთხვევაში, როგორც უკიდურესი აუცილებლობა, განიხილება მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ალტერნატიული ზრუნვა, იმ პირობით თუ დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს და აუცილებელი და ხელშეწყობია ბავშვის განვითარებისა და საუკეთესო ინტერესების რეალიზებისთვის.<sup>618</sup>

გაერო-ს ბავშვის უფლებათა კომიტეტი სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობისა და დახმარების შინაარსს განმარტავს როგორც ბავშვის განთავსებას ბიოლოგიური ოჯახის ალტერნატიულ გარემოში, რომელიც ოჯახური ტიპის საცხოვრებელს წარმოადგენს. ასეთი გარემო შეიძლება იყოს ნათესავის ოჯახი, მიმღები ოჯახი ან შვილად ამყვანი ოჯახი. ბავშვთა რეზიდენტულ დაწესებულებაში განთავსება, განხილული უნდა იყოს როგორც ბოლო შესაძლებლობად, რამდენადაც, ბავშვთა რეზიდენტულ დაწესებულებებში არსებული ზრუნვის დაბალი ხარისხი არ უწყობს ხელს ბავშვთა ჯანსაღ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ განვითარებას და შესაძლოა გამოიწვიოს სერიოზული უარყოფითი ეფექტი<sup>619</sup>.

კოდექსი რეზიდენტულ ზრუნვას განმარტავს, როგორც ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთ ფორმას, რომელიც გამოიყენება შეძლებისდაგვარად უმო-

616 კოდექსის 29-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

617 მინდობით აღზრდის უპირატესობებზე იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 253.

618 კოდექსის 29-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

619 Committee on the Rights of the Child, General Comment No.7, (2005), UN Doc, CRC/C/GC/7/Rev.1.

კლესი ვადით უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მინდობით აღზრდის მიზნით განთავსება ან შვილად აყვანა შეუძლებელია.<sup>620</sup> კოდექსი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, გაატაროს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებები დეინსტიტუციონალიზაციის მიზნით, რაც გულისხმობს ბავშვთა, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, რეზიდენტული ზრუნვის ეტაპობრივ ჩანაცვლებას მინდობით აღზრდის და სხვა ოჯახზე და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით. ამ მიზნით, მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს ბავშვთა დეინსტიტუციონალიზაციის ერთიან სახელმწიფო სტრატეგიას და სამოქმედო გეგმას ბავშვთა დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებების ეტაპობრივი დახურვის შესახებ.<sup>621</sup>

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ სახელმწიფოში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად იხურება დიდი ზომის ინსტიტუციები, კოდექსი დაუშვებლად მიიჩნევს ისეთი რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების შექმნას, რომელიც არ არის მცირე ოჯახური ტიპის და რომლის აუცილებლობაც არ არის დასაბუთებული უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შეფასების საფუძველზე, შესაბამისად, არ აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს<sup>622</sup>. ნებისმიერი საჯარო და კერძო რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების საქმიანობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოპოვებული აქვს ლიცენზია, „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად<sup>623</sup>. აღნიშნული შეზღუდვებიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მუნიციპალიტეტები ბავშვის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებას ქმნიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით ან ახდენენ ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელი კერძო პირების გამოვლენას კონკურსის წესით<sup>624</sup>. სამინისტროს ან მუნიციპალიტეტის გადაწყვეტილება, რომელიც განსაზღვრავს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის შექმნის საკითხს, უნდა მოიცავდეს ინფორმაციას ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზის შედეგების შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით თუ რატომ არ ხდება სერვისის კერძო პირების მეშვეობით მიწოდება და რატომ გახდა საჭირო საკუთარი დაწესებულების შექმნა.

აკრძალულია იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბავშვთა მოძიება და განთავსება ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებებში ფინანსუ-

620 კოდექსის მე-3 მუხლის „კ“ ქვეპუნქტი.

621 კოდექსის 32-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

622 დიდი ზომის რეზიდენტული დაწესებულებებიდან გამომდინარე საფრთხეებზე იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 253.

623 კოდექსის 32-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

624 კოდექსის 32-ე მუხლის მე-5 ნაწილი.



რი სარგებლის მიღების ინტერესებიდან გამომდინარე<sup>625</sup>, როდესაც შესაძლებელია ბავშვის დაბრუნება ოჯახში ან ოჯახზე დაფუძნებულ სერვისში.<sup>626</sup> ეს ის შემთხვევაა, როდესაც გადანაცვლების დასაბუთებაში არ არის მოცემული ალტერნატივების შეფასება, რომელიც თანაზომიერების პრინციპის დაცვით და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით გამორიცხავს ყველა შესაძლებლობას.

## **ბ) ალტერნატიული ზრუნვის ინსტიტუციონალური მოწყობის სტანდარტები**

იმის გათვალისწინებით, რომ ალტერნატიული ზრუნვის სერვისებს ახორციელებენ, როგორც საჯარო სამართლის ისე კერძო სამართლის იურიდიული პირები, სახელმწიფოს აქვს ვალდებულება უზრუნველყოს სერვისის ერთიანი სტანდარტი<sup>627</sup>. ბავშვი არ შეიძლება იქნას მოთავსებული ალტერნატიული ზრუნვის ისეთ მომსახურებაში, რომელიც არ შეესაბამება ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს და არ არის ლიცენზირებული კანონის შესაბამისად, გარდა მინდობითი აღზრდისა და შვილად აყვანისა<sup>628</sup>. ბავშვის შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის წესებსა და პირობებს ადგენს საქართველოს კანონი „შვილად აყვანის და მინდობით აღზრდის შესახებ“. სახელმწიფო სტანდარტები ასევე, არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვი ნებაყოფლობით ატარებს გარკვეულ დროს ნათესავებთან ან მეგობრებთან რეკრეაციული მიზნებით, რაც არ უკავშირდება მშობელთა მიერ ბავშვზე სათანადო ზრუნვის ზოგადი შესაძლებლობის ან სურვილის არქონას ან შვილად აყვანის შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საბოლოო გადანაცვლების გამოტანის მომენტიდან, რადგან ბავშვი უკვე აღარ ითვლება მშობელთა მზრუნველობამოკლებულად.<sup>629</sup>

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შემუშავების მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ ის ადგენს ბავშვზე ზრუნვის სერვისების ადმინისტრირების, მიწოდების და ხარისხის განსაზღვრის და მონიტორინგის კრიტერიუმებსა და მექანიზმებს, რომლებიც ორიენტირებულია ბავშვის ოჯახური ზრუნვის უზრუნველყოფაზე. ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების მთავარი ღირებულებაა ის, რომ ეფუძნება ბავშვის უფლებების რეალიზების პრინციპს და ემსახურება ბავშვის რეზიდენტული ზრუნვის საჭიროების შემცირებას, ადგენს შემთხვევის მართვის ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს და ითვალისწინებს მაღალი ხარისხის ზრუნვის მიწოდებას.<sup>630</sup>

625 კანონით უნდა აიკრძალოს იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბავშვთა მოძიება და განთავსება ზრუნვის დაწესებულებებში. იხ. გაეროს რეზოლუცია ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის შესახებ (რეზოლუცია 64/142), პარა 127, 24 თებერვალი 2010 წ.

626 კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

627 ინსტიტუციური მოწყობის სტანდარტების მნიშვნელობა იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 253

628 კოდექსის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი.

629 კოდექსის 31-ე მუხლი.

630 კოდექსის 31-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები სავალდებულოა ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის ნებისმიერი ფორმისთვის, საჯარო და კერძო დაწესებულებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვის მოკლე ან გრძელვადიან პროგრამებს, მათ შორის.<sup>631</sup>

ა) სადღეღამისო ზრუნვის რეზიდენტული დაწესებულებებისათვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ფსიქო-სოციალური საჭიროების მქონე ბავშვთა ცენტრებისათვის;

ბ) რესურს-სკოლებისა და სკოლა-პანსიონებისთვის ზრუნვის მომსახურების ნაწილში.

ბავშვზე ზრუნვის სტანდარტების შესრულება სავალდებულოა, აგრეთვე, ოჯახის მხარდაჭერი, სამედიცინო, ფსიქო-სოციალური დახმარების, საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სხვა კულტურული ან რეკრეაციული პროგრამების მიწოდებისას, როდესაც ბავშვზე ზრუნვა ხორციელდება დროებით, დღის მონაკვეთში ან 24-საათით დროის გარკვეული პერიოდის განმავლობაში, მათ შორის.<sup>632</sup>

ა) დღის ცენტრებში;

ბ) არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ან/და ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი ბავშვების თავშესაფრებში, სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში ბავშვთა განყოფილებების ან ბავშვთა ინდივიდუალური მომსახურების ნაწილში;

გ) ბავშვთა ბანაკებში - ზრუნვის მომსახურების ნაწილში;

დ) სხვა დაწესებულებებზე, მათ შორის, მშობელთა დასაქმების ადგილას არსებულ ბავშვის მოვლის დამხმარე სერვისზე, სადაც რაიმე ფორმით ხდება ბავშვზე ზრუნვის მომსახურების მიწოდება.

ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების უზრუნველყოფის მიზნით ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულების ლიცენზირება და ლიცენზიის პირობების რეგულარული შემოწმება ხორციელდება უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურები) მიერ. სალიცენზიო პირობების დარღვევა და საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.<sup>633</sup>

ა) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>2</sup> მუხლის თანახმად, სააღმზრდელო საქმიანობა „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზიის გარეშე ან იმავე კანონით განსაზღვრული ფილიალის სააღმზრდელო საქმიანობა „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვის გარეშე გამოიწვევს დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით.

631 კოდექსის 31-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

632 კოდექსის 31-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

633 კოდექსის 32-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ბ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>3</sup> მუხლის თანახმად, სააღმზრდელო საქმიანობის სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს დაჯარიმებას 300 ლარის ოდენობით.

გ) ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>4</sup> მუხლის თანახმად, სააღმზრდელო საქმიანობის განმახორციელებლის მიერ სააღმზრდელო საქმიანობის ზედამხედველობის სფეროში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამისი სამსახურის მოთხოვნის შეუსრულებლობა გამოიწვევს გაფრთხილებას, ხოლო იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით – დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით.

კოდექსის მოთხოვნაა, აგრეთვე, რომ არსებული რეზიდენტული ზრუნვის დანესებულების ლიცენზიის გაგრძელების და ახალი რეზიდენტული ზრუნვის დანესებულების შექმნისას გათვალისწინებული იქნას დენისტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის ძირითადი მიდგომები.<sup>634</sup>

### გ) ალტერნატიული ზრუნვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები

ალტერნატიული ზრუნვის მატერიალური კანონიერების მოთხოვნაა, რომ ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი პირები აკმაყოფილებდნენ კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ<sup>635</sup>, მათ შორის, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს და საქმიანობას უნდა ახორციელებდნენ მულტიდისციპლინური მიდგომით,<sup>636</sup> რაც გულისხმობს სპეციალიზებული პირების - სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ჯანდაცვის სპეციალისტის და იურისტის მიერ ერთობლივად ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასებას და გათვალისწინებას.

კოდექსი ცალკე გამოყოფს ბავშვის მომვლელის (ძიძის) სტატუსის მოპოვების საკითხს. იმის გათვალისწინებით, რომ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება მომვლელის მხარდაჭერა ოჯახებში, აუცილებელია, რომ ამ სფეროში დასაქმებული პირი აკმაყოფილებდეს ბავშვთან ურთიერთობის მინიმალურ სტანდარტებს. მიუხედავად ამისა, კანონმდებელმა ამ ეტაპზე თავი შეიკავა ამ საკითხის სრულყოფილი მონესრიგებისგან და შემოიფარგლა წამახალისებელი ინსტრუმენტების შემოტანით. პირი, რომელიც გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, უვლის ერთ ან რამდენიმე (არაუმეტეს 5 ბავშვისა) ბავშვს მისი კანონიერი წარმომადგენლის სახლში ან მის გარეთ, ექვემდებარება ნებაყოფლობით სერტიფიცირებას. სერტიფიცირებულ მომვლელის უპირატესობა მდგომარეობს იმაში, რომ მას უფლება აქვს, მიიღოს შესაბამისი მხარდაჭერა სოციალური მუშა-

634 კოდექსის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

635 ბავშვის დაცვისა და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტებს შეიმუშავებს საქართველოს მთავრობა.

636 კოდექსის 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

კისგან ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით.<sup>637</sup>

ალტერნატიული ზრუნვის განხორციელების მატერიალური კანონიერების კრიტერიუმია კოდექსით დადგენილი აკრძალვები, რომლის თანახმადაც დაუშვებელია ბავშვის მიმართ ისეთი დისციპლინური ზომებისა და ქცევების მართვის მეთოდების გამოყენება, რაც მოიცავს ბავშვის ფიზიკურ დასჯას, სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, მათ შორის ჩაკეტილ სივრცეში მოთავსებას, მშობელთან ან სხვა ოჯახის წევრებთან ან გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას ან სხვა სახის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას.<sup>638</sup>

ალტერნატიული ზრუნვის აუცილებელი კრიტერიუმია, რომ ალტერნატიულ ზრუნვაში მყოფი ყველა ბავშვი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ერთიან სახელმწიფო სისტემებში და სხვა ბავშვებთან თანაბრად ჰქონდეს წვდომა მართლმსაჯულებაზე.<sup>639</sup>

### **3.2. ღონისძიების ფორმალური კანონიერება**

#### **ა. ადმინისტრაციული წარმოების ფორმალური მოთხოვნების დაცვა**

ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სტრუქტურული ერთეული ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსების გადანყვეტილებას იღებს შესაბამისი პროფესიული კადრებისგან დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასებაზე და რეკომენდაციაზე დაყრდნობით, რომელშიც აღნიშნული სამსახურის სოციალური მუშაკის, ფსიქოლოგის, ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტის და იურისტის გარდა, შესაძლებელია შედიოდეს მონვეული სპეციალისტი. გადანყვეტილების მიღების მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში უზრუნველყოფილი უნდა იქნას ბავშვის მონაწილეობა ბავშვზე მორგებული პროცედურების დაცვით.

ზემოთ აღნიშნული მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულის მულტიდისციპლინური ჯგუფი ამტკიცებს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალურ საჭიროებებს და ემსახურება ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, ჰარმონიული განვითარების, სოციალური ინკლუზიის და მისი ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების ეფექტურ რეალიზების მიზნებს.

ბავშვის ალტერნატიულ ზრუნვაში განთავსება ხდება კოდექსის 26-ე მუხლის მოთხოვნების დაცვით, რაც გულისხმობს მუნიციპალიტეტის მიერ საკითხის რეფერირების საფუძველზე პროცესში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს სოციალური მუშაკის ჩართვას. გადანყვეტილება ბავშვის ოჯახიდან გაყვანის შესახებ მიიღება მოსამართლის მიერ სოციალური მუშაკის შუამდ-

637 კოდექსის 31-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

638 კოდექსის 30-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

639 კოდექსის 29-ე მუხლის მე-8 ნაწილი. იხ. General Comment CRC/GC/2003/3, 2003, აბზ. 35

## **ბ. ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი**

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფ ბავშვს უნიშნავს პირს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს ბავშვის შესახებ, მისი სრულყოფილი მონაწილეობით და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.<sup>641</sup>

კოდექსის ამ ნორმის მიზნის განმარტებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ, როგორც წესი, ბავშვის საუკეთესო ინტერესს პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი. კანონმდებელს არ უნდა, რომ ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ მყოფი (მშობლის ზრუნვის გარეშე დარჩენილი) ბავშვის საუკეთესო ინტერესის განსაზღვრისას ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულება გახდეს გადაწყვეტილების მიმღები ერთადერთი სუბიექტი. ბავშვის საუკეთესო ინტერესების სუბიექტური განსაზღვრის უფლებამოსილება ენიჭება მის კანონიერ წარმომადგენელს, ხოლო მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს აქვს ობიექტური კონტროლის განხორციელების ვალდებულება.

ბავშვის კანონიერ წარმომადგენლად დანიშნული პირი უნდა სარგებლობდეს მაღალი რეპუტაციით, გავლილი ჰქონდეს სავალდებულო სწავლება და ფლობდეს ბავშვებთან ურთიერთობისათვის საჭირო ცოდნასა და უნარ-ჩვევებს.<sup>642</sup>

მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ბავშვის კანონიერ წარმომადგენლის დანიშნით არ იხსნის პასუხისმგებლობას, არამედ ანგარიშვალდებულია კანონიერ წარმომადგენლად დანიშნული პირის საქმიანობაზე და შესაბამისად, უწევს მას სათანადო პროფესიულ მხარდაჭერას და ზედამხედველობას.<sup>643</sup>

## **გ. ალტერნატიული ზრუნვის პერიოდული კონტროლი**

ყოველი ბავშვი, რომელიც მოთავსებულია დაწესებულებაში ზრუნვის, დაცვის ან მკურნალობის მიზნით, ექვემდებარება მის მიმართ მოპყრობის, დაწესებულებაში დარჩენის საჭიროების და სხვა გარემოებების სავალდებულო პერიოდულ შემოწმებას, არანაკლებ სამ თვეში ერთხელ.<sup>644</sup>

ბავშვის ალტერნატიული ზრუნვის გაგრძელების საჭიროების და პირობების პერიოდული შემოწმება და სტანდარტების შესრულების მონიტორინგი უნდა განხორციელდეს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ, ბავშვის და მისი მეურვის, მზრუნველი ან მხარდამჭერი უშუალო მონაწილეობით, კანონმდებლობით დადგენილი წესით.<sup>645</sup>

640 იხ. კოდექსის 26-ე მუხლის კომენტარი.

641 კოდექსის 33-ე მუხლის პირველი ნაწილი.

642 კოდექსის 33-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

643 კოდექსის 33-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

644 კოდექსის 34-ე მუხლი.

645 კოდექსის 34-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

#### 4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

ალტერნატიული ზრუნვის საჭიროების პრევენციისთვის სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ოჯახური ზრუნვის ხელშეწყობა, ადეკვატური საცხოვრებელი პირობების შექმნა, საბაზისო ჯანდაცვის, განათლების და სოციალური სერვისების მიწოდება, ასევე, ღონისძიებების გატარება სიღარიბის, დისკრიმინაციის, მარგინალიზაციის, სტიგმატიზაციის, ძალადობის, ბავშვისადმი ცუდი მოპყრობის, ნივთიერებაზე დამოკიდებულების დასაძლევად.<sup>646</sup>

ოჯახის მიერ ბავშვის მიტოვების, მასზე უარის თქმის და განცალკევების პრევენციის მიზნით განხორციელებული სოციალური პოლიტიკა და პროგრამები მოიცავს ოჯახის გაძლიერების სერვისებს, როგორცაა მშობლობის კურსები, პოზიტიური მშობლობის ხელშეწყობა, კონფლიქტების მოგვარების უნარები, დასაქმების შესაძლებლობები, საჭიროების შემთხვევაში, სოციალური დახმარება, აგრეთვე, დამხმარე სოციალური სერვისების მიწოდებით, როგორცაა, დღის ცენტრი, მედიაცია და შერიგების სერვისები, ნივთიერებაზე დამოკიდებულების მკურნალობის კურსი, ფინანსური დახმარება, სერვისები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მშობლებისა და ბავშვებისთვის, ახალგაზრდების გაძლიერება ყოველდღიურ სიძნელებებთან პოზიტიური გამკლავებისთვის.<sup>647</sup>

სახელმწიფოს მიერ მინდობით აღმზრდელთა რეგისტრაციისა და რეზიდენტული ზრუნვის დანესებულების სალიცენზიო პირობების<sup>648</sup> და ბავშვზე ზრუნვის ერთიან სტანდარტების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნას კოდექსით დადგენილი მინიმალური მოთხოვნები<sup>649</sup>:

ა) ზრუნვის მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირების სათანადო პროფესიული კვალიფიკაცია, შერჩევის კრიტერიუმები, პროფესიული მომზადება და ზედამხედველობა;

ბ) ზრუნვის მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირების როლისა და ფუნქციების მკაფიო განსაზღვრა და ამის შესახებ ბავშვისა და მისი ოჯახის ინფორმირება;

გ) ბავშვის მხარდაჭერა მისი ოჯახის წევრებთან, ნათესავებთან და მეგობრებთან ურთიერთობების შენარჩუნებაში ბავშვის დაცვისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად თუ ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინ-

646 გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვისთვის (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.

647 გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვისთვის (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.

648 გაეროს გენერალური ასამბლეის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სააღმზრდელო დანესებულების რეგისტრაციისა და საქმიანობის კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევა უნდა იყოს დასჯადი. საქმიანობის ნებართვის გაცემა და რეგულარული შემოწმება უნდა განახორციელოს კომპეტენტურმა სახელმწიფო უწყებამ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით: მიზნები, ფუნქციონირება, პერსონალის შერჩევა და კვალიფიკაცია, ზრუნვის სტანდარტების დაცვა, ფინანსური რესურსები და მენეჯმენტი (გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვისთვის (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.).

649 კოდექსის 30-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ტერესებს;

დ) კვების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა ბავშვთა კვების დადგენილი სტანდარტების შესაბამისად;

ე) ხელმისაწვდომობა განათლებაზე, მათ შორის, ფორმალურ ან არაფორმალურ და პროფესიულ განათლებაზე;

ვ) ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, კვებითი, ჰარმონიული განვითარების და სპეციალური საჭიროებების უზრუნველყოფა;

ზ) ბავშვის პირადი ცხოვრების და სივრცის პატივისცემა;

თ) ძალადობისგან ბავშვის დაცვა, მათ შორის, ისეთი დისციპლინური მეთოდების აკრძალვა, რომელიც მოიცავს ოჯახთან და გარესამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას, წამებას, იძულებას, ფიზიკურ დასჯას, სხვა სასტიკ, დამამცირებელ ან არაადამიანურ მოპყრობას ან დასჯის ღონისძიებას;

ი) ბავშვის მომზადებას დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, მის დაცვას სტიგმისგან ალტერნატიული ზრუნვის ქვეშ ყოფნისას და ზრუნვიდან გასვლის შემდეგაც;

კ) ბავშვის წვდომა უფლებამოსილი ორგანოს მიერ ბავშვთან შეთანხმებით დანიშნულ სანდო პირთან. ბავშვმა უნდა იცოდეს, თუ რა შემთხვევაში და რომელი სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების გამო შეიძლება დაირღვეს სანდო პირთან გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალობა;

ლ) ბავშვის წვდომა ეფექტურ მექანიზმზე, რომლის საშუალებით ბავშვი შეძლებს ალტერნატიული ზრუნვის პირობების ან მის მიმართ მოპყრობის შესახებ შეტყობინებას ან საჩივრით მიმართვას. ეს მექანიზმი უნდა იყოს ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებლისა და ზედამხედველო სახელმწიფო უწყებისგან დამოუკიდებელი, რათა მიუკერძოებლად შეძლოს ეფექტური რეაგირება და ბავშვის ინტერესების დაცვა.

## §24. ბავშვის უფლება განათლების მიღებაზე

### 1. უფლების შინაარსი

კოდექსის მე-10 მუხლი<sup>650</sup> აყალიბებს ბავშვის განათლების უფლებას, რომლის თანახმადაც ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება. უფლების შინაარსი მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას უზრუნველყოს განათლების ინკლუზიური სისტემის თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისთვის<sup>651</sup>.

კოდექსის მე-5 თავი ადგენს ბავშვის განათლების უფლებაზე დაფუძნებულ მხარდაჭერის სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბავშვის მიერ ამ უფლებით სარგებლობა.<sup>652</sup>

### 2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები

#### 2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი

განათლება, პირველ რიგში, არის ადამიანის უფლებების საყოველთაოდ აღიარების და დაცვის მთავარი ელემენტი. ამიტომაც ხდება განათლების უფლების დაყოფა სამ ნაწილად: „უფლება განათლებაზე“, „უფლება განათლებაში“ და „უფლება განათლების გზით“. ამავდროულად, „უფლება განათლების გზით“ ნათელს ხდის, რომ განათლება არის სხვა უფლებების ხელმისაწვდომობის აუცილებელი წინაპირობა.<sup>653</sup>

კონვენციის 28-ე მუხლი აღიარებს ბავშვის უფლებას განათლების ხელმისაწვდომობაზე, ხოლო 29-ე მუხლი მოიცავს განათლების უფლების მიზნების შინაარსს. აღნიშნული მუხლების ერთობლივი ანალიზი იძლევა კონვენციით აღიარებული განათლების უფლების არსის გაგების შესაძლებლობას. უფლება განათლების მიღებაზე, ასევე, უნდა განიმარტოს კონვენციის სხვა ნორმებთან კავშირში, როგორცაა კონვენციის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი დისკრიმინაციის დაუშვებლობა, მე-6 მუხლით გარანტირებული განვითარების უფლება, მე-12 მუხლით ბავშვისთვის მინიჭებული თავისი აზრის და შეხ-

650 იხ. კოდექსის მე-10 მუხლი.

651 ბავშვის უფლებათა კომიტეტი განმარტავს, რომ სახელმწიფომ დაუყოვნებლივ უნდა განახორციელოს ისეთი ვალდებულებები, როგორცაა: დისკრიმინაციის დაუშვებლობა, რისთვისაც აღმოფხვრილი უნდა იყოს ყველა სამართლებრივი და სხვა ბარიერები, რაც ხელს უშლის ინკლუზიურ განათლების უფლებას; გონივრული მისადაგების უზრუნველყოფა, რისი შეუსრულებლობაც წარმოადგენს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით; სავალდებულო, უფასო ზოგადი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა ყველასთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი 4, პარა. 40).

652 იხ. კოდექსის 35-ე-მე-40 მუხლები.

653 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 330, ასევე, R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) , გვ. 407, 437.



ედულებების თავისუფალი გამოთქმის უფლება და ა.შ.<sup>654</sup>

კონვენციის 28-ე და 29-ე მუხლებში ჩადებულია განათლების ცნების ფართო გაგება, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ასპექტებს. ის, პირველ რიგში, გულისხმობს ძირითადი უნარების განვითარებას, ამასთანავე, მოიცავს სოციალური და სულიერი უნარების განვითარებას, ანუ პიროვნული განვითარების კომპონენტებს. კონვენციის მიზნებისთვის განათლების ქვეშ მოქცეული უნარები აერთიანებს არა მარტო წერა-კითხვის ცოდნას, არამედ საზოგადოებრივ ურთიერთობებში გააზრებული გადაწყვეტილების მიღების, კონფლიქტების მშვიდობიანი გადაწყვეტის, ჯანსაღი ცხოვრების წესებით ცხოვრების, პასუხისმგებლობის გაზიარების, კრიტიკული აზროვნების და საკუთარი შესაძლებლობების განვითარების და ა.შ. უნარებს.<sup>655</sup>

მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის უფლებების პერსპექტივიდან დანახული განათლების უფლება უნდა განვმარტოთ არა მხოლოდ, როგორც თანაბარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება, არამედ, ბავშვის პიროვნული განვითარების ინდივიდუალური უფლება.<sup>656</sup>

## 2.2. განათლების უფლების ელემენტები

### ა. უფასო სავალდებულო დანყებითი განათლება

კონვენციის 28-ე მუხლი ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე უზრუნველყონ უფასო სავალდებულო დანყებითი განათლება. მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის ტექსტზე მუშაობისას ცალკეული სახელმწიფოების მცდელობა, ეს ვალდებულება შეეზღუდათ სახელმწიფოს შესაძლებლობების გათვალისწინებაზე დათქმით, უშედეგოდ დასრულდა, აღნიშნული განიმარტება არა როგორც უპირობოდ შესასრულებელ, არამედ როგორც სახელმწიფოს პროგრესიულად შესასრულებელ ვალდებულებას, რაც ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფო მუდმივად უნდა ზრუნავდეს სისტემის განვითარებისთვის.<sup>657</sup>

უფასო დანყებითი განათლება გულისხმობს არა მარტო განათლების ხელმისაწვდომობას სწავლის საფასურის გარეშე, არამედ ყოველგვარი მოსაკრებლებისგან, როგორცაა რეგისტრაციის გადასახადი. მოსწავლისათვის სასკოლო ფორმებზე და სახელმძღვანელოებზე, აგრეთვე ტრანსპორტზე ხელმისაწვდომობა არ უნდა გახდეს ბარიერი უფლებით სარგებლობის პროცესში. აღნიშნული უფლება არ მოიცავს სხვა დამხმარე სასწავლო საშუალებების უფასო ხელმისაწვდომობას.<sup>658</sup>

654 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 330

655 იხ. CRC/GC/2001/1, აბზ. 9

656 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 331.

657 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 332.

658 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos

უფასო განათლების უფლება გამომდინარეობს დაწყებითი განათლების სავალდებულოობის პრინციპიდან, რამდენადაც მხოლოდ ასე მიიღწევა აღნიშნული ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფა. დაწყებითი განათლების სავალდებულოობის მიზანია დაიცვას ბავშვის უფლება განათლებაზე, რომ არ მოხდეს მშობლების მხრიდან ხელშეშლა ამ უფლებით სარგებლობის დროს, აგრეთვე ადგილი არ ჰქონდეს ბავშვების შრომით საქმიანობას.<sup>659</sup>

კონვენციის 28-ე მოიცავს როგორც სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომ უზრუნველყოს უფლებით სარგებლობის ინსტიტუციური გარანტიები, ასევე უფლების მატარებელი ბავშვების ვალდებულებას ისარგებლოს სავალდებულო განათლების ხელმისაწვდომობით.<sup>660</sup>

### **ბ. ზოგადი და პროფესიული განათლების სხვადასხვა ფორმების ხელმისაწვდომობა**

ბავშვის უფლება განათლებაზე მოიცავს არა მარტო დაწყებით განათლებაზე ხელმისაწვდომობას, არამედ საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმებით სარგებლობის უფლებას. თუმცა, სახელმწიფოს ვალდებულება ამ შემთხვევაში არ გულისხმობს საყოველთაო უფასო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, რამდენადაც ეს შესაძლებელია გასცდეს ცალკეული სახელმწიფოს ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებს. სახელმწიფოს აქვს ვალდებულების შესრულების ორი ალტერნატიული ინსტრუმენტი - უფასო განათლების შემოღება ან მიზნობრივი ფინანსური დახმარების განევა, რომელიც ხელმისაწვდომს გახდის საშუალო განათლებას.<sup>661</sup>

### **გ. უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა**

ბავშვის უფლება განათლებაზე ასევე მოიცავს უმაღლესი განათლების სავფხურსაც. თუმცა სახელმწიფოს ვალდებულება ამ ნაწილში არის სუსტად ჩამოყალიბებული, რამდენადაც 28-ე მუხლში საუბარია სახელმწიფოს ვალდებულებაზე ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობა ყველასათვის თითოეული უნარის შესატყვისად. ასეთი ზოგადი მიდგომა გამართლებულია იმით, რომ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის უფლების ადრესატი არ არის ბავშვი და შესაბამისად ეს არ არის კონვენციის მონესრიგების სფერო. მიუხედავად ამისა, შეიძლება ითქვას, რომ ნორმა ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას შექმნას დამატებითი ინსტრუმენტები (გრანტი, სტიპენდია), რომელიც ხელმისაწვდომს

---

2017 Baden-Baden), გვ. 332.

659 H Cremer *Das Recht auf Bildung für Kinder ohne Papiere – Empfehlungen zur Umsetzung* (Deutsches Institut für Menschenrechte 2009 Berlin). გვ. 7

660 M Nowak *Economic, Social and Cultural Rights* გვ. 261

661 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 334

გახდის უმაღლეს განათლებას.<sup>662</sup>

#### **დ. განათლების ხელმისაწვდომობის მხარდამჭერი ღონისძიებები**

განათლების ხელმისაწვდომობის უფლების შინაარსში მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყონ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და საინფორმაციო მასალების ხელმისაწვდომობა ყველა ბავშვისათვის. აგრეთვე, სახელმწიფოს ვალდებულება მიიღოს ზომები სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშეწყობად და სკოლიდან განთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად, არის ადამიანის უფლებათა დაცვის სისტემისათვის უჩვეულო მიდგომა. თავისებურება არის ის, რომ აღნიშნული ღონისძიება არ უნდა იყოს რეპრესიული ხასიათის. სახელმწიფოს მხრიდან ვალდებულების შესრულება არ გულისხმობს სკოლის მიღმა დარჩენილთა მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელებას, არამედ ინდივიდუალური შემთხვევების მიმართ პოზიტიური მხარდამჭერის ღონისძიების განხორციელებას. სამართალდამრღვევის მიმართ იძულების ღონისძიების განხორციელება შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ულტიმა რაციო, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის არ თანამშრომლობს და არ მონაწილეობს მხარდამჭერის ღონისძიებებში, რაც შეუძლებელს ხდის ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლების მიზნების მიღწევას.<sup>663</sup> თუ კი ადგილი აქვს სასწავლო პროცესში არასისტემურ მონაწილეობას, რომელიც გამონეგეულია ბავშვის ან მისი ოჯახის სიღარიბით, ენის ბარიერით, ადრეული ქორწინებით (ფეხმძიმობა) კონვენციის მიდგომაა მხარდამჭერის შესაბამისი ღონისძიების განხორციელება, რომელიც შესაძლებელს გახდის ბავშვის სკოლაში დაბრუნებას. ბავშვების და ოჯახის ინფორმირება არის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რომ ბავშვმა შეძლოს ისარგებლოს ამ უფლებით.<sup>664</sup>

#### **ე. ბავშვის ღირსების დაცვა სკოლაში**

კონვენციის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომელიც უნდა განიმარტოს მე-19 და 37-ე მუხლთან მჭიდრო კავშირში, ადგენს, რომ სასკოლო დისციპლინის დაცვის მეთოდები არ შეიძლება იყოს ბავშვის ადამიანური ღირსების შემლახველი. კონვენციის 28-ე მუხლი მისი მე-19 მუხლისგან განსხვავებით, მიემართება კონკრეტულ ადრესატს. ეს არის სკოლის და სხვა სასწავლო დაწესებულებების პერსონ-

662 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 335.

663 ყველას აქვს განათლების მიღების უფლება, რაც მოიცავს დანყებითი და საბაზო განათლების სავალდებულოობის პრინციპს. ბავშვი ვალდებულია ისარგებლოს კანონების კონსტიტუციური უფლებით და მიიღოს დანყებითი და საბაზისო განათლება. აღნიშნული ვალდებულებისაგან თავის არიდება სახელმწიფოს აძლევს უფლებას გამოიყენოს ადმინისტრაციული ღონისძიებები ბავშვის განათლების პროცესში ჩართვის მიზნით.

664 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 335

ნალი, რომლებიც ჩართულია სასწავლო პროცესში. ნორმა ბავშვს ასევე იცავს სხვა ბავშვების მხრიდან ძალადობისგან.<sup>665</sup>

სახელმწიფოს ვალდებულება განახორციელოს აუცილებელი ზომები, გულისხმობს როგორც პრევენციულ ისე რეაგირების ღონისძიებებს, რაც თავიდან აგვაცილებს ასეთ შემთხვევებს ან მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

### ვ. საერთაშორისო თანამშრომლობა

კონვენციის 28-ე მუხლის მე-3 პუნქტი აკონკრეტებს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რაც იძენს კოლექტიური ადამიანის უფლების, შესაბამისად, სოლიდარობის უფლების სახეს. ეს უფლება მიემართება განვითარებად სახელმწიფოებს, რაც იმავდროულად ქმნის განვითარებული სახელმწიფოების ვალდებულებას შექმნან შესაბამისი საკანონმდებლო და ადმინისტრაციული ინსტრუმენტები. აქვე უნდა ითქვას, რომ განვითარებად სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება იზრუნონ იმაზე, რომ მოიპოვონ ასეთი მხარდაჭერა. ეს ვალდებულება გამომდინარეობს კონვენციის მე-4 მუხლიდან.<sup>666</sup>

კონვენციის 28-ე მუხლი არ ადგენს თანამშრომლობის სახეებს და მოცულობას. საუბარია სამეცნიერო-ტექნიკურ მიღწევებსა და სწავლების თანამედროვე მეთოდებზე ხელმისაწვდომობაზე, რაც არ შეიძლება მივიჩნიოთ ამომწურავ ჩამონათვალად. ასეთი მხარდაჭერა შეიძლება იყოს არა მარტო განათლების სფეროში პირდაპირი ზეგავლენის მქონე ღონისძიება, არამედ ირიბი, მაგ., სახელმწიფოს გათავისუფლება საგარეო ვალებისგან, რამაც შესაძლებელია პოზიტიური გავლენა მოახდინოს ეროვნული განათლების სისტემის გაძლიერებაზე.<sup>667</sup>

### 2.3. განათლების უფლების მიზანი

კონვენციის 29-ე მუხლი ადასტურებს, რომ არა მარტო განათლების ხელმისაწვდომობას, არამედ მის შინაარსსა და მიზნებს აქვთ გადამწყვეტი მნიშვნელობა. ეს მჭიდროდ არის დაკავშირებული ბავშვის ღირსების და სხვა უფლებების რეალიზაციასთან. საკითხი ეხება სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით ის რეგულარულად წარადგენს ანგარიშს.<sup>668</sup>

665 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 336.

666 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 339.

667 იხ. S Schmahl, *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 340.

668 ხელმომწერი ქვეყნები ვალდებულნი არიან ბავშვის უფლებათა კომიტეტს რეგულარულად მიაწოდონ ინფორმაცია ანგარიშების სახით, თუ როგორ ხდება ბავშვის უფლებათა დაცვა ეროვნულ დონეზე. პირველი ანგარიშის მიწოდება ხდება კონვენციის მიერ მიერთებიდან ორ წელიწადში, შემდგომ კი პერიოდული ანგარიშების წარდგენა ხდება 5 წელიწადში ერთხელ. იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 338, სქოლიო 76-77.

ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ. ადამიანის პიროვნულ განვითარებაზე გავლენას ახდენს მისი ცხოვრების ყველა სფერო, კერძოდ, ფიზიკური, სულიერი, ფსიქიკური და სოციალური სფეროები. განათლების მიზანი უნდა იყოს თითოეული ადამიანის პიროვნული განვითარება საკუთარი ნიჭისა და უნარების შესაბამისად. ამასთან, სკოლას, პირველ რიგში, აქვს განათლების და ცოდნის გადაცემის და მხოლოდ ამის შემდეგ, აღზრდის (აქსესორული) ვალდებულება.<sup>669</sup>

განათლების ხელმისაწვდომობის მიზანია ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის გალვივება, რაც მიიღწევა სასწავლო პროგრამებში ადამიანის ძირითადი უფლებების სწავლების შემოტანით. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემა კი გულისხმობს მის მთავარ მიზანზე მითითებას, კერძოდ, საერთშორისო მშვიდობის დამყარებას და შენარჩუნებაზე ზრუნვას.<sup>670</sup>

ბავშვის განათლების უფლების შემადგენელი ნაწილია ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი და კულტურული თვითმყოფადობისათვის პატივისცემის სწავლება. მშობლებთან დაკავშირებით ჩანანერი არის პასუხი იმ ნუხილზე, რომ მშობლების უფლებები ნაკლებად არის დაცული, რაც ბავშვებს აძლევს სტიმულს, რომ ნაკლებად ავლენდნენ მშობლების მიმართ პატივისცემას. ასევე, მასწავლებლების მხრიდანაც შესაძლებელია ჰქონდეს ადგილი მშობლების მიმართ თავშეკავებულ დამოკიდებულებას, განსაკუთრებით როდესაც მშობლებს არ აქვთ სათანადო განათლება ან არიან უმცირესობათა წარმომადგენლები. ბავშვის იდენტურობა მყარად არის დამოკიდებული მშობლებზე. ამდენად, განათლების სისტემა, რომელიც არ აღიარებს მშობლის როლს, ზიანს აყენებს ბავშვს საკუთარი თავის თვითშეფასებაში. მნიშვნელოვანია მშობლების აქტიური ჩართვა სკოლის მმართველ ორგანოებში.<sup>671</sup>

პატრიოტიზმის სწავლება სკოლებში არ არის უცხო ბევრი ქვეყნის სასკოლო განათლებისათვის. თანამედროვე რეალობაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს ორ ურთიერთსაპირისპირო პროცესს. ერთი მხრივ, ეს არ უნდა მოხდეს სხვა კულტურების და უმცირესობების ხარჯზე. მეორე მხრივ, ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემა მიიჩნევა ძველმოდურად და სამარცხვინოდ. კონვენციის ეს ნორმა გვიჩვენებს, რომ თავისი მშობლებისა და სამშობლოს სიყვარული არ არის ყავლგასული თემა და ის კვლავ საჭიროებს მხარდაჭერას, თუმცა ეს უნდა მოხდეს განსხვავებული ცივილიზაციებისადმი პატივისცემის გალვივების პარალელურად. ინტერესთა შორის კონფლიქტის გადაჭრის გზაა სწავლების დაბალანსებული პროცესი, რომელიც შესაძლებელს გახდის გან-

669 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 338

670 იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 442.

671 იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 444.

სხვაგვარად შორის თანაარსებობას დიალოგისა და ურთიერთპატივისცემის გზით. ბავშვებს შეუძლიათ განსაკუთრებული როლი შეასრულონ ხიდის გადგებაში ადამიანთა ჯგუფებს შორის, რომლებიც ისტორიულად ერთმანეთს დაშორდნენ.<sup>672</sup>

გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდა არის პასუხი გარემოს დაცვის პრობლემებზე და აქედან გამომდინარე საფრთხეებზე, რომელიც შესაძლებელია დაიძლიოს შესაბამისი სასწავლო დისციპლინების ფარგლებში.<sup>673</sup>

## 2.4. განათლების მიღების უფლების შინაარსი ქართულ კანონმდებლობაში

საქართველოს კონსტიტუციის 27-ე მუხლი აღიარებს განათლების უფლებას, რაც მოიცავს როგორც ფორმალური განათლების სისტემას, ისე არაფორმალურ განათლებას. განათლების უფლების შინაარსში მნიშვნელოვანია დათქმა დაწყებითი და საბაზისო განათლების სავალდებულობაზე, რაც გარანტირებულია ზოგადი განათლების სახელმწიფოს მიერ სრულად დაფინანსებით. საქართველოს კონსტიტუცია პროფესიული და უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს მოქალაქეების უფლების აღიარებით, კანონით დადგენილი წესით მიიღონ სახელმწიფოს დაფინანსება.

საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული განათლების მიღების უფლების შინაარსს აკონკრეტებს კოდექსის 35-ე მუხლი, სადაც გამოყოფილია სამი ძირითადი ელემენტი:

1. განათლების უფლება გულისხმობს ხარისხიანი განათლების მიღების უფლებას;

2. განათლების უფლება უზრუნველყოფს ყველა ბავშვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ხარისხიან განათლებაზე;

3. განათლების უფლება მიიღწევა განათლების ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით.

კოდექსის 35-ე მუხლი სრულად იზიარებს კონვენციის მიდგომას და აყალიბებს განათლების მიღების უფლების შინაარსს შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით, რომელიც გვაძლევს უფლების დაცული სფეროს შინაარსს:

ა) ბავშვის უფლება განათლებაზე გულისხმობს ადრეულ, სკოლამდელი და ზოგადი განათლების ყოველი ბავშვისთვის ხელმისაწვდომობას უფასოდ, ხოლო პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას, სათანადო ფინანსური მხარდაჭერით, ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად;<sup>674</sup>

ბ) განათლების უფლების აუცილებელი კომპონენტია ყველა ბავშვისთვის

672 იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 447.

673 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 450

674 კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

განათლების ეროვნული სისტემის შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფა, როგორც უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესში, ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადაწყვეტილების მიღებისას, რაც მონესრიგებულია შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.<sup>675</sup>

გ) განათლების მიღების უფლებაზე დაფუძნებულმა მხარდაჭერის სისტემამ უნდა უზრუნველყოს სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვთა სკოლებში დაბრუნების ხელშეწყობა და სკოლის მიტოვების პრევენციის ღონისძიებების განხორციელება.<sup>676</sup> კოდექსი უპირატესობას ანიჭებს მხარდაჭერის ღონისძიებებს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს იმ ბარიერების აღმოფხვრას, რაც ხელს უშლის ბავშვის სკოლაში დაბრუნებას. აღნიშნული არ გამოირიცხავს სავალდებულო დაწყებითი და საბაზისო განათლების მიღების ვალდებულებისაგან თავის არიდების შემთხვევების მიმართ ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელებას.

დ) კოდექსი კონვენციისგან განსხვავებით, განათლების უფლების შინაარსში მნიშვნელოვან როლს ანიჭებს განათლების ინკლუზიური სისტემის დანერგვას<sup>677</sup>, რაც გულისხმობს თანაბარ ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო პროცესს, რომლის ფარგლებშიც უზრუნველყოფილია ყველა ბავშვის განათლება ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით<sup>678</sup>. განათლების უფლების მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ღონისძიებები სხვადასხვა მიმართულებით<sup>679</sup>.

675 კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტები.

676 კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი

677 კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილი

678 ინკლუზიური ადრეული განათლების არსი იხ. ც.ბარქაია, ა.ჯანელიძე, ნ.ჯიჯავაძე. : ინკლუზიური ადრეული განათლება, (გაეროს ბავშვთა ფონდი) 2019 გვ. 24.

679 ინკლუზიური განათლების ძირითადი მახასიათებლებია: სისტემური მიდგომა, რომელიც მოიცავს აუცილებელ ცვლილებებს ინსტიტუციური კულტურის, პოლიტიკის და პრაქტიკის კუთხით; მთლიანი საგანმანათლებლო გარემოს ცვლილება სწავლების მეთოდების, საბჭოს შეხვედრების, მასწავლებელთა სუპერვიზიის, საკონსულტაციო სერვისების და სამედიცინო ზრუნვის, სასკოლო ტურების, ბიუჯეტირების, მშობლებთან კომუნიკაციას ადგილობრივ თემში თუ უფრო ფართო მასშტაბით; სრულფასოვანი პიროვნული მიდგომა, რაც ნიშნავს პერსონალიზებული განათლების მიწოდებას ნაცვლად იმისა, რომ მოსწავლისგან მოითხოვოს სისტემაზე მორგება; მასწავლებელთა მხარდაჭერა გადამზადებით მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მასწავლებელთა ჩართვით; მრავალფეროვნების პატივისცემა დისკრიმინაციის გარეშე ნებისმიერი ნიშნით; მოსწავლისადმი მეგობრულად განწყობილი გარემო; სკოლის მიტოვების რისკისა და სავალდებულო განათლების მიღმა მყოფი ბავშვების მონიტორინგი და მათ შესახებ მონაცემთა ბაზების ხელმისაწვდომობა, სასწავლოს-აგანმანათლებლო მასალების ხელმისაწვდომობა და გამოყენება ფორმალური და არაფორმალური განათლების დაწესებულებებში სავალდებულო განათლების მიღმა დარჩენილი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის მათ შორის, სკოლიდან განთავსების რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეებისათვის, ეფექტური მომზადება გარდამავალი ეტაპებისთვის, რაც ნიშნავს მოსწავლეთა შესაძლებლობების განვითარებას განათლების შემდგომ საფეხურებზე გადასვლისთვის; პარტნიორობა, რაც მოიცავს მასწავლებელთა, მოსწავლეთა და სხვა ასოციაციების თუ არაფორმალური ჯგუფების ცოდნის გაღრმავება შეზღუდული შესაძლებლობის

პირველ რიგში, ეს გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამების და ადამიანური რესურსების განათლების ინკლუზიური სისტემის მიზნებთან მოყვანას<sup>680</sup>. ასევე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო დაწესებულებების ინფრასტრუქტურის მისადაგება ყოველი ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებთან, ხოლო ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა უნივერსალური დიზაინის პრინციპების სავალდებულო გათვალისწინებით<sup>681</sup>, რომლის მიზანია ბავშვებისათვის არსებული შემაფერხებელი ბარიერების აღმოფხვრა და მოქნილი საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობა. უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინება დადებითად აისახება არა მხოლოდ განსაკუთრებული საჭიროების ინდივიდების საგანმანათლებლო პროცესში ჩართულობაზე, არამედ ნებისმიერი ბავშვის სრულფასოვან მონაწილეობაზე. სწავლის უნივერსალური დიზაინი სამი ძირითადი ელემენტისგან შედგება: I. სასწავლო მასალის მრავალნაირად მიწოდების, რეპრეზენტაციის უზრუნველყოფა; II. მოქმედებისა და გამოხატვის მრავალფეროვანი საშუალებების უზრუნველყოფა; III. საგანმანათლებლო პროცესში ჩართვის, მოტივირების მრავალგვარი საშუალების უზრუნველყოფა<sup>682</sup>.

ე) ბავშვის უფლება განათლებაზე გულისხმობს განათლების მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში ბავშვთა მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის აღმოფხვრას<sup>683</sup>, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო დაწესებულებებში დისციპლინის ზომად ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოყენების აკრძალვის მიზნით, კოდექსი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას განახორციელოს მთელი რიგი ადმინისტრაციული ღონისძიებები. ადრეულ და სკოლამდელ, ზოგადსა-

---

შესახებ; მონიტორინგი, როგორც განგრძობადი პროცესი, რადგან მნიშვნელოვანია მოხდეს ინკლუზიური განათლების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება ფორმალური ან არაფორმალური სეგრეგაციის ან ინტეგრაციის აღმოფხვრისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი 4 „ინკლუზიური განათლების შესახებ“, პარა. 12.)

680 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების გაეროს კომიტეტი განმარტავს, რომ ინკლუზიური განათლება არის თითოეული მოსწავლის ფუნდამენტური უფლება, პრინციპი, რომელიც აფასებს მოსწავლეთა კეთილდღეობას, ღირსებას და ავტონომიას და აღიარებს ინდივიდუალურ მოთხოვნილებებს და შესაძლებლობას ეფექტურად მონაწილეობდეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ინკლუზიური განათლება არის ადამიანის უფლებათა განხორციელების საშუალება, რისი მეშვეობითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს შეუძლიათ თავი დააღწიონ სიღარიბეს, აღიჭურვონ თემში სრულფასოვანი მონაწილეობის საშუალებებით და დაცულნი იყვნენ ექსპლუატაციისგან. ინკლუზიური განათლება არის განათლების უფლების დამაბრკოლებელი ბარიერების აღმოფხვრის პროცესის შედეგი, რომელიც მოიცავს კულტურულ, პოლიტიკურ და სასკოლო პრაქტიკის ცვლილებებს განათლების პროცესში მოსწავლეთა ეფექტური ჩართვისთვის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის ზოგადი კომენტარი 4 „ინკლუზიური განათლების შესახებ“, პარა. 10)

681 კოდექსის 37-ე მუხლი.

682 დაწვრილებით იხ. უნივერსალური დიზაინის ძირითადი პრინციპები სოციალური და საგანმანათლებლო პროცესისათვის, ნიგნში: ინკლუზიური ადრეული განათლება, ცირა ბარქაია, ანა ჯანელიძე, ნინო ჯიჯავაძე, გაეროს ბავშვთა ფონდი 2019, გვ. 59-დან

683 კოდექსის 38-ე მუხლი



განმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებებში. კერძოდ, უნდა დაინერგოს ბავშვზე ძალადობის შეტყობინების ცხელი ხაზი, საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა განისაზღვროს ბავშვთა ძალადობის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი, კოორდინატორი და უნდა დაინერგოს საჩივრების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმები<sup>684</sup>.

ვ) კოდექსით დადგენილი ბავშვზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდების და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობის ვალდებულება<sup>685</sup> არის კონვენციით გათვალისწინებული საერთშორისო თანამშრომლობის ვალდებულების<sup>686</sup> შემადგენელი ნაწილი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ხარისხიანი თანამედროვე განათლების სისტემის შექმნა.

სახელმწიფოს მხრიდან ზემოთ აღნიშნული პოზიტიური ვალდებულებების შეუსრულებლობა ჩაითვლება განათლების უფლების დამდგენი ნორმით დაცულ სფეროში ჩარევად და ის საჭიროებს გამართლებას. ჩარევა არ იქნება გამართლებული თუ კი ის გაცდება კანონით დაშვებული ჩარევის ფარგლებს (შეზღუდვის შეზღუდვა), რომელსაც გვაძლევს 36-ე მუხლით დადგენილი განათლების მიზნების შინაარსი. აღნიშნული გულისხმობს იმას, რომ თუ კი ბავშვისთვის გარანტირებული განათლების უფლება არ იძლევა აღნიშნული მუხლით დადგენილი მიზნების მიღწევას, ეს ჩაითვლება განათლების უფლების გაუმართლებელ შეზღუდვად.<sup>687</sup>

### 3. განათლების მიზნები, როგორც განათლების უფლების შეზღუდვის ფარგლები

კოდექსით გარანტირებული ბავშვის უფლება განათლების მიღებაზე მაშინ არის დაცული, თუ კი უზრუნველყოფილია კოდექსის 36-ე მუხლით განსაზღვრული განათლების მიზნები. აღნიშნული მუხლი არ გვაძლევს ამომწურავ ჩამონათვალს, არამედ ის ეფუძნება კონვენციით განსაზღვრულ განათლების უფლების მიზნებს<sup>688</sup> და გამოყოფს ძირითად ასპექტებს:

ა) კოდექსი, ისევე როგორც კონვენცია, განათლების მიზნად განსაზღვრავს ბავშვის პიროვნების განვითარებას მისი ნიჭის, კრიტიკული აზროვნების და შესაძლებლობების სრულფასოვანი გამოვლენის ხელშეწყობის გზით, რაშიც განსაკუთრებულ როლს თამაშობს განათლების მხარდაჭერის პროგრამები სპორტის, კულტურის და მეცნიერების სფეროში სასწავლო, შემეცნებითი და

684 კოდექსის 38-ე და 39-ე მუხლები.

685 კოდექსის 37-ე მუხლი.

686 კონვენციის 28-ე მუხლის მე-3 ნაწილში მოცემული მესამე განზომილების უფლება, რომელიც არის კოლექტიური ბუნების და მიემართება განვითარებად სახელმწიფოებს. იხ. M Nowak *Economic, Social and Cultural Rights*, გვ. 88

687 F Brosius-Gersdorf 'Privatschulen zwischen Autonomie und staatlicher Aufsicht' *Die Verwaltung* 45 (2012) 45 (2012), 403.

688 უფლების შინაარსი იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 337.

გასართობი ღონისძიებების სახით.<sup>689</sup>

ბ) განათლების უფლების შინაარსის მნიშვნელოვანი ელემენტია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების სწავლება სასკოლო და სკოლის მიღმა სასწავლო ღონისძიებების ფორმატში, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვებში ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტური თავისუფლებების პატივისცემის გრძნობის და არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებას და განვითარებას.<sup>690</sup>

გ) კოდექსი იზიარებს კონვენციის მიდგომას, რომლის თანახმადაც ბავშვის განათლების უფლების ფარგლებში მოიაზრება სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების და განსხვავებული კულტურისა და ცივილიზაციების პატივისცემის გრძნობის განვითარება. კოდექსი საკუთარს მიმართ პატივისცემის გრძნობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს განსხვავებულისადმი პატივისცემას.<sup>691</sup>

დ) განათლების უფლების მნიშვნელოვანი ელემენტია ბავშვებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება და მათი მომზადება დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის. ბავშვის პიროვნული განვითარება უნდა ეფუძნებოდეს ურთიერთგაგების, მშვიდობის და ტოლერანტობის პრინციპებს.<sup>692</sup>

ე) ბუნებრივი გარემოს და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პასუხისმგებლობის და პატივისცემის განვითარება, არის ასევე კონვენციის სულისკვეთების ასახვა კოდექსში.<sup>693</sup>

#### 4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

კოდექსით დადგენილი ბავშვის განათლების უფლებიდან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები მიემართება ხელისუფლების სამივე შტოს და ხორციელდება როგორც კანონშემოქმედების ფარგლებში, ისე მისი აღსრულების მექანიზმების უზრუნველყოფით.

სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი აუცილებელი ადმინისტრაციული ღონისძიებაა საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებული ინფრასტრუქტურის და პროგრამების თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებზე გონივრული მისადაგება, ხოლო ახალი ინფრასტრუქტურა და პროგრამები უნივერსალური დიზაინის პრინციპის სავალდებულო გათვალისწინებით შექმნა.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ერთიანი სახ-

689 S Detrick *A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child* (Kluwer 1999 The Hague) გვ. 510

690 F Brosius-Gersdorf 'Privatschulen zwischen Autonomie und staatlicher Aufsicht' *Die Verwaltung* 45 (2012) (2012), 403.

691 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 338

692 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 338

693 S Detrick *Commentar on the United Nations Convention on the Rights of the Child* გვ. 516.

ელმნიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიმუშავებ და ახორციელებს ბავშვის განათლების ხელშემწყობ პროგრამებს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

სახელმნიფოს პოზიტიური ვალდებულების ფარგლებში, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო შეიმუშავებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვის საჩივრის განხილვის დამოუკიდებელ მექანიზმებს.

მუნიციპალიტეტები ბავშვის განათლების ხელშემწყობის ღონისძიებებს ახორციელებენ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

## §25. ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე

### 1. უფლების შინაარსი

კოდექსის მე-11 მუხლი<sup>694</sup> ადგენს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლებას, რომლის თანახმად, ბავშვს აქვს უფლება, მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული.

უფლების შინაარსი მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას უზრუნველყოს ბავშვისთვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და დაწესებულებების ხელმისაწვდომობა, აგრეთვე უვნებელი გარემოს უზრუნველყოფა<sup>695</sup>.

კოდექსის მე-6 თავი<sup>696</sup> ადგენს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე დაფუძნებულ მხარდაჭერის სისტემას, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ბავშვის მიერ ამ უფლებით სარგებლობა.

### 2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები

#### 2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი

კონვენციის 24-ე მუხლი აწესრიგებს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საკითხს, რომელიც ადგენს ბავშვის უფლებას, სახელმწიფოსგან მოითხოვოს ამავე მუხლში მოცემული ვალდებულებების შესრულება. აღნიშნული მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები ემსახურება, როგორც პირველ პუნქტში მოცემული ბავშვის უფლების შინაარსის განმარტებას, ისე სახელმწიფოს ვალდებულებების დაკონკრეტებას.<sup>697</sup>

კონვენციის 24-ე მუხლი არ ადგენს ბავშვის უფლებას ჯანმრთელად ყოფნაზე, რამდენადაც გარანტიის გაცემა იმაზე, რომ ადამიანი არ გახდება ავად შეუძლებელია. უფლების შინაარსი გულისხმობს ბავშვის უფლებას ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებით.<sup>698</sup>

ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მის განსაზღვრაზე გავლენას ახდენს ბავშვის ბიოლოგიური მახასიათებლები და საარსებო გარემო ფაქტორები. ბიოლოგიური წინაპირობები დამოკიდებულია გენეტიკურ ფაქტორებზე, ისევე

694 იხ. კოდექსის მე-11 მუხლი.

695 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი მიუთითებს ეროვნული კანონმდებლობით დასადგენ შემდეგ დამატებით ვალდებულებებზე: ჯანდაცვაზე ბავშვის უფლების შინაარსის განმარტება, პასუხისმგებელ პირთა და უწყებათა კონკრეტული როლი და ფუნქციები; კონკრეტული მითითება, თუ რომელი სერვისებით შეუძლიათ ისარგებლონ ბავშვებმა, დედებმა და ორსულმა ქალებმა; სერვისებისა და მედიკამენტების ხარისხის რეგულირება (ზოგადი კომენტარი 15, პარა. 108.2).

696 იხ. კოდექსის 41-ე-45-ე მუხლები.

697 იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 343

698 C Kirchof *Die UN-Konvention über die Rechte des Kindes*, გვ. 125

როგორც ფეხმძიმობის პერიოდში მშობლის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. ბავშვის საარსებო გარემო კი დამოკიდებულია მშობლების და ოჯახის შესაძლებლობებზე. ასევე გასათვალისწინებელია ბუნებრივი გარემო ფაქტორები და კულტურული ტრადიციები. არანაკლებ მნიშვნელოვანია მშობლების და თავად ბავშვების დამოკიდებულება ჯანსაღი ცხოვრების წესების მიმართ.

კონვენციის 24-ე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული ბავშვის უფლება არის სამედიცინო. პირველი ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე. მეორე ნაწილი ადგენს ბავშვის უფლებას ისარგებლოს დაავადებათა მკურნალობის საშუალებებით, ხოლო მესამე ელემენტიდან გამომდინარე მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ ყველა ბავშვის ხელმისაწვდომობა ჯანმრთელობის დაცვის მომსახურებით. აღნიშნულ მუხლში მოცემული უფლება მოიცავს, როგორც ავადმყოფობის დიაგნოსტიკას, ისე მის თერაპიას და რეაბილიტაციას.<sup>699</sup>

კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში მოცემული ბავშვის უფლების სრული განხორციელებისთვის სახელმწიფოები ახორციელებენ აუცილებელ ზომებს, რომელიც მოცემულია ჩამონათვალის სახით, რაც არ არის ამომწურავი. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების მიზნიდან გამომდინარე სახელმწიფოს აქვს მთელი რიგი პოზიტიური ვალდებულებები<sup>700</sup>:

### ა) ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება

24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ეხება ბავშვისათვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის უზრუნველყოფას, რომელიც მოიცავს ბავშვების საყოველთაო აცრების და პრევენციული გამოკვლევების ჩატარებას. აღნიშნულის მიზანია ჩვილთა სიკვდილიანობის დონის და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირება. კვლევის მიზნებისთვის ჩვილთა სიკვდილიანობის დონე არის ვარაუდის საფუძველი, თუ რამდენი ბავშვი გარდაიცვლება დაბადების პირველივე წელს. აღნიშნული მონაცემები გამოითვლება ყოველი ათასი მშობიარობიდან. ის ასახავს საზოგადოების სხვადასხვა ფენებს შორის განსხვავებას. განვითარებად სახელმწიფოებში მაღალია მაჩვენებელი 5 წლამდე ბავშვებში ისეთ ავადმყოფობებით სიკვდილიანობის, რომელთა თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა შესაბამისი აცრების ჩატარების გზით. სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება აწარმოონ სტატისტიკა და გამოავლინონ სიკვდილიანობის მიზეზები, რომელიც ხელს შეუწყობს მათ წინააღმდეგ ბრძოლას<sup>701</sup>.

1978 წელს ალმა-ატაში ჩატარებული საერთაშორისო კონფერენციის დასკვნითი დოკუმენტი განმარტავს აუცილებელი სამედიცინო დახმარების შინაარს. ის მოიცავს საყოველთაოდ ხელმისაწვდომ სიცოცხლისათვის აუცილებელ სამ-

699 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 302

700 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 304-დან.

701 CRC/CGC/15, 2003, აბზ. 33

ედიცინო დახმარებას, რომელიც დაფუძნებულია მეცნიერულ კვლევებზე და სოციალურად აღიარებულ მეთოდებზე და ტექნიკურ საშუალებებზე. აგრეთვე, პრევენციული ღონისძიებები, მკურნალობის და რეაბილიტაციის მეთოდები მიეკუთვნება აუცილებელ სამედიცინო დახმარებას, ისევე როგორც ადამიანების ინფორმირება ჯანდაცვის პრობლემებზე და მისი თავიდან აცილების გზებზე, ჯანსაღ კვებაზე, სუფთა წყალზე და ჰიგიენის წესების დაცვაზე და ოჯახის დაგეგმვის საკითხებზე<sup>702</sup>.

ჯანდაცვის სისტემას უნდა ახასიათებდეს სამი ძირითადი ნიშანი - ხელმისაწვდომობა, მიმღებლობა და ხარისხი. პირველ რიგში, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს საკმარისი რესურსი, რომ ჯანდაცვის სერვისები ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდეს. მეორეს მხრივ, ფიზიკურად ხელმისაწვდომი მკურნალობის საშუალებები ფინანსურადაც ხელმისაწვდომი უნდა იყოს. ყველასათვის ხელმისაწვდომი ჯანდაცვის სისტემა უნდა აკმაყოფილებდეს მედიცინის მეცნიერებისა და ტექნიკის თანამედროვე განვითარების მინიმალურ სტანდარტებს<sup>703</sup>.

### **ბ) დაავადებებთან და შიმშილიანობასთან ბრძოლის ღონისძიებები**

კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი ერთმანეთთან აკავშირებს ჯანმრთელობას და სათანადო კვებას. შიმშილიანობასთან ბრძოლის ვალდებულება, პირველ რიგში, მიემართება განვითარებად სახელმწიფოებს, სადაც ხუთ წლამდე ბავშვების დიდი ნაწილი არასაკმარისი კვების, დაბინძურებული წყლის, არასაკმარისი ჰიგიენის, გადამდები ავადმყოფობების ან ამ ფაქტორების კომბინაციის შედეგად კვდება. თუ კი განვითარებადი სახელმწიფოებისთვის შიმშილი ქმნის პრობლემას, განვითარებულ სახელმწიფოებში ქარბი ნონა ხდება ჯანმრთელობის პრობლემების გამომწვევი. ამდენად, საუბარია არასწორ კვებაზე, რომელიც მოცემულია „დაავადებასთან და შიმშილობასთან ბრძოლის“ ვალდებულების შინაარსში.<sup>704</sup>

არასაკმარისი, ზედმეტი და არასწორი კვების თავიდან ასაცილებლად აუცილებელი კვების ოდენობა და შემადგენლობა განისაზღვრება ადამიანისათვის აუცილებელი კვების რაციონით, რომლის თანახმად, კვება უნდა იყოს დაბალანსებული, ანუ უნდა შეიცავდეს იმ ნივთიერებებს რომელიც მნიშვნელოვანია ადამიანის ზრდა-განვითარებისათვის და იმ ფიზიკური აქტივობების დასაფარად, რომელსაც ადამიანი ეწევა ყოველდღიურ ცხოვრებაში. კონვენციის წევრი სახელმწიფოების ვალდებულებაა, რომ უზრუნველყონ ბავშვების კვების მრავალფეროვნება და შესაბამისობა ადამიანის საჭიროებებთან. ეს ვალდებულება გულისხმობს საკვების მავნე ნივთიერების შემცველობისგან დაცვას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს კვების პროდუქტების წარმოების პროცესში ჰიგიენის წესების დაცვას. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ სრულყოფი-

702 Report of the International Conference on Primary Health Care, Alma Ata 6.-12.9.1978.

703 CESCR, E/C.12/2000/4, აბზ. 12

704 იხ. S Schmahl Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 306.

ლად მოხდეს პროდუქტის ეტიკეტირება, რომ ბავშვები არ გახდნენ მიმზიდველი რეკლამის, „მსხვერპლნი“, რომლებიც მარტივად ექცევიან მისი გავლენის ქვეშ. სახელმწიფოს ვალდებულებაა სრულყოფილი ინფორმაცია მიანოდოს ბავშვებს კვების პროდუქტების წარმოების პროცესში გამოყენებული ნივთიერებების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე შესაძლო გავლენების შესახებ.<sup>705</sup>

სახელმწიფოს ვალდებულება, ასევე, შეიცავს გარემოს დაბინძურების საშიშროების გათვალისწინებას. მსოფლიოს პრობლემაა დაბინძურებული წყლის და ჰიგიენის წესების დაუცველობა. აღნიშნულიდან გამომდინარე პრობლემების თვიდან აცილების მიზნით შემუშავებული იქნა საერთაშორისო სტანდარტები. ევროკავშირის რეგულაციების გვერდით მნიშვნელოვანია მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის სტანდარტები ბიოლოგიური და ფარმაცევტული პროდუქტების წარმოების სფეროში. სახელმწიფოები ვალდებული არიან უარი თქვან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემცველი პროდუქტების წარმოებასა და გამოყენებაზე (მაგ., აზბესტის წარმოების აკრძალვა).<sup>706</sup>

მართალია, კონვენცია პირდაპირ არ საუბრობს ბავშვის ეკოლოგიურ უფლებაზე, თუმცა მე-6 და 24-ე მუხლები ქმნიან ამ უფლების აღიარების სამართლებრივ საფუძვლებს. აღნიშნული გულისხმობს ბავშვის უფლებას მისი ჯანმრთელობა და განვითარება დაცული იქნას ბუნებრივი გარემოს უარყოფითი ზეგავლენისგან.<sup>707</sup>

### გ) დედის ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები

კონვენციის 24-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა იზრუნონ მშობლების მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში სათანადო კვებაზე. ამასთან ერთად დაცული უნდა იქნას ნაყოფი, დამოუკიდებლად იმ სადავო საკითხისა, დასაშვებია თუ არა აბორტი. უფრო მეტად აქ საუბარია დაბადებული ბავშვის დაცვაზე იმ ზიანისაგან, რომელიც შეიძლება, ერთი მხრივ, გამოიწვიოს მშობლების მხრიდან არასათანადო ზრუნვამ და, მეორე მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან მშობიარობის შემდგომ პერიოდში ბავშვზე და დედაზე ზრუნვის სათანადო ინსტრუმენტების არარსებობამ. რამდენადაც საუბარია მშობლის ჯანმრთელობის დაცვაზე, ეს გულისხმობს როგორც ფიზიკურ ისე სულიერ და სოციალურ კეთილდღეობას, აგრეთვე, პრევენციულ ღონისძიებებს და სათანადო პირობების შექმნას.<sup>708</sup> ფეხმძიმობის პერიოდში მნიშვნელოვანია დედის კვების პროცესის კონტროლი, განსაკუთრებით, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მიღებისგან პრევენცია, გადამდები ინფექციური ავადმყოფობისგან ნაყოფის დაცვა<sup>709</sup>. ამ მხრივ მნიშვნელოვანია

705 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 306.

706 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 307.

707 იხ. CRC/C/GC/15, 20013, აზ. 49-დან.

708 C Kirchof *Die UN-Konvention über die Rechte des Kindes* გვ, 131

709 C Kirchof *Die UN-Konvention über die Rechte des Kindes* გვ, 130

მშობლების სათანადო ინფორმირება. ჯანმრთელობის დაცვის მხარდაჭერის მნიშვნელოვანი ელემენტია მშობლების კონსულტირება მშობლობის უნარების გაძლიერების მიზნით<sup>710</sup>.

### დ) უარყოფითი ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრა

კონვენციის 24-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყველა ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისთვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე. აღნიშნული გამოწვეულია მსოფლიოში არსებული ბავშვთა ძალადობით. განსაკუთრებით გოგონების მიმართ, რომლებიც განიცდიან მრავალმხრივ დისკრიმინაციას სქესის და ასაკიდან გამომდინარე. პრობლემური საკითხია გოგონების გენიტალიების დასახიჩრება, რაც იწვევს ჯანმრთელობის პრობლემებს. ეს არის გაუმართლებელი და ექსტრემალური ფორმა ქალების დისკრიმინაციის. ასევე პრობლემურია ქალების ადრეულ ასაკში გათხოვება მათი ნების საწინააღმდეგოდ.<sup>711</sup>

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული ნორმა არ მოიცავს მამრობითი სქესის ბავშვების წინდაცვეთის პროცესისგან დაცვას, რამდენადაც ის თუ ხორციელდება ექიმის მიერ ჰიგიენური წესების დაცვით, არ მიიჩნევა ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვი მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში და ჰქონდეს ასაკის შესაბამისად საკუთარი აზრის გამოთქმის და მისი გათვალისწინების შესაძლებლობა.<sup>712</sup>

### ე) საერთაშორისო თანამშრომლობა

კონვენციის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული საერთაშორისო თანამშრომლობა მნიშვნელოვანია ჯანდაცვის სრულყოფილი სისტემის ჩამოყალიბებისათვის, განსაკუთრებით, განვითარებად სახელმწიფოებში. ამ მხრივ, ნევრ სახელმწიფოებს აქვთ შესაძლებლობა გამოიყენონ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის და გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერა. აღნიშნული ორგანიზაციების როლი კონვენციის მიზნების მიღწევაში ასახულია კონვენციის 45-ე მუხლის, „ა“ ქვეპუნქტში.<sup>713</sup>

## 2.2. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით

საქართველოს კონსტიტუციის 28-ე მუხლით გარანტირებულია მოქალაქის უფლება ხელმისაწვდომ და ხარისხიან ჯანმრთელობის დაცვის მომსახურება-

710 CRC/C/GC/15, 2013, abz. 54; CRC/C/GC/9, 2006, აბზ. 53

711 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 309.

712 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 311

713 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 311



ზე. უფლების შინაარსის განსაზღვრა კონსტიტუციის აღნიშნული მუხლის თანახმად, არის კანონმდებლის ვალდებულება. სახელმწიფოს კონსტიტუციური ვალდებულება უზრუნველყოს მოქალაქეების ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანმრთელობის დაცვის სერვისები, უშვებს აღნიშნული საჯარო ფუნქციის კერძო პირების საშუალებით განხორციელებას სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ, რაც გულისხმობს როგორც პრევენციულ კონტროლს ნებართვებისა და ლიცენზიების გაცემის ფორმით, ისე საქმიანობის პროცესში ხარისხის კონტროლს. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერი სერვისის მიმწოდებელი ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უსაფრთხოების დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხარისხის, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციისა და ეთიკის სტანდარტების შესაბამისად<sup>714</sup>.

კოდექსის 11-ე მუხლი განსაზღვრავს ბავშვის უფლებას ჯანმრთელობის დაცვაზე, რაც გულისხმობს ბავშვის უფლებას, მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული. უფლების შინაარსი მოიცავს, როგორც სახელმწიფოს ნეგატიურ ვალდებულებას დაიცვას ბავშვის აღნიშნული უფლება, ისე პოზიტიურ ვალდებულებას განახორციელოს ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებისა და დაცვის ღონისძიებები ბავშვისთვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და დაწესებულებების ხელმისაწვდომობის, აგრეთვე უზენაესი გარემოს უზრუნველყოფით. უფლების შინაარსის განმარტებას და სახელმწიფოს ვალდებულების დაკონკრეტებას ემსახურება კოდექსის 41-ე მუხლის დათქმა, რომლის თანახმად, ყოველ ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისებით (მათ შორის, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, სტაციონარული მომსახურების, რეაბილიტაციის), რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს გეოგრაფიული და ფინანსური თვალსაზრისით.

ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემა ემსახურება იმას, რომ უზრუნველყოფილი იქნას ყველა ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლება. კანონმდებელი, სახელმწიფოს ვალდებულებაში, განახორციელოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებები, რათა არცერთ ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება არ შეიზღუდოს, მიზანმიმართულად გამოყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი, ალტერნატიული ზრუნვისა და პენიტენციურ დაწესებულებებში მოთავსებული და დანაშაულის შედეგად დაზარალებული, მსხვერპლი და მონმე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების განხორციელების ვალდებულებას.

714 ადრეული განათლების სფეროში მომუშავე პირების პროფესიული ეთიკა და ადვოკატირების კომპეტენციები იხ. ც.ბარქაია, ა.ჯანელიძე, ნ.ჯიჯავაძე : ინკლუზიური ადრეული განათლება, (გაეროს ბავშვთა ფონდი 2019), გვ. 174-დან.

### 3. უფლების შეზღუდვის ფარგლები

ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე არ არის შეუზღუდავი უფლება. უფლების შეზღუდვის შეზღუდვას (შეზღუდვის ფარგლებს) გვაძლევს კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულებები. იმისათვის, რომ ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების შეზღუდვა იყოს გამართლებული, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ზომების მიღებას:

- ა) ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად;
- ბ) ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული, პრევენციული, საკონსულტაციო, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებითა და იმუნიზაციის სათანადო პროგრამებით ყველა ბავშვის უზრუნველსაყოფად;
- გ) სტანდარტის შესაბამისი საკვებითა და სუფთა წყლით ყველა ბავშვის უზრუნველსაყოფად;
- დ) საჭირო მინერალებით გამდიდრებული საკვებით ყველა ბავშვის უზრუნველსაყოფად, რათა შემცირდეს ბუნებრივი გარემოს დაბინძურების უარყოფითი შედეგები ან/და აღმოიფხვრას ბუნებრივი მინერალების დეფიციტი;
- ე) მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ქალთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;
- ვ) საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით - ბავშვებისა და მშობლებისთვის, ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების, ძუძუთი კვების უპირატესობის, ჰიგიენის, გარემოს დაცვის, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისგან დაცვის საკითხებზე ინფორმაციის მისაწოდებლად;
- ზ) პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების განსავითარებლად;
- თ) ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების დროულად გამოვლენისა და ადრეული ინტერვენციის განხორციელების მიზნით საიდენტიფიკაციო სისტემის შესაქმნელად;
- ი) ბავშვის ჯანმრთელობისთვის საზიანო ტრადიციული მიდგომების აღმოსაფხვრელად.

ბავშვის უფლება ჯანმრთელობის დაცვაზე უშვებს ბავშვის ფსიქიატრიული მკურნალობას ბავშვის მონაწილეობისა და მისი აზრის მოსმენის საფუძველზე, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, ხოლო ბავშვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით, უმოკლესი ვადით. ეს გადაწყვეტილება ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. ბავშვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა გრძელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.<sup>715</sup>

ბავშვის მიმართ მედიკამენტური ან სხვა სამედიცინო ღონისძიების გამოყენება მაშინ არის გამართლებული თუ ის თერაპიულ საჭიროებებს ეფუძნება და

715 კოდექსის 44-ე მუხლი.

არ გამოიყენება სპეციალისტის მიერ შეფასებისა და დანიშვნის გარეშე.<sup>716</sup>

#### 4. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

კოდექსით დადგენილი სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები მიემართება ხელისუფლების სამივე შტოს და ხორციელდება როგორც კანონშემოქმედების ფარგლებში, ისე მისი აღსრულების მექანიზმების უზრუნველყოფით.

პირველ რიგში, ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების რეალიზების პოლიტიკის შემუშავებას კოდექსის, კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.<sup>717</sup>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების რეალიზებისათვის შეიმუშავებს შესაბამის სტრატეგიის დოკუმენტს და სამოქმედო გეგმას ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, უწყებათაშორისი კოორდინაციითა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.<sup>718</sup>

მუნიციპალიტეტები ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.<sup>719</sup>

არასამთავრობო ორგანიზაციები ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამების ან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>720</sup>

ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, საგანმანათლებლო, ალტერნატიული ზრუნვისა და პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა, მათ შორის, ფიზიკური აღზრდის ღონისძიებების განხორციელებით, სათანადო ინფრასტრუქტურისა და ჯანსაღი საკვების უზრუნველყოფით, საინფორმაციო-საკონსულტაციო და რეფერირების სერვისების დანერგვით.<sup>721</sup>

ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგან-

716 კოდექსის 44-ე მუხლი

717 კოდექსის 41-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

718 კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

719 კოდექსის 41-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

720 კოდექსის 41-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

721 კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილი.

მანათლებლო და პროფესიული განათლების, ალტერნატიული ზრუნვისა და პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ფიზიკური აღზრდის, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის, მათ შორის, მომზადებისა და რისკების შემცირების, მექანიზმების დანერგვა.<sup>722</sup>

ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი და მონმე ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში. პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განისაზღვრება.<sup>723</sup>

ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მსხვერპლი ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში.<sup>724</sup>

---

722 კოდექსის 42-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

723 კოდექსის 43-ე მუხლის პირველი ნაწილი.

724 კოდექსის 43-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

## **§26. ბავშვის უფლება სოციალურ დაცვაზე**

### **1. უფლების შინაარსი**

კოდექსის მე-12 მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ბავშვის უფლებას ისარგებლოს სოციალური დაცვითა და მხარდაჭერით მისი და მასზე მზრუნველი პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და მდგომარეობის შესაბამისად.<sup>725</sup> კოდექსის მე-7 თავი<sup>726</sup> ადგენს ბავშვის აღნიშნული უფლების უზრუნველყოფის ძირითად სამართლებრივ საფუძვლებს.

### **2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები**

#### **2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი**

ბავშვის უფლება სოციალურ დაცვაზე არის ბავშვის კეთილდღეობის მიღწევის აუცილებელი წინაპირობა. კონვენციის 26-ე მუხლით გარანტირებული ეს უფლება მჭიდრო კავშირშია 27-ე მუხლთან, რომელიც ადგენს ბავშვის უფლებას უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების სათანადო დონით, რაც ვერ მიიღწევა სოციალურ უფლებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემის გარეშე.

#### **ა) უფლების ადრესატი**

კონვენციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები იღებენ აუცილებელ ზომებს თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, ბავშვის ამ უფლების სრული განხორციელებისათვის. ნორმის ეს ფორმულირება ასახავს უფლების პროგრესიულ ბუნებას, რაც ნიშნავს იმას, რომ სახეზეა არა უშუალო სუბიექტური უფლება, არამედ სახელმწიფოს ვალდებულების განმსაზღვრელი ნორმა, რომელიც კონვენციის მე-4 მუხლის მე-2 პარაგრაფთან შესაბამისობაში უნდა აღსრულდეს. დათქმა ეროვნულ კანონმდებლობაზე ადგენს ეროვნული სახელმწიფოების დისკრეციას, საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ უფლების დაცვის სისტემის შექმნა მისი პროგრესულად მზარდი რესურსების გათვალისწინებით.<sup>727</sup>

#### **ბ) უფლების ფარგლები**

უფლების შინაარსის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ნორმით გარანტირებული შეღავათები ბავშვს ეძლევა აუცილებლობისამებრ, რაც მისი მშობლების ან მის რჩენაზე პასუხისმგებელი სხვა პირების შესაძლებლობებზე არის დამოკიდებული. ამდენად, ეს არის არაპირდაპირი უფლება, რომლითაც სარგებლობენ ბავშვზე ზრუნვის უფლების მქონე პირები.<sup>728</sup>

ნორმის მეორე თავისებურება არის ის, რომ ნორმით გარანტირებული უფლებით სარგებლობა დამოკიდებულია ეროვნული კანონმდებლობით გათვა-

725 იხ. კოდექსის მე-12 მუხლის კომენტარი

726 იხ. კოდექსის 46-ე-52-ე მუხლები.

727 იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva), გვ. 320.

728 იხ. S Detrick *A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child* (Kluwer 1999 The Hague გვ.447

ლისწინებულ შესაძლებლობებზე და დამოუკიდებლად არ იძლევა უფლების დაცვის შესაძლებლობას.<sup>729</sup>

## 2.2. ბავშვის სოციალური დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით

საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის თანახმად, საქართველო არის სოციალური სახელმწიფო. სოციალური სახელმწიფოს იდეა ეფუძნება ადამიანის ღირსეული საარსებო მინიმუმით უზრუნველყოფის და ცხოვრების საერთო დონის ამაღლების და, შესაბამისად, სოციალური უსაფრთხოების დამკვიდრების მიზანს.

სოციალური სახელმწიფო, როგორც სახელმწიფოს ძირითადი პრინციპი, უშუალოდ არ აყალიბებს ძირითად უფლებებს. ის ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებებს. იმავდროულად საქართველოს კონსტიტუცია არ აკონკრეტებს თუ რა საშუალებებით უნდა იქნას მიღწეული სახელმწიფოს ეს მიზანი. სახელმწიფოს აქვს დისკრეტული უფლებამოსილება, თუ რა საშუალებებს გამოიყენებს სოციალური სახელმწიფოს მიზნის რეალიზაციისათვის. სახელმწიფომ უნდა შექმნას ადამიანის ღირსეული ყოფისათვის აუცილებელი მინიმუმი. თუ ის არ მიმართავს შესაბამის ზომებს, ამით ის დაარღვევს პოზიტიური ქმედების ვალდებულებას. კონსტიტუციის თანახმად, „სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თანაბარ სოციალურ-ეკონომიკურ და დემოგრაფიულ განვითარებაზე...“.<sup>730</sup>

სოციალური სახელმწიფოს შინაარსს აყალიბებს სახელმწიფო ზრუნვა ადამიანის ჯანმრთელობისა და სოციალურ დაცვაზე, საარსებო მინიმუმითა და ღირსეული საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე, ოჯახის კეთილდღეობის დაცვაზე. სახელმწიფო ხელს უწყობს მოქალაქეს დასაქმებაში. საქართველოს კონსტიტუციამ გაცილებით გააფართოვა სოციალური სახელმწიფოს შინაარსი და მასში ჩართო ზრუნვა ეროვნული ფასეულობებისა და თვითმყოფადობის, კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის, სპორტის, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და განვითარებაზე, ბავშვებისა და ახალგაზრდების ჩართვაზე ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში<sup>731</sup>. უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების სამშობლოსთან კავშირის შენარჩუნება და განვითარება კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, განისაზღვრა როგორც სახელმწიფოს სოციალური ფუნქცია.<sup>732</sup>

კანონმდებლისათვის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული პოზიტიური ვალდებულების შესაბამისად, საქართველოს კანონი „სოციალური დახმარების შესახებ“ აწესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე სოციალური დახ-

729 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 320.

730 საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი.

731 საქართველოს კონსტიტუციის მე-5 მუხლის მე-5-6 პუნქტები.

732 იხ. გ. ხუბუა *საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები სახელმძღვანელო*, (თბილისი 2016), გვ. 63.

მარების მიღებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარების სფეროში უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოებს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებსა და მისი დანიშვნის ძირითად პრინციპებს. კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული დათქმის შესაბამისად, კოდექსი არ აუქმებს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით მოქმედ სხვა საკანონმდებლო რეგულაციებს, არამედ განამტკიცებს მათ. კოდექსით დადგენილი ბავშვის სოციალური დაცვის უფლებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემა ემსახურება ქვეყანაში არსებული სოციალური დაცვის სისტემის სრულყოფას, რომელიც ბავშვს უქმნის შესაძლებლობას, ისარგებლოს სოციალური დაცვითა და მომსახურებით მისი და მასზე მზრუნველი პირების მდგომარეობის, ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად.

ბოლო 20 წლის განმავლობაში მუდმივი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, საქართველოში სიღარიბე კვლავ რჩება ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, 2018 წელს მოსახლეობის 20.1% აბსოლუტურ სიღარიბეში ცხოვრობდა (მონაცემები მოცემულია ქვეყნის მიერ აბსოლუტური სიღარიბის ზღვრად დადგენილ ნორმასთან მიმართებით) 16,17. სიღარიბის დონე ბევრად მაღალი იყო ბავშვებს შორის (25.5%), ვიდრე სამუშაო ასაკის მოსახლეობაში (19.5%) და ასაკოვან ადამიანებში (14.4%). სიღარიბის გავრცელება ასევე უფრო მაღალია სოფლად (23.1%), ვიდრე ქალაქში (18%). სურათი იგივეა უკიდურესი სიღარიბის შემთხვევაშიც (დღეში 1.25 აშშ დოლარის საზომით): გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ ჩატარებული ბავშვთა სიღარიბის ბოლო ანგარიშის თანახმად, ბავშვებში უკიდურესი სიღარიბის რისკი 6.8%-ია. გაეროს ბავშვთა ფონდის ბავშვთა სიღარიბის კვლევები ასევე გვაჩვენებს, რომ მოწყვლადი ოჯახების გარკვეულ ტიპებს, როგორცაა ოჯახები, სადაც არავინ არის დასაქმებული, მარტოხელა მშობლიანი ოჯახები და ოჯახები სამი ან მეტი ბავშვით, სიღარიბე უფრო მეტად ემუქრებათ, ვიდრე სხვა ტიპის ოჯახებს. ბავშვთა სიღარიბე არ არის კონცენტრირებული არც გეოგრაფიულად, და არც რომელიმე მოწყვლად ჯგუფში (მათ შორის, არც იმ ჯგუფებში, სადაც ბუნებრივი კატასტროფების მეტი რისკია).<sup>733</sup>

ბავშვის მხარდაჭერა სოციალური დაცვის უფლების ფარგლებში, კოდექსის თანახმად, გულისხმობს ბავშვის მიზნობრივი სოციალური დახმარების მოდელს, სადაც დახმარების ოდენობა, სახე და ხანგრძლივობა განისაზღვრება ბავშვისა და მისი ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებებისა და გარემოებების შეფასების საფუძველზე. სოციალური დაცვის სფეროში განეული მიზნობრივი სოციალური დახმარება არ უნდა იყოს ერთჯერადი და ფრაგმენტული, არამედ მას უნდა ჰქონდეს განგრძობადი ხასიათი (საჭიროების გათვალისწინებით) და კომპლექსურად უნდა მოიცავდეს ბავშვის განათლების, ჯანდაცვის, რეაბილიტაციის, სოციალური ინტეგრაციის და სხვა ინდივიდუალური საჭიროებების მდგრად უზრუნველყოფას.<sup>734</sup>

733 იხ. საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის მზაობის შეფასება, (გაეროს ბავშვთა ფონდი), 2020.

734 კოდექსის 46-ე მუხლი.

ბავშვის უფლება სოციალურ დაცვაზე მოიცავს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებებს, რაც გულისხმობს:

ა) სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვის სოციალური დაცვის პოლიტიკის, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება. აღნიშნული დოკუმენტები უნდა ეფუძნებოდეს კოდექსით, საქართველოს კონსტიტუციით, კონვენციით და სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებს. ბავშვის სოციალური დაცვის პოლიტიკა არის ქვეყნის სოციალური დაცვის პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი და ყალიბდება ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური ფაქტორების გათვალისწინებით. ბავშვის სოციალური დაცვის პოლიტიკა, პირველ რიგში, ყალიბდება კანონშემოქმედების პროცესში. საქართველოს პარლამენტი განსაზღვრავს ბავშვის უფლებათა დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის შექმნის და განვითარების გზით. ბავშვის სოციალური უფლებების სათანადო რეალიზება შეუძლებელია სახელმწიფოს მიერ წინასწარ დადგენილი თანმიმდევრული ღონისძიებების გარეშე. სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმების შემუშავება ემსახურება პოლიტიკის დოკუმენტში დადგენილი მიზნების სისრულეში მოყვანას. საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა აღიარების, აღსრულების და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და განხორციელების გზით.

ბ) გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (UNCRPD) სახელმწიფოს სოციალური დაცვის ვალდებულებას უკავშირებს სოციალურ თანადგომას და მხარდაჭერას, რომელიც მიმართული უნდა იყოს მიმღებთა ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და სოციალური უსაფრთხოებისაკენ. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოში მოქმედი სოციალური დაცვის პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ უსაფრთხოებასა და სიღარიბის პრევენციას, კოდექსმა განსაზღვრა სახელმწიფოს ვალდებულება განახორციელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დამალვისგან, მიტოვებისგან, უგულვებლყოფისა და სეგრეგაციისგან დასაცავად აუცილებელი ყველა ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიება<sup>735</sup>.

გ) სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებიდან გამომდინარე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის სოციალური დაცვის პროგრამებს შეიმუშავებს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით და ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან უწყებათაშორისი თანამშრომლობით. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №670 დადგენილებით დამტკიცდა „სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2021 წლის სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამის ამოცანაა „ბავშვის უფლებათა კოდექსის“

735 კოდექსის 46-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



დებულებათა გათვალისწინებით უზრუნველყოს შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით (მუხლი 1). პროგრამა მოიცავს როგორც პრევენციულ ისე მხარდაჭერით ქვეპროგრამებს, რომელთა განხორციელებისას გათვალისწინებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესები(მუხლი 2).

მუნიციპალიტეტი ბავშვის სოციალური დაცვის პროგრამებს შეიმუშავებს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.<sup>736</sup>

არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის სოციალური დაცვის ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივითა და ფინანსური რესურსებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.<sup>737</sup>

### 3. ბავშვის უფლება ცხოვრების სათანადო სტანდარტზე

კოდექსის 47-ე მუხლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, იზრდებოდეს ოჯახურ, მისი პიროვნების პატივისცემის, სიყვარულისა და ურთიერთგაგების გარემოში. კოდექსით გარანტირებული ბავშვის ეს უფლება ეფუძნება კონვენციის 27-ე მუხლით გარანტირებული ყველა ბავშვის უფლებას უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი თუ სოციალური განვითარებისათვის.

კოდექსის 47-ე მუხლის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ადამიანის უფლებების დამდგენი სხვა ნორმებისგან განსხვავებით, რომლებიც ადგენენ უფლებას ცხოვრების სათანადო დონეზე, ის ადგენს კაუზალურ კავშირს ცხოვრების სათანადო დონესა და ბავშვის ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, ზნეობრივ და სოციალურ განვითარებას შორის<sup>738</sup>. ასეთი მიდგომა, ერთი მხრივ, ნათელს ხდის განუყოფელ კავშირს ცხოვრების სათანადო დონესა და ფიზიკურ და ფსიქიკურ ასპექტებს შორის<sup>739</sup>. მეორე მხრივ, აყალიბებს უშუალოდ აღსრულებად უფლებას, რომელიც ადგენს ინდივიდუალურ მოთხოვნებს, რომელიც იძლევა

736 კოდექსის 46-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

737 კოდექსის 46-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

738 ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობს მის სრულფასოვან ფიზიკურ, ინტელექტუალურ, გონებრივ, სოციალურ და მორალურ განვითარებას (კოდექსის 47-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

739 იხ. G van Bueren *The International Law on the Rights of the Child*, გვ. 317, აგრეთვე, General Comment CRC/C/GC/13, 2011, აბზ. 15.

ბავშვის უფლების სრულყოფილი დაცვის შესაძლებლობას.<sup>740</sup>

კოდექსის 47-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, ბავშვის ცხოვრების სათანადოდ სტანდარტი ითვალისწინებს ბავშვის სულ მცირე საკვებით, სუფთა სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი გარემოთი, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობით, ჯანსაღი ცხოვრების წესის, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისგან დაცვის შესახებ საბაზისო ინფორმაციითა და შესაბამისი მექანიზმებით უზრუნველყოფას. ბავშვის ეს უფლება ნაკითხული უნდა იქნას, როგორც მშობლის (ბავშვის სხვა აღმზრდელების) ვალდებულების განმსაზღვრელი ნორმა, რომ დაიცვას ბავშვი სახელმწიფოს მხრიდან შეუსაბამო ჩარევებისგან, იმავდროულად, ბავშვს შეუქმნას ცხოვრების სათანადო დონე. ეს მიდგომა გამოიმდინარეობს ბავშვის აღზრდის სფეროში მშობლის უპირატესი მდგომარეობიდან. მშობლის დისკრეციული უფლებამოსილება მთავრდება იქ სადაც იწყება სახელმწიფოს ვალდებულება დაიცვას ბავშვის კეთილდღეობა, რამდენადაც მშობელი არ ან ვერ ასრულებს თავის უფლებამოსილებას.<sup>741</sup>

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის 23-ე მუხლის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვებს და მასზე მზრუნველ პირებს სახელმწიფომ უნდა მიაწოდოს ბავშვის საჭიროებების და მისი ოჯახის მდგომარეობის შესაბამისი დახმარება. გრძელვადიანი მხარდაჭერა უნდა იყოს საჭიროებისამებრ უფასო და დაგეგმილი ისე, რომ უზრუნველყოს ბავშვის ეფექტური წვდომა განათლებაზე, ტრენინგზე, ჯანდაცვის და რეაბილიტაციის სერვისებზე, მოამზადოს დასაქმებისთვის, რათა საბოლოო ჯამში ხელი შეუწყოს ბავშვის სრულყოფილ სოციალურ ინტეგრაციას და ინდივიდუალურ განვითარებას. სახელმწიფო ვალდებულია, თუ ოჯახი ვერ ზრუნავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვზე, მიიღოს ყველა ზომა, რათა უზრუნველყოს ალტერნატიული ზრუნვა უფრო დიდი ოჯახის (ოჯახი სადაც რამდენიმე თაობა ერთად ცხოვრობს - ბებია და ბაბუა, ბიძები, მამიდები და მათი შვილები) ფარგლებში, და, თუ ეს შეუძლებელია, ალტერნატიულ ოჯახურ გარემოში.

კოდექსის 47-ე მუხლის მე-4 ნაწილი ცალკე აწესრიგებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის უფლებას ცხოვრების სათანადოდ სტანდარტზე, რომელიც არის მისი ისეთივე უფლება, როგორიც სხვა ბავშვის. მონესრიგების თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ ეს სტანდარტი უნდა ითვალისწინებდეს გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ბავშვის ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობისთვის. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების ცხოვრების სათანადოდ პირობების შექმნა ითხოვს ყველა ბავშვისათვის საერთო გარემოს შექმნას (ინკლუზიურ სისტემას) ისეთი დიზაინით, რომ მისი ადაპტირება და სპეციალური დიზაინის გამოყენება არ გახდეს საჭირო. უნივერსალური დიზაინი არ გამოორიცხავს საჭიროების შემთხვევაში ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესა-

740 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 325

741 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 326

ბამისად მათთვის დამხმარე საშუალებების მიწოდებას ან სხვაგვარად ხელის შეწყობას<sup>742</sup>. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განხორციელებული აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებები არ უნდა იწვევდეს არათანაბარი ვალდებულების წარმოშობას და უნდა უზრუნველყოფდეს ყველა ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად რეალიზებას<sup>743</sup>.

კოდექსის 47-ე მუხლის მე-5-მე-8-ე ნაწილები ადგენს სახელმწიფოს სეკუნდარულ ვალდებულებას, მშობლებს, რომლებიც არიან ბავშვის ამ უფლების უზრუნველყოფაზე პირველადი პასუხისმგებლობის მატარებელი, მხარი დაუჭირონ ამ პასუხისმგებლობის რეალიზაციისათვის:

ა) საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის ცხოვრების სათანადო პირობების დაცვის სტანდარტების შემუშავებას და უწყებათაშორისი და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით განხორციელებას. ბავშვის უფლებათა კოდექსი ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სფეროში უფლებამოსილ ყველა უწყებას ავალდებულებს შეთანხმებულ და კოორდინირებულ საქმიანობას. კოდექსი საფუძველს უყრის ინტერდისციპლინარულ უწყებათაშორისი თანამშრომლობის დანერგვა-განვითარებას, რაც შესაძლებლობას იძლევა გააძლიერებოს მიღებული იქნას ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების გათვალისწინებით, სადაც მნიშვნელოვანია უწყებების მხრიდან საკუთარი როლის ზუსტი განსაზღვრა, რომ, ერთი მხრივ, თავად ბენეფიციარმა (ბავშვი და მისი ოჯახი) მეყსეულად მიმართონ შესაბამის უწყებას მომსახურების მისაღებად, ხოლო, მეორე მხრივ, შესაბამისმა სამსახურებმა დროული რეაგირება მოახდინონ. ბავშვის უფლებებზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემის ცენტრში დგას ბავშვის საჭიროებები.<sup>744</sup> სისტემის ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის სტრუქტურების შესახებ ინფორმაციის შეგროვება, სადაც შეფასების ფაქტორები შეიძლება იყოს სქესი, ასაკი, საცხოვრებელი გარემო, სოციალური და ეთნიკური წარმომავლობა და ოჯახური მდგომარეობა. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე უნდა მოხდეს მოწყვლადი ჯგუფების გამოვლენა და მიზნობრივი მხარდაჭერა<sup>745</sup>.

ბ) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბავშვისთვის უვნებელი და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად, გარემოს დასაცავად, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისგან ბავშვის დასაცავად ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს უწყებათაშორისი კოორდინაციითა და

742 უნივერსალური დიზაინი, იხ. კოდექსის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი. გონივრული მისადაგება და უნივერსალური დიზაინი იხ. ბროდერიკი *გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა* გვ. 32.

743 გონივრული მისადაგება, იხ. კოდექსის მე-3 მუხლი „ნ“ ქვეპუნქტი. ლიტ: ა.ბროდერიკი *გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა 2017*.

744 დანვრლებით იხ. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია *უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზამკვლევი ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულებისთვის* (თბილისი 2020).

745 CRC/C/2003/5, 2003, აბზ. 30-დან.

მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

გ) უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსა და მუნიციპალიტეტისთვის სავალდებულოა ურბანული დაგეგმარების, განაშენიანების, მშენებლობის ნებართვის გაცემის და რეკონსტრუქციული პროექტის შესახებ გადამწყვეტილებების მიღების დროს ბავშვის ცხოვრების სათანადო სტანდარტების გათვალისწინება.

დ) სახელმწიფო ორგანო და მუნიციპალიტეტი ქმნიან სამართლებრივ მექანიზმებს და იღებენ სათანადო ზომებს ბავშვის თამაშისა და დასვენების, რეკრეაციულ, კულტურულ და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

#### **4. ბავშვის სოციალური განვითარება და სოციალური აქტივობა**

ბავშვის სოციალური დაცვის უფლებაზე დაფუძნებული ბავშვის მხარდაჭერის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტებია ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერა და ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა. აუცილებელია ამ ორი ტერმინის ურთიერთმიმართების გააზრება და განმასხვავებელი ნიშნების გამოყოფა, რომ აღნიშნულმა ინსტრუმენტებმა შეასრულონ კოდექსით დადგენილი მიზნები.

##### **4.1. ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერა**

ბავშვის სოციალური დაცვის უფლებაზე დაფუძნებულ ბავშვის მხარდაჭერის სისტემაში მნიშვნელოვანი ფუნქცია აქვს ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერას. ამ მიზნით შემუშავებული შესაბამისი პროგრამები თავისი შინაარსითა და მეთოდოლოგიით უნდა ემსახუროდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და უნდა განხორციელდეს ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობით. აღნიშნული მოიცავს: ა) ბავშვის სოციალური აქტივობის ღონისძიებებს, ბ) ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს და გ) ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობის ღონისძიებებს<sup>746</sup>.

იმის გათვალისწინებით, რომ საზოგადოებაში ხდება ე.წ. „პრობლემურ“ ჯგუფებს მიკუთვნებული ბავშვების გამოყოფა, რომელიც აერთიანებს ბავშვებს, რომლებიც ექცევიან ისეთი ფაქტორების გავლენის ქვეშ, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიზაროს სხვადასხვა გამოწვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები (სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი)<sup>747</sup>, ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერა ემსახურება ამ ბავშვებში ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, რაც ხელს უწყობს აღნიშნული ბარიერების დაძლევას და მათ საზოგადოე-

746 კოდექსის 48-ე მუხლის პირველი ნაწილი.

747 კოდექსის მე-3 მუხლის „ჟ“ ქვეპუნქტი.

## 4.2. ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა

ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა არის ის ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება არა მხოლოდ .ე.წ., „პრობლემურ“ ჯგუფებს მიკუთვნიებული ბავშვების (სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვები) მიმართ განხორციელებული სოციალური განვითარების მხარდაჭერის პროგრამების ფარგლებში, არამედ გულისხმობს ზოგადად ბავშვის ოჯახში, სკოლამდელ და ზოგადად განმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე ბავშვის განათლების და აღზრდის პროცესის თანმდებ (პარალელ) მხარდაჭერ პროცესს. ის ოჯახისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების გვერდით განიხილება, როგორც მესამე მნიშვნელოვანი სვეტი, რომელიც ახდენს ბავშვის აღზრდა-განათლების პროცესის სრულყოფას.

ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა ხდება ბავშვის სასწავლო პროცესისგან თავისუფალი დროის ხარჯზე, შესაბამისად, ის უნდა განხორციელდეს მისი მონაწილეობით და მისი ინტერესების გათვალისწინებით.

ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა მოიცავს შესაბამის პროცესში ჩართულ ბავშვზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ, ზოგად (ლია) და ჯგუფურ ღონისძიებებს. ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამის ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს<sup>749</sup>:

ა) არაფორმალური განათლება ზოგადი, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, შემეცნებითი, ტექნიკური, ეკოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებებით;

ბ) გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობი სპორტული და გასართობი ღონისძიებები;

გ) სასკოლო ან შრომით ვალდებულებებსა და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ღონისძიებები;

დ) ბავშვთა დასვენების პროგრამები;

ე) ბავშვთა საკონსულტაციო პროგრამები;

ვ) კულტურული და სახელოვნებო პროგრამები;

ზ) წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროგრამები.

ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობის პედაგოგიური მიზანია ბავშვის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბება. ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობის ღონისძიებებმა ნვლილი უნდა შეიტანოს ბავშვის პიროვნულ განვითარებაში, კერძოდ:

ა) პერსონალური და სოციალური კომპეტენციების გაძლიერებაში;

ბ) თვითშეფასებისა და თვითკრიტიკის უნარის გაძლიერებაში;

748 H Lorenzen ‘Wer sind wir und wieviele?’ *Lebendige demokratie. Die Aufgabe der Jugendsozialarbeit* 19 (2018)

749 კოდექსის 50-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები.

- გ) გააზრებული გადაწყვეტილებების მიღების უნარის ჩამოყალიბებაში;
- დ) პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებაში;
- ე) სოლიდარული პასუხისმგებლობის გრძნობის და სოციალური აქტივობის უნარის გაძლიერებაში;
- ვ) კომუნიკაციის უნარების ჩამოყალიბებაში;
- ზ) თანამშრომლობითი და მშვიდობიანი თანაარსებობის უნარების ჩამოყალიბებაში.

ბავშვის სოციალური აქტივობის სახელმწიფო პროგრამას შეიმუშავენ და ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო<sup>750</sup>, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში განსახორციელებელი ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა განისაზღვრება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ<sup>751</sup>. მუნიციპალიტეტი ბავშვის სოციალური აქტივობის ღონისძიებებს ახორციელებს მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ან შესაბამისი სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში<sup>752</sup>. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის სოციალური აქტივობის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამის ან ბავშვის სოციალური აქტივობის სახელმწიფო პროგრამის/მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის სამინისტროსთან/ მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე<sup>753</sup>.

### 4.3. ბავშვის სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა

ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერა და ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა ხორციელდება ბავშვის სოციალური ინკლუზიის პროგრამების საფუძველზე. სოციალური ინკლუზია ეფუძნება პრინციპს, რომ ყველა ბავშვი ღირებული და მნიშვნელოვანია. მისი მიზანია ყველა ბავშვისთვის უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა, შესაძლებლობა და მონაწილეობის უფლება უთანასწორო მოპყრობისა და ბარიერების გარეშე. პროგრამის შინაარსი უნდა ეფუძნებოდეს თანასწორი მოპყრობის საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერას, რაც უნდა აისახოს ბავშვისთვის შეთავაზებულ ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერის და ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობის საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სპორტულ, კულტურულ და პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებში<sup>754</sup>.

750 კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

751 კოდექსის 50-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

752 კოდექსის 50-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

753 კოდექსის 50-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

754 კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილი.

ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებების შინაარსის განსაზღვრისას აუცილებელია ორი ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილება: 1. ის უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს და 2. ის ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის მონაწილეობის, მრავალფეროვანი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების, არჩევანის გაკეთებისა და გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ხელშეწყობაზე.<sup>755</sup>

ბავშვის სოციალური ინკლუზიის სახელმწიფო პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით<sup>756</sup>. მუნიციპალიტეტი ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში<sup>757</sup>. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამის ან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე<sup>758</sup>.

#### 4.4. ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობა

ბავშვის სოციალური აქტივობის მხარდასაჭერად იქმნება ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამები.

მოხალისეობის საკანონმდებლო მონესრიგება ხდება საქართველოს კანონით „მოხალისეობის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის თანახმად, მოხალისეობა არის ფიზიკური პირის მიერ საკუთარი ცოდნითა და უნარით, ნებაყოფლობით და უანგაროდ განხორციელებული საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობა.

ა) ურთიერთობის მხარეები

მოხალისეობითი ურთიერთობა არის მოხალისისა და მასპინძელი ორგანიზაციის ურთიერთობა, რომელიც კოდექსის და „მოხალისეობის შესახებ“ საქართველოს კანონის და მხარეთა თავისუფალი ნების საფუძველზე მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ხორციელდება.

მოხალისე შეიძლება იყოს 16 წელს მიღწეული ფიზიკური პირი. 16 წლამდე

755 კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

756 კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

757 კოდექსის 51-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

758 კოდექსის 51-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

არასრულწლოვანი მოხალისეობით ურთიერთობას ახორციელებს თავისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ მოხალისეობითი ურთიერთობა არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას<sup>759</sup>.

მოხალისეობა ხორციელდება სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში. ხელშეკრულება იდება წერილობით ან ზეპირად, განსაზღვრული ვადით ან საქმიანობის განხორციელების ვადით. ხელშეკრულება აუცილებლად წერილობით იდება, თუ მოხალისეობითი ურთიერთობა 1 თვეზე მეტ ხანს გრძელდება. ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს მოხალისის მიერ განსახორციელებელი საქმიანობის სახე, მისი განხორციელების ხანგრძლივობა და ადგილი, არსებობის შემთხვევაში – მოხალისის სტატუსთან დაკავშირებული შეღავათები, აგრეთვე მხარეთა უფლება-მოვალეობანი.<sup>760</sup> ხელშეკრულებაში აღინიშნება მოხალისის სამუშაო დროის ხანგრძლივობა, რაც მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. 16 წლიდან 18 წლამდე მოხალისის სამუშაო დროის ხანგრძლივობა კვირაში 36 საათს არ უნდა აღემატებოდეს<sup>761</sup>.

ხელშეკრულების მხარე მასპინძელი ორგანიზაცია შეიძლება იყოს:

- რეზიდენტი ან არარეზიდენტი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან მისი ფილიალი;
- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;
- სამედიცინო დაწესებულება, მიუხედავად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა;
- საერთაშორისო ორგანიზაცია, მისი წარმომადგენლობა ან ფილიალი;
- მუნიციპალიტეტის ორგანო.

ბ) საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა

მოხალისეობის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, გარდა იმისა, რომ არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ინტერესებს, ასევე უნდა იყოს საზოგადოებრივად სასარგებლო. ასეთად მიიჩნევა იმ იურიდიული პირისთვის დახმარების განევა, რომელიც საქმიანობას ახორციელებს ერთ-ერთ შემდეგ სფეროში: ადამიანის უფლებათა დაცვის, დემოკრატიის, სამოქალაქო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების განვითარების, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების, სიღარიბის დაძლევისა და

759 მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

760 მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

761 მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-9 მუხლი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>



სოციალური დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის, გარემოს დაცვის, ახალგაზრდობისა და ბავშვთა საკითხების, გენდერული საკითხების, კონფლიქტების მოგვარების, საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დახმარების, მიგრაციის, ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების ხელშეწყობის, სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ცხოველთა უფლებების დაცვის სფეროები<sup>762</sup>.

გ) ნებაყოფლობითი და უანგარო ხასიათი

ბავშვის მოხალისეობრივი საქმიანობა გულისხმობს შესაბამისი პროგრამების ფარგლებში ბავშვის მიერ ნებაყოფლობით და უანგაროდ ანუ ანაზღაურების გარეშე, საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც არ გამოირიცხავს მასპინძელი ორგანიზაციის მხრიდან გარკვეული ხარჯების განწესის ვალდებულებას. მოხალისის მოთხოვნის შემთხვევაში მასპინძელი ორგანიზაცია ვალდებულია აუნაზღაუროს მას მოხალისეობის განხორციელებისათვის განუვლი აუცილებელი ხარჯები, მათ შორის:

- საკონსულო მომსახურების (შესაბამისი ვიზის გაფორმების, ვიზის მოქმედების ვადის გაგრძელების) ხარჯები;
- მგზავრობის ხარჯები;
- საცხოვრებლის დაქირავების (ადგილის დაჯავშნის და ცხოვრების) ხარჯები;
- კვების, კომუნიკაციისა და სადღეღამისო ხარჯები.

დ) მოხალისის უსაფრთხოების უზრუნველყოფა

ბავშვის მიერ მოხალისეობის განხორციელებისას მნიშვნელოვანია კანონით დადგენილი მასპინძელი ორგანიზაციის ვალდებულება, მოხალისე მოხალისეობის განხორციელებისას უსაფრთხო გარემოთი უზრუნველყოს.<sup>763</sup> ეს მოიცავს მასპინძელი ორგანიზაციის ვალდებულებას მოხალისეს დროულად, გონივრულ ვადაში, გასაგები ფორმით მიაწოდოს სრული, ობიექტური ინფორმაცია ყველა ფაქტორის შესახებ, რომლებიც მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობაზე მოქმედებს. მასპინძელი ორგანიზაცია ვალდებულია დანერგოს მოხალისის უსაფრთხოების უზრუნველყოფი პრევენციული სისტემა და მოხალისეს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული რისკისა და მისი თავიდან აცილების ღონისძიებების თაობაზე, საფრთხის შემცველი აღჭურვილობისადმი მოპყრობის წესების შესახებ, აგრეთვე აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოს მოხალისე პერსონალური დამცავი აღჭურვილობით და მიიღოს ყველა სხვა გონივრული ზომა მოხალისის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დასაცავად.

მასპინძელი ორგანიზაციის ვალდებულება, ასევე მოიცავს მოხალისეობის განხორციელებისას მოხალისის ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო წარმოშობილი ზიანის, აგრეთვე მკურნალობისათვის აუცილებელი

762 მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

763 მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

ხარჯების საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული წესების დაცვით ანაზღაურების ვალდებულებას.

ე) მესამე პირების წინაშე პასუხისმგებლობა

მასპინძელი ორგანიზაცია ვალდებულია მესამე პირს აუნაზღაუროს ზიანი, რომელიც მას მოხალისის მიერ მოხალისეობის განხორციელებისას მისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით მიადგა.<sup>764</sup> ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობის სახე და პირობები განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით. თუ კი მასპინძელი ორგანიზაცია არის ადმინისტრაციული ორგანო (სზაკ-ით მონესრიგებული ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის მიზნებისთვის), ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა არ დგება, თუ მოხალისე ბრალის გარეშე მოქმედებდა.

ვ) პროგრამების შექმნის უფლებამოსილება

ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობ პროგრამებს შეიმუშავენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო და მუნიციპალიტეტები კერძო სექტორთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.<sup>765</sup> საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობ პროგრამებში მონაწილე ბავშვის ნახალისებას ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში<sup>766</sup>.

764 მოხალისეობის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლი.

ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

765 კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 ნაწილი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

766 კოდექსის 52-ე მუხლის მე-4 ნაწილი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

## §27. ბავშვის უფლება ძალადობისგან დაცვაზე

### 1. უფლების შინაარსი

კოდექსით გარანტირებულია ბავშვის უფლება ძალადობისგან დაცვაზე, რაც მოიცავს ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულვებელყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან. ბავშვის ეს უფლება იცავს მას ოჯახში, სკოლაში და ნებისმიერ სხვა ადგილზე, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში.<sup>767</sup>

ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლების შინაარსს, როგორც კონვენციის ისე კოდექსის შემთხვევაში, რამდენიმე ნორმის ერთობლიობა ქმნის. კონვენციის 19-ე, 32-ე-37-ე მუხლების და კოდექსის 38-ე, 53-ე - მე-60 მუხლების განმარტების საფუძველზე უნდა დადგინდეს ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლებაზე დაფუძნებული მხარდაჭერის სისტემის ძირითადი ელემენტები.<sup>768</sup>

კონვენციის მე-19 მუხლით დადგენილი სახელმწიფოს ვალდებულების მიზანია ბავშვის დაცვა ისეთი ქმედებისგან, რომლის მოტივაცია არის ბავშვის ფსიქიკური ან ფიზიკური ზიანის მიყენება ან მისი დამცირება. პრობლემურია შემთხვევები, როდესაც მოქმედებას ან უმოქმედობას უშუალოდ არ აქვს ასეთი მიზანი. მაგალითად, როდესაც ბავშვის კეთილდღეობის მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენება ბავშვის ფიზიკური დასჯა, როგორც აღზრდის მეთოდი. მითუფრო, როდესაც კონვენციის ხელმომწერი ყველა სახელმწიფო (მაგ., ავსტრალია, კანადა, ირანი) არ კრძალავს ბავშვის აღზრდაზე პასუხისმგებელი პირების მხრიდან „შესაბამისი“ ფიზიკური ძალის გამოყენებას.<sup>769</sup> რამდენადაც კონვენციის აღნიშნული ნორმა უთითებს ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის ყველანაირ ფორმაზე, ეს მეტყველებს იმაზე, რომ ნორმის ამოსავალი წერტილია ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან თავისუფალი აღზრდის მეთოდი. ასეთ მიდგომას ავითარებს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტი<sup>770</sup>. სხვაგვარია მიდგომა ბიჭების მიმართ წინადაცვეთის პრაქტიკასთან დაკავშირებით. განსხვავებით გოგონებისგან, ბიჭების შემთხვევაში კომიტეტი არ აფასებს მას კონვენციის საპირისპირო ქმედებად<sup>771</sup>.

767 კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილი.

768 R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva). გვ. 250. აგრეთვე, S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 243.

769 იხ. Schmahl *Kinderrechtskonvention Handkommentar*, გვ. 243.

770 იხ. CRC/GC/2001/1, 2001, 8

771 იხ. CRC/GC/15/Add, 122, 2016, 13

## 2. უფლების სამართლებრივი საფუძვლები

### 2.1. უფლების საერთაშორისო სამართლებრივი ასპექტი

ანტიდისკრიმინაციული ნორმები გვხვდება ადამიანის უფლებათა ყველა საერთაშორისო ხელშეკრულებაში, რომელიც ემსახურება ამ დოკუმენტებში ასახული უფლებების დისკრიმინაციის გარეშე უზრუნველყოფას: ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (ICCPR), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტი (ICESCR), კონვენცია, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ევროპის საბჭოს კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (სტამბოლის კონვენცია) და ა.შ. ადამიანის უფლებათა ზოგიერთი საერთაშორისო ხელშეკრულება ითვალისწინებს პირთა კონკრეტული კატეგორიის დაცვას დისკრიმინაციისგან. მაგალითად, გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CEDAW) უზრუნველყოფს ქალთა თანასწორუფლებიანობას. მსგავსად, კონვენცია რასობრივი დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ (CERD) მიემართება კონკრეტულად რასობრივ თანასწორობას. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD) კრძალავს დისკრიმინაციას შეზღუდული შესაძლებლობების ნიშნით. სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით აკრძალულია დისკრიმინაცია სხვადასხვა კონკრეტულ სფეროში: მაგალითად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის №111 კონვენცია ეხება დისკრიმინაციას შრომის სფეროში.<sup>772</sup>

კონვენციის მე-19 მუხლი ადგენს ბავშვის უფლებას დაცული იქნას ძალადობისა და უგულვებელყოფისგან, რომელსაც ადგილი აქვს ოჯახურ გარემოში, თუმცა არა მარტო. აღნიშნულ ნორმაში მოცემული დათქმა - „ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან“ გულისხმობს ასევე იმ პირებს, რომლებიც სასწავლო ან სასჯელალსრულების დაწესებულებებში ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვის და საზედამხედველო უფლებამოსილებებს.<sup>773</sup>

კონვენციის მე-19 მუხლი არის ბავშვის ძალადობისგან დაცვის მომწესრიგებელი ძირითადი ნორმა, თუმცა ის განმარტებული უნდა იქნას კონვენციის მე-9, 24-ე 32-ე-37-ე მუხლებთან მჭიდრო კავშირში.<sup>774</sup>

კონვენციის ძირითადი მიდგომაა მშობლების, როგორც ბავშვის უფლებების დაცვაზე პასუხისმგებელი პირების და ოჯახის როგორც ბავშვის ზრდისა და კეთილდღეობისათვის მნიშვნელოვანი საზოგადოების ძირითადი უჯრედის აღიარება. შეიძლება ითქვას, რომ კონვენციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამონეგვაა ბავშვების დაცვა ოჯახური ძალადობის ყველა ფორმისგან.

772 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 245

773 იხ. CRC/GC/2001/1, 2001, 8; CRC/C/GC/8, 2006, 44; CRC/C/GC/13, 2011, 3ა, 4

774 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 243

სახელმწიფოს ვალდებულება მიემართება როგორც საკანონმდებლო ისე აღმასრულებელ ხელისუფლებას და მოიცავს როგორც ნორმათქმომქმედების პროცესს, ისე ადმინისტრაციულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.<sup>775</sup>

## **2.2. ბავშვის ძალადობისგან დაცვის უფლება საქართველოს კანონმდებლობით**

### **ა. უფლების შინაარსი**

ძალადობა არის თანამედროვე სოციალური ურთიერთობების აქტუალური პრობლემა, რომლის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა ოჯახში ძალადობა. ოჯახში ძალადობას მიეკუთვნება ოჯახის ერთი წევრის მიერ განხორციელებული ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობა და იძულება. ოჯახში ძალადობის თავისებურება მდგომარეობს იმაში, რომ მას ახასიათებს ფარული და განგრძობადი ხასიათი, რამდენადაც ის ხორციელდება ოჯახის წევრის ან წევრების მიერ სხვა ოჯახის წევრის მიმართ.

ძალადობისგან დაცვის უფლების მნიშვნელობა ვლინდება იმაში, რომ ის გავლენას ახდენს ადამიანის სხვა უფლებებზე, როგორცაა, მაგალითად, სიცოცხლის უფლება, ჯანმრთელობის დაცვის უფლება, პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება და ა.შ.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ განსაზღვრავს იმ ქმედებათა ერთობლიობას, რომლებიც დამახასიათებელია ოჯახში ძალადობისათვის და ადგენს ოჯახში ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძვლებს, აგრეთვე ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა სოციალური და სამართლებრივი დაცვისა და დახმარების გარანტიებს.

კოდექსით განსაზღვრული ბავშვის უფლება ძალადობისგან დაცვაზე მოიცავს მთელ რიგ აკრძალვებს, რაც არის უფლების შინაარსის განსაზღვრის აუცილებელი ელემენტები:

ა) აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა. ეს აკრძალვა ვრცელდება ოჯახზე, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებზე, აგრეთვე ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მინოდებისას, სამედიცინო დაწესებულებაში ან/და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, პენიტენციურ დაწესებულებაში სერვისების განხორციელებისას და ნებისმიერ სხვა ადგილას. აღნიშნული შეზღუდვა მოიცავს როგორც აღმზრდელობითი მიზნით ისე დისციპლინური ღონისძიების სახით ძალის გამოყენების დაუშვებლობას. აღნიშნული მოთხოვნის დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრებას.<sup>776</sup> სსსკ-ის 126-ე და 126<sup>1</sup> მუხლები ადგენს ძალადობის და ოჯახში ძალადობის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ღონისძიებებს.

775 CRC/C/CG/13, 2011, 20

776 კოდექსის 53-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ბ) აკრძალულია ბავშვის მიმართ ტრადიციული რიტუალის აღსრულების მიზნით ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, წამებას, მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას (მათ შორის, გოგონას სასტიკო ორგანოს დასახიჩრება, ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება რეპროდუქციის უნარის მოსაშლელად), მიუხედავად ბავშვის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა.<sup>777</sup> აღნიშნულ პრაქტიკად არ ითვლება ისეთი ტრადიციული რელიგიური რიტუალი, როგორცაა ნათლობა<sup>778</sup>. შეზღუდვა ასევე არ ვრცელდება ვაჟების წინდაცვეთის რიტუალზე, თუ ის ხორციელდება ჯანდაცვის სტანდარტების დაცვით და ბავშვის ინფორმირებული თანხმობით.

გ) აკრძალულია ბავშვის მიმართ სამედიცინო დახმარების ან მკურნალობის ისეთი მეთოდების (მათ შორის, აქტიური ბიოლოგიური (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა) მეთოდების) გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას და ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს.<sup>779</sup>

## ბ. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები

სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მის შესახებ შეტყობინებისთვის, გასაჩივრებისთვის, რეფერირებისა და გამოძიებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.<sup>780</sup> სახელმწიფოს მხრიდან ეს ვალდებულება ხორციელდება, როგორც კანონშემოქმედების ისე აღსრულებისა და მართლმსაჯულების დონეზე. საკანონმდებლო დონეზე შექმნილია ბავშვის ძალადობისგან დაცვის სამართლებრივი საფუძვლები<sup>781</sup>, მათ შორის, სისხლისსამართლებრივი და ად-

777 კოდექსის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

778 კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

779 კოდექსის 53-ე მუხლის მე-4 ნაწილი. ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის შესახებ გაეროს რეზოლუციის თანახმად, წამლით ან მედიკამენტოზური მკურნალობით შეზღუდვა უნდა დაეფუძნოს თერაპიულ საჭიროებებს და არასდროს უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალისტის შეფასების და დანიშვნის გარეშე ((გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვისთვის, პარა. 97 (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.))

780 კოდექსის 53-ე მუხლის მე-6 ნაწილი

781 ბავშვთა ალტერნატიული ზრუნვის შესახებ გაეროს რეზოლუციის თანახმად, კანონით მკაცრად უნდა აიკრძალოს ყველა სახის დისციპლინური ზომები და ქცევების მართვის მეთოდები, რაც მოიცავს წამებას, სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, მათ შორის ჩაკეტილ სივრცეში მოთავსებას ან სხვა სახის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას, მშობელთან ან სხვა ოჯახის წევრებთან კონტაქტის შეზღუდვას ((გაეროს გენერალური ასამბლეა, სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვთა

მინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმების სახით. ბავშვის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ბავშვის ძალადობისგან დაცვის პრევენციული მექანიზმები საინფორმაციო-აღმზრდელობითი ღონისძიებებისა და ძალადობის მსხვერპლი ბავშვების დაცვის სახით. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა<sup>782</sup> უზრუნველყოფს ბავშვის ძალადობისგან დაცვას, მათ შორის, ზიანის ანაზღაურების მექანიზმების საშუალებით. საგანმანათლებლო დაწესებულებებში იქმნება ბავშვის ძალადობისგან დაცვის პრევენციული მექანიზმები.

### 3. შრომის საზიანო ფორმებისგან ბავშვის დაცვა

ბავშვის უფლება შრომით ურთიერთობებში იქნას დაცული, არის ერთ-ერთი რთული საკითხი, რამდენადაც ეს, ერთი მხრივ, უკავშირდება ბავშვის სოციალურ მდგომარეობას და ეკონომიკურ საჭიროებებს, მეორე მხრივ, რთულია არალეგალური შრომითი საქმიანობის ერთიანი განმარტების ჩამოყალიბება. იმის გათვალისწინებით, რომ მთელი რიგი სამუშაოები ბავშვისათვის შესაფერისი და სარგებლის მომტანიც შეიძლება იყოს. მსუბუქი სამუშაოების შესრულებისას ბავშვებს გამოუმუშავდებათ პასუხისმგებლობის უნარი და სხვა მნიშვნელოვანი კომპეტენციები. ასეთი სამუშაოები შესაძლებელია შესრულდეს როგორც ოჯახურ მეურნეობებში, ისე მის გარეთ ახალგაზრდული მუშაობის და პროფესიული განათლების პროგრამების ფარგლებში. ბავშვის დაცვა არ გულისხმობს ბავშვის საქმიანობის აკრძალვას ასეთ შემთხვევებში, არამედ, ის იცავს მას ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისა თუ ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის.<sup>783</sup>

ბავშვის უფლებათა კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოს აკრძალოს ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები<sup>784</sup>, დაარეგულიროს სამუშაო პირობები და გა-

---

ალტერნატიული ზრუნვისთვის, პარა. 96 (რეზოლუცია 64/142), 24 თებერვალი 2010 წ.)

782 ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, (გაეროს ბავშვთა ფონდი 2017).

783 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 361

784 ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმებში გულისხმობს ყოველგვარი სახის მონობას, ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა ტრეფიკინგს, იძულებით შრომას, მათ შორის, სავალდებულო ან იძულებით დაქირავებას შეიარაღებული კონფლიქტისთვის; ბავშვთა პროსტიტუციასა და პორნოგრაფიულ საქმიანობაში, ასევე ნარკოტიკებით ვაჭრობაში ჩაბმა; ისეთ შრომაში ჩაბმა, რაც თავისი ბუნებით ან გარემოებებით საზიანოა მისი ჯანმრთელობის, უსაფრთხოების ან მორალისთვის (მუხ. 3). აღნიშნული აკრძალული საქმიანობის ფორმები უნდა იყოს განსაზღვრული ეროვნული კანონებით ან რეგულაციებით, განსაკუთრებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციების გათვალისწინებით. სახელმწიფომ უნდა გამოავლინოს, თუ სად ხდება შრომის ამ ფორმების გამოყენება. შრომის უკიდურესი ფორმების ჩამონათვალი უნდა გადაიხედოს და განახლდეს პერიოდულად (საერთაშორისო კონვენცია ბავშვთა შრომის

რემო დასაქმებული მოზარდებისთვის (138<sup>785</sup>-ე და 182<sup>786</sup>-ე კონვენციების მიხედვით), რათა უზრუნველყოს მათი სრულად დაცვა და მათი წვდომა სამართლებრივი დაცვის მექანიზმებზე<sup>787</sup>. საფრთხის შემცველ, მძიმე, მავნე და საშიში პირობებით სამუშაოს შესრულებისგან ბავშვის დასაცავად სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს. ამ მიზნით, პოზიტიური ვალდებულებების ფარგლებში, სახელმწიფო:

ა) განსაზღვრავს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე ან საშიში პირობებით სამუშაოს კონკრეტული ფორმებისა და პირობების ჩამონათვალს, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ განახლებას<sup>788</sup>. საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, აკრძალულია არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება სათამაშო ბიზნესთან, ღამის გასართობ დაწესებულებებთან, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ფარმაცევტული და ტოქსიკური ნივთიერებების დამზადებასთან, გადაზიდვასთან და რეალიზაციასთან დაკავშირებული სამუშაოების შესასრულებლად. ასევე, კოდექსის 63-ე მუხლის მე-2 მუხლის თანახმად, აკრძალულია ბავშვის შრომითი საქმიანობა ისეთ დაწესებულებაში სადაც ხდება ალკოჰოლური სასმელების, ეროტიკული და პორნოგრაფიული პროდუქციის, ტოქსიკური ნივთიერებების, სამედიცინო მიზნით გამოყენებისათვის ნებადართული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების ან/და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია ან ფუნქციონირე-

---

უკიდურესი ფორმების შესახებ 182, მუხ. 4).

785 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1973 წლის კონვენცია დასაქმებულთა მინიმალური ასაკის განსაზღვრის შესახებ ადგენს, რომ მონაწილე ქვეყნის ვალდებულებაა ეროვნული პოლიტიკის განხორციელება, რომელიც მიზნად ისახავს, უზრუნველყოს ბავშვთა შრომის გაუქმება და დასაქმებულთა მინიმალური ასაკის თანდათანობით ამაღლება ან იმის უზრუნველყოფა, რომ მუშაობის დონე სრულ შესაბამისობაში იყოს არასრულწლოვანი პირების ფიზიკურ და გონებრივ განვითარებასთან.

786 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების აკრძალვისა და დაუყოვნებლივ აღმოფხვრის ღონისძიებების შესახებ.

787 General Comment #4, პარა. 11, გვ. 5-6; 32 (ე), გვ. 11.

788 სახელმწიფომ, შრომის უკიდურესი ფორმების განსაზღვრისას და ამ ფორმების გამოყენების ადგილის დადგენისას, მხედველობაში უნდა მიიღოს, მათ შორის: - სამუშაო, რომელიც ბავშვს აყენებს ფიზიკური, ფსიქოლოგიური ან სექსუალური ძალადობის ქვეშ; - მიწისქვეშა, წყალქვეშა, სახიფათო სიმაღლეზე ან დახურულ სივრცეში შრომა - სამუშაო, რაც დაკავშირებულია სახიფათო ტექნიკასთან, ალჭურვილობასა და იარაღებთან, ან რომელიც მოიცავს მძიმე ტვირთების ხელით გადაზიდვას ან ტრანსპორტირებას; - სახიფათო ნივთიერებებთან, აგენტებთან ან პროცესებთან, ან ტემპერატურასთან, ხმაურის დონესთან, ან ვიბრაციასთან დაკავშირებული სამუშაო, რამაც შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის ჯანმრთელობის დაზიანება; - ხანგრძლივი ან ღამის საათებში მუშაობა, ასევე როდესაც ბავშვს სამუშაოს შესრულებისას უწევს დახურულ სივრცეში ყოფნა - 16 წლის ასაკიდან ბავშვისთვის მუშაობის ნებადართვა მხოლოდ იმ პირობით, რომ ბავშვთა ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და მორალი სრულად იქნება დაცული და ბავშვები წინასწარ მიიღებენ სათანადო კონკრეტულ ინსტრუქციებს ან პროფესიულ ტრენინგს შესასრულებელ სამუშაოსთან დაკავშირებით (1999 წლის რეკომენდაციებით ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ (მე-3 და მე-4 პარაგრაფი).



ბს, როგორც სათამაშო ბიზნესი და ღამის გასართობი დაწესებულება.

ბ) ადგენს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე ან საშიშპი რობე-ბით სამუშაოს ფორმებისა და ადგილების იდენტიფიცირების წესს, განსახორ-ციელებელ ღონისძიებებს და პასუხისმგებელ უწყებას. საქართველოს შრომის კოდექსის მე-4 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად აკრძალულია არასრულწლო-ვანთან შრომითი ხელშეკრულების დადება მძიმე, მავნე და საშიშპირობებით სამუშაოების შესასრულებლად.

გ) ადგენს ბავშვის დასაქმების მინიმალურ ასაკს. საქართველოს შრომის კო-დექსის მე-4 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა 16 წლის ასაკიდან. 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის შრომითი ქმედუნარიანობა წარმოიშობა მისი კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნვე-ლობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით, თუ შრომითი ურთიერთობა არ ენი-ნაალმდეგება არასრულწლოვნის ინტერესებს, ზიანს არ აყენებს მის ზნეობრივ, ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას და არ უზღუდავს მას სავალდებულო დაწყებითი და საბაზო განათლების მიღების უფლებასა და შესაძლებლობას. კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხ-მობა ძალაში რჩება მსგავსი ხასიათის შემდგომი შრომითი ურთიერთობის მი-მართა. აღნიშნული ნორმა ასევე უშვებს 14 წლამდე ასაკის არასრულწლოვან-თან შრომითი ხელშეკრულების დადებას, თუ კი ეს დაკავშირებულია სპორტის, ხელოვნების და კულტურის სფეროში საქმიანობასთან ან სარეკლამო სამუშაოს შესასრულებლად.

დ) ადგენს სამუშაო საათებს და სამუშაო პირობების სავალდებულო სტანდ-არტებს. საქართველოს შრომის კოდექსის მე-14 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილე-ბის თანახმად, 16 წლიდან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 36 საათს, ხოლო 14 წლიდან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნის სამუშაო დროის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 24 საათს. საქართველოს შრომის კოდექსის მე-18 მუხ-ლის თანახმად, აკრძალულია ღამის სამუშაოზე (22 საათიდან 6 საათამდე) არას-რულწლოვნის დასაქმება.

ე) ადგენს შრომის ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე უწყებას, რო-მელსაც შეუძლია მიმართოს ბავშვმა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

საქართველოს შრომის კოდექსის 39-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვ-ნის კანონიერ წარმომადგენელს ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს უფ-ლება აქვს, მოითხოვოს არასრულწლოვანთან შრომითი ხელშეკრულების შეწყ-ვეტა, თუ მუშაობის გაგრძელება ზიანს მიაყენებს არასრულწლოვნის სიცოცხ-ლეს, ჯანმრთელობას ან სხვა მნიშვნელოვან ინტერესებს.

#### **4. ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა**

კოდექსის 55-ე მუხლი ადგენს ბავშვის ყველა ფორმის ეკონომიკური ექს-პლუატაციისგან დაცვის ვალდებულებას, რომლის გამოვლენის ფორმები არის მრავალფეროვანი. ბავშვის ეკონომიკური ექსპლუატაცია, აღნიშნული ნორ-

მის მიზნებისთვის გულისხმობს ფულადი ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით ბავშვის იძულებას რაიმე მოქმედების შესასრულებლად ან მომსახურების გასანევაად, რაც ბავშვს აყენებს მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში. აღნიშნული ასევე მოიცავს ორგანოს ამოღების ან ბავშვის სხვაგვარი გამოყენების მიზანს, რაც შეიძლება მოხდეს იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, ნაქეზებით, მასზე გავლენის სხვაგვარად მოხდენით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.<sup>789</sup>

ეკონომიკური ექსპლუატაციის ერთ-ერთი ფართოდ გავრცელებული ფორმაა ბავშვის მონყალების თხოვნაზე ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე დაყოლიება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, ნაქეზებით, მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით, ისევე როგორც ბავშვის იძულება, ნაქეზება, დაყოლიება ან გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად ან მისი ისეთი სამუშაოს შესრულებაში ჩაბმა, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური თუ სოციალური განვითარებისთვის.

სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დასაცავად.<sup>790</sup> ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში უნდა განხორციელდეს ბავშვის დაცვის საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები და დაინერგოს ეკონომიკური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების დაცვის მექანიზმები.

## 5. ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა

კონვენციის 34-ე მუხლი კონვენციის მე-19 მუხლთან კავშირში, ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას დაიცვას ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციისგან და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისგან, პროსტიტუციისა და პორნოგრაფიის ჩათვლით.<sup>791</sup>

სექსუალური ექსპლუატაცია კონვენციის 34-ე მუხლის მიზნებისთვის უნდა განიმარტოს, როგორც ბავშვის გამოყენება სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ბავშვის ემოციური და ფიზიკური მდგომარეობის ხარჯზე. ცნების შინაარსი ასახავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ექსპლუატაციის შედეგად მესამე პირები იღებენ ფინანსურ სარგებელს. ხშირად ბავშვსა და სრულწლოვან პირს შორის სექსუალური კავშირი მყარდება მესამე პირების შუამავლობით შესაბამისი ანაზღაურების საფუძველზე. ამ ურთიერთობაში ბავშვის თანხმობის არსებობას არ აქვს მნიშვნელობა, რამდენადაც, ეს როგორც წესი, მუქარას ან ფინანსურ იძულებას ეფუძნება. კონვენციის 34-ე მუხლის „ა“ და „ბ“ პუნქტებში

789 იხ. G Dorsch *Die Konvention der Vereinten Nationen über die Rechte des Kindes* (Dunker&Humblot 1994 Berlin), გვ. 229. van Bueren, *The International Law on the Rights of the Child* (Nijhoff 1998 the Hague) გვ. 280.

790 კოდექსის 55-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

791 იხ. Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) გვ. 513, აგრეთვე, S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 363.

მოცემული ელემენტი „უკანონო“ ინვესტს გაუგებრობას. რამდენადაც აღნიშნული ნორმა ბავშვს იცავს სექსუალური ექსპლუატაციისგან, ბავშვის დაყოლიება სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის გამოყენება სექსუალურ პრაქტიკაში არ შეიძლება ქმნიდეს სექსუალური ექსპლუატაციის ლეგიტიმურ ფორმებს.<sup>792</sup>

კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე სახელმწიფოს პოზიტიური დაცვის ვალდებულების საფუძველზე საქართველოს კანონმდებელმა კოდექსის 56-ე მუხლში დაადგინა ბავშვს უფლება დაცული იყოს სექსუალური ექსპლუატაციისგან და ნებისმიერი სხვა ფორმის სექსუალური ძალადობისგან. კოდექსის აღნიშნული მუხლის თანახმად:

ა) აკრძალულია ბავშვის იძულება, ჩაებას რაიმე სექსუალურ მოქმედებაში.

ბ) აკრძალულია პროსტიტუციასა და სხვა სექსუალურ მოქმედებაში ბავშვის ჩაბმა.<sup>793</sup>

გ) აკრძალულია პორნოგრაფიულ საქმიანობაში, პორნოგრაფიული ხასიათის მასალების დამზადებაში, რეკლამირებაში, გავრცელებაში, გადაცემაში, მიღებაში, ექსპორტსა და იმპორტში, ამ მასალებით ვაჭრობაში ბავშვის ჩაბმა.<sup>794</sup>

აღნიშნული მოთხოვნების დარღვევა ინვესტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სამართლებრივ შედეგებს.

აღნიშნული დაცვის ფუნქციის გვერდით სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს სექსუალური ექსპლუატაციისგან ან სხვა ფორმის სექსუალური ძალადობისგან ყველა ბავშვის, მათ შორის, გოგონებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, დასაცავად.<sup>795</sup> ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში უნდა განხორციელდეს საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები, აგრეთვე, მსხვერპლ ბავშვებს მიენოდოს ფსიქოლოგიური რეაბილიტაციის სერვისები.

## 6. ბავშვით ვაჭრობის აკრძალვა და ბავშვის დაცვა ტრეფიკინგისგან

კონვენციის 35-ე მუხლი მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს მიიღონ

792 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 364.

793 ბავშვთა პროსტიტუცია გულისხმობს ბავშვის გამოყენებას სექსუალურ მოქმედებებში ფულადი ანაზღაურების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით. ბავშვის შეთავაზება, მიღება, მოძიება ან გადაცემა პროსტიტუციის მიზნით (იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ).

794 ბავშვთა პორნოგრაფია გულისხმობს ბავშვის ნებისმიერ გამოსახულებას, ნებისმიერი საშუალებით, რომელიც ასახავს მის მონაწილეობას რეალურ ან იმიტირებულ პირდაპირ სექსუალურ მოქმედებებში ან ბავშვის სასქესო ორგანოების ნებისმიერ გამოსახულებას უპირატესად სექსუალური მიზნებისთვის. ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გავრცელება, მიწოდება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან ფლობა უპირატესად სექსუალური მიზნებისთვის (იხ. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ).

795 კოდექსის 56-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

ყველა აუცილებელი ზომა ბავშვთა მოტაცების, ბავშვებით ვაჭრობის ან მათი კონტრაბანდის თავიდან აცილების მიზნით.<sup>796</sup>

ბავშვით ვაჭრობა განიმარტება როგორც ნებისმიერი საქმიანობა, რომლის მიზანია ფულადი ანაზღაურების ან ნებისმიერი სხვა სარგებლის მიღების მიზნით პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ბავშვის სხვა პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის გადაცემა<sup>797</sup>.

კონვენციის 35-ე მუხლით აკრძალული ბავშვით ვაჭრობის აკრძალვა უნდა გაიმიჯნოს კონვენციის 11-ე მუხლით მოწესრიგებული ბავშვთა უკანონო გადაადგილებისგან, რომლის მიზანია ბავშვის მშობელთან ურთიერთობის აღდგენა, რამდენადაც 35-ე მუხლი მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვის უკანონო გადაადგილება ხდება ფულადი ანაზღაურების ან ნებისმიერი სხვა სარგებლის მიღების მიზნით. კონვენციის 35-ე მუხლი შესაძლებელია გამოყენებული იქნას კონვენციის 21-ე მუხლთან კავშირში, რამდენადაც ბავშვის უკანონო გადაადგილების მიზანი შეიძლება იყოს ბავშვის შვილად აყვანა.<sup>798</sup>

სახელმწიფო ახორციელებს ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას ბავშვით ვაჭრობის ზემოთ მოცემული შემთხვევების პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით.<sup>799</sup> კოდექსის 57-ე მუხლით განსაზღვრულ სახელმწიფოების პოზიტიურ ვალდებულებებს მიეკუთვნება საკანონმდებლო მოწესრიგება (განსაკუთრებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგენა), რომელიც უზრუნველყოფს ბავშვით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლას, ასევე ადმინისტრაციული ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მიმართული იქნება ბავშვით ვაჭრობის სფეროში საერთაშორისო დანაშაულების წინააღმდეგ ეფექტური ღონისძიებების განხორციელებისკენ. სახელმწიფოს ამ პოზიტიური ვალდებულების შესრულების შედეგია საქართველოს კანონმდებლობის მიერ კოდექსის 57-ე და 58-ე მუხლებში ბავშვით ვაჭრობის აკრძალვა და ბავშვის ტრეფიკინგისგან დაცვის ღონისძიებების საკანონმდებლო მოწესრიგება.

კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს ბავშვით ვაჭრობის შინაარსს, რომელიც ხორციელდება პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ფულადი ანაზღაურების ან ნებისმიერი სხვა სარგებლის მიღების მიზნით.

ბავშვით ვაჭრობის მიზანი შეიძლება იყოს ბავშვის სექსუალური ან შრომითი

796 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 367.

797 კონვენციის მე-2 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის „ა“ ქვეპიქტი. ბავშვით ვაჭრობა გულისხმობს ბავშვის გადაცემა ერთი ადამიანის ან ადამიანთა ჯგუფის მიერ მეორეზე ფულადი ანაზღაურების ან სხვა სახის სარგებლის მიღების მიზნით; ბავშვის შეთავაზება, გადაცემა ან მიღება, ნებისმიერი საშუალებით, შემდეგი მიზნებით: სექსუალური ექსპლუატაცია, ორგანოების გადანერგვა სარგებლის მისაღებად, იძულებით შრომაში ჩაბმა. შუამავლის მიერ ანგარებით პირის დაწრმუნება თანხმობა გასცეს ბავშვის გაშვილებაზე შვილად აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით.

798 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 368

799 კოდექსის 57-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

ექსპლუატაცია, ორგანოს გადანერგვა ან სხვა სარგებლის მიღება, რომელიც ქმნის კოდექსის 57-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოწესრიგების შინაარსს, ხოლო ბავშვის შვილად აყვანა, როგორც ბავშვით ვაჭრობის მიზანი, მოწესრიგებულია აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილში.

ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)<sup>800</sup> განიხილება, როგორც მონობის თანამედროვე, სახეშეცვლილი ფორმა<sup>801</sup>. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, აღნიშნული დანაშაული მოიცავს პირის ძალისმიერი, მოტყუებითი ან იძულების სხვა საშუალებებით გადაბირებას, ტრანსპორტირებას, გადაყვანას, შეფარებას ან მიღებას ექსპლუატაციის მიზნით, რომელშიც მოიაზრება როგორც კომერციულ-სექსუალური, ასევე შრომითი ექსპლუატაცია<sup>802</sup>.

ყოველ წელიწადს მსოფლიოში საშუალოდ ორიდან ოთხ მილიონამდე ადამიანი ხდება ტრეფიკინგის მსხვერპლი, მათგან 70% ქალები და ბავშვები არიან. ხშირ შემთხვევაში, ისინი საზოგადოების ყველაზე დაუცველ ფენას წარმოადგენენ.

საკითხის სიმწვავიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტმა შეიმუშავა „საქართველოს კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“, რომელიც წარმოადგენს დანაშაულის თავიდან აცილებისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძველს. გარდა ამისა, საქართველოს მიერ რატიფიცირებულია „ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი“ და „ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“.

კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, აკრძალულია ბავშვის მოძიება, ტრანსპორტირება, გადაცემა, ადგილის გადაცემა ან მიღება მუქარით, ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენებით, მოტაცებით, გაყალბებით, მოტყუებით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით ან პირის მიერ მისი გავლენის ქვეშ მყოფ პირზე ზეწოლით თანხმობის მისაღებად ფულადი ან სხვა სარგებლის გაცემის ან მიღების გზით, ექსპლუატაციის მიზნით.

800 „ტრეფიკინგი“ - ადამიანის მოძიება, ტრანსპორტირება, გადაცემა, ადგილის გადაცემა ან მიღება, მუქარის ან ძალის გამოყენების ან იძულების სხვა ფორმების, მოტაცების, გაყალბების, მოტყუების, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ან მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით, ან ერთი პირის მიერ მისი გავლენის ქვეშ მყოფ მეორე პირზე ზეწოლით თანხმობის მისაღებად ფულადი ან სხვა სახის სარგებლის გაცემის ან მიღების გზით, ექსპლუატაციის მიზნით (ევროპის საბჭოს კონვენცია ტრეფიკინგის წინააღმდეგ („ვარშავის კონვენცია“)).

801 მიუხედავად იმისა, რომ კონვენციის 35-ე მუხლი არ იყენებს ამ ტერმინს.

802 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ცალკე დანაშაულად არ ადგენს „ბავშვით ვაჭრობას“. საქართველოს კანონმდებლობა ბავშვით ვაჭრობას განმარტავს ტრეფიკინგის ქრილში და არ ადგენს, როგორც ცალკე დანაშაულს. ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმი ერთმანეთისგან განასხვავებს ბავშვით ვაჭრობასა და ბავშვთა ტრეფიკინგს. ტრეფიკინგის დანაშაული მოიცავს ვაჭრობას, თუმცა ბავშვით ვაჭრობა ყველა შემთხვევაში არ წარმოადგენს ტრეფიკინგს.

## 7. შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან ბავშვის დაცვა

მსოფლიოში მიმდინარე საომარი მოვლენების შედეგად მილიონობით ბავშვი იღუპება ან იღებს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებებს. ასევე, მილიონობით ბავშვი ხდება იძულებული დატოვოს საკუთარი ოჯახი და იყოს ლტოლვილის სტატუსით, ხშირად, მშობლების გარეშე. მსოფლიოს მრავალ სახელმწიფოში ბავშვები აღნიშნულ მდგომარეობაში ექცევიან არა მხოლოდ როგორც სამოქალაქო პირები, არამედ, როგორც კონფლიქტში მონაწილეები. ბავშვების (მათ შორის, გოგონების) გამოყენება ხდება არა მხოლოდ სახელმწიფოს შეიარაღებულ ძალებში, არამედ სახელმწიფო ხელისუფლებების წინააღმდეგ შექმნილ არაფორმალურ გაერთიანებებშიც. ბავშვების აქტიური ჩართვა სამხედრო გაერთიანებებში გამოწვეულია იმით, რომ მათზე ზეგავლენის მოხდენა არის მარტივი, რამდენადაც სწრაფად ექცევიან იძულების ან ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ და ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე ასრულებენ ბრძანებებს, განადგურონ ყველაფერი რაც კი მოძრაობს.<sup>803</sup>

კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან. კოდექსით გარანტირებული ეს უფლება ეფუძნება კონვენციის 38-ე მუხლით გარანტირებული უფლების შინაარსს, რომელიც აყალიბებს შეიარაღებულ კონფლიქტებში ბავშვთან ურთიერთობის ნორმებს.

კოდექსი ბავშვს იცავს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან. კანონმდებელი შეგნებულად არ იყენებს ტერმინს „ომი“, რაც ქმნის ჰუმანიტარული საერთაშორისო სამართლის ფართო გამოყენების შესაძლებლობას. მიუხედავად იმისა, ფორმალურად არის თუ არა გამოცხადებული საომარი მოქმედებების დაწყება, თუ კი სახელმწიფოები იყენებენ შეიარაღებულ ძალებს ერთმანეთთან ურთიერთობაში, ან სახელმწიფოს შიგნით ადგილი აქვს შეიარაღებულ დაპირისპირებას სახელმწიფოსა და შეიარაღებულ გაერთიანებებს შორის, ეს ხდება საფუძველი, რომ ამოქმედდეს ბავშვის აღნიშნული უფლება. ამ უფლებისთვის ასევე არ არის არსებითი საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლისათვის დამახასიათებელი გამიჯვნა საერთაშორისო და არასაერთაშორისო შეიარაღებულ კონფლიქტებს შორის. საკმარისია დე-ფაქტო არსებული მტრული დამოკიდებულების არსებობა.

სახელმწიფო ვალდებულების შინაარსი დაიცვას ბავშვი შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან, განისაზღვრება საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის იმ ნორმების საფუძველზე, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო ხელშეკრულებებში სახელმწიფოს მონაწილეობის შედეგად. კონვენცია შეიარაღებულ ძალებში და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობისათვის მინიმალურ ასაკად ადგენს 15 წელს.<sup>804</sup> კონვენციის დამატებითი ოქმი, „შეიარაღებულ

803 S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 395

804 ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის 1998 წლის წესდება სამხედრო დანაშაულად მიიჩნევს თხუთმეტი წლის ასაკამდე ბავშვების განწევას ან შეგროვებას ეროვნულ შეიარაღებულ ძალებში სამსახურისთვის ან მათ გამოყენებას

კონფლიქტში ბავშვთა მონაწილეობის შესახებ“ ამკაცრებს მიდგომას და აცხადებს, რომ სახელმწიფოებს და შეიარაღებულ ჯგუფებს ეკრძალებათ 18 წლის ასაკს მიუღწეველი ბავშვების გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში, ასევე, სავალდებულო სამსახურში განწვევა და ნებაყოფლობითი განწვევა შეიარაღებულ დაჯგუფებებში<sup>805</sup>. კონვენციის 38-ე მუხლისგან განსხვავებით, კოდექსი არ ავიწროებს ბავშვის განმარტებას განსხვავებულ ასაკზე მითითებით.

სახელმწიფო იღებს ყველა ზომას შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმული ან მონაწილე ბავშვის გათავისუფლების, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.<sup>806</sup> ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში უნდა განხორციელდეს საინფორმაციო-საკონსულტაციო ღონისძიებები და დაინერგოს მსხვერპლი ბავშვების რეაბილიტაციის სისტემა.

## 8. ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია

ბავშვის ძალადობისგან<sup>807</sup> დაცვის საქმეში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს პრევენციას შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელებით, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის ექსპლუატაციის, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშვთა პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიის, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის საზიანო ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრას.<sup>808</sup>

როგორც ოჯახში ისე საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის ფიზიკური დასჯის, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრისთვის<sup>809</sup> სახელმწიფო ახორციელებს საჭირო ზომებს როგორც კანონშემოქმედების ისე ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიებების სახით. ამ მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის:<sup>810</sup>

ა) საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა

---

სამხედრო მოქმედებებში აქტიური მონაწილეობის მისაღებად.

805 ხელმისაწვდომია <[www.ohchr.org](http://www.ohchr.org)>

806 კოდექსის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

807 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის მიერ ჩამოთვლილია ძალადობის შემდეგი ფორმები და მათი განმარტებები: უგულვებლყოფა ან დაუდევარი მოპყრობა; ფსიქოლოგიური ძალადობა; ფიზიკური ძალადობა; ფიზიკური დასჯა; სექსუალური ძალადობა და ექსპლუატაცია; წამება ან არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელი; ძალადობა ბავშვებს შორის; თვითდაზიანება; ზიანის შემცველი ჩვეულებები; ძალადობა მედიაში; ძალადობა საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით; ბავშვთა უფლებების ინსტიტუციური და სისტემური დარღვევები (General Comment 13 (2011), პარა. 20-31).

808 კოდექსის მე-60 მუხლის პირველი ნაწილი.

809 გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, მნიშვნელოვანია კანონით ცალკე მოხდეს ფიზიკური დასჯის აკრძალვა, რისი უპირატესი მიზანიც არის ბავშვთა მიმართ ძალადობის პრევენცია დამოკიდებულებების და პრაქტიკის შეცვლა ბავშვის აღზრდის პოზიტიური, არაძალადობრივი და მონაწილეობითი ფორმების დამკვიდრების ხელშეწყობის გზით (General Comment #8)

810 კოდექსის მე-60 მუხლის მე-3 ნაწილი.

ფორმის აკრძალვის, მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვისა და სხვა კონკრეტული სამართლებრივი გარანტიების შექმნით;

ბ) მშობლისა და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მხარდაჭერა აღზრდის პოზიტიური, არაძალადობრივი მეთოდებისა და უნარების განვითარებით, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების, კონსულტაციის განწევით და ინფორმაციის მიწოდებით;

გ) განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტის, კულტურისა და მართლმსაჯულების სფეროებში ბავშვთან და ბავშვის საკითხებზე მომუშავე პირების სპეციალიზებული სწავლება და ინფორმირება, მათ შორის, ბავშვისთვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნისა და ძალადობის შემცველი სოციალური ნორმების შეცვლის მიზნით<sup>811</sup>; აღნიშნული ღონისძიება არ უნდა იყოს ფრაგმენტული არამედ, მას უნდა ჰქონდეს განგრძობადი ხასიათი, რაც შესაძლებელია საკითხის ინსტიტუციური გარანტიების შექმნით. უნდა განისაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი უწყება, რომელსაც ექნება ასეთი პროგრამების შექმნისა და განხორციელების უფლებამოსილება.

დ) ბავშვის მიმართ ძალადობის რისკების, ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციის, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ბავშვის ძალადობისგან დაცვის მექანიზმების საკითხებზე საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში;

ე) სხვადასხვა ფორმის ძალადობის აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების, პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვის მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) ბავშვის ექსპლუატაციისა და ძალადობის სხვა ფორმის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში კერძო სექტორის, მათ შორის, ტურიზმის, საბანკო და საფინანსო ორგანიზაციების, მონაწილეობის ხელშეწყობა;

ზ) ბავშვის ექსპლუატაციისა და ძალადობის სხვა ფორმის ყველა ასპექტის გაშუქებასა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაში მედიის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა ბავშვის პირადი ცხოვრების, კონფიდენციალურობის პრინციპისა და სხვა ეთიკური სტანდარტების დაცვით;

თ) სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, მათ შორის, ფინანსური სახსრებით, ამ ორგანიზაციების მიერ ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით.

811 ამავე დროს, საჭიროა სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობით ზუსტად, კონკრეტული ფორმულირებით, აიკრძალოს ფიზიკური ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი სასჯელი, რათა სრულიად ცხადი გახდეს, რომ ისეთივე უკანონო ბავშვის ცემა ან "გარტყმა" ან „მოტყაპუნება“, როგორც ზრდასრულის. ფიზიკური დასჯის ტრადიციული მიმღებლობიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია ის აიკრძალოს ყველა შესაბამისი სექტორული კანონმდებლობით, როგორცაა, მათ შორის, საოჯახო სამართალი, განათლების შესახებ კანონი, კანონი ალტერნატიული ზრუნვის და მართლმსაჯულების სისტემების შესახებ. ასევე, მნიშვნელოვანია ფიზიკური დასჯის უკანონობა პირდაპირ აისახოს აღმზრდელების, მზრუნველების, მასწავლებლების ეთიკის კოდექსებსა და სახელმძღვანელო მითითებებში და დაწესებულებების წესდებებსა და დებულებებში (გაერსო ბავშვის უფლებათა კომიტეტი, (General Comment #8).



აღნიშნულის გვერდით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბავშვის მიმართ ძალადობის ხელშემწყობი ფაქტორების აღმოფხვრის ღონისძიებების განხორციელება, რომელიც გულისხმობს, სხვადასხვა სახის სოციალური საფრთხის, სიღარიბის, ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის აღმოსაფხვრელად საჭირო ინსტრუმენტების შექმნას ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების ფარგლებში. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში უნდა დაინერგოს ძალადობის პრევენციისკენ, მოძალადის ძალადობრივი დამოკიდებულების შეცვლისა და ძალადობრივი ქცევის მიზეზის აღმოფხვრისკენ მიმართულ სამედიცინო და ფსიქოსოციალური თერაპიისა და კონსულტაციის სერვისები.<sup>812</sup>

## **9. დანაშაულის შედეგად დაზარალებულის, ძალადობის მსხვერპლისა და მოწმის დაცვა, მხარდაჭერა და რეაბილიტაცია**

კონვენციის 39-ე მუხლი მჭიდროდ არის დაკავშირებული კონვენციის 32-38 მუხლებთან, რომლებიც ადგენს ბავშვის დაცვას ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმებისგან. კონვენციის 39-ე მუხლი ემსახურება ბავშვის უფლების დაცვას ისეთ შემთხვევებში, როდესაც აღნიშნული მუხლების მოთხოვნათა დარღვევა იწვევს ბავშვის უფლების დარღვევას და აუცილებელი ხდება რეაბილიტაციის ღონისძიებების განხორციელება.<sup>813</sup>

კონვენციის 39-ე მუხლით გარანტირებული რეაბილიტაციის უფლებით სარგებლობის წინაპირობაა, რომ ბავშვი რომელიც გახდა ნებისმიერი სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლი გამოყვანილი იქნას არსებული მდგომარეობის გამომწვევი ფაქტორივი გარემოებებიდან და დაექვემდებაროს რეაბილიტაციის პროცედურებს. კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გააცნობიერონ რომ ბავშვთა პროსტიტუციაში ან შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართული ბავშვები არიან არა დამნაშავეები არამედ მსხვერპლნი, რომელთა მიმართ უნდა განხორციელდეს არა აღმზრდელობითი და სადამსჯელო ღონისძიებები, არამედ რეინტეგრაციის ღონისძიებები.<sup>814</sup>

კოდექსის 61-ე მუხლი ადგენს სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას, შექმნას დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან/და ძალადობის მსხვერპლი ან/და მოწმე ბავშვისათვის ხელმისაწვდომი მხარდაჭერის, ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მოკლე- და გრძელვადიან პროგრამები და შესაბამისი სერვისები, რომელიც უნდა შეიცავდეს დამცირებისგან, ხელახალი

812 კოდექსის მე-60 მუხლის მე-4 და მე-5 ბანოლები.

813 იხ. R Hodgkin and P Newell *Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child* (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva) , გვ. 589, აგრეთვე S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 414.

814 იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden) გვ. 415.

ტრავმირებისა და ზიანისგან ბავშვის დაცვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, გასაჩივრებისა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს.

ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური რეაბილიტაციისათვის აუცილებელია შესაბამისი სამედიცინო და სამედიცინო-ფსიქოლოგიური დანესებულებების შექმნა და შესაბამისი კვალიფიციური პერსონალის მომზადება. მთელი ქვეყნის მასშტაბით, ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული მომსახურებები, რომლებიც ბავშვის რეაბილიტაციას უზრუნველყოფენ. შესაბამისი პერსონალის მომზადება და ხარისხის მონიტორინგი უნდა იყოს უზრუნველყოფილი როგორც უწყვეტი პროცესი. ფიზიკური გაჯანსაღების კურსი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მედიკამენტებისადმი ხელმისაწვდომობით. ფსიქოლოგიური კონსულტაციების გვერდით აუცილებელია მსხვერპლთა ფინანსური მხარდაჭერა, რაც მათ მისცემ შესაძლებლობას მოახდინონ საზოგადოებაში ურთიერთობების ჩამოყალიბება და სრულყოფილი ინტეგრირება. ამ მიმართულებით, დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ან/და ძალადობის მსხვერპლ ან/და სავარაუდო მსხვერპლ ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიება მოიცავს ბავშვის უფლებას, სახელმწიფოსგან მიიღოს კომპენსაცია, მათ შორის, ფინანსური ზარალის ანაზღაურება სწრაფი პროცედურებით, როდესაც დამნაშავესგან ამგვარი ანაზღაურების სწრაფად მიღება შეუძლებელია.<sup>815</sup>

კოდექსი ითვალისწინებს მსხვერპლი ბავშვების სოციალური განვითარების მხარდამჭერი პროგრამების შექმნის ვალდებულებას. ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერა ემსახურება ამ ბავშვებში ისეთი უნარების ჩამოყალიბებას, რაც ბავშვებს მისცემს შესაძლებლობას, ერთი მხრივ, სწორად ამოიცნოს მის წინ არსებული პრობლემების არსი, შეძლოს განსაზღვროს სწორი რეაგირების სტრატეგიები, მაგ., გააგებინოს სხვას დახმარების საჭიროება. მეორე მხრივ, თვითონ არ გაიმეოროს ძალადობრივი ქცევა სხვების მიმართ, ასევე, აღნიშნული უნარები დაეხმარება მას მისი თანატოლის წინაშე არსებული გამოწვევების ამოცნობასა და რეაგირებაში, ბავშვთა დაცვის სისტემის პროცედურების შესაბამისად. ამდენად, პროგრამა ბავშვებს შესაძლებლობას აძლევს წინააღმდეგობა გაუწიონ მათ წინაშე მდგარ სირთულეებს და შეძლონ საზოგადოებაში სრული ინტეგრირება.<sup>816</sup>

სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული და დანაშაულის მონმე ბავშვების უფლებების დაცვას და მათი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას, აგრეთვე დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, შესაბამისად.<sup>817</sup> ამისათვის მნიშვნელოვანია ძალადობის მსხვერპლ ან/და მონმე ბავშვთან საჯარო დანესებულებაში მომუშავე ყველა პირის სავალდებულო სწავლება/სპეციალიზაცია დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

815 კოდექსის 61-ე მუხლი.

816 კოდექსის 61-ე მუხლი.

817 კოდექსის 61-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

## **§28. ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის უფლება**

### **1. მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის უფლების არსი**

კოდექსით ჩამოყალიბებული ბავშვის უფლებათა დაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის უფლებას. კოდექსის მე-9 თავით განსაზღვრული მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის სისტემა მოიცავს ბავშვის დაცვას:

- ა) სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორებისაგან და
- ბ) ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან.

კოდექსი ქმნის ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის სამართლებრივ საფუძვლებს, შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად.

კოდექსით მოწესრიგებული საფრთხის შემცველ სოციალური გარემოს უარყოფით ფაქტორებად ბავშვის დაცვა მოიცავს:

- ა) ბავშვის ალკოჰოლური საშუალებისგან, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებისგან დაცვას (მუხლი 63),
- ბ) აზარტული თამაშობის მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვას (მუხლი 64),
- გ) ბავშვის მასობრივ საცეკვაო ცენტრში (ლამის კლუბში) დაშვებას (მუხლი 65),
- დ) საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობისას ბავშვის უსაფრთხოების დაცვას (მუხლი 67),

ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვა (მუხლი 66) გულისხმობს ისეთ ინფორმაციას, რომელიც ძალადობის ან დანაშაულის ნახალისებისკენ არის მიმართული, სექსუალური შინაარსის ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას, რომელიც ეწევა ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების ან აზარტული თამაშობის პროპაგანდას ან რომელშიც ძალადობის, მკვლელობის ან სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სცენები დეტალურადაა წარმოდგენილი<sup>818</sup>.

### **2. ბავშვის ალკოჰოლური საშუალებისგან, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებისგან დაცვა**

#### **2.1. მოწესრიგების ფარგლები**

იმის გათვალისწინებით, რომ ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებები, ალკოჰოლიანი სასმელი, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმი და კაფსული უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის ჯანმრთელობაზე და არის სიცოცხლისათვის საფრთხის შემცველი, კოდექსი კრძალავს აღნიშნული ნივთიერებების ბავშვისათვის უსასყიდლო ან სასყიდლიან მიწოდებას. აღნიშნული აკრძალვა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ბავშვი ნარკოტიკულ და ფსიქოტროპულ საშუალებე-

818 კოდექსის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

ბის იღებს ექიმის დანიშნულებით. აკრძალვა, ასევე მოიცავს ბავშვის შრომითი საქმიანობას ისეთ დანესებულებაში, სადაც ხდება ალკოჰოლიანი სასმელის, ეროტიკული პროდუქციის, ტოქსიკური ნივთიერების, სამედიცინო მიზნით გამოყენებისთვის ნებადართული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების ან/და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია ან რომელიც ფუნქციონირებს, როგორც სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი დანესებულება ან ღამის გასართობი დანესებულება.<sup>819</sup>

ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის მოხმარებისგან ბავშვის დაცვა ასევე არის ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების შემადგენელი ნაწილი<sup>820</sup>.

## **2.2. უფლების დაცვის პრევენციული და რეაგირების ღონისძიებები**

### **ა) ალკოჰოლური სასმელები**

ალკოჰოლური სასმელებიდან გამომდინარე საფრთხეების პრევენციის მიზნით დადგენილია სავაჭრო და საზოგადოებრივი კვების ობიექტებში ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესები. სავაჭრო ობიექტში (მათ შორის, რესტორანში, კაფესა და ბარში) მყიდველისათვის თვალსაჩინო ადგილზე უნდა განთავსდეს არასრულწლოვნისთვის ალკოჰოლური სასმელის მიყიდვის ამკრძალავი საინფორმაციო ბანერი. ეჭვის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებულია წარმოადგინოს მისი ასაკის დამადასტურებელი დოკუმენტი. აღნიშნული წესების დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსით დადგენილ სამართლებრივ პასუხისმგებლობას<sup>821</sup>. პასუხისმგებლობა ეკისრება არა არასრულწლოვანს, არამედ სავაჭრო ობიექტს, რომელიც არ იცავს კანონით დადგენილ მოთხოვნებს.

### **ბ) თამბაქოს კონტროლი**

კოდექსისა და „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის დათქმების შესაბამისად, აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მონეობილობის რეალიზაცია 18 წლამდე ასაკის პირზე<sup>822</sup>, აგრეთვე, 18 წლამდე პირის ისეთ ინდუსტრიაში ჩაბმა, რომელიც ითვალისწინებს ალკოჰოლიანი სასმელის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის წარმოებას, დასაწყობებას, ტრანსპორტირებას ან რეალიზაციას<sup>823</sup>. აღნიშნული წესების

819 კოდექსის 63-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები.

820 იხ. ბავშვის ჯანმრთელობის უფლება, გვ.204

821 მუხლი 155. ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის წესების დარღვევა.

822 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 155<sup>3</sup> მუხლი.

823 თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი.

ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>824</sup>.

აკრძალულია თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაცია ან/და განლაგება: საგანმანათლებლო (ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლეს საგანმანათლებლო, პროფესიული), სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში და მათ მიმდებარე ტერიტორიებზე 50 მეტრის რადიუსში (შესაბამისი დაწესებულების ტერიტორიის უახლოესი წერტილიდან); საჯარო დაწესებულებაში; ნებისმიერი სახის სამედიცინო, სპორტულ და კულტურულ დაწესებულებებში და მათ საკუთრებაში არსებულ ტერიტორიებზე, აგრეთვე, საჯარო ობიექტში, თუ თამბაქოს ნაწარმი, თამბაქოს აქსესუარი ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობა არ არის სურსათისგან ან/და სხვა პროდუქტისგან განცალკევებით განლაგებული.<sup>825</sup> თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის/განლაგების წესების დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>826</sup>

თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის ადგილებში უნდა განთავსდეს საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილება. აღნიშნული ვალდებულებისათვის თავის არიდება ან ისეთი სამედიცინო გაფრთხილების განთავსება, რომელიც არ შეესაბამება დამტკიცებულ პარამეტრებს, იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>827</sup>.

თამბაქოს მოწვევის ან მისი მოხმარების სხვა ფორმების დემონსტრირება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ლიცენზირებული/ავტორიზებული მაუწყებლის პროგრამაში, „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ და „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონებით დადგენილი ნორმების დარღვევით, აგრეთვე, თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეკლამა მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი საშუალებით, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონით<sup>828</sup> დადგენილი ნორმების დარღვევით იწვევს საქართველოს ადმინისტრაცი-

824 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171<sup>3</sup> მუხლი.

825 თამბაქოს კონტროლის შესახებ საქართველოს კანონის მე-5 მუხლი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

826 მუხლი 155<sup>3</sup>. თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციისა და განლაგებისათვის დადგენილი მოთხოვნების შეუსრულებლობა.

827 მუხლი 155<sup>5</sup>. თამბაქოს ნაწარმის, თამბაქოს აქსესუარის ან/და თამბაქოს მოხმარებისთვის განკუთვნილი მოწყობილობის რეალიზაციის ადგილებში საქართველოს კანონმდებლობით დამტკიცებული სამედიცინო გაფრთხილების განთავსების წესების დარღვევა.

828 „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

ციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>829</sup>.

### გ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მავნე ნივთიერებების ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური.

18 წლამდე პირის ისეთ ინდუსტრიაში ჩაბმის, რომელიც ითვალისწინებს ალკოჰოლიანი სასმლის, ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების, თამბაქოს ნაწარმის წარმოებას, დასაწყობებას, ტრანსპორტირებას ან რეალიზაციას, აკრძალვის შესრულებაზე კონტროლს ახორციელებს შრომის კანონმდებლობისა და პირობების ზედამხედველობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო.

## 3. აზარტული თამაშობის მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვა

### 3.1. მონესრიგების ფარგლები

კოდექსის 64-ე მუხლი ადგენს აზარტული თამაშობის მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის ვალდებულებას, თუმცა არ შეიცავს მონესრიგების შინაარსს, რამდენადაც ბავშვის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში ან/და სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვების ან/და ბავშვის მოგებიან თამაშობაში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მონყობილ აზარტულ თამაშობაში მონაწილეობის საკითხი წესრიგდება „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

აღნიშნული კანონი ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების ორგანიზატორს უკრძალავს არასრულწლოვან პირებთან შრომითი ხელშეკრულების დადებას, რომლის მიხედვითაც მათ ევალეებათ თამაშობის ჩატარების ადგილზე მუშაობა, თამაშობის ორგანიზების ან ჩატარების კონტროლი.<sup>830</sup>

კანონით აკრძალულია 21 წლამდე ასაკის პირისათვის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში, ხოლო 18 წლამდე ასაკის პირისათვის - სათამაშო აპარატების სალონსა და მომგებიანი თამაშობის (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) მონყობის ადგილას შესვლა ან/და თამაშობაში (მათ შორის, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მონყობილ აზარტულ თამაშობაში) მონაწილეობა. აღნიშნული აკრძალვა, ასევე ვრცელდება 18 წლამდე პირზე ლატარიის ბილეთის გაყიდვის ან/და სხვაგვარი გავრცელების და მოგების გაცემის შემთხვევებზე.<sup>831</sup>

აღნიშნული აკრძალვის უზრუნველსაყოფად, აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის ორგანიზატორი ვალდებულია პირადობის დამადასტურებელი დო-

829 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 171<sup>4</sup> მუხლი.

830 „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის მე-3 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

831 „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

კუმენტის მეშვეობით უზრუნველყოს აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მონყობის ადგილას შესული პირის ასაკის შემონმება, თუ არსებობს გონივრული ვარაუდის საფუძველი, რომ მისი ასაკი არ აკმაყოფილებს ამ პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს.<sup>832</sup>

### **3.2 უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო**

ბავშვის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში ან/და სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვების ან/და ბავშვის მოგებიან თამაშობაში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მონყობილ აზარტულ თამაშობაში დაშვების აკრძალვის ვალდებულებების შესრულების მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახური. პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს, როგორც პრევენციული კონტროლის განხორციელებას, ისე საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებებს, რომლის ფარგლებშიც ინფორმაცია უნდა მიენოდოს, როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს და მენარმე სუბიექტებს.

21 წლამდე ასაკის პირის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში სათამაშოდ დაშვება ან 18 წლამდე ასაკის პირის სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვება ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მონყობილ აზარტულ თამაშობებში მონაწილეობის დაშვება, ან ლატარიის ბილეთის მიყიდვა ან/და სხვაგვარი გავრცელება და მოგების გაცემა ინვესს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>833</sup>. მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიემართება არა ბავშვს, არამედ ორგანიზატორს. თუ კი ბავშვის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალვის სისტემატურ დარღვევას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებები.

## **4. ბავშვის მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში**

### **(ღამის კლუბში) დაშვება**

#### **ა) მონესრიგების ფარგლები**

კოდექსის 65-ე მუხლის თანახმად, ბავშვი მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) არ დაიშვება. მონესრიგება ვრცელდება ისეთ დაწესებულებებზე, რომელიც ფუნქციონირებს ღამის საათებში და აქვს გასართობი ხასიათი. თუ კი საცეკვაო ღონისძიებას კულტურული შინაარსი აქვს და იგი საგანმანათლებლო დაწესებულებასთანაა შეთანხმებული, არ ვრცელდება

832 „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის პირველი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

833 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 176' მუხლი.

აღნიშნული შეზღუდვა. ნათელია კანონმდებლის მიზანი, რომ ბავშვს თავიდან ააცილოს მის ფიზიკურ, ფსიქიკურ და ემოციურ მდგომარეობაზე უარყოფითი ფაქტორები, რომელიც ხელს უშლის მისი აღზრდა-განვითარების პროცესის სწორად წარმართვას.

## **ბ) უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო**

ბავშვი მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ლამის კლუბში) დაშვების აკრძალვის ვალდებულებების შესრულების მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახური. პრევენციული ღონისძიებები გულისხმობს, როგორც პრევენციული კონტროლის განხორციელებას, ისე საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებებს, რომლის ფარგლებშიც ინფორმაცია უნდა მიენოდოს, როგორც ბავშვებს, ისე მშობლებს და მენარმე სუბიექტებს.

ბავშვი მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ლამის კლუბში) დაშვების აკრძალვის დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობას<sup>834</sup>. მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიემართება არა ბავშვს, არამედ ორგანიზატორს. თუ კი ბავშვის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალვის სისტემატურ დარღვევას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ბავშვის მხარდაჭერის პრევენციული ღონისძიებები.

## **5. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი**

### **ინფორმაციისგან ბავშვის დაცვა**

#### **5.1. მონესრიგების ფარგლები**

კონვენციის მე-17 მუხლი ადგენს კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულებას ხელი შეუწყოს და წაახალისოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელება, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და შეესაბამება კონვენციის 29-ე მუხლით დადგენილ განათლების მიზნებს. კონვენციის მე-17 მუხლი იმავდროულად ითხოვს კონვენციის ნევრი სახელმწიფოების მხრიდან, რომ წაახალისონ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავება, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის. აღნიშნული ვალდებულება უნდა განხორციელდეს კონვენციის მე-13 მუხლით გარანტირებული ბავშვის აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებისა და მე-18 მუხლით დადგენილი მშობელთა ვალდებულებების გათვალისწინებით.

კოდექსის 66-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მაუწყებელი ვალდე-

<sup>834</sup> საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>5</sup> მუხლი.



ბულია უზრუნველყოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვა. მაუნყებელი ამ ვალდებულების შესასრულებლად იყენებს სამაუნყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმებს ამ პროგრამების კატეგორიების დადგენის მიზნით და განათავსებს ამ პროგრამებს სამაუნყებლო ბადეში „მაუნყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით.

მაუნყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლი ადგენს მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის ძირითად მოთხოვნებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, მაუნყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან არასრულწლოვნის დაცვა ისეთი პროგრამის გადაცემის ან პროგრამაში ისეთი მასალის განთავსების დაუშვებლობით, რომელმაც შეიძლება ზიანი მიყენოს არასრულწლოვნის ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ინტელექტუალურ და სულიერ განვითარებას, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას, აგრეთვე, მის სოციალიზაციას.

აღნიშნული საფრთხის თავიდან აცილების მიზნით მაუნყებელი ვალდებულია პროგრამათა კატეგორიების დადგენის მიზნით გამოიყენოს მაუნყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული პროგრამათა კატეგორიების განმსაზღვრელი კრიტერიუმები და პროგრამები სამაუნყებლო ბადეში განათავსოს 56<sup>1</sup> მუხლით დადგენილი დროითი შეზღუდვების შესაბამისად.

მაუნყებელი ვალდებულია სამაუნყებლო ბადე დაგეგმოს შემდეგი შეზღუდვების გათვალისწინებით:

- ა) 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუნყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 24 საათამდე;
- ბ) 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუნყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 23 საათამდე;
- გ) 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუნყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 21 საათამდე;
- დ) 7 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამაუნყებლო ბადეში არ განათავსოს 6 საათიდან 21 საათამდე.

კანონი უშვებს აღნიშნული ვალდებულებისგან გადახვევას, თუკი მაღალი საზოგადოებრივი ინტერესი გადანონის შეზღუდვის ინტერესებს. ასეთ შემთხვევაში სამაუნყებლო ბადეში პროგრამა შეიძლება განთავსდეს მხოლოდ სათანადო და მკაფიო გაფრთხილებით, რომ იგი შესაბამისი ასაკის არასრულწლოვნისთვის შეუფერებელ მასალას შეიცავს. გაფრთხილება უნდა მოხდეს სპეციალურ ვიზუალურ ნიშანდებას მასალის გადაცემისას განუწყვეტლად, აგრეთვე ტექსტურ და ვერბალურ გაფრთხილებას წინასწარ, მასალის გადაცემამდე. მაუნყებლის ეს დისკრეციული უფლებამოსილება უნდა განხორციელდეს თანაზომიერების პრინციპის დაცვით, სადაც გამოჩნდება საზოგადოებრივი ინტერესისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძვლები.

შეზღუდვებისგან თავისუფლდება ასევე ფასიანი სამაუნყებლო არხი, რომელიც უფლებამოსილია არასრულწლოვნისთვის შეუფერებელი პროგრამა სამ-

აუნყებლო ბადეში განათავსოს დღის ნებისმიერ მონაკვეთში. აღნიშნული უფლებით სარგებლობის აუცილებელი წინაპირობაა, რომ მაუნყებელი იყენებდეს სავალდებულო I-კოდით დაცული სისტემას ან სხვა დამბლოკავ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული პროგრამის მხოლოდ უფლებამოსილი სრულწლოვანი აბონენტისთვის ხელმისაწვდომობას.

მაუნყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> მუხლის მიერ გამოყენებული კრიტერიუმის - არასრულწლოვნისთვის შეუფერებლის პროგრამის შინაარსის დადგენის ელემენტებს ადგენს კანონის 56<sup>2</sup> მუხლი:

18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს:

ა) სექსობრივი აქტის, სექსუალური სცენის ან სექსუალური ძალადობის სცენის გრაფიკულ გამოსახულებას;

ბ) ისეთი სექსუალური ურთიერთობის ამსახველ სცენას, რომელშიც არასრულწლოვანი მონაწილეობს ან რომელიც გაუკუღმართებული ფორმით ხორციელდება;

გ) უხამს ქმედებას ან/და ისეთ ძალადობრივ ან სახიფათო ქმედებას, რომლის იმიტირება არასრულწლოვნისთვის იოლია;

დ) ძალადობის ამსახველ სცენას ახლო ხედით (გარდა შემეცნებით-საგანმანათლებლო, ისტორიული, ფანტასტიკური ან კომედიური ჟანრის პროგრამისა);

ე) ნარკოტიკული საშუალების მოხმარების სცენას, მისი დამზადების ან მოხმარების წესის ახსნა-განმარტებას და მოხმარების გამართლებას ან მოწონებას;

ვ) თამბაქოს ან ალკოჰოლის მოხმარების გამართლებას ან მოწონებას;

ზ) ნარკოტიკის, საინექციო ხელსაწყო, ნარკოტიკული ნივთიერების მომზადების ტექნოლოგიის ან გამოყენების პროცესის ახსნა-განმარტებას;

თ) სცენას, რომელიც ეწევა თვითდასახიჩრების ან თვითმკვლელობის პროპაგანდას, აღწერს თვითმკვლელობის პროცესს ან საშუალებას;

ი) იოლად ხელმისაწვდომი საყოფაცხოვრებო იარაღის (დანა, ნაჯახი და სხვა) ზიანის მისაყენებლად ან მკვლელობისთვის გამოყენების ამსახველ სცენას;

კ) აზარტული თამაშობის ამსახველ სცენას, მისი პოპულარიზაციის ხელშემწყობ ინფორმაციას და ეწევა აზარტულ თამაშობაში მონაწილეობის პროპაგანდას მოგების მარტივად მიღების შთაბეჭდილების შექმნით;

ლ) ინფორმაციას, რომელიც დანაშაულებრივ ქმედებას დადებითად აფასებს ან კრიმინალს აიდელაებს;

მ) ოკულტიზმის ან მსგავსი მოვლენის ამსახველ მასალას.

15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს:

ა) 18 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიჩნევისათვის განსაზღვრულ სცენას ან სიუჟეტს;

ბ) სიშიშვლეს სექსუალურ კონტექსტში, სექსუალურ სცენას ან მის გრაფიკულ გამოსახულებას;

გ) შეურაცხმყოფელ ლექსიკას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს კონტექსტით გამართლებულია;

დ) ტერმინოლოგიას, რომელიც დაკავშირებულია ნარკოტიკულ საშუალებასთან ან მის მოხმარებასთან.

12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს:

ა) 15 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიჩნევისათვის განსაზღვრულ სცენას ან სიუჟეტს;

ბ) შეურაცხყოფელ ლექსიკას.

7 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიიჩნევა პროგრამა (ანონსი), რომელიც შეიცავს 12 წლამდე არასრულწლოვნისთვის შეუფერებლად მიჩნევისათვის განსაზღვრულ სცენას ან სიუჟეტს, აგრეთვე მხატვრული, დოკუმენტური ან მულტიპლიკაციური ფილმი, რომელიც შეიცავს ამ ასაკობრივ ჯგუფზე ძლიერი ემოციური (ნეგატიური) გავლენის მომხდენი შინაარსის მქონე სცენას ან სიუჟეტს.

კანონის 56<sup>2</sup> მუღში მოცემული კრიტერიუმების განსაზღვრისას კანონმდებელი იყენებს არაერთ განუსაზღვრელ ცნებას, რაც საკანონმდებლო ტექნიკის თვალსაზრისით არის აუცილებელი მეთოდი. ეს გამომდინარეობს კანონის ბუნებიდან. კანონი არის ზოგად-აბსტრაქტული ხასიათის და მიემართება მომავალში წარმოშობილ განუსაზღვრელ შემთხვევებს. კანონმდებელი წინასწარ ვერ განსაზღვრავს ყველა იმ სავარაუდო სცენას, როემელსაც ექნება ადგილი მომავალში. ის განუსაზღვრელი ცნებების გამოყენებით, ნორმის შემფარდებელს უტოვებს შეფასების თავისუფალ სივრცეს, რომლის საფუძველზეც ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიმღებს შესაძლებლობას აძლევს მოახდინოს ნორმის კონკრეტული ფაქტობრივი გარემოების საფუძველზე შეფარდება და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში კონკრეტული სამართლებრივი შედეგების ასახვა. ნორმის აღმასრულებელი ადმინისტრაციული ორგანოს თავისუფლების ფარგლებს ქმნის კანონმდებლის მიერ დადგენილი მონესრიგების მიზანი, რაც დგინდება როგორც კონკრეტული ნორმების შინაარსის, ისე, ზოგადად, კანონის მიზნების გათვალისწინებით. კანონმდებელი განუსაზღვრელი ცნებების გამოყენებისას ვალდებულია გაითვალისწინოს, რომ კანონის ნორმა არ უნდა იყოს იმდენად ბუნდოვანი და ზოგადი, რომ არაკონსტიტუციური ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლეოდეს. კანონმდებლის გამონვევა მდგომარეობს იმაში, რომ მან ფრთხილად გაიაროს ეს წითელი ხაზი, ისე, რომ, ერთი მხრივ, შექმნას ნორმის აღსრულებისთვის აუცილებელი თავისუფალი სივრცე და, მეორე მხრივ, დააკმაყოფილოს ნორმის განსაზღვრულობის და განჭვრეტადობის კონსტიტუციური პრინციპი.

## 5.2. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო

მაუნყებლის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის კონტროლს ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.<sup>835</sup> მაუნყებლობის შესახებ საქართველოს კანონის 56<sup>1</sup> ან 56<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული

835 კოდექსის 66-ე მუხლის 11-ე ნაწილი.

ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია ვალდებულია საკუთარი ინიციატივით ან დაინტერესებული პირის მიმართვის საფუძველზე განიხილოს შესაბამისი დარღვევის საკითხი.

კანონის 56<sup>1</sup> ან 56<sup>2</sup> მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს ამ კანონით განსაზღვრული პასუხისმგებლობის დაკისრებას. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში კომისია ვალდებულია მაუწყებელს დააკისროს ჯარიმა და შესაბამისი დარღვევის აღმოფხვრის ვალდებულება, თუ მისი აღმოფხვრა, დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, შესაძლებელია. თუ კი მაუწყებელი 1 წლის განმავლობაში არ აღმოფხვრის კომისიის მიერ დადგენილ დარღვევებს, მაუწყებელს უჩერდება ლიცენზიის მოქმედება.

## 6. საჯარო კინოჩვენება

ბავშვის დაცვა ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან მოიცავს საჯარო კინოჩვენებაზე ბავშვის დაშვების მონესრიგებას. საჯარო კინოჩვენება გულისხმობს, როგორც კინოთეატრებში, ისე ღია სივრცეში ფილმების საჯარო ჩვენებებს.

კოდექსის 66-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საჯარო კინოჩვენებაზე ბავშვი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პროდუქტს აქვს ნიშანდება „საინფორმაციო“, „საგანმანათლებლო“ ან მასზე მითითებულია შესაბამისი ასაკობრივი ზღვარი. კინოჩვენებისათვის განკუთვნილი პროდუქციის ასაკობრივი ზღვრის ნიშანდება ხდება იგივე მოთხოვნების დაცვით, რაც დადგენილია მაუწყებლის მიმართ.

საჯარო კინოჩვენებების წესების დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური.<sup>836</sup> საჯარო კინოჩვენებების წესების დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>837</sup>. მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან აღნიშნული მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიემართება არა ბავშვს, არამედ საჯარო კინოჩვენებაზე პასუხისმგებელ პირს. თუ კი ბავშვის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალვის სისტემატურ დარღვევას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ბავშვის მხარდაჭერის პრევენციული საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ბავშვს განემარტება საჯარო კინოჩვენებებზე დაშვების წესების დარღვევიდან გამომდინარე საფრთხეები.

836 კოდექსის 66-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

837 მუხლი 172<sup>8</sup>. საჯარო კინოჩვენებაზე ბავშვის დაშვების წესების დარღვევა.

## 7. ჟურნალ-გაზეთები და სხვა სახის ბეჭდური მედია

ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის მატარებელი შეიძლება იყოს ჟურნალ-გაზეთები და სხვა სახის ბეჭდური მედია.

კოდექსის 66-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, დაუშვებელია პუბლიკაციების ბავშვისთვის მიყიდვა, ჩუქება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომლებიც ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციას შეიცავს. ბავშვისათვის საფრთხის შემცველია ბეჭდური მედია, თუ ის შეიცავს ძალადობის ან დანაშაულის წახალისებისკენ მიმართულ ინფორმაციას, სექსუალური შინაარსის ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას, რომელიც ეწვეა ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების ან აზარტული თამაშობის პროპაგანდას ან რომელშიც ძალადობის, მკვლელობის ან სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სცენები დეტალურადაა წარმოდგენილი<sup>838</sup>.

ჟურნალ-გაზეთები და სხვა სახის ბეჭდური მედიის ბავშვისათვის ხელმისაწვდომობის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური.<sup>839</sup>

ჟურნალ-გაზეთები და სხვა სახის ბეჭდური მედიის ბავშვისათვის ხელმისაწვდომობის წესების დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას<sup>840</sup> მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიემართება არა ბავშვს, არამედ ბეჭდური მედიის გავრცელებაზე პასუხისმგებელ პირს. თუ კი ბავშვის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალვის სისტემატურ დარღვევას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ბავშვის მხარდაჭერის პრევენციული საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ბავშვს განემარტება ბეჭდური მედიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის წესების დარღვევიდან გამომდინარე საფრთხეები.

## 8. ჩანერილი ფილმები, თამაშები და სხვა აუდიოვიზუალური პროდუქტები

კოდექსის 66-ე მუხლის მე-4 ნაწილი აწესრიგებს ჩანერილ ფილმების, თამაშებისა და სხვა აუდიოვიზუალური პროდუქტების ბავშვისათვის ხელმისაწვდომობის საკითხის. დაუშვებელია იმ ფილმის, კომპიუტერული თამაშის ან სხვა აუდიოვიზუალური პროდუქტის ბავშვისთვის მიყიდვა, ჩუქება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციას შეიცავს. ბავშვისათვის საფრთხის შემცველია აუდიოვიზუალური პროდუქტი, თუ ის შეიცავს ძალადობის ან დანაშაულის წახალისებისკენ

838 იხ. კოდექსის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

839 კოდექსის 66-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

840 მუხლი 172<sup>9</sup>. ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა სახის ბეჭდური მედიის პუბლიკაციების ბავშვისათვის ხელმისაწვდომობის წესების დარღვევა.

მიმართულ ინფორმაციას, სექსუალური შინაარსის ინფორმაციას, აგრეთვე ინფორმაციას, რომელიც ეწევა ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების ან აზარტული თამაშობის პროპაგანდას ან რომელშიც ძალადობის, მკვლელობის ან სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სცენები დეტალურადაა წარმოდგენილი<sup>841</sup>.

აუდიოვიზუალური პროდუქტი შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს როგორც ინფორმაციის პროგრამირებულ ქსელურ მატარებლებზე (ინტერნეტში) განთავსების გზით ისე ჩანერილი ფილმებისა და თამაშების ინფორმაციის პროგრამირებული მატარებლების ფორმით. გამიჯვნა მნიშვნელოვანია როგორც მათ მიმართ დადგენილი მოთხოვნების თვალსაზრისით ისე ზედამხედველობაზე უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს განსაზღვრისათვის.

რაც შეეხება აუდიოვიზუალური პროდუქტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვებს, ინფორმაცია ინტერნეტგვერდზე უნდა განთავსდეს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმებისა და ამ პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების წესების დაცვით<sup>842</sup>, ხოლო ის ჩანერილი ფილმი ან თამაშის ინფორმაციის პროგრამირებული მატარებელი ან ფოტოფირი, რომლის ჩვენება, გადაცემა და გამრავლება შესაძლებელია, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ნიშანდება „საბავშვო“. აღნიშნული ნიშანდება თვალსაჩინოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაციის მატარებლის ფონტალური ეტიკეტის მარცხენა ქვედა კუთხეში 1200 მმ2 ფართობზე, ხოლო ფოტოფირის შემთხვევაში - 250 მმ2 ფართობზე<sup>843</sup>.

აუდიოვიზუალური პროდუქტის ხელმისაწვდომობის წესების დაცვაზე კონტროლს, თუ ის განთავსებულია ინფორმაციის პროგრამირებულ ქსელურ მატარებელზე (ინტერნეტში), ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.<sup>844</sup> ჩანერილი ფილმების და თამაშების ინფორმაციის პროგრამირებულ მატარებლებზე და არამომგებიანი სათამაშო ელექტრომონოპოლიობის ბავშვისათვის ხელმისაწვდომობის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური<sup>845</sup>. ის უფლებამოსილია განსაზღვროს ჩანერილი ფილმების და თამაშების ინფორმაციის პროგრამირებულ მატარებლებზე და არამომგებიანი სათამაშო ელექტრომონოპოლიობის ნიშანდების შინაარსის, სიდიდის, ფორმისა და ფერის მარეგულირებელი ნორმები და დაანესოს ამ ნორმებიდან გამონაკლისები<sup>846</sup>.

აუდიოვიზუალური პროდუქტის ხელმისაწვდომობის წესების დარღვევა ინვესს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით

841 იხ. კოდექსის მე-3 მუხლის „პ“ ქვეპუნქტი.

842 კოდექსის 66-ე მუხლის მე-8 ნაწილი.

843 კოდექსის 66-ე მუხლის მე-5-მე-6 ნაწილები.

844 კოდექსის 66-ე მუხლის 11-ე ნაწილი.

845 კოდექსის 66-ე მუხლის 12-ე ნაწილი.

846 კოდექსის 66-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

დადგენილ პასუხისმგებლობას.<sup>847</sup> მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიემართება არა ბავშვს, არამედ აუდიოვიზუალური პროგრამის გავრცელებაზე პასუხისმგებელ პირს. თუ კი ბავშვის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალვის სისტემატურ დარღვევას შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ბავშვის მხარდაჭერის პრევენციული საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ბავშვს განემარტება აუდიოვიზუალური პროგრამების ხელმისაწვდომობის შეზღუდვის წესების დარღვევიდან გამომდინარე საფრთხეები.

## 9. ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა

ბავშვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისაგან დაცვა მოიცავს ბავშვის ინტერნეტსალონში ან კაფეში დაშვების საკითხს. აკრძალულია ბავშვის დაშვება ინტერნეტსალონში ან კაფეში, როდესაც აღნიშნულ სივრცეში არ არის უზრუნველყოფილი ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა. ხოლო ასეთის არსებობის შემთხვევაში, ბავშვს შეუძლია ისარგებლოს აღნიშნული სერვისით დილის 8 საათიდან ღამის 22 საათამდე, ხოლო დროის აღნიშნულ მონაკვეთში მხოლოდ მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის თანხლებით.<sup>848</sup>

ბავშვის ინტერნეტზე თავისუფალი წვდომის აკრძალვა ასევე ვრცელდება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკაში ან ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში. ინტერნეტსელი აღნიშნულ დაწესებულებებში ბავშვისთვის ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დაწესებულებაში დანერგილია ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბლოკირების შესაბამისი ტექნიკური საშუალებები (ფილტრები).<sup>849</sup>

იმისათვის, რომ ბავშვის ხელმისაწვდომობა ინტერნეტზე შეიზღუდოს, კოდექსი ინტერნეტმიწოდებელს (ინტერნეტპროვაიდერს) უდგენს ვალდებულებას შეიმუშაოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს, მომხმარებლის მოთხოვნით დაბლოკოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობა.<sup>850</sup>

ინტერნეტსალონში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში ინტერნეტსელის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური.<sup>851</sup>

847 ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144<sup>11</sup> მუხლი.

848 კოდექსის 66-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

849 კოდექსის 66-ე მუხლის მე-10 ნაწილი.

850 კოდექსის 66-ე მუხლის მე-9 ნაწილი.

851 კოდექსის 66-ე მუხლის მე-12 ნაწილი.

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში ბავშვისათვის ინტერნეტქსელის ხელმისაწვდომობის წესების დარღვევა ან შესაბამისი კონტროლის განხორციელების უფლებამოსილების მქონე ორგანოს გადაწყვეტილების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილ პასუხისმგებლობას.<sup>852</sup> მაკონტროლებელი ორგანოს მხრიდან მოთხოვნის დარღვევის გამოვლენისას ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა მიემართება არა ბავშვს, არამედ დაწესებულებას. თუ კი ბავშვის მხრიდან ადგილი აქვს აკრძალვის სისტემატურ დარღვევას, შესაბამისი მუნიციპალური სამსახური ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ბავშვის მხარდაჭერის პრევენციული საინფორმაციო და საკონსულტაციო ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც ბავშვს განემარტება ინტერნეტის ხელმისაწვდომობის შეზღუდვის წესების დარღვევიდან გამომდინარე საფრთხეები.

## 10. საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობისას ბავშვის

### უსაფრთხოების დაცვა

ბავშვის დაცვა ბავშვის სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორებისგან მოიცავს საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის მონესრიგებას. მონესრიგების საჭიროება გამომდინარეობს არა ღონისძიების შინაარსიდან, არამედ მისი ორგანიზებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი აქტივობებისათვის დამახასიათებელი მომეტებული საფრთხიდან.

კოდექსის 67-ე მუხლის მონესრიგების ქვეშ ექცევა საჯარო ღონისძიება, რომელსაც აქვს ორგანიზებული ხასიათი და საჭიროებს ბავშვთა ჯგუფურ ტრანსპორტირებას, განთავსებას და კვებით უზრუნველყოფას.

საჯარო ღონისძიების ორგანიზატორი ვალდებულია ბავშვსა და მის კანონიერ წარმომადგენელს მიაწოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ამ ღონისძიების მიზნების, დაგეგმილი აქტივობებისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

საჯარო ღონისძიებაში ბავშვების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება ღონისძიების ორგანიზატორს. მის მიმართ კოდექსით დადგენილია მთელი რიგი ვალდებულებები. ღონისძიების ორგანიზატორის მიერ უსაფრთხოების ღონისძიებების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია ამ ღონისძიების მონაწილეთა შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ბავშვის სპეციალური საჭიროებების, ღონისძიების ინსტრუქტორის, ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის და გადამზიდველის კვალიფიკაციის, სატრანსპორტო საშუალების გამართულობისა და ბავშვის განთავსების ადგილის საევაკუაციო გეგმის შესახებ.

სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია დაიცვას „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. საგზაო მოძრაობისა

<sup>852</sup> ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 144<sup>11</sup> მუხლი.



და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების დაკისრებას.<sup>853</sup>

კოდექსი ადგენს ღონისძიების ორგანიზატორის ვალდებულებას, რომლის თანახმადაც ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირებისას და დროებითი განთავსების ადგილებზე და ორგანიზებულ ჯგუფებში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ექიმის ან ექთნის 24-საათიანი მომსახურება. თუკი ღონისძიების მოცულობის და ხანგრძლივობის გათვალისწინებით ორგანიზატორი არ უზრუნველყოფს ამ მოთხოვნის შესრულებას, იმ პირთა შორის, რომლებიც ბავშვების უსაფრთხოებაზე მეთვალყურეობის პასუხისმგებლობას იღებენ, უნდა იყოს სულ მცირე 1 სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი.<sup>854</sup>

ბავშვის უსაფრთხოების დაცვის ერთ-ერთი კომპონენტია საკვები პროდუქტების სანიტარული პირობების დაცვა, რაც გულისხმობს როგორც სატრანსპორტო საშუალების მძღოლის ვალდებულებას, რომ ბავშვთა ტრანსპორტირებისას მათი კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება სანიტარული პირობების დაცვით განახორციელოს, ისე საჯარო ღონისძიების ფარგლებში გამოყენებულ კვების ობიექტზე სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ვალდებულებას.<sup>855</sup>

საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებისას და კვების ობიექტზე სანიტარული წესების დაცვის კონტროლის განხორციელების წესი და მათი დამრღვევის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის ორგანიზატორის ვალდებულებების შესრულების კონტროლს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახური.<sup>856</sup> საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის ორგანიზატორის მიერ კოდექსის 67-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევა იწვევს მისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.<sup>857</sup>

## 11. მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის

### გარანტიები

იმისათვის, რომ მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის უფლება მდგრადად იქნას უზრუნველყოფილი, აუცილებელია, რომ სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა მიმართული იყოს ბავშვის აღზრდისთვის შესაფერისი კულტურული გარემოს შექმნისა და ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების წესის

853 კოდექსის 67-ე მუხლის მე-7 ნაწილი.

854 კოდექსის 67-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

855 კოდექსის 67-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილები.

856 კოდექსის 67-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

857 საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 46<sup>6</sup> მუხლი.

პოპულარიზაციისკენ. აღნიშნული მიიღწევა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებით. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკითხის სასწავლო პროგრამებში ინტეგრაციას და დამატებითი საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას.

სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი ტელე- და რადიო-მაუწყებლების მიერ გონივრული პერიოდულობით ისეთი გადაცემების მომზადებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. ბავშვებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ინფორმაცია ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებისგან, აზარტული თამაშებისგან, ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან, აგრეთვე, საჯარო სივრცესა და მედიასივრცეში ბავშვის დაცვის საკითხებზე. ბავშვს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა, როგორც ცხელ ხაზზე, ისე სხვა საკონსულტაციო სერვისებზე მისი პერსონალური მონაცემების დაცვით.

ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე

§29. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ცნება

მართლმსაჯულება სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ფორმაა<sup>858</sup>. მართლმსაჯულება რეალიზდება საერთო სასამართლოებში<sup>859</sup> სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით<sup>860</sup>. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია სასამართლოსადმი მიმართვის გზით უფლების დაცვა<sup>861</sup>. აღნიშნული უფლების რეალიზების ინსტიტუციური გარანტიაა ქართული მართლმსაჯულების სისტემა, რომლის ძირითადი ელემენტებია სასამართლო ხელისუფლებისა და მოსამართლის დამოუკიდებლობა<sup>862</sup>, ისევე როგორც საქმეში მონაწილე ყველა პირის კანონისა და სასამართლოს წინაშე თანასწორობა<sup>863</sup>.

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა აერთიანებს კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებით გამოყენებად კანონმდებლობას, სტანდარტებს, სახელმძღვანელო პრინციპებს, მექანიზმებს, შესაბამის ინსტიტუტებსა და ორგანოებს.<sup>864</sup> კოდექსის მოწესრიგების ფარგლების გათვალისწინებით, როდესაც ვსაუბრობთ ბავშვზე მორგებულ მართლმსაჯულებაზე, ვგულისხმობთ არა მხოლოდ აღნიშნულ ვინაობა სფეროს, არამედ, მართლმსაჯულების სისტემას მთლიანობაში; კოდექსით გარანტირებული ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე<sup>865</sup> ვრცელდება, როგორც ბავშვთან დაკავშირებით სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებაზე (მათ შორის, საოჯახო დავებზე), ისე ადმინისტრაციულ ორგანოში - ადმინისტრაციულ წარმოებაზე.<sup>866</sup> იმის გათვალისწინებით, რომ სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების ფარგლებში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი სტანდარტები დადგენილია 2015 წლის „საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“, შეიძლება ითქვას, რომ საკანონმდებლო დონეზე სრულად არის უზრუნველყოფილი ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ეროვნული

858 სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები (კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი).

859 საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

860 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

861 საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის პირველი ნაწილი.

862 საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი და 63-ე მუხლის პირველი ნაწილი.

863 საერთო სასამართლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტი. ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

864 იხ. ქ. ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, (2011), გვ. 19.

865 კოდექსის მე-13 მუხლი.

866 კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

სისტემის სამართლებრივი გარანტიები.

კოდექსი ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ცნებას განმარტავს, როგორც მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ყველა უფლების პატივისცემასა და ეფექტიან რეალიზებას ბავშვის მონაწილეობის, მისი საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის ღირსების პატივისცემის, უთანასწორო მოპყრობის დაუშვებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე, რომელსაც უზრუნველყოფენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული.<sup>867</sup>

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლების შინაარსის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანია მისი ძირითადი ელემენტების სწორად გაგება. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლება იმ შემთხვევაში არის გარანტირებული, როდესაც სამართალწარმოება ან ადმინისტრაციული წარმოება რეალიზდება: სპეციალიზებული პროფესიონალების მიერ, ბავშვის ყველა უფლებების პატივისცემისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების საფუძველზე, ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და საჭიროებებზე მორგებულ გარემოში ბავშვის უფლებების დაცვის გზით.

კოდექსში მოცემული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლების შინაარსის დამდგენი ნორმები შეიძლება დავეყოს სამ ნაწილად: (1) ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში მონაწილე პირების და ბავშვთან მომუშავე პროფესიონალების პიროვნული და პროფესიული შესაბამისობის; (2) მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის მექანიზმების და (3) პროცედურული გარანტიების განმსაზღვრელი ნორმები.

ზემოთ მოცემული თითოეული ელემენტის განხილვამდე, საჭიროა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ინსტიტუტის საქართველოს სამართლის სისტემაში ჩამოყალიბების პროცესის მოკლე ისტორიული ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს კოდექსით ჩამოყალიბებული მიდგომების გააზრებას.

---

867 კოდექსის მე-3 მუხლის „მ“ ქვეპუნქტი.

### §30. ჩამოყალიბების ისტორია

საქართველოში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის განვითარება დაიწყო 2009 წელს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის რეფორმის სტრატეგიის მიღებით. რეფორმის პირველ ეტაპზე დაინერგა განრიდების და მედიაციის პროგრამა, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ შემოღებული იქნა ინდივიდუალური მიდგომა, დაიწყო პროფესიონალთა სპეციალიზაცია. მიუხედავად ამ მნიშვნელოვანი ნაბიჯებისა, გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) მიერ 2015 წელს გამოქვეყნებულმა კვლევამ<sup>868</sup> გამოავლინა, რომ ბავშვები დიდ სირთულეებს აწყდებიან მართლმსაჯულების სისტემასთან შეხებისას. ბავშვები დამოკიდებულნი არიან უფროსებზე, რათა მიიღონ ინფორმაცია საკუთარი უფლებების შესახებ; გაეროკენენ და გამოიყენონ არსებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები და ჰქონდეთ წვდომა სასამართლოსა და მართლმსაჯულების სხვა მექანიზმებზე. ბავშვზე მორგებული პროცედურები მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში გამოიყენება. თითქმის არ არსებობს მექანიზმები და რესურსები, რომელიც უზრუნველყოფდა მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა საჭიროებების გათვალისწინებას და მათი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერას.<sup>869</sup>

რეფორმის მნიშვნელოვან მიღწევად უნდა შეფასდეს 2015 წლის „საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი“, რომელმაც დაამკვიდრა სისხლის სამართლის სისტემასთან შეხებაში მყოფი არასრულწლოვნების საუკეთესო ინტერესების დაცვის გარანტიები, განრიდების პროგრამაში ჩართვის და თავისუფლების აღკვეთის ალტერნატიული ფორმების გამოყენების უპირატესობა, პროფესიონალთა სავალდებულო სპეციალიზაცია, მულტიდისციპლინური მიდგომა, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინება გადაწყვეტილების მიღებისას და განამტკიცა დაზარალებული და მოწმე არასრულწლოვნის დაცვის სამართლებრივი გარანტიები. რამდენადაც 2017 წლამდე განხორციელებული რეფორმის ფარგლებში განეული ძალისხმევა ძირითადად მიმართული იყო სისხლის სამართლის სისტემაზე, 2016 წლის ბოლოს იუნისეფის მიერ ჩატარებული საქართველოს კანონმდებლობის კვლევის მიხედვით<sup>870</sup>,

868 იხ. გაეროს ბავშვთა ფონდის კვლევა ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე აღბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში (2015)

869 იხ. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა (გაეროს ბავშვთა ფონდი 2017) გვ. 8.

870 საკანონმდებლო ანალიზის ანგარიში მომზადდა ეროვნული კანონმდებლობის 30-ზე მეტი სამართლებრივი აქტის სამაგიდო კვლევის შედეგად გაეროს ბავშვთა უფლებების კონვენციის, გაეროსა და ევროპის საბჭოს სხვა საერთაშორისო კონვენციების და სახელმძღვანელო დოკუმენტებთან მიმართებაში. ანალიზის შედეგებში აისახა გაეროს ბავშვთა ფონდის და სხვა ორგანიზაციების მიერ შესაბამის სფეროებში ჩატარებული კვლევები. საკანონმდებლო ანალიზი წარმოადგენს მონაწილეობითი პროცესის შედეგს და სათანადოდ ითვალისწინებს ექსპერტების, სახელმწიფო უწყებების, სასამართლოსა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენელთა მოსაზრებებსა და შენიშვნებს. კანონმდებლობის კვლევა ჩატარდა შემდეგი ძირითადი საკითხების გარშემო: ბავშვთა უფლებების ძირითადი პრინციპები; ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი ელემენტები; ძირითადი მატერიალური უფლებები. დოკუმენტში, აგრეთვე, გაანალ-

საქართველოს კანონმდებლობა არ ასახავდა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითად ელემენტებს სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლით რეგულირებულ სფეროებში, მათ შორის, საოჯახო დავებში მშობლის უფლება-მოვალეობებთან დაკავშირებით. საპროცესო კანონმდებლობა არ ადგენდა ბავშვზე მორგებულ სასამართლო პროცედურებს. გამოიკვეთა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესობის, ბავშვის მონაწილეობის, მოსმენის და მისი აზრის სათანადოდ გათვალისწინების პრინციპები სათანადოდ არ იყო ასახული და გარანტირებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით, მათ შორის, საოჯახო ურთიერთობების, განათლების, ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ხელმისაწვდომობის საკითხებზე. კანონმდებლობა არ ქმნიდა სათანადო გარანტიებს ყველა ბავშვის დასაცავად არათანაბარი მოპყრობისა და დისკრიმინაციისგან.

2017 წლის 11 ივლისს, საქართველოს პარლამენტში გაიმართა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) ერთობლივი ღონისძიება, “ბავშვის უფლებათა კოდექსზე დიალოგის გახსნა”. ღონისძიებაზე ოფიციალურად გაიხსნა დიალოგი კოდექსის შემუშავების პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალებობისა და ინკლუზიურობის უზრუნველსაყოფად. 2017-2019 წლებში განხორციელებული სამუშაოების შედეგად შემუშავდა ბავშვის უფლებათა კოდექსი, რომელმაც ბავშვის უფლებების დაცვის სხვა მნიშვნელოვან სამართლებრივ ინსტრუმენტებთან ერთად შექმნა ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლების რეალიზების სრულყოფილი მექანიზმები.

კოდექსის მონესრიგების ფარგლებს გათვალისწინებით ქვემოთ მოცემული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი ასპექტების განხილვა არ მოიცავს, „საქართველოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით“ მონესრიგებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკითხებს.

---

იხილეთ ბავშვზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვის საკითხი, როგორც მთავრობის, ასევე, პარლამენტის და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისას. იხ. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი 2017

### §31. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები

კოდექსით დადგენილი ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა ეფუძნება კონვენციით და კოდექსით აღიარებულ პრინციპებს, რომელიც ასახულია ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ცნების შინაარსში. ეს პრინციპებია:

- ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭება;
- ბავშვის ღირსების პატივისცემა და უთანასწორო მოპყრობის დაუშვებლობა;
- კანონის უზენაესობის პრინციპი.

როგორც ბავშვის უფლებათა კომიტეტი უთითებს, ბავშვების ინტერესების განხილვისას, ბავშვის უფლებათა კონვენცია და “სტანდარტები და ნორმები” ერთობლიობაში “მოგვიწოდებენ, დავამკვიდროთ ბავშვზე ორიენტირებული სისტემა, რომელიც აღიარებს ბავშვს ფუნდამენტური უფლებებისა და თავისუფლებების მქონე სუბიექტად და ყურადღებას გაამახვილებს იმის აუცილებლობაზე, რომ ბავშვებთან დაკავშირებით განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ნაკარნახევი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა, ბავშვის საუკეთესო ინტერესით<sup>871</sup>. ბავშვის საუკეთესო ინტერესები არის კოდექსში ასახული ძირითადი ტერმინი, რომელიც ჩამოყალიბებულია, როგორც კოდექსის ძირითადი პრინციპი და ბავშვის უფლება. იმავდროულად, ის არის ნორმის განმარტების კრიტერიუმი<sup>872</sup>.

ბავშვის ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის შესაბამისი მოპყრობა არის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ერთ-ერთი საბაზისო პრინციპი. აღნიშნული პრინციპი ასახავს ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას, რომელიც გათვალისწინებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის პირველი მუხლით. ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის ეს თანდაყოლილი უფლება მხედველობაში უნდა იყოს მიღებული და დაცული ნებისმიერი სახის ადმინისტრაციული ნარმოების და სამართალწარმოების ფარგლებში. აღნიშნულის გამოსატყულება კოდექსით დადგენილი ვალდებულება, ბავშვს ადმინისტრაციულ ორგანოსთან და სასამართლოსთან პირველივე კონტაქტისას მისთვის გასაგებ ენაზე განემარტოს მისი უფლებები და მიეცეს საკუთარი მოსაზრებების თავისუფალ გარემოში გამოსატყვის შესაძლებლობა. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში ბავშვის მიმართ მოპყრობა და მისი განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების პატივისცემის გრძნობის გაღვივებისკენ. მოპყრობა უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს, ხელს უწყობდეს ბავშვის რეინტეგრაციასა და ბავშვის მიერ საზოგადოებაში კონსტრუქციული როლის შესრულებას. ეს პრინციპი მოითხოვს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ჩართული ყველა სპეციალისტი არა მარტო იცნობდეს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, არამედ იცოდეს ბავშვის განვითარების, დინ-

871 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ბავშვის უფლებათა კომიტეტის მოხსენება, მეცხრე სესია (1995). CRC/C/43, გვ. 64.

872 დანვრილებით იხ. კომენტარი გვ.43

ამიკური და განგრძობადი ზრდის ასპექტები, იცოდეს, ასევე, თუ რა არის სასარგებლო ბავშვის კეთილდღეობისთვის, და ინფორმირებული იყოს ბავშვების მიმართ ძალადობის გავრცელებულ ფორმებზე; ბავშვის ღირსების პატივისცემა მოითხოვს, რომ ბავშვების მიმართ ყველა ფორმის ძალადობა აიკრძალოს და მოხდეს მისი პრევენცია.<sup>873</sup>

სახელმწიფოსა და ბავშვის ურთიერთობაში კანონის უზენაესობის პრინციპს აქვს ამ ურთიერთობის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის ფუნქცია. სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებს უფლება არ აქვთ კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელონ რაიმე ქმედება. სახელმწიფოს მიზანი ვერ იქნება მხოლოდ „მართლწესრიგის“ უზრუნველყოფა. იმის გათვალისწინებით, რომ კანონის უზენაესობა უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის უფლებების დაცვასთან, სახელმწიფომ უნდა აიღოს საკუთარ თავზე გარკვეული სოციალური ფუნქციები. ეს ნიშნავს, რომ კანონის უზენაესობა მოითხოვს, რომ სახელმწიფოებმა მოახდინონ გარკვეული სოციალური ურთიერთობების სამართლებრივი მონესრიგება და რეგულირება.<sup>874</sup> აღნიშნულ პრინციპს ეფუძნება კოდექსით დადგენილი ბავშვის უფლებათა დაცვის და მხარდაჭერის სისტემა, რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

## **1. მართლმსაჯულების განხორციელება სპეციალიზებული პროფესიონალების მიერ (პროფესიული უნარები)**

ადმინისტრაციულ წარმოებასა და სამართალწარმოებაში მონაწილე პირების და ბავშვთან მომუშავე პროფესიონალების პიროვნული და პროფესიული შესაბამისობის კრიტერიუმების განსაზღვრა არის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემის ერთ-ერთი აუცილებელი ელემენტი.

პროფესიონალთა სპეციალიზაცია არასრულწლოვანთა საკითხებზე პირველად დაინერგა სისხლის სამართლის სისტემაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი მოითხოვს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანთან, მსხვერპლ და მოწმე ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალი იყოს სპეციალიზებული ბავშვთა საკითხებზე.<sup>875</sup>

კოდექსით დადგენილი სავალდებულო სპეციალიზაციის მოთხოვნა მოიცავს სპეციალისტთა ორ კატეგორიას. კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს ბავშვთან მომუშავე პროფესიონალების ინტერდისციპლინური მომზადების ვალდებულებას, ხოლო აღნიშნული ნორმის მე-3 ნაწილში საუბარია ადმინისტრაციულ წარმოებაში<sup>876</sup> და სამართალწარმოებაში<sup>877</sup> მონაწილე ყველა

873 იხ. ქ.ჰამილტონი *არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები*, (2011).

874 იხ. კანონის უზენაესობა, გამომცემლები ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი, 2012.

875 იხ. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მე-16 მუხლი.

876 სზაკ-ის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

877 სსსკ-ის მე-51 მუხლი.



პირის სპეციალიზაციაზე კანონით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული ვალდებულებებიდან, პირველი ემსახურება ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების პროფესიონალების მიერ წარმართვის<sup>878</sup>, ხოლო მეორე - ბავშვთან მომუშავე პირების მხრიდან ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის რისკების და საფრთხეების თავიდან აცილების მიზანს<sup>879</sup>.

იმის გათვალისწინებით, რომ კოდექსით დადგენილი სავალდებულო სპეციალიზაცია ვრცელდება, როგორც ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაში, ისე სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა წარმოებაში მონაწილე ყველა პირის მიმართ,<sup>880</sup> შეიძლება ითქვას, რომ კოდექსმა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსთან ერთად, სრულად დაფარა ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების საჯაროსამართლებრივი სფერო.

ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაში მოსამართლეთა და სასამართლოს საჯარო მოხელეთა სპეციალიზაციის სტანდარტის დადგენას და სპეციალიზაციის ვალდებულების შესრულებას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. ადვოკატების სპეციალიზაციის პროცესს წარმართავს საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია. საჯარო სამსახურის სისტემაში საჯარო მოსამსახურეთა პროფესიული განვითარების საკანონმდებლო საფუძვლებს ქმნის საქართველოს კანონი საჯარო სამსახურის შესახებ და საქართველოს მთავრობის 2018 წლის 22 მაისის 242 დადგენილებით დამტკიცებული, პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის წესი, პროფესიული განვითარების სტანდარტი და წესი“, რომელიც ადგენს „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პროფესიული საჯარო მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრის პროცედურას, აგრეთვე მოხელის სავალდებულო პროფესიული განვითარების სტანდარტებსა და სავალდებულო პროფესიული განვითარების პროგრამების ხარისხის კონტროლის წესს.

აღნიშნული წესის შესაბამისად, მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროება წარმოადგენს მოხელის მიერ უფლებამოსილებების განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნისა და უნარების განვითარების საფუძველს. მოხელის პროფესიული განვითარების სტანდარტი დგება იმ მოთხოვნების ერთობლიობით, რომლებიც გამომდინარეობს მოხელის რანგისათვის/თანამდებობისათვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებიდან. მოხელის პროფესიული განვითარების საჭიროებებს განსაზღვრავს საჯარო დაწესებულების უფლებამოსილი პირი. კოდექსიდან გამომდინარე ვალდებულების გათვალისწინებით, მოხელის პროფესიული განვითარებისათვის საჭირო უნარების შინაარსს გვაძლევს კოდექსით დადგენილი ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლების შინაარსი. ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელ სა-

878 კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

879 კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილი.

880 კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ჯარო მოსამსახურეს უნდა ჰქონდეს ის ცოდნა და უნარები, რაც აუცილებელია ადმინისტრაციული წარმოების კოდექსით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად ჩასატარებლად. ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოების უნარების პროფესიული განვითარების პროგრამის შინაარსი დგება ზემოთ აღნიშნული მოთხოვნების გათვალისწინებით.

რაც შეეხება კოდექსით დადგენილ სპეციალიზაციის ვალდებულებას, რომელიც გულისხმობს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იურიდიულ, სამართალდაცვით, სპორტის, კულტურისა და დასვენების სფეროებში ბავშვთან მომუშავე პირების (პროფესიონალების) პიროვნული და პროფესიული შესაბამისობის უზრუნველყოფას, კოდექსით დადგენილი სავალდებულო სპეციალიზაცია ხდება სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად, რომელსაც, კოდექსის 88-ე მუხლის თანახმად, შეიმუშავენ საქართველოს მთავრობა. სპეციალიზაციის სტანდარტების შემუშავებისას გასათვალისწინებელია „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნა, სახელმწიფომ გაატაროს შესაბამისი საკანონმდებლო ზომა, რაც უზრუნველყოფს ბავშვებთან სამუშაო პროფესიათა მძიებელი კანდიდატები არ იყვნენ წარსულში ნასამართლევი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის და ძალადობის დანაშაულებზე<sup>881</sup>.

აღნიშნული ვალდებულების მიზანია თავიდან იქნეს აცილებული შესაბამის სფეროში ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის რისკები და საფრთხეები.<sup>882</sup> კოდექსის ეს მოთხოვნა შეესაბამება „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის დათქმას, რომელიც მოითხოვს, რომ სახელმწიფომ გაატაროს საკანონმდებლო ღონისძიებები იმ პირთა ცნობიერების ასამაღლებლად ბავშვთა დაცვის საკითხებზე, რომლებსაც რეგულარული კონტაქტი აქვთ ბავშვებთან საგანმანათლებლო, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, იურიდიულ და სამართალდამცავ, ასევე სპორტის, კულტურისა და დასვენების სფეროში. ეს პირები, აგრეთვე, უნდა ფლობდნენ შესაბამის ცოდნას ბავშვების სექსუალური ექსპლუატაციისა და მათ მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ<sup>883</sup>. ასევე, ევროპის საბჭოს მითითებები განმარტავს, რომ ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალმა უნდა მიიღოს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკობრივი საჭიროებების და ბავშვზე მორგებული პროცესის შესახებ. მათი გადამზადება უნდა მოხდეს, აგრეთვე, ნებისმიერი ასაკის და განვითარების ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებზე,

881 „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 5.3. მუხლი.

882 73-ე მუხლის პირველი ნაწილი.

883 იხ. „ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-5 მუხლი.

ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

განსაკუთრებით, მოწყვლად სიტუაციაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით.<sup>884</sup> აღნიშნულის შესაბამისად, კოდექსის 73-ე მუხლის მე-2 ნაწილი ადგენს, რომ ბავშვთან მომუშავე პირმა (პროფესიონალმა) უნდა გაიაროს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკის ბავშვთა საჭიროებებისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე. ამასთანავე, ბავშვთან მომუშავე პირი (პროფესიონალი) უნდა გადამზადდეს ნებისმიერი ასაკისა და განვითარების დონის ბავშვთან, განსაკუთრებით - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვთან, კომუნიკაციის მეთოდებთან დაკავშირებით<sup>885</sup>.

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებების თანახმად, პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციურმა სისტემამ უნდა უზრუნველყოს განგრძობადი სწავლება ბავშვთან კომუნიკაციის უნარებში (ბავშვის ფსიქოლოგია, ბავშვისთვის გასაგები ენა) ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალისთვის (ადვოკატები, მოსამართლეები, მედიატორები, სოციალური მუშაკები, ფსიქოლოგები და სხვა სპეციალისტები, რომლებმაც შეიძლება მონაწილეობა მიიღონ ბავშვის მულტიდისციპლინური შეფასების ან ფსიქოსოციალური და სამედიცინო დახმარების/რეაბილიტაციის პროცესში). სწავლების მიზანი უნდა იყოს როგორც ბავშვთან მუშაობის შესახებ ცოდნის მიწოდება, ასევე, უნარ-ჩვევების გამომუშავება, გაუმჯობესება და სათანადო მიდგომების და ღირებულებების განვითარება.<sup>886</sup> აღნიშნულთან შესაბამისობაშია კოდექსით დადგენილი პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური სისტემა, რომელიც ადგენს ბავშვთან და ბავშვის საკითხებზე მომუშავე ადვოკატების, პროკურორების, პოლიციელების, მოსამართლეების, მედიატორების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების შერჩევას, მოსამზადებელი და განგრძობადი სწავლების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის, საქმიანობის ხარისხის კონტროლისა და ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფის ვალდებულებას,<sup>887</sup> რაც ხელისუფლების დანაწილების პრინციპიდან გამომდინარე, ექცევა სხვადასხვა კანონების მოქმედების სფეროებში და სხვადასხვა უწყებების უფლებამოსილებების ქვეშ.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პროფესიული სტანდარტების

884 ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017 გვ. 46

885 სზაკ-ის 75-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების მონაწილე ადმინისტრაციული ორგანოს თანამდებობის პირი უნდა იყოს სპეციალიზებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-51 მუხლის თანახმად, არასრულწლოვნის უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში სპეციალიზებული მოსამართლე, ადვოკატი, სოციალური მუშაკი ან/და არასრულწლოვნის საჭიროებების გათვალისწინებით მონეული სხვა შესაბამისი სპეციალისტი

886 იხ. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა, გაეროს ბავშვთა ფონდი, 2017, გვ. 46

887 კოდექსის 73-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

შემადგენელი ელემენტია გადანყვეტილების მიღება მულტიდისციპლინური მიდგომის საფუძველზე. აღნიშნული გულისხმობს გადანყვეტილების მიღებას ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასება და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენა ითხოვს განსხვავებულ უნარებს, რაც ვერ ექნება გადანყვეტილების მიმღებ ერთ პირს, მიზანი მიიღწევა მოსამართლეების, ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირებისა და სხვა სპეციალისტების ჩართულობით და სხვა პროფესიის სპეციალისტებთან კონსულტაციისა და ურთიერთმხარდაჭერის გზით.<sup>888</sup> აღნიშნული პროცესი ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოებში ხორციელდება ბავშვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებს, მონვეულ ექსპერტებს ან ორგანიზაციებს შორის ფორმალური თანამშრომლობის პროცედურით<sup>889</sup>, რაც მოიცავს როგორც გასაუბრების, ასევე, მოკლე და გრძელვადიანი დახმარებისა და რეაბილიტაციის პროცესს და მიმდინარეობს წინასწარ შემუშავებული ერთიანი სისტემის საფუძველზე.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის ინსტიტუციურ მონყობაში გათვალისწინებულია გადანყვეტილების მულტიდისციპლინური განხილვის საფუძველზე მიღების მექანიზმი. კოდექსის 96-ე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ, სულ მცირე, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

როგორც აღინიშნა, მულტიდისციპლინური მიდგომა გულისხმობს სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მონაწილეობას ადმინისტრაციულ წარმოებაში და სასამართლო პროცესში, რაც ითხოვს მათ კომუნიკაციას ბავშვთან. აღნიშნულს ახლავს შესაბამისი რისკებიც, განსაკუთრებით, დანაშაულის შედეგად დაზარალებული, დანაშაულის მოწმე და დანაშაულის მსხვერპლი ბავშვების მიმართ, რამდენადაც ამან შესაძლებელია გამოიწვიოს ასეთი ბავშვების განმეორებითი ვიქტიმიზაცია. აღნიშნული საფრთხის (ბავშვთა განმეორებითი გამოკითხვისა და ხელახალი ვიქტიმიზაციას) თავიდან ასაცილებლად, კოდექსი ადგენს, რომ მულტიდისციპლინური მიდგომა განხორციელდეს ერთ სივრცეში, სოციალური მუშაკების, სასამართლო ექსპერტების, სამედიცინო ექსპერტების, ფსიქოლოგების, პედაგოგების, პოლიციელების, პროკურორებისა და ადვოკატების ერთობლივი მონაწილეობით.<sup>890</sup>

## 2. მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემა გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების განხორციელებას ბავშვისათ-

888 კოდექსის 72-ე მუხლი.

889 კოდექსის 72-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

890 კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ვის ხელმისაწვდომი ფორმების გამოყენებით, რაც მოიცავს:

ა. ბავშვისათვის ინფორმაციის, კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობას, მათ შორის, სატელეფონო ცხელი ხაზის, ინტერნეტგვერდებისა და სოციალური საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.<sup>891</sup>

ბ. ადმინისტრაციულ ორგანოში განცხადებისა და საჩივრის წარდგენის და სასამართლოში განცხადებებისა და სარჩელის წარდგენის, აგრეთვე, სახალხო დამცველისათვის მიმართვის ადაპტირებული ფორმებისა და კომუნიკაციის საშუალებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას;<sup>892</sup>

გ. ბავშვთან დაკავშირებით ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს გადაწყვეტილების ბავშვზე მორგებული პროცედურებით აღსრულების მექანიზმების დანერგვას.<sup>893</sup>

## **2.1. ინფორმაციის, კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ადაპტირებული ფორმებით ხელმისაწვდომობა**

იმისათვის რომ ბავშვმა ისარგებლოს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლებით, მას უნდა ჰქონდეს ინფორმაცია საკუთარი უფლებების და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ.<sup>894</sup> აღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას განახორციელოს ყველა შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ღონისძიება საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით - ბავშვისა და მისი ოჯახისთვის, ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ბავშვის უფლებათა კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად.<sup>895</sup>

კოდექსში განმტკიცებული მშობლის და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების უპირატესი მდგომარეობის გათვალისწინებით, აღნიშნული პირები ვალდებული არიან ბავშვს მისი განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით მიანოდონ ინფორმაცია და რჩევა-დარიგებები ბავშვის უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებებისა და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ.<sup>896</sup> თავის მხრივ, მშობლის და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირების მიერ ამ ვალდებულების შესასრულებლად, კოდექსი ითვალისწინებს ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურების ვალდებულებას, შესაბამისი ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განახორციელონ ოჯახის მხარდაჭერის საინფორმა-

891 კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

892 კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

893 კოდექსის 69-ე მუხლის მე-4 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტი.

894 იხ. იხ. ქეროლინ ჰამილტონი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები, 2011, გვ.

895 კოდექსის 70-ე მუხლის პირველი ნაწილი.

896 კოდექსის 70-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

ციო-საკონსულტაციო ღონისძიებები, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მშობლებში მშობლობის უნარების გაძლიერებას.

კოდექსი ადგენს ბავშვის უფლებას სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემებში და ალტერნატიული ზრუნვის ყველა მომსახურების მიწოდებისას მიიღოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში არსებული კონფიდენციალური კონსულტაციის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების პროცედურების, მექანიზმების და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ.<sup>897</sup> ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დანესებულებებში უნდა არსებობდეს ბავშვის საჩივრის მიღების, განხილვის და ბავშვის საუკეთესო ინტერესებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მიღების დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმები. ამ ინსტრუმენტის ხელმისაწვდომობის აუცილებელი კრიტერიუმია, რომ ბავშვს ჰქონდეს ინფორმაცია მისი საჩივრის განხილვის მექანიზმების შესახებ და საჩივრის განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი იქნეს ასაკისა და განვითარების შესაბამისი მხარდაჭერით, კერძოდ, კომუნიკაციის, საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და სათანადოდ გათვალისწინების ინსტრუმენტების დანერგვით<sup>898</sup>. კოდექსით გარანტირებული ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლება<sup>899</sup> მოიცავს საგანმანათლებლო დანესებულებებში ადამიანის უფლებების და მისი დაცვის მექანიზმების შესახებ სწავლების ვალდებულებას, ასევე, ვალდებულებას, რომ ბავშვს ჰქონდეს ინფორმაცია მისი საჩივრის განხილვის მექანიზმებზე<sup>900</sup>.

სზა-ის 85-ე მუხლი ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულებას დაინტერესებულ მხარეს განუმარტოს მისი უფლებები და მოვალეობები, გააცნოს განცხადების განხილვის წესი, წარმოების სახე და ვადა, აგრეთვე ის მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი, მიუთითოს განცხადებაში დაშვებული შეცდომების შესახებ. ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით. სზაკ-ით გარანტირებული ამ უფლების შინაარსს განავრცობს კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი<sup>901</sup> ავსებს სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობის ნორმებს და ადგენს ბავშვის მნიშვნელოვან პროცესუალურ უფლებას, რომლის თანახმად, სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის საკითხებზე მართლმსაჯულების

897 კოდექსის 70-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

898 კოდექსის 39-ე მუხლი.

899 იხ, უფლების განმარტება გვ.

900 კოდექსის 39-ე მუხლი.

901 მიუხედავად იმისა, რომ ეს ნორმა არ არის მოცემული საპროცესო კოდექსებში ის თანხის ბუნებით არის საპროცესო სამართლებრივი სამართლის ნორმა.

სისტემასთან ბავშვის პირველივე კონტაქტისას უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია მართლმსაჯულების პროცესის, მასში ბავშვის მონაწილეობის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე<sup>902</sup>:

ა) ბავშვის უფლებები და როლი სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში;

ბ) მხარდაჭერის მექანიზმები პროცესში მონაწილეობისთვის;

გ) პროცესის შესაძლო შედეგები;

დ) პროცესის ადგილი და თარიღი - როდესაც ბავშვი პროცესის უშუალო მონაწილეა;

ე) გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები;

ვ) დამრღვევისგან ან სახელმწიფოსგან სასამართლოს მეშვეობით ან სხვა, ალტერნატიული გზით ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა;

ზ) დამხმარე სერვისების (ჯანმრთელობის დაცვის სერვისი, ფსიქოსოციალური დახმარების სერვისი, თარჯიმნის მომსახურება და სხვა) ან სასწრაფო ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა.

ბავშვს ზემოთ ჩამოთვლილი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს მისი ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ენით და სათანადო კომუნიკაციის საშუალებებით.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტს, რომელსაც აქვს საზედამხედველო ფუნქცია ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში. სახალხო დამცველის მიერ „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად. განხორციელებული საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვის, განსაკუთრებით - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის, უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში უნდა იყოს ადაპტირებული ბავშვების საჭიროებებთან მისი ასაკის და ინდივიდუალური შესაძლებლობების გათვალისწინებით.<sup>903</sup>

ბავშვს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით მიიღოს თანამიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია ან იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე, მისი ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ენით, სათანადო კომუნიკაციის საშუალებებით. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბავშვისთვის ან/და მშობლისთვის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისთვის უფასო იურიდიული კონსულტაციის ან იურიდიული დახმარების განევას ტელეფონით, ადაპტირებული ინტერნეტგვერდებით, ბეჭდური და სხვა საშუალებებით, აგრეთვე, ინფრასტრუქტურის, მმართველის ფორმებისა და ყველა სხვა მომსახურების ხელმისაწვდომობას ბავშვ-

902 კოდექსის 70-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

903 იხ. კოდექსის 97-ე მუხლი.

ზე მორგებული მართლმსაჯულების სტანდარტების თანახმად.

ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებებში განმარტებულია, რომ პროცესის დაწყებამდე ბავშვს გასაგები ენით უნდა გააცნონ სასამართლოს ან სხვა შესაბამისი შენობის მოწყობის გეგმა, ასევე, მონაწილე პირების როლი და ვინაობა. ბავშვს უნდა მისცენ ნება თან ახლდეს მშობლები ან, სადაც საჭიროა, მის მიერ არჩეული ზრდასრული პირი.<sup>904</sup>

აღნიშნული სტანდარტის შესაბამისად, კოდექსი ადგენს, რომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიენოდოს და კონსულტაცია უნდა გაეწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით<sup>905</sup>. ბავშვის ეს უფლება მოიცავს ისეთ შემთხვევებს, როდესაც ბავშვს არ ესმის ადმინისტრაციული წარმოების და სამართალწარმოების ენა. ბავშვს უნდა დაენიშნოს თარჯიმანი, რომ უზრუნველყოფილი იქნას კომუნიკაცია მისთვის გასაგებ ენაზე<sup>906</sup>. ამასთან, ეს უფლება ეხება ყველა ბავშვს, მათ შორის ყრუ, სმენადაქვეითებულ ან მეტყველების პრობლემების მქონე ბავშვებსაც. ბავშვისთვის გასაგები ენა, ასევე, გულისხმობს, რომ მასთან კომუნიკაციის დროს არ იქნას გამოყენებული ბიუროკრატიული ენა, რომელშიც მრავლად იქნება გამოყენებული სამართლებრივი ტერმინები და სხვა რთული პროფესიული დეფინიციები. იმისათვის, რომ ბავშვს ესმოდეს ადმინისტრაციული წარმოების და სამართალწარმოების და სრულყოფილად იღებდეს მასში მონაწილეობას, მას უნდა შეეძლოს სასამართლოში ან ადმინისტრაციულ ორგანოში მიმდინარე პროცესის არსის გაგება და საკუთარი უფლების დაცვაში აქტიურად მონაწილეობა. ეს არ ნიშნავს, რომ მას უნდა ესმოდეს კანონის ყველა ნიუანსი, არამედ, ბავშვს უნდა ჰქონდეს გააზრებული პროცესის არსი ფართო გაგებით და ისიც, თუ რა შედეგები შეიძლება მოუტანოს მას ამ პროცესში მონაწილეობამ.

904 ევროპის საბჭოს სახელმძღვანელო მითითებები, მითითება 54-62, გვ. 29-30

905 კოდექსის 70-ე მუხლის მე-5 ნაწილი. ასევე, სზაკ-ის 85-ე მუხლი ადგენს, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიანოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

906 ბავშვის უფლებათა კონვენცია ავალდებულებს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ თარჯიმნის დახმარება უფასოდ, „თუ ბავშვს არ ესმის ან არ ლაპარაკობს გამოყენებულ ენაზე“. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-40 მუხლის მე-2 პუნქტის (ბ) ქვეპუნქტის (VI) ნაწილი; ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი, რომელიც იდენტურია 40 (2) (ბ) (VI) მუხლისა, საქმეზე „კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, რომელშიც დადგინდა, რომ იმის გამო, რომ განმცხადებელი ვერ უზრუნველყვეს სასამართლო პროცესზე პროფესიული, კვალიფიციური თარჯიმნით, დაირღვა მე-6 მუხლი. სასამართლომ ასევე განაცხადა, რომ მოსამართლემ უნდა უზრუნველყოს, რომ განმცხადებელს ესმოდეს სასამართლო პროცესზე საქმის წარმოება („კუსკანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, განაცხადის 3277/96, [2002] 625, (2003) 36 E.H.R.R. 2, ევროპის საბჭო: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, 24 სექტემბერი, 2002 წ.)



ბავშვთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებაში ბავშვის გარანტირებული შესაძლებლობა, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით, მაშინ არის უზრუნველყოფილი, როდესაც მისი უფლება, მოუსმინონ, არ შეიზღუდება მის ასაკზე ან სხვა გარემოებაზე მითითებით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს მიეცეს საკუთარი მოსაზრების მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უნდა შეექმნას შესაბამისი პირობები, რომლებიც აუცილებელია მის მიერ მოსაზრების გამოსახატავად.

## **2.2. ადმინისტრაციული ორგანოსთვის ან სასამართლოსთვის მიმართვის ადაპტირებული ფორმების ხელმისაწვდომობა**

ბავშვის ინფორმირება მის უფლებებზე და ამ უფლებების დაცვის მექანიზმებზე არის ისეთი უფლებით სარგებლობის წინაპირობა, როგორცაა ბავშვის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ან სასამართლოსათვის მიმართვის უფლება<sup>907</sup>.

აღნიშნული უფლება მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ერთ-ერთი საფუძველია დაინტერესებული პირის განცხადება, ხოლო სამართალწარმოება იწყება მხოლოდ სასამართლოში წარდგენილი სასარჩელო განცხადების საფუძველზე. განცხადება, როგორც ადმინისტრაციული წარმოების დაწყების საფუძველი ზღუდავს ადმინისტრაციულ ორგანოს დაიწყოს ადმინისტრაციული წარმოება განცხადების გარეშე. მეორე მხრივ, განცხადება არის ადმინისტრაციული წარმოების დაწყების ვალდებულების წარმოშობის საფუძველი. ასევე, მოსამართლე საკუთარი ინიციატივით ვერ დაიწყებს საქმის განხილვას, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია ირღვეოდეს ბავშვის უფლება, ხოლო სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, ის ვალდებული ხდება დაიწყოს საქმის წარმოება.

ადმინისტრაციული ორგანოსათვის და სასამართლოსათვის მიმართვის უფლება არის ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლების ერთ-ერთი ელემენტი, რომლის რეალიზებას ემსახურება კოდექსით დადგენილი ვალდებულება, რომ ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოებში დაინერგოს განცხადების, საჩივრის და სარჩელის წარდგენის ბავშვისათვის ადაპტირებული ფორმები, რაც უნდა იძლეოდეს ნებისმიერი ასაკისა და განვითარების დონის ბავშვთან კომუნიკაციის შესაძლებლობას.

## **3. პროცედურული გარანტიები**

ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოება და სამართალწარმოე-

907 კოდექსის 75-ე მუხლი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 811 მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად მიმართოს სასამართლოს.

ბის პროცესი გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და აღქმად პროცედურებს.<sup>908</sup>

საქართველოს კონსტიტუციაში 2017 წელს შეტანილი ცვლილებების შედეგად, ადამიანის ძირითად უფლებათა ჩამონათვალს დაემატა მე-18 მუხლის ახალი რედაქცია, რომლის თანახმადაც, ყველას აქვს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მასთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლება. საქართველოს კონსტიტუციის მიერ სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლებების რანგში აყვანა გამომდინარეობს ადმინისტრაციული წარმოების არსიდან. საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული ამ უფლების გათვალისწინებით ჩატარებულ ადმინისტრაციული წარმოების პროცესში, მოქალაქეს ენიჭება აქტიური როლი. მოქალაქის წარმოება სამართლებრივი უფლებების რეალიზაციას ემსახურება სზაკ-ით დადგენილი:

- განმცხადებლის მიერ საკუთარი აზრის გამოთქმის უფლება;
- ადმინისტრაციული მასალების გაცნობის უფლება;
- შუამდგომლობების აღძვრის, მტკიცებულებების წარდგენისა და ზეპირი განმარტებების გაკეთების უფლება;
- ადმინისტრაციულ ორგანოსთან წარმომადგენლის მეშვეობით ურთიერთობის უფლება;
- სამართლებრივი დახმარების უფლება<sup>909</sup>.

სზაკ-ის 98-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც გულისხმობს ადმინისტრაციული წარმოების ყველა სტადიაზე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და აღქმად პროცედურებს.

სზაკ-ის მე-12 მუხლის მიხედვით, ნებისმიერ პირს აქვს უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს, ამ უკანასკნელის უფლებამოსილებას მიკუთვნებული იმ საკითხის გადასაწყვეტად, რომელიც უშუალოდ და პირდაპირ ეხება პირის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. აღნიშნული უფლების გამოყენება უკავშირდება ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე პირის ქმედუნარიანობის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12-16 მუხლებით დადგენილ შეზღუდვებს, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სზაკ-ის 98-ე მუხლი მე-3 ნაწილის და კოდექსის 78-ე მუხლის მე-2 ნაწილი დაუშვებლად მიიჩნევს ბავშვის მოსმენის უფლების შეზღუდვას ასაკზე მითითებით, რაც ხსნის სზაკ-ის 74-ე მუხლით დადგენილ ზემოთ აღნიშნულ შეზღუდვას და ბავშვს აძლევს უფლებას აწარმოოს ურთიერთობა ადმინისტრაციულ ორგანოსთან უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი

908 კოდექსის 69-ე მუხლის მე-2 ნაწილი

909 ადმინისტრაციულმა ორგანომ ბავშვს ინფორმაცია უნდა მიაწოდოს და კონსულტაცია უნდა გაუწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

გადაწყვეტილების ან ქმედების გასაჩივრების მიზნით<sup>910</sup>.

სსკ-ის 81-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, მცირეწლოვნის უფლებებსა და კანონით დაცულ ინტერესებს სასამართლოში იცავს მისი კანონიერი წარმომადგენელი – მშობელი, მშვილებელი, მეურვე. სასამართლო უფლებამოსილია, მცირეწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის შუამდგომლობით ან, მცირეწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, საკუთარი ინიციატივით, საქმეში მცირეწლოვანიც ჩააბას.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 81<sup>1</sup> მუხლის თანახმად, არასრულწლოვანს უფლება აქვს, თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად სასამართლოს მიმართოს<sup>911</sup>. ამ შემთხვევაში, სასამართლო ნიშნავს საპროცესო წარმომადგენელს და განიხილავს საქმეს. არასრულწლოვან მოსარჩელეს უფლება აქვს, არ დაეთანხმოს თავის საპროცესო წარმომადგენელს და თვითონ დაიცვას თავი. სასამართლო ვალდებულია ასეთ საქმეში ჩააბას მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოები.

ბავშვის მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის საპროცესო გარანტია მოიცავს ბავშვის უფლებას მოსაზრება გამოხატოს ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა მესამე პირის გავლენის გარეშე<sup>912</sup> ბავშვის მიერ მოსაზრების გამოხატვის პროცესს დაკითხვის ფორმა არ უნდა ჰქონდეს. ის მეგობრულ გარემოში თავისუფალი დიალოგის სახით უნდა განხორციელდეს. დიალოგს უნდა ჰქონდეს არა ბავშვთან პაექრობის, არამედ მისი მხარდაჭერის ხასიათი<sup>913</sup>. უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვების დაცვა დამთრგუნველი და უსამართლო დაკითხვისაგან. არსებობს ბავშვთან გასაუბრების გარკვეული ხერხები. განსაკუთრებით მიუღებელია ბავშვების შემთხვევებში ისეთი მისახვედრი (პასუხზე მიმანიშნებელი) კითხვების დასმა, რომელმაც შეიძლება დააზიანოს ან დააშინოს ბავშვი. ბავშვთან ურთიერთობისათვის შერჩეული გარემო უნდა იყოს ბავშვის საჭიროებებზე მორგებული. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე “ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ”<sup>914</sup> დაადგინა, რომ სასამართლო დარბაზის ფიზიკური გარემო იყო ერთი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის, სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ მხოლოდ სასამართლოს ფიზიკური გარემო არ იქნებოდა საკმარისი იმისათვის, რომ დაგვესკვნა, რომ ადგილი ჰქონდა უსამართლო სასამართლოს, მაგრამ ეს იყო მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც თავისი წვლილი შეიტანა ამგვარი დასკვნის გამოტანაში.

უფლების დაცვის სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უფლების

910 კოდექსის 75-ე მუხლის პირველი ნაწილი.

911 აღნიშნულ მუხლში შესული ცვლილებით მოიხსნა შეზღუდვა, რომელიც არასრულწლოვანს 14 წლის ასაკიდან ანიჭებდა უფლებას მიემართა სასამართლოსთვის.

912 კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

913 კოდექსის 78-ე მუხლის მე-5 ნაწილი.

914 საქმე „ტ. და ვ. გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ“, №24888/94; [1999] 2; . 24724/94 (2000) 30 , 121, ევროპის საბჭო: 16 1999.

დაცვის პრევენციული დაცვის საშუალებას. აღნიშნული განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ბავშვთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას. სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობა ადგენს დაინტერესებული მხარის ამ უფლებას. კოდექსის 75-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სარჩელის აღძვრამდე ან მისი აღძვრის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსარჩელისათვის შესაძლო გამოუსწორებელი ზიანის მიყენება. ეს ჩანაწერი არ შეიცავს სამოქალაქო და ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი ზოგადი წესისგან განსხვავებულს. მისი გადმოტანა კოდექსში, ხაზს უსვამს გადაწყვეტილების მიმღების ვალდებულებას, უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების დროს გაითვალისწინოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები.

სასამართლოსათვის მიმართვის გზით უფლების დაცვის კონსტიტუციური უფლება შეზღუდულია სარჩელის სასამართლოში წარდგენის ხანდაზმულობის ვადით. საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ეს შეზღუდვა გამართლებულია მესამე პირების უფლების დაცვის ინტერესებით. საზოგადოებრივი ურთიერთობის სტაბილურობის ინტერესი ითხოვს, რომ ადამიანებს არ ჰქონდეთ მუდმივად იმის შიში, რომ დავის სასამართლოში წარმართვის საფუძველზე შეიცვლება მისი სამართლებრივი მდგომარეობა. გასაჩივრების ვადების დადგენა ქმნის მყარ საფუძველს იმისთვის, რომ გაჩნდეს განცდა იმისა, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება ქმნის სტაბილურ გარემოს. აღნიშნული პრინციპი ვრცელდება ბავშვის უფლებაზე დაიცვას დარღვეული უფლება სასამართლოსათვის მიმართვის გზით. თუმცა ბავშვის ასაკის და უნარების გათვალისწინებით, კოდექსმა დაადგინა გამონაკლისი, როდესაც საკითხი ეხება ბავშვის მიმართ სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობის შემთხვევიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლებას. აღნიშნულ შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა ჩერდება ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე ან არასრულწლოვანების პერიოდში სასამართლოსთვის მიმართვამდე<sup>915</sup>.

ბავშვის უფლება მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს გულისხმობს მის უფლებას ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი. იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მშობელი, ოჯახის სხვა წევრი ან ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი პირი სავარაუდოდ მოძალადეა. ასეთ შემთხვევაში, ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ვერ იქნება მისი საპროცესო წარმომადგენელი.<sup>916</sup>

ბავშვის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის და სასამართლოსათვის

915 იხ. კოდექსის 77-ე მუხლი.

916 კოდექსის მე-80 მუხლი.

მიმართვის უფლების მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია კოდექსის 74-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი ადვოკატის მონვევის უფლება, რაც მოიცავს სახელმწიფოს ვალდებულებას ბავშვისთვის უზრუნველყოს უფასო იურიდიულ დახმარება, როდესაც მას მონვეული ადვოკატი არ ჰყავს.

ბავშვის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო განიხილავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ვადების დაცვით. ადმინისტრაციულმა ორგანომ<sup>917</sup> და სასამართლომ ბავშვთან დაკავშირებული განცხადების, შუამდგომლობის, საჩივრისა და სარჩელის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ. აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე ადმინისტრაციულ ორგანოში და სასამართლოში უნდა დაინერგოს შესაბამისი საქმისწარმოების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს იმ საქმეების გამოყოფას, რაც უკავშირდება ბავშვს.

კანონით დადგენილია ბავშვთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების პრიორიტეტული აღსრულების მექანიზმი იმ შემთხვევისთვის, როდესაც ამას ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს, კერძოდ, სამოქალაქო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლი ითვალისწინებს არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად გადაცემის შესაძლებლობას, თუ ამას მოითხოვს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, რაც მიეთითება იმავე გადაწყვეტილებაში.

#### **4. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა**

როგორც ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების რეფორმის სარეკომენდაციო დოკუმენტში<sup>918</sup> არის ნათქვამი, კანონმდებლობით უნდა აიკრძალოს საჯარო ხელისუფლების - პოლიციის, პროკურატურის, სასამართლოს, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების და იუსტიციის სამინისტროს - მხრიდან რაიმე ისეთი ინფორმაციის (მაგალითად, პრესრელიზის) გავრცელება, რაც შესაძლებელს გახდის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის იდენტიფიცირებას. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობა გარკვევით უკრძალავდეს ყველანაირ მედიას ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელებას ან ეთერში გადაცემას, რომლითაც შესაძლებელია იმ ბავშვის იდენტიფიცირება, რომელმაც, როგორც ითვლება, ჩაიდინა დანაშაული, ბრალდებული ან აღიარებულია მის ჩამდენად. ეს მოიცავს ბავშვის ან მისი მშობლების ფოტოების ან სხვაგვარი გამოსახულების გამოყენების აკრძალვას, ბავშვის და მშობლების, სკოლის, რომელშიც ბავშვი დადის, და სამეზობლოს, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, დასახელებას. კანონმდებლობა უნდა შეიცავდეს სანქციებს, რომლებიც გამოყენებული იქნება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლების დამრღვევი ჟურნალისტების, გაზეთების და მაუწყებლების წინააღმდეგ. კანონმდებლობამ უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლო-

917 სზაკ-ის მე-12 მუხლის მე-3 ნაწილი.

918 იხ. ქ.ჰამილტონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები (2011), გვ.

ვან დამნაშავეთა შესახებ ჩანაწერები დაცული იყოს მკაცრად კონფიდენციალურად და ხელმიუწვდომელი იყოს მესამე პირებისათვის, გარდა იმ პირებისა, ვინც უშუალოდ არის ჩართული გამოძიების, განხილვის და გადანყვეტილების მიღების პროცესში<sup>919</sup>

აღნიშნულ რეკომენდაციებთან შესაბამისობაშია კოდექსით დადგენილი აკრძალვები, რომლის თანახმად, დაუშვებელია რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემები, რომლებითაც შეიძლება გამოვლენდეს ან არაპირდაპირ მიეთითოს ბავშვის ვინაობა (გამოსახულება, ბავშვის ან მისი ოჯახის წევრების დეტალური აღწერა, სახელები, მისამართები, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები და მსგავსი ინფორმაცია)<sup>920</sup>.

კოდექსით დადგენილი შეზღუდვა ასევე ვრცელდება ბავშვის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების მიმდინარეობაზე. დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახდეს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა შემცველი ისეთი დოკუმენტი ან ჩანაწერი, რომელიც უკავშირდება ბავშვის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენებას. მედიის საშუალებით არ უნდა გავრცელდეს ბავშვის მიმართ ან მის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევა ისეთი ფორმით, რაც მოძალადე ან მსხვერპლი ბავშვის იდენტიფიკაციის შესაძლებლობას იძლევა. მედიის მხრიდან ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც ასახავს ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ან ღარიბი ოჯახის სოციალური დახმარების ან საქველმოქმედო პროგრამაში ბავშვის მონაწილეობას და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა, მსგავსი შინაარსის ინფორმაციას ჩაითვლება ბავშვის პერსონალური მონაცემების უკანონო გავრცელებად.<sup>921</sup>

კოდექსი არ კრძალავს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავებას სხვადასხვა მიზნებისთვის, როგორცაა მაგ., ჯანმრთელობის დაცვის, განათლების და სოციალური დაცვის სფეროში. ის უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე და მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, კოდექსი ადგენს სახელმწიფოს ვალდებულებას, უზრუნველყოს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მონესრიგება და განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, მართლმსაჯულებისა და სხვა სფეროებში დაადგინოს ერთიანი სტანდარტები ბავშვის უფლებათა საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.<sup>922</sup>

919 ბავშვის უფლებათა კომიტეტი, ზოგადი კომენტარი 10 (2007); პუნქტები 64-6.

920 კოდექსის 71-ე მუხლის პირველი ნაწილი.

921 კოდექსის 71-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

922 კოდექსის 71-ე მუხლის მ-3 ნაწილი.

### §32. გადანყვეტილების დასაბუთების საფუძვლები

ადმინისტრაციული წარმოების<sup>923</sup> და სამართალწარმოების<sup>924</sup> ფარგლებში მიღებული გადანყვეტილების კანონიერების ერთ-ერთი კრიტერიუმია გადანყვეტილების დასაბუთება.

კოდექსის 81-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განსაზღვროს და უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

კოდექსის 81-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია სასამართლოს ვალდებულება ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას უპირატესობა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ გადანყვეტილების ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების (მათი უპირატესი გათვალისწინების) საფუძველზე მიღების საბაზისო კრიტერიუმები მოცემულია კოდექსის 81-ე მუხლის მესამე ნაწილში. ეს კრიტერიუმებია:

- ა) ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება;
- ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა;
- გ) ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მისი შეურაცხყოფისა და საფრთხის თავიდან აცილება;
- დ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა;
- ე) ბავშვის მოსაზრებები;
- ვ) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა;
- ზ) ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობა;
- თ) ბავშვის მოსაზრების საწინააღმდეგო გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების ეტაპზე ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები;

923 სზაკ-ის 53-ე მუხლი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დასაბუთება.

924 სსსკ-ის 2511 მუხლი.

მუხლი 2511 . გადანყვეტილება არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე

1. არასრულწლოვნის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადანყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლო უპირატესობას ანიჭებს არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების მიზნით სასამართლოს გადანყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს ბავშვის უფლებათა კოდექსის 81-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული შესაბამისი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით.

ი) სხვა საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადანწყვეტაზე.

ზემოთ მოცემული კრიტერიუმები არის კოდექსით დადგენილი ადმინისტრაციული წარმოების და სამართალწარმოების მულტიდისციპლინური მიდგომით განხორციელების<sup>925</sup> ვალდებულების აღსრულების ინსტრუმენტი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას გადანწყვეტილება მიღებული იქნას ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის საფუძველზე.

---

925 კოდექსის 72-ე მუხლი.



## თავი VI

### უფლებამოსილხანი გავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სფეროებში

კოდექსი ადგენს ბავშვის უფლებებზე დაფუძნებულ ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემას<sup>926</sup> და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემას<sup>927</sup>, რომლის ფუნქციონირების ინსტიტუციურ გარანტიებს ქმნის სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების მიერ კოდექსის საფუძველზე შექმნილი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის უფლებამოსილებების განმახორციელებელი ორგანოები და ბავშვის დახმარების სფეროში მომუშავე კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები.<sup>928</sup>

სახელმწიფო და მუნიციპალური ორგანოები კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის მხარდაჭერის უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით ქმნიან ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის დაწესებულებებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით ან კონკურსის წესით შეარჩევენ კერძო პირებს, რომლებიც ხელშეკრულების ფარგლებში ახორციელებენ სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებით გათვალისწინებულ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს. საჯარო მმართველობის ეკონომიურობის პრინციპიდან გამომდინარე, აღნიშნულ ალტერნატივებს შორის არჩევანის გაკეთებისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ბავშვის მხარდაჭერის პროგრამის ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი კერძო დაწესებულების კონკურსის წესით შერჩევის საფუძველზე განხორციელებას.<sup>929</sup> კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კოდექსით დადგენილი მოთხოვნის შესაბამისად, ბავშვის მხარდაჭერის დაწესებულებებში მომუშავე პირმა (პროფესიონალმა) უნდა გაიაროს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების და ნებისმიერი ასაკისა და განვითარების დონის ბავშვთან კომუნიკაციის მეთოდებთან დაკავშირებით საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული, „ბავშვის დაცვისა და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტების შესახებ“ დებულებით დადგენილი პროფესიული განვითარების სტანდარტების შესაბამისად.

926 იხ. მე-3 მუხლის ვ.ა. პუნქტი.

927 იხ. მე-3 მუხლის ვ.ბ. პუნქტი.

928 კოდექსის 87-ე მუხლის პირველი ნაწილი.

929 კოდექსის 87-ე მუხლი.

### §33. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება

ხელისუფლების დანაწილებისა და უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის თანახმად, საქართველოს პარლამენტი ახორციელებს კანონშემოქმედებით საქმიანობას. კოდექსის მიღებით პარლამენტმა შექმნა მყარი სამართლებრივი საფუძველი ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ჩამოყალიბებისა და ფუნქციონირებისათვის. საქართველოს პარლამენტი აღნიშნული კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განსაზღვრავს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილებებში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაზე საპარლამენტო კონტროლის განხორციელებას, რომლის ფარგლებშიც ხდება ბავშვის უფლებების რეალიზებისა და დაცვის სფეროში უფლებამოსილი, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლი.<sup>930</sup>

საქართველოს პარლამენტის მიერ ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის, შესაბამისი კანონმდებლობის განვითარების, ბიუჯეტირების და საპარლამენტო კონტროლის განხორციელების დროს სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად, კოდექსის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2020 წლის 31 ივლისის ბრძანებით შეიქმნა ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო.

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საბჭოს დებულებით. საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ან მისი დავალებით – საბჭოს ერთ-ერთი წევრი. საბჭო შედგება საქართველოს პარლამენტის არანაკლებ 10 წევრისაგან, რომლებიც შეირჩევიან ფრაქციათა წარმომადგენლობისა და იმ პარლამენტის წევრთა რაოდენობის პროპორციულად, რომლებიც არ არიან გაერთიანებული არცერთ ფრაქციაში. საბჭოს წევრის შერჩევისას გათვალისწინებულია ადამიანის უფლებების თემებზე საბჭოს წევრობის კანდიდატის მუშაობის გამოცდილება.<sup>931</sup>

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ფუნქციებია<sup>932</sup>:

- ა) საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და წინადადებების შემუშავება ბავშვის უფლებების დაცვის სფეროს მარეგულირებელ კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად;
- ბ) საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების

930 კოდექსის 89-ე მუხლი.

931 ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება.

932 ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება.

პროექტების ექსპერტიზა ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების თვალსაზრისით;

გ) ცალკეული ღონისძიებების შემუშავება და დაგეგმვა ბავშვის უფლებების რეალიზაციისათვის;

დ) ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის უზრუნველყოფისათვის განხორციელებული ღონისძიებების მონიტორინგისა და შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა, აგრეთვე, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ე) ბავშვის უფლებების დარღვევის შესახებ წარდგენილი განცხადებების, დოკუმენტაციისა და სხვა ინფორმაციის განხილვა, მათზე რეაგირება თავისი კომპეტენციის ფარგლებში და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება;

ვ) ბავშვის უფლებათა დაცვის ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელების ზედამხედველობა.

ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო ზემოთ აღნიშნული ფუნქციების განსახორციელებლად უფლებამოსილია<sup>933</sup>:

ა) ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მოიწვიოს შესაბამის დარგში მომუშავე საერთაშორისო ან ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები ან/და ექსპერტები;

ბ) საჭიროების შემთხვევაში, საქართველოს პარლამენტში მოიწვიოს სამინისტროებისა და სხვა უწყებების წარმომადგენლები და მიიღოს მათგან ინფორმაცია;

გ) გამოითხოვოს და მიიღოს ბავშვის უფლებების დაცვის საკითხის შესწავლასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია, გარდა ისეთი დოკუმენტებისა, რომელთა კონფიდენციალურობაც დაცულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად; და დოკუმენტაცია კანონმდებლობით განსაზღვრული წესითა და ფარგლებში;

დ) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის შესაბამისი გადანყვეტილების საფუძველზე, ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებთან დაკავშირებით წარმოადგინოს საქართველოს პარლამენტი საერთაშორისო ურთიერთობებში.

ე) შეიმუშაოს რეკომენდაციები ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ და მიმართოს შესაბამის უფლებამოსილ საჯარო დაწესებულებებს;

ვ) განახორციელოს სხვა უფლებამოსილებები, რომელიც აუცილებელია, „ბავშვის უფლებათა კოდექსით“ განსაზღვრული ამოცანების შესრულების უზრუნველსაყოფად.

933 ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს დებულება.

### §34. აღმასრულებელი ხელისუფლების უფლებამოსილება

საქართველოს მთავრობა (შემდგომ - მთავრობა) არის აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი ორგანო, რომელიც ახორციელებს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. მთავრობა ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საქართველოს პარლამენტის წინაშე.<sup>934</sup>

კოდექსის და ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების აღსრულების მიზნით მთავრობა ახორციელებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებებს.

კოდექსით აღიარებული ბავშვის უფლებების რეალიზებისა და დაცვის მიზნით მთავრობა ახდენს საქართველოს პარლამენტის მიერ შემუშავებული სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით.

მთავრობის საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საკანონმდებლო ინიციატივების წარდგენას და კანონქვემდებარე აქტების შემუშავებას, ასევე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ბავშვის უფლებათა განხორციელების, დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამების შემუშავებას და დამტკიცებას.

ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში, მთავრობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით იქმნება ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭო.

ადამიანის უფლებების უწყებათაშორისი საბჭო იქმნება ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების მიზნით, საქართველოს პრემიერ-მინისტრის თავმჯდომარეობით. საბჭოს ამოცანებია:

- ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქართველოს მთავრობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება;
- ადამიანის უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმის შემუშავება, განხილვა და დასამტკიცებლად მთავრობისთვის წარდგენა;
- სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაცია და მონიტორინგი.

მთავრობა აღმასრულებელ ხელისუფლებას ახორციელებს სამინისტროების, მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებების, სახელმწიფო მინისტრის აპარატის, მთავრობის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული აღმასრულებელი ხელისუფლების სპეციალური დანიშნულების გასამხედროებული დაწესებულების, აგრეთვე სპეციალური დანიშნულების სხვა სახელმწიფო დაწესებულებების მეშვეობით<sup>935</sup>. სამინისტრო იქმნება კანონის საფუძველზე, მთავრობის უფლებამოსილების განსაზღვრულ

934 საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის პირველი მუხლი.  
ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

935 საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლი.  
ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და მმართველობის განხორციელების უზრუნველსაყოფად.<sup>936</sup>

## 1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო არის აღმასრულებელი ხელისუფლების შემადგენელი რგოლი რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კანონმდებლობის განვითარებასა და სრულყოფას. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სამართალშემოქმედებით საქმიანობას და უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას ბავშვის უფლებათა საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კოდექსის შესაბამისად.<sup>937</sup>

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბავშვის უფლებების დაცვის, ბავშვის მიმართ და ბავშვთა შორის დანაშაულის პრევენციის, ბავშვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სხვა ღონისძიებებს.<sup>938</sup>

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების პროცესებში<sup>939</sup>, რაც მოიცავს, როგორც ბავშვისათვის ინფორმაციის ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობას, ისე განცხადებისა და საჩივრის ადაპტირებული ფორმებისა და კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, რაც ბავშვს მისცემს შესაძლებლობას, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

936 საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის ნუსის შესახებ საქართველოს კანონის მე-14 მულის პირველი ნაწილი.  
ხელმისაწვდომია: <[www.matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)>

937 კოდექსის 91-ე მუხლის პირველი ნაწილი.

938 კოდექსის 91-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

939 კოდექსის 91-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

## **2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნითა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება**

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო სახელმწიფოს მიერ კოდექსის საფუძველზე შემუშავებული ბავშვის სოციალური დაცვის პოლიტიკის, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე, საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს სათანადო პროგრამებსა და ღონისძიებებს ბავშვის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფეროში.<sup>940</sup>

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ზემოთ აღნიშნულ კოდექსით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით და კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.<sup>941</sup> კოდექსი ითვალისწინებს სამინისტროს მიერ შემუშავებული ბავშვის სოციალური აქტივობისა და სოციალური განვითარების პროგრამების ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის მუნიციპალურ სამსახურებზე დელეგირების შესაძლებლობას.

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპის საფუძველზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში,<sup>942</sup> რაც მოიცავს, როგორც ბავშვისათვის ინფორმაციის ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობას, ისე განცხადებისა და საჩივრის ადაპტირებული ფორმებისა და კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, რაც ბავშვს მისცემს შესაძლებლობას, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

## **3. საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება**

კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლების დაცვის გარანტიებს ქმნის საქართველოს განათლების და მეცნიერების, სამინისტროს მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახ-

940 კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილი.

941 კოდექსის 92-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

942 კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

ელმნიფო პოლიტიკის შესაბამისად შემუშავებული პროგრამები და ღონისძიებები, რომელიც ემსახურება განათლების ინკლუზიური სისტემის განვითარებას, ინკლუზიური განათლების ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას, განათლების სისტემაში ძალადობისგან ბავშვის დაცვას. სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამები მოიცავს სოციალური მუშაობის გაძლიერების, ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, მოზარდის მხარდაჭერისა და ახალგაზრდის განვითარების, კულტურისა და სპორტის სფეროებში ბავშვის სრულყოფილი მონაწილეობის და ბავშვის სხვა უფლებების რეალიზების ინსტრუმენტებს.<sup>943</sup>

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო აღნიშნულ უფლებამოსილებებს ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით და კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სპეციალისტების მონაწილეობით. კოდექსი ითვალისწინებს სამინისტროს პროგრამების მუნიციპალიტეტებისათვის დელეგირების შესაძლებლობას, ისევე როგორც სამინისტროს პროგრამების განხორციელებას კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ, სამინისტროს მიერ ღია კონკურსის ფარგლებში შერჩევის საფუძველზე.

საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში<sup>944</sup>, რაც მოიცავს, როგორც ბავშვისათვის ინფორმაციის ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობას, ისე განცხადებისა და საჩივრის ადაპტირებული ფორმებისა და კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, რაც ბავშვს მისცემს შესაძლებლობას, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

#### **4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილება**

ბავშვის უვნებელ გარემოში ცხოვრების კონსტიტუციური უფლებებიდან გამომდინარე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების, ბავშვის მონაწილეობის, მისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის განევის მიზნით, ამ კოდექსისა

943 კოდექსის 93-ე მუხლის პირველი ნაწილი.

944 კოდექსის 93-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.<sup>945</sup>

ბავშვის უფლება ცხოვრობდეს უვნებელ გარემოში, სადაც მისი ჰარმონიული განვითარებისა და კეთილდღეობისათვის ყველა პირობაა შექმნილი დიდწილად დამოკიდებულია ბავშვის ინფორმირებაზე. ამ მიმართულებით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ბავშვისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ბავშვის გარემოსდაცვითი განათლების დონისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.<sup>946</sup>

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვის მიზნით უზრუნველყოფს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესის წარმართვას ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოების სტანდარტების დაცვით,<sup>947</sup> რაც მოიცავს, როგორც ბავშვისათვის ინფორმაციის ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობას, ისე განცხადებისა და საჩივრის ადაპტირებული ფორმებისა და კომუნიკაციის საშუალებების შექმნას, რაც ბავშვს მისცემს შესაძლებლობას, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო კოდექსით გათვალისწინებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან და გარემოს დაცვის სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით<sup>948</sup>.

945 კოდექსის 94-ე მუხლის პირველი ნაწილი.

946 კოდექსის 94-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

947 კოდექსის 94-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

948 კოდექსის 94-ე მუხლის მე-4 ნაწილი.



### §35. საქართველოს საერთო სასამართლოების უფლებამოსილება

სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია სახელმწიფო ხელისუფლების სხვა შტოებისაგან და მას ახორციელებენ მხოლოდ სასამართლოები. მართლმსაჯულება არის სასამართლო ხელისუფლების განხორციელების ერთ-ერთი ფორმა და მას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალ-წარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები.

ბავშვის უფლებათა საკითხებზე საქართველოს საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებების განხორციელებას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია ბავშვის უფლებათა შესახებ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და დადგენილია კოდექსით.<sup>949</sup>

კოდექსით აღიარებული ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე გულისხმობს მართლმსაჯულების ისეთ სისტემას, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც არის ბავშვისათვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი და ადვილად აღსაქმელი. სასამართლო სისტემაში უნდა დაინერგოს ბავშვის ინფორმაციის და სასამართლოსათვის მიმართვის ადაპტირებული ფორმები და კომუნიკაციის საშუალებები. საქართველოს საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეში ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობის მხარდაჭერი საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების დაწესებას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას კანონის შესაბამისად.

საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დაწესების პროცესის კოორდინაციის უფლებამოსილება გააჩნია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, რომელიც ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის<sup>950</sup>:

ა) შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს;

ბ) უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლეთა პროფესიულ გადამზადებას და ადგენს მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტს;

გ) ხელმძღვანელობს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ყველა დონეზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას;

დ) ხელმძღვანელობს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ყველა დონეზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი სასამართლო ფორმების, სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურების და სამართალწარმოების წესის ადაპტირებას;

ე) კოორდინაციას უწევს საქართველოს საერთო სასამართლოებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეში ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობის

949 კოდექსის 95-ე მუხლის პირველი ნაწილი.

950 კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მხარდამჭერი საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების დანერგვას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

საქართველოს მართლმსაჯულების სისტემაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს როლის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, ის ხელს უწყობს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას საქართველოს საერთო სასამართლოებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის სამართლებრივი შეფასებით, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებით<sup>951</sup>.

---

951 კოდექსის 95-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

### §36. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებანი

საქართველოს სახალხო დამცველი ზედამხედველობს საქართველოს ტერიტორიისა და მისი იურისდიქციის ფარგლებში ადამიანის უფლებების დაცვას. საქართველოს სახალხო დამცველი ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, კოდექსით, საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით<sup>952</sup>.

ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებებია<sup>953</sup>:

ა) კოდექსისა და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების აღსრულების მონიტორინგი;

ბ) ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, შესწავლა და მათზე სათანადო რეაგირება კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

გ) ბავშვის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და მათზე სათანადო რეაგირება კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

დ) ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პოპულარიზაციის და შესაბამის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ე) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოთხოვა.

აღნიშნული უფლებამოსილებებიდან, განსაკუთრებით უნდა გამოიყოს სახალხო დამცველის მიერ საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებები ბავშვის, განსაკუთრებით - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის, უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში<sup>954</sup>, რაც ხაზს უსვამს უფლების დაცვის პრევენციული ღონისძიებების მნიშვნელობას.

საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით ან სხვა პირის მიმართვის საფუძველზე აკონტროლებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ კოდექსის შესრულებას და გასცემს რეკომენდაციებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ. საქართველოს სახალხო დამცველის

952 კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილი.

953 კოდექსის 97-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

954 კოდექსის 70-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

### **§37. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილება**

კოდექსის თანახმად, ბავშვს უფლება აქვს მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია და იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე, მისი ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ენით და სათანადო კომუნიკაციის საშუალებებით. ბავშვის ამ უფლების ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური, კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დაცვით.

ბავშვისათვის იურიდიული კონსულტაციის და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობა მოიცავს სატელეფონო, ადაპტირებული ინტერნეტგვერდების, ბეჭდური და სხვა საშუალებებით ინფორმაციის მინოდებას. აღნიშნული ვალდებულების შესრულების მიზნით იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის, მიმართვის ფორმებისა და კომუნიკაციის სხვა საშუალებების ხელმისაწვდომობას.<sup>955</sup>

---

955 კოდექსის 97-ე მუხლი.

### §38. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სტრუქტურული ერთეული

კოდექსი ადგენს მუნიციპალიტეტების ვალდებულებას საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრონ ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვაზე პასუხისმგებელი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც ახორციელებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.<sup>956</sup>

მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულის ფუნქციებს ბავშვის უფლებების დაცვისა სფეროში წარმოადგენს კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებების განხორციელება, რომელიც მოიცავს: საჯარო სივრცეში ბავშვის უფლებების დაცვაზე, საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ბავშვის ჯგუფური ტრანსპორტირების წესების და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირების (ღონისძიების ორგანიზატორი) მიერ საკუთარი ვალდებულებების დაცვაზე, ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის შემცველი ბეჭდური მედიის გავრცელების წესების დაცვაზე, საჯარო კინოჩვენებებზე და ღამის კლუბებში ბავშვის დაშვების წესების დაცვაზე, ჩანერილ ფილმებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივ შეზღუდვების დაცვაზე და ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების, ალკოჰოლის შემცველი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფესულების ბავშვისათვის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვაზე ზედამხედველობას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენას, შესაბამისი ოქმების შედგენას, სახდელის შეფარდებას ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნას. აღნიშნული უფლებამოსილებები ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, „ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე“, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-18 მუხლის საფუძველზე შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.<sup>957</sup>

კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიებები ხორციელდება სახელმწიფო პროგრამების საფუძველზე მუნიციპალიტეტის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ან საკუთარი პროგრამების საფუძველზე. უფლებამოსილების დელეგირება მოიცავს პროგრამის ფინანსურ უზრუნველყოფას შესაბამისი უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ.

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სტრუქტურული ერთეულის საქმიანობა ეფუძნება საფრთხის პრევენციისა და ადრეული

956 კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

957 კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 ნაწილი.

დახმარების პრინციპს.

მუნიციპალური სამსახური ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის ბიო-ფსიქო-სოციალური საჭიროებების შეფასების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფილია შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.<sup>958</sup>

განყოფილების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელების მიზნით ჩატარებულ ადმინისტრაციულ წარმოება არის ინტერდისციპლინური და მასში მონაწილეობენ, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

განყოფილების მიერ ადმინისტრაციული წარმოება ხორციელდება ბავშვის უფლებათა კოდექსითა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების და პროცედურების დაცვით.

განყოფილების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებები ხორციელდება მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან და ბავშვის თემებზე მომუშავე პირებთან კოორდინირებული თანამშრომლობით.

---

958 კოდექსის 96-ე მუხლის მე-6 ნაწილი.

### §39. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი

კოდექსი ადგენს ბავშვთან დაკავშირებით გადაწყვეტილების ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპზე დაყრდნობით მიღების ვალდებულებას. ეს პრინციპი მოიცავს საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ვალდებულებას იხელმძღვანელონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების პრინციპით და სისტემურად შეაფასონ, თუ როგორ გავლენას მოახდენს მათი ქმედებები და გადაწყვეტილებები ბავშვის უფლებებზე და ინტერესებზე, კერძოდ, რა შედეგი ექნება ბავშვზე ან ბავშვთა ჯგუფზე მისაღებ კანონს, პოლიტიკას, ადმინისტრაციულ ღონისძიებას ან სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ეხება ბავშვებს<sup>959</sup>.

კანონმდებლობის და პოლიტიკის შემუშავება და აღსრულება მმართველობის ყველა დონეზე ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, მოითხოვს ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების მდგრად და განგრძობით პროცესს, რათა წინასწარ განისაზღვროს შემუშავებული კანონის და კანონქვემდებარე აქტების, პოლიტიკის ან ბიუჯეტო პროექტის ზეგავლენა ბავშვებზე და მათი უფლებების რეალიზებაზე.<sup>960</sup>

ბავშვზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი უნდა ინტეგრირდეს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ხელისუფლების სამივე შტოს საქმიანობაში და თვითმმართველობის დონეზე, რათა სახელმწიფომ უზრუნველყოს კარგი მმართველობის პრინციპზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღება ბავშვთან დაკავშირებით საკითხებზე. ამ მექანიზმის შემუშავებისას შესაძლებელია გამოყენებული იყოს სხვადასხვა მეთოდოლოგია და პრაქტიკული მიდგომა, რომელიც შემოთავაზებულია საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციებში, თუმცა საბაზისო საფუძველს ქმნის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციასა და მის დამატებით ოქმებთან შესაბამისობა, ხოლო ეროვნულ დონეზე კოდექსი, რომლის თანახმადაც ეს მექანიზმი უნდა ეფუძნებოდეს ბავშვის უფლებებს, პირველ რიგში, ბავშვის აზრის მოსმენისა და სათანადოდ გათვალისწინების კრიტერიუმს და უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით. ევროკავშირმა და გაეროს ბავშვთა ფონდმა შეიმუშავეს სახელმძღვანელო რეკომენდაციები ბავშვზე ზეგავლენის შეფასების ინსტრუმენტის დანერგვისთვის, სადაც მოცემულია ზეგავლენის შეფასების ფორმალური პროცესი, რომელიც იყოფა 7 ეტაპად<sup>961</sup>:

ა. პრობლემის და შეფასების მიზნების განსაზღვრა: საწყისი სკრინინგი, კონტექსტის ანალიზი და დაინტერესებულ მხარეთა იდენტიფიცირება (სტაკეჰოლდერს მასპინჯ);

ბ. დაინტერესებულ მხარეთა და ბავშვთა მონაწილეობის უზრუნველყოფა;

959 იხ. ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება, UNICEF-ის კვლევა

960 CRC General Comment #5, para. 45; General Comment #14, პარა. 35 წყარო: იხ. ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება, UNICEF-ის კვლევა.

961 იხ. ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება, UNICEF-ის კვლევა.

გ. ალტერნატიული ვარიანტების განხილვა;

დ. შერჩეული ვარიანტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება: ზოგადი სკრინინგი, დეტალური ანალიზი (დეტაილედ ცომპატიბილიტყ ანალყსის), თემატური კვლევა;

ე. სხვადასხვა ვარიანტების შედარება (მე-3 და მე-4 კომპონენტების სინთეზი);

ვ. მიგნებების და რეკომენდაციების განხილვა;

ზ. ქმედითი ღონისძიებების განხორციელება, მონიტორინგის და შეფასების კომპონენტებთან დაკავშირება.

კოდექსის 82-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დროს.

კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი გულისხმობს გადანყვეტილების მიღებამდე ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე ამ გადანყვეტილების ზეგავლენის მოსალოდნელი შედეგების წინასწარ შეფასებას და გადანყვეტილების აღსრულების შემდეგ მონიტორინგის რეგულარულად განხორციელებას<sup>962</sup>. ამის უზრუნველსაყოფად, კოდექსი ითვალისწინებს სახელმწიფოს ვალდებულებას ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დასაწერგად განახორციელოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიება:<sup>963</sup>

ა) საქართველოს პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღების ან/და საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების დროს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე;

საქართველოს პარლამენტი საკანონმდებლო საქმიანობას, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობის კონტროლს, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და შესრულების კონტროლს ახორციელებს ბავშვის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების საფუძველზე, ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის გამოყენებით.

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ კანონის ან კანონქვემდებარე აქტის პროექტის შემუშავებისას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე;

საქართველოს მთავრობა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადანყვეტილების მიღებისას და ქმედების განხორციელებისას ხელმძღვა-

962 კოდექსის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

963 კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილი.



ნელობს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპით და ემყარება ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების ფორმალურ მექანიზმს.

გ) მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული სამართლებრივი აქტის შემუშავებისას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე.

**საქართველოს კანონი**  
**ბავშვის უფლებათა კოდექსი**  
**ნიშნი I**  
**კოდექსის ზოგადი დებულებები**  
**თავი I**  
**შესავალი დებულებები**

**მუხლი 1. კოდექსის მიზანი**

1. ამ კოდექსის მიზანია ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებული სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მიზნის განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს სხვადასხვა საკითხის გადაწყვეტას, მათ შორის:

ა) ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას;

ბ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას, მისი ღირსების დაცვას, კეთილდღეობის, უსაფრთხოების, სიცოცხლის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარებისა და სხვა ინტერესების რეალიზებასა და დაცვას ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის გარეშე;

გ) ბავშვის მონაწილეობის უზრუნველყოფას, მის საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის მომზადებას, ბავშვის მაღალი ზნეობრივი ღირებულებებით, განსაკუთრებით - მშვიდობის, ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით აღზრდას;

დ) ბავშვის სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების პატივისცემაზე ორიენტირებას;

ე) ოჯახის, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედის, განსაკუთრებით - ბავშვის აღზრდისა და კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანი გარემოცვის, დაცვასა და მხარდაჭერას;

ვ) ბავშვის შრომასა და ჯანსაღი ცხოვრების წესზე, როგორც საზოგადოების განვითარების აუცილებელ წინაპირობაზე, ორიენტირებას;

ზ) ბავშვის მოხალისეობაზე, როგორც სამოქალაქო აქტივობისა და სოლიდარული საზოგადოების განვითარების აუცილებელ ელემენტზე, ორიენტირებას.

**მუხლი 2. კოდექსის რეგულირების სფერო**

1. ეს კოდექსი განსაზღვრავს ბავშვის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, ქმნის ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფუნქციონირების სამართლებრივ საფუძვლებს.

2. ეს კოდექსი არ აუქმებს ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით მოქმედ სხვა საკანონმდებლო რეგულაციებს, ამასთანავე, განამტკიცებს საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების საქართველოს კონსტიტუციასთან, ბავშვის უფლებათა კონვენციასთან, მის დამატებით ოქმებსა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შესაბამისობის, მათ მიხედვით განმარტებისა და აღსრულების ვალდებულებას.

3. ეს კოდექსი არის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც ხელმძღვანელობენ საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მუნიციპალიტეტის ორგანოები, სხვა ადმინისტრაციული ორგანოები, საერთო სასამართლოები, საჯარო და კერძო სამართლის სუბიექტები და ფიზიკური პირები ბავშვებთან და ბავშვის საკითხებთან დაკავშირებული საქმიანობის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების დროს.

### მუხლი 3. კოდექსში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

ამ კოდექსის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) ბავშვი - 18 წლამდე არასრულწლოვანი;  
ბ) მოზარდი - ბავშვი 10 წლიდან 18 წლის მიღწევამდე;  
გ) ოჯახი - საზოგადოების ძირითადი ჯგუფი და ბავშვის აღზრდისთვის, კეთილდღეობისა და დაცვისთვის ბუნებრივი გარემო, რომელიც ძირითადად შედგება ბავშვისგან, მისი მშობლისგან, მეურვისგან, მზრუნველისგან, დისგან, ძმისგან ან/და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისგან;

დ) მშობელი - ბავშვის დედა ან/და მამა;

ე) მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვი - ბავშვი, რომელზედაც ნებისმიერი მიზეზის ან გარემოების გამო მშობელი ან კანონიერი წარმომადგენელი სადღეღამისო ზრუნვას არ ახორციელებს;

ვ) ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა - ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემისა და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ერთობლიობა;

ვ.ა) ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა - სოციალური კეთილდღეობის, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების სისტემებში არსებული საქართველოს კანონმდებლობა, სხვა მარეგულირებელი ნორმები, პოლიტიკა და მომსახურებები, რომლებიც ემსახურება ბავშვის დაცვასთან დაკავშირებული რისკების პრევენციასა და აღმოფხვრას. ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა მხარს უჭერს და აძლიერებს ბავშვს და მისი აღზრდისთვის პასუხისმგებელ პირებს სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობისა და ბავშვის ოჯახისგან განცალკევების რისკის მაქსიმალურად შემცირების მიზნით. ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემა ემსახურება განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და მართლმსაჯულების სისტემებში, ოჯახში და ნებისმიერ სხვა ადგილზე ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის, მათ შორის, ბავშვის ფიზიკური დასჯის, მისდამი სასტიკი, არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის, მისი ექსპლუატაციის, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშვისთვის ზიანის მომტანი ტრადიციების პრევენციასა და აღმოფხვრას;

ვ.ბ) ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემა - სახელმწიფოს მიერ მიღებული საკანონმდებლო, სოციალური, საგანმანათლებლო და სხვა ზომების ერთობლიობა, რომლებიც ემსახურება ბავშვის მიერ ყველა უფლებისა და თავისუფლების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობის გაძლიერებას ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, მისი ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობით, ბავშვის აზრის მოსმენითა და მონაწილეობის უზრუნველყოფით, უთანასწორო მოპყრობის გარეშე;

ზ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამები - ბავშვის დაცვის ეროვნული სისტემისა და ბავშვის მხარდაჭერის ეროვნული სისტემის ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტის ორგანოების, კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროგრამები, რომლებიც ემსახურება ბავშვთა, მათ შორის, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე, დანაშაულის მსხვერპლი ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების, გაძლიერებისა და დაცვის მიზნით პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების განხორციელებას მათი საუკეთესო ინტერესების, მონაწილეობის, სიცოცხლის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის, განვითარების, განათლების, სათანადო საცხოვრებელი პირობების, სოციალური დაცვისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით, უთანასწორო მოპყრობის გარეშე;

თ) ბავშვის საუკეთესო ინტერესები - ბავშვის კეთილდღეობის, უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, საზოგადოებრივი, ზნეო-

ბრივი და სხვა ინტერესები, რომლებსაც პრიორიტეტულად განსაზღვრავს მშობელი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და ბავშვის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, მისი მონაწილეობით და მისი მოსაზრების გათვალისწინებით;

ი) ალტერნატიული ზრუნვა - სახელმწიფოს მიერ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის ოჯახური ზრუნვის ისეთი მომსახურებით უზრუნველყოფა, რომელიც შეესაბამება ბავშვის ინდივიდუალურ საჭიროებებს და უპირატესად ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს, ბავშვის სიცოცხლის, ჯანმრთელი განვითარების, აზრის მოსმენისა და მონაწილეობის და სხვა უფლებებსა და თავისუფლებებს;

კ) რეზიდენტული ზრუნვა - ალტერნატიული ზრუნვის ერთ-ერთი ფორმა, რომელიც გამოიყენება შეძლებისდაგვარად უმოკლესი ვადით უკიდურეს შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მინდობით აღზრდის მიზნით განთავსება ან შვილად აყვანა შეუძლებელია;

ლ) განათლების ინკლუზიური სისტემა - განათლების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის ადრეული, სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ყველა ბავშვისთვის თანაბრად მიწოდებას, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით, გონივრული მისადაგების ან/და უნივერსალური დიზაინის გამოყენებით;

მ) ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება - მართლმსაჯულების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვის ყველა უფლების პატივისცემასა და ეფექტიან რეალიზებას ბავშვის მონაწილეობის, მისი საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის ღირსების პატივისცემის, უთანასწორო მოპყრობის დაუშვებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული;

ნ) გონივრული მისადაგება - ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში იმ აუცილებელი და შესაბამისი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც არ იწვევს არათანაზომიერი ვალდებულების წარმოშობას და უზრუნველყოფს ყველა ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად რეალიზებას;

ო) უნივერსალური დიზაინი - პროდუქტის, გარემოს, სწავლების, პროგრამის, მომსახურების ისეთი დიზაინი, რომელიც მას ყველა ბავშვისთვის ხელმისაწვდომს ხდის ისე, რომ ადაპტირება და სპეციალური დიზაინის გამოყენება აუცილებელი არ არის. უნივერსალური დიზაინი არ გამოიცხადება საჭიროების შემთხვევაში ბავშვის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად მისთვის დამხმარე საშუალებების მიწოდებას ან/და სხვაგვარად ხელის შეწყობას;

პ) ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაცია - ძალადობის ან დანაშაულის ნახალისებისკენ მიმართული ინფორმაცია, სექსუალური შინაარსის ინფორმაცია, აგრეთვე ინფორმაცია, რომელიც ეწევა ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოს, ნარკოტიკული საშუალების ან აზარტული თამაშობის პროპაგანდას ან რომელშიც ძალადობის, მკვლელობის ან სასტიკი, არაადამიანური მოპყრობის სცენები დეტალურადაა წარმოდგენილი;

ჟ) სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვი - ბავშვი, რომელზედაც გავლენას ახდენს ისეთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს მის შესაძლებლობას, სათანადო მხარდაჭერის გარეშე გაიაზროს სხვადასხვა გამოწვევა, წინააღმდეგობა გაუწიოს და გაუმკლავდეს მათ და აღიდგინოს რესურსები, მათ შორის, ნარკოტიკზე, ალკოჰოლზე ან/და აზარტულ თამაშობაზე დამოკიდებულება, ბავშვობისას მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენა, კანონთან კონფლიქტში ყოფნა, ძალადობა და მსგავსი ფაქტობრივი გარემოებები.

## თავი II

### გავშვის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები

#### მუხლი 4. ბავშვის ღირსება

1. ბავშვის ღირსება ხელშეუვალია.
2. დაუშვებელია ბავშვის წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან არაადამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენება.

#### მუხლი 5. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება

1. ბავშვს უფლება აქვს, მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას უპირატესობა მიენიჭოს მის საუკეთესო ინტერესებს, რომლებიც ბავშვისთვის ინდივიდუალურად, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად განისაზღვრება.

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას გაითვალისწინება მისი ოჯახურ გარემოში პიროვნული განვითარების უფლება, ბავშვის სოციალური და კულტურული მახასიათებლები, მის მიერ საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დამოუკიდებლად რეალიზების შესაძლებლობა და ბავშვის მოსაზრებები. ;

3. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭება (მათი უპირატესი გათვალისწინება) სავალდებულოა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოების, საჯარო დაწესებულების, ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას.

4. სამართლის ნორმის განმარტებისას გამოყენებული უნდა იქნეს ის განმარტება, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ყველაზე მეტად შეესაბამება, ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

5. სახელმწიფო იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა საქართველოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების ორგანოებმა, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესები განსაზღვრონ და მათი სავალდებულო შეფასება განახორციელონ შემდეგი ძირითადი კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ბავშვის აზრის მოსმენა და სათანადოდ გათვალისწინება;

ბ) ბავშვის ყველა სხვა უფლების დაცვა, მათ შორის, ღირსების დაცვის, თავისუფალი განვითარების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური დაცვის, ყველა ფორმის ძალადობისგან დაცვისა და ბავშვებისადმი თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა;

გ) მულტიდისციპლინური მიდგომით, სპეციალიზებული პირების მიერ ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური კეთილდღეობის, მისი სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების შეფასება და გათვალისწინება.

6. ბავშვის უფლებებზე გავლენის მომხდენი გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს, ხოლო ქმედება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე.

7. ამ კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამები ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს.

#### მუხლი 6. ბავშვის სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება

1. ბავშვს აქვს სიცოცხლისა და პიროვნული განვითარების უფლება.

2. სახელმწიფო იღებს ბავშვის სიცოცხლის დასაცავად საჭირო ყველა ზომას და ქმნის მისი ჰარმონიული განვითარებისთვის საჭირო ყველა პირობას ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმების, საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და სხვა სამართ-

ლებრივი აქტების შესაბამისად.

### **მუხლი 7. ბავშვთა თანასწორობის უფლება**

1. ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას საჯარო დაწესებულება, ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან პატივი სცენ თითოეულ ბავშვს, დაიცვან იგი და თანასწორად მოეპყრონ ბავშვებს, მათი რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი ოჯახის წევრის ან კანონიერი წარმომადგენლის ჯანმრთელობის მდგომარეობის, შეზღუდული შესაძლებლობის, საქმიანობის ან სხვა ნიშნის მიუხედავად.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბარ უფლებებსა და შესაძლებლობებს და იღებს განსაკუთრებულ ზომებს ნებისმიერი სახის უთანასწორობის აღმოსაფხვრელად.

3. სახელმწიფო ქმნის შესაბამის პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისთვის, მათ შორის, გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპების დანერგვით.

4. სახელმწიფო ახორციელებს ბავშვის უთანასწორო მოპყრობისგან დასაცავად, მათ შორის, სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის დისკრიმინაციისგან, სტიგმისა და გარიყვისგან დასაცავად, საჭირო ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებას.

### **მუხლი 8. ბავშვის უფლება მისი აზრის მოსმენასა და მონაწილეობაზე**

1. ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტისას, რომელიც მის რომელიმე უფლებას ეხება ან გავლენას მოახდენს მის რომელიმე უფლებაზე, და გაათვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

2. ბავშვს უფლება აქვს, მოუსმინონ ყოველთვის, როდესაც მას აზრის გამოთქმის სურვილი აქვს, უშუალოდ, მისი ინდივიდუალური საჭიროების შესაბამისი მხარდაჭერით, მისთვის სასურველი და შესაძლებელი კომუნიკაციის ფორმითა და საშუალებით.

3. დაუშვებელია ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლების ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა გარემოების საფუძველზე შეზღუდვა.

4. ბავშვთან გასაუბრებისა და მისი აზრის მოსმენის პროცესი უნდა იყოს ინფორმაციული, ნებაყოფლობითი, ბავშვისადმი პატივისცემისა და ანგარიშვალდებულების გამომხატველი, ბავშვისთვის მორგებული, ინკლუზიური, უსაფრთხო, ბავშვის საკითხებზე სათანადოდ მომზადებული სპეციალისტების მიერ წარმართული.

### **მუხლი 9. ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, რეგისტრირებულ იქნეს დაბადებისთანავე, მოიპოვოს მოქალაქეობა, იცნობდეს თავის მშობლებს და ცხოვრობდეს მათთან, ოჯახში, სადაც მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

2. ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს პირადი სივრცე, აწარმოოს პირადი მიმოწერა.

3. დაუშვებელია ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების უკანონო შეზღუდვა, მათ შორის, მის პირად სივრცეში, ოჯახურ ცხოვრებაში ან პირად მიმოწერაში დაუსაბუთებელი და არაკანონიერი ჩარევა.

4. სახელმწიფო უზრუნველყოფს დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე იმ ბავშვის განსაკუთრებულ მხარდაჭერასა და დაცვას, რომლის ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

### **მუხლი 10. ბავშვის განათლების უფლება**

1. ყველა ბავშვს აქვს ხარისხიანი და ინკლუზიური განათლების მიღებისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს განათლების ინკლუზიური სისტემის ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას.

#### **მუხლი 11. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება**

1. ბავშვს აქვს უფლება, მისი ჯანმრთელობა უმაღლესი სტანდარტით იყოს დაცული.

2. სახელმწიფო ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების რეალიზებასა და დაცვას ახორციელებს ბავშვისთვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის სერვისებისა და დანესებულებების ხელმისაწვდომობის, აგრეთვე უვნებელი გარემოს უზრუნველყოფით.

#### **მუხლი 12. ბავშვის უვნებელ გარემოში ცხოვრების, განვითარებისა და სოციალური დაცვის უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს უვნებელ გარემოში, სადაც მისი ჰარმონიული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის ყველა პირობაა შექმნილი.

2. ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სოციალური დაცვითა და მხარდაჭერით მისი და მასზე მზრუნველი პირების ინდივიდუალური საჭიროებებისა და მდგომარეობის შესაბამისად.

3. ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს მისი ჯანმრთელობისთვის უვნებელი ბუნებრივი გარემოთი და საჯარო სივრცით, მიიღოს ინფორმაცია გარემოს მდგომარეობის შესახებ და მონაწილეობა მიიღოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გადამწყვეტილების მიღებაში.

#### **მუხლი 13. ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე**

1. ბავშვს უფლება აქვს, საკუთარი უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს ან/და შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოს და ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამომხატველი. ;

2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს საჯარო დანესებულებაში მასზე არსებულ ან სხვა ინფორმაციას ან/და ოფიციალურ დოკუმენტს.

#### **მუხლი 14. ბავშვის აზრის, ინფორმაციის, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებითა და ინტერნეტით სარგებლობის თავისუფლების უფლებები**

1. ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი. ბავშვს ასევე უფლება აქვს, მოუსმინონ მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას და გაითვალისწინონ ბავშვის მოსაზრება მისი ასაკისა და გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად.

2. ბავშვს უფლება აქვს, თავისუფლად მოიძიოს, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია სხვადასხვა საშუალებითა და ფორმით.

3. ბავშვს აქვს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობის და ინტერნეტით თავისუფლად სარგებლობის უფლება.

#### **მუხლი 15. ბავშვის მიერ ინფორმაციის მიღების უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, მიიღოს საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების, აგრეთვე სხვა თემების შესახებ ინფორმაცია, რომელიც სასარგებლოა მისი ფიზიკური, გონებრივი, ინტელექტუალური, ფსიქოსოციალური და კულტურული განვითარებისა და კეთილდღეობისთვის.

2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვისთვის საკუთარი უფლებებისა და დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისი ასაკისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით მიწოდება.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვისთვის მასობრივი ინფორმაციის ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და საგანმანათლებლო-შემცენებელი მასალების ხელმისაწვდომობას, რომლებიც მის ფსიქოსოციალურ კეთილდღეობას, ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას ეხება.

4. მასობრივი ინფორმაციის საშუალების მიერ ბავშვის კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა უფლებების სათანადოდ გაშუქების მიზნით სახელმწიფო ხელს უწყობს:

ა) მასობრივი ინფორმაციის საშუალებას ისეთი ინფორმაციისა და მასალების გავრცელებაში, რომლებიც შეიცავს ბავშვის კულტურული და სოციალური განვითარებისთვის სასარგებლო ინფორმაციას, ბავშვის განათლების მიზნების შესაბამისად, ბავშვთა სხვადასხვა ენობრივი საჭიროების გათვალისწინებით;

ბ) საერთაშორისო თანამშრომლობას ბავშვის განვითარებისთვის სასარგებლო ინფორმაციის მრავალფეროვანი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან გაცვლის, გავრცელებისა და მომზადების სფეროში;

გ) საბავშვო ლიტერატურის განვითარებასა და გავრცელებას;

დ) ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისა და მასალებისგან ბავშვის დაცვის სახელმძღვანელო წესების შემუშავებასა და გავრცელებას.

5. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებისა და მათი დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციის პასუხისმგებელი უწყებების მეშვეობით, ბავშვისთვის გასაგები ენით და მისთვის ხელმისაწვდომი კომუნიკაციის საშუალებებით გავრცელებას.

#### **მუხლი 16. ბავშვის რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლებები**

1. ბავშვს აქვს რწმენის, აღმსარებლობისა და სინდისის თავისუფლება.

2. მშობელს უფლება აქვს, ბავშვი საკუთარი მორალური და რელიგიური შეხედულებების მიხედვით აღზარდოს. ბავშვისთვის ხელმძღვანელობის განვიხილავს და მიმართულების მიცემისას აუცილებელია, უპირატესად გათვალისწინებულ იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და ბავშვის მოსაზრებები მისი ასაკისა და გონებრივი და ფიზიკური განვითარების შესაბამისად.

#### **მუხლი 17. ბავშვის გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებები**

ყველა ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს გაერთიანებისა და მშვიდობიანი შეკრების თავისუფლებებით.

#### **მუხლი 18. ბავშვის თამაშისა და დასვენების უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლასა და თავისუფალ დროს შორის ბალანსის დაცვა, ხოლო მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია სათანადო ყურადღება დაუთმოს ბავშვის შესაბამის მოსაზრებებსა და საჭიროებებს.

2. ბავშვს უფლება აქვს, დაისვენოს, ჰქონდეს თავისუფალი დრო, ითამაშოს და მონაწილეობა მიიღოს რეკრეაციულ ღონისძიებებში თავისი ინტერესებისა და ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.

3. ბავშვს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და სპორტულ ცხოვრებასა და ხელოვნების სხვადასხვა სფეროში.

4. სახელმწიფო ხელს უწყობს ბავშვის მიერ თამაშისა და დასვენების უფლების რეალიზებისთვის სათანადო შესაძლებლობის შექმნას, მისი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით.

#### **მუხლი 19. ბავშვის საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება**

1. ბავშვს აქვს საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება. ;

2. ბავშვს უფლება აქვს, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად, მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით დადოს გარიგება და ისარგებლოს საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა უფლებებით საქართველოს კანონმდებლობის



შესაბამისად.

3. ბავშვს უფლება აქვს, მშობლისგან მიიღოს ნაღდი ფული ან პლასტიკური ბარათი ლიმიტის შესაბამისი თანხით სარგებლობისთვის, მისი თავისუფალი დროისა და კერძო ინტერესების გათვალისწინებით, ყოველდღიური გამოყენებისთვის. თანხის ოდენობა ინდივიდუალურად, ბავშვის ასაკის შესაბამისად, მშობლების კეთილი ნების საფუძველზე განისაზღვრება.

4. ბავშვის ქონების განკარგვა დასაშვებია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

#### **მუხლი 20. ბავშვის ინტელექტუალური შემოქმედების უფლება**

1. ბავშვს აქვს ინტელექტუალური შემოქმედების უფლება.

2. ბავშვს აქვს საკუთარ შემოქმედებასა და გამოგონებაზე საავტორო უფლება და პატენტზე უფლება.

#### **მუხლი 21. ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვის მონაწილეობის უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, თავისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად მონაწილეობა მიიღოს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

2. სახელმწიფო ახორციელებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვის მონაწილეობის უფლების ყველა სფეროში სრულფასოვნად რეალიზებისთვის საჭირო ყველა ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებას.

#### **მუხლი 22. ბავშვის სხვა უფლებები**

ეს კოდექსი არ უარყოფს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ბავშვის სხვა უფლებებს.

#### **მუხლი 23. ბავშვის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრინციპები**

1. ბავშვის უფლებები და თავისუფლებები ერთმანეთთან არის დაკავშირებული და ერთობლივად, ბავშვის სრულფასოვანი, ჰარმონიული განვითარების ჭრილში უნდა იქნეს განხილული.

2. ბავშვის ყველა უფლებისა და თავისუფლების აღიარება, დაცვა და უზრუნველყოფა გარანტირებულია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის მონაწილეობის, მისი სიცოცხლისა და განვითარების უფლებების რეალიზებისა და ბავშვთა თანასწორობის პრინციპების საფუძველზე.

3. ამ თავით გათვალისწინებული ბავშვის უფლებები ექვემდებარება საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით დადგენილ შეზღუდვებს.

### **წიგნი II**

#### **ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა**

### **თავი III**

#### **ბავშვის უფლება ოჯახზე**

#### **მუხლი 24. ბავშვის ოჯახში ცხოვრებისა და პიროვნული განვითარების უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში, სადაც შექმნილია პირობები მისი ჰარმონიული აღზრდისა და განვითარებისთვის და კეთილდღეობისთვის.

2. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია პატივი სცეს ბავშვის პიროვნებას, აღზარდოს ბავშვი მშვიდობის, ადამიანის უფლებების

პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის პრინციპებით, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, მოამზადოს ბავშვი საზოგადოებაში დამოუკიდებლად ცხოვრებისთვის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

3. მშობელი არის ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი და განსაკუთრებული რწმუნებულების გარეშე გამოდის მისი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად მესამე პირებთან ურთიერთობაში, მათ შორის, სასამართლოში.

4. დაუშვებელია მშობლის მიერ მშობლის უფლებების ისე განხორციელება, მათ შორის, ბავშვის ქონების იმგვარად მართვა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ზიანი მიადგეს.

5. დაუშვებელია ბავშვის აღზრდისას მშობლის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ აღზრდის ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ დასჯას ან მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან/და სასჯელის გამოყენებას.

### **მუხლი 25. მშობლისა და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მოვალეობები ბავშვის აღზრდის სფეროში**

1. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია აღზარდოს ბავშვი, იზრუნოს მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი და სოციალური განვითარებისთვის, აღზარდოს ის საზოგადოების ღირსეულ წევრად, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების მქონე პიროვნებად.

2. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია ბავშვი ისე აღზარდოს, რომ ბავშვი თავისი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამისად:

ა) აცნობიერებდეს საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებს და შეეძლოს მათი დამოუკიდებლად რეალიზება;

ბ) პატივისცემით ეპყრობოდეს მშობელს, ოჯახის სხვა წევრებს, მეურვეს, მინდობით აღმზრდელს, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს;

გ) პატივს სცემდეს სახელმწიფოს და მის სიმბოლოებს, იცავდეს საქართველოს კანონმდებლობას;

დ) აცნობიერებდეს თავის მოვალეობას, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებისას პატივი სცეს სხვათა უფლებებსა და თავისუფლებებს;

ე) აცნობიერებდეს საკუთარ უფლებას, მიიღოს დანებებითი და საბაზო განათლება თავისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისა და შესაძლებლობების შესაბამისად;

ვ) აცნობიერებდეს თავის მოვალეობას, გაუფრთხილდეს ბუნებრივ გარემოს და დაიცვას ის.

3. მშობლის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ ბავშვის მონაწილეობით განსაზღვრული დღის წესრიგი, რომელიც ადგენს ბავშვის სასწავლო და სხვა პროცესებში მონაწილეობისა და მის მიერ თავისუფალი დროის გამოყენების თანამიმდევრობას, ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს.

4. მშობელი და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ბავშვის მიმართ იყენებენ აღმზრდელობით ღონისძიებებს, მათ შორის, არიდებენ მას ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციას.

5. მშობლისა და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მიერ ბავშვის მიმართ გამოყენებული აღმზრდელობითი ღონისძიებები ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს. ბავშვის ფიზიკური დასჯა დაუშვებელია.

6. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია მესამე პირის მიერ ბავშვის მიმართ ამ კოდექსით გათვალისწინებული მხარდაჭერის ღონისძიების განმარტაციულად პირის მოთხოვნის საფუძველზე, საკუთარი შესაძლებლობის ფარგლებში აქტიური მონაწილეობა მიიღოს ამ ღონისძიებაში.

## **მუხლი 26. ბავშვის მშობლისგან განცალკევების დაუშვებლობა**

1. ბავშვი მისი ნების საწინააღმდეგოდ არ უნდა განცალკევდეს მშობლისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მათი დაშორება აუცილებელია ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე.

2. ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სოციალური მუშაკი. იგი შუამდგომლობას წარუდგენს ბავშვის ადგილსამყოფლის მიხედვით რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლეს. მოსამართლე სოციალური მუშაკის შუამდგომლობას ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს და 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ ან ბავშვის მშობლისგან განცალკევებაზე უარის თქმის შესახებ.

3. იმ შემთხვევაში, როდესაც შესაძლებელია ბავშვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან უსაფრთხოებას მეყსეული და უშუალო საფრთხე შეექმნას, სოციალური მუშაკი უფლებამოსილია დაუყოვნებლივ მიიღოს ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება და 24 საათის განმავლობაში წარუდგინოს შესაბამისი შუამდგომლობა სასამართლოს თანხმობის მისაღებად. სოციალური მუშაკის შუამდგომლობა უნდა შეიცავდეს ბავშვის მშობლისგან განცალკევების გადაუდებელი აუცილებლობის დასაბუთებას. აღნიშნული საფრთხის შეფასებაში უნდა მონაწილეობდეს პოლიციის თანამშრომელი. მისი დადებითი ან უარყოფითი დასკვნა შეიტანება შესაბამის ოქმში.

4. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში მოსამართლე სოციალური მუშაკის შუამდგომლობას ერთპიროვნულად, ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილავს და 24 საათის განმავლობაში იღებს გადაწყვეტილებას ბავშვის მშობლისგან განცალკევებაზე თანხმობის გაცემის შესახებ ან ბავშვის მშობლისგან განცალკევებაზე თანხმობის გაცემაზე უარის თქმის შესახებ.

5. ბავშვი მშობლისგან არ უნდა განცალკევდეს მხოლოდ იმის გამო, რომ მშობელს არ აქვს სათანადო საცხოვრებელი პირობები ან ფინანსური სახსრები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ოჯახის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება სასურველ შედეგს არ იძლევა ან არსებობს საკმარისი საფუძველი დასკვნისთვის, რომ ამ ღონისძიების განხორციელებას სასურველი შედეგი არ ექნება.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს ოჯახში ცხოვრების ისეთივე უფლება, როგორც სხვა ბავშვს. დაუშვებელია ბავშვის მშობლისგან განცალკევება იმის გამო, რომ ბავშვი ან მშობელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირია.

7. ბავშვის მშობლისგან განცალკევების შესახებ გადაწყვეტილება ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. ბავშვის მშობლისგან განცალკევების მიზეზების აღმოფხვრის შემდეგ ბავშვის ოჯახში დაბრუნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს.

8. დაუშვებელია მშობლისგან განცალკევებული ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე დარჩენილი ბავშვის სისხლის სამართლის წესით დაკავება, დაპატიმრება ან მის მიმართ სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონოდ შემოსვლის გამო, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევისა. ასეთ შემთხვევაში ბავშვისთვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სათანადო დროებითი ალტერნატიული ზრუნვა, მხარდაჭერა მისი ოჯახთან გაერთიანების მიზნით და დაცვა მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

## **მუხლი 27. ბავშვის მხარდაჭერა მისი მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენციის მიზნით**

1. სახელმწიფო ვალდებულია ბავშვის მიტოვების ან ოჯახისგან განცალკევების პრევენციის მიზნით მიიღოს სათანადო ზომები, რათა უზრუნველყოს ადეკვატური საცხოვრებელი პირობების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სერვისების, ინკლუზიური განათლების, უთანასწორო მოპყრობისა და ძალადობისგან დაცვის ეფექტიანი მექანიზმებისა და ყველა სხვა უფლების დაცვის გარანტიების ყველა ბავშვისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობა.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული პრევენციის მიზნით განხორციელებული პროგრამები ინტეგრირებული უნდა იყოს შესაბამისი მუნიციპალიტეტის საჭიროებების გათვალისწინებით. პროგრამაში ოჯახი ჩართული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერის განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვისთვის განათლების, მათ შორის, პროფესიული განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და რეაბილიტაციის სერვისების უწყვეტ და ეფექტიან ხელმისაწვდომობას, რათა ხელი შეეწყოს ბავშვის სრულყოფილ ინდივიდუალურ განვითარებას და სოციალურ ინკლუზიას.

4. ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის განხორციელებისას განსაკუთრებით უნდა გამახვილდეს ყურადღება სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვზე.

### **მუხლი 28. ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა**

1. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო ქმნის ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი პირის მხარდაჭერის პროგრამებს მატერიალური და არამატერიალური დახმარების გაწევის მიზნით. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და ხანგრძლივობა განისაზღვრება ბავშვისა და მისი აღზრდისთვის პასუხისმგებელი პირის ინდივიდუალური საჭიროებებისა და ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად.

2. ოჯახის მხარდაჭერის პროგრამა ერთჯერადი არ უნდა იყოს. იგი მიზნად უნდა ისახავდეს ბავშვისა და მისი ოჯახის გაძლიერებას მათი ინდივიდუალური საჭიროებების მდგრადი უზრუნველყოფით.

3. გრძელვადიანი მხარდაჭერის განხორციელების შემთხვევაში ოჯახის მხარდაჭერის პროგრამაში ოჯახის/ბავშვის ჩართვის შესახებ გადაწყვეტილებას ერთობლივად იღებს რამდენიმე სპეციალისტი, რომელთა შორის აუცილებლად არის სოციალური მუშაკი. მხარდაჭერის განხორციელებას საფუძვლად უნდა დაედოს ინდივიდუალური პროგრამა, რომლის შედგენაში მონაწილეობა უნდა მიიღონ ბავშვმა და მისი აღზრდის უფლების მქონე პირებმა.

4. ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შემუშავებისას და განხორციელებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ბავშვის უფლებებს, ადრეულ განვითარებასთან, მოზარდობიდან ზრდასრულობაში გადასვლასთან დაკავშირებული კომპლექსური გამოწვევების დაძლევის და პოზიტიური სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობას.

5. ოჯახის მხარდაჭერის პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ინდივიდუალურად, ბავშვის საუკეთესო ინტერესებისა და მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასების საფუძველზე განისაზღვრება. პროგრამა შეიძლება მოიცავდეს ერთ ან რამდენიმე ღონისძიებას, მათ შორის:

ა) ბავშვის აღზრდისა და განვითარების პოზიტიური მეთოდების გამოყენების, ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციის და ბავშვის უფლებების რეალიზების ხელშეწყობის მიზნით განსახორციელებელ საინფორმაციო, საკონსულტაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებს;

ბ) მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური მხარდაჭერის ღონისძიებებს ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და გარემოებების გათვალისწინებით;

გ) პოზიტიური მშობლობისა და ბავშვზე ზრუნვის უნარების გაძლიერების კურსების ჩატარებას, ოჯახური თანაცხოვრების, ოჯახური დავისა და განქორწინების დროს კონსულტაციების გაწევას;

დ) მშობლისთვის პროფესიული განათლების მიღებისა და დასაქმების შესაძლებლობის შეთავაზებას;

ე) დამხმარე სოციალურ სერვისებს (დღის ცენტრი, მედიაციისა და შერიგების სერვისები ოჯახური დავის დროს, მკურნალობის კურსი ალკოჰოლიზმის, ნარკოტიკზე დამოკიდებულების ან სხვა ფსიქოემოციური საჭიროების დროს, სოციალურ-ეკონომიკური მხარდაჭერა დასაქმებული და მარტოხელა მშობლისთვის), მათ შორის, თემზე დაფუძნებულ სერვისებს;

ვ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის საჭიროებების ადრეული იდენტიფიკაციის, ინდივიდუალური შეფასებისა და სათანადო მხარდაჭერის პროგრამებს, მათ შორის, ბავშვის უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ პროგრამებს;

ზ) ადრეული განვითარების და მოზარდობის მხარდაჭერის პროგრამებს მოზარდის მიერ საკუთარი უფლებების რეალიზების, მისი კრიტიკული აზროვნების განვითარების, დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადების და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით.

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს უწყებათაშორისი თანამშრომლობით, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში.

7. მუნიციპალიტეტი ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

8. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის სახელმწიფო ორგანოსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივითა და ფინანსური რესურსებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.

## თავი IV

### ბავშვის უფლება ალტერნატიულ ზრუნვაზე

#### მუხლი 29. ალტერნატიული ზრუნვის არსი

1. სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს დროებით ან სამუდამოდ მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვის, აგრეთვე იმ ბავშვის განსაკუთრებული დაცვა და მხარდაჭერა, რომლის ოჯახში დარჩენა ბავშვის საუკეთესო ინტერესებს ეწინააღმდეგება.

2. თუ ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსება აუცილებელია და ალტერნატიული ზრუნვის ფორმა სრულად შეესაბამება ბავშვის უფლებათა დაცვისა და ბავშვზე ზრუნვის როგორც საერთაშორისო, ისე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს, უფლებამოსილი ორგანო იღებს ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსების შესახებ გადანყვეტილებას შესაბამისი პროფესიული კადრებით დაკომპლექტებული მულტიდისციპლინური ჯგუფის შეფასებისა და რეკომენდაციის საფუძველზე, ბავშვის მონაწილეობით და ბავშვის ინტერესებისთვის მორგებული პროცედურების დაცვით.

3. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული მულტიდისციპლინური ჯგუფი ამტკიცებს ბავშვის ინდივიდუალური განვითარების გეგმას, რომლის მიზანია ბავშვის ფიზიკური და ფსიქოკური ჯანმრთელობის დაცვა, მისი ჰარმონიული განვითარება, სოციალური ინკლუზია და მისი ყველა სხვა უფლებისა და თავისუფლების ეფექტიანი რეალიზება.

4. უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო განიხილავს და მონიტორინგს უწევს ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსების საქმეს.

5. ალტერნატიული ზრუნვის მიზნით ბავშვის განთავსება უკიდურესი ზომაა. მისი უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ბავშვის ოჯახში დაბრუნების ხელშეწყობა, ხოლო დაბრუნების შეუძლებლობის შემთხვევაში - ბავშვზე უწყვეტი ზრუნვის უზრუნველყოფა, კერძოდ, მისი შვილად აყვანა. თუ ბავშვის შვილად აყვანა არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისი მინდობით აღზრდის მიზნით განთავსება. ბავშვის შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის წესებსა

და პირობებს ადგენს „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონი.

6. ბავშვის მინდობით აღზრდის მიზნით განთავსების ან შვილად აყვანის შეუძლებლობის შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობის სახით გამოიყენება მცირე ოჯახური ტიპის რეზიდენტული ზრუნვა იმ პირობით, რომ რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულება სრულად აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის სტანდარტებს, ხოლო რეზიდენტული ზრუნვა აუცილებელია და ხელს უწყობს ბავშვის განვითარებას და მისი საუკეთესო ინტერესების რეალიზებას. რეზიდენტული ზრუნვის წესსა და პირობებს ადგენს ეს კოდექსი და „სააღმზრდელი საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონი.

7. ალტერნატიული ზრუნვის ნებისმიერი ფორმის მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის სტანდარტებს, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციით, ბავშვის უფლებათა კონვენციით, მისი დამატებითი ოქმებითა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებით დადგენილ სტანდარტებს და ამ კოდექსის მოთხოვნებს.

8. ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებული ყველა ბავშვი, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვი, სრულად უნდა იყოს ინტეგრირებული განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ერთიან სახელმწიფო სისტემებში. მას ისევე უნდა მიუწვდებოდეს ხელი მართლმსაჯულებაზე, როგორც სხვა ბავშვებს.

9. სახელმწიფო ზრუნავს ალტერნატიული ზრუნვიდან გასულ პირზე, რომელსაც სრულწლოვანების მიღწევის შემდეგ, გარდამავალ პერიოდში მხარდაჭერა ესაჭიროება.

10. ამ მუხლის მე-9 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო შეიმუშავებს სპეციალურ პროგრამებს.

### **მუხლი 30. ალტერნატიული ზრუნვის საფუძვლები**

1. სახელმწიფო ადგენს მინდობით აღმზრდელთა რეგისტრაციისა და რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების სალიცენზიო პირობებს და ბავშვზე ზრუნვის ერთიან სტანდარტებს.

2. სახელმწიფოს მიერ დადგენილი ალტერნატიული ზრუნვის ერთიანი სტანდარტები უნდა შეესაბამებოდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დადგენილ ალტერნატიული ზრუნვის სტანდარტებს და უნდა ითვალისწინებდეს სხვადასხვა საკითხს, მათ შორის, შემდეგ ძირითად საკითხებს:

ა) ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირების სათანადო პროფესიულ კვალიფიკაციას, მათი შერჩევის კრიტერიუმებს, მათ პროფესიულ მომზადებას და მათზე ზედამხედველობას;

ბ) ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი ფიზიკური და იურიდიული პირების როლისა და ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრას და ამის შესახებ ინფორმაციის ბავშვისა და მისი ოჯახისთვის მიწოდებას;

გ) ოჯახის წევრებთან, ნათესაებებსა და მეგობრებთან ურთიერთობების შენარჩუნებაში ბავშვის მხარდაჭერას მისი დაცვისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად, თუ მათი შენარჩუნება არ ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს;

დ) ბავშვის კვების სტანდარტების შესაბამისად მისი კვების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფას;

ე) განათლების, მათ შორის, ფორმალური ან/და არაფორმალური განათლებისა და პროფესიული განათლების, ხელმისაწვდომობას;

ვ) ბავშვის უსაფრთხოების, ჯანმრთელობის დაცვის, კვების, ჰარმონიული განვითარებისა და სპეციალური საჭიროებების უზრუნველყოფას;

ზ) ბავშვის პირადი ცხოვრებისა და პირადი სივრცის პატივისცემას;

თ) ბავშვის ძალადობისგან დაცვას, მათ შორის, ისეთი დისციპლინური მეთოდების

აკრძალვას, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვისთვის ოჯახსა და გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას, მის წამებას, იძულებას, ფიზიკურ დასჯას ან მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან სასჯელის გამოყენებას;

ი) ბავშვის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას, სტიგმისგან დაცვას ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისას და ალტერნატიული ზრუნვიდან გასვლის შემდეგ;

კ) უფლებამოსილი ორგანოს მიერ ბავშვთან შეთანხმებით დანიშნულ სანდო პირთან ბავშვის დაუბრკოლებელ ურთიერთობას. ბავშვმა უნდა იცოდეს, რა შემთხვევაში და რომელი სამართლებრივი და ეთიკური სტანდარტების გამო შეიძლება დაირღვეს მის მიერ სანდო პირისთვის გამჟღავნებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა;

ლ) ბავშვისთვის იმ ეფექტიანი მექანიზმის ხელმისაწვდომობას, რომლითაც იგი შეიძლება ალტერნატიული ზრუნვის პირობების ან მისდამი მოპყრობის შესახებ შეტყობინებას ან საჩივრის წარდგენას. ეს მექანიზმი ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებლისა და ზედამხედველი სახელმწიფო უწყებისგან დამოუკიდებელი უნდა იყოს, რათა მიუკერძოებლად შეძლოს ეფექტიანი რეაგირება და ბავშვის ინტერესების დაცვა.

3. აკრძალულია ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისას ბავშვის მიმართ ისეთი დისციპლინური ზომებისა და ქცევის მართვის მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ დასჯას, მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას, მათ შორის, ჩაკეტილ სივრცეში მოთავსებას, მშობელთან, ოჯახის სხვა წევრებთან ან გარე სამყაროსთან კონტაქტის შეზღუდვას ან სხვა სახის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ ძალადობას.

### **მუხლი 31. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების სავალდებულოობა**

1. ბავშვს არ შეიძლება მიენოდოს ალტერნატიული ზრუნვის ისეთი მომსახურება, რომელიც არ შეესაბამება ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტებს და ლიცენზირებული არ არის კანონის შესაბამისად, გარდა მინდობით აღზრდისა და შვილად აყვანისა.

2. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები ადგენს ბავშვზე ზრუნვის იმ სერვისების ადმინისტრირების, მინოდების, ხარისხის განსაზღვრისა და მონიტორინგის კრიტერიუმებსა და მექანიზმებს, რომლებიც ბავშვზე ოჯახური ზრუნვის უზრუნველყოფაზეა ორიენტირებული. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები ეფუძნება ბავშვის უფლებების რეალიზების პრინციპს, ემსახურება რეზიდენტული ზრუნვის საჭიროების შემცირებას, ადგენს შემთხვევის მართვის ბავშვზე ორიენტირებულ მიდგომებს და ითვალისწინებს მაღალი ხარისხის ზრუნვის მომსახურების მინოდებას.

3. ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი პირები უნდა აკმაყოფილებდნენ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ სტანდარტებს, მათ შორის, პროფესიული ეთიკის სტანდარტებს, და საქმიანობას მულტიდისციპლინური მიდგომით უნდა ახორციელებდნენ.

4. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების შესრულება სავალდებულოა ნებისმიერი ფორმის ალტერნატიული ზრუნვის მიმწოდებელი საჯარო და კერძო დაწესებულებებისთვის, რომლებიც ახორციელებენ ბავშვზე ზრუნვის მოკლე- ან გრძელვადიან პროგრამებს, მათ შორის:

ა) სადღეღამისო რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებებისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის ან სხვა ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე ბავშვთა ცენტრებისთვის;

ბ) რესურსსკოლებისა და სკოლა-პანსიონებისთვის - ზრუნვის მომსახურების ნაწილში.

5. სახელმწიფო უზრუნველყოფს მინდობით აღზრდის მიზნით გადაცემისთვის სტანდარტების დადგენას „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

6. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების შესრულება სავალ-

დებულოა აგრეთვე ოჯახის მხარდაჭერის, სამედიცინო, ფსიქოსოციალური დახმარების, საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი და სხვა კულტურული და რეკრეაციული პროგრამების განხორციელებისას, როდესაც ბავშვზე ზრუნვა ხორციელდება დროებით - დღის განსაზღვრულ მონაკვეთში, დღის განმავლობაში ან 24 საათის განმავლობაში შემდეგ დაწესებულებებში:

ა) დღის ცენტრებში;

ბ) არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ან/და ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმის მსხვერპლი ბავშვების თავშესაფრებში, სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებებში - ბავშვთა განყოფილებების ან ბავშვთა ინდივიდუალური მომსახურების ნაწილში;

გ) ბავშვთა ბანაკებში - ზრუნვის მომსახურების ნაწილში;

დ) სხვა დაწესებულებებში, მათ შორის, მშობლის დასაქმების ადგილზე არსებული ბავშვის მოვლის დამხმარე სერვისის ნაწილში, რომელიც ბავშვზე ზრუნვის მომსახურების მინოდებას ითვალისწინებს.

7. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტები არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც ბავშვი რეკრეაციული მიზნით, ნებაყოფლობით ატარებს გარკვეულ დროს ნათესავებთან ან მეგობრებთან და ეს არ უკავშირდება მშობლის მიერ ბავშვზე სათანადო ზრუნვის განხორციელების შესაძლებლობის ან სურვილის არქონას, აგრეთვე შვილად აყვანის შემთხვევაზე - სასამართლოს მიერ საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მომენტიდან, რადგან ბავშვი უკვე აღარ მიიჩნევა მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილ ბავშვად.

8. ბავშვის მომვლელის (doidis) სტატუსი, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ მოუაროს ერთ ბავშვს ან რამდენიმე ბავშვს (არაუმეტეს 5 ბავშვისა) მისი/მათი კანონიერი წარმომადგენლის სახლში ან სახლის გარეთ, ექვემდებარება ნებაყოფლობით სერტიფიცირებას. სერტიფიცირებულ ბავშვის მომვლელს (doidas) უფლება აქვს, ბავშვის/ბავშვების აღზრდასთან დაკავშირებით სოციალური მუშაკისგან შესაბამისი მხარდაჭერა მიიღოს.

9. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ ბავშვზე ზრუნვა და მისი მხარდაჭერა ხორციელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსისა და სხვა შესაბამისი კანონების, აგრეთვე ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

### **მუხლი 32. რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებისადმი დამატებითი, სპეციფიკური მოთხოვნები**

1. დაუშვებელია ისეთი რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების შექმნა, რომელიც მცირე ოჯახური ტიპის არ არის, რომლის აუცილებლობა დასაბუთებული არ არის უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს შეფასების საფუძველზე და რომელიც არ აკმაყოფილებს ბავშვზე ზრუნვის ერთიან სახელმწიფო სტანდარტებს.

2. ნებისმიერი საჯარო ან კერძო რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების მიერ საქმიანობის განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას ლიცენზია „სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად აქვს მიღებული.

3. რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების ლიცენზირება და ლიცენზიის პირობების რეგულარული შემოწმება უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ უნდა განახორციელოს. საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული სალიცენზიო პირობებისა და საქმიანობის წესის დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხისმგებლობის დაკისრებას.

4. არსებული რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებისთვის ლიცენზიის გაგრძელების და ახალი რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულების შექმნის საკითხები უნდა გადაწყდეს დინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შესაბამისად.



5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და მუნიციპალიტეტი რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებას ქმნიან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით ან ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განმახორციელებელ კერძო პირს კონკურსის წესით შეარჩევენ.

6. დენსტიტუციონალიზაციის მიზნით სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ღონისძიებას, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, მიმართ რეზიდენტული ზრუნვის ეტაპობრივ ჩანაცვლებას მინდობით აღზრდისა და სხვა, ოჯახსა და თემზე დაფუძნებული ზრუნვის სერვისებით. ამ მიზნით საქართველოს მთავრობა შეიმუშავებს და ახორციელებს დენსტიტუციონალიზაციის ერთიან სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას დიდი ზომის რეზიდენტული ზრუნვის დაწესებულებების ეტაპობრივი დახურვის უზრუნველსაყოფად.

### **მუხლი 33. ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებული ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი**

1. უფლებამოსილი ორგანო ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებულ ბავშვს უნიშნავს პირს, რომელიც იღებს ბავშვის შესახებ გადაწყვეტილებას მისი სრულყოფილი მონაწილეობით, მისი საუკეთესო ინტერესების შესაბამისად.

2. ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებული ბავშვის კანონიერ წარმომადგენლად დანიშნულ პირს უნდა ჰქონდეს კარგი რეპუტაცია, ბავშვთან ურთიერთობისთვის საჭირო ცოდნა და უნარ-ჩვევები და გავლილი უნდა ჰქონდეს სავალდებულო სწავლება.

3. უფლებამოსილი ორგანო ანგარიშვალდებულია ალტერნატიული ზრუნვის მიზნით განთავსებული ბავშვის კანონიერ წარმომადგენლად დანიშნული პირის საქმიანობისთვის და, შესაბამისად, მას სათანადო პროფესიულ მხარდაჭერას და ზედამხედველობას უწევს.

### **მუხლი 34. ალტერნატიული ზრუნვის პერიოდული კონტროლი**

1. ბავშვი, რომელიც მასზე ზრუნვის ანდა მისი დაცვის ან მკურნალობის მიზნით მოთავსებულია დაწესებულებაში, ექვემდებარება მისდამი მოპყრობის, მისი ამ დაწესებულებაში დარჩენის საჭიროების და სხვა გარემოებების სავალდებულო პერიოდულ კონტროლს, კერძოდ, არანაკლებ 3 თვეში ერთხელ შემოწმების ჩატარებას.

2. ბავშვის მიმართ ალტერნატიული ზრუნვის გაგრძელების საჭიროებისა და პირობების პერიოდული შემოწმება და ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების შესრულების მონიტორინგი უნდა განახორციელოს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანომ ბავშვისა და მისი მეურვის, მზრუნველის ან მხარდამჭერის უშუალო მონაწილეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. აკრძალულია ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით იურიდიული და ფიზიკური პირების მიერ ბავშვის მოძიება და ალტერნატიული ზრუნვის დაწესებულებაში განთავსება, თუ შესაძლებელია ბავშვის ოჯახში დაბრუნება ან მისთვის ოჯახზე დაფუძნებული სერვისის მიწოდება.

4. ბავშვზე ზრუნვის ერთიანი სახელმწიფო სტანდარტების შესრულებისა და სერვისის ხარისხის მონიტორინგს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.

## თავი V

### ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლება

#### მუხლი 35. ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლება

1. ბავშვს აქვს ხარისხიანი განათლების მიღების უფლება.

2. სახელმწიფო უზრუნველყოფს ხარისხიანი ადრეული, სკოლამდელი, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას განათლების ინკლუზიური სისტემის დანერგვით და ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცესთან ჰარმონიზაციით.

3. ბავშვის მიერ განათლების მიღების უფლების სრულფასოვანი რეალიზების მიზნით სახელმწიფომ განათლების ინკლუზიურობის პრინციპის დაცვით უნდა უზრუნველყოს:

ა) ბავშვისთვის უფასო, ხარისხიანი ადრეული, სკოლამდელი და ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად;

ბ) ბავშვისთვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად, მათ შორის, სათანადო ფინანსური მხარდაჭერით;

გ) განათლების სისტემის, საფეხურების, ფორმებისა და პროცედურების და ბავშვისთვის მნიშვნელოვანი და სასარგებლო სხვა საკითხების შესახებ ინფორმაციის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობა;

დ) სკოლის მიღმა დარჩენილი ბავშვის სკოლაში დაბრუნების ხელშეწყობა და ბავშვის მიერ სკოლის მიტოვების პრევენციისთვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება;

ე) განათლების ყველა საფეხურზე უახლესი სამეცნიერო და დარგობრივი ცოდნისა და ბავშვზე ორიენტირებული სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა;

ვ) განათლების ყველა საფეხურზე ბავშვის მონაწილეობის უფლების რეალიზება როგორც უშუალოდ საგანმანათლებლო პროცესში, ისე საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადანაცვლების მიღებისას.

#### მუხლი 36. ბავშვის განათლების მიზნები

1. ბავშვის განათლება ფორმალური განათლების სისტემაში, აგრეთვე მისი არა-ფორმალური განათლება უნდა ემსახუროდეს შემდეგ ძირითად მიზნებს:

ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, კრიტიკული აზროვნებისა და შესაძლებლობების სრულფასოვან განვითარებას;

ბ) ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების მიმართ პატივისცემის გრძნობისა და არაძალადობრივი კომუნიკაციის უნარის განვითარებას;

გ) ბავშვში სამშობლოს, მშობლიური ენის, მშობლიური ქვეყნის ტრადიციული კულტურული ღირებულებების და განსხვავებული კულტურისა და ცივილიზაციის მიმართ პატივისცემის გრძნობის განვითარებას;

დ) ბავშვის პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარებას და მის დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის მომზადებას ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, თანასწორობის, ეთნიკური, ეროვნული, რელიგიური და სხვა ნიშნებით განსხვავებულ ადამიანებს, ჯგუფებსა და ხალხებს შორის მეგობრობის სულისკვეთებით;

ე) ბუნებრივი გარემოსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პასუხისმგებლობის და მათ მიმართ პატივისცემის გრძნობის განვითარებას.

2. ეს მუხლი არ კრძალავს ბავშვის მიერ განათლების იმ მიზნებით მიღებას, რომლებიც ამ მუხლის პირველ ნაწილში პირდაპირ აღნიშნული არ არის, შესაძლებელია განპირობებული იყოს ტექნოლოგიური განვითარების მიღწევებით, სოციალურ-კულტურული ან სხვა ფაქტორებით და არ ეწინააღმდეგება ამ მუხლით გათვალისწინებულ

მიზნებს.

### **მუხლი 37. განათლების ინკლუზიური სისტემის მხარდაჭერის პროგრამა**

1. განათლების ინკლუზიური სისტემის მხარდაჭერის პროგრამის დანერგვის მიზანია, ხელი შეუწყოს:

ა) საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო პროგრამების, საგანმანათლებლო რესურსების, მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებისა და ადამიანური რესურსების ბავშვის განათლების მიზნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფას;

ბ) განათლების ინკლუზიური სისტემის დანერგვას, რომელიც უზრუნველყოფს ყველა ბავშვისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესის ფარგლებში მათთვის განათლების მათი ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით მიწოდებას;

გ) ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების მასწავლებლებისა და სპეციალური მასწავლებლების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებების პედაგოგებისა და სხვა ძირითადი პერსონალის პროფესიული განვითარების ეროვნული სისტემის შექმნას, რაც ხარისხიანი ინკლუზიური განათლების მიწოდების აუცილებელი წინაპირობაა;

დ) ინკლუზიური განათლების მხარდასაჭერად სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისებისა და პროგრამების დანერგვას; უმაღლესი განათლების საფეხურზე საჭირო პროგრამების მოდულების შემუშავებასა და დანერგვას.

2. სახელმწიფო ახორციელებს ყველა აუცილებელ ადმინისტრაციულ, სოციალურ და სხვა ღონისძიებას, რათა საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებული ინფრასტრუქტურა და პროგრამები გონივრულად მიესადაგოს თითოეული ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ხოლო ახალი ინფრასტრუქტურა და პროგრამები უნივერსალური დიზაინის პრინციპის სავალდებულო გათვალისწინებით შეიქმნას.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ფარგლებში შეიმუშავებს და ახორციელებს ბავშვის განათლების ხელშეწყობ პროგრამებს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბუნებრივი გარემოს დაცვისა და განვითარების, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების რისკების შემცირებისა და მართვის საკითხებზე პოლიტიკის შემუშავებისას და გადაწყვეტილების მიღებისას ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების, ბავშვისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდების და მისი მონაწილეობის უფლების უზრუნველსაყოფად.

5. მუნიციპალიტეტი ბავშვის განათლების ხელშეწყობის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

6. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის განათლების ხელშეწყობის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამების ან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

*საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №346 — ვებგვერდი, 18.03.2021წ.*

### **მუხლი 38. განათლების სისტემაში ბავშვის მიმართ ძალადობის დაუშვებლობა**

1. ბავშვის განათლების მხარდაჭერის პროგრამების განხორციელებამ ხელი უნდა შეუწყოს ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა შორის ჩაგვრის, და ბავშვის კანონიერი ინტერესების უგულვებელყოფის აღმოფხვრას.

2. დაუშვებელია საგანმანათლებლო დაწესებულებაში დისციპლინურ ზომად ნებისმიერი ფორმის ძალადობის გამოყენება, მათ შორის, ფიზიკური დასჯა ან სხვა სასტიკი ან დამამცირებელი მოპყრობა ან სასჯელის გამოყენება.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებაში უნდა დაინერგოს ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა შორის ჩაგვრის, პრევენციის და შესაბამის ფაქტებზე სათანადო რეაგირების პროგრამები და მექანიზმი.

4. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებებში მოქმედებს სატელეფონო ცხელი ხაზი ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტის შესატყობინებლად.

5. საგანმანათლებლო დაწესებულება განსაზღვრავს ბავშვის მიმართ ძალადობის საკითხზე პასუხისმგებელ პირს - კოორდინატორს.

6. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ და ბავშვებს შორის ძალადობის, მათ შორის, ბავშვთა შორის ჩაგვრის, პრევენციის და შესაბამის ფაქტებზე სათანადო რეაგირების პროგრამებს შეიმუშავებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ამ კოდექსის გათვალისწინებით.

*საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №346 — ვებგვერდი, 18.03.2021წ.*

### **მუხლი 39. ბავშვის უფლება დამოუკიდებელ გასაჩივრების მექანიზმებზე**

1. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების დაწესებულებებში უნდა არსებობდეს ბავშვის საჩივრის განხილვის დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი მექანიზმები. ეს მექანიზმები არ უნდა ახალისებდეს ბავშვის არაკეთილსინდისიერ ქცევას, მიმართული უნდა იყოს ობიექტური გარემოებების დადგენისკენ და უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვისა და სხვათა უფლებების პატივისცემასა და დაცვას.

2. ბავშვს უნდა ჰქონდეს ინფორმაცია მისი საჩივრის განხილვის მექანიზმების შესახებ.

3. ბავშვი მისი საჩივრის განხილვის პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს მხარდაჭერით, კერძოდ, კომუნიკაციის, საკუთარი მოსაზრების გამოხატვისა და სათანადოდ გათვალისწინების ინსტრუმენტების დანერგვით.

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ბავშვის საჩივრის განხილვის დამოუკიდებელ მექანიზმებს შეიმუშავებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

*საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №346 — ვებგვერდი, 18.03.2021წ.*

### **მუხლი 40. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბავშვისთვის მიწოდების აკრძალვა**

1. აკრძალულია ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბავშვისთვის მიწოდება.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

## **თავი VI**

### **ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლება**

#### **მუხლი 41. ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლება**

1. ყოველ ბავშვს აქვს უფლება, ისარგებლოს ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით, მათ შორის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების (მათ შორის, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის, სტაციონარული მომსახურების, რეაბილიტაციის) გეოგრაფიული და ფინანსური ხელმისაწვდომობით.

2. სახელმწიფო ახორციელებს ყველა საჭირო ადმინისტრაციულ, სოციალურ და

საგანმანათლებლო ღონისძიებას, რათა არცერთ ბავშვს, მათ შორის, არცერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს ან/და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვს, არ შეეზღუდოს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული უფლება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. ეს ღონისძიებები უნდა მოიცავდეს ზომების მიღებას:

ა) ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად;

ბ) ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული, პრევენციული, საკონსულტაციო, გადაუდებელი ამბულატორიული მომსახურებითა და იმუნიზაციის სათანადო პროგრამებით ყველა ბავშვის უზრუნველსაყოფად;

გ) სტანდარტის შესაბამისი საკვებითა და სუფთა წყლით ყველა ბავშვის უზრუნველსაყოფად;

დ) საჭირო მინერალებით გამდიდრებული საკვებით ყველა ბავშვის უზრუნველსაყოფად, რათა შემცირდეს ბუნებრივი გარემოს დაბინძურების უარყოფითი შედეგები ან/და აღმოიფხვრას ბუნებრივი მინერალების დეფიციტი;

ე) მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ქალთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად;

ვ) საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით - ბავშვებისა და მშობლებისთვის, ბავშვის ჯანმრთელობის, ჯანსაღი კვების, ძუძუთი კვების უპირატესობის, ჰიგიენის, გარემოს დაცვის, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისგან დაცვის საკითხებზე ინფორმაციის მისაწოდებლად;

ზ) პრევენციული ჯანმრთელობის დაცვის მიმართულების განსავითარებლად;

თ) ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებების დროულად გამოვლენისა და ადრეული ინტერვენციის განხორციელების მიზნით საიდენტიფიკაციო სისტემის შესაქმნელად;

ი) ბავშვის ჯანმრთელობისთვის საზიანო ტრადიციული მიდგომების აღმოსაფხვრელად.

3. ჯანმრთელობის დაცვის განსაკუთრებული ღონისძიებები ხორციელდება სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის ჯანმრთელობის დასაცავად.

4. ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების რეალიზების პოლიტიკის შემუშავებას ამ კოდექსის საფუძველზე, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

5. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვის მიერ ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების განხორციელების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, უწყებათაშორისი კოორდინაციითა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

6. მუნიციპალიტეტი ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

7. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის ჯანმრთელობის დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამების ან სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**მუხლი 42. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის უფლების მხარდაჭერა საგანმანათლებლო, ალტერნატიული ზრუნვისა და პენიტენციურ დაწესებულებებში**

1. ჯანმრთელობის დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში, საგანმანათლებლო, ალტერნატიული ზრუნვისა და პენიტენციურ დაწესებულებებში უზრუნველყოფილია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მხარდაჭერა, მათ შორის, ფიზიკური აღზრდის ღონისძიებების განხორციელებით, სათანადო ინფრასტრუქტურისა და ჯანსაღი საკვების უზრუნველყოფით, საინფორმაციო-საკონსულტაციო და რეფერირების სერვისების დანერგვით.

2. ყველა ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების, ალტერნატიული ზრუნვისა და პენიტენციური დაწესებულება ვალდებულია უზრუნველყოს ფიზიკური აღზრდის, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მართვის, მათ შორის, მომზადებისა და რისკების შემცირების, მექანიზმების დანერგვა.

**მუხლი 43. დანაშაულის შედეგად დაზარალებული, მსხვერპლი და მონმე ბავშვების ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებები**

1. ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული, სხვადასხვა ფორმის ძალადობის მსხვერპლი და მონმე ბავშვების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის, ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში. პროგრამის შინაარსი, ფორმა და ხანგრძლივობა ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებებისა და საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განისაზღვრება.

2. ბავშვთა დაცვის ერთიანი სისტემის ფარგლებში სახელმწიფო უზრუნველყოფს შეიარაღებული კონფლიქტის, ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფების მსხვერპლი ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის დაცვას და მათ ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას ჯანსაღ და ღირსეულ პირობებში.

**მუხლი 44. ბავშვის მიმართ არანებაყოფლობითი ან იძულებითი სამედიცინო ღონისძიების გამოყენების დაუშვებლობა**

1. დაუშვებელია ბავშვის ფსიქიატრიული მკურნალობა ბავშვის მონანილეობისა და მისი აზრის მოსმენის გარეშე, მისი ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

2. ბავშვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული სტაციონარული მკურნალობა დასაშვებია მხოლოდ სასამართლოს გადამწყვეტილებით, უმოკლესი ვადით. ეს გადამწყვეტილება ექვემდებარება პერიოდულ გადასინჯვას. ბავშვის არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობა გრძელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პროცედურების დაცვით.

3. ბავშვის მიმართ მედიკამენტური ან სხვა სამედიცინო ღონისძიების გამოყენება თერაპიულ საჭიროებებს უნდა ეფუძნებოდეს. ეს ღონისძიება არ უნდა იქნეს გამოყენებული სპეციალისტის მიერ შეფასებისა და დანიშვნის გარეშე.

4. სასამართლოს მიერ ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული გადამწყვეტილების მიღებისას აუცილებელია პროცესში ბავშვის უშუალო მონანილეობა და მისი აზრის სათანადოდ გათვალისწინება, აგრეთვე დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს მონანილეობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისა და დაცვის მიზნით.

5. ბავშვს უფლება აქვს, უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით მიმართოს კონფიდენციალურ და მიუკერძოებელ ორგანოს შესაბამის დაწესებულებაში ყოფნისას მისი უფლებების დარღვევის შესახებ. აღნიშნული ორგანო უნდა იყოს ბავშვისთვის ხელმისაწვდომი და მკურნალობის მიმნოდებელი დაწესებულებისგან ან მისი ზემდგომი დაწესებულებისგან დამოუკიდებელი.

6. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრ-

თელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის არანებაყოფლობით ან იძულებით ფსიქიატრიულ მკურნალობასა და სამედიცინო კვლევას ახორციელებს ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

#### **მუხლი 45. ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სერვისების სტანდარტებთან შესაბამისობა**

ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ნებისმიერი სერვისის მიმწოდებელი ყველა საჯარო და კერძო დაწესებულება და ორგანიზაცია ვალდებულია თავისი საქმიანობა, განსაკუთრებით - უსაფრთხოების დაცვის, ჯანმრთელობის დაცვის სერვისების ხარისხის, პერსონალის პროფესიული კვალიფიკაციისა და ეთიკის და მონიტორინგის მექანიზმების კუთხით, განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

### **თავი VII**

## **ბავშვის უფლება სოციალურ დაცვაზე, ცხოვრების სათანადო**

### **პირობებსა და განვითარებაზე**

#### **მუხლი 46. ბავშვის სოციალური დაცვის უფლება**

1. ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს სოციალური დაცვითა და მომსახურებით მისი და მასზე მზრუნველი პირების მდგომარეობის, ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების შესაბამისად.

2. ყოველ ბავშვს აქვს უფლება ცხოვრების ისეთ სტანდარტზე, რომელიც შეესაბამება მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში სახელმწიფომ რესურსების ფარგლებში უნდა გაუწიოს მშობელს ბავშვის განვითარებაზე ორიენტირებული მიზნობრივი მატერიალური და არამატერიალური დახმარება და განახორციელოს მხარდაჭერის პროგრამები, განსაკუთრებით - საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფის მიზნით.

3. სახელმწიფო ახორციელებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის დამალვისგან, მიტოვებისგან, უგულებელყოფისა და სეგრეგაციისგან დასაცავად აუცილებელ ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას.

4. ბავშვის მიზნობრივი სოციალური დახმარების ოდენობა, სახე და ხანგრძლივობა ბავშვისა და მისი ოჯახის ინდივიდუალური საჭიროებების და შესაბამისი გარემოებების შეფასების საფუძველზე განისაზღვრება.

5. ბავშვის მიზნობრივი სოციალური დახმარება ერთჯერადი არ უნდა იყოს და კომპლექსურად უნდა მოიცავდეს ბავშვის განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, რეაბილიტაციის, სოციალური ინტეგრაციისა და სხვა ინდივიდუალური საჭიროებების მდგრად უზრუნველყოფას.

6. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის სოციალური დაცვის პოლიტიკის, ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებას ამ კოდექსის საფუძველზე, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

7. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ბავშვის სოციალური დაცვის პროგრამებს შეიმუშავებს ერთიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით და ახორციელებს საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებთან უწყებათაშორისი და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით.

8. მუნიციპალიტეტი ბავშვის სოციალური დაცვის პროგრამებს შეიმუშავებს ერ-

თიანი სახელმწიფო სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიხედვით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

9. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის სოციალური დაცვის ღონისძიებებს ახორციელებს სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ან/და საკუთარი ინიციატივითა და ფინანსური რესურსებით, სახელმწიფოს მიერ დადგენილი მომსახურების სტანდარტების შესაბამისად.

#### **მუხლი 47. ბავშვის უფლება ცხოვრების სათანადო სტანდარტზე**

1. ბავშვს უფლება აქვს, იზრდებოდეს ოჯახურ, მისი პიროვნების პატივისცემის, სიყვარულისა და ურთიერთგაგების გარემოში.

2. ბავშვს უფლება აქვს, ჰქონდეს ცხოვრების ისეთი პირობები, რომლებიც ხელს უწყობს მის სრულფასოვან ფიზიკურ, ინტელექტუალურ, გონებრივ, სოციალურ და მორალურ განვითარებას.

3. ბავშვის ცხოვრების სათანადო სტანდარტი ითვალისწინებს ბავშვის სულ მცირე საკვებით, სუფთა სასმელი წყლით, ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი გარემოთი, პირველადი ჯანმრთელობის დაცვის ხელმისაწვდომობით, ჯანსაღი ცხოვრების წესის, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისგან დაცვის შესახებ საბაზისო ინფორმაციითა და შესაბამისი მექანიზმებით უზრუნველყოფას.

4. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს აქვს ისეთივე უფლება ცხოვრების სათანადო სტანდარტზე, როგორიც სხვა ბავშვს. ეს სტანდარტი უნდა ითვალისწინებდეს გონივრული მისადაგებისა და უნივერსალური დიზაინის პრინციპებს ბავშვის ინკლუზიური განვითარების ხელშეწყობისთვის.

5. საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების უფლებამოსილი ორგანო უზრუნველყოფს ბავშვის ცხოვრების სათანადო პირობების დაცვის სტანდარტების შემუშავებას და უწყებათაშორისი და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით განხორციელებას.

6. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ბავშვისთვის უზრუნველყოფს და ჯანსაღი გარემოს უზრუნველსაყოფად, გარემოს დასაცავად, კატასტროფისა და უბედური შემთხვევისგან ბავშვის დასაცავად ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს უწყებათაშორისი კოორდინაციითა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

7. უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოსა და მუნიციპალიტეტისთვის სავალდებულოა ურბანული დაგეგმარების, განაშენიანების, მშენებლობის ნებართვის გაცემის და რეკონსტრუქციული პროექტის შესახებ გადაწყვეტილებების მიღების დროს ბავშვის ცხოვრების სათანადო სტანდარტების გათვალისწინება.

8. სახელმწიფო ორგანო და მუნიციპალიტეტი ქმნიან სამართლებრივ მექანიზმებს და იღებენ სათანადო ზომებს ბავშვის თამაშისა და დასვენების, რეკრეაციულ, კულტურულ და სახელოვნებო ღონისძიებებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

#### **მუხლი 48. ბავშვის სოციალური განვითარების მხარდაჭერა**

1. ბავშვის სოციალური განვითარების მხარდასაჭერად შემუშავებული შესაბამისი პროგრამა უნდა მოიცავდეს ბავშვის სოციალური აქტივობის ღონისძიებებს, ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს და ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობის ღონისძიებებს.

2. ბავშვის სოციალური განვითარების პროგრამა თავისი შინაარსითა და მეთოდოლოგიით ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. ის ხელს უნდა უწყობდეს ბავშვ-



ვის მიერ საკუთარი უფლებების დამოუკიდებლად რეალიზების უნარისა და სხვათა უფლებების პატივისცემის ჩამოყალიბებას.

#### **მუხლი 49. სოციალური მუშაობა ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით**

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა სფეროში სოციალური მუშაობის ძირითადი პრინციპები, სოციალური მუშაკის ფუნქციები, უფლებები, მოვალეობები და მის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები განისაზღვრება „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

#### **მუხლი 50. ბავშვის სოციალური აქტივობის ხელშეწყობა**

1. ბავშვისთვის შეთავაზებული და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისი განვითარების ხელშეწყობი, აუცილებელი ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამები.

2. ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა თავისი შინაარსითა და მეთოდოლოგიით ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობით უნდა განხორციელდეს. ის ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის მიერ გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარისა და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.

3. ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა მოიცავს შესაბამის პროცესში ჩართულ ბავშვზე ორიენტირებულ ინდივიდუალურ, ზოგად (ღია) და ჯგუფურ ღონისძიებებს.

4. ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამის ძირითადი მიმართულებები შეიძლება იყოს:

ა) არაფორმალური განათლება ზოგადი, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, შემეცნებითი, ტექნიკური, ეკოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით;

ბ) გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური აქტივობის ხელშეწყობი სპორტული და გასართობი ღონისძიებები;

გ) სასკოლო ან შრომით ვალდებულებებსა და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ღონისძიებები;

დ) საერთაშორისო ახალგაზრდული პროგრამები;

ე) ბავშვთა დასვენების პროგრამები;

ვ) ბავშვთა საკონსულტაციო პროგრამები;

ზ) კულტურული და სახელოვნებო პროგრამები;

თ) წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროგრამები.

5. ბავშვის სოციალური აქტივობის სახელმწიფო პროგრამას შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

6. ზოგადსაგანმანათლებლო დანესებულებაში განსახორციელებელი ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა განისაზღვრება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით, ამ კოდექსის შესაბამისად.

7. მუნიციპალიტეტი ბავშვის სოციალური აქტივობის ღონისძიებებს ახორციელებს მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში ან შესაბამისი სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

8. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის სოციალური აქტივობის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამის ან ბავშვის სოციალური აქტივობის სახელმწიფო პროგრამის/მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შესაბამის სამინისტროსთან/ მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**მუხლი 51. ბავშვის სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობა**

1. ბავშვის სოციალური ინკლუზიის პროგრამა ითვალისწინებს თანასწორი მოპყრობის საფუძველზე საზოგადოებრივ ცხოვრებაში ყველა ბავშვის თანაბარი მონაწილეობის მხარდაჭერას, მათ შორის, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, სპორტული, კულტურული და პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებით. სოციალური ინკლუზიის მიზანია, აღიაროს, რომ ყველა ბავშვი ღირებული და მნიშვნელოვანია, ყველა ბავშვისთვის უზრუნველყოს თანაბარი ხელმისაწვდომობა, შესაძლებლობა და მონაწილეობის უფლება უთანასწორო მოპყრობისა და ბარიერების გარეშე.

2. ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებები უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და საჭიროებებს, ორიენტირებული უნდა იყოს ბავშვის მონაწილეობის, მრავალფეროვანი სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბების, სოციალური უნარ-ჩვევების განვითარების, არჩევანის გაკეთებისა და გადამწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების ხელშეწყობაზე.

3. ბავშვის სოციალური ინკლუზიის სახელმწიფო პროგრამებს შეიმუშავებს და ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, სხვა სახელმწიფო უწყებებსა და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით.

4. მუნიციპალიტეტი ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს ახორციელებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

5. არასამთავრობო ორგანიზაცია ბავშვის სოციალური ინკლუზიის ღონისძიებებს ახორციელებს საკუთარი პროგრამის ან სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.

**მუხლი 52. ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობა**

1. ბავშვის სოციალური აქტივობის მხარდასაჭერად იქმნება ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობი პროგრამები.

2. ბავშვის მოხალისეობრივი საქმიანობა გულისხმობს ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში ბავშვის მიერ ნებაყოფლობით და უანგაროდ საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობის განხორციელებას, რაც არ უნდა აფერხებდეს მისი სხვა უფლებების, განსაკუთრებით - განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, ძალადობისგან დაცვისა და მავნე ზეგავლენისგან დაცვის უფლებების, სრულფასოვან რეალიზებას.

3. ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობა პროგრამებს შეიმუშავებენ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო და მუნიციპალიტეტები კერძო სექტორსა და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.

4. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ქმნის სამართლებრივ საფუძვლებს, რათა ხელი შეუწყოს ბავშვის მოხალისეობის ხელშეწყობა პროგრამებში მონაწილე ბავშვის ნახალისებას ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული და საუნივერსიტეტო სწავლების ფარგლებში.

## თავი VIII

### გაგვების ძალადობისგან დაცვის უფლება

#### მუხლი 53. ძალადობისგან ბავშვის დაცვა

1. ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისგან, ჩაგვრისგან, იძულებისგან, დაზიანებისგან, უგულვებლყოფისგან, დაუდევარი მოპყრობისგან, წამებისგან, ექსპლუატაციისგან, არასრულწლოვნით ვაჭრობისგან (ტრეფიკინგისგან) და ძალადობის ნებისმიერი სხვა ფორმისგან ნებისმიერ ოჯახში, სკოლაში და სხვა ადგილზე, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში.

2. აკრძალულია ბავშვის ფიზიკური დასჯა, წამება, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ოჯახში, სკოლაში ან ალზრდისა და განათლების ან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ალტერნატიული ზრუნვის მომსახურების მიწოდებისას, სამედიცინო დაწესებულებაში ან/და ფსიქიატრიულ დაწესებულებაში, პენიტენციურ დაწესებულებაში და ნებისმიერ სხვა ადგილზე. აღნიშნული ქმედება იწვევს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად პასუხისმგებლობის დაკისრებას.

3. აკრძალულია ბავშვის მიმართ ტრადიციული რიტუალის აღსრულების მიზნით ისეთი მეთოდების გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას, წამებას, მისდამი სხვა სასტიკ, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას (მათ შორის, გოგონას სასქესო ორგანოს დასახიჩრება, ოპერაციის ან მანიპულაციის ჩატარება რეპროდუქციის უნარის მოსაშლელად), მიუხედავად ბავშვის ან/და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობისა.

4. აკრძალულია ბავშვის მიმართ სამედიცინო დახმარების ან მკურნალობის ისეთი მეთოდების (მათ შორის, აქტიური ბიოლოგიური (შოკური, კრუნჩხვითი და სხვა) მეთოდების) გამოყენება, რომლებიც ითვალისწინებს ბავშვის ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ იძულებას და ეწინააღმდეგება მის საუკეთესო ინტერესებს.

5. ამ მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ პრაქტიკად არ ითვლება ისეთი ტრადიციული რელიგიური რიტუალი, როგორცაა ნათლობა.

6. სახელმწიფო ვალდებულია ნებისმიერი ფორმის ძალადობისგან ბავშვის დასაცავად მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული, სოციალური და საგანმანათლებლო ზომები, მათ შორის, შექმნას ეფექტიანი მექანიზმები ბავშვისა და მისი ოჯახის მხარდაჭერისთვის, ბავშვის მიმართ ან ბავშვებს შორის ძალადობის ნებისმიერი ფორმის პრევენციისთვის, გამოვლენისთვის, მის შესახებ შეტყობინებისთვის, გასაჩივრებისთვის, რეფერირებისა და გამოძიებისთვის, ძალადობის შედეგად დაზარალებული ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და მისი უფლებების აღდგენისთვის საჭირო სხვა ღონისძიებების განსახორციელებლად.

#### მუხლი 54. შრომის საზიანო ფორმებისგან ბავშვის დაცვა

1. ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს ისეთი სამუშაოს შესრულებისგან, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური და სოციალური განვითარებისთვის.

2. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს შესრულებისგან თითოეული ბავშვის დასაცავად სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს, მათ შორის:

ა) განსაზღვრავს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს კონკრეტული ფორმებისა და პირობების ჩამონათვალს, რომელიც ექვემდებარება პერიოდულ განახლებას;

ბ) ადგენს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი, მძიმე, მავნე ან საშიშპირობებიანი სამუშაოს ფორმებისა და ადგილების იდენტიფიცირების წესს, განსახორციელებელ ღონისძიებებს და პასუხისმგებელ უწყებას;

გ) ადგენს ბავშვის დასაქმების მინიმალურ ასაკს, სამუშაო საათებს და სამუშაო

პირობების სავალდებულო სტანდარტებს;

დ) ადგენს შრომის ინსპექტირების უფლებამოსილების მქონე უწყებას, რომელსაც შეუძლია მიმართოს ბავშვმა მისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში.

#### **მუხლი 55. ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა**

1. დაუშვებელია ბავშვის ეკონომიკური ექსპლუატაცია, ანუ ფულადი ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით ბავშვის იძულება რაიმე მოქმედების შესასრულებლად ან მომსახურების გასანებად, მისი მონობის ან მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენება, ორგანოს ამოღება ან ბავშვის სხვაგვარი გამოყენება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, ნაქეზებით, მასზე გავლენის სხვაგვარად მოხდენით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.

2. აკრძალულია მათხოვრობაზე ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაზე ბავშვის დაყოლიება იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, ნაქეზებით, მისი შეზღუდული შესაძლებლობის გამოყენებით ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.

3. დაუშვებელია ბავშვის იძულება, ნაქეზება, დაყოლიება ან გამოყენება ისეთი სამუშაოს შესასრულებლად ან მისი ისეთი სამუშაოს შესრულებაში ჩაბმა, რომელიც მას ხელს უშლის განათლების მიღებაში ან საზიანოა მისი ჯანმრთელობისთვის ან ფიზიკური, გონებრივი, მორალური, ემოციური ან/და სოციალური განვითარებისთვის.

4. სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს ყველა ფორმის ეკონომიკური ექსპლუატაციისგან ბავშვის დასაცავად.

#### **მუხლი 56. ყველა ფორმის სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვის დაცვა**

1. ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს სექსუალური ექსპლუატაციისგან და ნებისმიერი სხვა ფორმის სექსუალური ძალადობისგან.

2. აკრძალულია ბავშვის იძულება, ჩაებას რაიმე სექსუალურ მოქმედებაში.

3. აკრძალულია პროსტიტუციასა და სხვა სექსუალურ მოქმედებაში ბავშვის ჩაბმა.

4. აკრძალულია პორნოგრაფიულ საქმიანობაში, პორნოგრაფიული ხასიათის მასალების დამზადებაში, რეკლამირებაში, გავრცელებაში, გადაცემაში, მიღებაში, ექსპორტსა და იმპორტში, ამ მასალებით ვაჭრობაში ბავშვის ჩაბმა.

5. სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს სექსუალური ექსპლუატაციისგან ან სხვა ფორმის სექსუალური ძალადობისგან ყველა ბავშვის, მათ შორის, გოგონებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, დასაცავად.

#### **მუხლი 57. ბავშვით ვაჭრობის აკრძალვა**

1. აკრძალულია ბავშვით ვაჭრობა, ანუ ფულადი ანაზღაურების ან ნებისმიერი სხვა სარგებლის მიღების მიზნით პირის ან პირთა ჯგუფის მიერ ბავშვის სხვა პირისთვის ან პირთა ჯგუფისთვის გადაცემა.

2. აკრძალულია სექსუალური ან შრომითი ექსპლუატაციის, ორგანოს გადანერგვის ან სხვა სარგებლის მიღების მიზნით ბავშვის ნებისმიერი საშუალებით შეთავაზება, გადაცემა ან მიღება.

3. აკრძალულია ბავშვით ვაჭრობა მისი შვილად აყვანის მიზნით ან შუამავლის მიერ ანგარებით პირის დარწმუნება, თანხმობა გასცეს ბავშვის გაშვილებაზე „შვილად აყვანისა და მინდობით აღზრდის შესახებ“ საქართველოს კანონისა და შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი ნორმების დარღვევით.

4. სახელმწიფო ახორციელებს ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას ბავშვით ვაჭრობის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით.

#### **მუხლი 58. ტრეფიკინგისგან ბავშვის დაცვა**

1. აკრძალულია ბავშვის მოძიება, ტრანსპორტირება, გადაცემა, ადგილის გა-

დაცემა ან მიღება მუქარით, ძალის ან იძულების სხვა ფორმის გამოყენებით, მოტაცებით, გაყალბებით, მოტყუებით, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, მსხვერპლის უმწეობის გამოყენებით ან პირის მიერ მისი გავლენის ქვეშ მყოფ პირზე ზეწოლით თანხმობის მისაღებად ფულადი ან სხვა სარგებლის გაცემის ან მიღების გზით, ექსპლუატაციის მიზნით.

2. სახელმწიფო იღებს ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ტრეფიკინგისგან ბავშვის დასაცავად.

### **მუხლი 59. შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან ბავშვის დაცვა**

1. ბავშვს უფლება აქვს, დაცული იყოს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან.

2. სახელმწიფო ახორციელებს შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისგან ბავშვის დასაცავად საჭირო ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას.

3. სახელმწიფო იღებს ყველა ზომას შეიარაღებულ კონფლიქტში ჩაბმული ან მონაწილე ბავშვის გათავისუფლების, მისი ფიზიკური და ფსიქოლოგიური რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის მიზნით.

### **მუხლი 60. ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენცია**

1. სახელმწიფო იღებს შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომებს ბავშვის ექსპლუატაციის, არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგის), ბავშვთა პროსტიტუციის, ბავშვთა პორნოგრაფიის, ბავშვის ჰარმონიული განვითარებისთვის საზიანო ძალადობის ყველა ფორმის ეფექტიანი პრევენციისთვის.

2. სახელმწიფო იღებს ბავშვის ფიზიკური დასჯის, მისდამი სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან სასჯელის გამოყენების პრაქტიკის აღმოფხვრისთვის საჭირო ყველა ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას.

3. ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და აღმოფხვრის მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის:

ა) საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესება ბავშვის მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აკრძალვის, მათზე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვისა და სხვა კონკრეტული სამართლებრივი გარანტიების შექმნით;

ბ) მშობლისა და ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირის მხარდაჭერა აღზრდის პოზიტიური, არაძალადობრივი მეთოდებისა და უნარების განვითარებით, სოციალურ-ეკონომიკური დახმარების, კონსულტაციის განვითარება და ინფორმაციის მიწოდებით;

გ) განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სპორტის, კულტურისა და მართლმსაჯულების სფეროებში ბავშვთან და ბავშვის საკითხებზე მომუშავე პირების სპეციალიზებული სწავლება და ინფორმირება, მათ შორის, ბავშვისთვის უსაფრთხო და ძალადობისგან თავისუფალი გარემოს შექმნისა და ძალადობის შემცველი სოციალური ნორმების შეცვლის მიზნით;

დ) ბავშვის მიმართ ძალადობის რისკების, ბავშვთან არაძალადობრივი კომუნიკაციის, კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისა და ბავშვის ძალადობისგან დაცვის მექანიზმების საკითხებზე საგანმანათლებლო ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის, ინტერნეტსივრცეში;

ე) სხვადასხვა ფორმის ძალადობის აღმოფხვრის მიზნით პოლიტიკის დოკუმენტების, პროგრამებისა და ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში ბავშვის მონაწილეობის ხელშეწყობა;

ვ) ბავშვის ექსპლუატაციისა და ძალადობის სხვა ფორმის პრევენციის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში კერძო სექტორის, მათ შორის, ტურიზმის, საბანკო და საფინანსო ორგანიზაციების, მონაწილეობის ხელშეწყობა;

ზ) ბავშვის ექსპლუატაციისა და ძალადობის სხვა ფორმის ყველა ასპექტის გა-

შუქებასა და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელებაში მედიის აქტიური მონაწილეობის ხელშეწყობა ბავშვის პირადი ცხოვრების, კონფიდენციალურობის პრინციპისა და სხვა ეთიკური სტანდარტების დაცვით;

თ) სახელმწიფოს მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების მხარდაჭერა, მათ შორის, ფინანსური სახსრებით, ამ ორგანიზაციების მიერ ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და ბავშვის უფლებების დაცვის პროგრამების განხორციელების მიზნით.

4. სახელმწიფო ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ბავშვის ძალადობის ხელშეწყობის ფაქტორების, მათ შორის, სხვადასხვა სახის სოციალური საფრთხის, სიღარიბის, ბავშვისადმი უთანასწორო მოპყრობის აღმოსაფხვრელად.

5. სახელმწიფო შეიმუშავებს და ახორციელებს ძალადობის პრევენციისკენ, მოძალადის ძალადობრივი დამოკიდებულების შეცვლისა და ძალადობრივი ქცევის მიზეზის აღმოფხვრისკენ მიმართულ სამედიცინო და ფსიქოსოციალური თერაპიისა და კონსულტაციის პროგრამებს.

#### **მუხლი 61. დანაშაულის შედეგად დაზარალებულის, ძალადობის მსხვერპლისა და მოწმის დაცვა, მხარდაჭერა და რეაბილიტაცია**

1. სახელმწიფო ქმნის დანაშაულის შედეგად დაზარალებული ან/და ძალადობის მსხვერპლი ან/და მოწმე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ მხარდაჭერის, ფიზიკური და ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის მოკვლე- და გრძელვადიან პროგრამებსა და სერვისებს, დამცირებისგან, ხელახალი ტრავმირებისა და ზიანისგან ბავშვის დაცვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, გასაჩივრებისა და ზიანის ანაზღაურების მექანიზმებს.

2. დანაშაულის შედეგად დაზარალებულ ან/და ძალადობის მსხვერპლ ან/და სავარაუდო მსხვერპლ ბავშვს უფლება აქვს, სახელმწიფოსგან მიიღოს კომპენსაცია, მათ შორის, ფინანსური ზარალის ანაზღაურება სწრაფი პროცედურებით, როდესაც დანაშაულისგან ამგვარი ანაზღაურების სწრაფად მიღება შეუძლებელია.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს დანაშაულის შედეგად დაზარალებული და დანაშაულის მოწმე ბავშვების უფლებების დაცვას და მათი მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას, აგრეთვე დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილებას მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე, საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის, შესაბამისად.

4. სახელმწიფო უზრუნველყოფს ძალადობის მსხვერპლ ან/და მოწმე ბავშვთან სავარაუდო დანებებულებაში მომუშავე ყველა პირის სავალდებულო სწავლებას/სპეციალიზაციას დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

### **თავი IX**

#### **ბავშვის მავნე ზეგავლენისგან დაცვის უფლება**

##### **მუხლი 62. მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის უფლების არსი**

მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვა გულისხმობს ბავშვის სოციალური გარემოს უარყოფითი ფაქტორებისა და ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან დაცვას შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შექმნისა და სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების საფუძველზე.

##### **მუხლი 63. ბავშვის ალკოჰოლური საშუალებისგან, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებისგან დაცვა**

1. აკრძალულია ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფსულის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდება, გარდა ბავშვის მიერ ნარკოტიკული და ფსიქოტროპული საშუალებების ექიმის დანიშნულებით მიღების შემთხვევებისა.

2. აკრძალულია ბავშვის მიერ შრომითი საქმიანობის ისეთ დაწესებულებაში განხორციელება, სადაც ხდება ალკოჰოლიანი სასმლის, ეროტიკული პროდუქციის, ტოქსიკური ნივთიერების, სამედიცინო მიზნით გამოყენებისთვის ნებადართული ნარკოტიკული და ფსიქოტროპული სამკურნალო საშუალებების ან/და თამბაქოს ნაწარმის წარმოება, დასაწყობება, ტრანსპორტირება ან რეალიზაცია ან რომელიც ფუნქციონირებს, როგორც სათამაშო ბიზნესის განმახორციელებელი დაწესებულება ან ღამის გასართობი დაწესებულება.

3. დაწესებულების მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევა იწვევს მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მავნე ნივთიერებების ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური. ამ მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შრომის კანონმდებლობისა და პირობების ზედამხედველობის განმახორციელებელი სახელმწიფო ორგანო.

#### **მუხლი 64. აზარტული თამაშობის მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვა**

ბავშვის სამორინეში ან/და აზარტულ კლუბში ან/და სათამაშო აპარატების სალონში სათამაშოდ დაშვების ან/და ბავშვის მოგებიან თამაშობაში ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით მონყობილ აზარტულ თამაშობაში მონაწილეობის საკითხი წესრიგდება „ლატარების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მონყობის შესახებ“ საქართველოს კანონით.

#### **მუხლი 65. ბავშვის მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვება**

1. ბავშვი მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) არ დაიშვება.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი შეზღუდვა არ ვრცელდება იმ შემთხვევაზე, როდესაც საცეკვაო ღონისძიებას კულტურული შინაარსი აქვს და იგი საგანმანათლებლო დაწესებულებასთანაა შეთანხმებული.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახური.

4. ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

#### **მუხლი 66. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვა**

1. მაუწყებელი ვალდებულია უზრუნველყოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავლენისგან ბავშვის დაცვა. მაუწყებელი ასევე ვალდებულია გამოიყენოს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმები ამ პროგრამების კატეგორიების დადგენის მიზნით და განათავსოს ეს პროგრამები სამაუწყებლო ბადეში „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული წესების დაცვით.

2. საჯარო კინოჩვენებაზე ბავშვი დაიშვება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შესაბამის პროდუქტს აქვს ნიშანდება „საინფორმაციო“, „საგანმანათლებლო“ ან მასზე მითითებულია შესაბამისი ასაკობრივი ზღვარი ამ მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნების დაცვით.

3. დაუშვებელია იმ ჟურნალ-გაზეთებისა და სხვა სახის ბეჭდური მედიის პუბლიკაციების ბავშვისთვის მიყიდვა, ჩუქება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომლებიც ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციას შეიცავს.

4. დაუშვებელია იმ ფილმის, კომპიუტერული თამაშის ან სხვა აუდიოვიზუალური პროდუქტის ბავშვისთვის მიყიდვა, ჩუქება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რომელიც ბავშვისთვის საფრთხის შემცველ ინფორმაციას შეიცავს.

5. იმ ჩანერილი ფილმის ან თამაშის ინფორმაციის პროგრამირებული მატარებელი ან ფოტოფირი, რომლის ჩვენება, გადაცემა და გამრავლება შესაძლებელია, ბავშვისთვის ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს ნიშანდება

„საბავშვო“.

6. ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული ნიშანდება თვალსაჩინოდ უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაციის მატარებლის ფრონტალური ეტიკეტის მარცხენა ქვედა კუთხეში 1200 მმ<sup>2</sup> ფართობზე, ხოლო ფოტოფირის შემთხვევაში - 250 მმ<sup>2</sup> ფართობზე. უფლებამოსილმა ორგანომ შეიძლება განსაზღვროს ნიშანდების შინაარსის, სიდიდის, ფორმისა და ფერის მარეგულირებელი ნორმები და დაანესოს ამ ნორმებიდან გამონაკლისები.

7. აკრძალულია ბავშვის მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის გარეშე ყოფნა ინტერნეტსალონში ან კაფეში ღამის 22 საათიდან დილის 8 საათამდე. სრული შეზღუდვა მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც აღნიშნულ სივრცეში არ არის უზრუნველყოფილი ბავშვისთვის პორნოგრაფიული ან სხვა მავნე ზეგავლენის მქონე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა.

8. ინფორმაცია ინტერნეტგვერდზე უნდა განთავსდეს სამაუწყებლო პროგრამათა კლასიფიკაციის კრიტერიუმებისა და ამ პროგრამების სამაუწყებლო ბადეში განთავსების წესების დაცვით.

9. ინტერნეტმიმწოდებელი (ინტერნეტპროვაიდერი) ვალდებულია შეიმუშაოს ისეთი მექანიზმები, რომლებიც მას შესაძლებლობას მისცემს, მომხმარებლის მოთხოვნით დაბლოკოს ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობა.

10. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკაში ან ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში ინტერნეტქსელი ბავშვისთვის ხელმისაწვდომი შეიძლება იყოს იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ დაწესებულებაში დანერგილია ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ბლოკირების შესაბამისი ტექნიკური საშუალებები (ფილტრები).

11. მაუწყებლობის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის კონტროლს, აგრეთვე ინტერნეტსივრცეში და ჩანერილი ფილმისა და თამაშის ინფორმაციის პროგრამირებულ ქსელურ მატარებლებზე (ინტერნეტში) ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის გავრცელების კონტროლს ახორციელებს საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია.

12. ინტერნეტსალონში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, ბიბლიოთეკასა და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებაში ინტერნეტქსელის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობის, ყურნალ-გაზეთებისა და სხვა სახის ბეჭდური მედიის, საჯარო კინოჩვენების, ჩანერილი ფილმისა და თამაშის ინფორმაციის პროგრამირებული მატარებლებისა და არამოგებიანი სათამაშო ელექტრომონყობილობის ბავშვისთვის ხელმისაწვდომობის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ ღონისძიებებს და შესაბამის სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის შესაბამისი მუნიციპალური სამსახური.

13. ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსება წესრიგდება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ გამოცემული კანონქვემდებარე აქტით.

#### **მუხლი 67. საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობისას ბავშვის უსაფრთხოების დაცვა**

1. საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის ორგანიზატორი ვალდებულია ბავშვსა და მის კანონიერ წარმომადგენელს მიანოდოს სრულყოფილი ინფორმაცია ამ ღონისძიების მიზნების, დაგეგმილი აქტივობებისა და მხარეთა უფლება-მოვალეობების შესახებ.

2. საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის ორგანიზატორს უნდა ჰქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია ამ ღონისძიების მონაწილეთა შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია ბავშვის სპეციალური საჭიროებების, ღონისძიების ინსტრუქტორის, ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირის და გადამზიდველის კვალიფიკაციის, სატრანსპორტო საშუალების გამართულობისა და ბავშვის განთავსების ადგილის სავაკუაციო გეგმის შესახებ.



3. თუ ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირებისას დროებითი განთავსების ადგილებზე და ორგანიზებულ ჯგუფებში ღონისძიების ორგანიზატორმა არ უზრუნველყო ექიმის ან ექთნის 24-საათიანი მომსახურება, იმ პირობა შორის, რომლებიც ბავშვების უსაფრთხოებაზე მეთვალყურეობის პასუხისმგებლობას იღებენ, უნდა იყოს სულ მცირე 1 სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც გავლილი აქვს პირველადი სამედიცინო დახმარების კურსი.

4. სატრანსპორტო საშუალების მძღოლმა ბავშვთა ტრანსპორტირებისას მათი კვების მიზნით საკვები პროდუქტების ტრანსპორტირება სანიტარიული პირობების დაცვით უნდა განახორციელოს. საკვები პროდუქტების ტრანსპორტირებისას სანიტარიული წესების დაცვის კონტროლის განხორციელების წესი და მათი დამრღვევის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

5. საჯარო ღონისძიების ფარგლებში გამოყენებულ კვების ობიექტზე დაცული უნდა იყოს სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმები. საკვები პროდუქტები უნდა იყოს უსაფრთხო და აკმაყოფილებდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოების ჰიგიენურ ნორმატივებს. კვების ობიექტზე სანიტარიული წესების დაცვის კონტროლის განხორციელების წესი და მათი დამრღვევის პასუხისმგებლობა განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

6. საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის ორგანიზატორის მიერ ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების კონტროლს ახორციელებს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახური. საჯარო ღონისძიებაში ბავშვის მონაწილეობის ორგანიზატორის მიერ ამ მუხლის მოთხოვნების დარღვევა იწვევს მისთვის საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

7. სატრანსპორტო საშუალების მძღოლი ვალდებულია დაიცვას „საგზაო მოძრაობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები. საგზაო მოძრაობისა და საგზაო მოძრაობის ორგანიზების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დარღვევა იწვევს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობების დაკისრებას.

#### **მუხლი 68. მავნე ზეგავლენისგან ბავშვის დაცვის გარანტიები**

1. სახელმწიფო და მუნიციპალური სოციალური პოლიტიკა მიმართული უნდა იყოს ბავშვის აღზრდისთვის შესაფერისი კულტურული გარემოს შექმნისა და ბავშვის ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისკენ.

2. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი ტელე- და რადიომაუწყებლების მიერ გონივრული პერიოდულობით ისეთი გადაცემების მომზადებას, რომლებიც ხელს შეუწყობს ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას.

3. ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა მავნე ნივთიერებებისგან, აზარტული თამაშებისგან, ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციისგან ბავშვის დაცვის, აგრეთვე საჯარო სივრცესა და მედიასივრცეში ბავშვის დაცვის საკითხები წესრიგდება ამ კოდექსითა და სხვა შესაბამისი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით.

### **თავი X**

#### **ბავშვის უფლება მართლმსაჯულებაზე**

#### **მუხლი 69. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპები**

1. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება უზრუნველყოფს ბავშვის ყველა უფლების პატივისცემასა და ეფექტიან რეალიზებას ბავშვის მონაწილეობის, მისი საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების, ბავშვის ღირსების პატივისცემის, უთანასწორო მოპყრობის დაუშვებლობისა და კანონის უზენაესობის პრინციპების საფუძველზე.

2. ბავშვს უფლება აქვს, ისარგებლოს მართლმსაჯულების ისეთი სისტემით, რომელსაც ახორციელებენ სპეციალიზებული პროფესიონალები და რომელიც არის ბავშვისთვის ხელმისაწვდომი, მისი ასაკის შესაბამისი, ბავშვისთვის ადვილად აღსაქმელი, სწრაფი, სამართლიანი, თანამიმდევრული, მისი უფლებებისა და საჭიროებებისთვის მორგებული, ბავშვის ღირსებისა და პირადი ცხოვრების მიმართ პატივისცემის გამოხატველი.

3. სახელმწიფო იღებს ყველა აუცილებელ ადმინისტრაციულ და სხვა ზომას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების უფლების რეალიზებისთვის ამ კოდექსის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად.

4. მართლმსაჯულებაზე ბავშვის უფლების რეალიზებისთვის სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემდეგი ძირითადი გარანტიები:

ა) ბავშვისთვის ინფორმაციის, კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ადაპტირებული ფორმით ხელმისაწვდომობა, მათ შორის, სატელეფონო ცხელი ხაზის, ინტერნეტგვერდებისა და სოციალური მედიის სხვა საშუალებების გამოყენებით;

ბ) ბავშვზე მორგებული პროცედურები და მექანიზმები, მათ შორის, საქართველოს სახალხო დამცველისადმი მიმართვის, ადმინისტრაციული საჩივრისა და განცხადების, ადმინისტრაციულ და სამოქალაქო დავებზე სასამართლოსთვის წარსადგენი სარჩელისა და განცხადების ადაპტირებული ფორმები და კომუნიკაციის საშუალებები;

გ) ბავშვის უფლება, ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლოს მიერ საქმის განხილვის პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და მის მიერ არჩეული წარმომადგენლის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

დ) ბავშვთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადანყვეტილების ბავშვზე მორგებული პროცედურით აღსრულება;

ე) ნებისმიერი საჯარო ან კერძო სამართლის იურიდიული პირის ან ფიზიკური პირის ქმედების ან გადაწყვეტილების ადმინისტრაციული წესით ან/და სასამართლო წესით გასაჩივრებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის ადაპტირებული მექანიზმები და პროცედურები;

ვ) ბავშვის პერსონალური მონაცემებისა და ოჯახური ცხოვრების დაცვა ადმინისტრაციული წარმოებისა და სასამართლოს მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე.

5. ამ თავის დებულებები ვრცელდება ბავშვთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებაზე, სასამართლოში მიმდინარე ადმინისტრაციულ და სამოქალაქო სამართალწარმოებებზე, მათ შორის, საოჯახო დავებზე. სისხლის სამართლის დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეთა წარმოება წესრიგდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსით.

## **მუხლი 70. ინფორმაცია და კონსულტაცია**

1. სახელმწიფო ახორციელებს ყველა შესაბამის ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ღონისძიებას საზოგადოებისთვის, განსაკუთრებით - ბავშვისა და მისი ოჯახისთვის, ბავშვის უფლებებისა და ამ უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მისაწოდებლად ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. მშობელი, ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირი ვალდებულია ბავშვს მისი განვითარების შესაძლებლობის გათვალისწინებით მიაწოდოს ინფორმაცია და რჩევა-დარიგებები ბავშვის უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში დაცვის საშუალებებისა და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ.

3. სკოლამდელი, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული განათლების სისტემებში და ალტერნატიული ზრუნვის ყველა მომსახურების მიწოდებისას ბავშვმა უნდა

მიიღოს ინფორმაცია საკუთარი უფლებების, ამ უფლებების დარღვევის შემთხვევაში არსებული კონფიდენციალური კონსულტაციის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების პროცედურებისა და მექანიზმების და სხვათა უფლებების პატივისცემის შესახებ.

4. სისხლის, ადმინისტრაციული ან სამოქალაქო სამართლის საკითხებზე მართლმსაჯულების სისტემასთან ბავშვის პირველივე კონტაქტისას უფლებამოსილი ორგანო ვალდებულია ბავშვს მიაწოდოს ინფორმაცია მართლმსაჯულების პროცესის, მასში ბავშვის მონაწილეობის, მხარდაჭერისა და გასაჩივრების მექანიზმების შესახებ, მათ შორის, ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე:

- ა) ბავშვის უფლებები და როლი სასამართლო ან ადმინისტრაციულ პროცესში;
- ბ) მხარდაჭერის მექანიზმები პროცესში მონაწილეობისთვის;
- გ) პროცესის შესაძლო შედეგები;
- დ) პროცესის ადგილი და თარიღი - როდესაც ბავშვი პროცესის უშუალო მონაწილეა;

ე) გადანყვეტილების გასაჩივრების მექანიზმები;

ვ) დამრღვევისგან ან სახელმწიფოსგან სასამართლოს მეშვეობით ან სხვა, ალტერნატიული გზით ანაზღაურების მიღების შესაძლებლობა;

ზ) დამხმარე სერვისების (ჯანმრთელობის დაცვის სერვისი, ფსიქოსოციალური დახმარების სერვისი, თარჯიმნის მომსახურება და სხვა) ან სასწრაფო ფინანსური დახმარების მიღების შესაძლებლობა.

5. ბავშვს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს და კონსულტაცია უნდა გაეწიოს კულტურული მგრძობიარობის გათვალისწინებით, მისი ასაკის, სქესისა და ინდივიდუალური შესაძლებლობების შესაბამისად, მისთვის გასაგები ენით ან/და კომუნიკაციის სხვა, დამხმარე საშუალებებით.

6. საქართველოს სახალხო დამცველი ახორციელებს საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღონისძიებებს ბავშვის, განსაკუთრებით - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის, უფლებათა და თავისუფლებათა სფეროში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

#### **მუხლი 71. ბავშვის პერსონალური მონაცემების დაცვა**

1. დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახედვს ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილე ბავშვის პერსონალური მონაცემები, რომლებითაც შეიძლება გამოვლავდეს ან არაპირდაპირ მიეთითოს ბავშვის ვინაობა (გამოსახულება, ბავშვის ან მისი ოჯახის წევრების დეტალური აღწერა, სახელები, მისამართები, აუდიო- და ვიდეოჩანაწერები და მსგავსი ინფორმაცია).

2. დაუშვებელია, რაიმე ფორმით, მათ შორის, მედიის საშუალებით, საჯარო გახედვს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა შემცველი ისეთი დოკუმენტი ან ჩანაწერი, რომელიც უკავშირდება ბავშვის მიმართ დისციპლინური ზომის გამოყენებას, ბავშვის მიმართ ან მის მიერ ჩადენილი ძალადობის შემთხვევას, ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ან ღარიბი ოჯახის სოციალური დახმარების ან საქველმოქმედო პროგრამაში ბავშვის მონაწილეობას და ბავშვთან დაკავშირებულ სხვა, მსგავსი შინაარსის ინფორმაციას.

3. ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

4. სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკანონმდებლო მოწესრიგებას და განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, მართლმსაჯულებისა და სხვა სფეროებში ადგენს ერთიან სტანდარტებს ბავშვის უფლებათა საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, საქართველოს კონსტიტუციის, ამ კოდექსისა და „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

## **მუხლი 72. მულტიდისციპლინური მიდგომა**

1. ადმინისტრაციული წარმოება და სასამართლო პროცესი სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეებზე ბავშვის მონაწილეობით ან/და ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე უნდა განხორციელდეს მულტიდისციპლინური მიდგომით, ბავშვის ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური და ფიზიკური ჯანმრთელობის შეფასებისა და მისი საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.

2. შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო და სასამართლო მულტიდისციპლინური მიდგომას ახორციელებენ ბავშვის საკითხებზე მომუშავე სახელმწიფო უწყებების სპეციალისტებს, მოწვეულ ექსპერტებს ან/და ორგანიზაციებს შორის ფორმალური თანამშრომლობის პროცედურით.

3. დანაშაულის შედეგად დაზარალებული, დანაშაულის მონმე და დანაშაულის მსხვერპლი ბავშვების მიმართ მულტიდისციპლინური მიდგომა ხორციელდება ერთ სივრცეში, სოციალური მუშაკების, სასამართლო ექსპერტების, სამედიცინო ექსპერტების, ფსიქოლოგების, პედატრების, პოლიციელების, პროკურორებისა და ადვოკატების ერთობლივი მონაწილეობით, ამ ბავშვთა განმეორებითი გამოკითხვისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილების მიზნით.

## **მუხლი 73. პროფესიონალთა სპეციალიზაცია**

1. სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ღონისძიებები განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, იურიდიულ, სამართალდაცვით, სპორტის, კულტურისა და დასვენების სფეროებში ბავშვთან მომუშავე პირების (პროფესიონალების) პიროვნული და პროფესიული შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, რათა თავიდან იქნეს აცილებული შესაბამის სფეროში ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის რისკები და საფრთხეები.

2. ბავშვთან მომუშავე პირმა (პროფესიონალმა) უნდა გაიაროს აუცილებელი ინტერდისციპლინური მომზადება ბავშვის უფლებების, სხვადასხვა ასაკის ბავშვთა საჭიროებებისა და ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების საკითხებზე. ამასთანავე, ბავშვთან მომუშავე პირი (პროფესიონალი) უნდა გადამზადდეს ნებისმიერი ასაკისა და განვითარების დონის ბავშვთან, განსაკუთრებით - სოციალური საფრთხის წინაშე მყოფ ბავშვთან, კომუნიკაციის მეთოდებთან დაკავშირებით.

3. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ ნებისმიერ ადმინისტრაციულ წარმოებაში, სასამართლოში სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეთა წარმოებაში მონაწილე ყველა პირი უნდა იყოს სპეციალიზებული კანონით დადგენილი სპეციალიზაციის სტანდარტების შესაბამისად.

4. პროფესიონალთა სპეციალიზაციის ინსტიტუციური სისტემა მოიცავს ბავშვთან მომუშავე და ბავშვის საკითხებზე მომუშავე ადვოკატების, პროკურორების, პოლიციელების, მოსამართლეების, მედიატორების, სოციალური მუშაკების, ფსიქოლოგებისა და სხვა სპეციალისტების შერჩევას, მოსამზადებელი და განგრძობადი სწავლების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის, საქმიანობის ხარისხის კონტროლისა და ეთიკური სტანდარტების უზრუნველყოფას.

## **მუხლი 74. ბავშვზე მორგებული პროცესი**

1. ყველა ბავშვს აქვს თანაბარი უფლება, მისი საქმე განხილულ იქნეს სამართლიანად და ამ უფლების შემადგენელი ყველა პრინციპის (მათ შორის, კანონიერების, თანაზომიერების, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპების) მიხედვით, აგრეთვე აქვს სასამართლოსთვის მიმართვისა და გასაჩივრების უფლება, იურიდიული დახმარებისა და იურიდიული კონსულტაციის მიღების უფლება.

2. საქმის სამართლიან განხილვაზე ბავშვის უფლება ვრცელდება როგორც დისციპლინურ წარმოებაზე ან/და ადმინისტრაციულ წარმოებაზე, ისე სასამართლოში სისხლის, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლის საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოებაზე. დაუშვებელია ამ უფლების ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზე მითითებით შეზღუდვა.

3. ბავშვს აქვს ადვოკატის მონვევის უფლება. სახელმწიფო ბავშვისთვის უზრუნველყოფს უფასო იურიდიულ დახმარებას, როდესაც მას მონვეული ადვოკატი არ ჰყავს.

**მუხლი 75. ბავშვის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსთვის ან სასამართლოსთვის მიმართვის უფლება და ძირითადი საპროცესო გარანტიები**

1. ბავშვს უფლება აქვს, მიმართოს ადმინისტრაციულ ორგანოს ან სასამართლოს უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, საკუთარი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ან/და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების ან ქმედების გასაჩივრების მიზნით.

2. ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინებით, რაც გულისხმობს მართლმსაჯულების განხორციელების ყველა სტადიაზე ბავშვისთვის ხელმისაწვდომ და აღქმად პროცედურებს.

3. სარჩელის აღძვრამდე ან მისი აღძვრის შემდეგ სასამართლო უფლებამოსილია მხარეთა შუამდგომლობის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მოპასუხის მიმართ უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსარჩელისთვის შესაძლო გამოუსწორებელი ზიანის მიყენება.

4. სრულწლოვანი პირის მიერ ბავშვის მიმართ ჩადენილი არცერთი ფორმის ძალადობის საქმე არ ექვემდებარება სასამართლო მედიაციას და მორიგებას.

**მუხლი 76. ბავშვის საქმის პრიორიტეტული განხილვა**

1. ადმინისტრაციულმა ორგანომ და სასამართლომ ბავშვთან დაკავშირებული შუამდგომლობის, საჩივრისა და სარჩელის განხილვას პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ.

2. ბავშვის უფლებებისა და ინტერესების უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხებს სასამართლო განიხილავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესებისა და ვადების დაცვით.

3. კანონით დადგენილია ბავშვთან დაკავშირებული ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს გადაწყვეტილების პრიორიტეტული აღსრულების მექანიზმი იმ შემთხვევისთვის, როდესაც ამას ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

**მუხლი 77. ხანდაზმულობის ვადა**

ბავშვის მიმართ სექსუალური, ეკონომიკური, ოჯახში ძალადობის ან სხვა ფორმის ძალადობის შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით სასამართლოსთვის მიმართვის უფლების ხანდაზმულობის ვადა ჩერდება ბავშვის მიერ სრულწლოვანების მიღწევამდე ან არასრულწლოვანების პერიოდში სასამართლოსთვის მიმართვამდე.

**მუხლი 78. ბავშვის უფლება საკუთარი მოსაზრების გამოხატვაზე და მის სათანადოდ გათვალისწინებაზე**

1. ბავშვთან დაკავშირებულ ადმინისტრაციულ წარმოებასა და სასამართლოში მიმდინარე სამართალწარმოებაში ბავშვს გარანტირებული აქვს შესაძლებლობა, საქმის განხილვის ნებისმიერ სტადიაზე გამოხატოს საკუთარი მოსაზრება ამ საქმესთან დაკავშირებით.

2. ბავშვის უფლება, მოუსმინონ, არ შეიძლება შეიზღუდოს მის ასაკზე ან სხვა გარემოებაზე მითითებით. ბავშვს უნდა მიეცეს საკუთარი მოსაზრების მისთვის სასურველი ფორმით გამოხატვის შესაძლებლობა.

3. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვს უნდა შეექმნას შესაბამისი პირობები, რომლებიც აუცილებელია მის მიერ მოსაზრების გამოსახატავად.

4. ბავშვმა მოსაზრება ადმინისტრაციული ორგანოს ან სხვა მესამე პირის გავლენის გარეშე უნდა გამოხატოს.

5. ბავშვის მიერ მოსაზრების გამოხატვის პროცესს დაკითხვის ფორმა არ უნდა ჰქონდეს. ის მეგობრულ გარემოში თავისუფალი დიალოგის სახით უნდა განხორციელდეს. დიალოგს უნდა ჰქონდეს არა ბავშვთან პაექრობის, არამედ მისი მხარდაჭერის ხასიათი.

### **მუხლი 79. ბავშვის უფლება იურიდიულ დახმარებაზე**

1. ბავშვს უფლება აქვს, ამ კოდექსით დადგენილი წესით მიიღოს თანამიმდევრული და კვალიფიციური იურიდიული კონსულტაცია ან/და იურიდიული დახმარება სახელმწიფოს ხარჯზე, მისი ასაკის, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მისთვის გასაგები ენით, სათანადო კომუნიკაციის საშუალებებით.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ბავშვისთვის ან/და მშობლისთვის ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელი სხვა პირისთვის უფასო იურიდიული კონსულტაციის ან/და იურიდიული დახმარების განევას ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

3. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს ბავშვისთვის იურიდიული კონსულტაციის ან/და იურიდიული დახმარების ხელმისაწვდომობას ტელეფონით, ადაპტირებული ინტერნეტგვერდებით, ბეჭდური და სხვა საშუალებებით.

4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს ინფრასტრუქტურის, მიმართვის ფორმებისა და ყველა სხვა მომსახურების ხელმისაწვდომობას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების სტანდარტების თანახმად.

### **მუხლი 80. ბავშვის უფლება მის წარმომადგენლობაზე**

1. ბავშვს უფლება აქვს, ადმინისტრაციულ წარმოებაში ან სასამართლო პროცესში მონაწილეობა მიიღოს უშუალოდ ან/და თავისი წარმომადგენლის მეშვეობით, რომელიც შეიძლება იყოს ბავშვის კანონიერი წარმომადგენელი ან მის მიერ არჩეული სხვა საპროცესო წარმომადგენელი.

2. ბავშვის მიერ წარმომადგენლის არჩევისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ შემთხვევას, როდესაც ბავშვის მშობელი, ოჯახის სხვა წევრი ან ალტერნატიული ზრუნვის განხორციელებისთვის პასუხისმგებელი პირი სავარაუდო მოძალადეა.

### **მუხლი 81. გადაწყვეტილების დასაბუთების საფუძვლები**

1. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას ადმინისტრაციულმა ორგანომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

2. ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას და დასაბუთებისას სასამართლომ უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

3. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების (მათი უპირატესი გათვალისწინების) მიზნით ადმინისტრაციული ორგანოს ან სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს შემდეგი საბაზისო კრიტერიუმების მიხედვით:

ა) ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური დაცვა და უსაფრთხოება;

ბ) ბავშვისთვის განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ფსიქოსოციალური მხარდაჭერისა და რეაბილიტაციის შეუფერხებელი ხელმისაწვდომობა;

გ) ბავშვის მიმართ ძალადობის ნებისმიერი ფორმის, მისი შეურაცხყოფისა და საფრთხის თავიდან აცილება;

დ) ბავშვის ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა, მისი პიროვნების, ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და ინტერესების პატივისცემა;

ე) ბავშვის მოსაზრებები;

ვ) ბავშვსა და მის მშობელს ან ბავშვის აღზრდისთვის პასუხისმგებელ სხვა პირს შორის ურთიერთობა;

ზ) ორივე მშობელთან ბავშვის ურთიერთობის შენარჩუნების ან აღდგენის შესაძლებლობა;

თ) ბავშვის მოსაზრების საინინალმდეგო გადანყვეტილების მიღების შემთხვევაში, მისი აღსრულების ეტაპზე ბავშვისთვის შესაძლო ზიანის მიყენების თავიდან აცილების კონკრეტული ღონისძიებები;

ი) სხვა საკითხები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას ახდენს ბავშვის უფლებებზე და საქმის სამართლიანი პროცესის პრინციპების დაცვით გადანყვეტაზე.

### **ნიმუში III**

## **ბავშვის უფლებებისა და თავისუფლების დაცვისა და მხარდაჭერის ინსტიტუციური გარანტიები**

### **თავი XI**

#### **ზოგადი საფუძვლები**

##### **მუხლი 82. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი**

1. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის უპირატესობის მინიჭების პრინციპის დაცვით სახელმწიფო უზრუნველყოფს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების, კანონის მიღების, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის, სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების დროს.

2. ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმი გულისხმობს გადანყვეტილების მიღებამდე ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე ამ გადანყვეტილების ზეგავლენის მოსალოდნელი შედეგების წინასწარ შეფასებას და გადანყვეტილების აღსრულების შემდეგ მონიტორინგის რეგულარულად განხორციელებას.

3. სახელმწიფო ვალდებულია ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დასაანერგად განახორციელოს ყველა საჭირო ადმინისტრაციული და სხვა ღონისძიება:

ა) საქართველოს პარლამენტის მიერ ახალი კანონის მიღების ან/და საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების დროს და საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვისას ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე;

ბ) საქართველოს მთავრობის მიერ კანონის ან კანონქვემდებარე აქტის პროექტის შემუშავებისას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე;

გ) მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის ნორმატიული სამართლებრივი აქტის შემუშავებისას, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე.

##### **მუხლი 83. ანგარიშვალდებულება, კოორდინაცია და მონიტორინგი**

1. სახელმწიფო პოლიტიკა და პროგრამები უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს განათლების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის და მართლმსაჯულების სფეროებს შორის კოორდინაციითა და უწყებათაშორისი თანამშრომლობით, ბავშვების, აკადემიური წრეების, სამოქალაქო ორგანიზაციებისა და მედიის წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. საქართველოს ტერიტორიაზე ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებენ: საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი შესაბამისი უწყებათაშორისი თანამშრომლობის კომისიები, მუნიციპალიტეტები, საქართველოს სახალხო დამცველი, ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციები.

##### **მუხლი 84. მონაცემთა შეგროვება და ანალიზი**

1. სახელმწიფო ქმნის მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ერთიან ელექტრო-

ნულ სისტემას, რომელიც ითვალისწინებს სხვადასხვა სფეროში ბავშვის უფლებების რეალიზების ამსახველი სტატისტიკური მონაცემების, მათ შორის, ბავშვებისადმი უთანასწორო მოპყრობის, ბავშვის მიმართ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების, შემთხვევებისა და მსჯავრდების რაოდენობების, შესაბამისი პრევენციული და რეაგირების ღონისძიებების ეფექტიანობის შესახებ მონაცემების, შეგროვებასა და ანალიზს.

2. სახელმწიფო მონაცემებს აგროვებს ბავშვის ყველა უფლებასთან დაკავშირებით შემუშავებული ინდიკატორების მიხედვით და მონაცემთა ანალიზის შედეგების გათვალისწინებით შეიმუშავებს ინფორმირებულ ბავშვის უფლებათა დაცვის სახელმწიფო პოლიტიკას.

3. სახელმწიფო უზრუნველყოფს საზოგადოებისთვის სტატისტიკური მაჩვენებლებისა და კვლევის შედეგების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

4. სახელმწიფო ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს, მათ შორის, ექსპერტთა ჯგუფის მონაწილეობით, ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის საკითხების საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში განსახილველად.

5. ამ მუხლით განსაზღვრულ უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს მთავრობა.

### **მუხლი 85. ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველყოფა**

1. ამ კოდექსით გათვალისწინებული ბავშვის უფლებების ეფექტიანი დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს.

2. ამ კოდექსის საფუძველზე შესაბამისი სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მიზნებია:

ა) ბავშვის სოციალური განვითარების ხელშეწყობა;

ბ) ბავშვის განათლების ხელშეწყობა;

გ) ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;

დ) ბავშვზე ზრუნვის ხელშეწყობა;

ე) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის ინდივიდუალური საჭიროებების უზრუნველყოფის ხელშეწყობა;

ვ) ბავშვზე ზრუნვის დანესებულების ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

3. ბავშვის მხარდაჭერის პროგრამას ახორციელებს უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანო. ამასთანავე, ეს პროგრამა შეიძლება განახორციელონ მუნიციპალიტეტმა და კერძო სამართლის სამეწარმეო და არასამეწარმეო (არაკომერციულმა) იურიდიულმა პირებმა უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოს მიერ შემუშავებული პროგრამის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებს და ითვალისწინებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

5. კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ ბავშვის მხარდაჭერის ღონისძიების განხორციელება კოორდინირებული უნდა იყოს საჯარო დანესებულების შესაბამის ღონისძიებასთან.

6. ბავშვის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამას შეიმუშავებს უფლებამოსილი სამინისტრო და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

### **მუხლი 86. ბავშვის მხარდაჭერის ორგანიზაციის ხელშეწყობა**

1. სახელმწიფო ორგანომ და მუნიციპალიტეტის ორგანოებმა ბავშვთა საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობას ხელი უნდა შეუწყონ და ამ ორგანიზაციამ ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამა უნდა განახორციელოს აღნიშნული ორგანიზაციის წესდებით გათვალისწინებული დამოუკიდებლობის პრინციპისა და



საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით.

2. ბავშვთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაცია, შესაბამისი პასუხისმგებლობის გათვალისწინებით, ბავშვთა მხარდაჭერის პროგრამას შეიმუშავებს და ახორციელებს დამოუკიდებლად ან ბავშვთა საკითხებზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციასთან თანამშრომლობით და სახელმწიფო და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან კოორდინაციით.

3. ბავშვთა დაცვის არასამთავრობო ორგანიზაციის საქმიანობა უნდა ეფუძნებოდეს ამ კოდექსით დადგენილ პრინციპებსა და მოთხოვნებს; ამასთანავე, მათი დაცვა და პატივისცემა გამოხატული უნდა იყოს საჯაროდ, მათ შორის, ამ ორგანიზაციის წესდებით.

### **მუხლი 87. ბავშვის მხარდაჭერის ორგანიზაციული მოწყობის ფორმები**

1. ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი ორგანოები იქმნება სახელმწიფო ან მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ან ფუნქციონირებს ბავშვის დახმარების სფეროში მომუშავე კერძო სამართლის სამენარმეო და არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით.

2. სახელმწიფო ორგანო და მუნიციპალიტეტი ამ კოდექსით გათვალისწინებულ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის დაწესებულებას ქმნიან არასამენარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფორმით ან ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების განმახორციელებელ კერძო პირებს კონკურსის წესით შეარჩევენ.

3. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი პასუხისმგებელი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი კერძო სამართლის იურიდიული პირების სამართლებრივი ფორმები განისაზღვრება მათი სადამფუძნებლო შეთანხმებებით.

5. სახელმწიფო ორგანომ ბავშვის მხარდაჭერის პოლიტიკის განსაზღვრისას უპირატესობა უნდა მიანიჭოს ბავშვის მხარდაჭერის პროგრამის ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი კერძო დაწესებულების კონკურსის წესით შერჩევის საფუძველზე განხორციელებას.

### **მუხლი 88. ბავშვის მხარდაჭერის განმახორციელებელი პირების პროფესიული განვითარების სტანდარტები**

1. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტები, აგრეთვე ბავშვის მომვლელის (ძიძის) ნებაყოფლობითი სერტიფიცირების წესი და მისი საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები განისაზღვრება „ბავშვის დაცვისა და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტების შესახებ“ დებულებით, რომელსაც შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

2. ბავშვის მომვლელის (ძიძის) ნებაყოფლობით სერტიფიცირებას ორგანიზებას უწევს და სერტიფიცირებული ბავშვის მომვლელების (ძიძების) რეესტრს აწარმოებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

*საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №346 — ვებგვერდი, 18.03.2021წ.*

## თავი XII

### უზღავამოსილხანი ხავჰვის უზღავაჰის დაცვისა და მხარდაჭერის სჯაროაჰი

#### მუხლი 89. საქართველოს პარლამენტის უფლებამოსილება

1. საქართველოს პარლამენტი ამ კოდექსის, საქართველოს კონსტიტუციის, ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად განსაზღვრავს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, უზრუნველყოფს სათანადო საკანონმდებლო ბაზის შექმნასა და განვითარებას, განიხილავს და ამტკიცებს შესაბამის სახელმწიფო სტრატეგიებს, აკონტროლებს ბავშვის უფლებათა რეალიზებისა და დაცვის კუთხით საქართველოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების საქმიანობას.

2. საქართველოს პარლამენტი უზრუნველყოფს ბავშვის უფლებებისა და საუკეთესო ინტერესების უპირატეს გათვალისწინებას საკანონმდებლო საქმიანობის, საქართველოს მთავრობისა და პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული სხვა ორგანოების საქმიანობის კონტროლის, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისა და შესრულების კონტროლის განხორციელებისას, ბავშვის უფლებებზე მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების მექანიზმის დანერგვით.

3. ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განსაზღვრის, შესაბამისი კანონმდებლობის განვითარების, ბიუჯეტირების და საპარლამენტო კონტროლის განხორციელების დროს სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველსაყოფად საქართველოს პარლამენტში იქმნება ბავშვის უფლებათა დაცვის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭო. ამ საბჭოს შექმნის წესი, შემადგენლობა, ფუნქციები და უფლებამოსილებანი განისაზღვრება საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითა და საბჭოს დებულებით.

#### მუხლი 90. საქართველოს მთავრობის უფლებამოსილება

1. ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებისა და ამ კოდექსის აღსრულების მიზნით საქართველოს მთავრობა ახორციელებს სამართლებრივ, ადმინისტრაციულ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სხვა ღონისძიებებს, მათ შორის:

ა) უზრუნველყოფს ბავშვის უფლებათა აღიარების, რეალიზებისა და დაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას შესაბამისი სამოქმედო გეგმის შემუშავებითა და განხორციელებით;

ბ) ახორციელებს საკანონმდებლო ინიციატივებს და შეიმუშავებს კანონქვემდებარე აქტებს;

გ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს და ამტკიცებს ბავშვის უფლებათა განხორციელების, დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამებს;

დ) იღებს ბავშვის უფლებებისა და თავისუფლებების დასაცავად საჭირო სხვა ზომებს.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული და ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა გადაწყვეტილების მიღებისას ან/და ქმედების განხორციელებისას საქართველოს მთავრობა ხელმძღვანელობს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების პრინციპით, რისთვისაც ამ კოდექსის შესაბამისად ქმნის ბავშვის უფლებებზე მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების ფორმალურ მექანიზმს.

3. ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში, მათ შორის, ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში, საქართველოს მთავრობის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების მიზნით იქმნება ადამიანის უფლებათა უწყებათაშორისი საბჭო.

4. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისა და ბავშვთა უფლებების საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისია კოორდინაციას უწევს საქართველოს მიერ ნაკისრი ბავშვის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ვალდებულებების შესრულებას და ამ კოდექსის აღსრულებას, შესაბამისი სამთავრობო სამოქმედო გეგმის შემუშავებასა და განხორციელებას.

#### **მუხლი 91. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს უფლებამოსილება**

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სამართალ-შემოქმედებით საქმიანობას და უზრუნველყოფს ნორმატიული აქტების პროექტების სამართლებრივ ექსპერტიზას ბავშვის უფლებათა საკითხებზე საერთაშორისო სამართლებრივი აქტების, საქართველოს კონსტიტუციისა და ამ კოდექსის შესაბამისად.

2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოებისა და სამართალწარმოების პროცესებში.

3. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებს საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ბავშვის უფლებების დაცვის ღონისძიებებს, ბავშვის მიმართ და ბავშვთა შორის დანაშაულის პრევენციის, ბავშვის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის და სხვა ღონისძიებებს.

#### **მუხლი 92. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს უფლებამოსილება**

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სათანადო პროგრამებსა და ღონისძიებებს ბავშვის კეთილდღეობის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, ძალადობისგან ბავშვის დაცვის და სხვა მიზნებით, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს ამ კოდექსით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით და კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

3. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

#### **მუხლი 93. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს უფლებამოსილება**

1. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სათანადო პროგრამებსა და ღონისძიებებს განათლების ინკლუზიური სისტემის განვითარების, ინკლუზიური განათლების ყველა ბავშვისთვის თანაბარი ხელმისაწვდომობის, განათლების სისტემაში ძალადობისგან ბავშვის დაცვის, სოციალური მუშაობის გაძლიერების მიზნით, საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით - ბავშვის ჯანსაღი ცხოვრე-

ბის წესის დამკვიდრების, მოზარდის მხარდაჭერისა და ახალგაზრდის განვითარების, კულტურისა და სპორტის სფეროებში ბავშვის სრულყოფილი მონაწილეობის და ბავშვის სხვა უფლებების რეალიზების მიზნით, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს ამ კოდექსით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით და კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

*საქართველოს 2021 წლის 16 მარტის კანონი №346 — ვებგვერდი, 18.03.2021წ.*

#### **მუხლი 94. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლებამოსილება**

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს გარემოსდაცვითი პოლიტიკის, კანონმდებლობის, სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და განხორციელების პროცესში ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინების, ბავშვის მონაწილეობის, მისთვის ინფორმაციის მიწოდებისა და კონსულტაციის განევის მიზნით, ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

2. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს სათანადო ღონისძიებებს ბავშვისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის, ბავშვის გარემოსდაცვითი განათლების დონისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობის მიზნით.

3. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შესაბამისად ახორციელებს ამ კოდექსით განსაზღვრულ უფლებამოსილებებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და მუნიციპალიტეტის ორგანოებთან თანამშრომლობით და კერძო სამართლის იურიდიული პირებისა და სპეციალისტების მონაწილეობით.

4. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო უზრუნველყოფს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას ამ სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ადმინისტრაციული ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში.

#### **მუხლი 95. საქართველოს საერთო სასამართლოების უფლებამოსილება**

1. ბავშვის უფლებათა საკითხებზე საქართველოს საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ სისხლის, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართალწარმოებების განხორციელებას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების პრინციპების გათვალისწინებით, რომლებიც აღიარებულია ბავშვის უფლებათა შესახებ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებით და დადგენილია ამ კოდექსით.

2. საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემაში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების დანერგვის პროცესის კოორდინაციის მიზნით საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებას, მათ შორის:

ა) შეიმუშავებს შესაბამის წინადადებებს;

ბ) უზრუნველყოფს ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში მოსამართლეთა პროფესიულ გადამზადებას და ადგენს მოსამართლეთა სპეციალიზაციის სტანდარტს;

გ) ხელმძღვანელობს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ყველა

დონეზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის შექმნას;

დ) ხელმძღვანელობს საქართველოს საერთო სასამართლოების სისტემის ყველა დონეზე ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების განხორციელებისთვის აუცილებელი სასამართლო ფორმების, სასამართლოსთვის მიმართვის პროცედურების და სამართალწარმოების წესის ადაპტირებას;

ე) კოორდინაციას უწევს საქართველოს საერთო სასამართლოებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეში ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობის მხარდაჭერი საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების დანერგვას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას.

3. საქართველოს უზენაესი სასამართლო ხელს უწყობს ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას საქართველოს საერთო სასამართლოებში ბავშვის უფლებებთან დაკავშირებული კანონმდებლობის სამართლებრივი შეფასებით, ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრების ხელშეწყობით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებით.

4. საქართველოს საერთო სასამართლოები უზრუნველყოფენ ბავშვის უფლებებთან დაკავშირებულ საქმეში ბავშვის სრულფასოვანი მონაწილეობის მხარდაჭერი საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისების დანერგვას და სხვა ღონისძიებების განხორციელებას კანონის შესაბამისად.

#### **მუხლი 96. მუნიციპალიტეტის ორგანოების უფლებამოსილება**

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები იღებენ ყველა საჭირო სამართლებრივ, ადმინისტრაციულ და სხვა ზომას ბავშვის უფლებებზე მდგომარეობაზე ზეგავლენის შეფასების დასაწერად მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ ადგილობრივი მნიშვნელობის სამართლებრივი აქტის შემუშავებისას ან/და გადაწყვეტილების მიღებისას ნებისმიერ საკითხზე, რომელიც პირდაპირ ან ირიბად გავლენას მოახდენს ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის უფლებებზე.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოები ხელს უწყობენ მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ბავშვთა თანაბარ და ეფექტიან მონაწილეობას და უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ განხორციელებული ადმინისტრაციული წარმოების პროცესში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დანერგვას.

3. მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ფარგლებში ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის მართვის მიზნით მუნიციპალიტეტმა უნდა განსაზღვროს შესაბამისი სამსახური (სტრუქტურული ერთეული), რომელიც შეიმუშავებს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამებს და უზრუნველყოფს მათ მართვას და მათი განხორციელების კონტროლს საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

4. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის (სტრუქტურული ერთეულის) საქმიანობა მოიცავს ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებს. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მომსახურების სფეროებში მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის ამოცანები და ფუნქციებია:

ა) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება;

ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის განმახორციელებელი სოციალური მუშაკების ქსელის შექმნა და მათი სამოქმედო უბნების განსაზღვრა;

გ) ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი დაწესებულებებთან კოორდინირებული მუშაობა;

დ) არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების განხორციელების კოორდინაცია;

ე) სახელმწიფო დაწესებულებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, იურიდიულ და ფიზიკურ პირებთან ურთიერთობა როგორც ქვეყანაში, ისე მისი ფარგლების გარეთ;

ვ) ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კერძო სამართლის იურიდიული პირების შერჩევა, რეგისტრაცია და შესაბამისი სახელმეკრულებო პირობების განსაზღვრა;

ზ) დამტკიცებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შესაბამისად სტატისტიკის წარმოება; ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა;

თ) საქართველოს კანონმდებლობითა და საკუთარი დებულებით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

5. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ბავშვის საჯარო სივრცეში დაცვის, საჯარო ღონისძიებაში მონაწილეობის მიზნით ბავშვთა ჯგუფური ტრანსპორტირების წესების დაცვის და ბავშვზე მეთვალყურეობის განმარტაციულ პირის (ღონისძიების ორგანიზატორის) მიერ ვალდებულებების შესრულების, ბავშვის ბეჭდურ მედიასთან, საჯარო კინოჩვენებაზე და მასობრივ გასართობ საცეკვაო ცენტრში (ღამის კლუბში) დაშვებისა და ბავშვისთვის ჩანერილი ფილმის ხელმისაწვდომობის სამართლებრივი შეზღუდვების დაცვის, ბავშვისთვის ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და თრობის სხვა საშუალებების, ალკოჰოლიანი სასმლის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმისა და კაფსულის უსასყიდლო და სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვის მიზნით პრევენციულ და შესაბამისი რეაგირების ღონისძიებებს ახორციელებს ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტის საფუძველზე, რომელსაც საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-18 მუხლის საფუძველზე შეიმუშავენ და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.

6. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად უზრუნველყოფილი უნდა იყოს სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალით. მუნიციპალიტეტის შესაბამის სამსახურში დასაქმებული უნდა იყვნენ სულ მცირე ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის მართვის სპეციალისტი და ბავშვის სამართლებრივი დახმარების სპეციალისტი.

7. მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახური ფინანსდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ბავშვის მხარდაჭერის პროგრამა ფინანსდება შესაბამისი პროგრამის ბიუჯეტიდან ან საერთაშორისო გრანტებითა და საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სხვა ფინანსური საშუალებებით.

### **მუხლი 97. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებანი**

1. საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით, „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის დებულებით, ამ კოდექსითა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით.

2. საქართველოს სახალხო დამცველი მისთვის მინიჭებულ უფლებამოსილებებს ახორციელებს მისდამი დაქვემდებარებული ბავშვის უფლებათა დაცვისთვის პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის მეშვეობით.

3. საქართველოს სახალხო დამცველის უფლებამოსილებებია:

ა) ამ კოდექსისა და ბავშვის უფლებების დაცვის სფეროში არსებული საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტების, ბავშვის უფლებათა კონვენციისა და სხვა საერთაშორისო სამართლებრივი აქტების აღსრულების მონიტორინგი;

ბ) ბავშვის უფლებების დარღვევის ფაქტების გამოვლენა, შესწავლა და მათზე სათანადო რეაგირება ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონ-

ქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

გ) ბავშვის უფლებების სავარაუდო დარღვევის შესახებ მოქალაქეთა განცხადებებისა და საჩივრების განხილვა და მათზე სათანადო რეაგირება ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად;

დ) ბავშვის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების პოპულარიზაციის და შესაბამის სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელება;

ე) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განმახორციელებელი საჯარო დაწესებულებებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისგან დოკუმენტებისა და ინფორმაციის გამოთხოვა.

4. საქართველოს სახალხო დამცველი საკუთარი ინიციატივით ან სხვა პირის მიმართვის საფუძველზე აკონტროლებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიერ ამ კოდექსის შესრულებას.

5. საქართველოს სახალხო დამცველი ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში გასცემს რეკომენდაციებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, მუნიციპალიტეტების, საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მიმართ.

6. საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი სპეციალური სატელეფონო მომსახურების ცხელი ხაზის მეშვეობით, უწყვეტად - ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში (24/7) იღებს ზარებს ბავშვის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, აღრიცხავს ამ დარღვევებს და აღნიშნულ ინფორმაციას შემდგომი რეაგირებისთვის შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს აწვდის.

7. საქართველოს სახალხო დამცველის კანონიერი მოთხოვნის შეუსრულებლობა იწვევს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებას.

**მუხლი 98. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - იურიდიული დახმარების სამსახურის უფლებამოსილება**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური უზრუნველყოფს იურიდიული კონსულტაციისა და იურიდიული დახმარების ყველა ბავშვისთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას ბავშვის უფლებათა კონვენციის, მისი დამატებითი ოქმებისა და საქართველოს სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებების, აგრეთვე ამ კოდექსით გათვალისწინებული ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების საშუალებით.

**ნიმუში IV**

**ბარდამავალი და დასკვნითი დებულებები**

**თავი XIII**

**ბარდამავალი დებულებები**

**მუხლი 99. კოდექსის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები**

1. საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს:

ა) 2019 წლის 1 ნოემბრამდე - ამ კოდექსის იმპლემენტაციის გეგმის შემუშავება;

ბ) 2020 წლის 1 იანვრამდე - საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის ამ კოდექსის შესაბამისად განახლება.

2. 2020 წლის 1 მარტამდე საქართველოს მთავრობამ:

ა) შეიმუშაოს და დაამტკიცოს:

ა.ა) „ბავშვის დაცვისა და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესი-

ული განვითარების სტანდარტების შესახებ“ დებულება;

ა.ბ) ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი;

ა.გ) დედინსტიტუციონალიზაციის ერთიანი სახელმწიფო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

ბ) შეიმუშაოს და საქართველოს პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს ბავშვის მიმართ და ბავშვთა შორის ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე ეფექტიანი რეაგირების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა;

გ) შექმნას მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ერთიანი ელექტრონული სისტემა.

3. 2020 წლის 1 მარტამდე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს:

ა) ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამები;

ბ) ბავშვის სოციალური განვითარების პროგრამები;

გ) ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამები;

დ) ბავშვის დაცვის აღმზრდელობითი პროგრამები;

ე) ბავშვის ჯანმრთელობის მხარდაჭერის პროგრამები;

ვ) ბავშვის ოჯახში მხარდაჭერის პროგრამები;

ზ) ალტერნატიული ზრუნვიდან გასული პირის მხარდაჭერის პროგრამა.

4. 2020 წლის 1 მარტამდე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ შეიმუშაოს და საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად წარუდგინოს:

ა) ბავშვის განათლების ხელშემწყობი პროგრამები;

ბ) ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამები;

გ) ბავშვის მოხალისეობის ხელშემწყობი პროგრამები;

დ) ბავშვის ფიზიკური აქტივობისა და სპორტის ხელშემწყობი პროგრამები;

ე) სამინისტროსადმი დაქვემდებარებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ბავშვის მიმართ ძალადობის პრევენციისა და ძალადობაზე რეაგირების პროგრამები.

5. 2020 წლის 1 მარტამდე საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ შეიმუშაოს და დაამტკიცოს „ბავშვისთვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის ინტერნეტში განთავსების მონესრიგების შესახებ“ დებულება.

6. 2020 წლის 1 მარტამდე მუნიციპალიტეტის ორგანოებმა უზრუნველყონ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურების განსაზღვრა.

7. 2020 წლის 1 ივნისამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ განახორციელოს საქართველოს საერთო სასამართლოებში ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დასანერგად საჭირო ყველა ღონისძიება.

8. 2020 წლის 1 ივნისამდე საქართველოს სახალხო დამცველმა განახორციელოს ამ კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად საჭირო ყველა ღონისძიება.

9. 2020 წლის 1 ივნისამდე საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - იურიდიული დახმარების სამსახურმა განახორციელოს მის მიერ მომსახურების განევისას ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულების მიდგომების დასანერგად საჭირო ყველა ღონისძიება.

## თავი XIV

### დასკვნითი დებულებები

#### მუხლი 100. ძალდაკარგული ნორმატიული აქტი

2020 წლის 1 სექტემბრიდან ძალდაკარგულად გამოცხადდეს „მანვე ზეგავლენისაგან არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ საქართველოს 2001 წლის 28 სექტემბრის კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №28, 15.10.2001, მუხ. 113).



*საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5904 — ვებგვერდი, 25.05.2020 წ.*

**მუხლი 101. კოდექსის ამოქმედება**

1. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის პირველი - 98-ე მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის 89-ე მუხლის მე-3 ნაწილი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ნოემბრიდან.

3. ამ კოდექსის პირველი - მე-60 და 62-ე - 88-ე მუხლები, 89-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილები და 90-ე - 98-ე მუხლები ამოქმედდეს 2020 წლის 1 სექტემბრიდან.

*საქართველოს 2020 წლის 21 მაისის კანონი №5904 — ვებგვერდი, 25.05.2020 წ.*

4. ამ კოდექსის 61-ე მუხლი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

სალომე ზურაბიშვილი

თბილისი,

20 სექტემბერი 2019 წ.

5004-1ს

## გამოყენებული ლიტერატურა

### წიგნები

- H Bielefeldt N Ghanae–Hercock and M Wiener Freedom on Religion or Belief: An International Law Commentary (Oxford University Press 2016 New-York).
- M Black The Children and the Nations: The Story of UNICEF (UNICEF 1986 Sydney).
- T Buck International Child Law (3rd edn. Routledge 2014 London New-York).
- M Charlton and Others Fernsehwerbung und Kinder: Werbeangebot in der Bundesrepublik Deutschland und seine Verarbeitung durch Kinder: Rezeptionsanalyse und rechtliche Rahmenbedingungen Band 2 (Springer 1995 Wiesbaden).
- H Cremer Das Recht auf Bildung für Kinder ohne Papiere – Empfehlungen zur Umsetzung (Deutsches Institut für Menschenrechte 2009 Berlin).
- H Cremer Der Anspruch des unbegleiteten Kindes auf Betreuung und Unterbringung nach Art. 20 des Übereinkommens über die Rechte des Kindes: Seine Geltung und Anwendbarkeit in der Rechtsordnung der Bundesrepublik Deutschland (Nomos 2006 Baden-Baden).
- S Detrick A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child: A Guide to “Travaux Préparatoires” (Nijhoff 1992 Dordrecht).
- S Detrick A Commentary of the United Nations Convention on the Rights of the Child (Kluwer 1999 The Hague). G Dorsch Die Konvention der Vereinten Nationen über die Rechte des Kindes (Dunker&Humblot 1994 Berlin).
- V Epping Grundrechte (Springer 2017 Berlin).
- T Kingreen and Others Grundrechte: Staatsrecht II (33 . Aufl. Mueller 2017 Heidelberg).
- C Kirchhof Die UN-Konvention ueber die Rechte des Kindes, inisbesondere dere Umsetzung im russischen Recht (Peter Lang 2001 Frankfurt).
- J Locke Second Treatise of Government: Essay concerning the True Original, Extent and End of Civil Government (Black Swan 1690 London).
- G Manssen Staatsrecht II: Grundrechte (6. Aufl. Beck 2009 Muenchen).
- M Nowak UN Covenant on Civil and Political Rights: CCPR Commentary (2nd Edn. Engel 2005).
- N Peleg The Child’s Right to Development (Cambridge University Press 2019 Cambridge).
- S Petersen Grenzen des Verrechtlichungsgebotes im Datenschutz (LIT 2000 Hamburg).
- B Pieroth und B Schlink Grundrechte: Staatsrecht II (27 Aufl. Mueller 2011 Heidelberg).
- C Grabenwaerter und K Pabel Europaeische Menschenrechtskonvention (6. Aufl, CH Beck 2006 Basel).
- R Hodgkin and P Newell Implementation Handbook for the Convention on the Rights of the Child (3rd edn., Atar Roto Presse 2007 Geneva).
- HB Jarass and B Pieroth [Hrsg.] Grundgesetz fuer die Bundesrepublik Deutschland (Beck 10. Aufl. 2009 Muenchen).
- R Jolly UNICEF (United Nations Children’s Fund): The Global Governance that Works (Routledge 2014 London).

- O Klein Fremdnützige Freiheitsgrundrechte, Analyse eines vermeintlich besonderen Grundrechtstypus (Nomos 2003 Baden-Baden)
- S Langlaude The Right to the Child to Religious Freedom in International Law (Nijhoff 2007 Leiden). RA Lorz Der Vorrang des Art. 3 der UN Kinderrechtskonvention (Arbeitsgemeinschaft fuer Kinder-, und Jugendhilfe 2003 Berlin).
- A MacDonald The Rights of the Child: Law and Practice (Jordan Publishing 2011). A Minujin and S Nandy [Eds] Global Child Poverty and Well-Being: Measurement, Concepts, Policy and Action (The Policy Press 2012 Chicago).
- JA Frowein und W Peukert [Hrsg.] Europaeische Menschenrechtskonvention: EMRK Kommentar (3. Aufl. NP Engel Verlag 2009 Kehl). S Schmahl Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden).
- B Schmidt-Bleibtreu und F Klein Kommentar zum Grundgesetz (9. Aufl. Luchterhand 1999 Neuwied und Kriftel).
- M Schwenke Individualisierung und Datenschutz: Rechtskonformer Umgang mit personenbezogenen Daten im Kontext der Individualisierung (Deutscher Universitaetsverlag 2006 Wiesbaden).
- N Teifke Das Prinzip der Menschenwuerde: Zur Abwaegungsfahigkeit des Hoechststrangigen (Mohr Siebeck 2011 Tuebingen).
- R Thorburn Stern Implementing Art.12 of the UN Convention on the Rights of the Child: Participation, Power and Attitudes (Nijhoff 2017 Leiden).
- A Vellmer Religioese Kindererziehung und religioes begruendete Konflikte in der Familie (Peter Lang 2010 Frankfurt am Main).
- G Van Bueren The International Law on the Rights of the Child (Nijhoff 1998 The Hague).
- M Wienbracke Einfuehrung in die Grundrechte: Mit Wirtschaftsjuristischen Schwerpunktk und dem Recht der Verfassungsbeschwerde (Springer 2013 Wiesbaden).

პ ტურავა ზოგადი, ადმინისტრაციული სამართალი (2020 თბილისი).

გ ხუბუა, ნიგნიში: საჯარო მმართველობის სამართლებრივი საფუძვლები (2016 თბილისი).

ც ბარქაია, ა ჯანელიძე, ნ ჯიჯავაძე ინკლუზიური ადრეული განათლება (გაეროს ბავშვთა ფონდი 2019 თბილისი).

საქართველოს სოციალური დაცვის სისტემის მზაობის შეფასება (გაეროს ბავშვთა ფონდი 2020 თბილისი).

ბავშვის მშობლებისგან განცალკევების პროცედურები - მოქმედი კანონმდებლობისა და ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებული რეგულაციების ანალიზი მშობლის უფლებების განხორციელებისა და შეზღუდვის/შეჩერების/ჩამორთმევის ქრილში (გაეროს ბავშვთა ფონდი 2020 თბილისი).

ა ბროდერიკი გონივრული მისადაგება „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენციის“ მიხედვით: საქართველოს რეალობა (2017).

საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაცია უწყებათაშორისი თანამშრომლობის გზამკვლევი ბავშვის უფლებათა კოდექსის აღსრულებისთვის

(თბილისი 2020).

ბავშვზე მორგებული მართლმსაჯულება კანონმდებლობის კვლევა (გაეროს ბავშვთა ფონდი 2017).

ქ ჰამილტონი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების საკანონმდებლო რეფორმის სახელმძღვანელო მითითებები (2011).

ბავშვთა თანაბარი წვდომა მართლმსაჯულებაზე ალბანეთში, საქართველოში, ყირგიზეთსა და მონტენეგროში (2015).

ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება (UNICEF).

კანონის უზენაესობა (ადამიანის უფლებებისა და ჰუმანიტარული სამართლის რაულ ვალენბერგის ინსტიტუტი).

კ კუბლაშვილი ძირითადი უფლებები (ჯისიაი 2008 თბილისი).

ი ბერაია, ნ გელაშვილი, ქ გიორგიშვილი, ლ იზორია, ს კილაძე, დ მუზაშვილი, პ ტურავა საპოლიციო სამართალი (შსს აკადემია 2015 თბილისი)

### **სტატიაჰი, მონოგრაფიაჰი**

B Abramson ‘Article 2: The Right of Non-Discrimination’ in: Alen and others [Eds] A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child (Nijhof 2008 Leiden).

P Alston ‘The Legal Framework of the Convention on the Rights of the Child’ 91 Bulletin of Human Rights 2 (1992). R Ambjoernsson ‘Ellen Key and the Concept of Bildung’ 2 Conferno Esseys on Education, Phylosophy and Politics (2014).

P Anand G Hunter and R Smith ‘Capabilities and Well-Being: Evidence Based on the Sen-Nussbaum Approach on Welfare’ 74 Social Indicators Research 9 (2005).

D Archard and J Tobin ‘The Definition of a Child’ in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary (Oxford University Press 2019 Oxford).

I Baer ‘Übereinkommen der Vereinten Nationen über die Rechte des Kindes’ NJW (1993).

GK Brian ‘Dignity and Children’s Right’ in: E Sieh and J McGregor [Eds] Human Dignity (Macmillan 2017 London). F Brosius-Gersdorf ‘Privatschulen zwischen Autonomie und staatlicher Aufsicht’ Die Verwaltung 45 (2012).

P Dadvid ‘Article 31: The Rights to Leisure, Play and Culture’ in: Alen and others [Eds] A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child (Nijhoff 2006 Brill).

J Eekelaar and J Tobin ‘Article 3: The Best Interests of the Child’ in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary (Oxford University Press 2019 Oxford).

H Ehman ‘Das allgemeine Persoenlichkeitsrecht: Zur Transformation unmoralischer in unerlaubten Handlungen’ Available at <[www.uni-trier.de](http://www.uni-trier.de)>

- MDA Freeman ‘Upholding the Dignity and Best Interests of the Children: International Law and the Corporal Punishment of Children’ 73 *Law and Contemporary Problems* (2010).
- A Geiger ‘Die Einwilligung in die Verarbeitung von Persönlichen Daten als Ausübung des Rechts auf Informationellen Selbstbestimmung’ *Neue Zeitschrift in Verwaltungsrecht* (1989). G Gysi ‘Wie viel Armut vertraegt das Kindeswohl?’ 15 *Familie, Partnerschaft, Recht* 12 (2009). L Krappmann ‘The Weight of the Child’s View: Article 12 of the Convention on the Rights of the Child’ 18 *International Journal of Children’s Rights* (2010).
- A Lopatka ‘Importance of the Convention on the Rights of the Child’ 91 *Bulletin of Human Rights* 2 (1992). H Lorenzen ‘Wer sind wir und wieviele?’ *Lebendige demokratie. Die Aufgabe der Jugendsozialarbeit* 19 (2018).
- M Mahlmann ‘The Basic Law at 60 – Human Dignity and the Culture of Republicanism’ 11 *German Law Journal* 1(2010).
- C McCrudden ‘Human Dignity and Judicial Interpretation of Human Rights’ 19 *The European Journal of International Law* 4 (2008).
- M Nowak ‘Article 6: The Rights to Life, Survival and Development’ in: Alen and others [Eds] *A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child* (Nijhof 2005 Leiden).
- N Peleg ‘Reconceptualising the Child’s Right to Development: Children and the Capability Approach’ 21 *International Journal of Children’s Rights* (2013).
- T Picono-Novales ‘Religious Freedom and Protection of the Right to Life in Minors: A Case Study’ in: M Maclean and J Eekelaar [Eds.] *Managing Family Justice in Diverse Societies* (Hart Publishing 2003 Oxford).
- S Schmahl ‘Die Abschaffung der Todesstrafe in Europa’ 2 *DTIEV-Online* (2011).
- EE Sutherland ‘Article 3 of the CRC: The Challenges of Vagueness and Priorities’ in EE Sutherland and LA Barnes Macfarlane [Eds.] *Implementing of Article 3 of the United Nations Convention on the Rights of the Child : Best Interests, Welfare and Well-Being* (Cambridge University Press 2016 Cambridge).
- J Tobin ‘The Foundation of Children’s Rights’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford).
- J Tobin and SM Field ‘The Right to Protection the Privacy, Family, Home, Correspondence, Honour and Reputation’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford).
- J Tobin and F Seow ‘The Rights to Birth Registration, a Name, Nationality, and to Know and Be Cared for by Parents’ in: J Tobin [Ed] *The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary* (Oxford University Press 2019 Oxford).
- J Tobin and S Varadan ‘Article 5: The Right to Parental Direction and Guidance Consistent

with Child's Evolving Capacities' in: J Tobin [Ed] The UN Convention on the Rights of the Child: A Commentary (Oxford University Press 2019 Oxford).

W Vandenhoele GE Tuerkelli and S Lembrechts 'Article 3: Best Interest of the Child' in: Children's Rights: A Commentary on the Convention on the Rights of the Child (Edward Elgar 2019 Cheltenham).

M Verheyde and G Goedertier 'Article 43-45 The UN Committee on the Rights of the Child' in: A Alen and others [Eds.] A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child (Nijhof 2006 Leiden Boston).

I Ziemele 'Article 7: The Right to Birth Registration, Name and Nationality, and Right to Know and Be Cared for by Parents' in: Alen and others [Eds.] A Commentary on the United Nations Convention on the Rights of the Child (Nijhof 2007 Leiden).

2007 Leiden).

ბ.ბოხაშვილი "ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლებით გათვალისწინებული პოზიტიური ვალდებულებები - პრეცედენტული სამართლით დადგენილი უახლესი სტანდარტები" კ.კორკელია ადამიანის უფლებათა დაცვის თანამედროვე გამოწვევები: სტატიათა კრებული (2009 თბილისი).ე გოცირიძე "პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლება" საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი (პეტიტი 2013 თბილისი)

ე.გოცირიძე "თავისუფლების და კანონის წინაშე თანასწორობის უფლება" საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი: თავი მეორე, საქართველოს მოქალაქეობა, ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი (პეტიტი 2013 თბილისი).

### **ზოგადი კომენტარები**

Committee on the Rights of the Child General Comment No 1 (2001) UN Doc CRC/C/GC/ 1.

Committee on the Rights of the Child General Comment No 5 (2003) UN Doc CRC/GC/ 2003/5.

Committee on the Rights of the Child, General comment No. 7 (2005) UN Doc CRC/ C/GC/Rev.1.

Committee on the Rights of the Child General Comment No 8 (2007) UN Doc CRC/ C/GC/8.

Committee on the Rights of the Child General Comment No 9 (2007) UN Doc CRC/ C/GC/9.

Committee on the Rights of the Child General Comment No 11 (2009) UN Doc CRC/ C/GC/11.

Committee on the Rights of the Child General Comment No 12 (2009) UN Doc CRC/ C/ GC/12.

Committee on the Rights of the Child General Comment No 14 (2013) UN Doc CRC/ C/ GC/ 14.

Committee on the Rights of the Child General Comment No 15 (2013) UN Doc CRC/C/ GC/15.

Committee on the Rights of the Child General Comment No 17 (2013) UN Doc CRC/C/ GC/17.

Committee on the Rights of the Child General Comment No 20 (2016) UN Doc CRC/C/ GC/20.

Committee on the Rights of the Child General Comment No. 24 (2019) UN Doc CRC/C/ GC/24.

### **განმარტს ღმკუშენტიპი**

Committee on Elimination of Discrimination against Women, General Recommendation No 24 (1999) HRI/GEN/1/Rev.8.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Argentina’ (2002) UN Doc CRC/C/15/Add.187.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Cambodia’ (2011) UN Doc CRC/C/KHM/CO/4.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: China’ (2013) UN Doc CRC/C/CHN/CO/3-4.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Iraq’ (1998) UN Doc CRC/C/15/Add.94.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Germany’ (2014) CR-C/C/DEU/CO/3-4.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Guyana’ (2004) UN Doc CRC/C/15/Add.224.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: New Zealand’ (1997) UN Doc CRC/C/15/Add.71.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Senegal ’(1995) CR-C/C/15/Add.44.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Sudan’ (2002) UN Doc CRC/C/15/Add.190.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Ukraine’ (2002) UN Doc CRC/C/15/Add.191.

Committee on the Rights of the Child ‘Concluding Observations: Uzbekistan’ (2001) UN Doc CRC/C/15/Add.167.

Committee on the Rights of the Child ‘Considerations of Reports by States Parties under Article 44 of the Convention: Palau’ (2001) UN Doc CRC/C/15/Add. 149.

Committee on the Rights of the Child ‘Report on the 8th Session’ (1995) CRC/C/38.

Committee on the Rights of the Child ‘Report on the Forty-Third Session’ (2007) UN Doc GC/C/43/3

Committee on the Rights of the Child (2001) UN Doc CRC/C/15/Add.167.

Committee on the Rights of the Child ‘General Guidelines for Periodic Reports’ (2011) UN Doc CRC/C/58.

Human Rights Committee ‘CCPR General Comment No 18: Non-Discrimination’ (1989) UN Doc CCPR/C/21/Rev.1/Add.1.

Human Rights Committee General Comment No 6 (1982) HRI/ GEN/1/Rev.8.

Human Rights Committee ‘Report of the Special Rapporteur on torture and other cruel, inhuman or degrading treatment or punishment, Juan E. Mendez’ (2015) A/HRC/28/68.

International Human Rights Instruments ‘Compilation of General Comments and General Recommendations by Human Rights Treaty Bodies’ (2003) UN Doc HRI/GEN/1/Rev.6.

UN Report on the Fourth World Conference on Women (1996) UN Doc A/Conf.177/20/Rev.1

UNGA Res 44/25 ‘Convention on the Rights of the Child’ (1989) UN Doc A/Res/44/25.

UNGA Res 3318 ‘Declaration on the Protection of Women in Emergency and Armed Conflicts’ (1974) UN Doc A/Res/3318(XXIX).

UNGA Res 1386 ‘Declaration on the Rights of the Child’ (1959) UN Doc A/Res/1386(X-IV).

UNGA Res 54/263 ‘Optional Protocols to the Convention on the Rights of the Child on the Involvement of the Child in Armed Conflict and on the Sale of Children, Child Prostitution and Child Pornography’ (2001) UN Doc A/Res/54/263. UNGA Res 57 (I) ‘Establishment of Children’s Emergency Fund’ (1946) UN Doc A/Res/57(I).

UNGA Res 40/33 ‘United Nation Standard Minimum Rules for the Administration of Juvenile Justice (The Beijing Rules)’ (1985) UN Doc A/Res/40/33.





**გამომცემლობა „იურისტების სამყარო“**

**თბილისი, მ. კოსტავას ქ. №75**

**ტელ: (+995 032)238 35 99; (+995)557 51 51 34**

**ვებ-გვერდი: [www.law.ge](http://www.law.ge)**

**ელ-ფოსტა: [Info@law.ge](mailto:Info@law.ge)**

**[www.facebook.com/PublishingWorldofLawyers](https://www.facebook.com/PublishingWorldofLawyers)**